

აბჯთქიბი



114
1933

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა და არქივი
საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა და არქივი

1-2

9

3

3

საქართველოს კავშირგაბმულობის

წინამძღვრის განყოფილება

ბიბლიოთეკაში ყველა ქვეყნისა, მუდმივად

ბრუნების

პირობებში


მნათობი

სრულიად საქართველოს სამქიბთა მწი-
რების კავშირის ყოველთვიური კალენდრ-
რაცერთ, სახელთვნით და საბოტადებრივ
საპოლიციეთ აქტინალი

1-2

წლიწადი მესთე

1406 54972



სახილგანო

1933

ბმობის

პ/მ ბ. რედაქტორი: ბიორგი უსკულაშვილი

რედაქციის წევრები: ივ. ვაშაშვიძე

ს. ეული

ფ. ჩადიანი

გალ. ტაბიძე

თივ. ტაბიძე

დ. ხულიაშვილი

სიმ ჩიქოვანი

პ. ჩხიკვაძე

რედაქტორი, მდივანი: ლევ. ასათიანი

პოლიგრაფტრუსტის 1-ლი
სტამბა

შტკ. № 448. ტირ. 3000.
შთალიტ. № 709ა.

ტფილისი, შაჩაბლის ქ. № 13.

რედაქციის მისამართი: ეფნ. ნინოშვილის სახელ. შერალთა სასახლე. ტფლ. № 1-66

კანტონის მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამ. № 34, პერიოდსტორი



კლავამოსილ წითელ არმიას

წითელი არმიის 15 წლის თავზე

საერთაშორისო
მხურვალე სალამი,
საერთაშორისო
ჩვენს წითელ ჯარს!—
მედგრად რომ
წინ მიაქვს
მებრძოლი ალამი,
მშვიდობიანობის
დარაჯად მდგარს!

ოქტომბრის
ქარცეცხლში
შობილი,
წრთობილი,
მონათა მფლობელებს
სცემს შიშის ზარს
და წითელ საზღვრებზე
თოფქვეშ მოდარაჯე,
მხნედ იცავს
საბჭოთა
შთასა და ბარს!

თუმცა ჩვენს
გარემოს
დღე-ღამე
ზვერავენ,
მეცური
ღმუილით

ანთხევენ შხამს,—
მაგრამ
ფერასოდეს
ვერ გადმოგვთელავენ,—
შხადა ვართ
საომრად
ნიადაგ ქაშს!

ვერა!
ვერ შეარყევს:
ბლოკადა,
მუქარა
საბჭოთა კავშირის
მშრომელთა ჯარს;
თუ იმპერიალიზმმა
კვლავ დამქუხარა,
ჩვენც კვლავ დავაყენებთ
მათ სისხლის ლეარს!

მაშ, ბოლშევიკური
მხურვალე სალამი
ინტერნაციონალურ
ჩვენს წითელ ჯარს,—
მედგრად რომ
წინ მიაქვს
მებრძოლი ალამი,—
სოციალიზმის
დარაჯათ მდგარს!

ერთი სიმღერა

წითელი აზვების 15 წლის თავზე

შარა გაშავდა ბოლით
შორით ეშურვის ტყვია;
გარშემო მწვანე მოლი
და აშოლტილი ტყვა.
მთებს ვაყრუებდით ბრძოლით
ხევი რჩებოდა ღია,
დღე იდგა, როგორც ბროლი
მიზანს აღწევდა ტყვია
მზე ჩანდა ისევე შორით
ვისმენდით დაკრილი ღრიილს
და ცეცხლით ნაამბორი
სივრცეს სერავდა ტყვია.
და... ვაეღვებდით მახვილს
დროშა არ დაგვიბრია,
დღეს გამარჯვებულ ხალხის
მცველი ლაშქარი გვკვია.
ბინდებს გასროლა შეშლის
სანიშნეს დაღაც ტყვია
და სადღაც შორით ხევში
შომეფთა ძვლები ყრია.
ვისმენთ ჩაგრულთა ძახილს
ლულას ახურებს ტყვია
იქ გრივადივით შიფრი!..
აღელვებული დღეა.
ელვარე, როგორც ბროლი
ლაშქრე ამბოხის ტყვეა,
შარა შეედება ბოლით
შორით ეშურვის ტყვია!..
მზე გადმოაფრქვევს ალერსს
მებრძოლ შაშხანის ტრიილს,
ჩვეულ მძლეობით მალე
აფამეტყველებთ ტყვიას!..

წიგნიდან „ლირიკული ზაფხული“ საქართველოში

ორი ნამლევა

1

სოველი ბარის სიგრილე
და ჩეროები რბილი,
დილა ბარისთვის მიგვრილდა
მისდევს ბალახის ბილიკს.

გედების დასტა მიაპობს
ოქროს ზეთიან ჰაერს
და ეს შრიალი მიაპობს
ჯერ წაუჯითხავ შაირს.

ნელა მისკურავს მდინარე,
მიწაც მისკურავს ნელა,
ნეტა ჩემს გარდა ვინ არი
რომ ასე ჩუმად ღელვას.

2

წმინდაა ზეცა, მიწა გრილია,
პატარა ჩერო ადგია ეზოს,
ხეები ჩუმად თავდახრილია
ვარ ბედნიერი და უმიზეზო.

მე თითქოს თვალით ბავშობას ვხედავ,
მე თითქოს ვუსმენ ბავშობის წუთებს
ასე მგონია მოვა ეს ხე და
მკერდში ძმასავით მე ჩამიხუტებს.

მგონია თითქოს ქვეყანა მთელი
არის პატარა მესკიას ფუძე,
ასე მგონია ნიავი ნელი
როგორც ბულბული შეფრინდა ქუდზე.

წმინდაა ზეცა, მიწა გრილია,
პატარა ჩერო ადგია ეზოს,
ხეები ჩუმად თავდახრილია,
ვარ ბედნიერი და უმიზეზო.

აფთიაკარი

როცა ჩამოდის მამა,
ჩამოაქვს სურნელი ძვირფასი ერთი,
ჩამოაქვს ვაჭაქაცს ლამაზს
უბრალო სუხი პიტნის წვეთის.

აზიურ ზამთრის კალოშს
უღის წამლები სუნი
და ჩემს ოთახში ვალობს
წამლების კეთების წკარა წკუნი.

სოკრატის თავი
და თეთრი ბინტი
აცურდებიან უეცრად
და ჩემი ფიჭვი იქითკენ მიდის,
როდესაც ჩემთვის
პირველად

ყვავილი უნდა აეცრად
და თითქოს მამა
ჩემს ოთახში უნდა ეტბდეს
რამე შენაძენს რომ მხნეობა
შვილის შეაქოს,
შაგრამ მოითხოვს
შეძველად ყველა რეცეპტებს
და გააჩაღებს ლათინურს სააფთიაკოს.

რა ტკბილი არი
ჩემთვის მისი
„ქვენტუმ სატიანი“,
დაისევამს მუხლზე
შვილიშვილს და დაუწყებს ბოხად
„ეს რად გპიროდა
გაცივება ხშირი რად იცი“,
და ბავშიც ყნოსავს
მის იოდით გაეღუნთილ ჩოხას.

სიტყვას არ იტყვის
რომ აკლია ჩითი, შაქარი.
სწუხს რომ წამლების
შოვნა უჭირდა,
დასტირის წამლებს
ღირიკული აფთიაკარი
გამოკვეთილი გარეგნობით
თითქოს თუჯიდან.



„ლიბიკული მისამართები“დან

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
საქართველოს

ჯერ სიყვარული ასე ფართო და ასე მთელი
მე არ მიგვიძნია, და ეს სიბრძნე დამბუდებია,
მოშვერილი ვარ შენზე გულით, და როგორც გელი
ჩემი თვალეები უკეთესი საბუთებია.

ჩემი დამბნევა, ელდა, ყოველ წუთის ცეტობა,
როცა არ მესმის რას ამბობენ, რად მეძახიან,
უხერხულობა, ყველა დარდი, ყველა შეცდომა
ეს ყველაფერი სანატრელო შენი დალია.

მოუსვენრობა ვერაფერმა ველარ გაზარა,
გამოჩნდი იმ დროს იტყები რომ მეზადებთან,
ნუ გეშინია ჩემო კარგო, თმაში ქალარა
ეს სინათლეა სიყვარულს რომ შემატებია!

ოცდა ჩვიდმეტი წელიწადი ისე გაცურდა
როგორც მხატვარის მეგობრობა საყვარელ ფერთან;
იყავი ჩემთან, ამტანელთან და ვაჟკაცურთან
ამ დიდ დღეებში ყოველ წამში ვიაროდ ქრთად.

ნუ ჩავაფიქრა კირვეული კორის ხროებმა,
ჩემთვის სიჩუმე ღამეში რომ მოგზანტება.
საშინელია როგორც ომის მოზღლოება,
საშინელია, როგორც ჩემთვის ტყეის მზადება.

აბესალომ ნახუსარა

მალაღმა, ტანხმელმა, გაჩეჩილ წვერიანმა მამაკაცმა საპარიკმახეროს კარები მორიდებით შეაღო, როცა ქუდი მოიხადა, მელოტი თავი გამოიღო. ტიტველი ადგილი ჭონწასმულივით ბზიანებდა. სჩანდა, რომ თმა დიდხანია დასცვენოდა. თმა მხოლოდ გვერდებზე და კისრის ზევით შერჩენოდა. რატომღაც აქ გრძელი იყო და შპილკით მიბნეული. კაცს ხალათი ჩვეულებრივი ეცვა. კოპერატივიდან გამოტანილი, მაგრამ მაინც არაჩვეულებრივი სჩანდა მამაკაცის ტანზე. მამაკაცი ცალკე იყო, ხალათი კიდევ ცალკე. თითქო ერთმანეთს გაურბოდნენ.

როცა რიგმა მოაწია, მალალი მამაკაცი მძიმედ და ამოიხვრით იდგა. სარკის წინ ჩამოჯდა როგორც მიცვალებულის კუბოსთან.

— გამპარსე, გენაცვალე! — ძლივს გაისმა მისი ხმა.

დალაქი გაკვირვებით მიაჩერდა. ჯერ დაეჭვდა. ბოლოს იცნო.

— შენც, მამაო გიორგი?

მოქალაქემ საწყლად მიიპყრო დალაქს კრელი თვალები და მუდარით მიაკნაფლა:

— ნუ ყვირი ამ ხალხში!

— რისი გრცხვენია, შე კაცო! პირველი და უკანასკნელი ხარ, თუ? მარტო მე ათზე მეტი მყავს გაკრეჭილი...

კაქკაჭივით მოუსვენარ დალაქის საპასუხოთ გიორგიმ მხოლოდ ამოიხვნეშა.

— ასე სჯობს ჩემმა შხემ! თმას, შენ ხარ ჩემი ბატონი, მაშინ აქვს ფასი და მნიშვნელობა, როცა სასიძო, კაცი ხარ, ან და ფარბეს რამეს. მარტო ქინჩში რა მოხელეა! ასეთი თმა საკადრისიც არაა... ქინჩზე კოპალი გჭონია. კინალამ წაფეჭერი... ამ ამასწინად ერთი ღვედელი გავკრიჭე, იმას კი მართლა სანაქებო ხუჭუჭი ჰქონდა. ალბად იცნობ— აბესალომ ხუტესი. სადღაც გაღმა სწირავდა.

— ვიცნობ! — უკმაყოფილოდ წაიბურტყუნა გიორგიმ. — იმან დიდხანია ანაფორა გაიხადა.

— ჭკუაც ქნა. ახლა თითონაც მადლიერია რომ ასე მოიქცა.

როცა დალაქმა ლოყა საპნით შეუთხუშნა, პარსევას უჩვევი სახე უნებურად დაეღმიჯა.

— არ მოგწონს, მამაო?

— ნუ მეძახი მამაოს! — მუდარით მიმართა გიორგიმ, პარსევით ისედაც გამწარებულმა.

დალაქმა ვაუსაპნა გამხდარი ლოყები და სამართებელი აღესა, / გიორგი
 *სე შეჭურებდა დალაქს, როგორც ჯალათს, რომელსაც მისთვის ეტლი უნდა
 გამოეღებოდა.

— ჰოდა, იმას მოგახსენებდი — გრამოფონის სიჩქარით უამბობდა დალა-
 ქი, — რომ ნახუცარა აბესალომი ახლა ბედის მადლიერია.

ცივი ფოლადის მიკარებამ ლოყაზე რომელიღაც ნერვი აათამაშა. დალა-
 ქმა შენიშნა მისი ნერვიულობა და მოსულიერება აცალა.

— ერთი წუთი მოითმინე და მერე ჩემსავით წაწყმენდილი იქნები! — ნუ-
 გეშათ ეტბნებოდა დალაქი. — ჰოდა, იმას მოგახსენებდი, შემოვიდა ერთ დღეს
 შენსავით წყვრებ გაბაჯღლული კაცი. ეცვა ფრენი, მალაქელიანი ფეხსაცმელი
 და კეზი ეხურა. ისეთი მზარბეკი ჰქონდა, რომ კარებში შებრუნებით შემოვიდა.
 პირდაპირ მკერდით ვერ შემოეტი. თვალებს გასახედნი მოზვერივით ატრია-
 ლებდა, ისეთი ძლიერი ხმით ვადმოგვძახა გამარჯვება, რომ ჰერზე დაკიდებუ-
 ლი სანათურის ბროლის შუშები შეირხა. ცხონებული მამაჩემი ზღაპრების ის-
 ტატური მოამბე იყო, მისგან ბავშობაში დევკაცების შესახებ ბევრი რამ მსმე-
 ნია. დევკაცების არსებობა ახალთაობის შემდეგ აღარ მჯერა, თორემ მეგონე-
 ბოდა, რომ იმათი ნაშვირია.

სამართებელმა ნახევარი სახე აწმინდა. გიორგი მიაჩერდა ლოყას, რომელ-
 ზედაც ახალგაზრდობის შემდეგ ხორცი აღარ ენახა. ნიკაპის ზევით ხალმა გა-
 ჰოიხედა.

— აქ ხალი დავტოვო? — იკითხა დალაქმა.

— როგორც გინდოდეს! — სულერთი იყო გიორგისთვის.

— არაფერი საქირია... ახლა კინტოებიც აღარ იტოვებენ. მაგის მოდა
 გავიდა! — უღმობელი იყო დალაქი.

გიორგის ეჩვენებოდა, თითქო ურცხვი სიხარულით ატრიალებდა დალაქი
 სამართებელს და ფოლადიც ხარბათ ეწაფებოდა დიდხინიდან დასველებულ
 პირისკანს.

— რომ არ მეცნო ვინ იყო, — განაგრძობდა დალაქი ამბავს, — ყაჩაღი მე-
 ვონებოდა. რა ხორავს უნდა გაეძღო მისი სტომაქი!

თუმცა არც ისე დიდი სჩანდა, რადგან მკერდი უფრო გამობერილი ჰქონ-
 და. გრაფინი წყალი შეუსვენებლად შესვა. ორ მოქაჩეაში პაპიროსს ათავებდა.
 რიგის ცდაში მოწყენით იყო და უღვაშებზე თავს იყოლიებდა. ერთჯერ უღვა-
 შზე ტახსაცმელის ჩოთქი ვადისვა და ასე შეჩვენა, რომ ჩოთქმა კი არ გაასწო-
 რა უღვაში, — უღვაშმა ჩოთქის ჯავარი დაქუქუნა და მოგრიხა. ვენაცვალე ასეთ
 კაცს! პარკეტს ზნიქავდა, ისე ღონივრად აბიჯებდა. მიყვარს ასეთი ვაჯაკური
 ადამიანი! ერთი ეს მითხარი, — წარსული საქმეა, ახლა ღვდელი აღარ ხარ და
 ღმერთი არ გიწყენს, — აბესალომის ღვდლობას ჰქონდა რაიმე მადლი?

გიორგიმ წაუყრუა.

— აი, მაგალითად, — არ ეშვებოდა დალაქი — შენისთანა მიტნავებული კა-
 ცი რომ სულზე ფაქრობდეს, კიდევ შეშენის. სხვათ არაფრად ვარგა შენსა-
 ვით მქლე ადამიანი, შენ რომ სულის შესახებ მელაპარაკო, რომ არ მინდო-
 დეს მიინც უნდა დავიჯერო, უხორცო სხეულში სულის მეტი რაღა დარჩენილა!

შენისთანა კაცმა რომ ღმერთი არ იწმოს, ამ ქვეყნად რისი იმედით იცხოვროს? მაგრამ აბესალომ ნახუცარა? არ შვერა ღვთის მადლი ემაზე გოდოსულიყოს...!

— ჰოი!— შეერთა გიორგი.

— არა უშავს რა, პატარა მუწუკია. წათლა კიდევ მოუბდება... დიდბანია არ გინახავს აბესალომი?

— არ მინახავს!— უგემურად სთქვა გიორგიმ.

— რას დაიღმირე, შე კაი კაცი ხომ არ გწყინს მისი სახელის გაგონება?

— მაინცადამაინც არ მსიამოვნებს, რა მოსაგონარია წუწკი და ეშმაკის ფეხი.

— ეგ კი სიმართლეა!— გაუხარდა დალაქს— ეშმაკობაში ტოლი არა ჰყავს. წარსულ შაბათს რამდენიმე ამხანაგმა პურის საქმელად წასვლა გადაეწყვიტეთ. ერთმა სთქვა: ისეთი სარდაფი ვიცი, მეორე მისი მსგავსი ვერსად იპოვოთო. წავედით. მივედით. ჩავედით. რას ვხედავ! დახლში ნახუცარა აბესალომი ჩამდგარა. ყენივით სდგას. ისეთი მარიფათით შეგვხედა, რომ რაც ნაგარაუდვენი გვექონდა, სამი იმდენი დაეხარჯეთ. როგორც კი სუფრას მოუსხედით, ვგრძნობთ ხასიათიც უკეთესი მოგვეცა.

— მართვით რაც მოითხოვონ!— გადასქევა ფართულ აფარებულ ბიჭებს ისეთი გემრიელი ხმით, რომ მადაც ერთიანად გაიხარდა, — თითო კაცი თითო ლომის შესახარავად მოვეშადეთ. ისეთ იშტაზე მოვედით, აღარაფერი გვეზოგებოდა... მეგობარი მეუბნება. შეხედე, კედლებზე რა სურათებიო... შევხედე და თვალი მომიქცა. მთლად რაც თქვენი წმინდანებია, ერთი მეორეზე ჩაუმწყრივებია. ჩვენი მაგიდის გვერდით კედელზე ოცამდე წმინდანს სუფრა მოლზე გაუშლიათ და ლხინი აქვთ. თამადას თავის გვერდით მეგარმონე იპოლიტე დაუსვამს და გარმონს ხმას აყოლებს. შეხედავ— შეგებარებება, ისეთი ხოშინანი პურის ქამა აქვთ... იქით კიდევ სხვა სურათებიო. რომელიღაც მიქელ-გაბრიელს ოლარნი გაუფარდაშებია და არღანზე ცეკვავს. ორი კიდევ წაჩუბებულა, თავზე წადგმული ნათელი მოუხდიათ და იმით ურტყამენ ერთმანეთს. მთელი კედლის სიგრძეზე კიდევ გაკრულია პლაკატი: „რელიგია ხალხის ოპიუმია“... დახლის პირდაპირ კედელზე კი აბესალომს თავისი სურათი თაუკიდია: ოლარში შემოსილს ღვინით სავეს ყანწი უჭირავს, ილიაში კი რუმბი შეუჩრავს. ისე კარგად დაუხატავთ, გგონება ცოცხალი სდგას შენს წინაო. სურათის ქვეშ მისი გამოთქმული ლექსია:

„თქვენთან ერთად გაუმარჯოს

„ნახუცარა აბესალომს!“

— ექვსი კვარტი იქით, წიწმატი და ტარხუნა აქეთ! მართვით ჯიგარი ჩქარა!

ის რომ გენერალი ყოფილიყო, მტერი რომელი დაუდგებოდა. ორის მაგიერ თითქო ათი თვალი მობმია. მუშტარით გაქედნილ სარდაცს ქორივად გადაჰყურებდა. ასი კაცი უძახდა და ასივეს პასუხს არ უყოფნებდა. ყველას მისი მიპატივება ახალისებდა, და თუ ვინმე მთლად ლაწირაკი არ იყო, ისე უარს არავის ეუბნებოდა, შავი და თეთრი ღვინო— მისთვის სულერთი იყო. ყრონტში ყველას



ერთნაირად უშვებდა. გეშინოდა, უცაბედათ ქიქაც გადააჰყოლოდა. „აბესალომს გაუმარჯოს!“ უძახდენ შორეულ კუთხიდან.— ჩემი თავი ვეწინააღმდეგებოდი, იმავე წუთში გადასძახებდა დახლიდან და თან ისე გაიღიმებოდა, როგორც მზე ნახვებისას. ამის შემდეგ მსმელებს წყურვილი ემატებოდათ და თავი არ ეზოგებოდათ. ზოგიერთი ცინდალა მუშტარი, როცა ლეინისაგან აზრს დაკარგავდა, ყაილის გუნებაზე დგებოდა. აბესალომს დახლის წინ დაუდგებოდა და თუ უშვერი სიტყვით, თუ ქიქის დამტვრევით ვითომ სკანდალს უმართავდა. ნახუცარა ჯერ წითურებდა, ყურადღებას არ აქცევდა. მერმე, თუ საქმეს ძალიან გაუჭირვებდა, გაწყრომის მაგიერ დათვის თათივით ხელს ლოყაზე მორუთათუნებდა. და თუ ვერც ამის შემდეგ მოიშორებდა, დაკაპწებულ ბანჯგვლიან მკლავებს დახლზე დაალაგებდა, ლოშის ტორივით შეკრულ მუშტებს დაებჯინებოდა და ქირვეულს ისეთი თვალით შეხედავდა, რომ სხვა რამ საჭირო აღარ იყო— აბესალომს ჯადონაკრავივით შორდებოდა... ვინ იცის, რამდენი კაცი მთხევია ამ ხელებს... და განა მარტო სარდაფი არჩენს აბესალომს? ნახუცარას, საკომისიო საქმეებიც ჰქონია. მთელი ფაბრიკა აქვს გამართული. სოფლებიდან რკოს ეზიდება და ყავას ფქვეს, აფთიაქისთვის აბუსალათინს ავროვებს, მანდარინის ადგილობრივ სყიდულობს და შემდეგ რუსეთში გზავნის... რომელი ერთი ჩამოეთვალო! შინაურ საქონისთვის გაკრილ ნაცარსაც კი ამზადებს. ას კაცამდე აგენტი ჰყავს. თითონ, როგორც სკაში დედაფუტკარი, ზის სარდაფში და განკარგულებებს აქიდან იძლევა. ამზობენ, ყველას დამამარცხა და განსაკუთრებით თუ რომელიმე ნახუცარა მის ბაღში მოხვდა, პირში სულს უდგამს... მუშაობ სადმე?

— არა.

— მაშ, აბესალომთან მიდი, გზაზე დაგაყენებს!

გიორგიმ დალაქს უქმაცოფილოდ ახედა.

— აბესალომთან მივიდე?! ეგეთი რჩევა ახალგაზრდამ არც უნდა მიქადრო!

— შენი ნებაა. მე საწყენად არ მითქვამს. კეთილი გულით ვითხარი. ულვანი შევასწორო?

ულვას მაკრატელი არ შეხებია. გიორგი თითქო ახალ სახეს ხედავდა სარკეში. ცხვირმაც სხვაგვარი იერი მიიღო. ჯუ, რახანია თვალს ამ სახის სიტყვლე არ უნახავს!

კიდევ უფრო მძიმე ნაბაჯით გამოვიდა გიორგი სადალაქოდან. არავის არაფერი ესაქმებოდა ახლად გაკრეკილ და გაპარსულ მოქალაქესთან. ყველამ გულგრილად ჩაუარა. მაგრამ გიორგიმ მაინც პირველსავე შესახვევში მისცა თავი და მყუდრო ქუჩით წავიდა. ასე ეგონა— ძველი თავი აღარ ება. მზე იყო, მაგრამ ლოყას მაინც სციოდა... თვალწინ ტრიალებდა დალაქი სამართებლით ხელში. აბესალომის ბოხი ხმა კვლდაკვალ მისდევდა.

კარგა მოზრდილი მანძილი ჰქონდა გავლილი, როცა უცერად პირი იბრუნა და ისევე იმ ქუჩით სავარკმხებროში დაბრუნდა.

— ძამია, — კუთხეში გაიხმო გიორგიმ დალაქი და ჩუმით კითხა— რომელ ქუჩაზეა აბესალომის სარდაფი?

გაზეთის ნახევზე მისამართი ჩაიწერა და სწრაფად გავიდა

სსრკ-ში პატარა პანისა

ამ კაცის ცხოვრება ასეთი იყო:

პროვინციის პატარა ქალაქში, ბაზრის მოედნის კუთხეში, ჰქონდა მოწყობილი ფოტო-სახელოსნო. ქვედა სართულში წინაღ იყო რესტორანი მექანიკური არღნით. ახლა კოოპერატივია. ზედა სართულის ფანჯრებთან კუთხეს ფარავდა ძველი აბრა. ოდესღაც აბრაზე ლურჯათ და ყვითლად ეწერა: „ფოტოგრაფი მელიტონ ლიბრაძე“. დრომ და წვიმამ ლურჯი და ყვითელი გაურკვეველ ფერებათ შესცვალა, ხოლო წარწერის დასაწყისი კოოპერატივის ახალი აბრის ბოლომ დაფარა და დარჩა „...გრაფი მელიტონ ლიბრაძე“.

მოქალაქეთ, რომლებსაც წარსულშიც ენის წვეტიან შუბზე არაერთხელ წამოუგიათ უწყინარი ფოტოგრაფი, ამ შემთხვევის შემდეგ მეტი საოხუნჯო მასალა მიეცათ. ფოტოგრაფს არწმუნებდნენ, რომ თვით საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა მას გრაფობა. დაცინვით ეძახდნენ „გრაფ მელიტონს“. ბოლოს ყველა შეეჩვია ასე ეძახებოდა და შერჩა კიდევ ასეთი სახელი.

ჩვენ მაინც ნუ ვუწოდებთ ასე. კმაროდეს, რომ სხვა დასცინის. ჩვენ ღმობიერი ვიყოთ. სულ გულქვა უნდა იქნე, რომ ამ დაჩოქილ კაცს კიდევ ქვა ესროლო. ტანისორა, თავტიტველა. აცვია ძველთაძველი ფრაკი, პატრონის სახის ფერვით გახუნებული. ოდესღაც ფრაკი ახალი იყო და რამდენი საზეიმო სადილის და ვახშმის დამსწრე ყოფილა, იმდენი სიკეთე მოგეცათ.

ყოველ ხელოსანს სჭირია მრავალი ნაცნობი ჰყავდეს და მითუმეტეს ფოტოგრაფს. მელიტონს ქალაქში ყველა იცნობდა. სურათის გადასაღებათ მიდიოდნენ ვაჭრები, ჩინოვნიკები, ადგილობრივი ინტელიგენცია. ხანდახან გაურკვევე პროფესიის და წოდების კაციც გაერეოდა. მნიშვნელოვან და ხან უმნიშვნელო მომენტებს თავის ცხოვრებაში მოქელაქენი ხშირად ფოტოსურათის გადაღებით აღნიშნავდნენ. პორტრეტების გადასაღებათ სოფლებიდან ჩამოდიოდნენ ახლად დაქორწინებული ახანურებიც. და ვინაიდან გარემო სოფლებში ახანურთა რიცხვი მოქარაბებულათ გახლდა, სამუშაოც თავზე საყრელი იყო. ღამით როცა მთელი ქალაქი მიძინებული იყო, მხოლოდ მელიტონი ფიზილობდა თავის სახელოსნოში—წითელ სხივზე ჰკრეტდა მომავალ საუკუნოებისთვის თვალისა და გულის გასახარებლად შუშის ფირფიტაზე გადასულ ფიქსატურით აპრებილ ულვაშებს, ქალებს თითქო ნასესხები ღიმილით და სხვა მრავალ სახეთა დასტურ საკვირველთა.

ერთხანს ბედნიერიც იყო მელიტონი. ფოტოგრაფებს თავისი ხელობა ერთ სახარბიელო უფლებას აძლევს—მათ გაბედულად შეუძლიათ ქალის სახეს ხელი მოკიდონ. მელიტონი ამ უფლებით ყოველთვის ზომიერათ სარგებლობდა

მაგრამ ერთხელ, როცა მასთან ლამაზი გოგონა მივიდა და შოპის გმწორების მიზნით ქალის სახეს და თავს ხელი შეახო, იგრძნო კანის ხავერდი და ისიც, რომ თმა კრავის მატყლივით რბილი ჰქონდა. ალბად ბედი იმყოფებოდა მის მიწვევით მარტო ეს ხომ არ იქნებოდა, მელიტონს გოგონა გულში ჩაუყარდა და შემთხვევით მოსული ქალი მისი ცოლიც გახდა. ცოლმა ბედნიერება შემოიტანა და მზითვით კიდევ, თითქო დაეძვებულმა რომ ასეთი კაცის ღირსი არ იყო, დიდი მამული გამოიყოლა.

ცხოვრობდნენ მტრედებივით. ერთმანეთს მტრედევით შეღულუნებდნენ. მამალი მტრედი მელიტონი იყო, დედალი—მისი ცოლი მაკაი. მელიტონისთვის ქვეყანა უკეთესი შეიქნა. სიცოცხლე სიხარულად იქცა. დღეები დღეებს ტკბილი სიზმარივით გაჰყვა.

მაგრამ რადგან სიზმარი ხანგრძლივი არასოდეს ყოფილა, მელიტონის სიტკბოც ერთ დღეს უეცრად შეწყდა. მოკდა მაკაი სახადისგან და მელიტონისეც მარტო დარჩა.

მაკაის სიკვდილის დღიდან ცხოვრება შეჩერდა, დღე ლამისაგან ძნელად გასარჩევი შეიქნა. როცა გულში ღამეა, თვალი გინდ მზეს უშერდეს და გინდ კუბრის ცას, რა განსხვავება!

თანდათან, დღითიდღე ეს სათნო გული მოიშამა და ცხოვრებაზე აღრინდა. შეიყვარა მელიტონმა მარტოობა, ცოლის საფლავზე სიარული, ეკოესიის და სასაფლაოს სიჩუმე. შემდეგ გასვენებაზე წასვლას დაუფიქრა. ნაცნობი იყო თუ უცნობი, დარი თუ ავდარი—მაინც მიდიდა. ბოლოს კიდევ ერთი ახირებული ზნე დასწმინდა: ოთახში მარტოდ და უსაქმოდ მყოფი გარდაცვლილ ცოლს წერილებს სწერდა. ვინ ნაბა დლით, ვის რა უთხრა, ვინ რა უამბო—ყველაფერს დაწერილებით. ცხოვრებით უკმაყოფილოს გულის ბოღმა ამ წერილებში გადამქონდა. ყოველ წერილს ამთავრებდა სინანულით, რომ არ არის საყვარელ მაკაისთან, —ჯერ ისედაც რაღაა ცხოვრება და მერე კიდევ უმისოთ.

მაკაი, ცხადია, ყველაფერს ამას უშხერს. ხანდახან მელიტონის მელიტი კეფა გრძნობს კანზე ჰაერის ნიშ შეხებას—ეს ცოლის მიერ გამოგზავნილი ალერსია, ციდან დედამიწაზე მოგზაურობით ცოტაოდნათ დაღლილი და ამიტომ ასე სათუთათ საგრძნობი.

ერთი ასეთი ალერსის შემდეგ შთაგონების მაღლი გადმოვიდა მელიტონზე და მან საიქიოში წერილის მიწოდების საშვალეებასაც შთავნო.

როგორც კი გაიგებდა ვინმეს გარდაცვალებას, წავიდოდა, მიცვალებულს იტირებდა, მერე კუბოში წერილს ჩაუდებდა და კვდარს შესთხოვდა ბარათი მაკაისთვის გადაეცა. ჰირისუფლები ხან ვერ ამჩნევდნენ ფოტოგრაფისგან კუბოში ჩადებულ კონვერტს, ხან უყურადღებოთ სტოვებდნენ, ხოლო ზოგი მორწმუნე იყო და სჯეროდა, რომ ამ გზით წერილის გაგზავნა მართლაც შეიძლებოდა. და რადგან ქალაქში არც თუ ისე იშვიათად კვდებოდნენ მოხუციები და ხან აბალგაზრდები, მელიტონიც არ აგვიანებდა წერილის გაგზავნას.

ამ უჩვეულო საფოსტო კავშირის შემდეგ ფოტოგრაფმა თითონაც შეამჩნია, რომ გული გაუმაგრდა და ხალისიც მიეცა, გულს სხვა იარაღ ჰქონდა—დრო იცვალა და ძველი მუშტარი გაჩინავდა, გადაშენდნენ ხმალხანჯალში ჩამჯდარი

აზნაურები, სერთუკიანი მოხელენი და ვაჭრები; მაგრამ მთავარი წყალუღი მაკაკი იყო, და როცა მასთან დაახლოვების საშვალეებს მიაგნო, ტყვიანი რამოდენიმედ დაეცრა.

მეორე მხარე

ცხოვრობდა ოთხ ოთახში, როგორც ლოკოკინა ქერქში. მანქანა მანქანასხვა იყო, მელიტონი თავისი ოთხი ოთახით კიდევ სხვა. თითქო ორი სხვადასხვა სამყარო ერთ სივრცეზე შემთხვევით მოთავსდა. ამ მცირედიოთაც კმაყოფილი იყო მელიტონი და კმაყოფაში აღბად დიდხანს იქნებოდა, რომ უეცრად მისი ცხოვრების მდინარეა ყირაზე არ დამდგარიყო. მოვიდა ერთ დღეს კაცი პორტფელით, დაათვალიერა მელიტონის ბინა, მეორე დღეს კი ქალაქის სამმართველოდან აცნობეს ორი ოთახი დაეცალა. ფოტოგრაფი ახტა, დახტა, აქეთ ეცა, იქით ეცა. ვერაფერს გახდა, კაცი პორტფელით არჩეულ ბინაში ჩასახლდა.

აქ შალა მელიტონს საბუღარო. შელოლდა ორ ოთახში, დიდი ხნიდან ბინა სიჩუმეს რყო ჩვეული. ახლა უეცრად ახმაურდა. ახალი მდგმური ხალისიანი იყო. ცოლი და სამი ბავში ჰყავდა. სამივე ცელქი და სამივე პიონერი. ლოყა წითელი ბიჭებო იყვნენ და წითელ ყელსახვევს ატარებდნენ. ყაყაოსხავით ჰყვავოდნენ

პირველ ღამესვე მელიტონმა შესჩივლა მაკაკის, სწერდა ბარათს გათენებამდე. გულში რაც ბოლმა ჰქონდა, ამოიფხიკა:

— „... ახლა იმ ოთახებში, სადაც შენი ფეხები ბაკუნობდა, ვილაც ტიალი დაზოგინობს. ჩემთან ლაპარაკიც არ იკადრა. ვადმოშხედა მხოლოდ ერთხელ და, სიმართლე ვითხრა, შემაშინა. ისეთი ფეხი ჰქონია, ქვას გაბურღავს. მე და შენ რომ ლომი ვნახეთ, ამ კაცზე თვინიერი სჩანდა. ის გალიაში მიინც იყო, ეს — აწყვეტილია. გარდა ამისა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მდგომარეობაც ხელს უწყობს. რალაც დიდი სპეცია და თავზე ევლებიან. ღმერთის მაგას არ ეშინია და კაკის. მე გეტყვი შეაშინებ, მე გეტყვი შეაგონებ. ბავშვები ჰყავს ისეთი, — დაბადებას ვიწყველი. ერთ დღეში ისე მომაქციეს, სულ რეტი შეხვევა. ერთი ლოროტოტოს უბერავს, მეორე ბარაბანს ურტყამს, მესამე სარდლობს. ოთახში რალაც ბანაკებს აწყობენ. სად ყოფილა, სად გსმენია ასეთი რამ? ვიცი შეწუხდები ამას რომ გაიგებ, მაგრამ უნდა მოითმინო. შეტი რა გზაა. არ დაიჯერებ მაკაკი და, ისე გამიტუტუტუდა ცხოვრება, რომ ჩემი სიცოცხლე აღარ ღირს. აღარ ვიცი სად ვარ, რა ვარ. ცხოვრების მე აღარაფერი მესმის და იმას ჩემი აღარ ეყურება. არ ვიცი რომელი ვართ კვდარი — შენ, თუ მე, ალექსი ვახსოვს? გაფცქვინეს საწყალი, აღარაფერი გააჩნია. ბატონ ნესტორს რომ შეხედო, ვეღარ იცნობ. ცხვირი დარჩა ცალიერი. დარღმა გააბზო. წინად ქვეყნის საქმეს ატრიალებდა, ახლა სათოფეზე არავინ იკარებს. აქაურობა ახალი ხალხით აივსო. დავდივარ ლანდივით, ყველასაგან და ყველაფრისგან გარიყული. ერთი თბილი სიტყვა რომ მითხრან, იქნებ გულის ტკივილი ცოტათი მაინც დაამდეს. იქნებ მეც რამედ ვივარგო. კაცს რომ გამარჯვება უთხრა და პასუხათ თავში ჩაგებრა-ვუნოს, მეორედ საღამის მიცემას ხომ ვეღარ ვაუბედავ? ჰო და, ასეა ჩემო მაკაკი. ხანდახან სიზმარი მგონია ყველაფერი. მარა არც ასე დაუსრულებელი სიზმარი გამიგონია. ახლა კიდევ შენს შეგობარ მარინეზე ცოტა რამე უნდა მოგწერო...“

სწერდა დაუღალავად. მრავალი თაბახი გაავსო. გულში რაც ვერაძი იყო აღარ დასტოვა. და როგორც კი პირველი შემთხვევა მიეცა—შეშინებულა, კი ისეთი იყო, რომ მოხუცი ნათლიმამა მოკვდა თითქო საგულდაგულად კერძოების წასაღებთ—მიცვალებულს კუბოში ჩაუდვა ბარათი და მაკაკისთან გაგზავნა.

ისევ უფერულად გაიბაწრა მელიტონის დღეები. და აღბად დიდხანს იქნებოდა ასე, რომ უფეროდ საკვირველი რამ არ მომხდარიყო. ეს საკვირველება ღამეში ცის ვახსნას უდრიდა: კაცი პორტფელით, რომელსაც არც აღამიანის ეშინოდა და არც ღმერთის, ყველასთვის მოულოდნელად მოკვდა.

პორტფელიანი კაცის დაკრძალვის დღეს მელიტონის სახლის წინ მოედანი ხალხით სავსე იყო. მოქალაქეთა მწუხარე კოლონები თანდათან მატულობდა, მოედანზე აღარ ეტია და მგზობელ ქუჩებს ავსებდა.

როგორც იქნა წვალებით გაათრია თავისი ტანი მელიტონმა იმ ოთახამდე, სადაც კვდარი ესვენა. ყვავილებით დაფარულ კუბოში მჭრთალი სახით ესვენა ის, ვინც კიდევ რამდენიმე დღის წინად მელიტონისთვის რისხვა და მეზი იყო.

როცა ასწიეს კუბო და გარედან ორკესტრის სამგლოვიარო ხმები გაისმა, მელიტონმა ხალხის ჩოჩქოლით ისარგებლა, იხელთა დრო და მიცვალებულს გულის ჯიბაში ჩაუკუნა დალუქული ბარათი მისამართით: „საკუთარ ხელში მაკაკი ღიბრძისას“.

ვილაკამ, რომელმაც ფოტოგრაფის ჩეულება იცოდა, თვალი მოჰკრა მელიტონს, როცა ის კუბოში წერილის აპარებდა.

— ეგ საფოსტო ყლთი არ გახლავთ!—დაიქშინა მან, ამოაგდო კონვერტი და გაბრაზებით გადაისროლა.

ველარ მოასწრო მელიტონმა თავისი წერილის დაბრუნება.—იქით ვილაკას ხელში მოხვდა, ვილაკამ კიდევ ვახსნა, წაიკითხეს და იმავე დღეს უკვე მრავალმა იცოდა მისი შინაარსი.

ბარათი მოკლე იყო:

— „სასწრაფოდ გწერ, ჩემო მაკაკი. აღელვებული ვარ და ვჩქარობ. ამ წერილის მომტანი ბრძანდება სწორედ ის ვაემატონი, რომლის შესახებ ამასწინად გწერდი. აქ ვერაფერი ვუქენი და ახლა შენ იცი, თუ მად გადაუხდი სანაგვიროს. დაიხმარე ნათესავები, აწვალეთ, ნალველა ჩაუქციეთ. იცოდე, არაფერი შეარჩინოთ. აბა შენ იცი, რა მარჯვედ იქნები. გკოცნი ურიცხვს. შენი მელიტონ.“

შეიძლება იმიტომ რომ შერცხვა, ან იმიტომ რომ საიქიოში საბრძოლველად დასწეოდა იმას, ვინაც სიკვდილის შემდეგაც შურისძიების საშვალება არ მისცა, ან და შეიძლება სულ სხვა მიზეზით, რომელიც არავის გამოურკვევია,—ამ შემთხვევის მეორე დღეს მელიტონი ნახეს დამარყუშებულ პირსახოცით ჩამომხრჩვალნი.

ასე დაასრულა ცხოვრება იმ კაცმა, რომლისგანაც დარჩა მხოლოდ ძველი ამბრა წარწერით:

„...გრაფი მელიტონ ღიბრძაძე“.

უშანგი ჩხიკავს

თითქოს ზღვა სულთ

ტექსტებთან იჯექ
იჯექ, გადარეს გამბედავ სულელს;
მაგრამ წრფელი ხმით კლასიკი სინჯე
და თითო თითოდ შეეხე წყლულებს.
გახსენი ტექსტის პირუტყვი ბაგე;
თართოლვით და რიდით ჩაწვდი კენიოსს,
და ქართულ ფრაზის ელფერს მიაგენ
სალიმილოთ და სატრაგედოთ.
გარდატეხის ეამს თაობის ეშხი,
შენ ჩაგებარა ვით საგანძური.
შეგზვდით ერთმანეთს

ამ დიდ საქმეში
ნიღაბების და ლექსის მსახური.
შეგზვდით, შეიქმნა მეტყველი ჯგუფი
გვახლდა პუშკინის ინტიმის ლანდი.
და შთაგონებით გავშალეთ შუბლი
დაღამებიდან ალიონამდი.
მაშინ ოსტატზე

ვიბრძოდით შიგნით
გონებით, გულთ, მყოფადის სიზმრით.
ჩვენებრ ებრძოდა ჰამბურგს ლესინგი,
გერმანულ დრამის აღდგენის მიზნით.
მტრის ბანაკიდან დაღვრილი შხამი
გვამჰიდროებდა როგორც მშობელი,
იმართებოდა შემდეგ ვახშამი
ისმოდა წვა და საგალობელი.
გარიერაფის ეამს,

ჩხუბით, სიცილით
ვიშლებოდით და ვადგენდით გეგმებს.
სუნე ნიერის და შეწვიარ წიწილის,
შენ დასძლიე და ნიღაბი შექმენ.
და დაგვევალა არა მარტივი
მხატვრულ ფერებით დროის მხილები:



შენ არტისტიულ გაშლილ მინტიით,
 შე პოეზიის ქარტეხილებთან.
 და მახსოვრობაც თუ არ მღალატობს:
 ვებრძოდით მტერს და ქორის ნახევებს.
 თეატრი სვედდა ახალ კალატოზს
 და კალატოზი კმნიდა სახეებს.
 ძირს შეგობრები გელოდენ იმედს
 გელოდა ზღვა... ტალღების ტაში.
 შენ ტრაგედიის მხარების სიმძიმე
 ასწი წრფელი ხმით

თარგმნილ ფრაზაში...

კლასიკურ მხატვრის გამოთლილ მარმარს,
 მიეც ვაზნარულ გონების შარცხი.
 წაილო პლაში სტენიურ ქარმა
 და დაიღუპა შექსპირში კაცი.
 ბრმა და ყრუ ტექსტმა

თბზულმა ოდესღაც

გითხრა, იმიწვი სამხრეთის შეილო.
 და შენ ტექსტის ქვეშ, გლოვა მოგესმა:
 ვიყავი ხე და ვარ მარმარილო.
 წამს სიყვარული აკრიფე ხალხში,
 მიეცი ცეცხლი ვარდებს სულიერს.
 სტენის მიღმიდან გამოგყვა ტაში
 და როგორც პლაში მოგზდევს ურიელს,
 მეტყველებს ყურთან:

ურიელ აკოსტა!

მეტყველებს ტექსტი შენგან გაშლილი,
 როგორც ივდითში ვერიკოს ტანი
 და ჩინარის შტო ბარათაშვილის.
 რემბრანტის ყალმით მალლა ნაშოლტი
 ჩრდილით და შექით ბედს აეშალე
 ცრუმორწმუნე წრეს შენ გადაშორდი,
 გაგყვა ბრძენის ხმა და კაეზანი.
 სიტყვას გერჩის და აღარ გღალატობს;
 შენ კურნავ ვარდებს მკენარს და სულიერს;
 მე შენ გიწოდებ დრამის კალატოზს:
 ძაო პამლეტ, ბრძენო ყვარყვარე,
 ბავშო ურიელ!

შემდეგ რა მოხდა? დაგრჩა უთქმელი
 ბევრი ქრეოლა და ფრაზების გემო.

54972





ხარ დარბეული ქარით ურთხმელა
და დაშვებელი შტოებით ქვემოთ.
ის აღტყინება ჩაქვრა ზემორე
ჩაქრა ოსტატის შთენილი კვესი.
ტექსტებში გლოვა გაიმეორეს
და ნესტში მოხვდა თეატრის თესლი.
ბოლო ნაყოფიც მაგონებს ლამაზს,
მაგრამ ზამთარის დაფენილ საზრდოს.
მოხუცის ქმნილი გენიის კამათს,
დამსხვრეულსა და დღეს უმყოფადოს.
სად არის შველა,

სად ეძებ წამალს,

შე შენ გეძახი ძმაო უდიდესს.
ბავშვი შეაქვრა კირვეულ მამას
და ტაშის ფრთებმაც ჩაგიშლილეს.
სადა ხარ შენ? გელოდენ იმედს
მოგელოდენ და ადექ ხმა გაეც-
და ტრაგედიის ფრაზის სიმძიმე
შენი წრფელი ხმით

შეიჯღრევს პაერს.

ადექ, გრივალებს გადაყვება ნეხვი.
ადექ სიბრძნეებს ისევ შეები.
იკმეტ, როგორც ბალადა ვეფხვის
და შეჯახება მდინარეების.
თითქოს ზღვა სულლით

გრძნეულთან ზიხარ,

ზიხარ, დაეძებ დაკარგულ სურნელს.
მწამს დაისეტყვე კლასიკურ მზისგან
და ბრძენის ფრაზათ ინკურნავ წყლულებს.
გაივლის წლები, გაზდევს ფერებით
შენგან წარმოთქმულ ტექსტის ბალები;
გაუქმდებიან, როგორც ფრები
ჩვენი გრძნობები და ნილაბები.
მაგრამ ირყვიან: ფრაზა იგლოვა
და მიგვაჩეია სიტყვის სურნელსო;
ეს აკვირვებდა პოეტს ჩიქოვანს
და ლექსად უთხრა საუკუნესო.

ახალგაზრდა დიასახლისი მთაში

მგზავრი მუდმივი, მოხეტე მარად,
მე, უჩვეულო ამბებარს ცდაში,
რომ მომბეზრდება ცხოვრება ბარად,
ასე უბრალოდ მოვდივარ მოაშა.

ხელი თუ არის ბედიის მსახავი,
რომ დამატარებს კიდემდე კიდით.
მიკვირს, არ დაპრჩი შენ უაახავი,
ქვეყანა აქ რომ არას დიდი.

ეინ წარმოიდგენს: მთელი არმია—
რამდენი საბჭო, რამდენი თვალნი!
მაგრამ შემთხვევით ვისთან არ მივა
გზადაბნეული ცხოვრების კვალი.

აი ეს ეხო მზით გაალული,
რტოებდაჩრილი ხეხალის ზღუდე
და შენი სახლა შიგ დამალული,
როგორც იწყებრჩატას პატარა ბუდე.

თუმცა ოცნება ფრთით დაგატარებს,
და შენი ბედაც აღბად წინ არის,—
შაინც დედის წილ უფლი პატარებს
მუდამ მოსაქმე და მოციინარი.

დღეს რომ მთებს უკვე თავს აფარებდა
ცხელი მნაიომი სხივდარაზმული,
შენ წინ შემამხვდი მოსტნის კარებთან
შეოცებული და მოკაზმული.

შემოეფინა მალალ ამოებს
ნიამორივითა აწვდილი ჩრდილი,
ჯერ დამის ბინდნი რომ გაახვიოს
და შემდეგ ისევ მოეხსნას დილით.



და შენ გობისკენ თავი დაჰხარე,
შინ რომ დაღლილი მოვიდა მამა,
ხელს თამაშით გადააყაოე
მწვანე ლობიოს ქინძი და კამა.

თითქოს გამიწყდა ხელში სადავე,
და შე, დაღვრემილს, უხმოდ მერცხა
შენი ცხოვრების ეს სისადავე,
შენი მარტივი ბედნიერება!

აჰა, ორწობში მთეარემ შეხუთა
ლამის სიბნელე და ქაეშანო
და უღელტეხილს გადმოეფუდა,
ვით ნაომარი გარდანქეშანი.

შენ დას ამშვიდებ ბავშვურ ტიქტიკიას,
შე კი ნაცნობი ცეცხლით ვენთები,
გაოცებული მზის ეკოლპტიკით
და ზოდიაკოს ორნამენტებით.

ცა ათამაშებს ვერცხლის მანათებს,
ცამ გადმოჰყარა ცეცხლის ღილები,
და ელფასავით თვალში მანათებს,
შენი შავარი თეთრი კბილები!



უმთხაინი

4 მ მ ა ნ ი

ქანასიდეცა

ჩემი გვირგვინი დაიბადენ სამი ეპოქის განმავლობაში.

სამმა ეპოქამ წარმოშვა სამი თაობა: მომავლდავი, შერყევი და ახალი.

მხატვრის მოვალეობაა იყოს მიუღვამელი და ყველას მიუჭინოს თავისი შესაფერი ადვილი.

ბევრნი არ მეტყუიან მადლობას, რომ ფეთხაინია ისტორიას მოფრიდებლად ესდი ქალწულმბრავ უმანკობას.

მასალა ნედლია და საყურადღებო. მაინც და მაინც არც თუ ისე შორი მანძილია: 1920—1923 წ.

აი თემა პირველი წიგნისა, სადაც ფაქტიურად ხდება მხოლოდ პირობულ-შეშის დანა.

ნურაინი ნუ დამწამებს ცალს ეკზოტიურობაში ან თანადროულობისაგან ჩამორჩენაში. მე გულწრფელად მივღევ ჩვენს უძლიერეს და საინტერესო ეპოქას. ხოლო ფეთხაინიდან ჩვენს ეპოქამდე ნახტომებით მისვლა არ შეიძლება.

პირველ წიგნში, რომელიც შესდგება ხუთი ნაწილისაგან, მე ვაშუქებ იმ ფაქტიურ მდგომარეობას, რომელიც იყო ამ დროს.

ნათან ჯანაშვილის ტრადიციული არა ერთმა ახალგაზრდამ განიცადა. იგი გამოვიდა ასპარეზზე, რაცა ფეთხაინის ისევე შებოჭილი ჰყავდა ათასები და დაეგვანა კუნძულზე შემთხვევით გარიყულ ადამიანს. იგი დადვა გზაჯვარედინზე. გზა გაიანათა შემდეგმა წლებმა: 1923—1933.

მაგრამ საუკუნის ეს მღათედი იქნება თემა ჩემი მეორე წიგნისა. ხოლო თუ ნათან ჯანაშვილი გაუძღვებს ბრძოლებსა და ქართვებილებს, თუ მას არ გაიტეხავს კლასობრივი წინააღმდეგობანი და სოციალისტური მშენებლობის ძლევამოსილი ტემპები, მაშინ შეიქმნება მესამე წიგნი, სადაც დავინახავთ ნათან ჯანაშვილს უკლასო საზოგადოების პირობებში.

ადამიანები, რომლებიც მოძრაობენ „ფეთხაინის“ ფონზე, ავტორის კარგი ნაცნობებია. შესაძლებელია, ბევრმა კადრც მიავნოს თავის-თავს. ხოლო ზოგმა იქნება უარპყოს მსგავსება. მით უკეთესი!

ახალი თაობა თვითონ გამოიყენებს ამ სახეებს. ეს შესაძლოა მოხდეს საკუთარ ოჯახშიაც, სადაც დღემდე იერარქიულად არსებობენ ბაბუები, მამები და შვილები.

უკანასკნელები დამებმარებინ, რომ წარსულის მძიმე მემკვიდრეობა ისტორიის სასამართლოს გადავლდოცოთ, რათა ნათან ჯანაშვილს ოდნავ მაინც შეუშნებუქდეს ის დიდი ბრძოლები, რომლებიც მას ელიან უკანასკნელი ათწლის განმავლობაში.

წიგნი პირველი

ნაწილი პირველი

ქართული
ბიბლიოთეკა

1

მ რ თ ი ლ ა მ ე

როცა მატარებელი ჩაბოძდა ტფილისის სადგურზე და ნათანი გადმოვიდა მესამე კლასის ვაგონიდან, მხოლოდ მაშინ იგრძნო აშკარად, რომ მის ცხოვრებაში იწყებოდა სრულიად ახალი პერიოდი. ეს ახალი პერიოდი კი დაიწყო ნისთვის მეტად მოულოდნელი და უსიამოვნო ფაქტით. პირველი შთაბეჭდილება იყო მიზეზი თუ მატარებელი, რომელმაც დაიგვიანა და შეღამებისას შემოვიდა—ამის გამოსარკვევად არ ეცალა ამეამად ნათანის გონებას.

არ ეგონა, თუ ქალაქი ასე მკაცრად შეხედდებოდა. მატარებლიდან გადმოსვლის დროს ვილაკამ „შემსუბუქა“ მისი ჯიბე. წაიღეს მისი სახარჯო ფული და პატარა წიგნაკი, სიდაც ჩამოწერილი იყო მისი ამხანაგების მისამართები.

სადგურიდან გამოსვლისთანავე მის წინ ეს ფაქტი მთელი თავის სიმწვავეთ წამოიჭრა. ფაქტის სიმწვავეს კი უფრო და უფრო ამწვავებდა ქალაქი, რომელსაც პირველად ჰხედავდა. იგი გაჩირადნებულა იყო ათასი ელნათურით და შუქის სიერცეს არ ჰქონდა. ბოლო. მიჰქროდნენ საშავრო და საბარგო ავტომობილები, ავტობუსები, ტრამვაი, ეტლები. უთვალავი ხალხი მიდიოდა წინ და მოდიოდა უკან. ყველას მრისხანე სახე ჰქონდა და ყველა აჩქარებით მოძრაობდა, სიციცხლე სდებდა და პროვინციელის ყურისათვის უჩვევი ხმაური ის მოდა.

იღვა ნათანი და იცქირებოდა ვაოცებით. ყველა მიდიოდა თავის გზით, ყველას ჰქონდა მიზანი. ყველას ეჩქარებოდა. ვის რაში ენაღვლებოდა ნათანის ბედი?

ასანთლიანი ეუნათური ანათებდა ნათანის დაღვრემილ სახეს. იგი იღვა ქანდაკებასავით გარინდებული და ვერ გამოჩვენებულა.

ოცი წლისა იყო; გვეა თეთრი ხალათი, ლურჯი შარვალი, ყვითელი სახლლები. მარზე გადაკიდებული ჰქონდა ხურჯინა, რომელიც სავსე იყო სხვადასხვანაირი სახის წიგნებით და ხელთნაწერებით. არა ჰგრძნობდა ტვირთის სიმძიმეს. აწუხებდა მხოლოდ ფაქტი, რომელიც შეეშებოდა უცნობ ადგილას. მისი დიდი და ფართო შუბლი ადნავ შენაოქეულაიყო. ღრმა და ჰკვიან თვალეში მოჩანდა მწუხარება, რომელსაც საკმაოდ შეეცვალა მისი სახის კეთილშობილი გამომეტყველება.

არ იცოდა რა იქნა. გამოსავლის პოვნა ძნელი იყო. შექმნილ მდგომარეობას თავის შემეცნებაში იგი ასე აყალიბებდა:

„პირველად ჩამოვედი ამ ვებერთელა ქალაქში... ჩამოვედი პატარა დაბიდან. . ღარიბი ოჯახის შვილი... წამოვალე ერთი თვის სახარჯო და ამხანაგების მისამართები... დავკარგე ყველაფერი ერთად: ფულიც და ამხანაგებიც... რა ვქნა ეხლ, როდესაც გამოსავალი აღარ არის?“



იღმა შეუაგულ მოედანში და უცნაურად ეჩვენებოდა ყოველსაც. არ სჯეროდა, რომ ის ტფილისში იყო, საითქენაც, ს მიიღტო და მისი მისწრაფების წლის განმავლობაში. არ სჯეროდა, რომ ჩამოსვლისთანავე მას დასწროდებოდა მკიცედი გადაწყვეტა საკითხი: რა უნდა ჰქნას?

არაოდეს ისე რეალური არ ყოფილა ეს საკითხი მისთვის, როგორც ამჟამად იყო. ყოველთვის გაურბოდა ამ საკითხს: მისმა წარსულმა ცხოვრებამ არ იცოდა ნიადაგი. ეჯავრებოდა გეგმა, წორეულ მომავალში მზრა. ამავე დროს იგი ცხოვრობდა მხოლოდ წარსულით და უცნობი ნომავლით. აწმყოზე არასოდეს არ ჰფიქრობდა, მისი აწმყო მიმდინარეობდა ჩვეულებრივად, მექანიკურად. გადაწყვეტილებას მიიღებდა ხოლმე მოულოდნელად, დაუფიქრებლად. უყვარდა კაპრიზები და სიურპრიზები. უყვარდა ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავარდნა.

იყო ტემპერამენტითა და ენერგიით აღსავსე. უყვარდა ახალი იდეები, ახალი აზრები. უყვარდა ადამიანები ძლიერი სიყვარულით, მაგრამ სამაგიეროდ ვინც ეჯავრებოდა—ეჯავრებოდა ძლიერი სიძულვილით.

ვილაცა რაღაცას აკეთებდა. ამიტომაც არ ჰფიქრობდა ნათანი პირად საკითხზე. მაგრამ ეს იყო ოდესღაც, წარსულში. ამ წუთში კი, ცხოვრების ახალი პერიოდი მთელი თავისი სისასტიკით და მრისხანებით მოითხოვდა პასუხს: „რა უნდა ჰქნა ნათან?“

გამოერკვა. აშკარად იგრძნო რომ საჭირო იყო რამე გზას დასდგომოდა. მიმოიხედა გარშემო. დაინახა ერთი მოხუცი, ღარიბი. იღლიაში წვრილმანი ჰქონდა ამოდებული. პირისახეზე ოფლი ჩამოსდიოდა. ჰქონდა შეშინებული თვალები, დანაოკებული შუბლი, სემიტური ცხვირი, მოშვებული წვერები. აშკარა იყო რომ მეწვრილმანე ებრაელი უნდა ყოფილიყო.

უცბად ნათანმა მიიღო გადაწყვეტილება, იმედინად გაუბრწყინდა სახე და სასწრაფოდ მიუხალოვდა მოხუცს.

— უკაცრავად, ბატონო, თუ არა ვცდები, თქვენ ისრაელი ჭარო?

— კი, შვილო. ისრაელი ვარ.

— მე პირველად ვარ ქალაქში. როცა გადმოვედი მატარებლიდან, ამომატალეს ფული და ქალაღები. მე ქალაქში მყავს ამბანაგები, მაგრამ იმათი მესამართი დაეკარგე. უფულოდ ვარ და არ ვიცი ღამე სად გავათიო.

— რა ვქნა შვილო, მე ღარიბი კაცი ვარ და ამ მატარებლით კახეთში მივიდივარ. აქ რომ ვრჩებოდე, წაგიყვანდი ჩვენსას, თუმცა მე თვითონ ჩემი ოჯახით ძლივს ვცხოვრობთ ერთ პატარა ოთახში. ისევ გირჩენია, წახვიდე ვაყად-ჰაკეილაში¹) ამაღამ საღამე დაგაწვენენ. დღეს სწორედ ხუთშაბათია და ყარბითი-ს² შემდეგ გაბაები² კანტორაში იყრიან თავს. შენისთანა ვაჭივრებულეები სხვებიც ბევრი მიდიან იქ. წადი პირდაპირ, ეხლავე.

— ძალიან შორსაა აქედან ვაყად-ჰაკეილა?

— დეხით თუ წახვალ შორს იქნება. იქნება ტრამეის ფულიც აღარ შეგარჩინეს? ვაიმე, საწყაბლი ბიჭი. აიღე, გამომართვი, ნუ გრცხვინია. ჰო, ასე. აგერ ამ ტრამეის ხიმ ზედაე, სამი ნომერია. მაგაზე დაჯეჭი და მიხვალ ერვენის

¹) ებრაულ სიტყვათა ახსნა იმდღეთ ბოლოში.

მოედნამდე. ერეენის მფედანზე ჩამობტები და პირდაპირ სომხის ბაზარზე წადი. ცოტას რომ გაივლი, იქითხე სად არის სალოცავი-თქო და ყველანი გასწავლიან. კანტორაში რომ შეხვდი, ყველაზე უფროსი იქ იქნება ბენიამინ ბერიძე, იმასთან მიდი და აუხსენი ყველაფერი.

— დიდი მადლობელი, ჩემო ბატონო...

— არა უშავს რა, შეილა. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, გული არ გაიტეხო. რა გქვიან სახელი?

— ნათან ჯანაშვილი.

— ისხაც ჯანაშვილს თუ იცნობ?

— მაშაა ჩემი. — მორცხვად მიუგო ნათანმა.

— ძალიან მესიამოვნა. პატიოსანი იდამიანია. ღარიბებისთვის თავგამოდებული კაცია. წერილი თუ მისწერო, უსათუოდ მომიკითხე. ასე ჩაუწერე: დანიელ თავლიაშვილმა მოგიკითხა-თქო. ღმერთმა გაამრავლოს ჩვენს ხალხში ამისთანა ისრაელები.

— მშვიდობით ჩემო ბატონო, არ დაგივიწყებთ ამ პატივისცემას.

— რა პატივისცემაა. ამაზე ჭაპარაკიც არა ღირს. აბა კარგად იყავი, ყოჩაღად. არ დაგავიწყდეს: ტრამვაის სამი ნომერი, ერეენის მოედანი, სომხის ბაზარი, ბენიამინ ბერიძე... ყალბებმ შალო მ'...

და ამ სიტყვებით მოხუცმა დანიელმა მაგრად ჩამოართვა ხელი და გამოეხალა. ნათანიც გზას გაუდგა. ვიდრე ტრამვაის ვაგონში ავიდოდა, ერთხელ კიდევ გააყოლა მადლიერი თვალები გულკეთილ მოხუცს.

იმ ოთახში, რომელსაც მოხუცმა დანიელმა „კანტორა“ უწოდა, ნათანის ყურადღება უპირველეს ყოვლისა მიიპყრო ერთმა დიდმა სურათმა, რომელიც კედელზე იყო გაკრული: ლომები და ცხვრები ერთად სძოვდნენ ბალახს და პატარა ბავშვი, სათნოიანი და დამშვიდებული, ასრულებდა მწყემსის როლს. სურათს ჰქონდა წარწერა დიდი ებრაული ასოებით: „ვეაია ბეახარით ჰაიამიმ“...

მოაგონდა რომ ეს სიტყვები ეკუთვნოდა იეზაყია წინასწარმეტყველს. უდიდესი ცნობისმოყვარეობით დაეწაფა სურათის დეტალებს, მაგრამ ხმაურობა, რომელიც ოთახში იღვავდა, მას ხელს უშლიდა.

გრძელ მაგიდას შემოსხდომოდა ათიოდე კაცი. ალბად ესენი იყვენ „გაბაელები“. მათ ირგვლივ იდგნენ მრავალი მთხოვნელები — ქალები და კაცები. ყველა თითქმის ერთად ლაპარაკობდა, ყვიროდა, მოითხოვდა. მხოლოდ როდესაც თავმჯდომარე დაიწყებდა ლაპარაკს ყველანი უცბად ჩაჩუმდებოდნენ და უგდებდნენ ყურს.

ვერ გაიგო ნათანმა ამის მიზეზი. რა იწვევდა ამ პატივისცემას, სიყვარული თუ შიში, მდგომარეობა თუ ავტორიტეტი?

ნათანი იღვავდა მთხოვნელების უკან, თავმჯდომარე იჯდა მის პირდაპირ და მისი სახის გარჩევა ადვილი იყო. ნათანმაც მიიპყრო მას თვალები.

ბენიამინ ბერიძე საშუალო ხნის კაცი იყო. ტანად გამხდარი იყო და ჰქონდა მოგრძო სახე. წვერი გაპარსული ჰქონდა სუფთად, ხოლო უღვაშები — ინ-



გლისურად "შეკრეპილი" თვალები ჰქონდა: რალაც საოცარი: ფურად შევინე ფერისა. მისი მეტოქეობა მეტად ძნელი იყო. არ შეიძლებოდა დიდხანს გეკვიროთ ამ თვალებისათვის. ამ თვალების პატრონი დამცინავე ლიმონის მსგავსად გამარჯვებულს. ხშირად ეს თვალები დაიწყებდნენ ჩქარ ზომირობას, სირბილს, ცვალებადობას, ადგილიდან ადგილზე გადასვლას, გადახტომას, როგორც ეს ხდება კინო-ეკრანზე პარალელური სურათების ჩვენების დროს.

ო, ეს თვალები... საოცრად მოეჩვენა ნათანს. საღაც უნახავს ასეთი თვალები, უფრო წერილი, მაგრამ სწორედ ასეთი. საღ? როდის? მესხიერებამ უღალატა, ვერ მოიგონა.

შემდეგ ყურადღება მიაპყრო თავმჯდომარის ტანისამოსს. ეცვა ევროპიული ტანსაცმელი, მდიდრული. ნათანის სამშობლოში ასეთი ტანისამოსი იშვიათად ეცვა ვინმეს.

რა დიდი განსხვავება იყო მაგიდის იქით და აქეთ მყოფ ხალხს შორის! გრძელი მაგიდა საზღვარი იყო. ნათანმა დაინახა, რომ მაგიდას მიუახლოვდა ახალგაზრდა ქალი. მკლავზე ბავში ჰყავდა. თავმჯდომარესა და ამ ქალს შორის გაიმართა შემდეგი საუბარი:

— თქვენ, რალა გნებავთ?

— მე ძია ბინო... იმაზე გიხებლიო... ალბად გაიგებდით... ჩემი ქმარი გაგიქდა... გუშინ საავადმყოფოში წაიყვანეს... შინ არაფერი გაგვარჩია... ორი შვილი დამჩნა... უპატრონოდ... არ მინდოდა თქვენი შეწუხება...

— კარგი გაათავე. შენი ქმარი გვარად ფრიდმანიო, არა?

— დიად. შერე რა?

— შერე ის, რომ თქვენ ახლა აშქენაზების? ოპოზიტვას ეკუთვნით. იქ წადით და ფსინი დაგეხმარებიან.

— პატრონო, როგორ შეიძლება ასეთი სამართალი! ჩემი ქმარი თუ აშქენაზია, მე ხომ თქვენებური ვარ, ფალალაშვილია ჩემი გვარი. აშქენაზებთან რა საქმე მაქვს? იმათი არც ენა ვიცბ და არაფერი. ღთვის გულისთვის, თორის? გულისთვის...

— ნუ აბამ ლაპარაკს, დედაკაციო! გითხარი და ის იყო. მორჩი. ხომ ხედავ, სხეებიც არიან მთხოვნელები. წადი. წადი აშქენაზებთან.

ქალმა გადმოჰყარა ცრემლები და გამოვიდა რიგიდან. მაგიდას მიუახლოვდა მეორე ქალი, საშუალო ხნისა და გაჩერდა გაუბედავად. თითქოს ელოდა თავმჯდომარის გამოსმაურებას.

— აბა დედი, თუ რავე გაქვს სათქმელი, ჩქარა, სთქვი.

— დახმარებას გთხოვთ. ჩემი ქმარი გადასახლებულია. ჩვენ გაქიერებაში ჩავვარდით. არ მგგონა, თუ სანედაბოდ? გამიხდებოდა საქმე. ძალიან რომ არ მიპირდეს, ან ვინმე რომ მესმარებოდეს, მაშინ თქვენ არ შეგაწუხებდით.

— რა გვარი ხართ?

— ნასიმოვი...

— ნასიმ-ოლლი?

— არა. ნასიმოვი.



ქართული

— ახლა თქვენ უნდა მასწავლოთ? ლახლუხა¹⁰ ხართ, ხომ?

— დიახ.

— ხომ გითხარით, ნასიმ-ოღლი. ნასიმოვი და ნასიმ-ოღლი ქალაქი ერთია. თქვენ ჩვენთან ტყუილად მოსულხართ. წადით ლახლუხებთან.

— ჩემი ქმარია ლახლუხა. მე ხომ ახალციხელი ვარ?

— ეგ არაფერია. ცოლი ქმრის გვარზე იწერება. — ისე ავტორიტეტულად განაცხადა უკანასკნელი წინადადება, რომ მთხოვნელი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა ოთახი და გასულიყო.

ნათანი იღვა გაშტერებული. ყურს არ უჯგეროდა. თავი ეგონა სადღაც მოჯადოებულ წრეში. ესმოდა ახალი ამბები. ხედავდა უცნაურ ქვეყანას. გულისცემა გაუხშირდა.

კიდევ ერთი ქალი მიუახლოვდა მაგიდას, რომელმაც მორცხვად შეხედა თავმჯდომარეს.

— ძია ბინო, მე ნედაბის სათხოვნელად არ მოვსულვარ. დედაშვილობას, ყური დამივდე. ჩემი ქმარი, ხომ მოგეხსენებათ, ოთახი წელიწადია სტამბოლის ზღვაში დაიხრჩო. გამიჭირდა ძალიან, ვერაფერი გაეკეთე მარტომ. ნათესავებიც არავენ შემჩრა. ამიტომ გავთხოვედი შარშან მემწვანნიღე მოწიაზე. რაბიმ ქეთუბა¹¹ არ წაიკითხა: გეტ-იაო¹² საჭირო.

— მერე, აიღე გეტი, ვინ გიშლის, ჩემთან რომ მოსულხარ, მე სადაური რაბი ვარ?

— ვიყავი რაბისთან.

— მერე, რა გითხრა?

— არ შეიძლება გეტის მოცემაო. ზღვაში დაბრჩეული მკვდარი არ არისო.

— ახლა მე რა ექნა? რაბიმ თუ ბრძანა, ზღვაში დაბრჩეული კვდარი არ არისო, კვდარი არ ყოფილა. უნდა მოუცადო, რას იზამ, როცა იქნება დაბრუნდება შენი ქმარი.

— ის რომ დაბრუნდება... ისე დაბრუნდა... და რაღაც უნდოდა ეთქვა განწარებულ ქალს, მაგრამ აღარ დაუსრულებია, გულში მაგრად მიაწყველა და საჩქაროდ გაემართა კარებისაკენ.

ნათანი, ნელა მიუახლოვდა მაგიდას. ჯერ კიდევ ვერ გამოორკვეულიყო. დადგა მაგიდასთან და დაუწყო ცქერა თავმჯდომარეს იმ თვალებში, რომელმაც ასე ძლიერ აუშალა ცნობის მოყვარეობა. საღ უნახავს ეს მწვანე თვალები, სად? ბრაზი მოსდიოდა, რომ ვერ აგონდებოდა. ხოლო ბენიამინს, ანუ ბინოს (როგორც მას ეძახდნენ აქ, შემოკლებით) მეტად აკვირებდა ამ ყმაწვილის ასეთი ფაფხედური ბზერა. უფრო კიდევ ის აოცებდა, რომ ეს უცხო ახალგაზდა იღვა ასე გაშტერებული და ხმას არ იღებდა.

— რას მომწერებიხარ ასე შტერივით? ლაპარაკი ხომ იცი?

ეწყინა ნათანს ასეთი მიმართვა. მაგრამ მაინც მშვიდად მიუგო:

— ვიცი.

— აბა სტევი, თუ რამე გაქვს სათქმელი.



ნათანმა მოუთხორო მოკლედ თავის ამბავი. სრულებით არა დედაცა, თითქოს არაფერი არ სურდა. ლაპარაკობდა უნდოდა, უხალხლოდ უნდა ყოფილიყო. თითქოს კიდევ აგრძნობინა, რომ მისგან სულ ერთია არაფერი უსრგის ბრუნოდ, ხოლო თუ მაინც უამბობდა თმვის ამბავს, ამას ისე, სხვათაშორის ლაპარაკობსო.

— თქვენი გვარი?

— ჯანაშვილი.

— ჰო... ცხინვალელი ყოფილხართ.

— დიახ, მამა ცხინვალელი მყავს, დედა ახალციხელი, ხოლო თვითონ არც ერთი ვარ არც მეორე. მე დავიბადე...

— მოიცა, სად დაიბადე საჭირო არ არის. მამაშენი ცხინვალელია. მამასადამე უნდა წახვიდე და მიმართო ცხინვალელების კანტორას. ისინი მოგცემენ ბინასაც და დახმარებასაც. ჩვენ კი, მართალია, დიდი ჯამაათი ვართ, მაგრამ ჩვენი ჯამაათი ახალციხელებისგან შესდგება და ამიტომ ჩვენ მხოლოდ ახალციხელებს ვებმარებით. გაიგეთ?

— როგორ არა... გავიგე... ძალიან კარგად გავიგე.—და ერთხელ კიდევ მიამტერდა თავმჯდომარის მწვანე თვალებს, დამკინავ თვალებს, რომლებიც უცნაური ღიმილით ზომავდნენ ნათანს თავით-ფეხებამდე.

— ცხინვალელების კანტორა ახლოსაა, აქედან მესამე სახლია.

— გმადლობთ...

გამოვიდა გარეთ. ამოისუნთქა. ვიღამაც ასწავლა ცხინვალელების კანტორამიდიოდა ინერციით. უკან მოსდევდა მწვანე თვალები...



ნათანს დაღლილობა აწუხებდა, როცა შევიდა ცხინვალელების კანტორაში. მას შესვლასთანვე თვალში ეცა სიმკირე ოთახისა. იგი უფრო ღარიბი იყო ახალციხელების კანტორასთან შედარებით. ოთახში იყო სულ ორი კაცი: ერთი გაბაი მენაშე ახალგაზდა კაცი 25-30 წლისა და მეორე შამაში¹², რომელსაც ძიადათოს ეძახდნენ.

მიუხედავად ამისა, ოთახში მყოფნი ისე იყვენ შემბული საკირბოროტო საკითხებში, რომ მათ არც კი შეუღმნევიათ შემოსული ნათანი, რომელიც კარებში შედგა.

— აბა შენ დალუპვას გვიპირობ ძია დათო, არა? ამდენ დაძალულობას არ შეგარჩენს ისრაელის ღმერთი. სხვა თუ არაფერი, მაგ შენი წვერებისა რატომ არა გრცხენიან? ამდენი ხანია ჯამაათის სამსახურში ხარ, გინახავთ, გაქმევთ, გასმევთ, ვაცმევთ. რამდენჯერ მოინდომა ჯამაათმა შენი გამოცემა და ჩვენ მხარი შენ დაგიჭირეთ, არ გამოგცვალეთ. ჯამაათის სამსახურში მოხუცებულხარ და ამ სიბერის დროს არ ავტირეთ ცოლშვილი. შენ კი როგორ გადაგვიხადე პატრიესტმა? წახვედი და უღმერთოებს მიჰყიდე სული? რო წასულხარ და კავშირში ნაწერილხარ, რაო, ვითომ რა გგონია? შენ გინდა, რომ მოერიო მთელჯამაათს? ასე გამოდის: შენ ყოფილხარ რაბიც, გაბაიც, შამაშიც და მთელი ჯამაათიც.

— კაცო, ნათქვამია, ვგაღმა შეედავე, ვამოღმა მიინც შევარძლო, ისეა თქვენი საქმე. შენც, ყვზრაც, სხვა ვაბაებიც დამდგომიხართ თავზე; რაზე ჩაეწერე კავშირშიო? რაზე ჩაეწერე და იმიტომ ჩაეწერე, რაზე ჩაეწერე, ასე მინდოდა. ახლა თქვენ იმისა გეშინიათ, რომ ძველებურად ველარ მომატყუებით ხოლმე. რას მამადლით? ექვსი თვეა ჯამაგირი არ მოგიციათ, დღე-ღამე სულ ლოცვაში ვარ. ხან ლოცვას ვუვლი და ხან ლოცვის ეზოს. სუყველაფერი თავის რიგზე მაქვს დაყენებული. თქვენ კი როგორ იქცევით? თუ რაღე ფული ჩავივარდებათ ხელში, მოიგონებთ რალაც რალაცუებს და იმაში ხარჯაეთ. საწყალი შამაში დათო არავის არ ვახსოვთ. ამ სიბერის დროს ჭკუა ვისწავლე-ახლა გადაესწყვიტე, აღარავის დაგაძალეინოთ თავი, ნებაყოფლობით მომცემთ ჩემს ნაშრომს და ნაოულარს—ექვსი თვის ჯამაგირს—ხომ მომცემთ, არ მომცემთ და ხვალვე გაეაცხადებ კავშირში.

— შენ ყოფილხარ ბატონი, ჩვენ კი არა, წაბრძანდი ბატონო, გააცხადე. რასაც მოიგებ, დავინახავთ. არმად შენზე ჩვენი ამავი!

— რა ამავი კაცო? ამავი მე მიმიძღვის, თქვენ კი არაფერი.

— მილა? ტეთუბა? მკვდარი? ეს არაფერია?

— რომელიმე ისრაელმა რომ შვილი მონათლოს, ან ქორწილი ჰქნას, ან მოკვდეს—შემდეგ ჩემი საშრომისათვის წამიყვანონ და მაქამონ, ან რაღე მარქქონ, ეს თქვენ რა შეგებებათ?

— ჰო, მავრამ, ჩვენი შამაში რომ არ იყვე, ვინ წავიყვანდა, ვინ დაგპატიებდა?

— ეს შენი საქმე არაა. მე ვითხოვე, რომ ჩემი საქმე ჩქარა გადასწყვიტოთ. ხვალ კრება მოახდინეთ და ჩემი ჯამაგირი—რაც მეკუთვნის—მომეცით. ის დრო წავიდა თქვენ რომ მძალავდით. ბალშევიკების მთავრობაა ახლა. ხომ გაიგეთ? შრომელი ხალხის დაძალვის უფლებას არავენ მოგცემთ.

— მაშ შენ უღმერთო ყოფილხარ?

— უღმერთო შენა ხარ და შენი ამხანაგები. მე ღმერთიცა მწამს და თორაც¹⁵, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. მანამ ვათენდება ხვალვე სასამართლოში ვიქნები.

— აბა შენ აღარ ხუმრობ, ძია დათო? მართლა გვიპირობ ჩივილს, არა? ძალიან კარგი. შენა გვონია, ამდენს რომ გითმენთ, შეგვაშინე რალა? წადი და ბალშევიკებმა მოგცენ ჯამაგირი. შენისთანა შამაში ჩვენ არ გვინდა. დაიკარგე აქედან.

დავიკარგო აქედან, თორემ მამა ვიციხონდა, შენი აშენებულია ან მამაშენის ეს ლოცვა. შენ დაბადებული არ იყავი, მე რომ ვაბაით ვიყავი. დროებას რა უთხრა, რომ სიღარიბემ შემაწუბა, თორემ, აფსუს დათო, როგორ ვიკადრებდი თქვენს შამაშობას! მე მამასახლისადაც ვიყავი, მე ისეთი ცხენები მყავდა, რომა...

— კარგი, კარგი. მოჰყვა თავის მამასახლისობისა და ცხენების ამბავს მე შენ გუბუნები, ამ წუთიდან შენი ფეხი აღარ დავინახო მეთქი ლოცვაში.

— არსადაც არ წავალ. აქედან ფეხს არ მოვიცვლი. აი, გასაღები ჩემ ხელშია. დგკეტავ და თვითონ თქვენ არ შემოგიშვებთ სალოცავად.

— წახვალ!—დაიყვირა მენაშემ და მაგიდაზე მუწტი დანჯირა.

— არ წახვალ!—არა ნაკლებ გაბრაზებით დაიძახა ძია დათომ და განაგრძო:—როგორც შენ ხარ ამ ლოცვის პატრონი, ისე შეცა ვარ, ნუ შეგინდობს ტყუილად, მენაშე! ჯამაათი თუ დამითხოვს, მაშინ წახვალ, თქვენი დათხოვნით კი არ წახვალ. თქვენც ჯამაათის არჩეული ხართ და შეც.

— აბა არაფერი განსხვავება ყოფილა, გინდა გაბაი, გინდა შამაში?

— როგორ არ არის განსხვავება! შამაში შეტს მუშაობს, შამაშს მეტი პატრივისცემა ეკუთვნის. შამაში გაბაიზედაც ღიღია და რამიზედაც.

აივსო მენაშეს მოთმინების ფილა და ის-იყო დაავლო ხელი საანგარიშო დავთარს შამაშისათვის სასროლად, რომ ამ დროს შეგმწნია მორცხვად კარებში მდგარი ნათანი, და უცბად შეჩერდა. ძია დათომაც დაინახა ნათანი და მობრუნდა. ჩამოვარდა რაღაც უხერხული სიჩუმე. შემდეგ ისევ მენაშემ დააძლია ეს უხერხულობა და შეუდგა ნათანის გამოკითხვას.

ნათანმა მოკლედ ჩამოაყალიბა სათხოვარი. გრძნობდა, რომ არ იყო შესადგერი დრო, და კიდევ ინანა, რომ მოვიდა. მაგრამ აწუხებდა საშინელი დაღლილობა, უძილობა და თავს ანგარიშს აღარ აძლევდა თავის მოქედებაში. ოპ, რა შტრით შესტყროდა ნათანი ამ წუთებში ყველას, ვისაც ჰქონდა ძილისა და მოსვენების საშუალება!

როცა გაბაი მენაშემ გაიგო ნათანის ვინაობა და ყველა საჭირო ცნობები, ერთი მაგრად ჩაახველა დი შისცა ასეთი პასუხი.

— ვერ ერთი, შენ არა ხარ ნამდვილი ცხინვალელი. მართალია მამაშენი ცხინვალელია, მაგრამ ის ოც წელიწადზე მეტია ცხინვალიდან წასულა და შენც ცხინვალის გარეთ ხარ დაბადებული. მეორეც ისა, რომ როცა მამაშენი ჩამოდის ზოლმე ტფილისში, არც კი შემოიხედავს ჩვენს ლოცვაში, სულ ახალციხელებთან დადის და იმითან ლოცულობს. მესამეც კადევ ისა, მამაშენიც რომ ჩვენთან ლოცულობდეს, შენც რომ წმინდა ცხინვალელი იყო, სულ ერთია ვერაფერს ვერ დაგვხმარებოდი. ბინა ჩვენ არა გვაქა და სად უნდა დაგაძინოთ? წადი ახალციხელებთან. ისინი დიდი ჯამაათია. როგორც იქნება სადმე მოგაწყობენ.

ნათანი შესტყროდა პირდაღებული, ყველა გზა დახშული იყო. დადუნა თავი და გამოვიდა გარეთ. მის გამოუვა გაბაი მენაშე, რომელმაც სწრაფი ნაბიჯით გაუხვია შესახვევში. ნათანი ერთხანს შედგა და უტყუროდა წინ შამაშს. სწორედ იმავე დროს ვილაკამ წახვალა ხელი. მოიხედა და იცნო: მის წინ იდგა მოხუცი შამაში—ძია დათო.

— წამოდი ჩემთან, ნუ გეშინია, მე მოგასვენებ ამაღამ. მენაშე იძახის, რომ ისაა ლოცვის პატრონი, მე კი ვიძახი, რომ მე ვარ. ენახოთ. წამომყვი!

უსიტყვოდ გაჰყვა ნათანი. არ შეიძლებოდა მის სახეზე იმის გაგება, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ძია დათოს მოულოდნელმა წინადადებას. ნათანი მზად იყო თურდაც სადმე ქუჩაში მიგდებულყო, ოღონდ კი დაეძინა.

ძია დათომ აუხვეია ისევ სალოცავისაკენ. სალოცავს უკან მიდგმული ჰქონდა მოზრდილი აივანი, რომელიც გადაჰყურებდა ქუჩას. როცა გამოვიდნენ აივანზე, ძია დათომ უთხრა:

— იმ აქ დაწევი. არა უშავს რა, როგორც იქნება ღამის გაათრევ ჩამოიხსენი ეგ ხურჯინი. რას მიგიკრავს მხარზე! ჰო, ასე. მოიტა აქ, რაა ასე მაგარი? წიგნებია? მე კი მეგონა რაზე ხილი გექნებოდა, კაცი ბერახას^ქ ვაჭურლებდი, ნეშამას¹⁷ მოვიბრუნებდი... ალბათ გეძინება. მე წავალ, ახლავ, წავალ. ეს ხურჯინი თავით დაიდუ ბალიშად. აგერ ჩემი ძველი პალტო, კუთხეში რომ დევს, ლეიბად დაიგე. საბანი კი რაში გინდა? კარგი იღბალი გქონია: თუმცა შემოდგომაა, მაგრამ მაინც ცხელია.

ნათანი ისე მოიქცა როგორც ძია დათომ უჩვენა. შემდეგ წამოწვა. ძია დათო კი ჯერ არ აპირებდა წასვლას.

— რა გქვიან სახელი?

— ნათანი.

— მომწონს, ისრაელური სახელია.— და შემდეგ შეეკითხა:— ალბად გშიან?

— არა.

— აბა მამაშვილობას, ნომიყევი, როგორ ამოგართვეს ფული?

— ნათანმა შეატყო, რომ ასე ადვილად ვერ გადაარჩებოდა ამ მოლაპარაკე ცნობის მოყვარე მოხუცს. თან ასეთი პატრიარქალური სახე ერთგვარ ზრდილობას და პატრიისტუზის მოითხოვდა მისგან. დაიწყო და ერთხელ კიდევ მოაყვა თავის ამბავს.

— აქ, ქალაქში, რა საქმეზე ხარ ჩამოსული?

— სასწავლებლად ჩამოვედი.

— მერე განა იქ არა გაქვთ სასწავლებელი?

— არის, მაგრამ დავასრულე. მე აქ უმაღლეს სასწავლებელში უნდა შევიდე.

— უმაღლესში? აბა შენ კანონები კარგად გეცოდინება. მართალია, გეძინება, მაგრამ არა უშავსრა, მე მალე წავალ. ერთი ეს ნითხარი, ხომ გაიგონე ჩემი და გაბაის ლაპარაკი. ეგ მთავარი გაბაი არ არის, მაგრამ სხვებიც ისე შეუბნებიან, თუ გვიჩივლე, სამსახურიდან დაგითხოვთო. აქვთ ამის უფლება?

— არა, არა აქვთ.

— გიშველა ღმერთმა! მეც ვიცი, რომ არა აქვთ, მაგრამ მაინც გკითხე, მეტი სიმაგრისთვის. ეპ, შვილო, ერთი დრო იყო, ძია დათო რომ ცხინვალში გაივლიდა სუყველა ჩესტზე უდგებოდა. მე მთავარი მამასახლისი ვიყავი, ჩემს ხელში იმდენ ცხენს გაუვლია, რომ დათვლასაც ვერ მოახერხებდი. ისეთი ჩხა-ახალუბი მქონდა, რომ ხალხს თვალეში ზედა რჩებოდა. ვერცხლის ქამარზე ხანჯალი მეკიდა და ყველა ჩემი შიშით კანკალუბდა. იმდენი იკვნესა მენაშემ, რამდენი მაგისტანა ბიჭი მე კიხეში ჩამიგდია... მაგრამ შენ უკვე გეძინება. წავალ, წავალ. ისე კი, რომ იცოდე, ძალიან გულით მინდა შენთან ლაპარაკი, ბევრი, ძალიან ბევრი მაქვს სალაპარაკო. სუყველაფერს მოგიყვები დაწვრილებით. ახლა კი მივდივარ. დილაზე ადრე მოვალ... ლელ შალომ¹⁸...

ძლივს! თავისუფლად ამოიხუნთქა ნათანმა. მაგრამ ეოცა ის ამბავი, რომ როცა მართო დარჩა, ძილის სურვილმა გადაუარა, რამდენს ეცადა ძილისათვის მიეცა თავი, მაგრამ ვერ შესძლო. აუარებელი განცდა და შთაბეჭდილება მქონდა მოწოლილი და არ შეიძლებოდა ასე ადვილად განთავისუფლება. ხოლო

ამ შთაბეჭდილებებში ღრმად გარკვევისა ეშინოდა. იცოდა, რომ უსაბუთოდ გული ეტკინებოდა. ამიტომ გაურბოდა. გაურბოდა როგორც შექძლო, მაგრამ ამოოდ.

როგორც ეკრანზე ისე მირბოდენ მის თვალწინ ყველა ის პირები, ვინც კი გაიქცო ამ საღამოს: დანიელ თაფლიაშვილი, ბენიამინ ბერიძე, პირველი ქალი, მეორე, მესამე, გაბაი მენაშე და შამაში — ძია დათო...

სათითოოდ აგონდებოდა ყოველი ეპიზოდი. სურდა განედევნა ეს მოგონებანი, მაგრამ ვერ მოახერხა. დაიწყო ფიქრი ხვალინდელ დღეზე. მაგრამ უმინოდ. შემდეგ დაიწყო მზერა თავის წარსულში, მაგრამ დიდხანს ვერც აქ შეაჩერა ყურადღება.

ამ საღამოს პირველად მოხდა მის ცხოვრებაში, რომ აწმყო იქერდა მთავარ ადგილს. ნათანმა ეს კარგად იგრძნო. შუალამე უკვე კარგა ხნის გადასული იყო, მაგრამ მანაც არ ეძინა. წარსული და მომავალი მას ელანდებოდა ნაირნაირი ფერებით, აწმყო კი შავად ეჭვენებოდა.

რამდენჯერაც დახუჭა თვალი, იმდენჯერ მოეჩვენა, თითქოს თავზე ადგილიც კაცი მწვანე-თვალუბიანი, რომელიც გესლიანი ღიმილით ამბობდა: „ზღვაში დამხრჩვალნი მკვდარი არ არის. ასე სთქვა რაბიშ. მაშასადამე ასეა“.

შემდეგ ძილისა და უძილობის საზღვარზე რომ მივიდა, როცა თვითონ ნათანმაც აღარ იცოდა ეძინა თუ ეღვიძა, მას მოეჩვენა, თითქოს მწვანე თვალუბიანი კაცი გაიზარდა, გადაიქცა უდიდეს ვეშაბად, ხელში აიღო დიდი ჯობი და ერთის მოქნევით მთელი კაცობრიობა დაჭყო ოთხ ნაწილად:

ახალციხელები... ცხინვალელები... ლახლუბები... აშქენაზები.

2

თვითონ ნათანს ბუნდოვანად ახსოვდა ის დრო, როდესაც მისმა მშობლებმა თუ მიბარეს მელამედს¹⁹. ახსოვდა კი, რომ ზამთრიანი დღეები იყო. მამამისმა ჩააცვა ახალი ქალამანი, გარშემო შემოუყარა თივა, ხელში მისცა „კერო-მიკრა“²⁰ და წაიყვანა იმ შენობაში, რომელსაც ეწოდებოდა „თაღმუდ-თორა“²¹. იქნებოდა ამ დროს ხუთი თუ ექვსი წლისა. წასვლამდე დედამ აკოცა შუბლში და თან დაუმატა:

— აბა შენ იცი როგორ ისწავლი თორას და ასახელებ მამაშენს. როცა ისწავლი ბევრ თორას, მაშინ იქნები დიდი რაბი.

კარგახანს ახსოვდა დედის სიტყვები ნათანს და იცოდა: სწავლობდა იმისათვის, რომ გამოსულიყო დიდი რაბი.

მელამედი ანუ რაბი, რომელსაც იგი მიბარეს, კოჭლი იყო, ჰქონდა ძალიან გრძელი წვერები და ჭამუდმებით პირში ედო ყალიონი. თავიდანვე შიშმა შეიპყრო ნათანი, არ მოსწონდა თავისი მელამედის სახე. მაგრამ ამავე დროს შიშის ზეგავლენით მასში თანდათან ჩამოყალიბდა ის აზრი, რომ მელამედზე უფრო დიდი და უფრო ნასწავლი კაცი არ არსებობდა მთელ ქვეყანაზე. ამიტომ მელამედის ყოველი სიტყვა კანონად გადაიქცა მისთვის.

პირველ დღესვე დააწყებინეს კითხვა. ალფაბეტზე თითო ჰქონდა დადებული და მელამედის კარნახით გადაჰქონდა თითო სხვადასხვა ასოებზე და იმეორებდა:

— ალფ, ბეთ, ვიმელ...²²

რამდენათაც ნათანის ამხანაგებს უკირდათ ამ მეთოდით ალფაბეტის შეთვისება, იმდენად ნათანის მახვილი გონება ყველაზე სწრაფად ითვისებდა. ატყობდა რა მელამედი, რომ სხვები მეტად სუსტად მისდევდნენ ნათანს, ივსებოდა ბრაზით. დაერეოდა ბავშვებს მუწტებით და თან მიაყოლებდა:

— თქვე ძაღლის წიწილებო!...

თვითონ ნათანსაც ეშინოდა ასეთი მომენტებისა. მელამედის ხელი „შეცდომით“ მის ზურგზედაც აღბეჭდავდა ხოლმე თავის კვალს და ამის შემდეგ დიდხანს ეწოდა გალურჯებული კანი.

ხედერში²³ სწავლა მიმდინარეობდა დილის რვა საათიდან თორმეტ საათამდე და ნაშუადღევს სამიდან ღამის ათ საათამდე.

ნათანის მელამედს საათი არა ჰქონდა, მხოლოდ დანიშნული ჰქონდა ეზოში თეთრ ქვაზე შეაგული ადგილი. მზე რომ მიადგებოდა ამ ადგილს გამოაცხადებდა: თორმეტი საათიაო, და გარეკავდა ბავშვებს თავთავიანთ სახლში. მზე ხან დილის ათ საათზე მიადგებოდა, ხან ნაშუადღევს სამ საათზე და ხან კიდევ სულ არ მიადგებოდა, მიუხედავად ამისა, მელამედს სრულიად ეჭვი არ ეპარებოდა, რომ თეთრი ქვა დროის საეჭვო მაჩვენებელი იყო.

რაც უფრო ხანში შედიოდა ნიკიერი ნათანი მით უფრო მისი ცნობის მოყვარეობის არე იზრდებოდა და აღარ აკმაყოფილებდა ის ცოდნა, რომელიც მას ჰქონდა. თუ რამე საკითხი აღუძვრებოდა, მანამდე ვერ მოისვენებდა სანამ არ გადასწყვეტდა. ეკითხებოდა ამხანაგებს, შშობლებს, მელამედს, გარეშეებს.

შშობლები ამაყობდნენ თავიანთი შვილით, მელამედი თავისი თალმიდით²⁴ და ისხაკ ჯანაშვილის მცხოვრებლები მორწმუნე ისრაელები, ქალი და კაცი, ერთხმად იმეორებდნენ საყოველთაოდ მიღებულ აზრს ნათანის შესახებ:

— დიდი რაბი დადგება... დიდი მნათობი ისრაელისა...

როცა ნათანს შეუსრულდა ცამეტი წელიწადი და ერთი დღე, იგი წესისამებრ გამოაცხადეს ბარ—მიცვად²⁵. ამ დღეს დიდი ზეიმი იყო ღარიბი ისხაკ ჯანაშვილის სახლში. მოწვეული იყვნენ ყველა რაბები და მელამედები, უფროსი თალმიდები, ჯამაათის წარჩინებულნი და ახლო ნათესაეები, რომლებიც ულოცავდნენ ჯანაშვილების ოჯახს შვილის გაბედნიერებას.

ისხაკ ჯანაშვილს და მის მეუღლეს ღიას-ნათანის მეტი არაეინ არ გააჩნდათ. ნათანი იყო მათთვის არა მარტო ერთადერთი შვილი, არამედ ერთადერთი იმედი და ერთად-ერთი მიზანი, რომლისთვისაც არაფერს არ იშურებდნენ და ყოველ წუთს მზად იყვნენ მისთვის თუნდაც სიცოცხლე შეეწირათ.

ის პროვინციალური დაბა, სადაც ისხაკ ჯანაშვილი ცხოვრობდა და სადაც ნათანი დაიბადა, მკტის მეტად ღარიბი იყო. დამის სიღარიბე აშკარად მოჩანდა მცხოვრებლებზე. თითო ოროლას გამოკლებით, თითქმის მთელი დასახლებრაელობა ღარიბ მეწვრიმალეებს წარმოადგენდა და ისხაკ ჯანაშვილი



ამ ჯგუფის ხალხს ეკუთვნოდა. მისი ძირითადი თანხა ხუთი ათასი ლარი შეიღო მანეთი იყო, რომელსაც აბრუნებდა დიდი ვაივაგლახით თბილისში.

საუკეთესო დროდ ისხაკ ჯანაშვილს მიაჩნდა ზაფხული, რადგანაც ამ დროს მის „ვაჭრობას“ გამოკოცხლება ეტყობოდა. ამ დამბაში იყო მინერალური წყაროები, ზაფხულობით ჩამოდიოდნენ, მოაგარაკებენ. ვინაიდან ამ დამბას არ უდგებოდა რკინის გზა და გზებიც ცუდი იყო, ამიტომ მოაგარაკებთა რიცხვი მეტად მცირე იყო, მაგრამ ვინც ჩამოდიოდა უსათუოდ რამეს იყიდებდა და გაუსაღებდა ისხაკს, რადგანაც ისხაკის პატიოსნება საჯაროდ იყო გათქმული.

ისხაკმა პატიოსანი კაცის სახელი სამართლიანად დაიმსახურა. თავის დღეში არ იტყოდა ტყუილს, არ მოატყუებდა არავის ზომიში და წონაში, თავისი თანხის შესაფერი ჰქონდა ყოველთვის საუკეთესო საქონელი და ფასები მტკიცედ იყო დადებული. დიდი ნდობა ჰქონდა ხალხისა და ამიტომ ხშირად საქონელი ნისიად მიუცია იმათთვისაც კი, ვინც მას შემდეგში არასოდეს აღარ ენახა.

ძეალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი სიმართლისა და სამართლიანობის გრძნობა. ამიტომ, როცა დაინახავდა, რომ ვინმეს უსამართლოდ სდევნიდნენ, თავის მოვალეობად სთვლიდა გამოსარჩლებოდა და ვაკვირებულს დახმარებოდა.

პირად ცხოვრებაში იყო თავდაბალი, ღვთის მორწმუნე და გულკეთილი ადამიანი. მისი მეუღლე ღია, როგორც თვითონ ისხაკი ამბობდა, ღირსეული ადამიანი იყო, პატიოსანი მეუღლე და მოყვარული დედა, ერთი სიტყვით—ეშეთხალი²⁶.

მშობლები სულ იმას ოცნებობდნენ დღიდან ნათანის შეძენისა, რომ ნათანი ყოფილიყო ღირსეული შვილი თავისი ერისა ე. ი. ნათანი უნდა ყოფილიყო რაბი. ნათანის არაჩვეულებრივმა ნიქმა ხელი შეუწყო მშობლების რწმენის გაძლიერებას და მთელი თავისი გულსყური მიმართეს აქეთკენ. ამიტომ, როდესაც მოაწია ნათანის ბარ-მიცვად გაბდომის დრომ, არაფერი არ დაზოგეს ღარიბმა მშობლებმა რათა ეს „ოქროს ხანა“ მათი საყვარელი შვილის ცხოვრებისა აღენიშნათ იმ დამბის შეძლების მიხედვით „დიდი რიხით და ზეიმიით“. ამ დროს ნათანს უკვე შესწავლილი ჰქონდა თალმუდის რამოდენიმე მასხეეთი²⁷: „ბაბაკამა“, „ბაბა მეციყა“, „ბაბა-ბათრა“, „ბერახოთ“, „ვიტინ“ და „სანედრინი“. როგორც ამბობდნენ, ნათანს უნდა ეთქვა სუფრაზე პირველი დიბრე-თორა²⁸.

ბარ-მიცვის ზეიმი ჩატარდა დიდი აღფრთოვანებით; ნათანმა წარმოსთქვა „ცეცხლოვანი, ღვთაებრივი სიტყვები“; კოკლი მელამედი სიხარულით დაითრო და დაიწყო ცეკვა; მშობლების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა; არც სტუმრები ჩამორჩენ სცერთო სიმზიარულეს და მრავალი სადღეგრძელო დადიეს ისრაელის ერის „ამომავალი ვარსკლავისა“.

მეორე დღეს, როდესაც ადგილობრივ ებრაელთა ცხოვრება ისევ შევიდა ძველ კალაპოტში, მოხდა ერთი პატარა შემთხვევა, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ნათანის მომავალ მსოფლმზედველობაზე.

ნათანმა მამის დავალებით ერთ მოაგარაკეს წაუღო ბინაზე რაღაც წვრილი საქონელი. მოაგარაკე რუსის ებრაელი იყო, ეცვა ევროპიული ტანსაცმელი.

ლი და გაპარსული იყო სუფთად. ნათანმა მოაგარაკის ოთახში შექმნილი ებრაული წიგნები ორი რამ გაუკვირდა მაშინ ნათანს. ერთი ის, რომ ამ წიგნების გატარონი უმძველად ებრაელი იყო, ხოლო ასეთი გაპარსული და ასე ჩაცმული ებრაელები მას ჯერ არ ეხანა. მეორე კიდეც ის, რომ ძალიან უუცხოა ამ წიგნების შინაარსი.

ნათანმა იცოდა, რომ ებრაულ ენაზე არსებობს ბიბლია, მიწა, თალმული და სხვა „წმინდა წიგნები“, მაგრამ რა იყო ის წიგნები, რომლებიც ელაგა მოაგარაკის ოთახში, ამის წარმოდგენა არა ჰქონდა. ნათანს ისიც აოცებდა, რომ ეს წიგნებიც დაწერილი იყო ებრაულ ენაზე.

ნელა აიღო ერთი წიგნი. დახედა სათაურს: „ორი უკიდურესობა“. ქვეშ იყო წარწერა: რომანი ბრაუდესისა. არ იცოდა რას ეწოდებოდა რომანი. გული დასწყდა. უნდოდა სასწრაფოდ გაეგო. მაგრამ როგორ, რა გზით. მოაგარაკემ ქართული არ იცოდა, ნათანმა კიდეც რუსული. ხან წიგნში იცქირებოდა და ხან კიდეც მოაგარაკეს მისჩერებოდა. მოაგარაკემ შეატყო, რომ ბავშვი ცნობის-მოყვარე იყო და დაინტერესდა. შეეკითხა ებრაულად. გაოცდა ნათანი. ასე ეგონა, მის წინ სატანა იდგა. „წვერვაპარსული“ და „გადარჯულებული“ კაცი მას ილაპარაკებოდა ებრაულ ენაზე! შეუძლებელი იყო, მაგრამ ეს შეუძლებელი მიინც ფაქტი იყო.

შელაპარაკდენ.

— ძალიან გინდა ვაიგო რა არის რომანი? წაიღე ეს წიგნი საჩუქრად. თვითონ ვაიგებ როცა წაიკითხავ. თუმცა ჯერ პატარა ხარ, ასეთი წიგნების კითხვა ნაადრევია, როცა გაიზრდები, ბევრ რამეს შეგაჩენს.

გამოესალმა მადლობით. წამოიღო რომანი „ორი უკიდურესობა“.

სალამოს მოვიდა რომანით „თალმულ-თორა“-ში. კოჭლმა მელამედმა ჩამოართვა წიგნი და გადაფურცლა. წაიკითხა სათაური. შეიკუმშა და განრისხდა.

— ვინ მოგცა ეს წიგნი?— შეეკითხა მკვახედ.

ნათანმა უპასუ. ამის შემდეგ კოჭლმა მელამედმა გაისწორა ყალიონი, გააბოლა და შემდეგ ღინჯათ მიმართა ნათანს:

— ეს წიგნი შენთვის ქრისტიანს მოუცია.

— არა, რაში. ის კაცი ისრაელი იყო. მელაპარაკა ლაშონ-პაკოდეში-თ²⁰.

— სულ ერთია. ვინც ასეთ წიგნებს კითხულობს, ის ქრისტიანია. ეს უცხო წიგნებია, მათი კითხვა ასურია²¹. ამის იქით აღარ შესცდე შეილო და ასეთ წიგნებს ხელი არ მოჰკიდო. ამ წიგნს ამაღამ ცეცხლში დაგწყავ.

ნათანს არაფერი არ უპასუხნია. შეურთვდა ბედს, მაგრამ მიინც რალაც აწუხებდა.

ერთი კვირის შემდეგ ღია გახდა ავიდ. ისხაკმა ღამის თერთმეტზე ნათანი გაგზავნა მელამედთან, რომ მას რეფუა²² ეტქვა. ნათანმა დაუკავნებლად შეილო კარი და შევიდა. სასტიკად გაოცდა: მელამედი განივრად წამოწოლილიყო, აბოლებდა ყალიონს და კითხულობდა მის რომანს.

სისხლი აუვარდა თავში. მიინც შემავრდა. გადასცა მამის თხოვნა.

მელამედი შეუდგა ლოცვას.

ნათანმა იხელთა დრო, შეუმჩნევლად აიღო რომანი და გამოვიდა გარეთ.



სახლში მამას განუცხადა, რომ მელამედმა წაიკითხა ^{ქართული} ~~ქრისტიანული~~ დღეა თავისით განიკურნება, მელამედის რეფუა არაფერი საპირო იყო.

ისხაკი გააკვირვა შეიღოს მოულოდნელმა ახალმა აზრმა:

მეორე დღეს კოკლმა მელამედმა შეპარვით ჰკითხა:

— ხო? არაფერი წიგნი წაგიღია გუშინ ჩემგან?

ამაზე ნათანმა დამშვიდებით შეხედა თვალებში და ოდნავ დამცინავ კილოზე შეეკითხა:

— რომელ წიგნზე მელაპარაკებით?

— ბრ... რაუდესის წიგნი... — გაუბედავად წარმოსთქვა მელამედმა.

— ბრაუდესის წიგნი აქი თქვენ ცეცხლში დასწვით? აღზად დაგავიწყდათ... მასწავლებელმა ენაზე იკბინა და გაჩუმდა.

ამგვარად ჩაეყარა საფუძველი ჩუმი მტრობის დასაწყისს.

წაკითხულმა რომანმა უდიდესი გარდატეხა მოახდინა ნათანში. მის გონებაში მთელი ქვეყნიერება გადაბრუნდა და უდიდესი ეკვის თვალთ დაუწყო ცქერა ყოველივე იმას, რასაც წინათ პატივსა სცემდა და ათავყენებდა. მის თვალწინ გადიშალა ახალი სამყარო. შეუყვარდა ბუნება. ზაფხულობით დადიოდა ტყეებში და მთის მწვერვალებზე, ან შესცურავდა მდინარის ძლიერ ტალღებში და ბანაობდა. ზამთრობით მისრიალებდა გალესილ ყინულზე და აგროვებდა თოვლის ფიფქებს. გაზაფხულზე ელოდა ზაფხულის დაწყებას და მგლის თვალებით ათვალთვლებდა მოაგარაკებს, რომ მათთვის გამოერთმია ახალი წიგნები. შემოდგომაზე ელოდა ზამთრის დაწყებას, რომ მის გრძელ ღამეებში ზუმად ეკითხა აკრძალული წიგნები, რომლებთაც აგროვებდა ზაფხულის განმავლობაში. თავისით შეისწავლა რუსული და უკვე კითხულობდა სამ ენაზე: ქართულად, რუსულად, ებრაულად. კითხულობდა ვნებით, გაგიჟებით, გატაცებით.

ხშირად ვერც კი იგებდა როგორ წამოადგებოდა განთიადი. არავინ არ იცოდა მისი დიდი საიდუმლო, თუმცა მშობლები ამჩნევდნ, რომ ბოლო დროს ნათანი შეწუხდა, გახმა, ჩამოშრა და განერვიულდა.

ერთ დღეს მოულოდნელად განუცხადა მამას, უნდა მოემზადო და მომავალ წელს გამოცდა უნდა დაეკირო ადგილობრივი გიმნაზიის მეხუთე კლასშიო. ისხაკს გული შეუღონდა. ნათანი უმტკიცებდა თავისი განზრახვის მიზანშეწონილობას.

— ასე არ შეიძლება შეილო. რას იტყვის ქვეყანა. ყველას საიმაყოფ მიანინბარ და იტყვიან, ნათანი გაქრისტიანდაო.

— ტყუილია, მამა. გიმნაზიაში სწავლა სულაც არ ნიშნავს გაქრისტიანებას.

— მაინც შევეკითხოთ შენს რაბის, რას იტყვის. უიმისოდ არ შეიძლება.

— იმას არაფერსაც არ შევეკითხები. ის ცრუა.

გულკეთილი ისხაკი დაიბნა, გაშეშდა.

— ჩემო ნათან! ჩემო საყვარელო შეილო, ეს რა შესშის, ვაი ჩემს ყურებს!

— ნუ სწუხარ, მამა ჩემო. ყური მიგდებ. აი საბუთი. ორი წელიწადია ვიბრჩობ გულში ამ ამბავს და არავეისთვის არ მითქვამს. ახლა მოვიდა დრო და უნდა გითხრა. გახსოვს ის მოაგარაკე, შარშანწინ რომ გამგზავნე იმასთან? და ნათანმა უამბო მამას ბრაუდესის წიგნის თავგადასავალი.

ისხაკზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა, ^{მელომედი} ^{რომ} ^{სიტყვა} ^{ნათანა} ^{მია} ^{„დღედა} ^{თავისით} ^{განიკურნება.} ^{მელამედის} ^{რეფუა} ^{არაფერი} ^{საქირო} ^{იყო“.} შინც გაუქირდა ისხაკს ამ ამბიდან სათანადო დასკვნის გამოტანა. ვერ შერიგებოდა შვილის განზრახვას. გაქანდა ისევ კოკლ მელამედთან. მელამედი ბრახით აივსო. დაუწყეს ნათანს დარიგება მოფერებით, თხოვნით, მუჭარით. არაფერმა არ გასჭრა. ნათანის ნება შეურყეველი იყო.

მაშინ მელამედმა „მისცა“ უფლება გიმნაზიაში წასვლისა ორი პირობით: დილაობით გიმნაზიაში ისწავლიდა და საღამოობით კი იეშიბაში. ²² გარდა ამისა შაბათობით არ უნდა ევლო გიმნაზიაში.

მიუხედავად ამ საშუალო გზისა დღითიდღე იზრდებოდა უფსკრული. შორდებოდა ნათანი მელამედს და მის ვაჟუნებს.

ერთმა საღამომ კი ამ გარენიებას სამუდამოდ შეუწყო ხელი.

იღვა მწველი ზაფხული. ნაშუადღევი იყო. მელამედი მისულიყო იეშიბაში და თალმიდები იგვიანებდნენ. ვილამაც უთხრა, საბანაოდ არიან წასული და ნათანიც მათთან არისო. გაბრაზდა. გაგზავნა უფროსი თალმიდები და დაივალა-სასწრაფოდ მოეტანათ იეშიბაში-მობანავეთა ტანისამოსი.

დავალბა შეასრულეს. შემდეგ გასცა განკარგულება, რომ ბლრმად დაეკრიფათ ჯინჯარი და გაეფინათ იეშიბაში ყველა გრძელ სკამებზე. მობანავეებს სხვა გამოსავალი არა ჰქონდათ. დაემორჩილნენ უსიამოვნო ბედს. წამოვიდნენ შიშველნი იეშიბისკენ. ხელებით იფარებდნენ სასირცხო ილაგებს. უკან მოსდევდნენ სტვენით და ხმაურობით პატარა ბიჭები, ვიგინდარები, ძალღები. შიშვლებს მოუძღვრათ ნათანი, რომელიც სხვებზე უფრო მწვავედ გრძნობდა შელახულ თავმოყვარეობის ტკივილს. ის კი ველარ წარმოედგინა ნათანას, რომ კოკლ ჯალათს შეეძლო ამაზე შორს წასულიყო.

როცა დამარცხებულნი შევიდნენ იეშიბაში, ნათანმა წარმოიდგინა და უფრო მეტიც: განიცადა საკუთარ ტყავზე.

იეშიბაში იღვა გულშემზარავი კივილი. ჯინჯარი საშინლად სწვავდა და სუსხავდა ნორჩ „ღამნაშავეთა“ სხეულებს. იეშიბას შუა იღვილს ამწვევებდა წარწერა: „ვეაბთა ლერეყება ქამობა“... ²³ გრძელ სკამებზე კი ჰგმინაუდნენ დასჯილები და მოსთქვამდნენ არადადამიანური ხმით. ეს იყო დასასრული.

ამის შემდეგ ნათანისა და კოკლი მელამედის გზები განშორდნენ სამუდამოდ.

მასწავლებლის კათედრას თავს დაჰყურებდა რომანოვების დინასტიის უკანასკნელი იმპერატორის სურათი.

ყოველთვის, როდესაც მივიდოდა ნათანი გიმნაზიაში და შეხედავდა ამ სურათს, გინცდიდა რაღაც უსიამოვნო გრძნობას. რა დაუშავა მას ნიკოლოზ მეორემ? ნათანმა იცოდა რაც დაუშავა. გაკვეთილების დაწყებამდე მოწაფეები წარმოსთქვამდნენ ლოცვას მის სადღეგრძელოდ და ნათანი კი ამ დროს იღვა

ჩემად, თავჩალუნული. მოწაფეები გაოცებული შეცქროდნენ ამ „იშვიატ“ ნიმუშს ხოლო ლოცვის დასრულების შემდეგ განრისხებული მასწავლებელი შემართავდა ხოლმე:

მარკინული
გინგლიქოსეა

— რატომ არ ლოცულობ?

— ეს ლოცვა არ ვიცი. მე ებრაელი ვარ.

— ვითომ რა, ებრაელი რომ ხარ, იმიტომ არ უნდა ილოცო იმპერატორისთვის?—და ასე მეორდებოდა თითქმის ყოველდღე.

ნათანს არ უნდოდა ამ ლოცვის შესწავლა. მოწაფეები დასცინოდნენ და მასწავლებელიც ყოველთვის არცხვენდა:

— სხვა თუ არაფერი შეგიძლიან, პირი ტყუილად მაინც დააღე. ინსპექტორი რომ შემოვიდეს, ეგონება ვითომ შენც ლოცულობ.

ნათანი საოცარი სიწყნარით ისმენდა ყოველგვარ დაცინვას მასწავლებლებისა და მოწაფეებისაგანაც. არავის არაფერს არ უპასუხებდა. ერთგვარი სიღამაზე იყო იმის მოთმენაში. ამ მოთმენას სხვები ხსნიდნენ ნათანის სიმზხადლით, რასობრივი მიზეზით, ნათანი კი მიუხედავად ყველაფრისა, ითმენდა და ითმენდა.

ყურადღების ცენტრი მას გადატანილი ჰქონდა მეცადინეობაში. სწავლობდა და მეცადინეობდა განუწყვეტლივ. არ იცოდა რას ერქვა სიზარმაცე. ხოლო მისი არაჩვეულებრივი ნიჭი და მეცადინეობის უნარი უტყუარი იყო ყველასათვის. განსაკუთრებით მასწავლებლებს ის აოცებდათ, რომ საგნებს ყველაზე უფრო სწრაფად ითვისებდა ნათანი. ზოგიერთი ზარმაცი და უნიჭო მოწაფე სწორედ იმიტომ გადაეკიდა ნათანს, რომ მას ყოველთვის მზად ჰქონდა გაკვეთილები, მათ კი არა.

ნათანა იჩენდა ზედმეტ ცნობის მოყვარობას, ეს არ მოსწონდათ მასწავლებლებს, ხოლო მოწაფეები ამ მხრივაც ჰბაძიდნენ მასწავლებლებს.

ყოველივე ის პირობები, რაც ნათანს აყენენდა განსაკუთრებულ მდგომარეობაში, ხდებოდა იმის მიზეზად, რომ სიძულვილი გაღრმავებულიყო. თითქოს ორი ბანაკი არსებობდა: ერთი მხრით იდგნენ მასწავლებლები და მოწაფეები, მეორე მხრით—ნათანი. ყველანი ემორჩილებოდნენ საერთო წესებს, ნათანი კი—არა. სასწავლებელში ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები სიზარმაცის ბაცილებს. და მხოლოდ ნათანის სხეულში არ იყო ეს ბაცია. ყველანი ლოცულობდნენ იმპერატორის დღევგრძელობას, ნათანი კი არა.

ყველანი ისვენებდნენ კვირა-დღეს. ნათანი კი გარდა კვირისა ისვენებდა შაბათობითაც. ამის გამო მას ორშაბათობით ჰქონდა უსიამოვნება. პირველი გაკვეთილის მასწავლებელი, იგივე კლასის დამრიგებელი, როცა აიღებდა ყურნალს და ნახავდა, რომ შაბათს ნათანი არ მოსულიყო, მობრუნდებოდა და დაცინვით მიესალმებოდა:

— ააა... მეშაბათეს გაუმარჯოს...

გიმნაზიელები თავდავიწყებით იცინოდნენ.

ერთ დღეს, გაკვეთილების დაწყებამდე, საიმპერატორო ლოცვის დროს მოულოდნელად კლასში შემოვიდა ინსპექტორი. შემოსვლისთანავე თვალში ეცა, რომ მოწაფეები ირონიულად იცქირებოდნენ ნათანისკენ. მიიხედა თვითონაც

და დაინახა, რომ ნათანი იდგა უძრავად და არ ლოცულობდა. ბრძანებთ აივსო, მაგრამ უცდიდა ლოცვის დასრულებას.

ნათანმა იგრძნო მრისხანე თვალები და გააცრეოლა. იცოდა, რომ ინსპექტორთან ექნებოდა უსიამოვნება და გულის კანკალით ელოდა ~~დასასრულს~~ დასასრულს. ხოლო როცა ლოცვა დასრულდა და ინსპექტორის ~~განმარტობა~~ შათანის სკამისაკენ, უცბად გაიღო ოთახის კარები და სასწრაფოდ შემოვიდა ინსპექტორის თანაშემწე, რომელმაც გადასცა ინსპექტორს რაღაც დეპეშა. ინსპექტორმა წაიკითხა და მოულოდნელობისგან პირი გააღო. ფერი ეცვალა. გაუბედავად შეხედა ჯერ ნათანს, შემდეგ თავის თანაშემწეს და ხმის ამოუღებლად სასწრაფოდ გავიდა ოთახიდან. უკან გაჰყვენ თანაშემწე და მასწავლებელი. მოწიფეებს უცნაურად მოეჩვენათ ყოველივე. ერთმა კი იხუმრა:

— ამ დეპეშამ უშველა ჩვენს მეშაბათეს, თორემ ცუდად იყო მისი საქმე.

ხოლო როდესაც ყველსათვის აშკარა შეიქნა დეპეშის შინაარსი, რომელმაც ფერი უცვალა ინსპექტორს—თვითონაც საოცრად გაოცდნენ და გააოცათ არა მარტო დეპეშის შინაარსმა, არამედ ამ შინაარსთან დაკავშირებით ერთ-ერთი გინაზიელის მოულოდნელმა საქციელმა, რომლის პოლიტიკური, მრწამსის შესახებ არაფერ არაფერი იცოდა. იგი სასწრაფოდ შეხტა კათედრაზე, სწვდა კედელზე ჩამოკიდებულ სურათს, დაადრო ქვეშ ლურსნეები, შემდეგ ჩამოგლიჯა, მოიშარჯვა ხელში, დახედა ზედ უცნაური გამომეტყველებით და უცბად, ერთი ხელისმოქნევით, მთელი ძალღონით დასცა იატაკზე და დაამსხვრია. შემდეგ მდიდურად გააქიმა კათედრის თავზე და განაცხადა:

— ეხლა მე ვარ იმპერატორი. ილოცეთ ჩემზე...

ნათანმა თავის სიციცხლეში პირველად გადინახარა, შემდეგ მიუახლოვდა გინაზიელს და ხელის მაგარი ჩამორთმევით აგრძნობინა თავისი დიდი სიბარული.



ნათანს ისე არაფერი არ უყვარდა როგორც წიგნები. ეს იყო ის ცხოველყოფილი ნაკადი, დაუშრეტელი წყარო, საიდანაც სწოვდა ნათანი ცოდნას, ახალ აზრებს, ენერჯიას და სიციცხლის სიყვარულს. თუ რომელიმე დღე შემთხვევით გაუცდებოდა, ის დღე ამოშლილი იყო მისი ცხოვრებიდან. ხარბად ეწაფებოდა ისტორიას. იზიდავდა აგრეთვე ხელოვნება, განსაკუთრებით კი—ლიტერატურა. უყვარდა სენეკეიზი და ტოლსტოი, პალევი და ბენ-გაბიროლი, ბარათაშვილი და ყაზბეგი. სთარგმნიდა ერთი ენიდან მეორეზე, სწერდა დღიურებს.

ახალი აზრები, ახალი იდეები—ეს იყო მისი საზრდო. სურდა მიშრობოდა რომელიმე ჯგუფს, დაეწყო მუშაობა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა.

გინაზიელის ბევრი ჯგუფი იყო: სოციალდემოკრატები, სოციალისტოდე-რალისტები, სოციალისტ-რევოლიუციონერები, ეროვნულ-დემოკრატები. შემა-დგენლობა ძალიან კრელი იყო და რომელიმე ორგანიზაციაში მოხვედრა უძრავ-ლო შემთხვევის საქმე იყო. მაინც არ შევიდა არც ერთ ორგანიზაციაში და დარჩა გარეთ.

ამხანაგებში მოხდა ნაწილობრივი გარდატეხა. ყველაზე მოწინააღმდეგე და შეგნებულები კი არ გაუბრბოდნენ ნათანს, არამედ ცდილობდნენ მისი ხაერთო დერხულში ჩაბმას. მაგრამ იყვნენ ნაძირალეებიც, მათ არაფერი არ გააჩნდათ თავში და სულ მუშტზე იცქირებოდნენ.

ნათანი ერიდებოდა ასეთ ამხანაგებთან კამათს, რადგან მათთვის უსიამოვნოდ თავდებოდა. მაგრამ ზოგჯერ მაინც იძულებული ხდებოდა ჩამდგარიყო მათს წრეში და ესმინა მათი „ბრალდებაანი“ ებრაელთა მიმართ. ამ „ბრალდებათა“ მიხედვით ებრაელები იყვენ — უსუფთაო, განმარტოებული ცხოვრების მოტრფიალენი, რელიგიური ფანატიზმით დააეალებულენი, დიდი წვეკრების მოყვარულენი და საერთოდ მთელ მსოფლიოში ყველაზე უფრო უკულტურო ხალხი.

ნათანი ცდილობდა დაემტკიცებია ამ ამხანაგებისთვის, რომ ისინი სცდებოდნენ, რომ არ შეიძლებოდა ებრაელებზე მსჯელობა იმ ებრაელების მიხედვით, რომლებსაც ისინი ხედავდნენ ადგილობრივ, რომ ებრაელები მეტისმეტად კულტურული ხალხია, რომ მათ მისცეს კაცობრიობას სხვადასხვა დარგში საუკეთესო წარმომადგენლები, რომ მათი სახელებით სავსეა კაცობრიობის კულტურის ისტორია და, როგორც მაგალითი, ხშირად ასახელებდა შემდეგ სახელებს: — სპინოზა, მარქსი, ლასალი, რუბინშტეინი...

შეაწყვეტინებდნენ დემავგავიორად. თან ერთი შეეცითებოდა მეორეს:

— რაში გაინტერესებს ურიების საქმე?

ნათანი მოულოდნელად გაფითრდებოდა და კამათიც ამით სრულდებოდა. სიტყვა „ურია“ ნათანისთვის ყველაზე უფრო საშინელი შეურაცხყოფა იყო. მთელი თავისი არსებით სძაგდა ეს სიტყვა და როცა ვისმესგან გაიგონებდა, ის განიცდიდა საშინელ გულის ტკივილს. იმ დროს, როდესაც არსებობდა სიტყვა „ებრაელი“, მას აღარ უნდოდა გაეგონა პარალელური სიტყვა „ურია“. ვერც წარმოედგინა: როგორ შეიძლებოდა ერთდამიამე ხალხს, ერთსა და იმავე დროს უწოდო ორი სახელი.

ემდუროდა რევოლიუციას: ვერ შეიტანა სიცხადე ამ საკითხში. მისი აზრით საჭირო იყო გარკვეული ნაბიჯები. ეს სიტყვა უნდა ამოშლილიყო ლექსიკონიდან. ეს სიტყვა უნდა დავიწყებულიყო. მაგრამ ასე არ მოხდა. ეს სიტყვა კიდევ არსებობდა. და ამ სიტყვაში ბევრი იყო შხამი, გესლი, ცილისწამება.

ეს სიტყვა მაშინვე შესძულდა როცა პატარა იყო. ხშირად აგონდებოდა ეს შემთხვევა: მიდიოდა წისქვილში. მიჰქონდა სიმინდი დასათქველად. მეწისქვილე ელო წყნარი და პატიოსანი კაცი იყო. არავის არ გაუგონია მისი მალალი ხმა, არავინ არ ემდუროდა.

შარა გზაზე რომელიც მიიმართებოდა წისქვილისკენ, გამოჩნდა ქალი. მას მოჰყავდა ხუთი წლის ბავშვი. ბავშვი რატომღაც საშინლად სტიროდა. მაშინ ქალმა უთხრა ბავშვს:

— თუ არ გაჩუმდები, მეწისქვილე ურია მოვა და შეგქამს.

ბავშვს შიშისგან ხმა ჩაუვარდა და გაჩუმდა.

მას შემდეგ ბევრჯელ უფიქრია ნათანს ამ ბავშვზე, რომელსაც ძალიან ადრე ჩააწყვეთეს უსამართლობის საწამლაეი. როცა ეს მოწამლული ბავშვი გაიზარდა, შეხვდა ნათანს გიმნაზიის სკამზე და დაუნდობლად ესროლა:

— ურია!

და როცა ერთხელ ეს სიტყვა მოხვდა შიგ გულში, ნათანიელმა გადაშალა თავისი დღიური და შიგ ჩასწერა შემდეგი სტრიქონები:

„ეს სიხარული მოჩვენებაა,
სულის სიღრმეში დღეს ტრაურია,
და გიმნაზია ვერ დამავიწყებს,
რომ კელაე არსებობს სიტყვა „ურია“.“

ერეკლესიის
ბიბლიოთეკა

3

სალამობით, როდესაც მზე გადაიწეოდა დასავლეთით და ეფარებოდა მალალ ქედებს, როდესაც პორიზონტზე უკანასკნელად ეჯობებოდნენ ერთმანეთს წითელი და ყვითელი ფერები და კედებოდა ზაფხულის ცხელი დღე, ნათანი იჯდა ფანჯარასთან წყნარად, უძრავად და იცქირებოდა შორს სივრცეში. ესმოდა ბუნების მუსიკა.

გველივით მიიკლავებოდა დაუდევარი რიონი. ისმოდა მისი ძლევამოსილი ტალღების ხმაური, რომლებსაც მიჰქონდათ გააფთრებული იერიში ხიდის ქვეშ ამოშენებულ ჯებირზე. ხიდის გარშემო ჩამწკრივებულიყვენ მალალი ალვის-ხეები და მათი ფოთლების ნელი შრიალი უერთდებოდა მდინარის ეხოს. ზიდზე კი, რომელიც ჰყოფდა სასეირნო გზატკეცილს შუაზე, სეირნობდა ხალხი, უმეტესად ახალგაზრდები და მოავარაკენი.

ყოველთვის ამ დროს ნათანის ფანჯარის წინ გამოივლიდა ხოლმე სასერანოდ ორი ქალი. ეს უკვე მეშვიდე დღე იყო, რაც ნათანი ჰედავდა ამ ახალ მოავარაკებს. პირველ ორ-სამ დღეს ნათანს ამისთვის ყურადღება არ მიუტკეცვია, მაგრამ შემდეგ როგორღაც შეეჩვია იმ გარემოებას, რომ სალამობით, სწორედ იმ დროს, როდესაც მას უყვარს თავის ფანჯარასთან ჯდომა და წყნარად ცქერა გარშემოთითქოს დანიშნულ დროს—უნდა გამოჩენილიყო ის ორი ქალი, უნდა გაეარათ მის ფანჯარასთან და შეუღევ წასულიყვენ ხიდისკენ სასეირნოდ. ნათანი მათ კარგა ხანს აცილებდა თვალებით, ვიდრე არ მიეფარებოდნენ ხიდის გადაღმა მოსახვევს.

ერთი იყო ორმოცი წლის ქალი, მეორე კი ჩვიდმეტი-თვრამეტი წლისა. მიუხედავად ხნოვანებისა ისინი ძალიან ჰვადენ ერთმანეთს. აშკარა იყო, რომ უერთი იყო დედა. უმცროსი—ქალიშვილი. დედა იყო მალალი, ოდნავ მონაოჭებული შუბლით, მაგრამ მაინც ძველი სილამაზის იერით. მის მიხვრა-მოხვრაში იყო რალაც შერეული ხაზები—ნახევრად ქალაქელისა და ნახევრად პროვინციელისა. ასეთივე იყო მისი საზაფხულო ტანისამოსიც. სამაგიეროდ ქალიშვილის ტანსაცმელსა და მიხვრა-მოხვრაში მოსჩანდა მეტი ქალაქური სიმტკიცე. ერთი თვალის გადახედვით ძნელი იყო თქმა—ლამაზი იყო თუ არა, ხოლო დაკვირვებული თვალის უტკეველად აღმოაჩენდა სილამაზეს.

ოდნავ გამზდარისა, მაგრამ მარმარილოს ქანდაკებასავით ამართული ტანიდან იცქირებოდა მსიარული, ბავშვური, საოცრად მიმზიდველი სახე. მწვანე, მაგნიტისებური თვალები ამშვენებდნენ ოდნავ გაწითლებულ ლოყებს და ქალწულებრივ ნაზ ტუჩებს. ღიმილის დროს პატარა ნიკაპის ზევით იხსნებოდა ლამაზი პირი და

მოსჩანდა თოვლივით თეთრი კბილები. გრძელი წაბლისფერი თმა უმატებდა მას ქალურ სინაზეს და თეთრ-ცისფერი კაბის შიგნით ახლად განთავსდა ყვავილის კვირტივით მორცხვად ფეთქავდა პატარა მკერდი.

ნათანმა შეისწავლა მათი სახე, გამომეტყველება, დამახასიათებელი ნიშნები, ტანსაცმელი. ერთი რამ არ ესმოდა: წლებულს მოაგარაკენი? — მარტო იყვნენ ჩამოსულნი, მაგრამ მის ცნობიერებას არავის სახე არ აღუბეჭდია ისე ღრმად, როგორც ამ ორი ქალისა. არც ჰქონდა არავითარი სურვილი ასეთივე საოცარი ცნობისმოყვარეობით დაკვირვებოდა სხვებს.

რისთვის მოხდა ასე? თვითონაც ვერ აძლევდა თავის თავს პასუხს. ხშირად ჰფიქრობდა, რომ ეს მის ერყვნება, ან კიდევ უბრალო შემთხვევის საქმეა, ან ამაში რაღაც თავისებური სიზარმაცეა. ან სხვანაირად როგორ შეიძლება? განა რა ჰქონდა საერთო ნათანს ვიღაც უცხო ქალებთან, ვისი სახელიც კი არ იცოდა? ეს ქალები, როგორც სხვა ქალები და მოაგარაკენი, საღამოობით ჩაუვლიდნენ მის ფანჯარას და შეემართებოდნენ ზიდისკენ სასეირნოდ. დეე, ისეირნონ რამდენიც მსურთ, ეს ნათანს არ ეხება. ნათანი ამ დროს ზის და ფიქრობს, ზის და იცქირება, ზის და ტკბება ბუნებით, ზის და ოცნებობს — თავისთვის. ვის აქვს უფლება დაარღვიოს ნათანის მყუდროება და მის ფიქრებს მისცეს რაღაც სხვა, ახალი, გაურკვეველი მიმართულება? (უხადია — არავის.

და მაინც... ერთ საღამოს აღმოაჩინა ნათანმა, რომ იმ ფანჯარასთან ჯდომასა და იმ უცნობი ქალების სეირნობის შორის არის რაღაც უცნაური კავშირი.

ეს ასე იყო. ნათანი ისე იჯდა ფანჯარასთან, როგორც ყოველთვის. სწორედ იმ დროს უნდა გამოველოთ დედას და ქალიშვილს. უკვე შეჩვეულმა ნათანმა ეს იცოდა, ამიტომ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ელოდა, რომ აი საცაა გამოჩნდებოდნენ. მაგრამ ისინი იგვიანებდნენ, ნათანი შეიკუმშა, თითქოს ეწყინა, რომ ქალები არღვევდნენ თავისთავად შემოღებულ წესს. ამავე დროს სტუქსავდა თავის თავსაც: რაში ენაღვლება მას, ნათან ჯანაშვილს, რომ ვიღაც უცხო ქალები იგვიანებდნენ სასეირნოდ გამოსვლას? იქნებ სულ არ გამოვიდნენ ამ საღამოს? შესაძლებელია. თუნდაც ასე მოხდეს, მერე რა? რატომ ჰფიქრობს ნათანი ამაზე? განა მისთვის სულ ერთი არ იყო ეს ქალები ისეირნებდნენ თუ არა? რასაკვირველია სულ ერთი იყო...

ასე ჰფიქრობდა ნათანი და მაინც იჯდა და ელოდა. საათები მიჰქროდა, ისინი კი მაინც არ სჩანდნენ. სწყინდა, გრძნობდა, რომ მოლოდინი უცრუვდებოდა. მოსეირნენი უკვე დაიშალენ, ლამე შედიოდა თავის შუაგულში და ისინი არ გამოვიდნენ. ნათანი მაინც იჯდა ფანჯარასთან და ჰფიქრობდა მათზე. ათასნაირმა აზრმა გაურბინა, მაგრამ ყველაზე უფრო საშიშარი იყო მისთვის ის აზრი, რომ შესაძლებელია ახლაგაზრდა ქალი გახდა ავად, დედა თავზე ადგა და ამიტომ ვერ გამოვიდნენ სასეირნოდ. ნათანს კი არ უნდოდა რომ ასე ყოფილიყო.

მისი ფიქრთა დენა სთხზავდა მრავალ მიზეზებს და ისიც გართული იყო მათ ვარჩევაში. ვერც კი გაიგო, როგორ წამოადგა თავზე მისი დედა ღია, რომელმაც დედური აღერსით გადაუსვა თმაზე ხელი და ტკბილად უთბრა:

— ძილის დროა, ჩემო ნათან, შენ გენაცვალოს დედოკო.

ნათანმა ხელზე აკოცა დედას და შევიდა ოთახში.

მეორე საღამოს ნათანი ჩვეულებრივად იჯდა თავის ადგილას და გულის-
ფანცქალით მოელოდა უცნობ მოადგარაკეთა გამოსივრებას. *ქქქქქქქქქქ*

როცა დედა და ქალიშვილი დაუპირდაპირდნენ ნათანს, *ქქქქქქქქქქ* ქალი-
შვილმა მოულოდნელად თავი ასწია მაღლა და შეხედა ნათანს, მათი თვალები
პირველად შეხედნენ ერთმანეთს და უცბად გაწითლდნენ. შემდეგ, რაღაც იღუ-
ნალი მოკრძალებით ორივემ მოარიდეს თვალები.

დედას არაფერი შეუშინებია და ორივემ თავის გზა განაგრძო. ნათანი კი
მანამდე მისდევდა თვალებით, ვიდრე მოსახვევი ხელს არ შეუშლიდა.

ასე გრძელდებოდა თითქმის ყოველ საღამოს. სრულიად უცნობი ახალგაზ-
დები დაუპირებლად, სიტყვის უთქმელად მისწრაფოდნენ დანიშნულ ადგილს:
ერთი — ფანჯარასთან, ხოლო მეორე — შარა გზაზე, ხიდისკენ, რომ ერთი წუ-
თით მაინც შეეხებათ ერთმანეთისთვის, კვლავ გაწითლებულიყვენ, და კვლავ
მოერიდებიანათ ერთმანეთისთვის თვალები მეორე დღის საღამომდე.

ამ საღამოობით მზერას, უცნაურ გაწითლებას, ამ მოლოდინის წუთებს —
რაღაც ახალი რამ შეჰქონდათ ნათანის ცხოვრებაში. მაგრამ რა იყო ეს ახალი
— გარკვევით თვითონ ნათანაც არ იცოდა. და მართლაც რა იყო ეს ახალი?
რა ერქვა მას? რა სურდა ნათანს? რატომ ელოდა ასე მოუთმებლად ყოველ
დღე საღამოს მოახლოებას? რატომ უნდოდა ნათანს ღრმით ჩაეხედა ახალგაზ-
რდა ქალწულის თვალებში? რატომ წითლდებოდნენ ორივენი, როცა შეხედე-
ბოდნენ ერთმანეთს მათი თვალები? რას ფიქრობდა ის ამ დროს ნათანზე?

ვერ აძლევდა ამ საკითხებზე პასუხს ნათანი. ერთი რამ იცოდა გარკვე-
ვით: უალრესი სიამოვნებით ელოდა საღამოს. სხვა საკითხები, მიზეზები — ყო-
ველთვის გადაუწყვეტელი ჰქონდა და ცხოვრობდა მთავარი საკითხით: როდის
დადგებოდა საღამო?

ერთ საღამოს, როცა ნათანი ჩვეულებრივ იჯდა ფანჯარასთან, მან შეამ-
ჩნია, რომ ახალგაზრდა ქალი უცქერის მას ჯერ კიდევ შორიდან. ნათანმა სია-
მოვნებით შეაგება თვალები. ქალი კვლავ გაწითლდა და თავი დაბარა. მაშინ
ნათანმა დაიწყო ცქერა სიერცეში და ამ დროს იგრძნო, რომ მას კვლავ უც-
ქერიან. ჰგრძნობდა ამ ძლიერ ცქერას, მაგრამ ვეღარ შეხედა პირდაპირ თვა-
ლებში. ახალგაზრდა ქალი კი თითქოს გაშეშდაო ერთ ადგილას, უცქეროდა
ნათანს თავდავაწყებით.

მაშინ საშუალო ხნის ქალმა, რომელსაც ვერ გაერკვია საით იცქირებოდა
ასე ჩაფიქრებული მისი ქალიშვილი, რის გამო იგი ჩამოიჩა დედას რამოდენ-
იმე ნაბიჯით, ოდნავ გაფითრებულმა შესძახა მას:

— რა დაგემართა ესთერ? რატომ გაჩერდი მანდ?

ესთერი უცბად მოვიდა გონს, მაგრამ მაინც დაბნევით უპასუბა:

— არაფერია დედა... გამიტაცა ბუნების სილამაზემ... ჰხედავ რა ლამაზია
ეს ნაძენარის ტყე... ერთ წუთს შევჩერდი... მოვდივარ აგერ...

და ორივენი მიეფარნენ ნათანის თვალთახედვიდან.

იმ საღამოს ნათანმა ორი რამ გაიგო: ერთი ის, რომ მას ეწოდებდნენ ესთერს, მეორე ის, რომ ესთერმა დედას არ უთხრა სიმაართლე. მესამედ ამათა ეუცხოვა, რომ ესთერის სიტყუე მას არ ეწყინა, პირიქით, იგრანო რაღაც ფარული სიამოვნება. ექვი არ იყო, რომ ესთერიც ესთერის მოყვარეობით უცქეროდა ნათანს, როგორც ნათანი ესთერს. და გადასწყვიტა ის ქალი გაეცნო.

მთელი ღამე ფიქრობდა როგორ განეხორციელებინა თავისი საწადელი, მაგრამ ვერაფერი ვერ მოიფიქრა. არც ერთი მოსაზრება არ იყო მიზანშეწონილი, ყველას ეღობებოდა რაიმე დაბრკოლება. ღელავდა.

ღელავდა მეორე დღის საღამოსაც, როცა იჯდა ფანჯარასთან და ელოდა მათ. ისევ არაფერი არ ჰქონდა გადაწყვეტილი. საოცრად უტოკავდა გული. იტყვირებოდა მხოლოდ იქით, საიდანაც უნდა გამოჩენილიყვნენ დედა და ქალიშვილი.

და უცბად სიბარულთ აუთამაშდა მარჯვენა თვალი: მოდიოდა ესთერი, მოდიოდა მარტო. ერთ ხელში ეჭირა ცარიელი ქიქა, მეორეში — წიგნი. როცა დაუპირდაპირდა ნათანის ფანჯარას, ესთერმა არ ასწია თავი მაღლა და ისე განაგრძო გზა.

მაშინ ნათანმა ველარ, მოითმინა და დაუძახა:

— ესთერ!

ესთერი შეერთა. შედგა. გააკვირვა მოულოდნელობამ, გააკოცა იმ გარემოებამ, რომ უცხო ვაემა იყოდა მისი სახელი. მაინც შეჩერდა. ნათანმა სასწრაფოდ ჩაირბინა კიბე და გაჩნდა ქუჩაზე, ესთერის პირდაპირ.

იღგენ ერთხანს ხმა ამოუღებლად, თავჩალუნუნნი, დარცხენილნი. სიწითლის აღმური ჰკრთოდა მათ სახეზე.

ბოლოს ისევ ნათანმა დაარღვია მეუღროება და გაუბედავიდ უთხრა:

— თქვენ გქვიათ ესთერი. მე გქვია ნათანი. თუ თქვენცა გსურთ ერთმანეთი გავიცნოთ?

ესთერმა მოკრძალებით ასწია თავი და მორცხვით უპასუხა:

— მსურს.

ნათანმა თვალი მოჰკრა ქიქას.

— თუ არა ვცდები, თქვენ მისეირნობთ მეაჭე წყლებსკენ. ნებას მომცემთ მეც წამოგყვეთ?

ესთერმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

როცა ნათანმა მეორედ მიაწოდა ესთერს მეაჭე წყლით გავსებული ქიქა, ესთერმა წელა გაიციინა და ხუმრობით უთხრა:

— როგორც ჩანს ეს წყალი მარგებელია მარტო ქალაქიდან ჩამოსულებისათვის.

— საიდან ჩანს ეს?

— იქიდან, რომ თქვენ არა სვამთ.

— ეს არ არის საკმარისი საბუთი. მე ხშირად დავდივარ აქ და ხარბად ვეწაფები ამ წყაროებს. ხოლო ამ საღამოს იმიტომ არა ვსვამ... მეც არ ვიცი... რისთვის არა ვსვამ.

შართლაც არ იცოდა ნათანმა რა ემართებოდა, რისთვისაც ვერც კი შეეძლო დაეხმებინა. პატარა არსების წინაშე, რომელმაც უკვე შეამჩნია დაბნეულობა, ესთერის კარგად ნაგრძობდა ბაასს, რომელიც ასე ტკბილად ეწვეთებოდა ნათანის ყურს. უდიდესი ყურადღებით ისმენდა მის ყოველ სიტყვას. ესთერის ლაპარაკი არ იყო მისთვის უშინაარსო ხმები, ეს იყო მუსიკის ჰანგები, რომლებიც მანამდე უფერულ მსოფლიოს აძლევდნენ ახალ ფერს, ახალ შინაარსს, ახალ სიცოცხლეს.

ნათანი იდგა ესთერის გვერდით და აღტაცებით შესცქეროდა მიმზიდველ სახესი. ამ წუთებში მას არ სურდა, რომ ეს ბაასი ოდესმე დასრულებულიყო. პირობით სურდა, რომ ეს ბაასი ყოფილიყო ხანგრძლივი, დაუსრულებელი, მარადიული. ნათანი გრძნობდა, რომ ესთერის სახით, ახალი ცხოველყოფელი სხივი ჩაეშუქა მის არსებაში, რომ მის ერთფეროვან ცხოვრებას ეღებოდა ბოლო, რომ არასოდეს მის სიცოცხლეში მისი გული არ სცემდა ისე მაკრად, როგორც ახლა, ამ წუთებში, შებინდებისას, მეავე წყლის წყაროსთან, ესთერის პირდაპირ...

ღამის ჩრდილებმა გამოსახეს მობაასეთა სილუეტები. ესთერი განაგრძობდა:

— დიდ ქალაქში აღზრდილმა არ იცის რა არის ნამდვილი ბუნება. ქალაქელის სულმა არ იცის ნამდვილი სილამაზე, არ იცის არემარეს თვალწარმოტაკი სიდიადე. ქალაქში ყველაფერი შეკუმშულია, სასტიკად გამოზომილი, გამოანგარიშებული. იქ სასუნთქავე ჰაერიც არაა საკმაოდ. იქ სწრაფი ცხოვრებაა და მოღუშული. იქ ცივი გონებაა გაბატონებული და არავის არ სცალია გრძნობებისთვის.

— მაშ კმაყოფილი ხართ ჩვენი აგარაკით?

— ჰო, ძალიან. უდიდესი სიამოვნებით მივატრევე ქალაქი და გამოვეწურომ დედასთან ერთად, რათა ეს ზაფხული გამეტარებინა აქ. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი ლამაზი იქნებოდა ეს აგარაკი. ეს თვალუწვდელი მთები, ეს ნაძვნარი ტყეები, ეს შრისხანე მდინარე, ეს წინერალური წყაროები — ეს თავისუფლება, ეს სიწმინდე და დაუსრულებელი სიერაცე — აი ესაა ნამდვილი ცხოვრება.

ნათანი ჩაფიქრდა.

— თქვენ რატომღაც ჩაფიქრდით. — უთხრა ესთერმა.

— ჩამაფიქრა თქვენმა სიტყვებმა. თქვენ მოგზიბლათ ჩვენმა მხარემ. ეს შართალია. ასეც უნდა იყოს. საქართველო ულამაზესი ქვეყანაა, განთქმული თავისი მრავალფეროვნებით. ჩვენი აგარაკიც ერთ-ერთი მისი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ...

— რა მაგრამ?...

— რატომ ილაშქრებთ ასე სასტიკად ქალაქის წინააღმდეგ? ნუ თუ ქალაქს არა აქვს თავისი სილამაზე, თავისი ძალა, თავისი მიმზიდველობა?... მე უკვე მერვე კლასში ვარ, მოწვეულ წელს დავასრულებ ვინაზიას და შემდეგ მინდა გავემგზავრო ქალაქში, რათა მივიღო უმაღლესი სწავლა. მე ვიცი, რომ



ქალაქში ასეთ ლამაზ ბუნებას ვიღარ ვიხილავ, მაგრამ სამაგურეთში კარგოიპო-
ვება მდიდარი მასალა, მრავალფეროვანი შინაარსი, რომელსაც ისტორიულ-საქი-
როა ჩვენი გონების განსავითარებლად.

— რასაკვირველია, ქალაქს აქვს თავისი ღირსებაც, მაგრამ მე მხოლოდ
პარალელი გავიყვანე... თქვენთვის პირადათ უსათუოდ საქიროა ქალაქი.

უკანასკნელი წინადადება ესთერმა წარმოსთქვა გარკვევით, ხაზგასმით.
შემდეგ თვალი შეავლო ნათანს, მორცხვით გაიზინა მის სახეზე და თავი და-
ხარა.

მცირე პაუზის შემდეგ ნათანი შეეკითხა:

— რატომ გგონიათ, რომ ჩემთვის პირადათ საქიროა ქალაქი? — და შემ-
დეგ თითქოს თვითონვე უპასუხა:

— მეც ვიცი, რომ ჩემთვის საქიროა ქალაქი. მაგრამ იმისათვის გკითხეთ,
რომ მომეჩვენა თითქოს ძქვენ ეს წინადადება წარმოსთქვით რაღაც დაფინებით,
სხეანიარად.

ნათანი ჩამოჯდა. ვიღამაც აანთო სანათური წყაროზე. ახალგაზრდებმა
იგრძნეს, რომ ეს ხელოვნური ხინათლე სრულიად არ იყო საქირო: უმშვენიე-
რესი სავსე მთვარე ანათებდა მათ სახეებს, ესთერი ამხადებდა პასუხს.

— როდესაც ქალაქიდან გამოვემგზავრე გულზე მაწვა რაღაც გაურკვე-
ველი სევდა. არ მეგონა, თუ ეს ჩემი მწუხარება იქნებოდა საერთო ხასიათისა,
მაგრამ შემდეგ, როდესაც კარგად ჩაუფიქრდი ყოველივეს, დავრწმუნდი, რომ
მე მაწუხებდა ჩვენი თანამომეებების ბედი. როგორ შემძლო წარმომედგინა, რომ
აქ, მთებში, მიყრუებულ ადგილას, ვნახავდი ისეთ ებრაელს, რომელიც საშუალო
სასწავლებელს აპრულებდეს? ეს ჩემთვის უკრო დიდი რამ იყო ვიდრე კოლუმ-
ბისთვის ახალი ქვეყნის აღმოჩენა. საქართველოს ებრაელები არა ჰგვანან სხვა
ქვეყნის ებრაელებს. მე არ ვფიქრობ, რომ კიდევ სადმე იყოს ისეთი კუთხე,
სადაც ებრაელები იყვნენ ისე ჩამორჩენილები, ისე უსწავლელები, როგორც
ჩვენი.

— განა ტფილისში არ არიან ნასწავლი ებრაელები?

— ძალიან ცოტა. ორი სამი ქუთაისელი სტუდენტი. ამდენივე ცხინვა-
ლელი. თვითონ ტფილისში კი არც ერთ ებრაელს არ დაუსრულებია საშუალო
სასწავლებელი. წელს მხოლოდ მე დაეასრულე და, როგორც ვიცი, მთელ საქარ-
თელოში, სამწუხაროდ, მე ვარ მეორე თუ მესამე ებრაელი ქალი, რომელსაც
ეძახიან ნასწავლ ქალს.

— მე კი მეგონა, რომ მხოლოდ აქ არ სწავლობენ. ვფიქრობდი, რომ
ტფილისში მაინც ვნახავდი მრავალ ებრაელ ამხანაგს, რომლებიც ჩემთან ერ-
თად ისწავლიდნენ უნივერსიტეტში.

— რასაკვირველია ამხანაგებს შებედეებით, მაგრამ ცოტას, ამიტომ გასაგე-
ბი უნდა იყვეს თქვენთვის ჩემი აზრი, რაც გითხარით. თქვენ გპირაით აუცი-
ლებლად ქალაქი. თქვენ უნდა წახვიდეთ ქალაქში, მიიღოთ უმაღლესი სწავლა,
გააბათ კავშირი ამ ერთეულ დაფანტულ ამხანაგებთან და შემდეგ ერთად შეეცა-
დით, რომ ჩვენი ცხოვრების საქე დაიპიროთ ხელში.

— თქვენ მართალი ხართ, ესთერ. ეს ამხანაგები ცოტავე უფრო მაგრამ მაინც ხომ არიან? საჭიროა შეკავშირება, საჭიროა შეერთებულება!

— ასე, ნათან. საჭიროა? კავშირი, საჭიროა შეერთება. უამისოდ ძნელია ბრძოლა ყველა იმ მოვლენებთან, რომლებთანაც გვაქვს საქმე. ძველი ენაღი შეტისმეტად გააჯდარია ჩვენი თანამომძევების ძვალსა და რბილში და მის გასაწმენდად საჭიროა დიდი ბრძოლა.

— ეს ბრძოლა ხომ ქალაქში უფრო ადვილია?

— დიახ, შედარებით. ამიტომაც მგონია, რომ თქვენთვის, გენსაკუთრებით თქვენთვის საჭიროა ქალაქში ყოფნა, რათა შეადგინოთ პირველი მცირე რიცხოვანი რაზმი, რომელიც შესძლებს ჩვენი კულტურული გაზაფხულის მოახლოებას. — ესთერმა ცოტახანს შეისვენა და შემდეგ განაგრძო: — არ იფიქროთ, რომ ჩვენი გაცნობა იყო შემთხვევითი. არა! მე ეს მსურდა იმ დღიდან, როდესაც შემთხვევით ერთი ქალისაგან გავიგე, რომ ისხაც ჯანაშვილს ჰყავს ნასწავლი შვილი ნათანი. შემდეგ იმ ქალმა მიჩვენა თქვენი სახე. თქვენ მაშინ იჯექით ფანჯარასთან და წიგნს კითხულობდით. მე შევისწავლე თქვენი სახე. ყოველ საღამოობით გამოსეირნების ეამს გიციქროდით მალულად, გიციქროდით ისე, რომ ამას ვერ ამჩნევდა ვერც დედაჩემი და ვერც თქვენ. ერთ საღამოს ჩვენი თვალები შეხედენ ერთმანეთს მოულოდნელად და მე საშინლად გაეწითლდი. მე ვიგრძენი, რომ თქვენც გაწითლდით. მას შემდეგ ყოველ საღამოს მოუთმენლად ველოდი, რომ ერთხელ კიდევ დამეხახეთ. მე ვიცოდი, რომ თქვენც მადევნებდით თვალყურს. ორივეს ვესურდა ერთმანეთის გაცნობა. თქვენ ამის საშუალება არა გქონდათ, მე კი მოვახერხე, დღეს საღამოს გამოვისეირნე მარტომ. როცა მოვუახლოვდი თქვენს ფანჯარას, ვეღარ მოვახერხე თავის აწევა და ისევ ინერციით ვაგრძელებდი გზას. ვგრძნობდი, რომ დამიძახებდით, მაგრამ როცა დამიძახეთ, მაინც შევკრთი: რაც არ უნდა იყოს ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობდით. მაგრამ როცა თქვენ იღეკით ჩემს გვერდით, ვიგრძენი რალაც გაორების გრძნობა: ერთსა და იმავე დროს გიცნობდით ლა არც გიცნობდით. ეხლა კი მგონია, რომ თქვენ დიდი ხანია გიცნობთ, რომ ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

ბედნიერების უსაზღვრო გრძნობა გამოისახა ნათანის მოხეივმე სახეზე. ამაზე უდიდესი აღტაცება მას არასოდეს არ განუცდია. ძლივს მოაბერბა:

— მე ძალიან... ძალიან მოხარული ვარ... რომ თქვენ გაგიცანიოთ... და შემდეგ დაუმატა: — მე იმედი მაქვს, რომ არ შესწყდება ჩვენი ნაცნობობა... ჩვენ ხომ ერთად ვიქნებით უნივერსიტეტში... თქვენც ხომ ჩვენთან ერთად იბრძობებთ საუკეთესო მომავლისათვის?

ესთერმა მძიმედ ამოიღებრა.

— სამწუხაროდ არა. მე არ ვეკუთვნი იმ ბედნიერების რიცხვს, რომელთაც შეუძლიათ დაასრულონ უმაღლესი სასწავლებელი.

ნათანი გაფითრდა. არ ესმოდა მიზეზი, ესთერი განაგრძობდა:

— როგორ აგინხნათ ეს გარემოება? მაშინვე შეძლებული კაცია, თან შეტად თავისებური და, როგორც თვითონ ამბობს, ცხოვრებას ალღოს უღებს. მაშინვე ყოველთვის უბრუნდება ძველს, სისტემატურად უკან იხევს. კოსტიუმი გამოიცვალა და წვერი გაიპარსა. ესაა მთელი მისი პროგრესი. შინაარსი კი



ძველი დარჩა. ამგვარად ჩვენი ოჯახი ნახევრად გავეროპიელებულა და ნახევრად ისევ გაველურებული. ძნელია ამის წარმოდგენა ზეგნულად. ტფილისში გაიგოთ ამის ნამდვილი მიზეზები. აი თუნდაც, მაგალითად, ჩემი საკითხი. გიმნაზია დავასრულე წამიჩემის სურვილით: ქალს სწავლა უნდა ჰქონდესო. ეს ძალიან კარგია. მე დავეწაფე სწავლას და ჩემი წყურვილი გაიზარდა. აქ ისევ მამაჩემი ჩადგა და მეუბნება: კმარა, გიმნაზია დაასრულე და გეყოფაო. ქალს უმაღლესი სასწავლებელი არ უნდა, ავნებსო. ახლა უნდა გათხოვდეთო. ამ ნიადაგზე ჩვენს სახლში დიდი ბრძოლა იყო. მე უღონო ვარ. რა ძალა მქონდა! მხოლოდ ვტიროდი. დედაჩემი ვერ უძლებდა ჩემს ტირილს და დაუწყებდა ხოლმე თხოვნას მამაჩემს, რომ ნება მიეცა ჩემთვის უნივერსიტეტში შესვლისა. მაშინ მამაჩემი გააფთრდებოდა და შეუტევდა: ზილფა! ვინ არის ბატონი ამ სახლშიო? დედაჩემს ეშინოდა ამ საკითხის... ამგვარად გადაწყდა ჩემი საკითხი... მაგრამ გადავდეთ ეს ლაპარაკი შემდეგისათვის... შინ წასვლის დროა. დედა მიცდის.

მძიმედ წამოდგენ. ორივენი გრძობდნენ გულზე მოწოლილ ლოდს. გაიარეს ხიდი და ჩაუბეიეს ქუჩისკენ. ეძნელებოდათ ხმის ამოდება, მიდიოდნენ ჩუმად, წყნარად.

მოსახვევში ესთერი შეჩერდა.

— აწი მე წავალ მარტო. თუ გსურს ჩემი ნახვა, მოდი ხვალ საღამოს შეიღ საათზე ხიდის ვაღმა. ქვიშაზე გრძელი სკამია. იქ ვიქნები. ნახვამდის. ნათანი დაიბნა, არ უნდოდა გამოსაღმება. მაგრად ჩამოართვა ხელი. როცა ესთერი მიეფარა, მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომ ხელში შერჩა ესთერის წივიანი.

მძიმე ნაბიჯებით გამობრუნდა შინისკენ.



ნათანმა ქვიშაზე ჯოხით გამოხაზა ასოები: „შენი თვალები მტრედებია“. ესთერმა გაიცინა.

— ეს ამოილე ჩემი წიგნიდან?.. საკვირველია, რატომ აძლევდა რელიგია ასეთ დიდ მნიშვნელობას ამ ნაწარმოებს? ეს ხომ არაჩვეულებრივი პოემა-პასტორალია, საუკეთესო გამომზატველი ესთეტიური გრძობებისა?

— მეც ხშირად ვფიქრობ ამ საკითხზე. პასუხი მხოლოდ ერთია: რელიგიის მსახურებს სურდათ ჩაეჭროთ ის ძლიერი სიყვარულის გრძნობა, რომელიც სოლომონმა ჩააქსოვა ამ ნაწარმოებში. სიყვარული მათ გადააქციეს სარწმუნოებად. დიდი ხნის განმავლობაში ხალხი ბრმად მისდევდა რელიგიის მსახურებს და სჯეროდათ ათასნაირი სულელური კომენტარიები. მაგრამ მხოლოდ მიუდგომელმა მეცნიერებამ დაუბრუნა ამ საყურადღებო ნაწარმოებს თავისი აწინდელი ესთეტიური შინაარსი.

ჩამოვარდა სიჩუმე. არავინ არღვევდა მათ მყუდროებას. ნათანმა ისევ აიღო ჯოხი ხელში და უნებურად კიდევ გამოხაზა ქვიშაზე ერთი სიტყვა „ესთერ“. ესთერმა წაიკითხა: „შენი თვალები მტრედებია, ესთერ“.

ესთერი გაწითლდა და თავისი მოძრაეი თვალები მიიპყრო უსახლკრო სიერცეს. ორივენი ფიქრობდნენ ცალცალკე.

ფიქრობდა ნათანი და სურდა გაეგო: რას ნიშნავდა მისთვის უკანასკნელი ოცდართი საათი. აღარ ახსოვდა როგორ დაიძინა წინა ღამეს. ან კი ეძინა? ის გრძნობდა, რომ ქარიშხალი მოვარდა მის ცხოვრებაში და წაიღო ძველი ნათანი თავის მარტოობით, თავის ეიწროდ მობაზული აზრებით, თავის გიშნა-ზიით და მთელი წარსულით. ამ ქარიშხალს ესთერი ერქვა, ხოლო ამ ძლიერ მოვარდნას—სიყვარული.

ეს კარგად იგრძნო ნათანმა წინა ღამეს, გამოსალმებისას. მივიდა შინ და ველარ გაიგო დედის ალერსი, მამის ღიმილი. გრძნობდა საშინელ მარტოობას. ამ მარტოობას შეაფხვებდა მხოლოდ ესთერი. ძლიერს გაათენა ღამე, და როცა გაათენდა, სასწრაფოდ წამოხტა. მთელი დღე არაფერი არ გაუტყუებია და დადიოდა მოუხვეწრად. ასეთი გულისფანქვალით ჯერ არასოდეს არ შეხვედრია საღამოს მოახლოვებას. თვითონაც აღარ ახსოვდა საღამოს შვიდ საათზე როგორ გაჩნდა დანიშნულ ადგილას.

ფიქრობდა ესთერიც და მისი თვალებიც მოწმობდნენ რომ იმასაც უძილო ღამე გაეტარებინა. ყველაფერი იზიდავდა მას ნათანისა: ღრმა და ჭკვიანი თვალები, გულწრფელობა, უბრალოება და უტყუარი ნიჭი. თან აოცებდა ესთერს ის გარემოება, რომ ის, თავის ქალაქს მოშორებული, არ ჰგრძნობდა უკან გაბრუნების არავითარ სურვილს. აქ მტკიცედ იგრძნო, რომ ნათანი არ იყო მისთვის შორეული ადამიანი, რომ ბევრი რამ ჰქონდათ მათ საერთო.

ნათანის ჯოხი თითქო თავის თავად გადავიდა ესთერის ხელში, რომელმაც წაშალა ქვიშაზე ნათანის მიერ გამოხაზული სიტყვების კვალი და გამოიყვანა ახალი სიტყვა: „ნათან“.

ხოლო ნათანმა მას მიუმატა „ესთერ“ და ორივემ წაიკითხეს ორი ძვირფასი სიტყვა:

„ნათან-ესთერ“.

უცხად შეხედეს ერთმანეთს და დაიჭირეს ერთიმეორას აზრები. ელექტრონის დენასავით გაიბრძინა მათში უძლიერესი განცდის დასაწყისის მოახლოვებამ. არც ერთმა აღარ იცოდა, აღარც ერთს აღარ ახსოვდა როგორ მოხდა: მოულოდნელად, ანდამატივით დაეწაფენ ერთმანეთს მათი ტუჩები და ენებიანი სიყვარულით აღსავსე ხანგრძლივი კოცნა შთაინთქა რიონის ტალღების ეხოსთან ერთად.

4

ორი დღის შემდეგ ადრე დილით ფოსტალიონმა დააკაკუნა ჯანაშვილების კარები: ნათანმა მიიღო დახურული წერილი. გაუკვირდა. ოთახში არაეინ იყო. მამა საღოკავად იყო წასული, ხოლო დედა-ბაზარზე. ჯერ კიდევ არა ჰქონდა ნახევარი ჭიქა ჩაი დალეული. მიიტოვა. დაფიქრებულმა გასსნა წერილი და წაიკითხა შემდეგი:



„ჩემო ძვირფასო ნათან!

მაბატივე ჩემოებით რომ გწერ, განა შემიძლია სხვაგვარად მოგწერო? მართალია, ჩვენ მხოლოდ ორი საღამო გავატარეთ ერთად, მაგრამ უმეტესად ღრემა და წარუშლელი კვლი და ტოვა ამ ორმა საღამომ ჩემზე, რომ ასე შეიძლება, თითქოს ერთმანეთი ბავშობიდანვე გეცნობოდა. იმ წუთებში, როდესაც შენ მიმეხეი, მე ჩაგეკონე მთელი არსებით, რადგანაც ვიგრძენი, რომ შენისთანა მახლობელი აღამიანი მე არასოდეს არა მყოლია. დღემდის ასეთი გრძნობა არ განმიცდია. შენი ტუჩები იყო ძლიერი ცეცხლის ნაკვერჩხლები, რომელთა მიკარებამ ჩემს სხეულში დაანთო უდიდესი ლამპარი. ჩვენ ორივე ვიწვით ერთ ხანძარში. ამ ხანძარს აღამიანურ ენაზე სიყვარული ჰქვია. თუ ასეა, როგორ შემიძლია სხვაგვარად ვიწოდო, თუ არა ასე: „ჩემო ძვირფასო ნათან!“

ამ წერილს გიგზავნი გზიდან. როდესაც ამ წერილს მიიღებ, მე კიდევ უფრო დაშორებული ვიქნები შენგან. სწორედ ეს გარემოება მიიძულებს, რომ გწერ წერილს.

ნუ გაგიკვირდება ჩემი მოულოდნელი გამგზავრება. ეს ჩემთვისაც მოულოდნელი იყო, მაგრამ ჩვენს იბობოქრებულ დროში ყველაფერი ყოფილა მოსალოდნელი.

შენ აღბად გული გწყდება, რომ გამგზავრების წინ არ გინახულე და არ გამოგვესალმე. რასაკვირველია მართალი ხარ, მაგრამ ამავე დროს მეც მართალი ვარ. შენ, შეგნებული ახალგაზრდა, ვალდებული ხარ კარგად ჩაუფიქრდე ერთ საკითხს: იცო, ნათან, რას ნიშნავს საქართველოს ებრაელის ქალი? გიფიქრია ამ საკითხზე? არა, ჯერ არ გიფიქრია. ძნელია ამ პატარა წერილში გადაგიშალო სრული სურათი იმ ტრადიციისა, რომლის გმირებიც ჩვენ ვართ. ჩვენი ქალი უბრალო ნივთია, რომელსაც მაშაკაცი, ოჯახის უფროსი ისე ატრიალებს, როგორც მის მოქსურებდა. საუკუნოებმა განამტკიცეს ეს ჩვეულება. ფოლადის კედელივით აღმართულია გარდაუვალი ზღუდე ჩვენს წინაშე. ჩვენი ქალი დაემორჩილა თავის ბედს. უფრო მეტიც: მათ არც კი წარმოუდგენიათ სხვანაირი ბედი. არც ფიქრობენ მის გაუმჯობესებაზე. ასე ისწავლიან მათ მამაკაცები ოჯახებში, — რაბინები-სალოცავებში.

მაგრამ მე? როგორია ჩემი მდგომარეობა მათ შორის? მე ყველაზე უფრო უბედური ვარ. რამდენჯერ მინატრია, რომ მეც ვყოფილიყავი ერთი მათგანი, უსწავლელი და განუფითარებელი, ნამდვილი პირუტყული ინსტინქტით აღზრდილი გიკვირს ნათან? ნუ გაიკვირებ ჩემო კარგო. მე რომ სწავლა არ მიმელო, ისე ღრმად ვერ ვიგრძნობდი ჩვენს საეღალალო მდგომარეობას. მაშინ მეც სხვებივით შეეფრთხილებოდი მდგომარეობას. მაგრამ ეხლა არ შეგიძლია შეეფრთხიდე. ვგრძნობ, რომ საჭიროა ბრძოლა, ბრძოლა კი არ შემიძლია. მე ერთი ვარ, ერთად ერთი, სუსტი, სრულიად უღონო, როგორ უნდა ვიბრძოლო? რომელ ერთს უნდა ვებრძოლო?..

ჩვენ მხოლოდ ორი საღამო გავატარეთ ერთად. არავის არ ვუნახივართ. თითქოს ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მაგრამ შეგიძლია წარმოიდგინო ის ფასი, რითაც ვამოვისყიდე ეს ორი საღამო? დედამქმმა არაფერი არ იცოდა, არც ახლა იცის არაფერი. შეშამშნა დაბნეულობა, მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ

იმ ორ საღამოს მე ჩვეულებრივზე უფრო მეტად დაეაგვიანე შინ დარბეზება. ეს საკმარისი იყო, რომ ჯოჯობეთისებური რისხვით დამტყდომოდა დავს, „შენ არცხვენ მაშიშენის სახელსაო“ — ეს არის დედინემის მთავარი ფრაზა დედინემის, რომელიც ყურმოჭრილი მონაა მაშიჩემისა. ამის შემდეგ მე აღარ შეძარბეხე შენაღებობა სადმე მარტო წასვლისა. შინ ვიჯექი მარტოკა, ხელში წიგნი შეკირა, თვალებით ჩაცქვროდი ჩემთვის უაზრო სტრიქონებს, მაგრამ მთელი ჩემი არსებით ვუჭრობდი მხოლოდ შენზე, მხოლოდ შენზე.

ეხლა ხომ მიხვდი, რისთვის აღარ მოხერხდა ჩვენი შეხვედრა და გამოსალმება? მაგრამ მე ვგრძნობ, რომ შენ გინდა გაიგო უმთავრესად ჩემი გამგზავრების მიზეზი.

ეს გამგზავრება ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. ხომ გახსოვს, რა აღტაცებული ვიყავი თქვენი აგარაკით, იმ უმშვენიერესი ბუნებით, რომელიც მის გარშემოა. ამავე დროს გაგიცანი შენ. როგორ შემეძლო ყოველივე ამის შემდეგ ასე მოულოდნელად გამგზავრება! მაგრამ განა მე ვარ ჩემი ბედის პატრონი? ჩემს ბედს განაგებს მამაჩემი და მამაჩემიც ისე მოქმედობს როგორც უკანასკნელს ცხოვრების ამბები.

გუშინ შვიდღეთ მისგან სასწრაფო წერილი. მოკლედ მისი შინაარსი ასეთი: მენშვიტური ბონები დაეცა. ყველა გლახაკი და გაკოტრებული მილიონების პატრონია. ეს მილიონები ქალაქზე სწერია, ქალაქი კი არაფერი არაღირს. ეს ამბავი მე არ მომწონს. ქალაქში ხბები დადის, მალე არეულობა დაიწყება და ჩვენს მთავრობას ომი დასტორდებაო. ომი რომ დაიწყოს, ვხბები შეიკვრება და თქვენ მანდ დარჩებით. ამიტომ ამ წერილის მიღებისთანავე სასწრაფოდ წამოდი. ერთი დღეც არ გააცდინოთო.

ჩემო ნათან, ასე ეწერა მაშიჩემის წერილში, რომელიც მეხვიით დამეცა. დედაჩემმა ამოსუნთქვაც კი აღარ მაცალა, შეტკრა ბარგი, დაიქირავა ეტლი და გავემგზავრეთ.

ამ წერილს გიგზავნი გზიდან. სასტუმროში ვართ. დედაჩემს სძინავს და გარეთ განთიადი იწყება. ამ წუთებში ეწერ ამ წერილს. ასე მგონია, ეს განთიადი მხოლოდ მელანდება და ჩემთვის კი იწყება ბნელი ღამე, გრძელი და დაუსრულებელი. როდის გათენდება ჩემთვის?..

ჩვენ მხოლოდ ორი საღამო გავატარეთ ერთად. ნუ თუ ეს იყო დასაწყისი და დასასრულიც? ნუ თუ აღარ განმეორდება ეს საღამოები?

სადაც სულს ხვეულებში კიდევ ჰქვიაკავს იმედი, რომ ჩვენ კვლავ შეხვდებით ერთმანეთს. ნუ დამივიწყებ, ნათან. არც მე დაგივიწყებ. ტფილისში ჩასვლისთანავე კიდევ მოგწერ წერილს. მაშინ შენც მიპასუბე.

მე მგონია, რომ არაფერი არეულობაც არ იქნება და თუ რამე მოხდა, ოდესმე ხომ დაწყნარდება? მომავალ წელს ზაფხულზე ვეცდები კიდევ დავბრუნდე თქვენს აგარაკზე. მაშინ შესაძლოა უფრო ხშირ-ხშირად შეხვდეთ ერთმანეთს.

ამ წერილის უკანასკნელ გვერდზე ამზანაგების მისამართებია. მისწერე წერილები, გამოეხაურე. ტფილისში ჩამოსვლისას პირადი და საერთო საქმეებისთვის დაგვირდებიან, გამოგადგებიან.

ებლა კი, ნახვამდის ჩემო კარვო. იყავი ჯანმრთელი, მზარული და ენერ-
კით აღსავსე.

ჩვენ მხოლოდ ორი საღამო გავატარეთ ერთად. მაგრამ ეს საღამო
ჩარსებებს ჩემს გულში მარად, წარუშლელად. ნუ დაივიწყებ, მარტო
შენ, ამ საღამოებს.

ესთერი.

წერილის მეოთხე გვერდზე ჩამოწერილი იყო რამოდენივე მისამართი, მა-
გრამ ნათანს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მძიმედ დაეშვა ტახტზე და
ღრმად ჩაფიქრდა. ხოლო ამ ფიქრებს ხელს უშლიდა ერთი ფაქტი უმოწყალო
და გამოუსწორებელი:

— ესთერი გაემგზავრა...

პარასკევი იყო. ნათანმა იცოდა, რომ კვირის ყოველი მეექვსე დღე პარა-
სკევი იყო, მაგრამ ასეთი პარასკევი მას არასოდეს არ უნახავს.

ყოველთვის ამ დღეს დიდი ბაზრობაა. დიდი მოედანი სავსეა ხოლმე მა-
ზრებიდან ჩამოსული გლეხებით, სურსათისა და სხვადასხვა სანოვაგის გამყი-
დველი ქალებით, წვრილმანით მოვაჭრე ებრაელებით, ყასპებით და მექალაქ-
ნებით. დღემდის ყოველთვის გამყიდველები კულში მისდევდნენ მუშტრებს და
ჩხეჩხებოდნენ, რომ მათთვის რაღე გაესაღებინათ. დღევანდელი პარასკევი კი
დიდიდანვე უცნაურად გამოიყურებოდა. ხალხი თუმცა ჩვეულებრივად საკმაო
იყო, მაგრამ ეს ხალხიც უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებდა. მუშტარი ეძებდა
გამყიდველს, გამყიდველი კი თითქოს იმალებოდა: ფასები ადიოდა ზევით ყო-
ველ წუთში და ამიტომ გამყიდველი ცდილობდა საქონელი რაც შეიძლება შე-
გვიანებით გაეყიდა.

ყოველ მოსახვევში, ყოველ გზაჯვარედინზე, ყოველ გამყიდველთან იდგა
ორი ან სამი კაცი და საიდუმლოდ ჩურჩულობდნენ. მათი ჩურჩული რაღაც გაუ-
გებარ შიშს იწვევდა. იდგა ფუსფუსი, ჩქარი მისვლა მოსვლა, ნიკოლოზის წი-
თელი თუმბინანების, „კრქნკებისა“ და ბონების ტრიალა და ყოველივე ეს ისე
ზღებოდა, თითქოს ამდენი ხალხი ციებ-ცხელებას შეუპყრიაო. ფასები კი ელექ-
ტრონის სისწრაფით იზრდებოდა და იზრდებოდა.

ამ დღეს ისხაც ჯანაშვილსაც ედგა წვრილმანის მაგიდა მოედანზე, მაგრამ
იგი ცაიელი იყო და ზედ არაფერი ელაგა. თუ რაღე ჰქონდა, მაგიდის ქვეშ
ამოედო. თვითონ კი იდგა დაფიქრებული და უქებროდა გარშემო მოუსვენრად
მოფუსფუსე ხალხს, მან შეამჩნია ნათანი რომელიც ხალხში იდგა, და ყურს უგ-
დებდა ბაზრის ორომ-ტრიალს.

გაუყვირდა და დაუძახა. ნათანი მივიდა მამასთან.

— რატომ არ ხარ შეილო დღეს გიმნაზიაში?

— დღეს სწავლა არ იქნება. გიმნაზიაში უნდა შევიკრიბოთ საათის
თორმეტზე. შემდეგ უნდა მოვიდეთ ისევ აქ. მოედანზე მიტინგი უნდა გაიმარ-
თოს.



— ვერ არის, ნათან, კარგი ნიშნები.

— მე კი არაფერი მესმის რა ხდება გარშემო. იი. თუნდაც შენ, მაშინემო, რისთვის დაგიმალა ეს წვრილმანი და არ ჰყვინძი?

ისხაკმა ნელა გაიცინა.

— ეპ შეილო, არა მყავებარ ვაჭარი და როგორ ავიხსნა? შენ სხვა გზა გაქვს არჩეული. ღმერთმა ხელი მოგიმარჯვოს. მე კი უსწავლელი კაცის პერობაზე-მანც ვცდილობ ფრთხილად ვიყო და ოჯახს ყელი არ გამოვკრა.

— თუ წერიმალი არ გაჰყვინძე, ფულს ვინ მოგცემს?

— იი შეილო, ყური მიგდე. საქონელი არასოდეს არ დაჰკარგავს თავის ფასს. ფული კი... ქალაქის ფსადაც აღარა ღირს. დილაზე რამდენიც არ დავაწყე საქონელი, სასწრაფოდ გაიყვინძე. რამდენიც არ დავაფასე—მუშტარბა უკან არ დაიხი და ნომცა. ფჯარაში ფული მიწყევია მილიონობით. ამდენი ფულის წაღება ხელით არც კი შემიძლია. ტომრით უნდა წავიღო. სასაცილოა. ისხაკ ჯანაშვილი, რომლის თანხა ხუთი თუმანი და შვიდი მანეთია, უცბად გახდა მილიონერი! ისხაკ ჯანაშვილი და მილიონერი! როტშეილდის ამხანაგი!

და ისხაკმა გულიანად გადინარბარა. შემდეგ ისევ განაგრძო:

— დღევანდელი მილიონი ქარის მოტანილია. ხვალინდელი დღე ისევ ისე გააქროლებს ამ მილიონს, რომ ერთი მანეთიც აღარ შემრჩება. მე ლარბი კაცი ვარ. სადა მაქვს მდიდრებზეთ იმდენი შეძლება, რომ გავანიაყო ჩემი უკანასკნელი წერიმალი? ამბობენ ომი დაიწყოს. თუ მართალია, მაშინ უფრო მეტი სიფრთხილე მმართებს. წადი შეილო გიმნაზიაში და მიხედე შენს საქმეს, მე კი აქ ფრთხილად ვიქნები. მამაშენი არაფერში არ მოტყუვდება.

ნათანი დაარწმუნეს რომ ომი დაიწყოს და ნათანსაც ექვი არ ებარებოდა რომ ომი მართლა დაიწყოს. მაგრამ ვინ ეომებოდა დემოკრატიულ რენშუბლიკას ეს კი არ იცოდა. ათანაირი ხმები იყო ზოგი ამობდა, სომხებიო, ზოგი რუსებს ასახელებდა და ზოგიც გაუბედავად ბალშევიკებს ასხენებდა. ხოლო რა კეკის ხალხი იყო ეს ბალშევიკები—ნათანმა არ იცოდა კარგად. მათ შესახებ მას ჰქონდა მეტისმეტად ბუნდოვანი წარმოდგენა.

გიმნაზიაში მისვლისთანავე ძვალში ეცა დირექტორის გრძელი და შავი ულვაშები. იგი ადიოდა კათედრაზე და გინაზიელებიც გაფაციცებით ელოდნენ მისი სიტყვის დაწყებას. დირექტორმა ნიშნებელთანად ჩაახველა და დაიწყო:

— მამულიშვილნო! ძეარფასო გინაზიელნო! სამშობლო განსაცდელშია!... შობდე შეტრდა, ჯიბიდან დეპეშა ამოიღო, მაგიდაზე დასდო და ისევ განაგრძო:— მოსულია დეპეშა თვითონ შინაგან საქმეთა მინისტრისგან. წითელმა იმპერიალისტებმა, ბალშევიკებმა მოულოდნელად გამოგვიცხადეს ომი და შეგო-სიენ საქართველოს საზღვრებს. ჩვენმა მამაკმა სახელოვანმა გვარდიამ ისინი კარგა შორს გადარეკა, მაგრამ საფრთხე მაინც დიდია. როგორც ცნობილია, ბალშევიკებს დიდი არმია ჰყავთ. სამაგიეროდ ჩვენს მხარეზე მთელი ბრწყინვალე ანტანტა. მათი და ჩვენი გვარდიის შეწყობით ჩვენ დავამარცხებთ მტერს. ქარბელო, ხელი ხმალს იკარა... გამოცხადებულია მობილიზაცია. თქვენ ყველანი ვალდებული ხართ ერთი კაცივით შეადგინოთ მოხალისეთა რაზმი და მიაშუროთ სახელოვან გვარდიას დისახმარებლად. თქვენ უნდა დაამტკიცოთ...



ამ დღეების შესახებ შემდეგში ლაპარაკობდნ, რომ იგი იყო გამეტების ფოსტით ჩამოტანილი.

ღარაჯმა ახალი დღეება შემოიტანა. დირექტორმა სიტყვა: *შესწავლა*, წიკითხა და გაფითრდა, შინაარსის დაფარვა უხერხული იყო. გაისწორა უღვაშები, გადახედა ახალგაზდათა აუდიტორიას და მძიმედ დაიწყო:

— სამწუხარო დღეება მივიღეთ. ტფილისი დაეცა. მაგრამ ეს გარემოება ნუ გაგიტეხთ გულს. მე ავინხნით ამის მიზეზებსაც. ტფილისი მტერს კი არ აუღია, არამედ ჩვენვე დავცალეთ. ეს იყო გენერალი კვინიჩაძის გენიოსური მოსაზრება. ტფილისის დაცლა საჭირო იყო სტრატეგიული მოსაზრებით, რათა უკან დახეკით საშუალება გვექნეს გამაგრებისა და იერიშის მიტანისა.

ჩააწმინდა, რადგან იგრძნო, რომ მისი სიტყვები აღარ იყო დამარწმუნებელი. ვიღამაც ნათანის გვერდით მწარედ ამოიკვნესა:

— ტფილისი თუ დაეცა, სტრატეგია რაღა საჭიროა?

ტფილისის ამბავმა თავზარი დასცა პატრიოტულად განწყობილ ახალგაზრდებს. აღუღებულნი გამოვიდნენ გარედ და გაემართენ შიტინგისკენ. გზაზე ერთი მოქალაქე შეეკითხა წინ მიმავალ გიმნაზიელს:

— მართლა აულიათ ტფილისი?

გიმნაზიელმა განრისხებით უპასუხა:

— პროვოკაციაა. არ გაბედოთ მაგის დაჯერება!

მოქალაქე დამშვიდდა და მათთან ერთად გაემართა.

შიტინგი უკვე დაწყებული იყო. შალალ აივანზე შემდგარიყო ვიღაც მაღალი კაცი, ყვითელ სათვალუბიანი, სუფთა საყელოიანი და უდიდესი პათოსით გაიძახოდა:

— იმხანაგებო... ბატონებო... მოქალაქეო... მუშებო... გლეხებო... ძმებო... მამებო... დედებო... დებო... მეგობრებო... მამულიშვილებო... ქართველო ხალხო და საქართველოს ყველა მეგობრებო! საქართველო განსაცდელშია. თავს დაგვესხენ ბალშევიკები. იცით თქვენ ვინ არიან ბალშევიკები? ისტორიას არ ახსოვს მათზე უფრო გაუაჩაღებული ხალხი. მაგათ გასძარცვენ და გააგვრანეს მთელი რუსეთი. ახლა განუზრახავეთ ჩვენი დაპყრობა და აწირება, სადაც ბალშევიკები შევლენ, ნაკარტუტად აქცევენ ყველაფერს. ანგრევენ სახლებს და ეკლესიებს. სწუვვენ ქალაქებს. არ ინდობენ არავის: არც ქალს და არც კაცს, არც დიდსა და არც პატარას. ჯერ სძარცვავენ მშვიდობიან მცხოვრებლებს და შემდეგ ყველას ყუღებს სჭრიან. წითელი ფერი მათი სასხლის სიმბოლოა. საქართველო უნ დათგაწითლონ, სისხლში უნდაღ ჩაახრჩონ საქართველო. მამულიშვილნო! ჩვენი სახელოვანი გვარდია იბრძვის მამაკად, მაგრამ მას სჭირია ზურგის გამაგრება, მას უნდა გამზინგება. ჯარი დამშუულია. საჭიროა სასწრაფოდ მივაწოდოთ სურსათი. მოვიწოდებთ სასწრაფოდ შეაგროგოთ ფქვილი, რათა დროზე მივაშველოთ. გლეხებო! კარგად იცოდეთ, რომ საშშობლოს ეხლა სჭირდება თქვენი დახმარება. თუ არ დაეხმარებით და ბალშევიკები შემოვიდნენ, ისინი არამც თუ ფქვილს არ შეგარჩენენ, არამედ სუყველაფერს გაგტაცებენ...

მოედანზე რაღაც ჩოჩქოლი იდგა. ვიღაც გლეხი წამოდგა წინ და დაბლბლან ამოიძახა:

— რას გვაშინებ კაცო! მოვიდნენ ის ბალშევიკები თუ მოვლინენ. რაც არაფერი გვაქვს, რას წაგვართმევენ! ეშინოდეს იმას, ვისაც კარაქი ნაკვანია. მას მიჰყავა მეორე გლეხი.

— ბატონო მოჭადაგე! ამდენი დაბრმავება და ხალხის დაშინება რა საუკიროა, შე გლეხი კაცი ვარ, მაგრამ ამდენი კი მესმის, რომ თავი არ მოგატყუებინოთ. მთავრობას ომი ჰქონდა სომხებთან, ასე არ იქადაგეთ დღეისწორს პარასკევს? ეს სომხები როგორ შესცვალეს ბალშევიკებში? არაფერი ომიც არ არის. არის აჩუქლობა. აჩუქლობა გამოიწვია ისევე თქვენმა უსამართლობამ. ხალხი დაიშმა გლეხი კაცი კიდეც უარეს მდგომარეობაში ჩავარდა...

აქეთ-იქით გაიშმა გაბრაზებულ კილოზე:

— შეაწყვეტინეთ, შეაწყვეტინეთ...

გლეხი კი მაინც თავისას არ იშლიდა და უფრო გაადთრებით განაგრძობდა:

— იმ ექ არის თქვენი ნაქები დემოკრატია. ეს არის თქვენი თავისუფლება. ჩვეები სიმართლე თქვენ პირს გწვევთ. ომი! ომი! გამოგვიჩვენეთ ყურები. თუ ომია, რისთვის დააპატიმრეთ ჩვენებური მუშები და გლეხები? რისთვის შეგეწინადათ ხალხის მრისხანებისა? ვაჰი ტყდით, რომ შენშევიკები არ ენდობით ჩვენს მასრას და ისე იქცევით, როგორც თქვენი წინაპარი მთავრობა იქცეოდა.

— დააპატიმრეთ... პროვოკატორია... პროვოკატორი—გაიშმა არეული ხმები.

გლეხი დააპატიმრეს. მიტინგი გრძელდებოდა...

შორიდან კანტი-კუნტად კიდეც მოისმოდა ციხისკენ მიმავალი გლეხის პროტესტი:

— არ დაუჯეროთ მაგ ყვითელ სათვალეებიან მატყუარას... არ არის ომი... არის აჯანყება... ვაღმარჯოს საბჭოებს...

სალამოზე, ისხაჯ ჯანაშვილი დაბრუნდა სალოცავიდან მეტად უხალისო გუნებაზე. ნათანი და ლიაც ჩაფიქრებული იყვნენ. სუფრა გაშლილი იყო. მაგიდაზე ენათ ორი დიდი სანთელი. სამხარეულოდან მოდიოდა შაბათის საქმელეების მადიანი სუნი. ისხაჯმა მეტად მონოტონური მწუხარე ხმით დაიწყო:

— მალაზე ყელიონ... მალაზე შარეთ... ეჰ, ჩემო ცოლშვილო... ვინ იციან დღეისწორს შაბათს რანაირი შაბათი იქნება... მალაზე შალომ... მალაზე ყელიონ... მოდიან... მოდიან... ბალშევიკებო... დღეს იქადაგეს სულველას ყელებს გამოსტრიანო... ნუ სტირი, ლია. ისრაელის ღმერთი არ მოგვიძულებს... მალაზე შარეთ... კარგი, ჯეყოფა, შაბათს ნუ მიმწარებ... მალაზე ყელიონ... მალაზე შარეთ... მალაზე შალომ...²⁴.

— არა დედიკო, ბალშევიკებიც ადამიანები არიან. მთელი რუსეთი იმათ ხელშია. ცუდი ხალხი რომ იყოს, ამდენ ხანს ვერ გასძლებდნენ. იმათაც აქვთ თავისი პროგრამა, ასე თავგამოდებით რომ იბრძვიან. როგორ შეიძლება ტყუილბუბალოდ, დაერიონ მშვიდობიან მცხოვრებლებს და ყელი გამოსტრიან?—უთხრა ნათანმა დედას დასამშვიდებლად, მაგრამ თავითონაც ეპვი ეპარებოდა თავის ნათქვამში.



— მაინც რამდენ ხანს გასტანს ეს ომი? რამდენ დღეში შევოლენ აქ ბალშევიკები? — იკითხა ლიამ, რომელიც ცოტა დამშვიდდა მანანის სიტყვების შემდეგ.

— ტფილისი უკვე აღებულება, ასე რომ, თუ ჩვენი მთავრობა ვეღარ გაუმკლავდა, მაშინ ოთხ დღეში აქ იქნებიან. — უპასუხა ნათანმა.

— რა გადასწყვეტეთ ან რა გააკეთეთ გიმნაზიაში? — შეეკითხა ისხაკი ნათანს.

— მერვე კლასელებმა შევადგინეთ ადგილობრივი მოხალისეთა რაზმი. ხეაღიდან დაგვირიგებენ თოფებს და უნდა წავიდეთ საბრძოლველად.

ეს ამბავი ლიას ტყვიასავით მოხვდა, ისხაკი ჯანაშვილმა კი გაიცინა.

— ახლა კი მთლად წასული ყოფილა ეორდანიას საქმე. თავის სიცოცხლეში თოფი არ გჭერია ხელში და შენ უნდა დაამარცხო ბალშევიკები? შენი იმედი აქვს ჩვენს მთავრობას? ან შენი ამბანაგებისა? ძალიან იუღი იმედია, ჩემო ნათან. შენ არსადაც არ წახვალ. შინ იჯექი შენთვის. უშენოდაც მორიგდებიან მენშევიკები და ბალშევიკები.

ვანშამი უგემურად სკამებს. დაწვენი ძილი არ ეკარებოდათ. ფიქრობდნენ ერთსა და იმავე საკითხზე. შუალამე ვადანსული იყო. ქუჩიდან ალაპ ისმოდა მილიციელის სტვენა. ვარეშემო საოცარი სიჩუმე იდგა. ქუჩებში და სახლებში ჩამქრალი იყო სინათლე. მოედანი მაინც თეთრად გამოიკურებოდა. ანათებდა მის თებერვლის წყალნარევი თოვლი.

ლია ჰფიქრობდა ნათანზე.

ისხაკი ჰფიქრობდა ორივეზე.

ნათანი ჰფიქრობდა იმ გლეხზე, რომელიც შესაძლოა სიმართლისათვის დააბატონრეს. იგი ცდილობდა ვარკვეულიყო გლეხის სიტყვებში.

ჟღერო იყო, რომ გლეხს ჰქონდა ცოდნა და მწარე გამოცდილება. გლეხი ამართლებდა ბალშევიკებს და პირველად თავის ცხოვრებაში ნათანმა მწარედ ინანა, რომ დღემდე იგი არ იცნობდა ბალშევიკების პროგრამას.

— აქი შენ მომხადებული ხარ, ნათან? მაშ როგორ მოხდა, რომ შენ არ იცი რა უნდათ ბალშევიკებს? იმ გლეხმა იცის, შენ კი არა... ვინ იცის, იქნება ჩვენს მახრავიაც ის გლეხი მარტო არაა... იმასაც ჰყავს, მომხრეები... ერთი, ათასი, ათიათასი... გრცხვენოდეს, ნათან!

და ნათანმა ტუჩებზე მწარედ იკვნიტა. ვადანხდა თავის მშობლებს. ისინიც ნათანივით ფიქრებში იყვნენ ვართულნი.

მათი ფიქრები მოქლოდნელად დაარღვია ტყვიის მფრქვეველმა.

— სროლაა— დაიძახა ისხაკმა და წამოხტა. წამოხტენ ლია და ნათანიც.

სროლა ვრძელდებოდა. ტყვიები ზუზუნებდნენ და სახლები კანკალობდნენ.

— ნუ თუ ასე მალე მოდიან ბალშევიკები? — იკითხა ლიამ.

— არ მესმის რაშია საქმე— სთქვა ნათანმა.

— მე კი მესმის.— სთქვა ისხაკმა.— ესენი არიან ბალშევიკები. ხოლო შე მოვიდნენ არა ტფილისის მხრიდან, არამედ ვადმოვიდნენ მამისონის უღუღტეხილზე.

ფანჯრიდან არაფრის ვარჩევა არ შეიძლებოდა. მწელი იყო ვაკება სად იყო ბრძოლა და ვინ ვის ებრძოდა. ისხაკი შეუღდა თავღარიგს.

— ლია, შენ დამეხმარები, რომ ჩემი წერიმალე ავიტანოთ მაგალი სახე-
რავზე, შენ კი ნათან, იჯექი აქ და არ გაბედო გარედ ვასვლო. კარები ჩაკეტი-
ლა იყოს. თუ ვინმე მოვიდეს და დააკაკუნოს, არ გააღო. არც წამოიწყო ხანთო.
ისხაკო და ლია გავიდნენ. ნათანი მარტო დარჩა სიბნელეში. შვიდა ფან-
ჯარასთან. სროლა ისმოდა დროგამოშვებით. შორიდან აღწევდა მის ყურება-
დუ უცნაური ხმები. შემდეგ ერთმანეთში აირია ტყეის ზუზუნი, გაურკვეველი
ყვირილი, ბორკილების მტვრევა, ტანისცემა, დედის გინება, სირბილი და გა-
მარჯვებულთა ყოცინა.

ნათანმა უკვე გაარჩია, რომ მოედანზე შემოვიდნენ წითელი პრემიუმები,
რომელთაც ეცვათ რუხი ფერის შინელები.

ვილაც ავიდა სამაზრო ერობის შენობის აივანზე, სწორედ იმ ადგილას
სადაც დღისით მიტინგი იყო და ჩამოჰკიდა წითელი დროშა. შემდეგ გარკვე-
ვით გაიგონა სიტყვები:

— ძველი მთავრობა აღარ არსებობს...

ძლივს გათვრდა. ნათანი ველარ დამაგრდა და ძალით გამოვარდა ქუჩაზე.
ჭებდა ყელგამომპრელებს და ყელგამოქრილებს.

მათ მაგიერ დაინახა უბრალო მუშები, ნაცნობი მუშები, რომლებიც ქუ-
ჩაში მიაბიჯებდნენ დემონსტრაციულად და ხელში მიჭქონდათ დიდი, წითელი
პლაკატი ქართული წარწერით: «გაუმარჯოს წითელ მაზრას. გაუმარჯოს რევო-
ლიუციონურ კომიტეტს».

დემონსტრანტებს წინ მოუძღოდნენ წინადლით დაპატიმრებული გლეხი.

ტფილისი!

დიდი ხანია იზიდავდა ცენტრი ნათანს, მაგრამ მარტო სურვილი აქ იყო
საკმარისი. საჭირო იყო სათანადო პირობების შექმნა. პირობების შექმნა კი
არც ისე ადვილი იყო, როგორც მას წარმოედგინა. ამავე დროს უტფილისოდ
აღარ შეეძლო არსებობა.

ხშირად ჰფიქრობდა იმაზე თუ რა იზიდავდა მას ტფილისისკენ. გარკვე-
ული ჰქონდა სამი მოსაზრება:

პირველი — უმაღლესი სასწავლებელი.

როცა ნათანი შერეე კლასში იყო, მოუსწრო ვასაბჭოებამ. არ გამართლდა
მისი შიში, რომ ბალშევიკების ხელში ველარ დაასრულებდა გიმნაზიას. პირი-
ქით, კარგად დაასრულა. ნაფხულმა უფერულად გაიარა. შემოდგომაზე იგი აპი-
რებდა ტფილისში გამგზავრებას, მაგრამ ორმა გარემოებამ შეუშალა ხელი:
ისხაკ ჯანაშვილს უფრო გაუჭირდა მატერიალურად და ამავე დროს ნაკარ-
და ლოგინად. ასეთ პირობებში უნივერსიტეტზე ოცნებებაც კი აღარ შეიძლე-
ბოდა. ნათანს გაუტდა წელიწადი და დარჩა ისევ პროვინციაში. თავისუფალ დროს
იგი ანდომებდა თვითგანვითარებას. კითხულობდა ძველებურად, დაუღალავად,
შეუსვენებლად. კითხულობდა ყველაფერს, რაც ხელში ჩაუვარდებოდა, უსისტე-
მოდ. ეს ხაკლი შეამჩნია თვითონ ნათანმა. იგი კარგად გრძნობდა, რომ სწო-
რედ ეხლა, ამ ხანაში, მისთვის იყო საჭირო ნამდვილი პედაგოგი — ხელმძღე-
ნელები, რომლებიც მისცემდნენ სწორ მიმართულებას მის განვითარებას. პრო-
ვინცია ამოწურულა. იყო, ხოლო ტფილისი, შორს იყო, განვლო წელმა და გან-

ვლო მეორე ზაფხულშია. რაც დრო გადიოდა, ნათანიც თანდათან უფრო მეტას სიმწვეავით გრძნობდა, რომ როგორც თევზი უწყლოდ, ისიც იგი ვიღარ გასძლებდა ძველ პირობებში.

მეორე — ამიანაგები.

ნათანს ხშირად აოცებდა ის გარემოება, რომ მან გიმნაზიაში ვერ შექმნა ამხანაგების წრე. ამისი ბრალს სდებდა ხან თავის თავს, ხან გიმნაზიელებს, ხან გიმნაზიის ძველადვე განმტკიცებულ ატმოსფერას. რაც უფრო ხანში შედიოდა, თანდათან ჰგრძნობდა, რომ ძნელი იყო მართოდ ცხოვრება. საჭირო იყო ათასნაირად მოზღვაებული აზრები ვინმე შეგნებული ადამიანისთვის გაეზიარებინა. ასეთი ადამიანი კი მას არ ჰყავდა. ამიტომ დაეწაფა ის ხარბად იმ მისამართებს, რომელიც მას ჰქონდა. ზამთარში მისწერა წერილი ერთ-ორს. მოვიდა პასუხი სანუგეშო, გამამზნეველი. დაბეჯითებით სთხოვდენ, რომ მომავალი წელი მაინც არ გაცდინა და უსათუოდ ჩასულიყო ტფილისში. ყოველ შემთხვევისათვის ჰპირდებოდა ერთი ამხანაგი, რომ ღრობით აცხოვრებდა თავისთან. შემდეგ ამხანაგები ეცდებოდენ ეშოვათ მისთვის კერძო გაკვეთილები და იქნება, სამსახურიც, ასე რომ სულ მოკლე ხანში იგი აღარ იქნებოდა დაშოკადებული მამისაგან, პირიქით, თვითონვე დაეხმარებოდა ოჯახს. ნათანს აღწობდენ. ბევრი კარგი გაუგონიათ მის შესახებ. ასე სწორდენ ნათანს. ნათანსაც ახარებდა ეს გარემოება. განსაკუთრებით ახარებდა ის, რომ ამიერიდან იგი აღარ იქნებოდა მართო. მას ეყოლებოდა ამხანაგები, ნამდვილი ამხანაგები.

მესამე — ბრძოლა.

ბრძოლა საჭირო იყო. ეს იცოდა ნათანმა, მაგრამ პროვინციაში არ ჰქონდა ნიადაგი. პროვინციაში ისევე ძველი ყოფა-ცხოვრებით სუნთქავდენ. მისი პროვინციელი თანამოძმენი იყვნენ მორწმუნენი და ფანატრიკოსები. მათთან ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. კოჭლი მელამედის სული დაპფრინგვდა ებრაელთა ქუჩაზე და ნათანის უბრალო რაიმე განზრახვაც კი იქნებოდა უდაბნოში ძახლი. მხოლოდ! თვითონ ნათანს, რაღვინი დამკორება აუტანია თავის თანამოძმენისაგან მართო იმის გამო, რომ გიმნაზიაში სწავლობდა. ამიტომ ჰფიქრობდა ნათანი, რომ ახალი ყოფაცხოვრებისთვის ბრძოლის დაწყება შეიძლებოდა მხოლოდ ქალაქიდან, სადაც, თუმცა ცოტა, მაგრამ ასე თუ ისე, მაინც არიან ნასწავლი ებრაელები, სტუდენტები, ნათანის მომავალი ამხანაგები. ამ უცნობ ამხანაგებზე მას ჰქონდა ლეგენდარული წარმოდგენა. ყოველ შემთხვევაში მათზე ამყარებდა უდიდეს იმედებს. ეს იმედები კი მას ამხნეებდენ და უმატებდენ ენერჯიას მომავალი ბრძოლისათვის.

მეოთხე მოსახრება?

წელიწადზე მეტია ნათანი აღარ ჰფიქრობდა ამის შესახებ, უკეთ-არ სურდა ეფიქრა. ესთერმა არ შესარულა თავის სიტყვა. დიდხანს ელოდა ნათანი მის წერილს, მაგრამ ამაოდ. ნათანმა არ იცოდა არც მისი მისამართი, არც მისი გვარი. ნათანს არ შეეძლო გამოხმაურება, ხოლო ვისაც შეეძლო — ჩუმად იყო. ტანჯვაში, ათას ეჭვებში, გულისტკივილში გავიდა ექვსი თვე. ესთერის ხმა არ ისმოდა. არც არაფერი იყო რომ, ნათანს მისთვის გაეზიარებინა თავისი მწუხარება. მართო იხრჩობდა გულში ყოველივეს, იხრჩობდა გმირულად. ამ

დროს მოხდა გადატრიალება. ძველმა ქვეყანამ დაუთმო გზა აბაღ ქვეყანას. ნათანმა დაასრულა საშუალო სასწავლებელი. ზაფხულზე გუჯუსთან დასცალათ უცქეროდა ეტლებს და ავტომობილებს, მაგრამ ესთერი არ უყვარდა. ესთერი არ ჩამოსულიყო. მოაგარაკენი თითქოს ყველანი იყვნენ, მხოლოდ ერთი აკლდა—ესთერი. შემოდგომაზე გამოირკვა, რომ ნათანი ტფილისში ვერ წავიდოდა. ასე დაიღუპა უკანასკნელი იმედიც ესთერთან შეხვედრისა. შემდეგ დაიწყო ზამთარი-გრძელი, მკაცრი, ერთფეროვანი. გაზაფხულზე თოვლი დადნა და ნათანმაც დავიწყებამს მისცა წარსული, რომელიც მას ხშირად აგონდებოდა, როგორც ტბილი სიზმარი და განვლილი სიტყბოება.

ამ შემოდგომაზე ნათანს ოცი წელი შეუსრულდა.

ისხაკ ჯანაშვილი შედარებით გამოჯანმრთელებული იყო, სამაგიეროდ ნათანს ენუჯრებოდა შესუსტება, დაივადებდა.

წამალიც იყო: ტფილისი. და მშობლებმაც ძალაუნებურად გადასწყვიტეს ვაგეზავნათ ერთადერთი შვილი ტფილისში უმაღლესი სწავლის მისაღებად.

ერთ მოწმენდილ ნაშუადღევს, ნათანმა ხურჯინში ჩააწყო თავისი წიგნები, საბუთები და სხვადასხვა ქალიღლები. ლიამ დააცხო კად-პურები და დაწულ სულუგუნთან ერთად ხურჯინში ჩაუწყო. ისხაკ ჯანაშვილმა ვიბეში სიყვარულით ჩაუღო ერთი თვის სახარჯო; რომელიც მოაგროვა ძლივძლივობით მეზობლებში და ვაამხნევა აგრეთვე მომავლისთვის, რომ ვიდრე ცოცხალა—მიუხედავად გაქირვებისა—არ დაივიწყებდა თავის ძვირფას ნათანს და შეძლებისდაგვარად ყოველთვის გაუწედა მიმურ მზრუნველობას.

გამოსაღმება მძიმე იყო სამიფესთვის, მაგრამ ტირილით სტიროდა მხოლოდ ლია, რომელიც ეხვეოდა თავის შვილს და დაუშრეტელი აღერსით ეუბნებოდა:

— აბა შენ იცი... ჩემო ნათან... ჩემო სიცოცხლე... თავს მოუარე... არ გაკივდე... წერილები ხშირად ხშირად... მალმალე ჩამოდი ხოლმე... ბეჯითად ისწავლე... უნდა დიდი კაცი გამოხვიდე.

მოაგონდა ნათანს ის სიტყვები, რომლითაც ვაისტუმრა დედამ, როცა ბავშობისას მიაბარეს მელამედს:

— აბა შენ იცი, ჩენო ნათან, ბევრი თორა ისწავლე და დიდი რაბი გამოხვილა.

ერთ წუთს გაიფიქრა, ვაი თუ კვლავ გაუმტყუნო დედის იმედიო, მაგრამ მაინც იმედიანად შეხედა. გადაეხვია და მაგრად გადაჰკოცნა. შემდეგ დაჰკოცნა მამაც, გამოესალმა შეგროვილ მეზობლებსაც, მხარზე გადაიგდო ხურჯინი და მტკიცე ნაბიჯებით გაემართა ხიდისკენ. მალე მიეფარა მოსახევებს.

უფხი თუნდა გაველო ხამოცი ვერსი უახლოესი რკინისგზის სადგურამდე. ნათანი იმაზე არ ჰფიქრობდა. ჰფიქრობდა მხოლოდ თავის მშობლებზე, რომლებიც ამდროს, ბრუნდებოდნენ უკან, შინისკენ, აცრემლებული თვალებით.

5

... ევროპა—ხალციხელებს, აზია—ცხინვალელებს, აფრიკა—შტენაზებს, ავსტრალია—ლახლუხებს. ამერიკა?... ამერიკაც ხალციხელებს.—ასე სიტყვა მოგრძო სახის კაცმა, მწვანე თვალბიანმა და ინგლისურ უღვაშიანმა.



იმავე წუთს მოიტანეს უხარმახარი არწინები და მოღაზეს სასაღვრები. როდესაც მორჩენ საზღვრების შემოხაზვას, მოგრობო სახის ქაჯებს და დიდი ჯოხი და მით ანიშნა მთელ მსოფლიოს, რომ ის მომზადებული იყო მისი სიტყვის მოსასმენად.

მზადება იყო მეტად ინტენსიური.

თვალის დახამამების უმაღლესი შეიცვალა მსოფლიოს გეოგრაფიული ზედაპირი. მზეცხვებს დაევიწყდათ თავისი დანიშნულება და ზაფი შეჰკრეს სუსტ ცხოველებთან და ქვემძროხებთან. მათრ უფროსი იყო-ზუთი წლის ბავში.

დედამიწის მიმზიდველობის კანონმა დაჰკარგა ძალა და ადამიანები ისე თავისუფლად აღიოდნენ ჰაერში, როგორც კიბის საფეხურებზე.

მოედანზე დანიშნული იყო უდიდესი ზეიმი, ხალხი დაყოფილი იყო ოთხ ნაწილად და ყოველი ნაწილი მოთავსებული იყო მტკიცედ შემოთარგლულ ტერიტორიაზე, რომელთა გარშემო ამართული იყო მინის გალავნები. მინის ჰქონდა ფოლადის ძალა.

ჩამოვარდა სიჩუმე. ახალციხელების მშრიდან ჰაერში აეშვა გრანდიოზული ტრიბუნა. ტრიბუნაზე იღვა მოგრობო სახის კაცი, დიდჯოხიანი და მწვანე-თვალეებიანი. იმან გადახედა მთელ მსოფლიოს და შემდეგ დაიწყო ლაპარაკი. მისი ხმა არ ჰგავდა ჩვეულებრივი მომაკვდავის ხმას. ეს ხმა იყო ჭეჭაჭეხილი.

— დღეს ჩვენ დავწყავით მთელ მსოფლიო ოთხ ნაწილად. ყოველმა ხალხმა მიიღოს ის, რაც კანონით ეუთვნოდა. ვაიგონეთ და დაიხსოვეთ კარგად-ვის რა გერვოთ. ერთხელ და სამუდამოთ უნდა დავისწავლოთ ჩვენი საზღვრები. ეს საზღვრები მოხაზულია მტკიცედ. ყოველ ობშჩესტვას შეუძლია თავის სამფლობელოში შემოიღოს ისეთი წესები, როგორც მას სურს. მაგრამ ვაი იმას ვინც ვაბედავს ამ საზღვრებიდან გამოსვლას. ვაი იმას ვინც დაიბნევა და ვისაც აერევა გზები. იმათთვის გამზადებულია ათასი ვაგონი ჯინჰარი, რომელიც ინახება ჩვენს საწყობებში. ამიტომ, ვიდრე დავასრულებდი ჩემს სიტყვას, ერთხელ კიდევ გეუბნებით, რომ ყოველმა ისრაელის შვილმა იცოდეს თავისი ადგილი, თავისი ობშჩესტვა, არ გეგონოთ რომ მე გამომეპაროს რამე. უკანასკნელად გაფრთხილებთ: ყველანი თავიანთ ადგილებზე!

დედამიწაზე შეოქნა ჩოქოლი. ოთხნაწილად დაყოფილმა ზღვა ხალხმა უცბად შეამჩნია, რომ ერთი უცნობი ახალგაზდა არღვევდა უდიდეს წესს. ახალგაზრდა შეშინებული და აკანკალებული დარბოდა საზღვრიდან საზღვარზე და ვერსად ვერ მპოულობდა ბინას. არც ერთი ბანაკი არ იღებდა მას. ამდენ ხალხში წხოლოდ ის ერთად ერთი, არ ეგუთნოდა არც ერთი ნაწილს.

მწვანე თვალეებმა შეამჩნიეს იგი და მჭეკარე ხმა შეეკითხა ზვეიდან.

- ვინ ხარ შენ? ახალციხელი?
- არა.
- ცხინვალელი?
- არა.
- აშქენაზი?
- არა.
- ლაზლუხა?



საქართველო

— არა.

— მაშინ ვინა ხარ?

ახალგაზრდა ცახცახებდა და ენა ვერ ამოედგა. მწევანე მწიგნობრობის მამობის ფერდაკარგულ სახეს—შეუბრალებლად და უმოწყალოდ. ახალგაზრდას ეგონა, რომ მიწა გასკდებოდა და თან ჩაიტანდა.

მაშინ იგივე ზემოთური ხმა შეეკითხა მთელ მსოფლიოს:

— ვინ იცნობს მას?

— მე ვიცნობ.—წამოიძახა მოულოდნელმა სტუმარმა.

ახალგაზრდამ მიიხედა სტუმრისკენ. ჯერ დაინახა მისი გრძელი ყალიონი და მხოლოდ შემდეგ იცნო: კოკლი მელამედი.

კოკლი მელამედი ნელნელა აღიოდა ტრიბუნაზე. თითი გაშვერილი ჰქონდა ახალგაზრდისკენ და ასელის დროს გზაზე ნიშნის მოგებით იძახოდა:

— ეგ არის... ის ახალგაზრდა, რომელმაც წაიკითხა ბრაუდესის რომანი.

აღელდა ოთხივე ბანაკი. მრისხანე სახეები მიმართეს ახალგაზრდა დამნაშავესკენ, ხოლო მჭუბარე ხმა კვლავ შეეკითხა კოკლ მელამედს:

— რა ჰქვია მას?

— ნათან ჯანაშვილი.—იყო პასუხი.

ნათანმა იგრძნო, რომ ერთ წუთში მას გაჰგლეჯდა გამხეცებული ბრბო. დედამიწაზე არ იყო არც ერთი კუთხე, სადაც შეეძლო ენახა თავშესაფარი. მაგრამ უცბად მოისახრა, რომ დედამიწამ დაჰკარგა თავისი მიმზიდველობა და გადასწყვიტა ესარგებლა მისი სისუსტით: იგი ივიდა სასწრაფოდ ჰაერში.

ხოლო ასელის დროს მან დაინახა, რომ დედამიწას დაუბრუნდა მიმზიდველობის ძალა და ამრიგად ველარაგინ შესძლო მას გამოდევნებოდა. ჰქვეყნად აღიშარათა ტყეები, მთები, მწვერვალები. ზღვები და მდინარეები ისევ აივსო წყლით. შედაპირზე დარჩა დახოცილი თევზები და ხმელთაშუაზღვიდან გამოჩეული ტფილისელი ებრაელის გვამი.

ბრძოლა დაიწყო ჰაერში. ერთი მხრით უფიარლო ნათანი, ხოლო მეორე მხრით მწევანეთვალეებიანი კაცი და კოკლი მელამედი—შეიარალებულნი გრძელი ყალიონით და დიდი ჯობით.

ნათანს ჰაერში ძალღონე მოემატა და უცბად ეძგერა კოკლ მელამედს, რომელსაც გამოსტაცა ყალიონი და დასცხო თავში. კოკლი მელამედი ჩაეშვა დაბლა დედამიწაზე.

დარჩენ ორნი. ბრძოლა უფრო მეტის გამძაფრებით განახლდა. ყალიონმა გადატეხა ჯოხი, ჯოხმა ყალიონი. დარჩენ უფიარლოდ. იღგენ ერთმანეთის პირდაპირ და უქვეროდენ თვალეში. მაგრამ ნათანი ვერ უძლებდა მწევანე თვალეებს. ნათანის მხერა ვერ იყო გამძლე.

საოცრად მოქმედებდა მასზე მოწინააღმდეგის თვალეები, რომლებიც დაუნდობელი სისასტიკით აიარალებდნენ ნათანს.

და უცბად დაინახა ნათანმა, რომ მწევანე თვალეებმა საოცარი სისწრაფით დაიწყეს ზრდა. ერთსა და იმავე დროს პატარავდებოდა სხეულის დანარჩენი ორგანოები, ხოლო იზრდებოდა—თვალეები. უცბად გაჰქრა ტანი, თავი და დარჩა მხოლოდ ორი, უხარმხარო მწევანე თვალი. შემდეგ ამ თვალეებმა უცნაურად

გაიცნეს და ისევ დაიწყეს დაპატარავება. გარშემო ისახებოდა ადამიანის ახალი სხეული, ხოლო ეს ადამიანი აღარ იყო პირველი ადამიანი, მაგრამ საბისა და ინგლისური ულვაშების მქონე. ნათანის წინ იდგა ახალქალაქის მწვეანე და მოცინარი თვალებით.

— ვერ მიცანი ნათან? მე ესთერი ვარ.

— ესთერ?! მე შენ არ გიცნობ. რისთვის მოსულხარ? რა გსურს ჩემგან?

— მოვედი გაგაფრთხილო, რომ უმიზნო იყო შენი ჩამოსვლა ქალაქში. პაერში დიდხანს ვერ გასძლებ. ხოლო დედამიწაზე ადგილი არა გაქვს. რას იზამ ეხლა?

ნათანი გაოცებული შესცქეროდა, ხოლო ესთერი არ ეშვებოდა:

— რას შემომცქერი მაგ ველური თვალებით? განა მე შენთვის უცხო ვარ? მაშ რა დავგემართა, რატომ არ შეძლეე პასუხს? ეხლა რა უნდა ჰქნა, ნათან?

ნათანი აღელდა და შეპყვირა:

— რა უნდა ვქნა?.. თავი დამანებე, გესმის?.. რას ჩამაციედი?.. მომავლორე ეგ მწვეანე თვალები... განა მე კი ვიცი რა უნდა ვქნა?..

— როგორ არ იცი, შვილო, რა უნდა ჰქნა? ძილი გეყოფა. ეხლა უნდა ადგე, ხელპირი დაიბანო და ლოცვა იღო. შენ კიდევ გძინავს? მალე საცაა ხალხი მოვა სალოცავად და შენ, ასე წამოწოლილი გინდა რომ იყო? ადექი, ნათან!

ნათანმა თვალები გაახილა. თავზე დასდგომოდა ძია დათო. გაოცებული უცქეროდა მოხუცს. ჯერაც ვერ გამორკვეულიყო რა ემართებოდა. უაზრო, ღია თვალებით მიშტერებოდა და არ აპირობდა ადგომას, ძია დათოს კი აკვირებდა ნათანის საქციელი.

— თქვენს ჰევეყანაში ეტყობა ძილის მეტს არაფერს არ აკეთებთ. ხომ მხედავ თენდება და საცაა დაიწყება ქალაქის ხმაურობა. მე უკვე გაეასუფთავე ლოცვა, ეზო, დაეანთე ხანთლები და ეხლა ველი ხალხს.

ნელნელა ერკვეოდა ნათანი. მოაგონდა ღამით მოჩვენებული ამბები და ცივმა ოფლმა დაასხა. ვაიხედა გარშემო და დარწმუნდა, რომ მართლა თენდებოდა. წამოდგომა დაეზარა, მაგრამ მაინც შეინძრა წამოსადგომად. მაშინ ძია დათო მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და თითქოს შეიცოდა, რომ გააღვიძაო, და ალერსიანად უთხრა:

— იწექი, იწექი. ხალხი ჯერ ერთ საათსაც არ მოვა სალოცავად. მე ყოველთვის ადრე დავდივარ. დღეს კი ძალიან ადრე მოვედი, ჩვეულებრივზე ადრე. იცი რატომ? შენ დაგავიწყდა, მე კი მახსოვს. მე პატიოსანი კაცი ვარ სიტყვის პატრონი. ხომ გახსოვს წუხელის რომ ვითხარი, შენთან ბევრი მაქვს სალაპარაკო შეტქი? ამიტომ მოვედი თავის დროზე, ეხლა კი იმას ვფიქრობ, საიდან დავიწყო.

ნათანი შესცქეროდა და ვერ გაეგო რა უნდოდა ამ მოხუცს. ეს ისეთი წუთები იყო, რომ მას საერთოდ აღარ ფერი არ ესმოდა და ვერც ვაეგო სად იყო საზღვარი რეალობასა და მოჩვენებას შუა. თავი გაბრუნებული ჰქონდა და

ძია დათოს ლაპარაკი მას ესმოდა, როგორც გაგრძელება და მორიგი ეპიზოდი უკვე განვლილი კოსმარულა სიზმრისა.

— ეხლა დროება უკუღმავა შეტრიალებული. წინად ფეხიწმულს კაცობა ეთქმოდა, დღეს ნახევარი კაციც აღარაა. სამაგიეროდ ვინც წინაქმულს ნახავს იყო, დღეს დიდი კაცი გახდა. შენ კი ნუ გძინავს. აი ვერე იწეკი და კარგად დამიდგე ყური. მამაშენს ჩემი ამბავი ესსომება, მაგრამ შენ საიდან გეცოდინება, როდესაც დაბადებულს კი არ იყავი მაშინ! ჰეი გიდი, რა დრო იყო! როდესაც პირველად გადავიკიდე თოფი და ამაყად გავიარე ქუჩაზე, ყველას თვალი შერჩა ჩემზე.

— თოფი რათ გინდოდა? — შეეკითხა ნაძალადეგად ნათანი.

— მამ სტრატეგი საიდან ვიქნებოდი, თოფი რომ არ მქონოდა? ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გელაპარაკო, ჩემი ყველას ეშინოდა. ჩვენს ქვეყანას მაშინ შემოეჩვია ერთი სახელგანთქმული ყაჩაღი, რომელსაც მეტ სახელად „ვერ-დამიჭირე“ ერქვა. ძალიან მახერხებელი ყაჩაღი იყო. თავისუფლად დათარეშობდა, დადიოდა დუქნებში, სასადილოებში და მთავრობამ კი არაფერი არ იცოდა. გზაზე ვინც შეხვდებოდა, პირდაპირ მუსრს ავლებდა. მთელი მახრა იმის შიშით კანკალობდა. ამ დროს მახრის უფროსმა გამოაცხადა, იმის დამჭერს დიდი საჩუქარი მიეცემო. ყველა სტრატეგები დღედაღამე სულ იმას ვფიქრობდით, რომ როგორმე დაგვეჭირა „ვერ-დამიჭირე“. ერთხელ ლამია ჩემი მორიგეობა იყო. ქუჩაში ძალიან ბნელოდა. უბრალო ფარნებიც არა გვექონდა მაშინ. თანაც უმთვარო ღამე იყო. უცბად მაინც ვიგრძენი, რომ ერთ მალაზიასთან ვიღაცა იდგა. დაუყვირე: ვინა ხარ მეთქი. ხმა არ გამცა. მე მოვიმარჯვე თოფი და პირდაპირ მივედი. უცბად ის გაიძრა და ბნელ მოსახვევისკენ გაეარდა. მე დავედევნე და ორჯერ ვესროლე. როცა დაერწმუნდი, რომ იმას გაქეცვა აღარ შეეძლო და დაჭრილი წაიქცა, მაშინ მოვრთე კივილი; „ხალხო! დავიჭირე „ვერ-დამიჭირე“. მოვარდა აუარებელი ხალხი და მოიტანეს სანთლები. დახედეს და ასე მითხრეს: ყოჩაღ დათო, პირდაპირ გულში მოგიტყამსო.

— მამ შენ მოკალი ეს ყაჩაღი?

— არა, ყაჩაღი არ იყო.

— აბა?

— ვძრი... რას იცინი, მართალს გეუბნები, თორის მზემ. ნამდვილი ვირი იყო, დიდი, ოთხფეხა ვირი. უხარმახარი ყურები ჰქონდა. მე ეს ამბავი იმიტომ გვიამბე, რომ ვაივო რა კარგი მსროლელი ვიყავი. ღამე იყო, ბნელოდა, მაინც პირდაპირ გულში მოვარტყი! ხომ არის ეს ვაქცაცობა?

— დიდი ვაქცაცობაა. საჩუქარი მიიღე თუ არა? — შეეკითხა ნათანი დიმილით.

— ამის შემდეგ უფრო კარგ სამსახურში გადამიყვანეს. მამასახლისად დამნიშნეს და ჩამაბარეს მთავრობის ცხენები. უნდა გენახა რა ბიჭი ვიყავი, როცა ცხენზე ვიჯექი და მივაქუნებდი! შემდეგ როდესაც მამასახლისობას თავი დაეანებე, ჯამაათმა ერთხმად გაბიით ამირჩია. რას იხამ შეილო, ეხლა დროება წახდა. მენამე შეილად მეკუთვნის და ის კი პატივისცემის მაგიერ ქთანაირ შარებს მივონებს და ყოველდღე მეჩხუბება. დაივიწყდა ჩემი ძველი ამბები! ეხლა მე

შბრალო შიშაში ვარ, ის კი გაბაია. ამიტომაც—ძალა ჩემს ხელშია, შეზღუდვება და მეზღუდება.

—შინც რა გაქვთ ერთმანეთში გასაყოფი? ქართული

—აბა რა ვიცი. ისინი რომ სინდისით იქცეოდნენ, სინდისითვე უკლებაც არ იქნებოდა. დათხოვნილი ვცევარ, როცა ჩვენი კრება იქნება არ გაბეღო დასწრებაო. მე კი გული არ მითმენს. იმათ თუ უნდათ ხალხის სამსახური, მეც ხომ პინდა? ისინი თუ ეხლა არიან გაბაეში, მეც ხომ ვიყავი? როცა იმათ კრება აქვთ ხოლმე, გარეთ ყოფნა არ შემიძლია. ხან სანთელს ავანთებ და შევიტან. თუნდაც შუადღე იყოს, ხან დოქს გაევახებ წყლით და წინ დავედგამ ხოლმე. მე როცა შევდივარ, ხსინი მაშინვე ჩაჩუღებიან და ჩემს გასვლას უცდიან. მე განგებ ვაგვიანებ და არ გამოვდივარ ვიდრე არ დამიყვირებენ. მეც მაგრად მივაკუთხებ და ნელა გამოვდივარ, ყურები კი ისევ კარებისკენ მიჭირავს.

—შინც რა საინტერესოა იმათი კრება?

—როგორ არ არის საინტერესო? იქნება ჩემს ჯამაგირზე ლაპარაკობენ? მე ვერაფერს ვერ გამომაპარებენ. მე ისიც კი ვიცი გაბაი მენაშე როდის ქათამს სქამს და როდის ლობიოს.

ნათანაშა გაიცინა.

—რა გაცინებს? არა გჯერა? სწორედ ამიტომ მოსდის მენაშეს ჩემზე გული. ეს ამბავი იმ კვირას იყო, მენაშემ "შობუტს" ქათამი დააკლევინა. მეც იქ ვიდექი. ცხადი იყო, რომ იმ დამეს ვაბშად ქათამი ჰქონდათ. უჩემოდ რომ შეეკამათ, ღმერთი არმად შეარგებდა. მოვიმიზეზე ლოცვის საქმეები და ვეწვიე. კარგა ხანს ვიჯექი. მე წამოსვლას არ ვაპირებდი. შუალაშე ახლოვდებოდა. არც მენაშე აპირებდა ქათმის ამოღებას. შემდეგ ნელნელა დაიწყო ტანსაცმელის გაძრობა, ვითომ მანიშნა, ძილს ვაპირებო. მისმა ცოლმა ლამკასაც კი ჩაუწია, მე ქათმის ჯავრი მახრჩობდა და არ მივდიოდი. მაშინ მენაშე გაბრაზდა და მკითხა: ქვედა საცვალს მანამ არ გაეხიდი, არ წახვალო? მეტი რა გზა მქონდა, წამოვედი. გამოვედი გარეთ. მოვიცადე ათი წუთი და შემდეგ დავინახე, რომ ლამკას ისევ აუწიეს. შევიხედე ფანჯარაში: შემოსხლოვდნენ სუფრას და ამტვრევდნენ ქათამს, ველარ მოვითმინე, პირდამპირ შევალე კარები და შევედი. ისინი სახტათ დარჩნენ. მე კი უთხარი: არა გრცხვნიათ უჩემოდ, რომ ქათამს მიირთმევენ მეთქი? ამის შემდეგ მეტი რაღა ეთქმოდათ, მიიშვიეს და მეც რიგიან პირიანად გამოვქეხი. მენაშე პირში არ შეუბნება, მაგრამ მე კი ვიცი, რომ იმ ქათმის ჯავრი დღესაც ვერ მოუწილებია.

ნათანი წამოადგა და აივნიდან გადაიხედა. თვალწინ წამოუდგა მეტის მეტად მიხვეულ-მოხვეული ქუჩა ღარიბი სახლებით. ეს სახლებიც ისე იყო ერთმანეთზე მიკრული, თითქოს წებო ჰქონდათ წასმული. მთელი ქუჩის სიგრძეზე მხოლოდ ერთი თეთრი სახლი გამოიქვირებოდა ამაყად, სუფთად და სამი სართულით.

—განა მარტო ეს ერთი ხეირიანი სახლია ამ ქუჩაზე?—იკითხა ნათანა.

—ხომ ხედავ. საიდან, უნდა ჰქონოდა ისრაელის შვილს კარგი სახლები? ზოგი ცხინვალისა და ჩიშოვიდან, ზოგი ახალციხიდან—ყველა ღარიბები და გაკოტ-

რებულეები. ეს ერთი კარგი სახლი გკუთვნის ახალციხელები-მთაქარა-გაბაის-
ბენიამინ ბერიძეს. ის თავისი მამა პაპით დიდი ხანია ცხოვრობს ტფილისში,
შეიძინა სიმლიდრე და იყიდა ეს სახლი.

—ამ ქუჩაზე მარტო ებრაელები ცხოვრობენ?

—თითქმის. ამიტომია, რომ დღემდის შერჩენილი აქვს ძველი ისრაელური
სახელი.

ნათანი დააჯივრდა ერთ სახლზე მიკრულ წარწერას და ძლივს წაიკითხა
არუსული წაშლილი ასოები:

„Петхайнская улица“.

მიინც ვერ გაიგო და შეეკითხა:

—რა ჰქვია ამ ქუჩას?

—ფეთხანინი. ხომ იცი რას ჰქვია ბეთ-ხანიმი? ჰო და, წინათ აქ ისრაელების
სასაფლაო ყოფილა. როდესაც სახლები გააშენეს, ეს სახელი დაურქმევიათ.

ნათანი ძალიან დააინტერესა ამ ამბავმა და ჩაფიქრდა. ძია დათო კი
თავისას განავრძობდა:

—ამდენ უსამართლობას არ შევარჩენ მენაშეს. დღეს უნდა გადასწყვიტონ
ჩემი საქმე. საცაა ჯამათი მოვა და პირდაპირ თემა-ზე²⁶ შევდგები და გამოვა-
ხადებ რაც ბიჭები არიან. შენ როგორ მიჩვენ ნათან?

ნათანს არ გაუგონია უკანასკნელი სიტყვები და ამიტომ ვერაფერი ვერ
უპასუხა. ძია დათომ თვითონ უპასუხა თავის თავს:

—ჯერ ჯამათს მოვახსენებ, და თუ აქედანაც არაფერი გამოვიდა, მაშინ
ერთი კარგი თხოვნა უნდა დამიწერო. მხოლოდ არ ვიცი, კავშირს მივსცე თუ
სასამართლოს თუმიკა—შენ თუ არ დავგზარება და ორ თხოვნას დაპიწერ,
ორივეგან მიწევ. ასე უკეთესი იქნება, სამაგიეროდ შენი ხუფა²⁷ როცა იქნება,
არ მოგაწყენ, კარგად ვიქვიფებ და კარგ დროს გავატარებ. ახლა წავალ ლო-
ცვას მივხედავ. საცაა ხალხი მოვა. შენ არ გეგონოს, რომ ჩემი სალაპარაკო გა-
ვათავე. მე ჯერ არც კი დამიწყია.

ნათანი დარჩა მარტო.

ქალაქი იღვიძებდა.

გუგუნებდნენ ქარხნის საყვირები. სადღაც შორს ამოდითოდა შავი კვამლი.
მეზოვე ქუჩას რწყავდა. გვერდით მიდიოდა გლეხი, რომელიც მიერეკებოდა.
მაწვნივთ დატვირთულ ვიჩებს. ვილაც განახშირიანებული ბიჭი, ჰყვიროდა:
„უგლი—უგ-ლიე“. შორიდან კი ღვე მთისმოდა მენაეთის ძაბილი „კრა...სინ...
კრა...სინ“.

ნათანი იღვა აივნის მოაჯირზე და უდიდესი ყურადღებით იცქირებოდა
დაბლა. ხალხი მიდიოდა სალოცავებისკენ. მიდიოდა ისეთი სიჩქარით და გაფა-
ციკებით, თითქოს ამაში იყო ცხოვრების მთავარი მიზანი, მთავარი შინაარსი.
მხარბეჭში ოდნავ—მოხრილი დანაოქებული ღარები ფართო შებლზე, მოგრძო
ცხერი, შავი და აბურძენული წვერები—აი როგორი სახეები მიბობდა ნათა-
ნის თვალის წინ.

იშვიათად ვისმე ეცვა სუფთად, ან ჰქონდა მთელი ტანსაცმელი/ სილო
 ყველას ჰქონდათ მკლავებში ტალღები³⁸ და თეფილინები³⁹

პატრდაპირ მდებარე ეზოში ქალები ასუფთავებდნენ ჩველანის ქუჩაშილიც
 ხუთგან იყო გაგლეჯილი და გამოყოფილი ჰქონდა კაკლის ოდენა თავები.
 გოგონა თოკზე გამოკიდებული იყო ვასისწობად დაგლეჯილი ხაცვლები. ფეხ-
 შიშველი და ქუჩუციანი ბავშვები გარბოდნენ იქვე შორიხალსს და უსაქმობით და
 სიმშოლით ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ. ეზოში იდგა ძველი დამტვერეული პირსა-
 ბანი, რომელსაც შემთხვევით ფეხი წამოჰკრა ერთმა ბავშვმა. პირსაბანი უარე-
 ხად გაიბზარა. მაშინ გამოვარდა ერთი ქალი და ბავშვს დაუწყაო ცემა. ბავშვის
 კივილზე მოვარდა დედა და ეძგერა მუზომელ ქალს. შეიქმნა ხელჩართული
 ბრძოლა. გამოვარდნა ქმრები, ნათესავეები. მოგროვდა აუარებელი ხალხი, რომელ-
 მაც ძლივს ჩააქრო „გაუთენებელი“ ჩხუბი.

მოძრაობა თანდათან უფრო შესამჩნევი ხდებოდა. ქუჩის ბოლოდან მოის-
 მოდა არეული ხმები:

- წაბლი! წაბლი! შემწვარი წაბლი!
- გოგრა! გოგრა! ეარენი გოგრა! გოგრაააა...
- ხინკალი! მოხარშული ხინკალი!
- ჩურჩხელა, ჩურჩხელა! კახური ჩურჩხელა!
- ღვინო, ღვინო! ქაშერი⁴⁰ ღვინო!
- წყალი, წყალი! ცივი წყალი! ტუნელის წყალი!
- შნურკი! კნობკი! ნევიდიმკი!
- ძია, ძია, ჩისტი! ჩისტი! შოიტა რა, მტვერი მოვაცილო!

და უცნაურად ეჩვენებოდა ნათანს ყოველივე. მას ესმოდა ეს ხმები რაღაც
 სხვანაირი სმენით. ეს არ იყო ცარიელი ხმები. ეს იყო თავისებური მუსიკა,
 თავისებური სიმღერა. ყოველ გამყიდველის ხმაში იყო რაღაც მწუხარე პანვი,
 მწუხარე და სპეციფიური, სპეციფიური და ჩამაფიქრებელი.

სალოცავის ეზოს ერთ კუთხეში მოგროვილიყვნენ ხუთიოდე ღარიბი ქალი
 და ელოდნენ ლოცვის გათავებას, რომ გაბაებიათვის ეთხოვათ დახმარება. იდგნენ
 მოკრძალებით, მორიდებით, რათა მამაკაცს არ შეჯახებოდნენ.

ნათანი ჩაუფიქრდა იმ გარემოებას, რომ ებრაულმა რელიგიამ თვით ღვთის
 სამსახურის საქმეშიც კი არ გაათანასწორა დედაქაცები მამაკაცებთან. დედა-
 კაცს არ შეუძლია მამაკაცის გვერდით ილოცოს. სალოცავში დედაკაცს აქვს
 თავისი საკუთარი კუთხე „ვაზართ-ჰანაშიმი“ რომელიც ძალიან ჰგავს თეატრის
 ქანდარას.

კიდევ ერთი ფაქტი აკვირებდა ნათანს, როდესაც უცქეროდა ამ მათხო-
 ვარ ქალებს: ებრაელი ღარიბი, რაც არ უნდა უჭირდეს, არ გადის ქუჩაში სა-
 მათხოვროდ. სალოცავს ამ დარგშიც ჰქონდა მონაპოლია.

ასე იდგა ნათანი კარგა ხანს, დაყრდნობილი სალოცავის აივნის მოაჯირზე,
 გართული იუდაიზმისა და მისი რელიგიის პრობლემებში და გაოცებული ფეთ-
 ხანით.



...—რას აპირობ ამიერიდან ნათან ჯანაშვილო?.. რამდენ ჯანს უნდა იდგე ამ შოაჯირთან და უტკირო სილატაკის, წარსულისა და სიბნელის წაშტყბს?... შენ უკვე ოცი წლისა ხარ, გესმის ნათან? შენთვის აღარავინ არ იზრუნებს, არც არავინაა ვალდებული. მამა? განა არ იცი მისი მდგომარეობა? განა იმან არ აიღო მეზობლების დიდი ვალი შენი გულისთვის? ეხლა შენ უნდა დაეხმარო მას. ეხლა შენი რიგია. გაჩერება არ ვარგა. ხომ ხედავ, ყველგან ბრძოლაა საჭირო—ბრძოლა საკუთარი არსებობისთვის, ბრძოლა სხვების არსებობისთვის, ბრძოლა ძველის აღმოსაფხვრელად და ახალი ცხოვრების შესაქმნელად. შენ ხომ შრავალი წლის განმავლობაში მოისწრაფოდი ტფილისისკენ? ხომ ხედავ, უკვე ტფილისში ხარ. ხომ იცი, რომ აქა გყავს ამხანაგები, რომლებიც ასე მოაჯთიმენლად ელოდენ შენს ჩამოსვლას? მამ რას გაჩერებულხარ, რატომ არ გაინტერესებ? იქნება ძია დათოს ამბები გაინტერესებს კიდევ? არა, შენ ეს არ გაინტერესებს. იქნებ გაწუხებს უფულობა. გზის უცოდინარობა, მისამართების უჭონლობა? არა, შენ ამაზე არა ჰფიქრობ. მამ რა დაგეშართა? რამ შეგბოჭა ასე ძლიერ? რამ გაგაკვირვა ამ განთაადზე? რამ მიიზიდა შენი ყურადღება ასე თავდავიწყებით? გსურს თუ არა გამოიფიხლდე, ნათან ჯანაშვილო?...

შინაგანმა მამამ გამოაფხიზლა.

შინაგანი ხმიდან ესმოდა გაურკვეველი მომავალი, სალოცავიდან—ლოცვის ხმები და ქუჩიდან—ლატაკი თანამომეთა ხმაური.

გადადგა ნაბიჯი, არ იცოდა საითკენ წავიდოდა.

ერთხელ კიდევ გადაიხედა გარშემო. და ამ წუთებში შეიგრძნო, რომ მან, ნათან ჯანაშვილმა, კარგად შეისწავლა ეს ქუჩა.

ქუჩას ეწოდებოდა ფეთხანინი.

ფეთხანინი იყო—ბეთ-ხაიმ.

ბეთ-ხაიმ კი იყო ძველი ებრაული სიტყვა, რომელიც ნიშნავდა სიცოცხლის სახლს.

ზოლო სინამდვილეში სიცოცხლის სახლი ერქვა...

ს ა ს ა ფ ლ ა ო ს.

(გაგრძელება იქნება)

მზ. სიტყვების ახსნა



- 1) ვაჟად - ქაკელია — „ჯამათის გამგეობა“, რელიგიური საზოგადოების გამგეობა
- 2) ყარბით — დღის შესამე ლოცვა — დაღამების დროს თქმული.
- 3) გაბაი — სალოცავის მამასაბლისი.
- 4) ყალხემ — შალომ — „მშვიდობა თქვენდა“, გ. ი. გამარჯვებით, ნაზვამდის.
- 5) ვეაია ბეაზარით აიამიმ — „და იქნება ბოლო დღებში“...
- 6) იეშაყია — ისაი.
- 7) აშქენაზები — ევროპიელ და საერთოდ დასავლელს ებრაელებს უწოდებენ „აშქენაზებს“ — განსასხევებლად აღმოსავლეთელ ებრაელებისაგან, რომლებსაც უწოდებენ „სეფარადებს“.
- 8) ნედაბა — დაზარება;
- 9) სანედაბო — დასაზარებლად.
- 10) ლახლუხა — ასე ეძახიან ტფალისში დამაზინვებით სპარსეთის ებრაელებს, რომლებიც ლაპარაკობენ თავისებურ სპარსულ-ებრაულ ჟარგონზე.
- 11) ქეთუბა — ქორწინების აქტი.
- 12) გეტ — განქორწინების აქტი.
- 13) შამაშ — სამლოცველოს დარაჯი.
- 14) შოლა — ნათლა.
- 15) თორა — ბიბლია
- 16) ბერაზა — რელიგიური კურთხევა, ხილის ტამის დროს ამოხენ ხოლმე.
- 17) ნეშამა — სული.
- 18) ლელ შხლომ — ღამე მშვიდობისა!
- 19) მელამედ — მასწავლებელი
- 20) კერო-შიკრა — პირველდაწყებითი საბუნებრივანგლო, ანბანის წიგნი.
- 21) თალმუდ-თორა — სასწავლებელი
- 22) აღეფ, ბეთ, გიმელ... — ანი, ბანი, ვანი...
- 23) ხედერ — პირველდაწყებითი სასწავლებელი.
- 24) თალმიდ — მოწაფე
- 25) ბარ-შიცვა — სრულწლოვანი (ებრ. რელიგიის გაგებით)
- 26) ეშეთ ხაილ — გმირი-ჭალი
- 27) მასეხეთ — ტომი
- 28) დიბრე-თორა — რელიგიური ჭადაგება, მოძღვრება
- 29) ლაშონ-ქაკოდეშ — „წმიდა ენა“ — ასე უწოდებენ რელიგიური პირები ებრაულ ენას.
- 30) ასურ — აკრძალულია
- 31) რეფუა — განკურნება (განკურნების ლოცვა)
- 32) იეშიბა — ბედების შემდეგ, უმაღლესი სასწავლებელი.
- 33) ვეაბთა ლერეხუხა ქამოხა — „გიგეარდეს შენი მოყვასი შენსავეთ“
- 34) პარასკეის საღამოს სეფრის ლოცვა.
- 35) შობეტ — ფრინველების და ცხოველების დამკვლელი — თანამგებობის პირი — მორწმუნეთათვის.
- 36) თება — სალოცავი ტრიბუნა.
- 37) ხუფა — ქორწილი
- 38) ტალეთ — მორწმუნეთა მოსახლამი ლოცვის დროს.
- 39) თეფილინი — შებლზე და მკლავზე წამოსაცმელი ნივთი — ლოცვის დროს.
- 40) ქაშერი — სფუთა, რელიგიის წესების მიხედვით დამზადებული.

საოკეანო თვატრის ქანდარიდან

მე ქანდარიდან დავუბრუნებ სცენას,
ვით თუთიყუში რგოლზე მთვლემარე.
ცუცხლი ედება ჩემს დაკრილ სმენას —
უფერტიურის ამოდის მთვარე.

მე არ მიაკვებს პარტერი შავი,
რომ იკლაკნება ქვევით, სიღრმეში.
სწეწავს ოცნებას ერთი საკრავი
ავარდნილ ხმების სუსხიან ტყეში.

და ეს საკრავი — წეროა ნახი,
ისვრის ნისკარტით ბგერებს გარეულს,
რომ გააგვიფოს მთელი დარბაზი
და შისცეს იგი გზას სიზმარეულს.

თავისი კრება თითქოს სპირიტებს
აქ გაემართოს ორკესტრის ბსკერზე,
და პაგანინი გაიჯირითებს
მიზრადიანი და მოალერსე.

თავის არიას გრგვინავს ფაუსტი,
მას ოქროსფერი უსმენს ქალწული.
მე ვალბურგიის ღამეს დაუცდი —
ამღერებული და ფერწასული.

რალაც სურნელი მატირებს ლურჯად,
ვით მოგონება გამქრალ წეროზე.
და ორკესტრიდან ამოდის ურჩად
მაღალი ია მაღალ ღეროზე.

ვეხები ყვავილს სველ წამწამებით,
მე რომ მეწვია ბნელ ქანდარაზე.
ჩემი ოცნებით, ჩემი წამებით
ვარ ნოვალისის მოასპარეზე.



ბუკინისტი

იგი ამბეურებს საექვო ქონებას.
საესეა წიგნებით ბალის მოაჯირი.
თითქოს მისცემია რალაც დალონებას
ეს დროკადასული მდღეშარე ვაქარი.

და ყვითელ წიგნებზე სცევივა უნუგეშოდ
ფერფელი შემოდგომის — ფოთლების ხმაურით.
ზამთარი წალეკავს ყველაფერს უხეშად,
ჯერ-კი შემოდგომა სდგას ვით აზნაური.

მუშტარი ძუნწია და იშვიათია.
იჭვე ეჯიბრება მთხოვარა აშული.
ირგელივ უცნობები ამოთ დადიან,
მტვერის ანგელოსი ცეკვავს განაშუქი.

მოდის ბუკინისტთან მოხუცი მგოსანი,
ჩუმად გადაფურცლავს სევდიან სტრიქონებს,
ამშვენებს ქარვების მას კრიალოსანი
და თვალკრემლიანი წარსულს მოიგონებს.

ბუკინისტს მოსტაცებს ძველ წიგნაკს ნიაფი,
გამოეკიდება ის „ყარამანიანს“,
მას გულში ჩაიკრავს ტრფობით და სიაფით
როგორც ადამიანს.

ის არის წიგნების ერთგული მსახური
და წიგნებს, საბრალო, კუბოში ჩაიტანს.
დაიძრა ცბიერი ღამე უსახური:
სიკვდილო პირშავო! მოდიხარ საიდან?

და როცა მოკვდება, როგორც ფრინველები
მას გააცილებენ წიგნები შრიალით,
რომ მისი საფლავის შეიქნენ მცველები
და დაავირგვინონ მისი ხეტიალი.

წყნეთის გზაზე



მე წყნეთის გზაზე შემოშალამდა
და ყოველივემ იცვალა ფერი.
თითქოს ბარიდან ზეცის თალამდე
გაიხსნა მიწის გული და ბსკერი.

მდეგებად დადგნენ ირგვლივ კლდეები
და გამოვიდნენ გონჯები გზაზე.
ქვევით ულრანი შავი ტყეები,
ერთი ვარსკვლავი ცათ აწვდილ მთაზე.

დაფარულ განძებს ვდარაჯობ ობლად.
შორს მონღოლების დაიძრა ზეაფი.
ისმის ცხენების ჭიხვინი სოფლად
და ნიბელუნგად მე ვიგრძენ თავი.

ვინ ჩამაბარა ამდენი განძი —
ოქრო და ვერცხლი, ლალი მრავალი?
მაგრამ არღვევენ ჯარები მანძილს,
ჩქარობს ლაშქარი — აქ მომავალი.

როგორც ტოტები სჩანან შუბები,
აი კიდევაც გაუარდა მეხი.
თუ არ გათენდა — დავილუპები:
ხევში მიპოვის წყნეთელი გლეხი.

ძირს სიბინჯის რისკსუბლია!

პირველი წიგნის დასასრული *

იმ ღამით ლადო გიგელიამ მტკიცედ გადასწყვიტა კომუნისტებთან თანამშრომლობა.

— ლადო თუ ახლა მოსულეირდა, ჩვენს ბედს ძალი არ დაჭყეფს. ცოდქმარს ჯამაგირი გვექნება,— ხარობდა მაშკო, რომელსაც სოფლის მასწავლებლის მცირე ჯამაგირით ოჯახი ძლივას ვაჰქონდა.

იმ ღამით მაშკოს ქოშების პაკობუკი შუალამემდე ისმოდა. ქმარს საგზალი გამოუწყო, შარვალზე მოშვებული ფოლაქები დაუმაგრა, წინდები გამოწმისა და იალონზე გაქათქათებული საცვლები მიართვა.

— ადექი, მოემზადე. ჩემოდანს მოუხერხე რამე. არ იკეტება და გზაში ყველაფერი გადმოვიცივდება. მე მალე დაებრუნდები;— დაუბარა ქმარს და ბირჯაზე გაეარდა დილიდან ადგილის დასაბეგებლად.

ლადომ საცვლები კი გამოიცვალა, მაგრამ ადგომის მაგიერ ისევ ჩაწვა და ჩაიფუტა.

— რა შვები კაცო! საცაა დილიდან ჩამოივლის, შენ კი ისევ ლოგინში ხარ?— შიშით მიადახა ბირჯიდან დაბრუნებულმა ცოლმა.

ლადოს ხელები კეფაზე შემოეკრიფა და ჰერს მისჩერებოდა გაშტერებული. სდუმდა, თითქო არც კი ესმოდა როგორ კაპასოადა ცოლი.

— წუხელს აქეთ რა ჯანდაბა აკიტყდა! სიმშლით გინდა ამოგეწყვიტო?! ამდენი სული რაფერ შეეეწიროთ შენს უკულმართ პრინციპებს! ნუ გადაიქეცი მძორად!

— ქალო!— ლადო წამოჯდა და მორჩილი საცვედურით დაწყლიანებული თვლები ცოლს მიაპყრო:— ცოდვა ვარ. შენ მაინც ნუ დამძახავ. სად წავიდე, ვის მივადგე! კომუნისტებზე ორა კეთილი სიტყვა წამომცდა და ალექსანდრე ლოლობერიძემ სამუდამოდ დამკარგა. ორიოდე ძველი მეგობარი კიდევ შემრჩა. ახლა ისინიც მომიძულებენ, როცა ვაიგებენ რომ მე ხელი გაუწოდე კომუნისტებს. ჯანდაბას, მომიძულონ! მე იმდენი გამბედაობა კიდევ მაქვს, რომ მათს

კილვას არ შევეშინდე. ჩემი ქვეყნის კეთილდღეობისათვის მე განვიტყობ ამ მსხვერპლს და ძველ მეგობრებს ჩამოგშორდები, მაგრამ ვინ ეტყვიან იმის თავდები, რომ ახლები ჩემს გულწრფელობას დაიჯერებენ და შეთქმულნი ვერცხვობოდ გამვერილ ხელს ზიზღით არ დახედავენ? ვინ გაიგებს, რომ დღევანდელ ლადო გეგელიას საერთო აღარაფერი აქვს იმ ლადოსთან, რომელიც ორიოდ წლის წინათ მოწაფეთა ანტისაბჭოთა გამოსვლას ამზადებდა. ძველი დაჯვარგო, ახალიც ვერ ვიწოვო, მაშინ ხომ პაერში ჩამოკიდებული დავრჩი და მთლად ამოვარდა ჩემი კაცობა!

„ამ ქვეყნად არაფერია უფრო საშინელი და საზიზღარი, როცა არც იქითა ხარ და არც აქეთ, როცა ძველიც ვაგრძელებ და ახალიც ზედმეტად ჩავთვლის. ჩემთვის, როგორც ყველა ხანშიშესულ კაცისთვის, სწარეა მეგობრების დაკარგვა. სტუდენტობის დაუფიწყარ ხანიდან მოყოლებული მათთან ერთად მიმუშავებია და შიბრძოლია. შე მზათა ვარ ეგ სიმწარეც ვიგემო, მაგრამ ისინი, ახლები, მიმიღებენ? წუხელ გული გამივლიჯა ამაზე ფიქრმა.

— მაშ სიმშვილით დავიხოცოთ! — დაიკნავლა ცოლმა, რომელმაც წუხელიცე გამოიანგარიშა რას შობმარდებოდა ქმრის პირველი ჯამაგირი.

ცოლის ასეთმა გაუგებლობამ ლადოს გული ატკინა.

ამ წუთში ყველაზე ახლობელი ადაშიანი ყველაზე შორს იდგა მისგან.

ამ დღის შემდეგ ლადომ უფრო მოიწყინა, ისევე ძველებურად შუბლგაუხსნელად იჯდა თავის აივანზე და ივანებდა იმერეთის შარავზეზე განიავებულ ახალგაზრდობას.

ხონელი ჩარჩები გულშოდგინედ აცალიერებდნენ მის ოჯახს. როცა ისინი ვსოში შემოაბიჯებდნენ, თითქო შიწა იძრაო, ლადო ისე გარეცხული გამოობოდა შინიდან. იგი ვერ უძლებდა ცოლისა და წამოზრდილი შვილების მოსაყვედურე თვალვებს.

... მოკვდი ლადო გეგელია. შენი დღევანდელი ცხოვრება მხოლოდ კვამლია იმ დიდი ცუცხლისა, რომელსაც ოდესღაც შენი ახალგაზრდობის იმედები ანთებდნენ. შენ ზედმეტი ხარ, ნაცარი ხარ, რომელიც უნდა აიწმინდოს ახალთაობის კვრიდან. ისინი უშენოდაც გასძლებენ! — ასე დრტყინავდა ლამლამობით მობუცი აგრონომი.

ბოლოხანში ლადოს ჩვეულებად გადაექცა ხონის ბალში ხეტიალი. ზურგზე ხელებდაწყობილი დაფაჩუნობდა ალიზით გადაყვითლებულ ბილიკებზე, სადმე შინს ყურში ჩაჯდებოდა და მიმღწარებული ხმით ემუსაიფებოდა ნაცნობ ვაჭრებს, რომლებიც წელს ბალში ბლომად ეყარენ და ჩოთქის მაგიერ შავ კრიალოსანს შარკვლავდნენ მოწყენით.

შინ მხოლოდ შუადღით შემოიხედავდა, აჩქარებით ისადილებდა და ნაცნობ ოჯახებში გარბოდა პრეფერანსის სათამაშოდ.

ერთხელ ლადომ თავის ჩვეულებას უღალატა და ადრე დაბრუნდა.

შეშინებული ცოლი კიბეზე ჩამოეგება.

— რა მოგივიდა? კაცის ფერი არ გაძვეს! გული ხომ არ გიწუხს? რამდენჯერ გითხარი, ეზოდან უხეფსოდ ნუ გადახვალ მეთქი.



— მიწებს, — ლადომ ძლივს ამოიბრუნა სული! — სიხარულით მიწებს! ნახე! — და აცახცახებული ხელით გაზეთი მიაწოდა.

გაზეთის შიდა გვერდები ტეხნიკურ კულტურებისათვის მხოლოდ მხოლოდ მხოლოდ.

აგრონომი მეთავერ კითხულობდა:

„საფეიქრო მრეწველობის განთავისუფლების საჭიროება უცხოეთის დამოკიდებულებისაგან და ბამბის ნათესების ფართობის შედარებით სიმცირე გვაძულებს ვეძებოთ ბოქკოვან მცენარეების ახალი სახეები.

„დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკები, სადაც ბამბა ნაკლებ მოსავალს იძლევა, ჩვენ ვერ ვერ გამოგვიყენებთ სხვა ტეხნიკური კულტურების გასაშენებლად და ეს იმ დროს, როდესაც იქ მშვენივრად ხარობს ქენდირი, რამი, ახალზელანდური სელი, კენაფი, და სხვა. ყველა ამათში ყველაზე ხელსაყრელია რამი, რომელიც მეტი რაოდენობის და შალალი ღირსების ბოქკოს იძლევა. ამიტომ მან უსათუოდ პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს“...

მეორე წერილი ასეთი მოწოდებით ბოლოვდებოდა: „ფართო გზა ახალ სართავ კულტურებს! მცირე შემოსავლიანი სიმინდი ძვირფასმა კულტურებმა უნდა შეცვალოს“.

მესამე წერილი კი იუწყებოდა, რომ ქუთაისის მახლობლად სოფელ კვახჭირში ეწყობოდა ამიერ-კავკასიის ქენდირ-რამის საცდელ-სამეცნიერო სადგური, რომლის მიზანი იყო ჯიშების გამოცდა და საბჭოთა მეურნეობებისთვის ნერგების მიწოდება.

კითხულობდა აგრონომი და წარამარა ისროდა თავის შენიშვნებს:

„სცდები, ჩემო ბატონო, მწვანე რამი სრულიად ვერ უძლებს მოყინვას!

„ეს კი სწორია...

„ვინ მოგახსენათ! ამაზე მეჩემი შეხედულება მაქვს და კიდევაც დავამტკიცებ“.

სალამო ხანი იყო, როცა გეგელიამ გაზეთი დაკეცა და თქვა:

— ასე მკონია ხელახლა დავიბადე. ჩემი რამი მეძახის, ისინი ვალდებული არიან მიმიღონ, მაშუშაონ. კომუნისტები ჩემს ოცნებას ანხორციელებენ. მე მათ ვესაქიროები.

და მოხუცმა აგრონომმა განკარგულება გასცა, რომ დაეღაგებიათ მისი სამუშაო ოთახი, რომელიც დიდხანია საკუქნაოდ იყო გადაქცეული.

ლადო იშვიათად შედიოდა შიგ. მიტოვებული ოთახი მანკომ მწნილისა და ყველის ზალმებით გამოტენა. როცა თებერვალში ყინვები დაიჭირა, კვერცხებზე დამკდარი დედლები სამზარეულო ფაცხიდან იქ გადაიყვანა. ახლად გამოჩეილმა წიწილებმა ლადოს საწერი მაგიდის ქვეშ გიმოიზამთრეს.

მეორე დღით მოხუცი აგრონომი თავის სამუშაო ოთახში ჩაიკეტა.

საჭირო იყო ყველაფრის თავიდან დაწყება:

მაგიდის უჯრებიდან უცხოეთის ფირმებთან მიმოწერა გამოქეჭა, თაროებზე დამტვერილი რეფულები შეკრება, ოდესღაც ჩაწერილი შენიშვნები შეარჩია და გაბურებული გულით შეუდგა იმ მოხსენების წერას, რომელიც მან საჭართველოს ვასაბჭოების მეორე დღესვე გაანადგურა.

მასში ერთხელ კიდევ გაიღვიძა ტეხნიკური კულტურების ძველმა მეოცნებემ.

ორი კვირის შემდეგ გეგელიამ მიწითმოქმედების კომისიის წევრული მოხსენება გაუგზავნა ახალი ბოქკოვანი მცენარეების შესახებ.

კიდევ ორი მოუსვენარი კვირა გავიდა.

პასუხის მოლოდინში დაჭიმული მოხუცი ქვადაყორეს ედებოდა.

ცდილობდა რაიმე ხელსაქმით გავესო ცარიელი დღეები, რომ მის ატოკებულ ნერვებს სიმშვიდე ღირსებოდა.

ხან გატყვევებულ ხეხილის ბაღში ფუსფუსებდა, ხან კარჩამოვარდნილ ჩემს აკეთებდა, და რაკი პასუხი იგვიანებდა, სახურავახდომ ფაცხას მიადგა და სხვის დაუხმარებლად ყაფრის გამოცვლას შეუდგა.

მისი ასეთი გამოაცოცხლება ყველას უკვირდა—მეზობლებს და შინაურებს.

სალამოზე მოქანცული დაეშვებოდა ლოვინზე.

— რომ არ დამიძახონ—გაუღელვებდა ერთა წამით და გაურკვევლობით გავწვალებული აგრონომი აკვიატებულ ექვებს ძილის წინ წიგნებით იშორებდა.

შესამე კვირა იწურებოდა. ერთ საღამოს ფაცხის სახურავზე აბობლებულა აგრონომი მისი ხნოვანობისათვის უჩვეულო სიჩქარით ჩამოიჭრა მიწაზე. ქიშკართან ფოსტალიონი იდგა. მოხუცმა დეპეშა ჩამოართვა, მაგრამ ძალი არ ეყო წაეკითხა. იქვე ჩამოჯდა და ისევ დამშვიდებული გასცქეროდა სივრცეს თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო.

მან მხოლოდ ახლა იგრძნო თუ რამდენად მოიქანცა ის ამ დეპეშის მოლოდინში. ახლა იგი ისვენებდა. მისი ბედი უკვე გადაწყვეტილია. დეპეშა ხელში უჭირავს. საკმარისია ოდნე გაშალოს და ცალი თვალთ ჩახედოს, რომ მისთვის გამორკვეული იქნება როგორ მოიქცეს დღეს: ან ყაფრების გამოცვლას მოათავებს, ან ისევ ბაღში დაიწყებს ლოლილს ხმაწართმეულ ვაჭრებთან და მის გულში ისევ ის საშინელი სიკალიერე გაემფლება.

გულმა ძგერას უმატა. სწრაფად გაშალა დეპეშა...

იმ საღამოს ლადო გეგელია არც ფაცხის სახურავზე ასულა და ილარც ბაღის ბილიკებზე გამოჩენილა.

ნაშუაღამევს იგი რბილად ირბეოდა მეორე კლასის კუპეში და, მატარებლის ბორბლების რიტმიულ ძაგძავში, თავის მწუხარე ცხოვრების განახლებაზე ოცნებობდა.

დეპეშა ამიერკავკასიის ქენდირ—რამის ტრესტისგან იყო.

აგრონომ ლადო გეგელიას სასწრაფოდ თბილისში იწვევდნენ.

მის მოხსენებაში ზოგი ისტორიული მომენტის გარდა, ტრესტისთვის ახალი არაფერი იყო, მაგრამ ამ მოხსენებამ, დიდის ცოდნითა და ენტუზიაზმით შედგენილმა, ტრესტს დაუმტკიცა, რომ საქართველოში არსებობდა ახალი სართავის მცენარეების გამოცდილი სპეციალისტი, რომელიც დღემდე სრულიად გამოუყენებელი იყო. ასეთი სპეციალისტები თავის-წონა ოქროდ ფასობდნენ.

ორი დღის შემდეგ აგრონომი გეგელია ამიერკავკასიის ქენდირ—რამის საცდელ-სამეცნიერო სადგურის ტეხნიკურ დირექტორად დანიშნეს. იგი დაუყოვნებლივ გაემგზავრა სოფელ კვახტირში სამუშაოების ჩასაბარებლად.

კვახჭირი წყალწითელას ფერდობებზე ძევს. სოფელს დასავლეთით სალორის განთქმული მუხნარი აკრავს. მუხნარსა და სოფელს შუა დედაცხებული ველია, რომელსაც წყალწითელა ორად ჰყოფს. ქენდირ-რამსს სადგურსს საცდელი ნაკვეთები ამ ველზე გააშენეს. იგი დაცულია ქარისგან და წყლისთვისაც ადვილი მისადგომია.

ველიდან სალორის ტყეში საცალფეხო ბილაკი მიიკლავება.

ეს ბილიკი მთავარ გზატკეცილს ქრის და დაღმართით რიონის სადგურზე ჩადის.

რიონის სადგურამდე მატარებლით მოსული ტარასი ამ ბილიკს გამოჰყვა და მცირე ხნის შემდეგ პირდაპირ ველზე ჩამოვიდა. ნორჩი ეკლით შემოფარგულულ მინდვრებს ტრაქტორებით აბრუნებდნენ. ტარასი მიხლობელ ტრაქტორისტს მიესალმა და გეგელი იკითხა.

— ესაა ახლა ავიდა ზევით. სათბურებთან იქნება;— გამოიხმაურა ტრაქტორისტი და შეგუთნეს მიუბრუნდა.

— ბარემ ეს ამხანაგიც მიაცილე და წყალიც ჩამოიტანე. მე მანამ სახთლებს დავებდავ, გაქუჭყიანებული უნდა იყოს.

შეგუთნემ დაკოტაეებული შარვალი ჩაუშვა, დოქს ხელი დაავლო და ტარასის გაუძღვა.

— აგერ თითონაც მოდის,— თქვა გამყოლმა, როცა ისინი მცირე აღმართს ასცილდნენ და დამტვრეული აგურით გადაწითლებულ ბილიკზე გავიდნენ.

ზემოთ, ბილიკის თავში მაღალი მოხუცი გამოჩნდა. ხელში რალაც ხელსაწყო ეჭირა და ჭაობაგად მოაბიჯებდა.

ტარასი მათკენ მომავალ მამამაცს დააკვირდა. მერე გამოიღო გადახედა და ურწმუნოდ კითხა:

— ნუ თუ ის არის?

— ვერ იცნობთ?

— როგორ არა. მე და ლადო ძველი ნაცნობები ვართ, მაგრამ—და ტარასი მოახლოვებულ მოხუცს გაკვირვებით ჩააკვირდა.

„სად ეს მოხუცი და სად ის ლადო, რომელიც მე შარშან ბირჯაზე ვნახე!—გაიფიქრა მან და მაშინაც კი, როცა აგრონომი ხმაურით მიესალმა მის და მოკითხვების კორიანტელში გახეია, ტარასის მაინც არ სჯეროდა, რომ მის წინ ლადო გეგელია იდგა.“

„რა რიგად გადასხევაფერებულა! ისე მინეთ გამოიყურება, თითქო ერთბაშად წლები განახევრებოდეს“.

რალაც შინაგან სიხარულს უპეებიდან დაქანებული ლარები აუწმინდავს და ჩაეარდნილი ლაწები გაუფსია! მთელი მისი ტანი ახალგაზრდული ჯანსაღობით სუნთქავს. სადღაა ის უმწეო იერი და მიმღნარი ხმა, რამაც შარშან ტარასის გული შეუმცირა.

— როგორა ხარ ჩემო ტარასი? კარგია რომ გაგახსენდი და მინახულე.

„წითელ ვარსკვლავში“ წავიკითხე, არტელი მოგიწვია, ძალიან გამებარდა. ჩვენ აქ იმისთანა მცენარეებს ვაშენებთ—რამსა და ქენდირს—რომ მათ მარტოხელა გლეხი ვერ ენდობა. ტენიკურ მცენარეებს სამეურნეო არტლები-

მისცემენ გზას—სხაპასხუპით ისროდა გვეგელია, ანჯღრევდა ტარასის და იცი-
ნოდა ბედნიერი სიცილით, რომელიც უწინ ტარასის არსებობდა და გავეგონა
მისგან.

— კარგათ ვარ. შენა? თუმცა რაღა კითხვა გინდა!—ბუტბუტებდა ტარა-
სი და გააბალგაზრდებულ აგრონომს მიუხვედრელი შესცქეროდა.

სული მოითქვეს. პირველი შეხვედრის სიხარული მოინელეს და წყნარი
მუსაიდით ბილიკს გაჰყვენ.

— გიკვირს რომ ეგრე გამოვიცვალე?

— მიკვირს კი არა, ქუჩაზე რო შემხვედროდი, აღბათ გვერდს ავივლიდი.

— ჩემო ტარასი, მეც ველარა ვცნობ იმ ლადოს, რომელიც შენ გახსოვს.

ჩემს თავს ყველასთვის დაკარგულად ვთვლიდი, მაგრამ ბედმა არ გამწირა
აი,—მოხუცმა ტარასი რამისა და ქენდირის სათბურებთან მიიყვანა. გადამწეა-
ნებულ ყუთებს თავზე დაადგა და ხმადამლა განაგრძო:—აი ამით შემარიგეს
კომუნისტებთან. ვისაც ეს მკენარე უყიარს, მეც მათთან ვარ, სიკვდილამდე
მათთან ვიქნები. მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი გამოცდილება დროებამ არ ჩამიკ-
ლა და მუშაობის საშუალება მომცა. ორ წელიწადს აქაურობას ისე ავაყვავებ,
რომ ევროპელებს თვალს დაუჰყვენებ. ვინც ამ სუბტროპიკებს აფასებს, ჩემი
სამშობლოს მოკეთეა.

— მოკეთე თუ პატრონი?—გაუღიმა ტარასიმ.

— პატრონი?—აგრონომში კობი შეიკრა:—პატრონიც ის უნდა იყოს,—
გაუბედავიდ დაუმატა მან.

— განა ჯერ არ არის!?—არ მოეშვა ტარასი.

— თავი დამანებე, შენი ჭირიშე. რა ჩემი საქმეა პოლიტიკა! შენ ის მკით-
ხე, სად რომელი ჯიში მოვაშენო. ამაში არ შეეცდები. პოლიტიკაში კი ორივე
ფეხით კოჭლი ვარ, კოჭლი!—სიცილით აიციდინა ლადომ ტარასის შეკითხვა და
საუბარი შეცვალა:

— ვაფრე, ბარნაბსეული ბალი თქვენთვის გადმოუციათ. ძალიან ბალია
თუ მოფელით.

„სიტყვა ბანზე ამიგდო. ეჭვი არაა, სულით და გულით ჩვენთან არის, მაგ-
რამ ქვეყნის პატრონად მაინც არა ვვთვლის“.—გაიფიქრა ტარასიმ და ბალის
წახდენა აუწყა.

— მეტი არაა ჩემი მტერი, ჩვენ მისგან ნაყოფის იმედი არა გვემდებს.
მთელი არტელი შემოგვხვეწა. იქნება ერთი დღით მოიცალო და რაიმე გვისა-
შველო, რჩევა-დარიგება მოგვეცე. ჩვენები ისე გულგატეხილად არიან, რომ
ხვალ ზეგ ბაღში საქონელს მოაბალახებენ.

— ერთი პირობით ტარასი,—მზიარულად იეაწყვეტია მოხუცმა:—მამულ-
ში მუშა ხელი გვაკლია. რამდენი კაციც ვაგვზავნეთ, ეველა ხელცარიელი მო-
ბრუნდა, ან ორი-სამი მეურმე ჩამოიყვანა. ხვალ მე თითონ ვაპირებ, ეს ბერი-
კაცი, მუშა-ხელის მოსაგროვებლად ლოლიაღს. ზონის ახლო-მახლო სოფლებში
მიცნობენ, მენდობიან და ეგება ასიოდე კაცი ვიშოვო. დამეზარე, იციოდე კაცი
შენს სოფელში გამოიზინახე და შენი ბალისა მე ვიციოდე. ხვალ არა და ზეგ დი-
ლიდან საღამომდე შენს განკარგულებაში ვიქნები.

— ძნელი კი იქნება. ყველა მინდვრებზეა ვასული, მარა რამენაირად მოვახერხებ — შებირდა ტარასი.

— ახლა წაეიდეთ, რაღაც უნდა ვაჩვენო — ნახევრად სამხრეთისკენ მიმართა ლადომ სტუმარს და მკლავი ვაუყარა. ისინი სკოლის შენობაში შევიდნენ, სადაც დროებით სადგურის ლაბორატორია იყო მოთავსებული.

— ჯერ მოუწყობელი ვართ; ბინა არა გვაქვს. ეგ ერთი ოთახი ძლივს გამოვევლიჯეთ ადგილობრივ აღმასკომს. სკამიც კი არა გვაქვს, სტუმარი დავაჯინოთ; — ლაპარაკობდა ლადო და ოთახში უწყისრიგოდ მიყრილ მოხნა-ტომრებზე, ყუთებზე და საცდელ აპარატებზე უთითებდა.

ერთერთ ყუთს სახურავი ახადა. ყუთი უჯრედად იყო დაყოფილი.

— აქ ნაჩვენებია რამისა და ქენდირის ვადაშუშავების მთელი პროცესი. აი ეს მცენარის კანია პირველი დამუშავების შემდეგ. ხედავ რა უხეშია! — აუხსნა აგრონომმა და უჯრებიდან ნიმუშები ამოალავა. — ახლა ამისგან მიღებულ ბოქკოს დახედე, რა აბრეშუმის ელვარება და სირბილე აქვს. ეს ძაფია, აბრეშუმზე გაცილებით უფრო მაგარია და საღებავს შესანიშნავათ ითვისებს. ახლა ესეც ვასინჯე, — და ლადომ ბოლო უჯრებიდან ფერადი ქსოვილების ნიმუშები ამოაწყო. აქ იყო აბრეშუმის ატლასის და ჯეჯიმისნაირი ნაჭრები.

— ყველაფერი ეს დამზადებულია იმ კანიდან, რომელიც პირველად გიჩვენე, — თავმოშწონედ დაიტანა ლადომ და თვალი მიუჭურტა ტარასის, რომელიც ამ საოცარ ყუთს პირდაღებული დასჩერებოდა. იგი მოკრძალებით სინჯავდა მისთვის უცნობ და ღრმა საიდუმლოებით მოკულ საგნებს.

— აი, ბეჩა, რას ნიშნავს ტეხნიკა! — მხოლოდ ამის თქმა შეძლო,

— ესენი საზღვარგარეთული ნიმუშებია. მალე საბჭოთა კავშირშიც გამოვეშვებით ახალ ბაზზის ფაბრიკატებს. მოსკოვში უკვე შენდება პირველი საცდელი ფაბრიკა. შენ კოლექტივებს გაუძეხი, ჩვენ კი იმისთანა კულტურებს მოგაწოდებთ, რომელიც სიმინდზე გაცილებით ხელსაყრელი იქნება.

„გაისად ჩვენი სადგურიდან რამოდენიმე ათეული ათასი ნერგი შეესევა იმერეთისა და გურია-სამეგრელოს მინდვრებს. აი იმით გაუმარჯოს, — ლადომ ხელი ახლად გაშენებულ პლანტაციებისკენ გაიშვირა, — იმით, რაც სიმდიდრეს პირდება ჩვენს ღარიბ მურწნობას.“

ტარასი ჩათიქრებული უსმენდა აღტაცებაში შესულ აგრონომს. სანუკველ მუსაიფში ისე ვაერთო, რომ მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა მატარებელმა რიონის სადგურს მიაკივლა.

— დამავიანდება. საცაა ჩემი მატარებელი ჩამოიარს. — აჩქარდა იგი და აგრონომს გამოთხოვება დაუწყა.

— დაებერდი, გამოგყრუედი მე უბედურდ. ნამგზავრი კაცი მეწვია და საუხმის მაგიერ ფეხზე ჩამოვწყვეტე ლაპარაკით! — შეწუხდა გვეგლია და ტარასი თავის ბინაში შეიპატიჟა საპურმარაილოდ.

— რას ამბობ! რაც აქ ენახე და ვავიგონე, ჩემთვის პირდაპირ სასწაულია. შენთან საუბარი კიდევ მწყურია, მარა სამსახურის გათავებამდე ქუთაისში უნდა ვიყო. მიწვანში მაქვს საქმე. —

— ასე როგორ გავიშვა! ფეხზე მაინც გადავყლაპოთ თითო ურჯუა, — მივბაღა აგრონომი, მაგრამ ტარასიმ აღარ მოიცადა.

ბალი კიდევ შეახსენა და გამოეთხოვა,
წყალწითელასთან ტარასიმ მოიხედა.

ერკინულნი
გინებოდნენ

მოხუცი ლაბორატორიას ჰკეტავდა. აივანზე ერთხანს კიდევ მოსჩანდა მისი აწურული მხარბეჭი. მერე ეზოში გავიდა და ხეებს მიეფარა.

— ჩვენი ქვეყანა ასეთებსაც რომ აახალგაზრდებს?! შარშან შარვლის შებნევა უქირდა. ერთი შეხედეთ, როგორ კურდღელივით იღებს იმ უმოწყალო აღმართს! ორმოც წელს კალაპოტიდან ამოვარდნილმა იარა, ახლა კი თავის ადგილი მონახა და ბედნიერია. — ჩაილაპარაკა მან და მდინარის პირას დაგდებული სარი მოიმარჯვა შეუცვრელ ძელებზე გადასასვლელად.

ქუთაისში ტარასის სასიხარულო ამბავი ელოდა. მიწვანის გამგემ მიწათმოქმედების კომისარიატის ცნობა დაახვედრა, რომელიც იუწყებოდა, რომ კომისარიატი ტრაქტორებს ივლისში ელოდა და პირველ რიგში „კომუნისმის სამეფო“-ს დააკმაყოფილებდნენ, როგორც პირველ კოლექტიურ მეურნეობას დასაველით საქართველოში.

— მაღარიჩი შენზეა, მარა ეს მერე იყოს. პირველ რთველამდე გადროვებ. ახლა კი ტრაქტორისტი უნდა ვეძებოთ. თბილისში მოგინდება წასვლა. — უთხრა გამგემ.

— ქალაქიდან ტრაქტორისტის ჩამოყვანა ხელს არ მოგვცემს. იმდენი ქე სადა გვაქვს, რომ ყოველთვიური ჯამაგირის გაღება შეგვეძლოს. ათასი კრამიტი ვერ გვიყიდია, რომ ბოსელი გადაებუროთ.

— მართალია, გაგიჭირდებათ: ამიტომ აქედანვე იზრუნეთ, ერთი კაცი შეარჩიეთ და თბილისში გავზავნეთ სატრაქტორო კურსებზე. ერთი საკუთარი ტრაქტორისტი სამს დაქირავებულს გირჩევნოდეთ. იქაურზე უფრო ერთგული და შუყაითი იქნება.

— მეც ასე ვთქვობ—დაეთანხმა ტარასი და სოფელს მიაშურა.

... მეტი უბადლო ტრაქტორისტი იქნება. გერგლიანი და ბეჯითი კაცია. ტეხნიკა თავის ხუთი თითივით იცის. ოღონდ ერთხელ შეახედიე და ისე გადაიღებს, რომ ინტინრის გაკეთებული გეგონება. ჩვენი მქედელი აკი ჩასვა ხაფანგების კეთებაში. ახლა მისი ხელით ვამოკრილი თვლები ნახე?! ფაბრიკული გეგონება. მაგრამ რით გავამჯავროთ? ფული სად ვიშოვოთ? ის ბიჭი სულ ტიტევილია. ერთი ძველი ფარაჯა მაინც უნდა ჩაეცვათ. ახლა საგზო! ქალაქში ერთი-ორის თვის სახარჯო! სასესხებლად ვერავის მივადგები. ყველა აწრიალებული მყავს“.

ალვირმოშვებულმა ცხენმა იგრძნო, რომ პატრონი ფიქრებმა წაიღო, და ნაბიჯს უკლო, გზადაგზა თბრილის პირას ბალახს წიწკნა დაუწყო.

მკორე ხნის შემდეგ პატრონი ისე აივლო, რომ მინდვრებისკენაც გაუხვია.

— საით, აბო! — გამოერკვა ტარასი. ქუსლი ჰკრა და ამქნძულელებული ცხენი რბილ თოხარიკზე გადაიყვანა.

ბონდთან არტელის ქალების ხმამაღალი ყბედობა ისმოდა. ტარასის დანახვაზე ისინი ისე სწრაფად ჩაჩუმდნენ, რომ მიმაკაცმა მყისვე გუმანი აილო: ქალები მის ძრახვაში იყვნენ.

— ალბათ ნაკაფის თაობაზეა. ალბათ გაუქირდათ და წაგინებენ. მართალია, სად ქალი და სად იმისთანა წყვარამში მუშაობა!— გაუელვა ტარასის. ცხენი შეაჩერა და გასუსულ ქალებს მიესალმა.

— იცოცხლებ, — გულმოსულად მიამახეს ქალებმა.

— რაო, ქალებო! რა ადრე მიგიტოვებიათ ნაკაფი, დაილაღეთ?

დავილაღეთ თუ არა, ეს ჩვენი საქმეა. დღეის-აქვით ნაკაფზე ჩვენი ფეხი არ იქნება! — ჯიშკარიანის ცოლმა ქაქანიით გამოარღვია წრე და ტარასის წინ დონჯშემოყრილი დადგა.

— მაშ იმ კრებაზე რაღას დაიკისრეთ? — ტარასი ცხენიდან ჩამოხტა.

— რა დავიკისრეთ! ჩვენ ჯავნარში ეკლებით ხელპირი დავისხლდიანოთ, ზოგიერთის ცოლი კი შინ იჯდეს და ფერუმარულით ითხუპნებოდეს! ეს დავიკისრეთ? — აზრიალდენ ქალები.

ტარასის ვაეცინა.

— მერე ამისთვის რა გაჯანყებთ! გვითხარით, ვინ არ გამოვიდა და ჩვენ გამოვიყვანთ.

— ვინა და შენი ქალბატონი, — დაახალა ჯიშკარიანის ცოლმა.

— რითია ჩვენზე უკეთესი? — დაიწრობინა უშვერიძის უძლეო ქალიშვილმა და ყვარავით ხმელი სახე სიბრაზისაგან დაემანქა.

— რითი და თავმჯდომარის ცოლია. როგორ იკადრებს ჩვენს გვერდში ამოდგომას, — ხმა მიამშველეს ქალებმა.

— სოფო, — და წამოწითლებული ტარასი ჯიშკარიანის ცოლს მიუბრუნდა — ვთქვით ამათ არ იციან, რომ ჩემი დედაკაცი შეუძლოდ არის. შენ ხომ ყოველდღე გემაის მისი კრუსუნია?

— სატყვივარი მეც ქე მაქვს, — გამოხტა ვაშაკიძის ჯიშკარიანის ქვრივი დამარჯვენა ბარბაყი მოიწიშვლა: — გუშინ ნეკის ხელა ეკალი შემესო, მარა დღეს პირველი გამოვედი ნაკაფზე, თუ გავალთ, ყველა გავიდეთ, არა და — თავი მოჭლებული კი არ გვაქვს! ქილოფზე კოტრიილი არც მე მაწყენს.

— ყველა გამოვიდეს, ყველა, თორემ ნაკაფისკენ არც ვავიხედავთ! — იხუფლეს ქალებმა და გააგებული თვალები ტარასის გაუსწორეს.

„აგები, ველურები! — ტყვივლით ვაიფლო ტარასიმ. — შინიდან უთენია გავდივარ და ისე ვალამებ, რომ სახლში ერთხელაც არ შევიხედავ. სამი თვეა ჩემს ეზოში ბარა არ დამიკრავს, ერთი გადგმა ქეცების ფიჩხი არ მომიტანია. მთელი ოჯახი აუათნყოფ დედაკაცს დავაკისრე. ველარ გაუძლო, გახდა. ცხვირი ისე გაუთხელდა, რომ შიგ სინათლე გაატანს. ახლა ნაკაფზე კი არა, ერთი კოკა წყლის მოტანაც კი უჭირს, ოჯახი, ცოლი, ყველაფერი ამათ საქმეს ვანაცვალე ესენი კი იოტისოდენას არაფერს მითმობენ. ავადმყოფი ცოლი შინ დავტოვე და იგი წამომაკრეს. მუდამდღე წამომაკრავენ, საყბოდ გამხდინან. გლებებია, გააგებული გლებები! მეზობლის გაჭირვებაში თავისდღეში არ შეველენ.“ — ცხენს მოსართავეები გაუსწორა, უნაგირს მოახტა და ქალებს მკაცრად მიუბრუნდა:

— ნაკაფზე დაბრუნდით, ყველას გამოვიყვანთ.

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს და მძიმედ, უხასიათოდ ლეხიმურასაკენ დაიძრნ.

ტარასიმ მათ სევდიანი თვალი გააყოლა და ცხენი ფონში შეაგლო.

ტარასის ცოლი იბრეშუმის ქიას აპურებდა.

— რა პირით ვუთხრა?! — ფიქრობდა ტარასი და ცხენის დაბინძურებას განგებ აგვიანებდა.

სამი თვის განმავლობაში ავადმყოფი მინადორა ოჯახში მამაკაცის მაგიერობას ეწეოდა, მაგრამ ქმრის გასაგონად საყვედურის სიტყვაც არ დაცდენია. მხოლოდ ერთხელ, ვასულ კვირას, ტარასი შინ შეღვინიანიებული დაბრუნდა, მძინარე ცოლი გააღვიძა, გაეხუმრა და სააღერსოდ მიეძალა. ზუკუბ ქალი აქვითინდა:

— შე ურჯულო, ქალი ლანდად მაქციე და კიდევ ცოლობას მთხოვ! ნუ მაწვალებ, არ შ. შიძლია... და მუცელთან ათრთოლებული ქმრის მძიმე ხელი ზიზლით მოიშორა.

ეს ღამე ტარასის დიდხანს ეხსოვება. მისი მოგონება მთელ მის არსებას ატლახიანებს და საკუთარ თავს აზიზლებს.

იმ ღამით დილაშდევ ცოლის სასათუმალს უჯდა. გულაწუცებულ ქალს ეფერებოდა და ამშვიდებდა: ხელიდან ნახეიარ დღეს შინ დავჯდები, ბავშვების გარდა ყოველსავე საქმეს ჩამოგაცილებო, „ბოლოს და ბოლოს საკუთარ ოჯახს არტელს ხომ არ გადავყაობ?“ — ლაპარაკობდა ტარასი და იმ წუთში გულწრფელად სჯეროდა, რომ ხელიდან თავის ცხოვრებას გამოცვლიდა და ამიტომ დაპირებას არ ეშურებოდა. მაგრამ ინათა თუ არა, ცოლი არც გაუღვიძებია. არტელისკენ გაქანდა და შინ მაშინდა დაბრუნდა, როცა სოფელს სავახშმო მთვარე დააქათქათებდა.

ცოლი ღიმილით მიეგება, თითქო არც კი ახსოვდა მისი წუხანდელი დაპირება. ერთი გადაკრული სიტყვით ან პირქუსი გამოხედვითაც არ უხიზნებია ქმრისთვის, რომ იგი მისი გულმაფიწყობით იყო ნაწყენი. ცოლის ასეთმა დიდბუნევაობამ ტარასის გულა მისთვის უჩვეულო სინაზით შეატოკა. მან არ იცოდა ეს უცნობი გრძნობა ცოლისათვის. როგორ გამოებატა, და სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, კოკას წამოუსვა ხელი და უთხრა:

— სახელით წყალს მოგიხაზირებ.

— რა დროს წყალია, კაცო, ამ შუალამით? — და ქალის მოწყენილი სახე ოდნავ გაიხსნა შერიგებული კეთილი ღიმილით.

ამის მოგონებამ ტარასის ნაკაფიდან გამოქცეული ქალების გაბოროტებული სახეები მოავონა და გული მოეწეა.

„რა პირით ვუთხრა, ჯაგნარში ვადი-თქო? ასეთი უენო მაინც არ იყოს! დაბოროტილი ცხენი ეზოდან გადაუშვა და შინისაკენ წავიდა.“

— მინადორა, — გაბზარული ხმით დაიწყო მამაკაცი, — ქალები ნაკაფიდან გამოქცეულან.

— ვიცო, ჯიბუტი! გოგომ მომიტანა ამბავი.

— რატომო, არ გითხრა?

— არა, რა იყო.

— ჯანდაბა! ნაკაფი ერთ კვირაში უნდა გაიწმინდოს, თორემ თესვა დავვიანდებ და იმდენ შრომას ქარი წაიღებს. ქალები კი იძახიან, ნაკაფზე არ წავალთ, სანამ ყველა არ გამოვაო.

— მერე, — მინადორამ თუთის ფურცლების კრას თავი მიანიჭა და რაღაც კუდის მოლოდინში ქმარს ვაშშრალი მიანიჭრდა.

— ტარასი თავის ცოლს აბატეებს, ეზოდან არ უშვებს, ზღერს კი ვეარამში გადაგყარაო — და ტარასიმ მწარედ ჩაიციხა.

— შე რო პატივი და მოვლა მაქვს, მაგენს არ უსურვებ, ჩემს მტერს პკონდეს იმისთანა! — აცრემლდა ქალი.

— ვიცი, მაგრამ შენ შეისმენ. ჩვენებურების ამბავი ხომ იცი, რახან არტელის თავმჯდომარე ვარ, სულ ჩემსკენ არიან მოძუტურებული: აბა რას შევბაო, ხომ არაფერს გვატყუებს, ხომ არაფერს გვპარავსო, ჩვენზე მეტი ხომ არაფერი მიაქვსო. ჩემი ოჯახი მაგათ ეწირება, ისინი კი... ეს! სიღარიბე აღამიანს აბოროტებს. ბედნიერება მაშინ იქნება, როცა ქვეყანაზე მშოერი კაცი მოისპობა. შენი საცოდობა ცეცხლს მიკიდებს, ენა არ მემორჩილება რომ გითხრა... შენვე მიხედები, მიშველე მინადორა, რამენაირად გაიჭირე და ვადი. მაგენის ყბაშა ნუ ჩამედებ. ყბააღებულ ხელმძღვანელს მერე არაფინ დაუჯერებს. საჭიროა სიფხიზლე, რომ შიშველი კანი არ გამოპინდეს, თორემ გლება არ დაგზოგავს. მაშინვე გიკებენს. ხომ უყურებ, ავადმყოფი ცოლი არ დამითმეს. ერთი შეხედვით თითქო არაფერიცა, მარა ეს ამბავი თესვასაც ჩაფუშავს და მეც გამაფუქებს.

— წავალ, — მიუგო ცოლმა და ქმარს მოფერებით მოხვია ხელი, თითქოს ის ყოფილიყო სანუგეშო და შესაბრალებელი.

— დავტანჯე შე ოხერმა. რით გადავიხადო, რით? — წასწურჩულა მამაკაცმა.

ერთგული და უანგარო შრომით მექიმ არტელში იმდენი პატივისცემა მოიპოვა, რომ სატრაქტორო კურსებზე მისი ვავზავნა უკამათოთ გადაწყდა. ტარასი ხონში ვავარდა ფულის სასესხებლად, მარამ დრო დაკარგა შოლოდ.

— ვავიგონია, გროში ვერ ვავავებინე ვერაფის! — შესჩვილა ბაქუას, რომელიც ნაკაფზე ქალებს აწესრიგებდა.

ტარასიმ მოშორებით თავის ცოლა შენიშნა. გაჩეხილ ბარდებს ფიწლით ავროვებდა და კოცონს აყრიდა. თითუელი მისი მოძრაობა ტარასის ეკალივით ესობოდა. ანგარიშშიუცემლად ადგილიდან დაიძრა რათა მისულიყო და გულზე მიეკრა ის სათნო ადამიანი, მაგრამ ხალხის შერცხვა და თავი შეიკავა.

— საღამოს კომკავშირელები შეკრიბე. ერთი რაღაც მოვიფიქრე, ფულის წყაროა. — უთხრა ბაქუას. მერე ხალათი გაიძრო, თავზე ცხვირსახოცი გაიკრა და ნაკაფის მოსუფთაებული ადგილების ბარვა დაიწყო.

საღამოს აღმასკომში კომკავშირელები დაყვიანებით შეიკრიბნენ, ისინი ქარჩხაბს თესავენ. უკეთურ მიწას თავს აკლავდნ რომ თესვა ადრე მოეთავებიათ.

— როდის მოათავებთ? — ჰკითხა ტარასიმ და ქაღალდზე რაღაც გამოიანგარიშა.

— ორი კვირა კიდევ გვინდა.

— შეგძლიათ თუ არა რამდენიმე დღით სამი-ოთხი კაცი გაანთავისუფლოთ, ისე რომ თესვა არ დაგვიანდეს?

— რაზედ აწბობ!

ტარასი წამოდგა.

ფურ. „მნათობი“ № 1-2.

— მექის გასაგზავნი ფული ვერ ვიშოვეთ. ამჟამად კვანჭარის მკობრობა შეშახელს აგროვებს. რამდენიმე ურემი რომ გარე სამუშაოზე გავგზავნათ, იმ თანხით მექისაც ვავისტუმრებთ და კრამიტსაც შევიძენთ. უფროსებს კი ვიშვებართვ, წინდაწინვე ვიცი რომ ამიყაყანდებიან. ისევ თქვენ თუ ძინავენთა სსსაქებს. მე თქვენი იმედი მაქვს.

კომკავშირლებმა მცირეხნით მოითათბირეს, დღეებში გამოიჩინგარიშეს და ტარასის თანხმობა განუტყბადეს. ისინი ძალზე ნასიამოვნები იყვნენ, რომ ტარასიმ უფროსებს გვერდი შეუბრა და მძიმე სამუშაოს შესასრულებლად ისინი შეისახელა.

მეორე დღით აგრონომი გეგელია ჩამოვიდა.

ბალი დაათვალიერა, არტელის მიერ შებაღედ გამოყოფილ ნაფეტვარიძეს თაღების გამოყენება, სხვადასხვა ხსნარის დამზადება ასწავლა და ვრცელი რჩევა-დარიგება მისცა.

შუაღლით ტარასიმ გაღმელებიდან გქვის ურემი და ცხრა კაცი გაღმოიყვანა.

— ჩვენი არტელი ოთხ ურემს გაძლევს, თუ გეცოტავოს, ნუ დამენდურები. ვახურეშული თესვია, ესენიც ძლივს მოვაგროვებ.

— მართალი ვითხრა, არც ამის ნახევარს მოველოდი.—გაეხარდა აგრონომს:

— შებიამანი თუ მიგაკლდეთ, შემატყობინეთ, გამოვიგზავნით,—და დუქნებთან გაბაწრული ქარაიანი დასძრა.

ქარაიენის ბოლოში ბაჭუა იყო. თავის ურემზე მექი შემოსევა, ცაცხვის ტოტებიდან საჩრდილობელი გაიკეთეს, წამოწვენ და მუსაიფი გააბეს. კომკავშირის უჯრედის მდივანი თავის ახალ მეგობარს ლენინის მშოთვარე ბიოგრაფიას უამბობდა. მექიზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ლენინის დაქრა ახდენდა. იგი ისე დაწვრილებით ჩაკირკიტებდა თავდასხმის დეტალებს, რომ ბაჭუას საამისოდ არც მოთმინება ჰყოფნიდა და აღარც ცოდნა. დახუნდარას მაგიერ ახლა ბაჭუა იყო მექის დაუშრეტელი ცნობისმოყვარეობის საჯიჯგნავი.

ორი კვირის შემდეგ მექი დილიჯანში ჩასვეს და ქალაქისკენ გაამგზავრეს. მთელი არტელი აცილებდა. ახალ ფარაჯაში გამოჭიმული მექი ამჟამად მიამბიჯებდა დუქნებისკენ. ის ფარაჯა მექის ისე ასხვამფერებდა, რომ სოფლებს უკვირდათ:

— როგორ გადიდკაცებულა! ბედიც მაგას ჰქონია და ღმერთსაც მაგისტვის მოუტლია;

ის-იყო დილიჯანი დაიძრა რომ დუქნებთან აქოშინებული დახუნდარა მოძუნძულდა.

— ვაჟო, არც მნახე, ისე შიდიხარ? ხომ არას მენდური!—და ძველ მეგობარს ხელი გაუწოდა.

მექიმ ხელი არ ჩამოართვა, დილიჯანიდან გაღმოიხარა და ხმადამლა უთხრა:

— შენგან ბევრი კარგი მახსოვს, დახუ! მიყვარხარ. მიტინგზე არ გავეცი, დაგფარე; იქნება ცული ვქენი, მარა მაინც არ ვავიმეტე. მეგონა შენც ჩემსა-



ვით სწორ ვხას მონახავდი, შენ კი ისევ ერემოს ნაკვალევზე დადიხარ. / თუ ასე გაივრძელე, ჩვენი ამხანაგობა აღარ იქნება. ვერ შევეწყობი!

არახრახებულ დილიჯანს მტვერი აედევნა.
 — უკვე რეკავ, ვაჟო, არა! — წაიღუდლუნა გაწბილებულმა დახუნდაარამ.

სატურიას ქალაზე ზენა-ქარი ხმაურობს. ატრიალე-ს გუბისწყლის ნაპირებზე ჩაყოლებულ ტირიფებს, ატკაცუნებს კოპიტის კენწეოებს და მიწასთან ასწორებს თავნაყარ სიმინდს.

ღრიანცელით იჭრება გზატკეცილზე, ატრიალებს ძაბრივით ახვეტილ მტვერს და თვალებს უბრუცავს მინდფრიდან მომავალ ბარნაბას.

თხრილზე კოკინია კვერნაძე ვადმობტა.

— ეგება ცეცხლი გაქვს, დამიტოვე.

— სადღაც მქონდა. — ბარნაბა ჯიბეებს ისინჯავს: — ორი ღერი ყოფილა.

— შე გავკრავ. ქუდი მომაშველე. ნახევარი კოლოფი მივაწვი ამ მუდრევს, ესეც არ ჩამიჭროს. აი იცოცხლე!

კოკინიამ სიამოვნებით მოიხიდა გაჩალებული ყალიონი და განაგრძო:

— ხარები დამიხოცა ზენამ. ისე გააქევა მიწა რო სახნისმა ვერ მოიკიდა პირი. ჩემი დახუნული რო ნახო, ღორის აჩიჩქნილი გეგონება.

— ოხერი ქარია. მთლად შეძინგრია გულბოყვი, — დაუმოწმა ბარნაბამ, რათა მისი გულისწყრომა გაეზიარებია. სხვა მზრივ ზენაქარი არაფრით აწუხებდა მას. მისმა ღონიერმა ხარებმა და ქუთაისის ყაფნიდან ჩამორეკილმა სვანებმა თესვა და მარგვლა კაიხანია მოათავეს. ახლა საცაა ვენახის მოწამელას დაიწყებს.

— მუშაობენ? — იკითხა ბარნაბამ და არტელის ქალაზე ანიშნა.

— და მერე როგორ! ნამეტანი გააწიეს, ვერ გაუძლებენ.

— ვერ გაუძლებენ და მიაკვდენ, მაგათი აქ ჩამომყვანი დედის... — აცხატებდა ბარნაბა.

— ლეხმურას მისავალი გაკაფეს და იმისთანა ბოსტანი დათესეს რომ სანახავად ღირს, ვინ იფიქრებდა, იმ ჯაგნარს თუ მოერეოდენ; მარა აგო და სოფელი დაცინვით გვიყურებს, მტერი და მძრახავი ბეკრი გვკავსო და გალომდენ. თვალს ვერ მოაცილებ ისე შეხმატკბილებული მუშაობენ.

არტელის მუშაობით მოხიბლულ კოკინიას დღეს მეორედ ავიწყდება, რომ არტელის ქებით ბარნაბას იმდურებს და მწყალობელ ხელს ჰკარგავს.

— რაო, კოკინია, ძალიან მოგწონს? შესვლას ხომ არ აპირებ! — უკბინა ბარნაბამ,

კოკინია მიხვდა, რომ ზედმეტი წამოსცდა და დამარწმუნებლად მიაგება:

— მანამდე არაფერი მეტკინა.

— აბა, რამ შეგშალა ბოსტნის უნახავი ხომ არა ხართ?

ბარნაბა ამრეზილი შორდება კვერნაძეს.

მკერდზე ქარი ღონიერად სცემს, მუხლებს ართმევს, აჩერებს.

მხარბტში მოსხრეკლი ბარნაბა უფრო იკეცება და ქარს აწეება. დრო-გამოშვებით წინააღმდეგობა გამოეცლება და წაბარბაცდება.



ავობს:

— ჩადექი შე ტიალო!

...კოკინიაც მოხიბლულია, გუშინ სამარეს უთხრიდა, დღეს კი ჩემს მუშაობენ, თვალს ვერ მოაცილებო.

...გლები პატივისცემით ეპყრობა ყოველი კაცის პატიოსან შრომას. ბარელები ხედავენ არტელის თავგამეტებას და აზიბლებიან. ნდობის თვალით უყურებენ.

...ტარასიმ ჩაუდგა სული იმ წვინტლიანებს. იგი რომ არ იყოს... ვინ იგი?! ტარასი, —ყრუთ ჩაეშვა ბარნაბას შეგნებაში. შეკრთა, შეშინდა, რომ იმის გონებას მოულოდნელად რაღაც საშინელი აზრი აეკვიატა.

მყისვე მოიშორა. ცდილობდა არ ეფიქრა მასზე, რასაც მთელი მისი არსება შენატროდა: ტარასის სიკვდილს.

— იმუშაონ, იმუშაონ, — ფიქრი განაგრძო და გაუხარდა რომ ერთის წამით იმ საშინელი აზრის ტყვეობიდან თავი დაიხსნა.

— იმუშაონ, ოღონდაც აწი მაინც თავის კანში დაეტიონ. ჯერ ჩემთვის ყველაფერი არ დაკარგულა. მათხოვრად არ ავდგები: მომავალში მიცნო შეშავიწროებენ, მთლად ნუ შემიკრავენ ხელებს. იკმარონ რაც წაიღეს და ბარნაბა საგანელიძე ბედნიერი იქნება. იგი შეურიგდება ბალისა და ქალის დაკარგვას, ოღონდ აწი მაინც გაჩერდენ, გაჩერდენ!

უკანასკნელი სიტყვა უზომო ვედრებით ამოვიგინა.

მთელი სხეული ერთი მხურვალე სურვილით ეწვის; — გაჩერდენ — და უცებ მის გონებას განმანადგურებელი სიტხადე აპობს:

— არ გაჩერდებიან, არა!

...რა აყვირებს! შინდერებში მუშაობენ. ყურადღებას მიაქცევს. რატომ იხდის თავს სასაცილოდ!

ცდილობს დამშვიდდეს, და კვლავ შინაგანი ბიძგები აცახცახებს.

— არ გაჩერდებიან! მათი გაჩერება ბარნაბას მოძრაობას ნიშნავს. იმათ კი როდი სურთ, ბარნაბა მოძრაობდეს! შარშანაც ეგონა, გაჩერდებოდენ, — როცა ბალი ჩამოართვეს, მაგრამ მოსტყუედა. არც ახლა გაჩერდებიან, არა!

გმინავს და მთვრალივით მიქანაობს, გზატკეცილზე ძაბრივით დაგორგალებული მტვერი ტრიალებს. ქარი აყრუებს ბარნაბას ხმას, სახეზე მტვერს აყრის და იქეთ-აქეთ ახეთქებს.

შამაქაის მყერადში ქარაშოტი მძინვარებს. მისი გონება მთლიანად ნებდება მას.

ბარნაბა რაღაც საშინელს მოიმოქმედებს, უბედურებას დაატრიალებს. თავის კარმიდამოს ცეცხლს მისცემს, ტარასის მოკლავს და ტყეში გაიქრება. თავის თავიც გასწირავს და არც სხვას გაახარებს. სხვა გზა აღარ არის!

ბარნაბა ბონდზე სირბილით გავიდა და თავზე ხელალებული მიიქრა ეზოსთან.

ქიშკარს რომ აღებდა — მარცხნივ გარღვეული მესერი შენიშნა

ამ გარღვეულმა მესერმა მისი აფორიაქებული გონება ერთბაშად დააცბრო და იგი თავის საყვარელ სინამდვილეს და უბრუნდა.



— ეხ,—ნაღვლიანათ ამოიოხრა:—მარგველაძემაც რომ ^{წმიდო}ვერ დაუ-
ლღავს თავის ტახს! რამდენჯერ გავაფრთხილე!

კიშვარს მოშორდა. ახალუხის კალთები აიკეცა და ვაზ^{დავით}აშენურს სწო-
რება დაუწყო.

მერე უბიდან თბელი რვეული ამოიღო, კმაყოფილებით გადაფურცლა,
და ფარნას ეზოში გადავიდა.

ეგ ერთი ხანია ბარნაბა ყანიდან აღრე ბუნდება.

დილიდანვე მთელი სოფელი მინდვრებში იხიზნება. შინ მხოლოდ მოხუცები
რჩებიან

ბარნაბა და ფარნა ეზოებში დაძვრებიან და მხის ყურში გაფენილ ბებ-
რებს ებუტუნებიან:

— ხელი მოგვიწერე მეზობელო, ეკლესიის გახსნას ვაპირებთ. რომის პაპს
შემოუთვლია: ბალშენიკებო, ხალხს სარწმუნოება არ წაართვათ, თორემ მოვალ და
ცეცხლით და მახვილით შეგმუსრავთო. ბალშენიკებს შეშინებიათ და ყველა გა-
ზეთში—ჩემი თვალით წაეკითხე—გამოუცხადებიათ: ყველგან, სადაც სამასი
მორწმუნეა, ეკლესიები დახსენიოო. მარა ტარასის ენა გაუგდია—ჩვენ სოფელში
სამასი კი არა, სამჯერ ათი მორწმუნეც არ იქნებოა! ახლა ხელის მოწერას ვა-
ჯროვებთ. იმ იუდას ცხვირში მივახლი და ვუჩვენებ, ჩვენ სოფელში ქრისტიანე-
ბი უფრო მეტია თუ ბალშენიკები.

— ერთი ცისკრის ზარები გამაგონა და მერე დამშვიდებული ჩავალ სა-
მარეში:—ჩიფჩიფებს უკბილო ფარნა და ენის წვერზე დასველებულ ფანქარს
მოხუცებს აკანკალებულ ხელებს აჩეჩებს.

თბელი რვეული ჯვრებითა და იეროგლიფებისაირი წარწერებით ივსება.
დღესდღეობით ბარნაბა საგანელიძეს ეს აკანკალებული, ჯანდაცილი ხე-
ლები ვაჯეცის მკლავებს ურჩევნია.

— ოღონდაც ეკლესია გავაღოთ და, ხე-ხე, მაშინ ორი ბატონი ვიქნებით
სოფელში, ორი! აი მაშინ ვილაპარაკოთ.

მეორე დილით ბარნაბას ეზოში დიდი ფაციფუცი იყო. სამოც ჩაფიანი
ქური მოხადეს და მთელი ეზო დამპალი ტყემლის ფიცბი სუნით აყროლდა.

ღელესთან ვეება საარყე ქვაბები გაუმართავთ. ღელეში მოხუცი იულო
დგას და საორთქლე მილს მალმალე უცვლის საგრილებელ წყალს.

დახუნდარა ცეცხლს აწვებს. დროგამოშვებით საგრილებელ ყუთთან
მოიბრუნეს, ხელის გულში დამალულ კიკას მილს შეუყენებს და სულმოუთქმე-
ლად ულაპავს რახს.

ის უკვე მთვრალია.

— ბიჭო, გაციება მაინც აცალე! პირი მოკალღლი ხომ არ გაქვს, — იციანის
ღელის პირას ჩაცუტკებული თალიკო და ხვინკით გამორეცხილ ბოცებს წყალს
აქლებს.

— ე გოგო, — დახუნდარა ვედრებით აპარპალებს აპრელებულ თვალებს: —
რამე დასაყოლებელი მომირბენიე.

— აპა!

შუადღით, როცა რახის გადაბრუნება დაიწყეს, მოკიტანმა ცნობა მოიტანა.

— არტელში დიდი მზადებაა, მთელი ეზო და კიშკარი დროებით და ყვავილებით აუჭრელებიათ, თითონაც დაკობტავებულან და ქარგადაცდაბულე-ბივით მოედანზე გამოჯვიმულან.

— ვითომ რაო, რა ენახეთო!

— როგორც ყური მოგვარი, მგონი მექის ელიან ქუთაისიდან! კურსები დაუმთავრებია და ტრაქტორი მოჰყავს თურმე, მერე მინდორზე გავლენ და ხალხს შეაბედებენ, — როგორ ხნავს ტრაქტორი.

— მართლა? მეც წავალ საყურებლად, — წამოხტა თალიკო.

ბოცა იქვე მიავორა და აკეცილი კაბა ჩამოუშვა.

— სად წახვალ, შვილო? — შეკავებულა ნაღველით წარმოსთქვა ბარნაბამ და მოუთმენლობით აჩქოროლებულ ქალიშვილს თვალი გაუყარა.

— იქ, ტრაქტორზე იმდენ რამეს წერენ გაზეთებში რო... მინდა უნახო. — მორიდებით მიუგო მამის ხმით გაცივებულმა თალიკომ.

— წადი, დედაშენიც წაიყვანე! ყველა წადით! არ გამოაყლდეთ ჩემი მტრების ზეის და მხიარულებას. ნახეთ მამიშენის ქალას როგორ მოხნავს ის ტრაქტორი, ტაში დაუყარით, ტაში!

ბარნაბა წაშოდვა. ტურები შესამჩნევად უთრთოლავს.

— ბარემ მეც წამიყვანეთ, წამაქციეთ იმ ჩემს ქალაზე და ბელოტებში ჩამხანით, ჩამღწეო! რა ქალიშვილი მყავს! შე უღმერთო, ერთხელ მაინც ჩაიხედე მამიშენის გულში!

— მაპატიე მამა, შენი წყენა არ მინდოდა, წაშომცდა! არსად არ მივდივარ, — წაიჩურჩულა გულამომჯდარმა თალიკომ. კაბა სწრაფად აიკეცა და წაქცეულ ბოცას დასწვდა.

— მაშ მოდის და მოჰყავს?! — სიჩუმის შემდეგ ჩაილაპარაკა მასპინძელმა.

— შეხედე, შესახვედრად მიდიან — დაატანა ერემომ და კიშკრისკენ მიუთითა.

გზატკეცილზე დიდძალი ხალხი იძროდა. არტელის წევრებს გლებებიც შემოერთებოდნენ, წინ ნაფეტვარიძე მიაბიჯებდა დროშით. აქა-იქ ჯოხებზე გაკრული თეთრი პლაკატები გამოკრთოდა.

— შეკდარს რომ გაასვენებენ, იმისთანა ცერემონიით მიდიან! — თქვა მიკიტანმა რომ ბარნაბასათვის ესიაშოვნებია.

— სად ნახე რომ გასვენებაზე ამისთანა კრიმანჭულებს ამბობდენ! — დაცინვით შენიშნა მასპინძელმა.

მსვლელობამ ჩაიარა.

ღელის პირას სდუმდნენ.

— მაშ მოდის და მოჰყავს! — გაიმეორა სავანელიძემ და მოწყენით დაუშაბა: — დაელით.

თბილი არაყი წვალში ჩააცივეს. თალიკომ ჭიდი და ახალი მწვანელი მოიტანა.

არყისმზდელეებმა კილოფზე მოიკეცეს და სმა გაბურდა.

უცებ დახუნდარამ კისერი დაიგრძელა და შუბლზე ხელის გული მოიჩრდილა.



— ეს თუ ხელოვანი არაა, კისერი მომჭერთ!

— ისაა. გამოუშვით! — წამოვარდა გახარებული ბატონი მარტინი, დაუძახა.

„ყოჩაღი ბიჭი“ ქუთაისის გამსახლში იჯდა.

მიტინგზე ჩხუბის მოხდენისთვის მთავარი ხელოვანი მილიციონერის კინწურაშვილის ოთახში შეაგდეს გამოსაფხიზლებლათ.

დილით ხონში უნდა გადაეგზავნა.

ვათენებისას ლაზათიანად გამოძინებულმა „ყოჩაღმა ბიჭმა“ ოთახის კარი გამოტეხა, ხმაურობაზე გამოღვიძებული კინწურაშვილი კიბეზე დააგორა და გაქრა. კინწურაშვილმა არაფერს არაფერი შეატყობინა, მოახტა ცხენს და ორი დღის ტუნის შემდეგ ხელოვანს თავზე წაადგა ტყაირის დუქნებთან.

— სხვა დროს კიდევ რომ მოგეკალი, ხმას არ ვაგცემდი, მარა სამსახურის ასრულების დროს ხელი შემახე და ამას ვერას გზით ვერ გაპატიებ, მომკალი და ვერ გაპატიებ! წამოხუცი! — შეუვალად უთხრა კინწურაშვილმა და მისი მიმართვა რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო, ხელის შეუმჩნეველი მოძრაობით ხალათის კალთა აიკეცა და ჯიბიდან ტარამოშვერილი ნაგანი გამოაჩინა.

ნირწამხდარი ხელოვანი დაემორჩილა.

კომკავშირის უჯრედის მდიუნისა და მილიციონერის ვალახვისთვის „ყოჩაღი ბიჭი“ სამი თვით მიაბრძანეს გამსახლში.

საკანში გამომწყვდეულმა ხელოვანმა პირველ დღეს ტანისამოსი შემოიხია; მეორე დღეს შინიდან გამოგზავნილი ბალიში დაგლიჯა კბილით; საწოლზე მძვინვარებდა და ხრიალით ისროდა:

— გადაგიხდი, გადაგიხდი, დამთხვეულო ხრიკუნია!

ავონდებოდა მიტინგი: როგორ ვაამასხრეს საქვეყნოდ! ამპარტაფანი, სოფელში პირველ ბიჭად წოდებული ხელოვანი ვილაც ნაბიჭვარმა მეჭიმ ბავშვივით ჩაბღუჯა და პეტრუშქასავით წამოასკუპა მაგიდაზე.

— ეს რა გამიბედე, ნაბიჭვარო! ციხეში ჩამსვი?! გადაგიხდი!

მესამე დღეს გაყუნდა, მოთმინებით ელოდა განთავისუფლების დღეს. დღეს დილით გამოუშვეს და პირდაპირ სოფელს მოაშურა.

— როგორ ხარ? — მოიკითხა ბარნაბა.

ხელოვანი მხრებში აიწურა და პირქუშად ჩამოვდა ქილოვზე.

არაყს დედალა. ერეშო წავიდა. დახუნდარამ ქვაბებს ცეცხლი შეუკეთა და მიწვა. ქალები სადილის თადარიგს შეუდგენ. ვახურებულ მაერს გულმოდგინე კრიჭინები აელერებენ.

— ხმა ამოიღე, რა ცხვირპირი ჩამოგტირის! ქურდობისთვის ხომ არ მჯდარხარ! — შეანჯღრია ბარნაბაშ გაცბუნებული ხელოვანი.

— არაფერიც არ ჩამოგტირის! — გაჯავრდა იგი და წამოდგა.

— სად მიხვალ, აგერ მოისვენე. საცაა სადილიც მოგვისწორებს — შეეპატიე ბარნაბა.

— ჩვენები არ მინახავს. — და სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — თოფი შინა გაქვს? ცოტახანს ფანანებში გაევილი, გულს გადავყაოლებ.

— თოფი? სწრაფად ჩაჰკითხა მასპინძელმა და თვალი მუდღის გაუყარა. ხაყომიამ ხასე მოარიდა.

— წამოდი — მიხვედრილი მასპინძელი შინისკენ გაუწვდამოქმედლიდან ორლულიანი სანადირო თოფი ჩამოიღო.

— საჩიტე ვაზნები ვინდა თუ, — ბარნაბას სუნთქვა გაუქირდა: — თუ ძალიან მსხვილი ნადირია, მაშინ ეგ უკეთესია, — მოიხარა, ტახტზე გადაფარებული ფარდავის ყური ისწია და ბერდენკა გამოათრია.

— შენ რომ ნადირს ეძებ, იგი დღეს გუბისწყალთან გამოივლის. ისე ზვდებიან, თითქო გუბერნატორი მოდიოდეს.

— ვიცო. ცხედარს ჩამოასვენებენ. — ცივად მოსკრა ხაყომიამ და უკანა ეზოდან, ვენახით და ყანებით მოიპართა გზა.

მექის თავის დღეში არ უმღერია. ერთხელ სცადა ამხანაგებს აპყლოდა, მაგრამ ისეთი ყროყინი ამოუშვა რომ სირცხვილისა და გაკვირვებისგან თვალელები გადმოუყვინდა. თავის ხმისა თვითონვე შეეშინდა. მას ვერ წარმოედგინა თუ ასე ძნელი იქნებოდა სიმღერა.

ამ დილით კი მექი მღეროდა, გაბედულად, გატაცებით, თითქო სიმღერასთან იყო შეზრდილი.

როცა ორპირის ქუჩასთან გადმოუხვია და თვრამეტძალიანი ფორძონი თავის სოფლის გზატკეცილზე შემოაგრილა, ისეთმა სიხარულმა აიტაცა, რომ საკეზე ჩაფრენილ თითებში სისუსტე იგრძნო. მთელი მისი ტანი მანქანსავით ძაგაგებდა.

— ხრიკუნია, — იყვირა და თავი შეიქნია, თითქო ვინმეს ერჩოლო: — ხრიკუნია, შე უბედურო! ამას რას მოესწარი! ტრაქტორი მიგყავს სოფელში.

და მაშინ გადმოსყდა, — ჯერ ნაწყვეტად, მერე კი უზშირა, მომძლავრდა და მისი უცნაური, ყვირილისნაირი ბგერები არც ერთ კილოს არ ჰგავდა, როზელოც ოდესმე უმღერიათ იმერეთში.

ის იყო ბედნიერების ამოძახილი, რომელსაც არც სიტყვა ჰქონდა, არც კილო, და რომელსაც ვერას დროს ვერ გაიმეორებდა მეორე კაცი.

მღეროდა მექი. მღეროდა თავის განახლებულ ახალგაზრდობას. მისი უწყესრიგო, უხეში ბგერები შებაროდა სიცოცხლეს, უცინოდა მსუყე და ღონიერ მინდვრებს, ვალერსებოდა თვრამეტძალიან ფორძონს, რომელიც მორჩილად ძაგაგებდა მის ხელებში.

მექი, ბედნიერო! ოდესღაც ძალღთან გატოლებულყო, გამასხრებულყო მოჯამაგირევე, დღეს ქუთაისიდან ტრაქტორით ბრუნდები სოფელში. რას იტყვიან ნაცნობი ვოგო-ბიჭები, რას იტყვის სოფელი! კიდევ დამოძახებენ ხრიკუნიას? აწი თუნდაც დამოძახონ, არ მეწყინება. ვიცო რომ სხვაზე მეტი თუ არა, არავისზე ნაკლები აღარა ვარ.

მექი მღეროდა. ფარული სიამაყით შესცინოდა გზატკეცილის ორივე მხარეზე გაფენილ გლეხებს, რომელნიც უცნობი მანქანის დანახვაზე თოხნას თავს ანებებდენ და მანქანისკენ გამოაბოდენ.

• დღეს ყველას გააცდენს ჩემი ფორძონი, ნეტავი თუ მცნობენ?

მეჭის სული მისდობდა რომ ერთხელ მაინც ეყვირნა მათთვის.

... ეს მე ვარ, მეჭი!..

ველი გათავდა. გზატკეცილი სხტეებით დასერილ მინდვრებზე შექმნა.

მეჭიმ მანქანა დააყენა; გადმოხტა, მარცხენა ხელს გულზე ყაბალახის ყური დაიხვია და ჯიბის დანით სხტეებზე ჩაყოლებული გარეული ვარდები ასჭრა. დიდრონი თაიგულები შეკრა და ფორძანი გააწყა.

მღეროდა მეჭი.

თუ სადმე ლამაზ ყვავილს შენიშნავდა, კისრის ტეხით მირბოდა და ტრაქტორს ამკობდა.

გუბისწყლის ხიდთან მისი მანქანა ყვავილების უშეკლებელ მოძრავ ბუჩქს ჰგავდა.

— ესეც ხიდი, სოფლამდე სამიოდე ვერსილა დარჩა. რომელი გზით შევიდეს? რა თქმა უნდა, ჭალით. უფრო ახლოა. „მაგრამ არა, ფონზე გაველ. ზედ ერემოს დუქნის კარზე გავატარებ ტრაქტორს, თვალებს დავეფხვებ. დედას უჭირებ; ერთი რო შავი თვალით გადმომიედოს, მის დუქანს სულ ქია-ქია წავიღებ ჩემი ტრაქტორით“.

ხიდთან მიახლოებისას ტრაქტორი დაბალ სიჩქარეზე გადაიყენა.

გზაზეხულებზე ხიდის მისავალი წყალდიდობამ წალეკა, ამიტომ მისავალი ხიდის სისწორემდე აამალღეს, მაგრამ გასამავრებელი ყორეს ამოშენება ვერ მოასწრეს.

ხშირმა წვიმებმა მოუთავებელი გზატკეცილი ხელახლა ჩარეცხა და ისე შეავიწროვა, რომ აქ ორი ურემი გვერდს ვერ შეუვლიდი ერთმანეთს.

მისავლის მარცხენა მხარე ძალზე დაქანებული და ოღრ-ო-ოღრო იყო, ამიტომ მეჭიმ ტრაქტორი მარჯვნივ მიმართა და ოდნავ გადაიხარა ვარდის ტოტების გადასაწეად, რომელიც მას გვერდზე ხედვას უშლიდა... და უცებ ცივად გააეროლა და გაშეშდა.

ქვევით რიყზე, წისქვილის დანგრეული შენობა იდგა. მხოლოდ ერთ კვიტირის კედელი გადარჩენილია წლებსა და აედრებს.

მეჭიმ ნათლად დანახა რომ ამ კედლის ზემოთ თოუის ლულამ იელვა.

კიდევ შავი ქაჩორი შენიშნა.

— არ დამლუპო, თუ ძმა ხარ. — ამოიგმინა შიშით გაგიჟებულმა ტრაქტორისტმა და იმავ წამს რალაც არა-ბუნებრივად შეხტა და ტრაქტორიდან თავდაყირა გადმოეშვა. თან ვარდის ტოტებიც გაიყოლა, რომელსაც მისი თითები ვბლაუჭებოდა.

მეჭის სროლის ხმა არ გაუგონია, არც რაიმე ტკივილი უგრძენია პირველად, მაგრამ როცა ბერდენის ტყვიით ბარძაყგაგლეჯილმა ბიჭმა ჭრილობის გადასახვევად ხალათის გადაძრობა დააპირა, მთელ სხეულში საშინელი წვა იგრძნო და აკვნესდა.

„მომკლა იმ ურჯულომ“.

ჭრილობაზე უფრო შეტად გული ეწოდა. ძალიან არ უნდოდა სიკვდილი. სისხლიდან იწრითება. როგორმე სისხლის დენა უნდა შეაჩეროს... მერე ვინმე ჩამოივლის.

მკლავებზე დაეყრდნო და შორიხლოს დაეარდნილ ვაზაქანისკენ გა-
ხოხდა.

„ფორდონი?“, უცებ გახსენდა და დაუძღვრებულად ^{ქრქქქქქქქქქ} თაფლ-ჩიქდისკენ მიაბ-
რუნა.

ტრაქტორი მარცხნივ უხვევდა. რამდენიმე საყენიც და ხრამში გადაიჩე-
ხება, ჩა-ხრდება.

„ტრაქტორი ზრ უნდა დაიღუბოს, ტრაქტორს სოფელი უცდის!“ — ძალუ-
მად იფეთქა დაქრილის შგნებაში.

წელგათრეულმა მექიმე უკანასნელი ძალღონე დაქიმა და ცალმხარზე ხო-
ხვით თავის საყვარელ მანქანას გამოუდგა. ტრაქტორი სულ ორიოდვე საყენით
არის წინ. საკემიშვებული ფორდონი ზიგზაგებს აკეთებს და მძიმედ უახლოვ-
დება დაღმართს.

მექის გული მისდის. მხარის ყოველ გადანაცვლებაზე დაქრილი ხარბით
ბლავის და პირზე დუფი აღგება. ფეხებზე თითქო ასი ფუთი ებას, ისე უმძიმს
სხეულის ქვედა ნაწილის გათრევა.

მაგრამ არ აადამიანური ძალით გაფოლადებული თითები მიწას ბლოტავს
და მაინც მიათრევს, მაინც...

მასა და მანქანას შორის მანძილი მოკლდება. აგერ მხოლოდ ერთი პლამბი-
ლი დარჩა.

ტრაქტორი თავქვეს მიადგა და ზიგზაგებს უკლო.

„არ უნდა ჩაოხრდეს!“ — ამოხდა მექის და უკანასკნელად ჩაბლუჯა დაღ-
მართის პირას გახშირებული გვიშრა.

მარჯვენა მკლავი წინ წააგდო და მისმა დასისხლიანებულმა თითებმა
ცივი რკინა იგრძნო. მეორეც მიაშველა. ორივე მკლავი მანქანის უკანა თვალს
ჩასჭიდა.

მოძრაობაში მყოფმა თვალმა მექის ტანი მძიმე-მძიმედ ასწია და ზეზე
წამოაყენა. შეკავებულმა ტკივილმა სახე მოუქცია.

თითქო უკნიდან უბიძგესო, მექი ერთბაშად წინ წაბარბაცდა და სიჩქა-
რეთა ყუთის ბერკეტს მიაწედა.

ბერკეტი გადაიყვანა და, გულშეწუხებული, იქვე ჩაიკეცა. იმდენი ძალა
და აზრი კიდევ ეყო, რომ ორივე ხელით მუხრუჭი ჩაიხუტა და თავისკენ მო-
ზიდა.

შორიდან სიზღვრის გუგუნე მოისმა. არტელი ტრაქტორის შესახვედრად
ზოდოდოდა.

მოსაღამოვდა.

არტელის ეზოს გადაღმა უამრავი ხალხი დგას და ეძალემა კიშკარს, რო-
მელსაც ფერდაკარგული, უცბად დაღინჯებული ნაფეტვარიძე იცავს.

ეზოში არავის უშვებენ.

— როგორ მომხდარა, ვის გაუწებებია ეგ უბედური? — შორიდანვე კით-
ხულობს ახლად მოსული და ხალხში ერევა გაფაციცებული.

ნაფეტვარიძე მეთავეჯერ იმეორებს:

— გავედით ხიდზე. რას ვხედავთ! ტრაქტორი, აგერ ჰა, ბრძანებ/ პირზე შემდგარა. ერთი სული რომ შეუბერო, მორბა, ჩაილეწება. მივივლით. რას ვხედავთ! მექი თავის სისხლში ცურავს. უგრანობლადაა. წელზევით ტრაქტორზეა, ფეხები მიწაზე უყრია. მაშინათვე საკაცე შევჯარით და დამკრილი სრულში ვაფრინეთ. შე და ბაჭუა ტრაქტორთან დავრჩით; ფერმიდან ტრაქტორისტი გამოვიძახეთ და ჩამოვედით. — და სინჟმის შემდეგ უმატებს: — ბერდენკას ცოფიან ძალს არ ვესაჯრი! იმ სულძაღლმა კი კაკი გაიმეტა! სად წავა?! იმისთანა ნიწნები მაქვს, რომ ორ დღეში გავაბამთ. იმის ხელისშემწყობლებსაც მივაგნებთ!

● ბოროტმოქმედის შესახებ არტელში არავინ არაფერი იცის, მაგრამ ნაფეტვარიძე განგებ ლაპარაკობს დარწმუნებით.

ქიშკართან თავმოყრილ ხალხში ყველას როდი ეწყინება არტელის უბედურება, ბევრი კოდც დალოცავს მსროლელის მარჯვენას.

ეს იცის ნაფეტვარიძემ, ამიტომ იხტიბარს არ იტებს და გადაკრული მუქარით მტრებს სიხარულს უწამლავს.

ეზოს შიგნით აიფანზე არტელის წვეგრები იცდიან.

ოთახიდან ბაჭუა გამოდის.

— როგორაა?

— ოპერაცია გაუკეთეს. ჯერ გონს არ მოსულა.

— გადარჩება? ექიმი რას ამბობს?

პასუხის ნაცვლად ბაჭუა იცრემლება და ისევ ოთახში ბრუნდება.

ფანჯარასთან განიერ ტახტზე არტახებში ვაკრული მექი ასვენია. ნაწამებ სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ ეტყობა.

სასთუმალთან ქირურგი უზის დნ შაჯას უსინჯავს.

იქვე — ერთბაშად დაბერებული ტარასი ქვითინებს — უცრემლოდ, მშრალად, მამაკაცური ქვითინით.

იგი ხანდახან ტრაქტორისტის სახეს დააჩერდება და ისევ ევედრება — „შვილო, ამბანაგო, შემომხედე, შემობრალე!“ — თითქო ამის შესრულება დაქრილის სურვილზეა დამოკიდებული.

ქირურგი ტარასის უბღვერის და ანიშნებს განუმდეს.

— ნემსმა იმოქმედა. მაჯა მატულობს. თავისთავად ქრილობა სასიკვდილო არაა. სისხლი დაუკარავს ბევრი — ლაპარაკობს ქირურგი და დაქრილს თვალეზში ჩაპყრებს.

დაქრილის ტუჩები ოღნავ შეირბა და ტარასის გამოუგნებლად მოესმა:

— წყალი...

ტარასი კარებს ეცა. ქირურგმა ღიმილით შეაჩერა:

— არ შეიძლება!

— წყალი, — გაიმეორა დაქრილმა და ღრმად ამოისუნთქა.

შემდეგ მძიმე-მძიმედ თვალი გააბილა და უაზროდ მიაჩერდა ირგვლივ აყუდებულ მამაკაცებს.

— მექი! — ათრთოლდა ტარასი.

მექიმ იცნო და ოღნავ გაუღიმა, მხოლოდ ტუჩის ხაზებით.

ერთბაშად სახე ისევ ჩაუქრა და მოუსვენრობა დაეტყო.

— გადარჩა? — წაიჭურჭულა მან და სცადა იდაყვებზე დაყრდნობილიყო. მამაკაცებმა მიუხედომლად გადახედეს ერთმანეთს.

— გადარჩა, — მიხვდა ტარასი და ფანჯარა გამოაღო.

— ჰეი, მომართე, ააგუგუნე! ჩვენი ტრაქტორისტი თხოულობს! — გასძახა ეზოში ფერმის ტრაქტორისტს, რომელიც მანქანას ცხელი წყლით სისხლს აშორებდა.

ფერმის ტრაქტორისტმა დასატრიალებელი სახელური შიგნით მისწია. დაიძაბა...

— გუგუნებს, მექი, გესმის? ორივე ცოცხალი ხართ, ორივეს შემოგეგლოს ჩემი თავი! — სიხარულით მიახალა ტარასიმ.

დაჭრილმა ოღნავ წამოიწია. მამაკაცები მიეშველენ და ეზოში გაახედეს.

ტრაქტორი ფანჯრისკენ მოგუგუნებდა.

მადლიერმა მექიმ ტარასი თვალით შოიხშო და თავის უსაზღვრო ბედნიერება ხელას მოჭერით აგრძნობინა.

შემდეგ ბალიშებზე მიესვენა და თვალდახუჭული დიდხანს უსმენდა თვრამეტ-ძალიან ფორძონს.

დასასრული.

ნაბიჯები*

კოშანი. ნაწილი პირველი

ქარიშხლის წინ

ლომისკარელის ჩიხვანა...

დუქნის გატეხამ ბევრი ჩააგდო საგონებელში. ქურდობაში შემწეულები ასე ფიქრობდნენ: „ვთუ დუქნის გატეხა მე დამპბრალონ და ვილაც ოხერმა კი იმ ფულებით ხელი მოითბოსო“; სოფლელებს ლომისკარელის ჩიხვისა და ხატზე დაფიქვების ცერემონიები აშინებდა, მუშებს კი გაფიცვის ჩაშლა, ხელმძღვანელი ამხანაგების განზრახ გასერა და ცილის შეწამება ელანდებოდათ.

ლომისკარელის ხსენებამ ყველა ერთნაირად შეაშფოთა, ბევრს არაფერი სწაჟდა ლომისკარელისა და მისი ძლოერების, მაგრამ გულში მაინც მალულ შიშსა და ხატის ჩიხვისადმი გაურკვეველ მორჩილებას გრძობდა.

— რაღა ეხლა მოუნდათ დუქნის გატეხა! დღეს-ხვალ გაფიცვები უნდა დაგვეწყოს.

— აბა... რა დროს მოუნდათ!— აქნევედენ თავს ამფეთქებულნი.

— საინტერესოა, ვისი ხელი ურევია ამ საქმეში?

— საწყალი ხალამპრე— იცოდებდენ მიკიტანს ზოგიერთები.

შუკაში სოფლიდან დაბრუნებული კასრადე გამაჩნდა. მან გზადაგზა ყური მოჰკრა დუქნის გატეხის ამბავს და სინამდვილის გაგების სურვილით „სული ძლივს მიიტანა“ კოწიას ბინამდე.

— რა ამბავია?— მოუთმენლად იკითხა კასრადემ, როცა ცხენიდან ჩამოხტა და, გაოფლიანებულმა, კოწიას ოდის აივანზე აირბინა.

— რაღა ამბავი, სერგო, ხალამპრეს დუქანი გატეხეს და ერთი ალიაქოთია ამდგარი.

— შევარდნაძე სად არის?— უმალ იკითხა კასრადემ.

— შევარდნაძე არაფერ შუაშია, — მიავება ტოროტადემ — აქ რაღაც სხვა ამბავია... ან კიდევ...

— კასრადეს „რაღაცამ დაჰკრა თავში და ფეხის ფრჩხილებამდე გააფრულა... გუმანს დაყნოსა და გუნება შეეცვალა.

* იხ. ივრ. „მნათობი“ № 10—12—1932 წ.

— მაშ... რაღაც ამბავია არა, ანხანავებო?!— ნაწყვეტებად ჩილაპარაკე კასრაძემ და სკამზე ჩამოჯდა.

კასრაძე დაკვირდა დაღერემილ ამხანაგებს და ამან ^{ერეკინული} და-
დარდიანა ისედაც გულამორეული პროპაგანდისტი:

— მერე რა დროს, — ამოიოხრა ლადარიამ და სოფლიდან დაბრუნებულ კასრაძეს მხოლოდ ეხლა შეხედა თვალებში. დუქნის მოულოდნელი გატეხის გამო ყველა რალაცნაირ უხერხულობას გრძნობდა და მით უმეტეს მუშათა ორგანიზაციის წევრები, რომელნიც დღეს-ხვალ პოლიტიკური გაფიცების მოწყობას აპირებდნენ და უცებ მოსახლეობის მთელი ყურადღება ქურდბაცალების ძებნასა და მათ გასამართლებას უნდა შეეფერებია.

ეს ის დრო იყო, როცა სოფლებში მომხდარ წვრილმან ქურდობასა და მეზობლებს შორის ატეხილ დავას ხალხის მიერ ამორჩეული მოსამართლეები ადგილობრივ არჩევდნენ, ან თვითონ მომჩივანნი ირჩევდნენ მედიატორებს და მათ გადაწყვეტილებას ემორჩილებოდნენ.

მოსახლეობა გატაცებული იყო „საკეთარი“ სასამართლოთი და ზოგჯერ კერიოზული ამბები ხდებოდა სასამართლოს მსჯელობის საგნად. ხშირი იყო მიკერძოებისა და სასამართლოს მოსყიდვის შემთხვევებიც, სრულიად უდანაშაულო პირის გამტყუნებისა და უზომოდ დასჯის მაგალითები, მაგრამ... სამწუხაროდ სოფლის სასამართლო იმდენად ძლევა-მოსილი იყო, რომ გასაჩივრების უფლება ყველას შეზღუდული ჰქონდა. მედიატორეთა და სოფლის სასამართლოს განჩინი საბოლოო იყო, ორთავ მხარეს შეეძლო მხოლოდ ხატის მოსვენება ეთხოვა ხელისუფლებისათვის და, ამრიგად ხატი, ხოლო ხატებს შორის ლომისკარელი, იყო უხენაესი მოსამართლე, მართლმსაჯული და ყოვლის შემძლებელი. ეკლესიაზე შარის რეკას მოუხშირეს.

— მოასვენებენ...

— ვის მოასვენებენ? — მოულოდნელად შეშფოთდა კოწია ტრაპაძე.

— ვის და ბუბია ჩემს... ლომისკარელს თუ მოასვენებენ. — უბასუხა ხოსიამ ისე ნაწყვეტებად, რომ თვითონაც ვერ მოახერხა თავის საყვარელი გამოთქმის „გეტყვი მე“-ს სადმე მისადაგება.

— ხალხი გამოაწვიეს? — იკითხა კასრაძემ.

— კუტი და დაერდომილიც...

— ჩვენც მიწვეული ვიქნებით?

— მუშებს სათითაოდ ჩამოუარა იასაულმა. ცალკე შეტაბილუმაც გაგვაფრთხილა.

— წავედეთ?

— როგორც იტყვით.

— დავესწროთ. ვნახოთ რა ხასიათს მიიღებს ხალხის დაფიცება.

— რომ დაფიცება მოგვთხოვონ?

— დავიფიცოთ, გეტყვი მე! რა მოგვაკლდება!

— არა, ამხანაგებო, მუშები უარს განაცხადებთ დაფიცებაზე, დასწრებით კი დაესწარით. რაიმე პროვოკაცია არ მოაწყონ, თვალყური ადევნეთ.



- შენ, ბეგლარ?
- შე და სერგო აქ დავრჩებით. მოსალაპარაკებელი გვაქვს. სალამოს კომიტეტის ხსლომა უნდა მოვიწვიოთ. იქნება მოგვიანებით ჩვენც გამოვიდეთ. თუმცა... როგორც ვადმოძრეს, ევონებ დამეძებენ კიდევც და არ ვიცით...
- რომ დაუინებით მოათხოვონ შენი და... სერგოს გამოცხადება?
- არაფერია.
- რწმუნებული აქ არის?—იკითხა კასრაძემ.
- არა. გუშინ თავის სოფელში წავიდა.
- ვიცი. ერთად ვიმგზავრეთ. დილით დავებრუნდებო, ამბობდა.
- ერთად? იციით რას ამბობენ?—სთქვა ერთმა.
- რას?—ერთხმად წამოიძახეს კასრაძემ და ლადარიამ.
- რა ვიცი... ვნახოთ დღეს რა გამოირკვევა. რწმუნებული ურევია ამ საქმეშიო...—უგულოდ წაილაპარაკა დუქნებისკენ მიმავალმა მუშამ.
- წავიდეთ ამხანაგებო.



ხალხი ხალამპრეს დუქნის წინ გროვდებოდა. ფიცი დანაშაულის ადგილას უნდა მომხდარიყო. ხარის რკკას მოუხშირეს. მზიანი დღე იყო. გაშვანული თოვლი დნებოდა და შარაში ტლაპო იდგა.

— გზა! დაიღრიალა ვილაცამ.

შარაზე გამონდა თავშიშველი ხალხი, რომელსაც წინ ნიკო ბლალოჩინი მოუძღოდა. წითელ სამოსელში გახვეულ ხატს ორი უხუცესი მოასვენებდა, რომელსაც გაპენტილი წვერის ბოლო მკერდს უფარავდა და ხანშესულობის კორფლით დაფარულ შუბლს შევერცხლილი თმა უმშვენებდა. საეკლესიო დროშებით და ბარძი-ფეშხუმით მოასვენეს ლომისკარელი. ხალხი გაშეშდა ძლევაშისილი ხატის დანახვაზე. შეჩერდნენ.

ხალხში ჩოჩქოლი და უწესრიგო პირჯერისწერა შეიქნა. ხატის დანახვაზე ურწმუნოებამაც ამომძრავეს გაშეშებული ხელები და თანაც თავისთავს ეკითხებოდნენ: „რა იწვევს ამ შიშს? მე რომ ღმერთი არა მწამს, ხატისა რად უნდა მეშინოდეს? ხატი ხომ ოქროს შქედლის ხელით გამოქედილი ნივთია, უბრალო ნახატი. ძვირფასი სამკაულებით მოართულ-მოკაზმული ხატიც ხომ აღამიანის შექმნილია, როგორც ზღაპარი ღვთის არსებობის შესახებ? მაშ რის უნდა მეშინოდეს? ან რა ძალა იყო ის გული რომ შეაკრათო სამოსელში გახვეული ხატის დანახვაზე.“

— შეუდგეთ.—გადისძახა ხალხს ბლალოჩინმა და ყველამ სული გატერინა. სოფლის უხუცესმა ხატი გულზე მიიხვნა. ბლალოჩინმა ჯვარცმა აღმართა და, როცა ლოცვა-ღიღინი დაასრულა, ხალხს მიუბრუნდა:—მოეშადეთ საიდუმლო აღსარებისა და წმინდა ფიცისთვის.

ლომისკარელს წითელი პერანგი გახადეს. აელვარდა „ყოვლის-შემძლე“ და ხალხი მისი რისხვის თავიდან ასაკილებლად პირქვე დაეშო. ლოცვითა და ლიტანიით ფიქრობდნენ ძლევაშისილის გულის მოგებას. გაშვანულ თოვლში ჩაჩოქილინი წამდაუწუმ პირჯვარს ისახავდნენ, გულს იმჯილავდნენ და უხენაესის

პატივსაცემად ტლაპოში ლიტანიის უფლიდენ. მუხლებამდე წყალს და გაშვანულ ტლაპოში ჩამდგარნი, სიცივისაგან იკუნტებოდენ, რასაც თან ერთვოდა ზოგიერთი მორწმუნის გოროხი ცრემლების ტყაბა ტყუბი ქვეშისკრებულ ლოცვათა ჩურჩული.

მიინც ვერავენ ბედადეა ლომისკარელისთვის პირდაპირ შეეხედა და თვალი გაესწორებინა. ყველა რადაც გამოურკვეველი შიშით იყო შეპყრობილი. ძალაუნებორად იპყრობდა ყველას მითქმა-მოთქმა ლომისკარელზე სასწაულების შესახებ. იგონებდენ: თუ როგორ აუვირა და აბლავლა ხატმა ყანისარ ბედირეიშვილი ყალბი ფიცის შემდეგ, როგორ შეიშალა ჰკუიდან ერთი ქვრივი დედაცაცი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კმრის მოკვლაში, როგორ დაებანა ერთ ქორიკანა დედაცაცს და სხვა მრავალი მსგავსი მავალითი. და მართლაც გარეგნულად საშიშარი სანახავი იყო ლომისკარელი წმინდანის უბელშეკრული სურათი, ოქროს ვარაყიან ჩაჩოშა ჩასმული, პატიოსანი თვლებითა და ძვირფასი სამკაულით მოქედელი. „წმინდანი“ მუდამ მრისხანე და გაბოროტებული გამოიყურებოდა, შუქის ცვალებადობაზე სახის გამომეტყველებას იცვლიდა, რასაც მორწმუნეები და ხშირად ურწმუნონიც ლომისკარელის მრისხანებას ან სულგრძელობას მიაწერდენ და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მის პირდაპირ შეხედვასა და თვალის გამაგრებას ვერავენ ბედადეა. ნამდვილ ტყვეობაში ჰყავდა „წმინდანს“ მახლობელი კუთხის მოსახლეობა. ამით, რითაც მოხდენილად სარგებლობდენ მთავრობის მოხელეები, განსაკუთრებით ჯაშუშობაზე დახელოვნებული მღვდელმსახურები, კერძოთ კი ბლალოჩინი ნიკო რამიშვილი.

შეუდგენ საიდუმლო აღსარებასა და ხატზე დაფიცებას

— თუ შენი ცოლშვილი, მკვიდრი და მომავალი გებრალემა, ტყუილის თქმა არ გაბედო!—აფრთხილებდა ბლალოჩინი დასაფიცებლად მოსულ სოფლელებს.—ხომ იცი, ღმერთი მაღალია, ლომისკარელი ყველაფრის მკოდნე და ყოველის შემბლბელი. სიცრუისა და ტყუილის თქმისთვის თმის კიკინას საკუთარი ხელით დაეგაღვჯივებს. გაევირებს და გაბლავლებს თავგატეხილივით. ლომისკარელი შეწლის და გადარეგს ვინც ცრუობასა და თვალთმაქცობას გაბედავს. ღმერთი სულგრძელია და ვინც შეცოდებას მოინანიეის, შეუწდობს და აპატიებს. ვინც მოტყუილებას განიზრახავს—დასჯის და რისხვას დააყენებს. ეჭვთიმე, მოჰყევი, რა იცი დუქნის გატეხისა—მიუბრუნდა ბლალოჩინი ხანწესულ გლეხს და ჯვარცმაზე ი ავდაყრდნობილსა და თავზე ოღარ-გადაფარებულს საიდუმლო აღსარება ჩამოართვა.

* *

— ვაიმე ცოლშვილო!—ამოიგმინა თავჩაქინდრულმა ხალამპრე მიკიტანმა და დასაფიცებლად თავმოყრილ ხალხს გადახედა—ფიცი რას უშველის ჩემს გაჭირვებას? ვაიმე ჩემო ნაკვდავ-ნაყდაო!

ბლალოჩინი შეშფოთდა ხალამპრე მიკიტანის უადგილო წუწუნზე, მაგრამ არაფერი შეიძინა და დაფიცება განაგრძო.

სამხრობამ მოაწია, მაგრამ ჯერ მიინც არაფერი გამოიძრევა. ხალხი დაიქანცა ფეხზე დგომით. დამუხლება და გაპარვა ვერავენ გაბედა. „ის უნდა დე-

მილო დაილოცა შავის სამართალი!“—ფიქრობდენ მორწმუნეები, დასწვრივდებული ელოდენ მოქანკულნი თავიანთ რიგს და ფეხებს ინაცვლიდენ.

„ვეგონებ საქმარისია“—გაიფიქრა ბლალოჩინმა და მამასხლისს რაღაც წასწურჩულა. ბლალოჩინი დარწმუნებული იყო, რომ დუქნის გატეხის ნამდვილი ისტორია მამასახლისმაც კარგად იცოდა, ამიტომ ბლალოჩინის ბუნდოვანი შეკითხვა მან დანამდვილებით ვერ გაიგო და მის წინადადებაზე ეხლა ნამდვილი ქურდები გამოეყვანა დასაფიცებლად, სახტად დარჩა. ბლალოჩინმა იგრძნო თავისი შეცდომა, ხალამპრე მიკიტანს თვალი ჩაუკრა და შეცდომის გამოსასწორებლად რაღაც ანიშნა. მაგრამ საუბედუროდ ვერც ხალამპრე მიუხვდა „ღეთის მოციქულს“ და ჭკუადაბნეულმა პირი დაალო.

— ვინ დარჩა დაუფიცებელი!—ბრაზით დაიღრიალა ბლალოჩინმა და ხალხს თვალი გადააელო.—შენ დაგაფიცე?—მიუბრუნდა ის თედორე გერსამიძეს, რომელიც რა ხანია ელოდებოდა გამოძახილს და რაც დრო გადიოდა, ლოღინისგან ვული უწყრილდებოდა.

— არა, მამაო, —უპასუხა თედორემ და ყაბალახი მოიხადა.

— სიცრუე არ გაბედო, თორეჰ...—გააფრთხილა ბლალოჩინმა ათვალთვალბებული გლეხი და შეკითხვები მისცა.

— სიცრუე რა საქიროა... ვიცი ვინც ვასტება დუქანი... დაუფიქრებლად დაიწყო თევდორემ.

— რაო?!

— შოო! უყურე ამას?!—წამოიძახეს ხალხში კანტიკუნტად.

— იცი! აბა, მოყევი, ბიძია, მოყევი რაც იცი.

ხალხი გატკინდა ქურდების ვინაობის გამოძევენების მოლოდინში.

— შეიცა, შეიცა, თუ ღმერთი გწამს... რა ვიციო მე ვაძახმა? რა თქვა, ველარ ვეიგონე.—წამოსწია თავი ფრიდონ სანიკიძემ და ლომისკარელს მუახლოვდა.—ხალხი დავწყდით ამ ლაფში ფეხზე დგომით და თუ მე გამოშტერებულმა რაიმე იცოდა, სად იყო ამდენ ხანს?!—წყენით დაუმატა სანიკიძემ.

— აბა, მოჰყევი რაც იცი...—მიმართა თედორეს ბლალოჩინმა და წვერი ჩამოისწორა, თითქო სანიკიძის სიტყვა არც კი გაუგონიაო.

— შე იგი ვიცი, —დაიწყო გერსამიძემ—ხალამპრეს დუქანი პარტიეს გატეხილია—რომ...

— ვისი გატეხილიაო?!

— რას ბოდავს?!

— კი, პარტიეს გატეხილია და ერთი მონაწილე მეც ქე გახლავარ.

— რა ხარ შენ, თედორე, შენ ხარ პარტია?

— პარტიე მე კი არა ვარ, მარა, პარტიეს მოწყობილი იყო აგი საქმე და მეც ქე მიმალდებიეს მონაწილეობა... რა ვქნა, ლომისკარელს რა დაემალემა, თვარა არ გავამზელდი, რაეც კოლშვილს დასაკლავად არ გავიმეტებდი.

— მოჰყევი, მოჰყევი თედორე, რაც იცი.—აზნებებდა გერსამიძეს ნიკო ბლალოჩინი.

— უკაცრავად!— გაიშვირა ხელი ხალხში კასრადემ, რომელიც ის იყო ლადარიასთან ერთად მოვიდა ფიცზე დასასწრებლად.— აქ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი...

— გაეწევა!— გაიღო გულში გვირამებმა— ჯერ დამაცა— გიგზლიწიწი

— რა გაუგებრობას?— წამოიძახა ვიღაც ხალხში.

— გაუგებრობა ასეთია, რომ— განაგრძო თედორე გერსამიძემ— აი ის ყმაწვილი იყო ჩვენი მეთაური.

— ვინ?— გაფითრდა უცებ კასრადე და ბრანისგან-სიტყვა ყელში გაეხირა.

— ვინ და შენ... ნაძვის წანაპერი შენ არ შეიტანე ხარაჩოდან?

— ჰოოო!

— ხედავ, ხედავ?

— ჰოოო!— აგუგუნდა ხალხი სხედასხვა ხმაზე.

— ამხანაგებო!— დასკეკა უცებ კასრადემ და წინ წამოდგა.

— დააცადეთ გერსამიძეს...

— ამხანაგებო...

— თვის გამართლება ვინდა?... გვიანდა, — ჩაილაპარაკა თავისთვის გვირამიძემ.

— მე რა ვქნა, მამა და შეილო...— მიმართა კასრადეს ბლალაჩინმა— შენი გვარი მხოლოდ შორიდან გამიგონია, პირადად არ ვიცნობ... ვინც ვიცნობს ის გაღებს ხელს. რა გაეწეობა!

— ამხანაგებო...

— არაფერია, სერგო, სინამდვილეც გამოირკვევა. — შორიდან შენიწნა ლადარიამ და ხალხს გადახედა.

— სინამ გამოირკვეოდეს? მე გუშინ ჩემ სოფელში ვიყავი. მე და შერვაშიძე...

— რაო?— იკითხა შერვაშიძემ, როცა თავის გვირგვინს მოჰკრა ყური და ხალხის წინ წამდგარი კასრადე დაინახა.

— შენ და შენი დმერთი, ქიშვირდი! გუშინ საღამოს...

— მართალია, სოფელში ერთად ვიმგზავრეთ:

— დუქანი ლაის პირველ საათზე გატეხეს— ჩაურთო ბლალაჩინმა, რომელმაც შეატყო, რომ გეგმის ნახევარი ჩაიშალა და ამას ნაწილობრივ ხელი შეუწყო შერვაშიძის დასტურმაც.

— როდის გატეხეს, არ ვიცი, დაბალ ეახშობაზე კი მე და კასრადე ერთად ჩავედით ჩვენს სოფელში. — გაიმეორა შერვაშიძემ.

— აბა ამ დღით მე ვნახე კასრადე სოფლიდან რომ მოდიოდა. — დაბეჯითებით განაცხადა ქაიხოსრო ბარამიძემ, — და ყველამ მისკენ იბრუნა პირი, რადგან ქაიხოსრო საკითხავ კაცად იყო მიჩნეული ხანშესულთა შორის და ძველი და ახალი თაობის თვალშიაც განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა.

— ამხანაგებო, ხომ გესმით! ირაკლი... — გადახედა ხალხს კასრადემ და მათ შორის ირაკლისაც გადასძახა...

— მე რა შუაში ვარ? — იჩიქა მხრები გვირამიძემ — მე ორი დღეა არ მი-ნახავს კასრადე და სწორე ვითხრათ...



—არ ვინახავს? გვარამაძევე, ვნახოთ ვინ ვის როგორ ნახავს...

—ვნახოთ. მე მგონია ამაზე მეტს ვერაფერს ვნახავთ.

—შენც ასე გგონია?

—დარწმუნებული ვარ. საკმაო ფაქტებია.

—გვარამაძე მაინც თქვენი ჯილაგის კაცია, — და ცინიკით შენიშნა ბლალოჩინი — ნმა და ამით ერთხელ კიდევ გაეცხა ზაზი კასრაძის დანაშაულს.

—მე მინდა სიტყვა, — ასწია ხელი გლახურ სიხარულით. — ბლალოჩინი შედგა. „ღმერთი არ გაუწყურეს და არაფერი წამოროშოს“. — გაიფიქრა ბლალოჩინმა და სიხარულიძის დამახილს ყური არ ათხოვა. გეგმის მიხედვით კი გერსამიძის შემდეგ სიხარულიძე ურდა დაეფიცებიათ. სიხარულიძე იმასვე გაიმკორებდა რასაც გერსამიძე იტყოდა თავის აღსარებაში და ამით საბოლოოდ წყდებოდა საკითხი კასრაძის ქურდობისა.

—ელაპარაკოთ სიხარულიძე — წამოიძახა ვილაძამ.

—ილაპარაკოს.

—ილაპარაკოს, — იყო სხვების დასტური.

კასრაძემ გადახდა სიხარულიძეს და უნებლიეთ გაიჭნია თავი...

—იჭნება შენთანაც ვაყავი ამაზნაჯად დუქნის გატეხის საქმეში? დაასწრო კასრაძემ სანამ სიხარულიძე ბატს მიუახლოვდებოდა.

—აგერ მოგახსენებ. გერსამიძე ერთ რამეშია მართალი რომ დუქნის გატეხა პარტიეს მოწყობილიაო.

—აბა მეორეშიც მართალი ყოფილა...

— მეორეში კი... მე ლომისკარელის წინ ვდგავარ... წერილი ცოლშვილის პატრონი სიცრუესა და ტყუილის მოგონებას ვერ გავბედავ.

—თუ კი გერსამიძემ ვაბედა, შენ რა ნაკლები ხარ?!

—გე-სამიძემ თუ ვაბედა, მან აგოს პასუხი მისი ცოლშვილის და მომავლის წინაშე, მე კი... მე ჩემი ვიცი.

— გაათავე, ბოდილობ რადაცას... — გადაუტრიალა თვალები ბლალოჩინმა.

—შენ რა კუდი გწმეის, მამაო!. მე ლომისკარელი მწამს და ყოვლად წმინდა ერთარსება, თორემ შენისთანა წვერგაბურღლული რამდენი დადის ამ სურების გზაზე! ბოლოს და ბოლოს ლედელი ხარ, ბლალოჩინი, საწირავსა და დროშის ფულზე გასუქებული...

—გლახუნა! — გაიბუყა ბრაზით ბლალოჩინი.

—შენ დააცადე გლახუნას. ის ბევრს ახალ ამბავს გეტყვის. იმას ვამბობდი, ხალხო. დუქანი პარტიეს გატეხილია მეუჭეო! ამაში მართალია აი ჩვენი თედორე. მარა ცოლშვილს ვაფიცებ, თედორე, აი იმ ორი წლის ბიჭს ვაფიცებ, აგერ ამ ლომისკარელზე მართალი თქვი, კასრაძე იყო ჩვენთან?

—აბა ვინ იყო?! — წამოიძახა ვილაძამაც ხალხიდან. თედორემ თავი ჩალუნა და სრულიად მოულოდნელად ორგვარ ცეცხლში გაეხვია.

—შეიშალა ნამდვილად. — გადასწერა პირგვარი ბლალოჩინმა და ლომისკარელს პერანგი გადააფარა, — ფიცი დასრულდა, ხალხო!

— არაფერიც არ დასრულებულა. დაიცათ, აქ ბევრი რამ გამოი-
რკვევა.

— ვინ იყო, ვინ შენ ისა სთქვი, — მოძახეს გლაზუნას აქვენი იქონიან და
ხალხში საგრძნობი ჩოჩქოლი შეიქნა. ხატზე ცრუობა ბევრს ვერ წარმოედგინა
და გაოცებულნი შეტყუებდნენ თედორე გერსამიძეს, რომელმაც მათი აზრით
ასე იოლად გაიმეტა თავი სიცრუის თქმისათვის.

— ეინ იყო და...

— ჰო, აშოაშვავე ბარემ.

— გვარამაძე იყო, ირაკლი გვარამაძე, — მართლა გამოაშვავა ბოლოს სიხა-
რულიძემ.

— ახლა რას იტყვი, ბატონო ირაკლი?

— რა მეთქმის — დაება ენა გვარამაძეს და ფერწასულმა გლაზუნასკენ
გაიწია.

— ამაზე მერტა მართლა რაღა გეთქმის! — გესლიანად შენაშნა კასრადემ და
ლომისკარელს მიღახლოვდა.

— გვარამაძე გახლდათ, არა? — იკითხა ლადარიამ.

— დიახ, გვარამაძე იყო... აი ჩვენი თედორე და თვითონ ხალამპრე მი-
კიტანი... მოწყობით კი გვარამაძემ მოაწყო ყველაფერი.

— რაო? თვითონ ხალამპრემ?

ხალხი ყურს აღარ უჯერებდა. განცვიფრებულნი უცქერდნენ ერთმანეთს
და ხმის ამოდებას ვეღარ ახერხებდნენ.

— რაო კაცო, ვგ რას თქვეს?.. ხალამპრე მიკიტანი?

— მართლია ეს ამბავი? — ცივად შეეკითხა მამასახლისი ხალამპრე მიკიტანს
და აღელვებულ ხალხს გადახედა.

— ცრუობს... ლომისკარელზე სიცრუეს ვინ გაბედავს!.. ცოლშვილი ვის
ემეტება...

— ლომისკარელი — წამოხტა ფეხზე ხალამპრე მიკიტანი — ხატს კი არა, კაცს
აღარ აქვს ახლა ჭკუა...

— შეიშალე? — გადაბრაწა თვალები ბლალღონმა.

— აბა ცეცხლადის გაქედილი ხატისა ვის შეეშინება?

— შეიშალე, შე ცოდვის შვილო! შეგინდოს უფალმა — გამოსახა პირჯვარი
ბლალღონმა ხალამპრე მიკიტანს და უბუყეს მიმართა ხატი წაესვენებიათ.

— ჯერ ვერაფერს მოიკვლის ფეხს აქედან — შეხტა ლომზე კოწია ტრაპაიძე
და ხალხს გადასძახა: — ხომ ხედავთ, ხალხო, რა ამბები ირკვევა ამ ჩვენი ორგა-
ნიზაციის შიგნით და გარედ!

— გარკვეულს არაფერს ვხედავ მაინცდამაინც... — ჩაიქნია ხელი ქაიხოსრო
ბარამიძემ, — გვარამიძის პარტიისი სხვას რას უნდა მოელოდე!

— ჰო და რომ ყველაფერი გამოირკვეს და სააშკაროზე იქნას გამოტანილი,
სჭირთა კომისიის გამოყოფა...

— მამასახლისმა გამოარკვიოს...

— არა, ამხანაგებო. ჩვენი მამასახლისის საწინააღმდეგო პირადად არაფე-
რი გვაქვს, ჩვენ მას ვენდობით, მაგრამ საერთოდ ამ საქმეს კონცესიაზე მომუშა-

ვეებმა უნდა უბელმძღვანელონ. ამიტომ მოდი ეს საქმე თვითონ მაშაძახლის, სვედ გვიჩიას და ქიშვარდი შერვაშიძეს მივანდოთ...

—დიდებულოა!.. კარგია!—იყო ხალხის დასტური. გარკინული
მინსკისთვის

ამოცხადებული ანაშარი

დაჭრილი ძიკი ლელისპირად იპოვეს. ცხენის ქიხინზე მიაკვლიეს ჩაფრებმა ურიადნიკს, თორემ კრილობისაგან გულშემოყრილი ძიკუა დიდხანს ვერ მოსულიერდებოდა. ევდო ლოდის ძირზე თავი დებულ და დროგამოშვებით კენესოდა.

ჩაფრების დანახვაზე ძიკი მოსულიერდა. ტკივილებისგან გაცოფებული იყო და ვაგოროზდა, ისედაც დამტრთხალსა და შეშინებულ ჩაფრებს რისხვით გადახედა და ბოძანების კილოზე მიმართა: წამიყვანეთო.

ჩაფრები მისცკაფდენ ურიადნიკს, კრძალვით ამოუდგნენ მხრებში და შინისაკენ წაიყვანეს.

—სალახანებო! კამეჩივით მიიზანტებით!—ბრაზობდა გზადაგზა ურიადნიკი და დაუცხრომელ ტკივილებისგან ხშირად კენესოდა.

—ჩემი სიკვდილი! ნეტა რა მოუვიდა ამ საცოდეს!—გაიოცეს სალომეს სამშიმარზე თავშეყრილმა დედაკაცებმა ფერწასული ძიკის დანახვაზე.

—დაჭრილი უნდა იყოს, ფეხი გასისხლული აქვს.

—რატომ კაკალ გულში არ მოხედა ტყვია მაგ იუდას კერძს! ძმას რომ სასიკვდილოთ გამოუდგა, რას ფიქრობდა?—ნიშნის შოგებით უმატებდენ ზოგიერთები.

ძიკიმ ყური მოჰკრა მეზობელ დედაკაცების ჩურჩულს, ერთი დაიჭყანა ზიზლით და ოდის კიბეზე შეფორხილდა.

„მართალი არიან ეს დედაკაცები—გაუეღვა თავში ურიადნიკს—სამართლიანად მსჯელობენ. მაგრამ... მაგრამ მოლა მასრადინასი არ იყოს, მეც მართალი ვარ. ბეგლარი ძმა არის ჩემი, ჩემი ნამდვილი სისხლბორცი, მაგრამ ჩვენი ცხოვრების გზები ბოძ სხვადასხვა მიმართულებისაა. ჩვენი სატრფიალო იდეალი ორი სხვადასხვა საშუაროა. ის თავგამოდებით იბრძვის თავის იდეალის განხორციელებისთვის, მე კი ჩემს სადღეისო მიზნებს ვეშახტრები. და, როცა ასეთ სამკედრო-სასიცოცხლო კიდილში ჩვენ აშკარად ვხვდებით ერთმანეთს ბრძოლის ასპარეზზე, რა გასაკვირია თუ ტყვიასაც კი დღუშენთ ერთი მეორეს. იქნება ნათესაური სისხლის გრძობით შემოჭილებმა გამეტებით არ ამოვიღოთ ერთმანეთი მაზანში, მაგრამ შებრძოლება და, უკიდურეს შემთხვევაში, გზების გაწმენდა ბუნებრივია და გარდაუვალი. დღეს ჩემი ტყვია შემთხვევით ასცდა ბეგი ლადარიას. სამაგიეროთ მისი ნასროლი... „ოიპა!“—ამოიკენესა ძიკიმ და ლოგინზე უგრძობლად გაიშხლართა.

ფაცბიდან ისმოდა წყნარი მოთქმა და „ქელეხის სამზადისში“ გართული მეზობლების ფუსფუსი.

უპატრონოდ დარჩენილი ძიკი ეხლა სხვა ფიქრებს მისცემოდა: „გაცივდა ფურტი... უკანასკნელი იმედიც ჩაიფერფლა. ირგვლივ ზიზლის თვალი და დანასისხლად გადამტყრებული მეზობლების გულცივი დამოკიდებულება... ოპ, ელენე!

ისევ შენ, ისევ შენ, თორემ ჩემი აღმასვლის ხაზი ლამის დასწყისშივე გადაილუნოს, ლამის ჩაქრეს და ჩაიფრთლოს ჩემი საამქვეყნო ცხოვრების ვერ კიდევ გაუზღებელი კოცონი... ვინ იფიქრებდა, რომ დღეს, სწორედ დღეს ასეთ გამოუვალ პირობებში ბეგლარის ტყევის წერა გავხდებოდი! ვინ იფიქრებდა, რომ დავეშვილ მწევარს გაცუქული ნადირი დამახიანებდა! თუმცა ბეგლარი... დიად, ბეგი ხომ ვფიქვია, კიდევ მეტიც—ბეგი ნამდვილი ლომია ვიწრო სამხეცეში გამომწყვდეული... ეჰ, ბეგლარ, ბეგლარ. ძმა ხარ ჩემი, მაგრამ საცაა ჩვენ უფრო თავგანებებით შევხედებით ერთმანეთს და, ჩვენს შორის საანგარიშო დავთარიც აღბად მაშინ დაიხურება... ძიკი ძიგუა ადვილად აიტანს ყოველგვარ ტკივილებს, ძალი კოკლობით არ მოკვდება, მაგრამ ვაი იმას, ვისაც გაბოროტებული კოკლი ძალი შეებრძოლება... ეს რა მომდის? ძალსაც კი ვადარებ ჩემ თავს, მწევარს, მხეცებს... დიად, ამიერიდან მე კოკლი ძალის გული მიდევს მერდის სიღრმეში და... მერიდეთ, ყველანი მერიდეთ... მერიდეთ მრუდიც და მართალიც.—ძიკიმ ფიქრებს თავი დაახწია და უწესრიგოდ არევიარეულ ოთახს დააკვირდა. დაუგველი ოთახი, პაპიროსის ნაშწევები და ასანთის ცალიერტი კოლოფები. სკამები მირთხვილი, ზოგი აყირავებული. ბუხარში ნაცარი მთასავით დამდგარიყო. რას ნეშნავს ოჯახში დიასახლისის ხელი! რანაირ სიმდიდრითაც არ უნდა აავსო ოჯახი მარტოხელა კაცმა, სულერთია ოჯახურ სიბრძნის მაინც ვერ იგრძნობ... აბა რა ოხრად მინდა ეს ნოხები, სავარძლები! ძვირფასი ფარდები... თეთრეული და ლოგინის კაზმულობა... კმარა! დღესვე ვაცნობებ ურიდიას ქვრივს, მინახულოს მოსალაპარაკებლად, თუ არა და ძიკი ძიგუა ელენესთანა ჭაყვიგლეჯია ქვრივემაც გაუსწორდება”.

—ჯანსუღ!

—რა, თქვენო კეთილშობილებავ.

—წადი, ურიდიას ქვრივს სთხოვე დღესვე მინახულოს. გააფრთხილე, რომ დაქრილი ვარ და მისი ნახვა მეტად მესაჭიროება.

—მესმის, თქვენო კეთილშობილებავ.

ჩაფარი ფიცხლავ მიტრიალდა და მოკრძალებით გაიხურა კარი. ოთახში მარტო ძიკი დარჩა, რომელიც ცალკე ეჭიმს ელთდებოდა და ცალკე ელენესთან მოლაპარაკების დასამთავრებლად ათასგვარ გეგმებს ბივალისწინებდა.

ეზოდან კვლავ ისმოდა წყნარი მოთქმა და მოსიარულე ხალხის ფუს-ფუსი...

გაფაციცებით ეზადებოდა სოფელი სალომეს დასაკრძალვად. წრის სხდომაზე ერთხმად დაადგინეს მიცვალბულის დასაფლავება რევოლუციონურ დემონსტრაციად გადაექციათ. ნაწილობრივ ამ აზრს ძიკის დაქრამაც შეუწყო ხელი. ძიკი სალომეს დაკრძალვის თადარიგში უშუალო მონაწილეობას ვერ მიიღებდა და ამრიგად ბევრი დამბრკოლებები უკვე წინასწარ იყო გადალახული და თითქმის მოგვარებული.

—ჩიჩის როგორმე გაუმკლავდებით,—ამბობდნენ წრის წევრები და დემონსტრაციის ჩატარების გეგმას იმუშავებდნენ.



რევოლუციონურ მუშაობაში ჩაბმული სოფლელები მოულოდნელად ელოდნ სააშკაროზე გამოსვლას... შთაერობის წინააღმდეგ ხმის ამოდებას, ეჭვგაუქმების ხალხის ს ტყვის მოსმენას, მარსელიოზას...

გ ი ზ ე ლ ი მ ი თ ე ჯ ა

ძიკი ქელებით ფიქრობდა ხალხის გულის მოგებას, ღვდლები და უსაქმურ აზნაურების ჩაპურმარილებას...

— ერთი ჩვენებური „ქელების“ გემოც ვასინჯოს—ლიმილით უზიარებდნ თავიანთ აზრს ერთმანეთს რევოლუციონური ორგანიზაციის ჯერ კიდევ დაუპატიმრებელი წევრები.

— აფსუს, სადა გვეყავს ამ ღროს იაკინთე გაფორჩხია, ჩარგანია, ქვანია და სხვა ჩვენი მოწინავე ამბანავები!

— თვითონ ბეგლარი?

— ბეგლარი ხომ ნამდვილი ცეცხლია, ავარდნილი ხანძარი.

— არც ჩვენ დავრჩებით, ბიჭებო, შერცხვენილნი.

— შერცხვენილნი არა, მაგრამ...

— მაგრამ კი არა, რაც ძალი და ღონე გვაქვს სწორედ ეხლა უნდა გამოვიჩინოთ. ჩვენი ბრძოლის უნარიანობა ეხლა შეფასდება.

ეზოში ჩიჩია შემოვიდა. დღეს რატომღაც ხაცრისფერი ფარავა ეცვა ჩოხაახალუხის მოყვარულ ბოკაულს. მარცხენა ფეხს თითქო მოათრევდა. კოკლობას ადვილად შესწამებდით.

— ინახულა თანაშემწე. ალბად მიუსამძიმრებს.

— სამძიმარზე რომ მოსულიყო, აქ კი არ შემოუხვევდა.

— განა დედის სამძიმარს გეუბნები.

— აბა!

— ფეხის მოტეხას მიუსამძიმრებს. მაგ ძალსაც ხომ სწორედ მარცხენა ფეხი აქვს მოტეხილი.

— ეაცხონე იმის მამის სული.

— ვისზე ამბობ ბარდლა?

— აი ვინცამ მაგ წუნკლეხს ფეხები დაამტვრია.

ფაცხის წინ სიცილი გაძლიერდა.

— არ გაგვიფონოს მაგ უჯიშომ.

— ხახვი არ დაგვაქრას ყურებზე, რას გვიზამს?

— მიგაციმბირებს ბიძია და ის იქნება.

— ისე კი ცოტი მყავს მიციმბირებული.

— შენც იმათ მიგაყოლებს.

— მიმყოლებს და მეც წავალ. სადაც ჩვენი საუკეთესო ბიჭები არიან, იმათთან ყოფნა მომბეზრდება თუ შემოცხვება?!

— არა, მაგრამ აქ უფრო მეტია ამყამად სამუშაო, ვინემ ციხესა და ციმბირში. განა მავათ კი არ იციან რისთვის ამოვრებენ ხალხს მოწინავე რევოლუციონერებს?

— უ, მაგი ჩითახო მამაძალი!—აიღერდა ისევ ბარდლა.

— ორი ჩითახო მეგრელი ვახდა საბერიოს ბატონ-პატრონი... აფსუს!

აივანზე ელენე გამოინდა. რიკულებზე ნიდაყვით დაყრდნობილი, ის სოფლელების საუბარსაც ქურდულად უსმენდა და გულში ათასგვარი ცეცხლი

უტრიალებდა: საცოდავი უნა! ჩემი უწყინარი უნა—ფიქრობდა და ცრუნებებს ძლივს იმაგრებდა,—მოხუცი იყო, მაგრამ პატროსნებაში ბადალი არა მყავდა. წელიწადი ისე გავიდა, რომ ერთ საწყენს არ შემახვედრებდა. მუდამ ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნავდა, ყველას თავზე გვევლებოდა. ოჰ!—სწამაღლა ამოიკენესა ურიდიას ჭკრივში—რა უღმერთოდ გავიმეტე! სიბერე ჩავეუწიარე. ძიკი! ძიკი! შენ გაზღვევინოს ღმერთმა მისი ცოდეა და მადლი. შენ გაზიდვინოს უფალმა მისი სისხლისა და საიმკვეყნიო თუ სააქაო სამართლის სიმძივე“...

—ელენემ თავი მალა ასწია და ახლად გაშენებულ ძიკის ეზო მიდამოს დააკვირდა. ამოიხრა და ისევ ფიქრებში ჩაიძირა.

—ერთი ამ კახას უყურე! ქმარზელი საიქიოს გაისტუმრა, უზარმაზარი ოჯახი დაიანჯრია, და თვითონ კი გახვლებილ ურიადნიკს ამოუწვა გვერდით.

—როგორ? ჯვარი დაიწერეს?

—რად უნდა ჯვრის დაწერა! მე შენ ვითრა ქმრის სიცოცხლეში ტი არ აკოტრიალებდა წალმა-უკულმა! საქვეყნოდ იპრანქებოდა მაგ უნამუსო, თორემ დღე და ღამე ერთად არ ეთრეოდენ.

—დამიდგეს თვალები!—მოიპოტნა ლოყები ერთმა ხანშესულმა დედაკაცმა, რომელიც ურიდიების მახლობელი მეზობელი იყო, მაგრამ მათ უმსგავსოებაზე ჯერაც არაფერი გავგონა.

—თვალეები მაგ კახას დაუდგეს, შენ რა შუაში ხარ ჩემო ბვარამზე?

მოსაუბრებებს გიორგი ადამია შემოემატა. როგორც ყოველთვის ის ხალხისგან ცოტა მოშორებით დადგა, თითქო ეშინოდა, გახუნებულსა და ტანზე შემოცრეცილ ტანისამოსზე არავინ გაჰკარებოდა და შიშველი არ დაეტოვებინათ.

ფერგადასული ახალბი ისე შემოსდნობოდა ტანზე ადამიას, რომ ზოგან ფაბრიკაში თავდაპირველად გაღანდული ძაფებილი იმაგრებდა, მისაქსოვი სადღაც გამჭრალიყო. განუზომელი სიფრთხილით ეპყრობოდა ამ ძონძებს, თორემ, საოცარი იყო, ჩაცმა-გახანაზე რატომ არ შემოეფლითებტ ტანზეო, მაგრამ ფრთხილი იყო ამ მხრივ გიორგი ადამია. აჩქარებულს მას საერთოდ ვერ ნახავდით და აბა ჩაცმა-დახურვისას ისე უზომოდ რალა აამოძრავებდა, რომ ტანისამოსსაც დასტყობოდა. უძიროები მართლაც სრულიად უძირო იყო და ფსკერგაგლეჯილი. ფეხის გულზე საქალამნე ლეედი იმაგრებდა უძიროების ზედაპირს და ოსტატურად გამობანდული თასმეზი. თავი ოდესღაც ოქრომკედლით ამოჭარგული ყაბალახით პატარა კახივით შეეხვია და ფერგადასული ამრეშუმის ჯინჯილები მარცხენა ყურზე გადმოეფინა.

ჩვეულებრივი დამკინავი თვალით შეხედენ ადამიას სალომეს სამძიმარზე მოსულა გლეხები... ერთმანეთს გვერდი წაჭკრეს და განკებ გადიხარხარეს...

ადამია მეზობლებს მიესალმა, ულვაშები შეივრინა და ერთ-ერთ მოკირი-სუფულეს შეეკითხა:

—როგორ გაქვთ საქმე, ზეთისხილი და ბრინჯი ხომ საყოფად იშოვეთ? უმისამართოდ იკითხა მან.

ყველას თითქმის ერთდამავე აზრმა გაულვა თავში და მოხეტქილი სიცილი ძლივს შეიმაგრეს. ზოგიერთები ჩუმად აფხუქუნდენ კიდევ.



—რას იღრიჯებით, ვეჟო! კაცურად გვეითებით და თქვენ კი თნასავით ფხუტუნობთ. სად დაკარგეთ ზრდილობა და სინიღისი!

—განა შენ დაგცინიან, ბიძია გიორგი!—შენიშნა გაფუჭებული ტყუპოსმა ძმამ ლევანმა.

—რა ნაქვს თქვენი დასაციინი? გიორგი ადამიას რა აქვს მსახური შეიღების დასაციინი?—თითქო შეიფერა კიდევ ადამიამ.

—ვიცი, გიორგი, ვიცი, რა ტახტის აზნაურიცა ხარ.—ჩაერია საუბარში ჯინორია.

—დიხაც რომ ტახტის აზნაური ვარ, ნამდვილი ტახტის აზნაური. დედაჩემი, ცხონებული, ივდითი ამილა ვის ქალი იყო. გივი ამილახვარი გაგიგონიათ? აბა, საიდან გაიგონებდით, რომელი მწიგნ უბართ-უხუტესები თქვენ მყავდით! ერეკლე მეფის ბადალი კაცი იყო, ქართლის პატრონი და უდიდესი თავადი. დედაჩემი სწორედ იმის ჩამომავლობის ქალი გახლდათ. მამაჩემი, ზურაბ ადამია, გგონებ ყველამ კარგად იცით, რა კაცი იყო და რა გავლენით სარგებლობდა სამეგრელოს მთაერის კარზე. ცნობილია, რომ სამეგრელოს მთაერის სახლთუხუცესი, მამაჩემის პაპა ოტია ადამია ყოფილა. მე კი როგორ გგონიათ, ტახტის აზნაურიც აღარ ვიქნები?

—ვინ გედავება, ბიძია გიორგი, გინდა ტახტისა იყავი და გინდა...

—ვიცი, ვიცი რაც უნდა მიპასუხო. ძალიან კარგად მესმის თქვენი ახალთაობისა და სოციალისტების აცკარგიც. მაგრამ გიორგი ადამია ისე არ დამაბუნდება, რომ ახალთაობის ხალხს თავი დაუკრას. თუ კი ისინი დაუკრავენ თავს გიორგი ადამიას, მოგეხსენებათ ჩემი პაპისშვილი უზრდელი არასოდეს არ ყოფილა, რომ სამაგიერო ღირსეულად არ შესთავაზოს. იმას გვეითებოდით, ბრინჯი და ზეთის ხილი ბევრი გაქეთ?

—რა ზეთის ხილი, ბიძია გიორგი?

—თავს ივდებ ასეთი შეკითხვიზა.

—აბა რომელ ზეთის ხილზე ლაპარაკობ? ჩვენ მიცვალეზულს ახალ წესზე ვმარხავთ და ეს ოხერი ზეთის ხილი საიდან მოიგონე?

—ნუ გადამრევთ, ვეჟო, ამ ქაღარა კაცს,—მართლაც სასოწარკვეთით დაალო პირი ადამიამ და აიციხლავ ქუსლებზე შემოტრიალდა.—ტირილი არ უნდა გაჰყვეს ამ ხნის მიცვალეზულს?

—რად გიკვირს, ბიძია გიორგი, ტირილზე გაჰყვება, მაგრამ ბრინჯი და ზეთისხილი აბა რა სახსენებელია! ვისაც ეტირება, უმასოდაც ღირსეულად იტირებს.

—კი, მაგრამ ძნელი რომ ამზობდა ჯერ არნახული ქელები უნდა გავაყოლო დედაჩემსო. წავიდე ერთი ძიკისთან!

ადამია შებრუნდა და ოღისქენ წასვლა დააპირა.

—მოიცა, ბიძია გიორგი, ძიკისთან ამ საქმეზე რა გინდა. დაჭრილ კაცს ამისთვის სადლა სცალია, მას ეხლა მოსვენება და სიწყნარე უფრო ეპიროება ვინემ ყოველ წვირილმანზე მიკითხვა და შეწუხება. მისი ნებარავით ჩვენ თვითონ ვპატრონობთ მიცვალეზულს, და შენ როგორ გგონია, სალომეს მისი წილხვედრი ტირილი და ქელები მართლა არ გაყვება? ფიქრი ნუ გაქვს, ბრინჯიც გაჰყვება და ზეთის ხილიც.

— ისე გეთქვა, ვეცო, კინალამ გული გამიხეთქე. ახალი წესით უწდა დაე-
მარხოთო. სად ან როდის ვაგონილა უპურმარილოდ მიცვალებულნი ეხედოდან გა-
დატანა. შშიერი კუჭით ვინ ვააცილებს ცხედარს სასიფლსაჲს? *მეცხე: მისი*

— ექნება, ყველაფერი უხვად იქნება, ბიძია გიორგი! — განგებ ტყუილით
დააშოწმინეს „ამბოხებული“ აზნაური სალომეს მოჭირისუფლებემა და რომ
მართლაც ეპვი არავეს მიეტანა მიცვალებულის უქელებოდ დამარხვის განზრახ-
ვაზე, განგებ ურთიერთ შორის სახვალის სურსათ-სანოვაგეზე ჩამოაგდეს საუ-
ბარი და წედანდელი შეცდომა ვამოასწორეს. ქელები ადამიას მხოლოდ ერთი
ვამლომისათვის ეინტერესებოდა და თუ ბრაზი მოსდებოდა მამა-პაპური ადამის
დარღვევის გამო, არა იმიტომ, რომ თვითონ დიდი მორწმუნე ყოფილიყო
და წარსული ზნე-ჩვეულების შეგნებული მოტრფიალე, არამედ მისთვის აქ მხო-
ლოდ საკუთარი კუჭის საკითხი იყო საინტერესო და სხვა არაფერი.

— საცოდავი აზნაური!

— ერთი შენი! უკმელომით სული ერჯება და შენ კიდევ უქელებობაზე
ემუსაიფები.

— აფსუს რა სადილი დაკარგა გიორგი ადამიამ!

— მართლა აფსუს, რომ ამისთანა ქეციანებს კიდევ აზნაურები ეწოდება
და გზის სამუშაოზე ღერ ვამოგვიყვანია. მუქთახორები! დრამის ფულს მაგენი-
არ იხდიან და ფოსტისას, მიწის ბეგარაზე ზომ ლაპარაკი ზედმეტია. ზიან
მთელი დღე სასიფლო დუქნების აკამლოგინზე და მშიერი კუჭით ეფიცებ-
ბიან შხეს. ჯანი და ღონე მაინც არ გააზნდეთ. უპ მაგათი...

— დაიცა ბარდლა! მაგათი აღსასრულიც მოახლოვებულია. მუქთა უდომითა
და ქორმეძებრებით უყურებ რა დღეში არიან. — ლეენამა მიმაგალ გიორგის
თითი გააყოლა — ცოტა კიდევა და ეს ძონძებიც შემოაცვლებათ ტანზე. მიწა-
მამულზე ბევრ მათგანმა რა ზანია ხელი დიბანა, ვაჭრობა მაგათ არ ეხერხება
და რაიმე სამუშაოზე ხელის მოკიდება. ან შიმშილით დაწყდებიან, ან კიდევ
თოხსა და წერაქვზე ხელის მოკიდებას იკადრებენ.

— დაიცა, ერთი გზის სამუშაოდ გამოვიწვიოთ! მაშინ უყურეთ მაგათ
აყაყანებას! ამბობენ, გურიაში უკვე გაიყვანეს აზნაურები გზის სამუშაოდ.

— მერე?

— მეტი რა გზა ჭონდათ, გასულან.

— შენი ჭირიმე!

— მაშ, კაცო!

— ჰოი, გენაცვა კისერში გურულებო!

— გამოსულან?

— ქულზე კაცი გამოუყვანიათ.

— ოპ, სკახი ჭირიმე, გურულებო!

— არ ვიცი ჩვენ რალას ველოდებით? — იღერლა ბარდლა ჩვეულებისამებრ.

— ცოტა კიდევ დაიცა ბარდლა და ნახავ უჩარღებთან და დადიანებთან.
ერთად რომ აკეთებდე ჩვენს შარავზებს.

— ეპ, როდემდის, როდემდის, ამხანაგო ლეენ!

— ნუ ცხარობ, ბარდლა!



„ზურგი ვაქციოთ ძველ ადამ-წყებს,
ჩამოვიბერტყოთ ფეხზე მის მტვერი.
ზიზლით ვუცქერით ჩვენ ოქროს კერპებს,
მეფის ტახტის ვართ მოსისხლე მტერი“.

ჩაილილინა წყნარად ლევანმა.

— ხომ კარგია ა; ბარდა?

— კარგი კი არა, სანამ ზეპირად არ დავისწავლე, თვალში ძილი არ მიმ-
კარებია. მთელი ლექსი ზეპირად ვიცი. მხოლოდ ისღა მაწუხებს ეხლა რომ...
მინდა ერთი ხმამაღლა ვქუქო ქვეყნის გასაგონად.

— ჩემად, ჩიჩია აივანზე დგას და ვინ იცის, იქნება ჩვენს საუბარს შო-
რიდან უგდებს ყურს. თუ რაიმე შეგვაძინია, ვირის აბანო ხომ იცი?

— ვირის აბანო! ოღონდ ერთხელ ხმამაღლა მარსელიოზა მაქუქებინეთ
და მზად ვარ საციმბიროდაც მოვაწერო ხელი.

ბოჭაულმა უხეზად შეაღო ძიკის ოთახის კარი და როცა იქ ელენე დაი-
ნახა, ერთბაშად მოიბოღინა: — თქვენც ქალბატონო ელენე! სასიამოვნოა, ფრიად
სასიამოვნო! ბოდიში გუთქვითხილებლობისთვის. მეგონა, ძიკი მარტო ან ყოველ
შემთხვევაში „თავისიანებში“ დამიხვდებოდა და... ერთი სიტყვით მამატიეთ
უბეზობა.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო მურთაზ! — შეაგება თავის მხრივ ელენემ
და ბოჭაულს სკამი შესთავაზა.

— რასა იქმს ჩვენი ავადმყოფი? უნდა გულწრფელად გამოგიტყდეთ, რომ
ვერ არის რივიანი დასაწყისი. თათლობისთვე შეგიგვიანდებათ, ქალბატონო
ელენე, შეგიგვიანდებათ! ჰე-ჰე-ჰე! — უწნოდ ჩაიხითხითა ბოჭაულმა და ელენეს
უტიფარი თვალებით შეხედა.

— აბა რასა ბრძანებთ ბატონო მურთაზ! — განგებ დაიმორცხვა ელენემ და
თავი ჩალუნა.

— ეს ისე... სხვათაშორის. სხვა რასა იქმს ძიკი, როგორა ხარ?

— მტკიცა. ანთება მეციდება.

— სტკიცა! — უმიზეზოდ ვადინარხარა ჩიჩიამ და უცერად შუბლი შეი-
კრა, — ტყვია მოვარტყეს, ძმობილო, ლობიოს მარცვლილი ხომ არ გევონა?
მერე, მის ხელით ნაიამგარი ტყვია ტკვილეებს ალბად ერთი-ორად აძნელებს.

არავინ არათფერი უპასუხა ჩიჩიას ამ უკანასკნელ ენამჭკვრობაზე, რაც
შეუშინეველი არ დარჩა თვითონ ბოჭაულს და, სიჩუმე რომ არ გამეფებულყო,
თვითონვე დაუმატა: ქორწილს როდისღა ფიქრობთ, ბატონებო, ქორწილი ხომ
აუცილებელია?

ეზოდან ხმამაღალი მოთქმა მოისმა და ჩიჩიამ ერთგვარი უბერხულობა
იკრძო ასეთი შეკითხვის უადგილობის გამო.

— ბოდიში, მე ძალიან შორს შევტოპე და სრულიად გამოვუშვი მხედვე-
ლობიდან ის ფრიად სამწუხარო მოვლენა... დაკრძალვის დღე ალბად დანიშ-
ნული გქნებათ.

—ხვალ დაეხსაფლავებთ.

—ამბობენ, სოციალისტები რალაცნაირ სამზადისში არიან და, ხომ იცი, ძიკი, სიფრთხილედ გემართებს და გამახვილებული თვალსაზრისით დამეჩვენებო, მე, რა თქმა უნდა, ყოველ ღონეს ვიხმარ უმსგავსი რამ არაფერი მოხდეს, მაგრამ კარგი იყო შენც ფეხზე ყოფილიყავი ასეთ დროს. ხუმრობა ხომ არ არის!

—ჯანდაბამდისაც გზა ქკონიათ!—უადგილოდ შეაწყვეტინა ბოჭაულს განერვიულებულმა ძიკიმ—მე თუ ასე ბრძალ შევეწირები მავათთან ბრძოლას... ნეტა რისთვის?

—როგორ თუ რისთვის? მე უკვე ვაცნობე მაზრის უფროსს, ძიკი!

—აცნობეთ? არ ვიცი რისთვის...

—როგორ ფუ რისთვის? რა დაგიჩემებიათ ეს უხამსი სიტყვები! ვაცნობე როგორც საჭირო იყო და ალბად შედეგსაც ვნახავთ.

—შედეგს... მე მაინც არ ვიცი რისთვის ან ვისთვის ვიბრძვი.

—ცხადია, მამულისა და ხელმწიფე-იმპერატორისთვის, სახელისა და დიდებულისთვის.

—სისულელეა!—თითქო კენესით წამოიძახა ძიკიმ და ტკივილებისგან საშინლად დაიჭყანა.

—რას ამბობ, ძიკი! მიკვირს ღმერთმანი!

—სისულელეა და სხვა არაფერი!—განკებ დაჩინებით ვაიმეორა ურიადნიკმა. ძმასთან ბრძოლაში დავიღუპო და ვითომ ხელმწიფე-იმპერატორისათვის, მამულისთვის? ილუზიაა. თავის მოტყუება და სხვა არაფერი.

—ნეტო ასე გაგატება ძიკი, ერთმა უმნიშვნელო კრილობამ, რომ უკვე სინანულში ვარდები?

—სასიკეთოს არას ვხედავ და გული მეკუმშება. აბა რა არის საერთოდ ადამიანის ცხოვრება? ბრძოლა და კისრისტება, რალაც მოწვევება და მოღანდება სიცოცხლისთვის.

—ფილოსოფოსობაც დაიწყე, ძიკი?

—მე თავიდანვე ხშირად მიფიქრია ასეთ საკითხებზე, მაგრამ დასკვნა არასოდეს არ გამომიტანია. როგორღაც ძნელია ეს ობიერი. ალბათ ზემო კეჟა-გონება თუ ვერ სწვდება ასეთ ფართოს, ბნელსა და უზარმაზარ საკითხებს.

—ეგ მართალია. ადამიანის ჭკუა-გონება სუსტია ვადანწყვეტოს ისეთი რთული საკითხები, როგორიცაა... როგორიცაა, აი თუ გინდა სიკვდილ-სიცოცხლის, რას ემზიან, ფილოსოფოსები? სიკვდილ-სიცოცხლის აი... პრობლემა. დიალ, პრობლემა! ხომ მართალს ვამბობ ქალბატონო ელენე? აბა რა ადამიანის საქმეა იკითხოს თუ რისთვის არის ის გაჩენილი! რაკი განჩნდა, უნდა კიდევ იკოვროს... ზოგმა ხანგრძლივ, ზოგმა ხანმოკლედ, მორჩა და გათავდა! რატომ განჩნდა, რისთვის განჩნდა, რატომ არის ასეთი ცხოვრება და არა ისეთი, რატომ დღისით სინათლეა და ღამით კიდევ სიბნელე. ისიც თუ უმთვარო ღამეა, რატომ ტბილია შაქარი და არა მწარე, და რაკიკი კიდევ რამდენი რამ, აბა რა ადამიანის ჭკუის საკითხავია? ცხოვრობ—იცხოვრე. არ გინდა, ან არ მოგწონს ეს ცხოვრება—მოკვდი, მორჩა და გათავდა!

— მოკვდი... — თავისთვის ჩაილულულა ძიკიმ, რაც ჩიჩიას მარტო სმენას არ გამოეპარა და უმალ მიახალა.

— დიალ, მოკვდი არ მოგწონს „მოკვდი“! ვისაც მოსწონს ^{დატოვებული} მოსწონს მოკვდეს. მეც არ მომწონს, ძალღიებით რომ დამეკოტლომ, ბუნებით სალი ადამიანი, ყოველ შემთხვევაში კოქლად არ დავბადებულვარ — ჩაუროთ ჩიჩიამ და ისევე სხაპასხუპით განარძო — მაგრამ რაკი დამაკოტლეს მეც ვეგულები ასეთ ცხოვრებას, ვეგუები და რაკი ვეგუები, ალბათ მომწონს კიდეც. ასეთია ბუნების კანონ-სამართალი, წუწუნები და ოხერა-ვენესა კი აბა რას უშველის?!

— მე არ ვწუწუნებ — ხმამალა შენიშნა ძიკიმ.

— საერთოდ ვამბობ... თუმცა არც შენი დღევანდელი ფილოსოფია დგას წუწუნისა და ფილოსოფიის გარეშე. რა საჭიროა ცხოვრების შესწავლა? ადამიანი მდინარეში ფონს ეძებს და რატომ ცხოვრებაში უნდა ეძებდეს სიღრმესა და მორევს? ადამიანის ცხოვრებაც ხომ მდინარეა, აქაც ხომ იგივე ფონი და მორევი გვხვდება? გასცურე ფონი, გადალაზე სადაც ნაკლები სიძნელეა და გადი გაღმა. ფონი შეიძლება დაუსვენებლად გატოპოს ადამიანმა, მორევი კი თავით-ფეხებამდე ჩასველები, ან კიდეც, ველარ გასტოპავ და ჩაიძირები, რა? ნართალს არ ვამბობ?

— ძალიან აუბრალოებით ცხოვრების რთულსა და ჯერ კიდევ შესწავლელ საკითხებს. ცხოვრება რომ მარტო ფონს გასვლას ნიშნავდეს, მაშინ, რასაკვირველია? შენი თეორია სწორი იქნებოდა, მაგრამ... მაგრამ მართლა ასეთი უბრალო შინაარსის ხომ არ არის ადამიანის ცხოვრება, რომ ის მდინარეზე გადასვლას შეედარებოდეს? ცხოვრება რთულია, და რამდენადაც უფრო რთულია. ის, უფრო საინტერესოც არის. თუმცა ზოგჯერ იქამდე გაიტაცებს ის ადამიანის გონებას, იქამდე შებოკავს და შეზღუდავს მას, რომ მზად ხარ ხელი აიღო — ყველაფერზე, და ყველაფერი, რაც შენს გარშემო ხდება, სრულ არარაობად გამოაცხადო.

— როგორც შენ აცხადებ დღეს, არა?

— მე მაქვს საამისო საბაბი. თორემ ასე ხელალებით ცხოვრებას არ უარყოფდი.

ვილაცამ კარზე მოაკაკუნა.

— შემოდით!

კარი კაილო და ოთახში ლევან გაფორჩხია შემოვიდა. ჩიჩიამ ლევანს იქვის თვალთ შეხედა და ძიკის მიუბრუნდა:

— ასე, ჩემო ძიკი, შენ უთუოდ სცდები ცხოვრების ასეთ შეფასებაში.

— ბოქაულს კიობულობენ — არ დააყონა ლევანმა.

— ვინ არის? — მოუთმენლად იკითხა ჩიჩიამ და წელში გასწორდა.

— ჩაფარია საბოქაულოდან.

— ჩაფარი!? გადასძახე აქეთ ამოვიდეს — სთხოვა ლევანს ძიკიმ და ჩიჩიას გადახედა.

ლევანი ხმაიმოულებლივ შეტრიალდა და ორი წუთის შემდეგ ჩაფართან ერთად უკან დაბრუნდა. ჩაფარს დალუქული კონვერტი ეჭირა ხელში და პირსახეზე ოფლი ჩამოსდიოდა.

— საგანგებოდ ჩამბარეს, საჩქარო არისო, თქვენო კ-შ-ბავ!

აცახცახებულმა ჩიჩიამ კონვერტი ჩამოართვა, კიდე უკვლავად ქვემოთხია, ქალაღლები ვაშალა და კითხვას შეუდგა.

სანამ ჩიჩია ჩაფართან საუბარს მორჩებოდა, ლევანმა ძიკისთან გააბა ჩუმი საუბარი, ვითომ ქელუხის სამზადისის შესახებ, გულში კი რაღაც სხვა აწუხებდა და სწორედ ამიტომ აკვირდებოდა ცალი თვალით ჩიჩიას.

— არ შემარცხებინო, ლევან, პურღვინო რაც კი შეიძლება ბლომად... ფული ხომ არ გკირდებათ, ნისიასე უარს ხომ არ ამბობენ?— ხმამაღლა დაიწყო ვლა ძიკიმ და ელენესაც გადახედა, რათა ისიც ჩარეულიყო იმათ შინაურ საუბარში.

— ფული არ გვინდა. ყველაფერი ნისიათ იქნება— ცრუობდა ლევანი— კუბოს ფასი ბეგლარს მივუცია.

— ბეგლარს? როდის?— შემფოთდა ძიკი და ლოკინიდან წამოიწია.

— სწორედ იმ დღით.

— რაზე შემფოთდი, ძიკი?— არ დააყოვმა ელენემ ფერწასულ ძიკის დახვანე.

— !?

— არ მიპასუხებ?— კიდევ უფრო დაინტერესდა ელენე და თავისი სკამი ძიკის საწოლისკენ მიაჩოჩა.

— არაფერია... ისე, სხვათაშორის... ლევან, ხალხი ხომ ბლომად გყავთ მოწვეული? ნათესაებებს ხომ ყველას აცნობეთ?

— ყველას... თუ ამინდმა ხელი შეგვიწყო...— აღარ დაასრულა ლევანმა და გულში განავრძო: მართალია, თუ ამინდმა ხელი შეგვიწყო, ხვალვე შეიტყობ რა ხალხიცა გყავს მოწვეული და რა მიზნით“.

ჩიჩია მორჩა ქალაღლების კითხვას, ჩაფარს ახედ-დახედა, ისევე ქალაღლებს გადააეღო თვალი, თითქო არ სჯეროდა რაც იქ ამოიკითხაო, და ერთბაშად შიახალა ძიკის:

— მოგილოცავ, ძიკი, მოგილოცავ მორიგ გამარჯვებას.— ეს უთბრა და მანრის უფროსის ბრძანების ქალაღლები გადააწოდა.

ყველამ ყური სცქიტა ჩიჩიას გამოაშკარავებულ მღელვარების გამო, ძიკიმ უკულოდ ჩამოართვა მწყობრი ხელით დაწერილი— თითქო ნაბეჭდი ქალაღლები და გულის ძგერით გადაიკითხა. კითხვის დროს თვალეზი უნებლიედ გაუბრწყინდა ურიადნიკს, პირსახეზე სიბარულისა და მოულოდნელი აღტაცების იერი გადაეკრა, მაგრამ ჩიჩიას პატივისცემად თავს ძალა დაიტანა და მისი შინაგანი მღელვარება გულშივე მოიმწყვდია.

ელენე და ლევანიც გაფართოებული თვალუბით მოელოდენ კვანძის გახსნას და მოულოდნელი მღელვარების მიზეზის გამოაშკარავებას, მაგრამ ბოქაული და ურიადნიკიც თითქო განგებ აქიანუებენ საქმის ნამდვილ შინაარსზე ხმის ამოღებას.

— არაფერი არ შესმის.— დაარღვია სიჩუმე ძიკიმ და ქალაღლები, რომლის წაკითხვა უკვე ორჯერ მოასწრო, საბანზე გადადვა.

— გაუგებარი არაფერია.—ხომ გეუბნებოდი, მაზრის უფროსს უკვე ვაცნობე მეთქი. იი შედეგაც, შენ კი... დიად, იი შედეგაც...

— თქვენ?

— როგორც ბრძანებაში სწერია, მაზრის უფროსის განკარგულებაში ვარ.

— ალბად რაიმე წარჩინება...

— არა მგონია თორემ... ბრძანებაშივე ნათქვამი იქნებოდა. აქ კი რაღაც მშრალი სიტყვებია: „დაუყოვნებლივ გადააბარეთ“ და სხვა... თითქმის ბრძანების მაგვარი კილოა, თითქო მუქარაც არის. მ.შ ასე, გულწრფელად გილოცავ შეგობარო „მორიგ“ გამარჯვებას,—რატომღაც მეორეჯერ გაუსვა ხაზი ჩიჩიამ სიტყვა „მორიგს“ და ფეხზე წამოდგა.

ყველამ უხერხულად იგრძნო თავი შეეპატიებოდა ბოქაული, უკვე ყოფილი ბოქაული.

— ნახვამდის, ბატონებო! ხვალ ზუგდიდში გაეჩნდები და იქ უფრო ნათლად გამოვარკვევთ ყველაფერს.

ჩიჩია სწრაფი ნაბიჯით დაიძრა ოთახიდან და ფოსტის მომტანი ჩაფარიც თან გაიყოლა.

— რა მოხდა?—იკითხა ვახარებულმა, მაგრამ სიხარულის მიზეზებს ჯერ კიდევ გაუცნობელმა ელენემ.

— ბოქაულად ვარ დანიშნული.

— ძიკი, ნუ თუ!—წამოიძახა ელენემ, მაგრამ როცა ლევანი დაინახა, ოდნავ დაიმორცხვა და ანთებული სახე სისხლის მოკოლით კიდევ უფრო გაუქარხალდა. ის ეხლა მზად იყო ყველზე მოხვეოდა სამსახურში დაწინაურებულ ძიკს, მზად იყო ეპატიებოდა წარსული ცრდებები. ლევანი წამოდგა.

— ლევან, აბა შენ იცი. ძმასავით გენდობი და შენც იაკინთესავით არ გამიცრუო იმედები, თორემ...

— ვცდები.—მოკლედ მოუქრა ლევანმაც და საინტერესო ცნობებით აღჭურვილმა, ამხანაგებს მიამურა, რათა იმათთვისაც აღრევე ეხარებოდა ჩიჩიას გადაყენებისა და რაც მთავარია—ხვალ საბერიოში მისი არ ყოფნის ამბავი.

მ ა რ ს მ ლ ი მ ჯ ა !

სოფოლეებს ბედმა გაუღიმა. ჯერ ერთი—სალომეს დაკრძალვის დღეს შესანიშნავი მზიანი დარი დადგა. გარდა ამისა, რაც ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი იყო, ადგილობრივი ხელისუფლება დღეს სრულიად შემთხვევით არ იდგა თავის საღარაჯოზე.

ლევანმა ჯერ კიდევ წუხელ საღამოს აცნობა ამხანაგებს საბოქაულოში მომხდარი ცვლილებების, ჩიჩიას სხევან გადაყენებისა და მისი ზუგდიდში გამგზავრების შესახებ.

მართლაც, გათენდა თუ არა, სამგზავროდ მიართული ჩიჩია თავშეუყავებლად მიაქანებდა ზუგდიდისკენ სიმსუქნისაგან აბზინებულ იორლას და ფიქრებში გართული მაზრის უფროსთან შეხვედრასა და მოხსენების წარდგენაზე ოცნებობდა.

„მე კიდევ არა მჯერა, რომ ჩემი მახრავი გაწვევა ჩემს რაიონს მხრივ შეუარაყსოფასთან იყოს დაკავშირებული. უკვე დიდი ხანი წარჩინებისა და დაწინაურებას მოველი. ჯერ კიდევ ვენ, შირინკინმა გასცა უწინდურებზე ჩემი დაწინაურების შესახებ, და უკებ ხომ არ შეიძლება ყოველივე ეს ძირფესვიანად შეიცვალოს და ყველაფერი თავდაყირა დადგეს? მე ვფიქრობ, რომ ძიკის დაწინაურება სხვა ნაირად არ მოხდებოდა, და თუ ვინიცოდა ეს ასე არის, თუ ამას სხვა რაიმე სარჩული უდევს და რაიმე მოსაზრებით მე გაწვეული ვარ სამოქალაქო დან, რათა სხვაგან სადმე ისევ ბოჭოულადვე გადამიყვანონ, მაშინ... მაშინ, მიფრთხილდი, ძიკი ძიგუა! თუშეცა, აბა ძიკი რა შუაშია? დაეჯერო რაიმე მოჩიხა ჩემ დაუკითხავად და სამოქალაქოს მუშაობის შესახებ რაიმე შეუფერებელი ცნობა წარადგინა! არა მჯერა! არა მჯერა! თუშეცა ის კაცი, რომელიც ასე ადვილად შეუბრძდა ურიდიას მკვლელობის აზრს, მისი ქონებისა და ფულების დამატრონებას, მისი კოლის შერთვას, ერთი სიტყვით—მთელს ამ წუთშივე ფეხი ჰკრა და ხელი სისხლში გაიხევა, ის კაცი, ვინც მნა გასცა და სასიკვდილოდ გაიმეტა მხოლოდ იმისთვის, რომ როგორმე თვითონ დაწინაურებულიყო, და ბოლოს ის კაცი, ვინც მალულ ცხოვრებაზე გადასულ მმას თოფი ესროლა, რასაკვირველია, ის სხვასაც და თავის უფროსსაც ადვილად უღალატებს! უღალატებს და გასცემს მხოლოდ იმისთვის, რომ მის სავარძელზე არხეინად წამოსკუამდეს. ძიკის შეუძლია ეს ჩაიდინოს, მაგრამ მე კიდევ არა მჯერა, სახამ ფაქტებს არ დავინახავ, არც დავიჯერებ, რომ მან ჩემზე ხელი აიღოს და ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა გააჩალოს. ეს უფრო იმიტომ. რომ სწორედ მე ვიცი დაწვრილებით მისი აკვარავი, მისი სუსტი თუ ძლიერი მხარე, ვიცი მისი რიგი საიდუმლოებებისა, რომელთა სინათლეზე გამოტანის შეუძლია ძიგუა ციმბირს მაინც გადააშროს. ვარდა ამისა, როგორც იორდანე დანელიამ გადმოშეცა, დღეს სოციალისტები რაღაცას ამბობენ მოხუცის დამარხვასთან დაკავშირებით და, ეს ზომ ზედმეტი კოზირი იქნება, რათა ხმამალა განეცხადო, რომ „აი, მოეშორდი თუ არა ერთი წუთით სამოქალაქოს, ხელად დემონსტრაციები, შეფის საწინააღმდეგო მანიფესტაციები და რა ვიცი, რამდენი რა არ შეიძლება მოჩიხოს ასეთ დროს ადამიანმა! დიად, მანიფესტაციები, უწესობისა და ხალხის მღელვარების ნამდვილი ფაქტები, დიად, ფაქტები და... ხაბარდა! ეპ, ვნახოთ, საცა ჩავალ ზუგდიდში და იქ ყველაფერი ნათელი გახდება“.

ამ ფიქრებით შიკროლებდა ჩიჩია ცხენს და რაც უფრო უახლოვდებოდა სამაზრო ცენტრს, მით უფრო ნერვიულობდა, გული გამოლებით უცემდა და სისხლის უსწორო მიმოქცევის ამკარად გრძნობდა. სოფლებები კი დასახული მიზნების განხორციელებისათვის ყოველ ღონეს ხმარობდენ, რაც შეიძლება ხალხი ჭლომად მიეწვიათ მიცვალებულის გასვენებაზე და ერთად დარაზმულნი გამოსულიყვნენ საბრძოლველი დროშის ასაფრიალებლად.

ხალხმა დიდიდანვე იწყო დენა და ძიკის საკმაოდ მოზრდილი ეზო სალომეს ნათესავეებითა და სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოსული რევოლიუციონერ ორგანიზაციების წევრებით აივსო.

ელენე დღეს არ სჩანდა ძიგუას ოჯახში. ჯვარდაუწერელს ალბად თუ სცხვენოდა საჯაროდ გამოჩენილიყო. მარტოდ დარჩენილი ძიკი ნერვიულობდა.

„საცოდავი დედანეში—ბუტბუტებდა ის თავისთვის—ისე მოხარო, ცხოვრება არ შეუტყვია. არც ქვრივია და არც შეიღებით არ გაუხარებო, ქვეყნისკულობასა და სილატაკეში ამოხდა სული. თუმცა ამ ბოლოს ძიკის ქვეყნისკულობადაც შეეძლო ეცხოვრა, მაგრამ რატომღაც იუჟადრისა. იუჟადრისა კი არა, შემინეზნა კიდევ. ჩემზე, როგორც შეიღზე, ხელი აიღო. არა, ეს ჩემი დედა არ იყო... დიად, არ იყო. ის ბეგის სთელიდა ღირსეულ შემკვიდრედ, ის უყვარდა მხოლოდ, ისლა აგონდებოდა მე კი... ოჰ, როგორ შხამად მაგონდება მისი წყევლა, გაკაცება და შეჩვენება! მოლაღატეს მეძახდა. დასანახავიდაც კი ვეჯავრებოდი. სახლკარი მოვაწყვე, პარტიზადქვეული ეზო-მიდამო ბალად ვაქციეთ მაგრამ ერთხელაც არ შემოუღვამს ფეხი ამ შენობაში.

კიბეს არ მოახლოებია. სიკვდილის წინ ცოდვით დაიბარა, ფაცხაში მიტირეთო, ოდაში არ ამიყვანითო. სული ისე დაღია, მუდამ ბეგლარის ხსენებაში იყო და ერთხელაც არ წამოსცდენია ჩემი სახელი. ეჰ, საცოდავო ძიკი, ხალხისა და მშობელი დედისგანაც გამეტებულს! არა, ისეთი რა დაეაშავე, რომ ქვეყანამ ამითვალწუნა! ნუ თუ არსებობისათვის ბრძოლა სიძულელიდაც მადებს ადამიანებში და საკუთარ შეიღსაც გაძლევს და გაზიზღებს სამუდამოდ?

არსებობისათვის ბრძოლა ზომ სოციალისტებსაც სწამთ, ზომ ისინიც იბრძვიან გამარჯვებისა და დასახული მიზნების განხორციელებისათვის და ამ ბრძოლაში, რანაირ საშუალებებს არ მიმართავენ! იბრძვიან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, იბრძვიან ყოველგვარი იარაღის საშუალებით, ყველგან და ყოველ გზაჯვარედინზე. მაშ, რაღა მე ვარ ათვალწუნებული? რატომ მე ამომიჩემეს მშობლებმაც კი და არა ჩემი ძმა ბეგლარი, რომელიც თავის მიზნების განხორციელებისათვის ისევე იბრძვის როგორც მე? მაშ რა შუაშია აქ სიძულელი ერთისა და სრული ნდობა მეორისადმი?!—გულუბრყვილოდ ეკითხება ძიკი თავისთავს და ვერ მიხვდება, ან არ უნდა გაიგოს, რომ სწორე არსებობისათვის ბრძოლამ წარმოშვა საშინელ სიძულელი ძოწინააღმდეგისადმი, სულერთია—მშობელია ის, ძმა თუ ნათესავი, რომ ეს სიძულელი არის არა მხოლოდ პირადული, არამედ საზოგადოებრივი, კლასობრივი, და რომ სწორედ ასეთ ფიზიოლოგიურ თუ სულიერ სიძულელის გარეშე არ არსებობს არც კლასები და არც კლასობრივი უსთიერთობანი, რომ სწორედ ეს სიძულელი არის შთავარი მამოძრავებელი ძარღვი კლასობრივი ურთიერთობის გამწვავების და აფეთქებისაც.

ძიკის თან ენანებოდა მშობელი დედის დაკარგვა, მასთან საბუღამო გამოთხოვება, და თანაც ვერ შეროგებოდა იმ აზრს, თუ როგორ გაიმეტა ის მშობელმა ტყუილად წყევლისა და შეჩვენებისათვის, როგორ გამოაცხადა მოლაღატედ და გამყოფელად.

კარი გაიღო და ძიკის რამდენიმე ნათესავი შევიდა მასთან სამძიპროსათვის.

— რა მოგვიდა, ბიჭო, თვალი ისე როგორ დაგიბრმავდათ, რომ ძმებმა ერთმანეთს თოფი ესროლეთ?

— როგორ ხარ, ძიკი, სკანი ჭირიმე, ჭრილობა რას გიშვრება? — მოთქმით გვითხებოდნენ ძიკის თვალმბაცრემლებული ნათესავეები.

— ვაი, შენს დაიას, ჩემო ტკბილო და უწყინარო საღიმიე ნიჭუნადა ლოყებს სალომეს უმცროსი და რიფსიმე და გაუოფრილ თაყმის ისწოვებდა.

— დაწყველილ დღეზე ვარ გაჩენილი. უბედური და უთვისტომო! — იყო ძიკის მკვახე პასუხი.

— ვაი შეხს დედას უბედურს! სული ისე ამოხდა, რომ შვილების ცქერით გული არ უჯერებია. მუდმივ შიშსა და აწიოკებაში გაატარა წუთისოფელი. ჭრილობა რას გიშვრება, შვილო! — შეეკითხა რიფსიმე ძიკის და ლოგინზე ჩამოუჯდა.

— მტკივა. ანთება მეკიდება.

— ვაი შენს დედას, შვილო! დამარხებაზე მიინც არ წამოგკვროდა ეს სამარცხენო ამბავი.

ძიკი აიშრინა. ეზოში რაღაც ჩოჩქოლი შეიქნა.

— რა ამბავია? — სკვეიტა ყურები ურიადნიკმა (უკაცრავად, უკვე ბოქაულმა!)

— რაღა ამბავი იქნებ, შვილო! ასეთი სასახელო კმარაშვილია პატრონს ჭირისუფალიც არ ადგანა თავზე...

შუადღე წაზოიხარა. ეზო სტუმრებსა და დამტირებლებს ველარ იტევდა.

— გამეიტანეთ იგი ხეშთი თუ გამოგაქვთ! — ველარ მოითმინა ადამიამ, როცა შეატყო, რომ მიცვალებულის გასვენების დრომ მოაწია და პურმარილზე თავს არაეინ იწუხებდა.

ადამიას ჯერაც ვე შეემჩნია, რომ ძიგუას ოჯახში არავეითარი საქელებო სამხადისი არ იყო, რომ ახლობელ-შორეულნი მხოლოდ მიცვალებულის გარშემო ფუსფუსებდნენ და გასვენების დროს ელოდებოდნენ.

— წაეასვენეთ! — დაირხა ხმები აქეთ იქით და უკვე წინასწარ შერჩეული რამდენიმე ვაჟაკი ფაცხისკენ დაიძრა.

— წაეასვენეთ?! რას ჰქვია, ღმერთო მომკალი, უკმელ-უსმელად წაეასვენოთ! — აიჩიკა ისევ ადამია და ხალხში გაურკვეველი ჩოჩქოლი შეიქნა.

ადამიას სხეებიც წაექობაგენ, განსაკუთრებით ღვდელი ონოფრე, რომელიც სხვადასხვა მოსაზრებით იქნა მოწვეული გასვენებაზე.

— მიცვალებულს ხელი არ ახლო! — ყვიროდა ხმამაღლა გიორგი ადამია და თავის თანამოაზრეებს კიდევ უფრო აქებებდა.

— მოგცლია ერთი შენიც! — ჩერჩეტო ბერიაცო!

— ჩერჩეტია ხარ და გაუთლელიც! როგორ მიბედავ!

— კარგი ერთი, ნუ ჭირვეულობ რაღაცას, თორემ...

— გამიშვიოთ ცხვირმოუხოცილი ღლაპი გიორგი ადამიას ჩერჩეტს უწოდებდეს?! არ დაეთობ... გამიშვიოთ! — იტყებოდა ადამია, მაგრამ საოცაროც ის იყო, რომ მას არაეინ ხელს არ ჰკიდებდა და ის კი ხელეზმეოქილივით გაიძახოდა „გამიშვიოთ, გამიშვიოთ“.

ხმაურობაზე ძიკიც დაინტერესდა საქმის ნამდვილი შინაარსით. მას უკვე აცნობეს ქელების ჩაშლის ამბავი, მაგრამ...



მაგრამ უკვე გვიანდა იყო. მიცვალებული ეზოში გამოეტანათ. ძივი გაბრაზდა და გაცოფდა ლევანისა და სხვა „მოქვეყნებულნი“ მეზობლების საქციელზე, გაურისხდა დაუგრავინდა ხელქვეით ჩაფრებულ მკაცრს საცოდავი ჩაფრები რა შუაში იყვნენ?

— დრო შიშოვეთ?! ისარგებლეთ მდგომარეობით, კარგი, კარგი, დამაცადეთ... დამაცადეთ და მე გიჩვენებ რაც თქვენს თვალთმაქციობას ეკადრება... ჯანსუღ!

— თქვენო, შ—ბაე!

— კეთილ შობილებზე! მუტრუკო არ იცი, რომ უკვე...

— თქვენო კეთილშობილებზე! გამოეკიმა ბოქაულს ათისთავი ჩაფარი.

— ყველანი შეიარაღდით და შენი ხელმძღვანელობით უთვალთვალეთ სამკლოვიარო პროცესიას, უმსგავსი რამ არაფერი ჩაიდინონ.

— შესმის, თქვენო კეთ... შ—ბაე!

— გასწით! საღამოთი პატაკი, აბა!

— ჯანსუღ!

— რა, თქვენო კეთილ—შ—ბაე?— მობრუნდა კარებიდან ათისთავი.

— თუ ვინიკობაა რაიმე ვაბედონ, ესროლეთ, პირდაპირ ესროლეთ.

— შესმის.— ჩაილაპარაკა კარებში ათისთავმა და თავშეუკავებლად დაეშვა დაბლა ოდის კიბეებზე.

ცხედარი რაბანია შარაზე მბჰქონდათ, და როცა თავზარდაცემული ათისთავი ქუდმოგლაჯილი გარბოდა საბოქაულოაკენ ჩაფრების დასარაზნავად, ცხედარს წინ აბრეშუმით ამოქარგული ლალისფერი დროშა გაშალეს და ხელისუფლების საწინააღმდეგო მარსელიოზაც დასტყვეს.

„გზაღმოსათ მამაო“!

— ეგ რა მომივიდა? ამ ტურტლიანმა სიხარულიძემ როგორ ჩააწყვარა მამა ყველაფერი! შერვაშიძეც რა შავ კირად გადამეკიდა დღეს?— ფიქრობდა თავზარდაცემული ნიკო ბლალოჩინი და სისხლიან თვალებს უგზოუკელოდ ახეტებდა. რა გეგმა ჩაიშალა! როგორ უმსგავსოდ ჩაიფეშა საათივით აწყობილი საქმე! ხატსაც რომ სახელი გაუტეხეს! აქამდე მისი რისხვით ხალხი თავზარდაცემული იყო. დღეს კი... ის უჯიშო, ისა!— იმუქრებოდა ბლალოჩინი და დორბლს ჰყრიდა.

იგერ ბლალოჩინმა შერვაშიძეს მოჰკრა თვალი და გულის ამოსარეკად ფეხდაფეხ გამოუდგა. წამოეწია. ბრახისგან ატრუნებულმა მოურიდებლად მკლავში სწედა ამალის ოფიცერს და უხეშად მოატრიალა თავისკენ. ხმის ამოღება აღარ დააცალა, აქოშინებულმა შეგუბებული გესლი და ნალევლა გადმოანთხია.

— ეგ რა მიყავით, ბატონო ქიშვარდი! ეგ რა ჩაიდინეთ?!— სხაპასხუპით ისროდა ბლალოჩინი შხამნარეც სიტყვებს და განუზომელ მღელვარებისგან დორბლს ვერ იმაგრებდა.— ეგ რა სატანჯველში ჩამაცადეთ თქვენი წინადაუხედავი საქციელით?! ვინ გრჯიდათ, ვინ გავალბდათ?!

— რა მოხდა მამაო?— წყენით შენიშნა შერვაშიძემ და პროტესტის ნიშნად ბლალოჩინის მკლავებს თავი დაახწია.



—სხვა რაღა უნდა მომხდარიყო? თქვენი წინადადებათა და გუგურობითი ლეზობით აწყობილი საქმე ჩამიშალეთ. ტურტლიან სიხარულით და კვერთხით დაჯარით, კასრამეს დაემოწმეთ.

—მე მხოლოდ სიმართლე ვთქვი და სხვა არაფერი.

—სიმართლე? როგორ?—აიღეწა ბლალაჩინი თითქო ყურებს არ უჯერისო.

—უბრალოდ, კასრამე წუხელ შინ იყო წასული და ცხადია დუქნის გატეხაში უშუალო მონაწილეობას ვერ მიიღებდა,—ცვიად მოუჭრა შერვაშიძემ, რომელმაც სწორედ ეს ორა დღეა რადიკალურად იცვალა აზრი, რევოლუციონურ ორგანიზაციებთან დამოკიდებულების შესახებ და გუშინ საღამოს, სწორედ იმავე კასრამეს აღუთქვა, რომ ამიერიდან ის არამც თუ მტერი აღარ იქნებოდა ახალი, თაობისა, უტერო მეტიც—რითაც კი შეეძლო, დაესამარებოდა კიდევ.

—კი, მაგრამ ჩვენი წინასწარი მოლაპარაკება?

—უკაცრავად!—ასწია ხელი შერვაშიძემ და ბლალაჩინს პირდაპირ თვალში შეატყდა.—მე არავისთვის დასტური არ მიმიცია ასეთი თვალთმაქცური და მასთან საზიზღარი სცენის გათამაშებისათვის. მართალია, ხალაძრე მიკიტანი რაღაცას ბოდავდა ამას წინად გვარამიძის გეგმის შესახებ, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, ყურადღებაც არ მიმიქცევია.

—მაშინ... ორასი მანეთი რაღად მიეცით გვარამიძეს? თქვენ ხომ იცოდით, რომ გვარამიძეს ეს თანხები სწორედ ამ მიზნისთვის სჭირდებოდა? მე ასე გავიგე იმ ღამინდელი თქვენი საუბარი, თორემ, მართალი მოგახსენოთ აქამდე ახლო არც კი ვიცნობდი მაგ გვარამიძეს. ხალაძრე მიკიტანისგან გაგონილი მქონდა ეს მოსაზრება, მეც მოუწონე, შემდეგ გვარამიძეც შემხვდა, იმან დაწერილობით გამაცნო ყველაფერი, იმასაც მოეწონე, რჩევა-დარიგება მივეცი გერსამიძე და სიხარულიც შინ დავიბარე, წათლად და ვარკვევით ჩავაგონე ყველაფერი, დღეს კი ენახოთ, ის ტურტლიანიც რაღაცას ბოდავს, თქვენ კასრამეს ემოწმებით... არ ვიცი ღმერთმანი!

—მე ეგ არ ვიცოდი... და რომ მცოდნოდა კიდევ, უნდა გულაბდილად გითხრათ, რომ სოციალისტების წინაღმდეგ აშკარა ბრძოლისთვის აღარ მცალია. ამისთვის არის ჯარი ღა პოლიცია, ენდარმერია და ათასი სხვა ჯინდაბა. მე კი ორი დღის ცხოვრება არ მომხერბოდა. თავი სასწოროზე რად შევაგდო? თქვენ იცით რა ოფლის ღვარში... მაკურეს...

—დაგაშენეს?!—ცინიკურად ჩაურთო ბლალაჩინმა და ლაზათ ანად გადიხარხარა.

—თუნდაც ვერე იყოს,—ცვირის აწვევით უპასუხა შერვაშიძემ ბლალაჩინს უხეირო სიცილზე და თანაც დაუბატა:—მოდი და ნუ შეგეშინდება! თავზე ხელაღებული ხალხი მტრად გავიხადო, ვისი იმედით? პოლიცია? ენდარმერია? სულ ტყუილია! მაგათ პოლიცია ვერ დააფრთხობს. ვერ უყურებთ რა მაგრად უპირავთ თავი? ლადარია შესაშინებლად სიმუშაოდან დავითხოვე, ბინიზე დავიბარე, ყველაფერი აფუხსენი და კონპანიონობაც კი შეეთავაზე. იცით რა მითხრა?

—ცხადია, უარზე ვადგებოდა.

—მოეფიქრებო.



—რა ჰქონდა მოსაფიქრებელი?

—დიად, მოვიფიქრებო, და მეორე დღეს შევარდნაქვეყნებ. განმანათლებელი პა-
ნიკაშვილი

—მუქარით, არა?—ისევ დაცინვის კილოზე ჩაურთო ბლალოჩინმა.

—თქვენ რალაც უცნაურ გუნებაზე ხართ დღეს, მამაო. მე კი უნდა მოგახსენოთ, რომ მაგათი მუქარა ხელწამოსაკრავი ამბავი არ გახლავთ. ჩემისთანა წერილი, ცოლშვილის პატრონი ასეთ თავზეხელაღებულ ხალხს ვერ დაუპირისპირდება. მაგათი იდეალი ბრძოლაა. ბრძოლაში კპოეზენ სიამოვნებას. მე კი ბრძოლისა და ირეე-დარევისა შავი ჭირივით მგშინია.

—რა ჩქარა მოუტეხიხართ წვინტლიანების მუქარას!

—ზოგს წვინტლიანებად ეჩვენება ისინი, მე კი...

—თქვენ კი უბადლო ვაქცაყებათ მიგანჩიათ, არა?

—ყოველ შემთხვევაში სახიფათო ხალხია. ამას მე იმ დღესაც მოგახსენებდით, ვგონებ გეხსომებათ.

—კი მახსოვს.

—პო და, მაგათ წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის გამოცხადება კუბომდე მიგიყვანს. იმან იბრძოლოს, ვინც ამ საქმისთვის არის მოწოდებული, ჩვენ კი ვგონებ სხვა საქმე უფრო გვაინტერესებს. ჩვენთვის უმთავრესია კონცესიის საქმე და არა სოციალისტებთან ბრძოლა. გზადავა ყოველი ძალა უნდა გამოვიყენოთ ამ მიზნისთვის, საერთოდ კი ერთგვარი ნეიტრალიზაცია გამოვიჩინოთ. მოაწევს ზაფხული. ამ დროისთვის სწორედ ინგლისელ ლორდს ავბარგავთ აქედან და ვათავებთ. თუ ხაზინები გავხდებით, მაშინ უფრო დაგვეშენდება ახალთაობის წინააღმდეგ ბრძოლა, ვინემ დღეს, ამ ცალიერი ხელებით.

—როგორ აბარგავთ თუ ერთი მუქა ხალხის გაელენის ქვეშ მოექცევით და მათი შიშით ფარხვალს ასე სამარცხვინოდ დაჰყრიო?

—არსებობს გზები. გამოსავალი უამრავია. სოციალისტებს ჯერჯერობით პოლიციაც გაუმკლავდება.

—დახმარება არ უნდა?

—დაეხმარეთ. თქვენ ხომ ყოველ მხრივ ეხმარებით?

—მიყვირს რა გულაგდებით ეკიდებით ასეთ საგულისხმო საკითხს.

—მე აკი მოგახსენეთ, სოციალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ვერაფრითარ მონაწილეობას ვერ მივიღებ მეთქი. არც რაიმე საშუალება-გამაჩნია, თქვენ კი ბევრი რამ შეგიძლიათ გამოიყენოთ ამ მიზნისთვის, მარტო ერთი ლომისკარელი რად ღირს!

—ლომისკარელი...—ჩამოართვა სიტყვა ბლალოჩინმა და თითქო ყელი გაუშრაო, აღარაფერი დაუმატა. ბრაზით წვერი სამოისწორა და მეტისმეტ ნერვიულობისგან ყავარჯენი ქვეზზე აახშაურა.

—დიად ლომისკარელი! მორწმუნე ხალხი, რომელსაც ადვილად შეუძლია ლეთის შიშით საკუთარე შვილიც გაიმეტოს, მე კი... კასრადის სოფელში ყოფნა რომ არ დამემოწმებია, იცით რა მომელოდა ამისთვის?

—მესმის... თქვენ ისევ შიში გალაპარაკებთ.

—ორი დღის წინ ლადარია მუქარით გავისტუმრე, მაგრამ დღეს...



—განა რა შეიცვალა ორ დღეში?

—არიფერი. ჯველამ იცის, რომ ლადარიას ნამდვილი გვერუცებულე არის, რომ ის ურიადნიკი ძიგუას ძმია, რომელსაც სწორედ ამ ურიადნიკის წინათ ფეხი მოსტება, რომ ის ბოქაულის მირზახანის მკვლელია, სურების ორგანიზაციის ხელმძღვანელი, და რა ვიცი კიდევ რა, მაგრამ...

—ძლიერია, არა?

—ღიან, ძლიერია და კიდევ უფრო ძლიერი ნებისყოფის პატრონია. კაცმა ძმას თოფი ესროლა და ის მე დამინდობს, რომ რაიმე საბაბი იწოვოს შემოდავებისთვის? თქვენ, მამაო, ალბად, ჯერ არ იცით, რა მოდგმისა არიან ეს სოციალისტები. განსაკუთრებით ბოლშევიკები; რომელთა ფრაქციას ეს ლადარია, კასრადე და სხვები ეკუთვნიან. ვადაელობები წინ თუ არა, ბაც! იყო და არა იყო რა. დანდობა და შეწყალება მაგათ სახარებაში არ სწერია. ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლა. ენაზე ბრძოლა და განადგურება აკერიათ, მოწინააღმდეგის სრული განადგურება.

—ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ—შენიშნა მწარედ ბლალოჩინმა—განა მაგათ წინააღმდეგ ბრძოლას თავი უნდა გავანებოთ?

—ყოველ შემთხვევაში უნდა ვერიდოთ მაინც—შეგება შერვაშიძემ—ეხლა სხვა დროა, მამაო ნიკო, გაზეთებს ხომ უყურებთ, მთელი რუსეთი უდიდესი რევოლუციის წინაშე დგას. სამრეწველო ცენტრები და მუშათა უმნები უკვე ცეცხლის აღში არიან გახვეულნი. ადგილობრივი ორგანიზაციების გაძლიერება სწორედ ცენტრების გააქტიურების გამოძახილია, აქ კი თქვენ გვირჩევთ თავი შეეწიროთ რაღაც სისულელეს, რატომ, ბატონო, რისთვის?

ბლალოჩინი ჩაფიქრდა. შერვაშიძის აზრები არ მოეწონა. ქამათში შეყოლა ზედმეტად ჩასთვალა და წარავზის მოსახვევეში ჩამოწოლილ ლოდს მიეყრდნო. შორიანლო მომავალი ახალგაზრდა შენიშნა და გულის შესაჯერებლად ეხლა ამას შეუტია;—ვინ ხარ შენ?

—კაცი ვარ. ქუშტად უბასუხა ჯგუხა ახალგაზრდამ. რომელსაც ეტყობოდა, რომ ლონეცა და ვამბედაობაც მოკარბებული ჰქონდა,

—შენი კაცობა ვინ სთქვა, ზღმურტლიანო ლაწირაკო! ფეხდაფეხ აგვდევენებისხარ, რომ რაღაცას ყური მოჰკრა და მერე სოფელი იიკლო ენის ქარტალით?

—არ დავიშახურე ეგ რისხვა.—გაიბუყა ბრაზისგან ახალგაზრდა, მაგრამ შერვაშიძეს მოეხატრა და თავის შეკაება არჩია,

—ტურტლიანი...—მოიწმინდა დორბლი ბლალოჩინმა.

—გმადლობთ, მამაო, კურთხევისათვის!—მწარე ირონიით ჩაუკრა ახალგაზრდამ და ნაბიჯს მოუჩქარა. გულში კი ასე ვაიფიქრა: „ღამაცა, შენზე კარგახანია ვოცნებობ... განანებ ყბედობას თუ გყოფილვარ ცინცაბე“,—ეს სთქვა და შეკაში შეუხვია.

—გვითვალთვალეზბდა, შორიანლო მოგვდედა, და ყურს გვიგდეზბდა, უპ, მაგათი ჯილაგი!—თავის გასამართლებლად წამოიძახა ბლალოჩინმა და ლოდს მოშორდა. ადგილ მოინაცვლა და ზამთრის ფერმკრთალ მხეს ზურგი მიუფიცა. სიჩუმე ჩამოვარდა. შერვაშიძე რაღაც ფიქრებში იყო გართული, ბლალოჩინს კიდევ საკუთარი გეგმები აწვალეზბდა.

—კომისია როდის შეუდგება მუშაობას?—თითქო ეხლა მოაგონდარო, მოუ-
თვენლად იკითხა ბლალოჩინმა და ისე აჩქარდა, რომ ამ საკითხსავე პირადი
დაინტერესება გამოამჟღავნა.

—ამ ორ-სამ დღეში, ან როცა მოეახერხებთ. უხვირო ამბავია, მაგრამ
რა გაეწყობა. მე წინასწარვე უნდა გამოვიტყუდეთ, რომ კასრამის საბრალმდებლო
სკამზე დასაში ვერაფრით ვერ დაგეხმარებით. კასრამე უნდა გამართლებულ
იქნას ვეცდები როგორმე გვარამამეც დავადგინო ბრალდებას, რადგან ის ჩვენთ-
ვის საჭიროა კაცია, ამ დროებით მაინც, და ქურდობა ისევე გერსამიძესა და სი-
ხარულიძეს უნდა ვადაეაბრალოთ. კომისიის დადგენილება საბოლოო იქნება და
თავი ქვეს ახალონ. ხალამბრე მიკიტანი და ისინი როგორმე მორიგდებიან თა-
ვიანთ შორის.

—გვარამამეს ეხლა კომიტეტშიც წაედავებიან. გამოძიებას დანიშნავენ.

—არა მგონია. როგორც ამბობენ, კარგა ხანია კომიტეტში უთანხმოება
მოსვლიათ და ორივე ფრაქციის ცალ-ცალკე კომიტეტები ჩამოუყალიბებიათ.

—ეგ ვერაფერი ნუგეშია იმეამად ჩვენთვის. ო, რა აწყობილი საქმე ჩაიშალა...

—გვარამამეს გავამართლებ, ლადარიას რა კასრამეს კი ვურჩევ ნებაყოფ-
ლობით დასტოვონ დროებიჲ სურების რაიონი. დამთანხმდებიან.

—საიდან იცით?

—მერწმუნეთ, დამთანხმდებიან. მაგათთან საქმის გამწვავება არა ღირს,
თორემ ტკბილი ენით რას არ შეასმენ!

—გადამეტებული შეფასებაა.

—გარწმუნებთ, რომ კასრამესა და ლადარიას მშვიდობიანი გზით მოეი-
შორებ სურების რაიონიდან. მოშავალში-კი, ვნახოთ რანაირ ხასიათს მიიღებს
საერთოდ მოძრაობა და ვინ ვის აჯობებს.

—თანახმა ვარ. თუცა არა მგონია მოახერხო?—ხანმოკლე ყოყმანის შემ-
დეგ სთქვა ბლალოჩინმა.

—კარგა, თანახმა ვარ თქვენი მოსახრების—განაგრძობდა ისევე ბლალო-
ჩინი, ოღონდ ორი-სამი დღით მაინც შეაყოვნეთ კომისიის მუშაობა. მე დღესვე
მოველაპარაკები ხელამბრე მიკიტანს, სიხარულიძესა და გერსამიძეს ფულით
მოურთხდეს, დანაშაული თავიანთ თავზე მიაღებინოს. თქვენც ასე გააფრთხილეთ,
თორემ ის გვიჩია, კომისიის წევრი, გონებამახვილი ვინმეა. გამოძიება მას არ
ჩაუგდოთ ხელში, თორემ ყველას დავთარს დაუბნევს და რალაცას გამოსძებნის.

ბლალოჩინმა შინ შეუხვია. შერვაშიძე კი შარას გაჰყვა და კარაჭისკენ
გაემართა.

სადამოს ნიავმა შემოჰკრა და ყინვა გაძლიერდა. ხელუბვათომილი ბლა-
ლოჩინი ბუხარს მიუჯდა და ისევე წელანდელ ფიჭვებს დაუბრუნდა: „გეგმა კი
ჩაიშალა, მაგრამ დამაცადეთ, თქვე სდმურტლიანებო“!

—გრიგოლა, გრიგოლა!—გადასძახა ბლალოჩინმა მოჯამავირეს და ბუხარს
ზურგი შეაქცია.

ეზოში გრიგოლას ხმა მოისმა.

—წადი, ელიშულას უთხარი ჩემთან ამოვიდეს.

—ეხლავე.—ეზოდანვე უპასუხა გრიგოლამ და შარაზე გადიკრიმანქულა.

„ხეალ უთენია ელიშუღას მარაში ვაფრენ—ფიქრებდა ბლალოჩინი, აქ კი შევეცდები კომისიის მუშაობა ჩაიშალოს და... ისევე ვეცდები კომისიის არჩევა გახდეს აუცილებელი... მანამ ყველაფერი „თავისუფლებების“ ხედა. კომისიის მუშაობის ჩაშლისთვის კი საჭიროა... დიალ გეინიას დააბატონებენ. კარგი! მამასახლისი...—ჩამოისვა წვერზე ხელი ბლალოჩინმა—ის ჩერჩეტი ისა, მამასახლისის რაღა ვუყოთ? დიდებულთა! მიიღვა შეზღუდული თითი ბლალოჩინმა და უღვაშებში ჩაიკინა—დიალ, დიდებულთა აზრია! ტერენტია ფირალს დაეფიქრებ, ერთ ლურჯიანს მიეფიქრებ და... დარჩა მარტო შერვაშიძე. ამა რაღა კომისიაა! ხალხი გაურკვეველი დარჩება, შეიქმნება ათასგვარი ქორი, მითქმა-მოთქმა და როცა ბოლოს დაინახვენ, რომ კასრადე მისი ამხანაგებით ერთად გაიგზავნება სურბიდან, გერსამიძე და სიხარულიძე ციხეში ჩაედებინან, ერთი კვირით მაინც ჩაეჯიხებიან, ლომისკარგლის ძალაც შეურკვეველი დარჩება ხალხის თვალში და დუქნის გამტეხთა ნამდვილი ვინაობა ბუნდოვანი და გამოურკვეველი. სოციალისტების ავტორიტეტის შესაღწევიად ექვის თვლიც საკმარისია... ვითადა! თუ შერვაშიძემ ისევე არ აურ-დაურია, გაფიცვის ჩაშლის საქმეც გაჩაჩხულია და გვარამაძეც ხელში შეგვრჩება დროებით საბურთაოდ. დიდებულთა აზრია, დიალ, დიდებულთა!—მოუწონა თავისთვის ბლალოჩინმა, და ცეცხლზე შეფიცებული საწერ მაგიდას მიუჯდა მარჯის უფროსისადმი წერილს მისაწერად.

მეხანძრავი სარჩულში

ელიშუღისას მიმალ გრიგოლას გზაში ხოსია შემოხვდა. ბლალოჩინის მოჯამაგირე რომ აქარებულთა დაინახა, ხოსიამ დაუფიქრებლად მიიძახა: სად მიიქარი გრიგოლა, გეტყვი მე!

—ელიშუღისას, —დასტოვა პასუხი გაქანებულმა მოჯამაგირემ.

ხოსია შეტოკმანდა. „ელიშუღისას... ისე ჩქარა“?—რა საქმე გაქვს, ბიჭო?!—უმალ დაადევნა ხოსიამ, მაგრამ გრიგოლამ უკვე გადირბინა სერი და ხოსიას ხმა უშედეგოდ ჩაინთქა თოვლით დაყრუებულ სივრცეში.

„ელიშუღისას... ნეტა რა საქმე აქვს“?—აეკვიტა ხოსიას რაღაც უცნაური აზრები და ვზადავა მოსვენებას აღარ აძლევდა. „მოდო კომიტეტში შევიყო, იქ ვინმეს ენახავ და... გაურბინა უცებ ხოსიას თავში—თუმცა სისულელეთა! ელიშუღე ყოველდღე ბლალოჩინისას აგდია და, რასაკვირველია, რომ დღესაც ეძახოდეს რაიმე საქმეზე? რაღაც უცნაური საქმე ექნება უთუოთ. ამა სხვა რამე რომ იყო, ბიჭის პირით როგორ შეუთვლიდა! არა, სანდო კი არ არის, მით უმეტეს ეხლა. დღეს ლომისკარგლიც კინიღამ გაუხუნდა, სიხარულიძემ უღალატა, აბნეული ჩვენება მისცა. ერთი სიტყვით, გაბრალებული იქნება და ვინ იქის რას არ გვიპირებს, მაგრამ მოჯამაგირის პირით... მოჯამაგირის პირით რა უნდა შეეთვალა?

ამ ფიქრით გასცდა ხოსია კომიტეტის ბინას, ხელი ჩაიქნია და დამშვიდებულმა პირდაპირ შინისკენ გასწია. შინ მისვლისთანავე ბეგი ბკითხა და როცა შეიტყო, რომ ლადარია ვანში იყო რაღაც საქმეზე წასული, ბუხარში

ცეცხლი გაიწვია, სამეფვა სკამი მოიჩოჩა და ჟურნალ-გაზეთებს დაუწყო თვალიერება. ცეცხლის პირას ნათელა, შემოემატა.

—რა ამბები ხდება ნათელა, გეტყვი მე!

—რა ამბები?—იკითხა შემკრთალმა ნათელამ.

—რაზე გაფითორდი, გეტყვი მე, განა კუდ ამბებს ვიძახი?

—რა ვიცი, გული გამიბუთქე. —ამოიოხრა ნათელამ და გაზეთს წაებოტინა.

—პეტროგრაძის და რუსეთის ყველა დიდი ქალაქები რევოლუციის ქარ-ცეცხლში ეხვევა. აჯანყებანი, ბარბიკადები.

—მართლა? რაი დღეა გაზეთი არ წამოიკითხავს.

—აი, —ნათელას გაზეთი გადასცა და თითოთ დეპეშებსა და ახალ ამბებზე ანიშნა. თვითონ „მოგზაურის“ ახალ ნომერს დაწვდა და ფურცელა დაუწყო.

—პეტროგრაძეში უანდარბთა სამმართველოს უფროსი მოუკლავთ, გესმის ხოსია?—აღტაცებით წამოიძახა ნათელამ.

—ვიცი. თავაფლებლივ უპასუხა ხოსიამ და კითხვა განაგრძო. —ფილიპე მახარაძის წერილი წაიკითხე?—ეხლა ხოსია შეეკითხა ნათელას.

—წავეკითხე .. იცი რა ხოსია?

—რა?

—მე მახარაძის წიგნიც ვიშოვე „დანიელ კონქაძე და მისი დრო“ აი „სურამის ციხის“ გარჩევა რომ არის.

—მართლა?

აივანზე კასრამე და გვიჩია გამოჩნდა.

—მობრძანდით, ამხანაგებო! —შეეგება ხოსია მოსულებსა და ცეცხლთან შიიპატიყა.

კასრამე შემოსვლისთანავე დააკვირდა ნათელას. ეშხიანი ქალი თვალში მოუვიდა, ერთხელ კიდევ ასეუდ-დახედა და შეთავაზებულ სკამზე დაჯდა. სიჩუმი გაძლიერდა. ბოლოს ისევ გვიჩიამ დაარღვია მყუდროება და ხოსიას მიუბრუნდა:

—ლომისკარელის ეკლესიას დარაჯი ჰყავს?

—დარაჯი? რაზე იკითხე, გეტყვი მე!

—ისე, სხვათა შორის. ჰყავს ვინმე?

ხოსიამ ჟურნალი ბუხრის თავზე შემოსდო და რატომღაც პასუხი შეავციანა.

—ერთი გამოყრუებული მონაზონი ცხოკრობს ეკლესიის სენაკში, სხვა რა დარაჯი ეყოლება?

—მონაზონი? ალბათ დღედაღამ ეკლესიის გალაგანს არ შორდება.

—სად უნდა წავეიდეს, გეტყვი მე! მიწა-მამული იმას არ გააჩნია და სხვა რამ საპატრონო და მოსავლელი.

—ვინ არჩენს?—სხვათა შორის იკითხა გვიჩიამ,

—ეწვეიან, საჩუქრებს აძლევენ მორწმუნეები. ცოტა ხატის მამულიც აქვს და ასე ცოტაობით იოლად მიდის, რატომ კითხულობ?

—რატომ? იცით რა, ამხანაგებო! —პირდაპირ საქმეზე გადავიდა გვიჩია— ეგ ხატი თავიდან უნდა მოვიშოროთ.

ხოსიამ პირი დააღო და უცნაური თვალთ შეხედა გვიჩიას.



— როგორ თუ მოვიშორეთ, გეტყვი მე!

— მოვიტაცოთ და გავაქროთ.

— ხატს ვინ შოიტაცებს, გეტყვი მე? — ისევ იმავე შემთხვევაში ვიყავით ხოსიამ და მუგუზელს ფეხი წამოკრა.

— ჰე, ჰე, ჰე, სასაცილოა ლმერთმანი. ვინ შოიტაცებს? თუ მოვიტაცებთ, ისევ ჩვენ შოვიტაცებთ, სხვა ვინ გაბედავს „წმინდათა-წმინდის შეურაცყოფას“? რა ფერი მიგდის, ხოსია, ხომ არ გეშინია ლომისკარელის?

— არა, გეტყვი მე, შიშით კი არ მეშინია... — შეყოყმანდა ისევ ხოსია.

ნათელამ ველარ მოითმინა და კისკისი ასტეხა.

— შენ რაღა გაცინებს, გეტყვი მე!

— გეშინია და ის შეცინება.

— ერთი შენ ხარ ლომიტარიელი, რომ ლომისკარელის მოპარვა გაბედო.

— მაგას არ ვამბობ, მაგრამ რად მალავ, როცა ხატის ნამდელიად გეშინია.

— უჩიოდ ნათელა! — აიტეხეს სიცილი ამხანაგებმა.

— არაფრისაც არ მეშინია... ერთი თქვენც... — გაწითლდა ხოსია ნათელას სწორ შენიშვნაზე და საკითხის მისაფუჩეებლად ისევ ცეცხლს დაუწყო ჩუჩხური და მუგუზულებს სწორება.

— სტყუი, გეშინია! — არ ისვენებდა ხუმრობის გუნებაზე მოსული ნათელა და მადლიანად კისკისებდა — შენ არ იყავი ლომისკარელს რომ სანთელი აუნთე?

ხოსია სულ მთლად დაიბნა და აფათურებული ხელები ველარ გააჩერა, ანთებული მუგუზულები კვლავ შეატრიალა, ხელი დაითუთქა.

— დაანებე თავი მაგ მუგუზულებს, ხომ ხედავ კარგად ენთება!

— გაჩუმდი გოგო შენ! ერთი ამას დამიხედე! სანთელი? სანთელი ხუთი წლის უკან აუუნთე, მაშინ ლმერთიც კი მწამდა და ხატიც, გეტყვი მე!

— აბა, რაზე ყოყმანობ ხოსია? — ჩაერია საუბარში ჩუმიდ მყოფი კასრამე.

— არაფერსაც არ ვყოყმანობ, გეტყვი მე! თუ შოიტაცებაა, ავდგეთ და მოვიტაცოთ.

— ჰო და ეგრე. მოვიტაცოთ, გავაქროთ, შორჩა და მოისვენა! სხვათა შორის, ლომისკარელის შოიტაცება კომიტეტის აზრია. ბეგი თანახმაა. რაიონულ კომიტეტის წევრი იულო რამიშვილიც, ხომ იცნობ ისიდორეს ძმა არის... კოწია, შევარდნაძე და სხვა ამხანაგებიც თანახმა არიან.

— კარგი, რაკი ყველა ასე ფიქრობს, მოვიტაცოთ, მაგრამ, რაღა ეხლა მოგინდათ მაინდამაინც ლომისკარელის შოიტაცება.

— ვერ უყურებ რა რიგად იყენებენ ლომისკარელის ძლევაშოსილებას?! ყველაზე უფრო საფრთხილო სწორედ ამ მომენტშია მაგ ხატის ასურებში გაჩერება და ჩვენც უნდა თავიდან მოვიშორეთ. ბლალოჩინი მაგ ხატით მუშაობს, ლომისკარელის ძალით ფიქრობს ის მთელი ჩვენი ორგანიზაციების დარღვევისა და განადგურების.

— გაანადგურა და ეს არის. ვერ უყურებდი დღეს!

კასრამეს ტანში გააქროლა და უგუნებობა დაეტყო.



— მართალი ხარ, გეტყვი მე! ლომისკარელს დიდი ზიანის მოტეხება შეუძლია ჩვენი ორგანიზაციებისა. გარდა ამისა სულ ძვირფასი, ექვეყნება, აქრის მოპედლილი, ჩარჩოები ოქრო ვერცხლისა აქვს.

— შით უკეთესი.

— მეც იმას ვამბობ, გეტყვი მე. სწორედ ეხლა ვართ ხელმოკლედ და პარტიულ სამუშაოზე გამოგვადგება.

— მაშ თანახმა ხარ ხომ, ხოსია?!

— თანახმა ვარ, თანახმა, გეტყვი მე!—იყო ხოსიას დასტური. გარდა ამისა, იცით რა, ამხანაგებო?

— რა?—ერთხმად შეეკითხვნ ამხანაგები.

— ხვალ ხომ კვირაა, კაპიტოს ხვალ არ ვასაფლავებთ?—პანაშვიდის დროს ეკლესია ღია იქნება...

— მერე?

— და თუ დასაფლავების დროს სიტყვის თქმასაც მოვახერხებთ, გეტყვი მე!

— ჰო, გეტყვი მე. აშველე რასაც ამბობ.

— არევიდარევა ხომ მოჰყვება სიტყვის წარმოთქმას?

— ეთქვათ მოჰყვება.

— ჰო და ამ დროს ვინმე ჩვენგანმა რომ დრო იხელთოს, ეკლესიაში შეიპაროს და დაიშალოს.

— კარგი აზრია.

— და როცა პროცესია დაიშლება, ყველაფერი მიწწარდება და ხალხი აქეთიქით დაიფანტება, გაბრაზებული ბლალღინი სასწრაფოდ გამოკეტავს ეკლესიის კარს და შინისკენ გაეშურება. ჩვენი კაცი კი ეკლესიაში დარჩება.

— მერე დაკვრილ კარებს რაღა მოუხერხოს? კარების შემტვრევა არ გეინდოდა...

— სწორედ რომ კარის შემტვრევასაც აეცდებით და ხატსაც კონტად გამოვაპარებთ.

— აბა, როგორ?

— ჩვენს ეკლესიას უკანა კარებიც აქვს. კარები შიგნიდან არის გამორახული.

— ოჰო, მაშ საქმე ვაკეთებულა!—სიხარულით წამოიძახეს გვიჩიამა და კასრაძემ.

— კარი შიგნიდან გაიღება, მორჩა და გათავდა! როცა გამოირკვევა ხატის დაკარგვა და შეიქნება კვლევა-ძიება, მონაზონი იტყვის, ხმაურობა არ გინიგონიაო. ნახავენ, კლიტე მთელი აღმოჩნდება, შიგნით რაზა კი ვალეზული. იტყვიან, შინაურების ვატეხილიზო, ან ღიაკვანს დააბრალებენ, ან კიდევ... ღიაკვანი ისედაც შემწინეულია ქურდობაში.. რამდენჯერ ბრალდებოდა ჩალის ქურდობა, თორემ ბრილიანტებზე ხომ უფრო ადვილად შეცდება კაცი.

— დიდებულია, დიდებული!

— ყოჩაღ ხოსია!—დაუდასტურეს ამხანაგებმა და მორიგ საკითხებზე გადავიდნენ.



ერკინული
გიგულიძის

ბევი უთენია დაბრუნდა ვანიდან.
გზაში ქვევით მიმავალი ელიშვილი შემოხვდა. ელიშვილი საგარეოდ იყო შორთული, ახალი ჩოხა-ახალონი ეცვა, რუსის ჩექმები და თივთიკის ყაბალახი. მკერდი ჯვარშენდლებით ჰქონდა გაკედილი დამაახურებულ ჯაშუსს და ქერა წვერები ჯვარშენდლებზე ვადმოფენილი.

უსიტყვოდ ჩაუარა ბევგი რამიშვილს. ცოტა რომ გასცდა, ერთი ეჭვის თვალთ მოიხედა, სიარულზე დააკვირდა, მაგრამ დიდხანს ყური აღარ ათხოვა და ისევ კარავისკენ დაიძრა. კაპიტოს საფლაგზე სიტყვა უნდა ეთქვა დღეს ლადარიას და ეხლა ამაზე უფრო ზრუნავდა.

— მოწყენილი ხარ ბეგლარ, გეტყვი მე!—შემოხვდა ხოსია ლადარიას და ამბავი გამოჰკითხა.—ვინში ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა?

— არა, საქმეს მოვრჩი და ეს იყო პირდაპირ აქეთ გამოვეშურე. გზაში ელიშვილი შემომხვდა და ცოტა არ იყოს არ მესიამოვნა.

— ელიშვილი?—წამოიძახა ხოსიამ და ტუჩზე იკბინა. გულმა რეჩხი ჰკრა და უცებ მღელვარება დაეტყო.

— ჰო! საგარეოდ შორთულ-მოკახული სადღაც მიფეხუცობდა. შორა გზით უეჭვრა...

— ქვევით მიდიოდა, გეტყვი მე?

— აბა ზევით ხომ არ წამოვიდოდა! ონურგეთისკენ მიიჩქაროდა.

— ბიჭებო! რაღაც ამბავია გეტყვი მე!—შეწრიალდა ხოსია და გუშინ გრიგოლასთან შეხვედრის ამბავი მოიგონა.

— მაზრის უფროსთან გაგზავნიდა ბლალაშინი. ველარ შოვიფიქრე, თორემ სწორედ ზედგამოჭრილი დრო იყო. თენდებოდა და სოფელი ჯერ კიდევ ძილის ბურანში იყო გახეყული.

— რა ვქნათ? როგორ მოვიტყუოთ?—დაირბა ხმები აქეთ-იქიდან.

სიჭრუმე ჩამოვარდა. ყველა დაათქრა ჯაშუშის დილა ადრიან გამგზავრების ამბავმა.

— დათიკო სად არის?—იკითხა ბოლოს ლადარიამ.

— ჩემას დავტოვე—გაეხმაურა ბევგის კოწია ტრაპაიძე.

— გოჩაე იქ არის?

— გოჩაე.

— ესლავე შესხდენ ცხენებზე და ფიბდაფებ დაედგნონ. ჯერ ბუკისციხეს არ იქნება გამყდარი. ჩოხატაურამდე გზას მოუჭრიან. სულთ-ხორცამდე ვინ-ხრიკონ, აბა!

— კოწია უხმოდ შეტრიალდა და გაქანებული შინისკენ დაიძრა.

თავპირის გლეჯით მიქრიან გაშვანულ შარაზე დაოთხილი ცხენები. წყალსა და ხმელეთს მიამშრალდებენ თავგანწირული მხედრები. გაოფლებული ცხენები ლავამის ძოღნით მიითოკავენ შორი გზას და თეთრი დუყით შარას

ფიფქავენ. ერთმანეთს ეჯიბრებიან ავარდნილი სხედრები, თუნუქი კვერთხი ჯი-
რითით გამუღულთა ყურადღებას იპყრობენ, მაგრამ სამასლაბთოდ ვისკა სცხე-
ლა ასეთ ვახურებულ სირბილის დროს.

— ვაი თუ მოკლე გზით გადასჭრა?—ქმენით წამოიძახა ერთმა.

— არაფერია. გრძელ მინდორზე გავლას ვერ ასცდება. ყველა გზები იქ
იყრის თავს.—ანუგეშა შევარდნაძემ დაეჭვებული ურიდია. ურიდია გურიის
მდებარეობას კარგად არ იცნობდა, გზებიც შეუსწავლელი ჰქონდა.

— ეგერ მითილახრობს.—დამშვიდა გოჩა შევარდნაძემ, როცა ელიშულს
შორიდან თვალი მოჰკრა და სიარულით გამოიცნო გურიაში ისედაც კარგად
ცნობილი ჯაშუში.

— უპ, შე თეძონივარდნილო!—კბილების ხრქიალით წამოიძახა შევარდნა-
ძემ და ცხენი წარაგზიდან მოატრიალა.—იცი გოჩა, ეს ქოფაკი შეიდგურ არის
დაჭრილი და შეიდგურვე გადარია. ხელი მოტეხილი აქვს, ფეხიც, აქედო სულ
დნაჩრული, გვერდები და რა ვიცი. ამბობენ ოცდაერთი ტყვია აქვს მოხვე-
რილიო, მაგრამ არ იქნა არ ჩაძილდა.

— ძალის ჭიშის ყოფილა და ეს არის.

— მიკვირს ოცდაერთ ტყვიას კაცი გადაურჩეს და გული მიინც არ გაი-
ტეხოს, ჯაშუშობაზე ხელი არ აიღოს! უცნაური რაღაც ადამიანია, ჯვარშენ-
ლებზე გაგიჟებული.

— ალბათ აჯილდოებენ ყოველი გადარჩენისას.

— შეიდი ჯვარშენდალი აქვს მიღებული. ქვეყანა იცნობს. პენსიასაც
ბლომად იღებს, ქრთამებს და შემწასავლის უმთავრესი წყაროც ხომ ჯაშუშო-
ბაში ექნება.

მგზავრს თავზე წაადგენ. რამიშვილს გააცოცხა შევარდნაძის დანახვაზე,
მაგრამ იხტიბარი არ გატეხა და ნაბიჯი არ შეუწინდებია. ცხენებს პირდაპირ
შემოხვდა.

— სად მიეთრევი ბებერო ძაღლო!—მკვახედ შესძახა შევარდნაძემ და გზა
გაფუღობა.

— აკეთნი მივალ, ქალიშვილთან,—მშვიდად უპასუხა რამიშვილმა და,
თითქო აქ არაფერიაო, ცხვირსახოკით ოჯლის წმენდას შეუდგა.

— რაღა დღეს მოგაგონდა ქალიშვილის ნახვა? საცაა კარბუჭი ამოი-
ჭრება...

— დღეს რა გამორჩეული დღეა, არ ვიცი... მომესურვა და მივიღივარ.—
არ შეიტეხა რამიშვილმა და წასვლა დააპირა.

— შეჩერდი!—დაუბრიალა თვალები შევარდნაძემ და ცხენიდან გად-
მობტა.

— რა დამიშვებია?—გესლიანად შენიშნა რამიშვილმა.

— ხელეზი ასწიე!

— აპა, აწიე. რა გინდა მერე?

— რა სარეჟარი მივაქვს მაზრის უფროსთან?

რამიშვილმა პირჯვარი გამოისახა: მაზრის უფროსთან რა შესაქმება. წაეხ-
თი! როდის იყო...

— ჩუმაღ! შე შენ დაგაწერიხებ პირჯვარს! — გადაჰკრა მთარახი შევარდნა-
დემ და ჩხრეკას შეუღდა.

რამიშვილმა თავი მოისაწყლა. ხეცუნა-მუდარად იქცა დაიწყო შეტყობა,
რომ მას ტყუილბურალოდ შეარქვეს ჯაშუშის სახელი და რომ ის სრულიად
გაუწყინარი პენსიონერია და სხვა არაფერი, რომ ჯვარმენდლები თათრებთან
ომში აქვს მიღებული და არა ჯაშუშობაში, რომ მას არავითარი კავშირი არა
აქვს არც პოლიციასთან, არც სამხედროებთან, არც...

— ფეხზე ვაიხადე!

— ბოლოს ფეხზედაც ვაიხადა ელიშულმა, მაგრამ არც აქ აღმოჩნდა არა-
ფერი. შეწუბდა შევარდნადემ. შობოდიშება დააპირა. არ მოელოდა თუ დასმენის
ქალაღდებს არ უპოვნიდა ჯაშუშობაში შეზჩნეულს და დახე როგორ მოტყუვდა!
ერთხელ კიდევ გაუსინჯა უბე და ჯიბეები, ყაბალახი დაფერთხა, ახალბის
სარჩული. ზელში გამოივლო, მაგრამ არაფერი არ აღმოჩნდა.

— წავიდეთ, გოჩა! — გულდაწყვეტით სთქვა შევარდნადემ და ცხენს ში-
ბა. — შენ ეი, არსად არაფერი გაბედო, თორემ ხომ იცი...

აბა სულელი იყო ნაცადი ჯაშუში, რომ ასეთი პირადი საქმისთვის გაეცა
თავზე ხელაღებული რაზმელი? ასეთი გაუფრთხილებლობისთვის ხომ ნაკუწ-
ნაკუწად აქცევდენ მას ან შევარდნადე, ან მისი ამხანაგები.

— აბა რა საკადრისია! — მდაბლად დაუკრა თავი რამიშვილმა ცხენზე
შემსხდარ რაზმელებს და გზა განაგრძო.

ცოტა რომ მოშორდა, უკან მოიხედა. — ჰი, ჰი, ჰი! ვაჟაკები! თქვენ
აჯობებთ ელიშულს თვალთმაქცობაში? ჰი, ჰე, ჰი! დამემუტრენ კიდევ! თქვენი
მუქარა... ვანა თქვენზე ხმას ამოვიღებ? უწყინარი და ჩემი საკბილო რამ წაი-
ლო, რომ ანთებულ მუგუხალს ხელი არ წავევლო, ჰიჰიჰი! ერთხელ კიდევ ჩაი-
ხიანხითა რამიშვილმა და ჩექმის ყელზე ხელი იტკიცა. გენაცვალე სარჩულში!
ფეხზე გამხადეს და იმ მუტრუკებმა ის ვერ მოიფიქრეს, რომ ჩექმას სარჩული
ჰქონდა და, რომ სარჩულში ოცდაათი კაცის ბედი იყო კობტად შენახული.
საცოდავები! თქვენი ტყვიითა და ცეცხლით თუ შეაშინებთ კაცს, თორემ... ჰკუა-
თხელები! სოციალისტებს ჰკუა ვინ მისცა, წავხთი! შევარდნადე და ჰკუა-გონე-
ბა?! ის მეგრელიც რომ აუტარიაღლებია! თუ ჰგონია ვერ ვიცანი? მეჯოგის
შვილი ურიდია... საცოდავები! ფუჰ, აი, ნამდვილი სამოწყალონი! გარეგნული
ფახა-ფუხი, შიგნით კი ცალიერი გოგრა, ფუტურო ნიგოზი და სხვა არაფერი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



მუშტაიცი

ახალგაზრდა ჯარისკაცი—სტუდენტი კორნელი შხეიძე ვადმოხატა ტრამვი-
იდან მუშტაიდის ბაღთან. ბალი სავსე იყო ფრონტიდან დაბრუნებულ და მა-
ზარაში გახვეულ ჯარისკაცებით. ყოველ ხისა და ბუჩქის ძირას ისხდნენ და
ეყარნენ. ქალაქს „ჩითავდენ“. ზოგი ივებდა და ზოგიც დასტობით აწყობდი
უიღბლო „კერენკებს“, კორნელი გაკვირვებული უცქერდა უამრავლ ფულის
ტრიალს, რომელიც არავითარ გავლენას არ ახდენდა წაგებულთა სულიერ გან-
წყობილებახე, გარდა იმისა რომ ჯიბე-ცარიელნი მაკრად შეუქურთხებდნენ ხოლ-
მე მოგებულ ამხანაგს. ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა ასეთი განწყო-
ბილება ვასაგები იყო. განა მარტო ფულმა დაკარგა მათ თვალში ფასი?! მოგე-
ბულ ამხანაგს შეუჩნდებოდნენ „შექვერავდენ“ და ღვინოს ან ირავს აყიდი-
ნებდნენ. უსაქმო ჯარისკაცები ითვრებოდნენ, მიტინგსა და აქაიქ „სამოსულსაც“
მართავდნენ. ქალაქი ისვენებდა მხოლოდ ნაშუაღამევს, როდესაც ფუტკრის სკა-
სავით დახუნზული ტრამვაის უკანასკნელი ვაგონები გადახიდადნენ ჯარისკაცებს
არსენალის, საბურთალო, ავლაბრისა და ნავთლულის ყაზარმებისკენ.

კორნელიმ გადახედა მუშტაიდის დანგრეულ, ღობედალეწილ და წაბილ-
წულ ბაღს, მიწაზე გუნდგუნდათ მსხდომ ჯარისკაცებს, რომლებიც საოცარ სი-
ჩქარით ისხამდნენ შავარ სისმელს ხახაში, იმღეროდნენ, გარმონს უკრავდნენ და
ჩაბღეჩილ ყაყრანტოდან მურდალ სიტყვას ისროდნენ.

მუშტაიდის ბაღთან, იქ სადაც სააბრეშუმო სადგურია, სამხედრო საავად-
მყოფო—ლაზარეთი გაუმართავთ. 1918 წელი იყო და უკანასკნელ ომებში და-
კრილთ და სანგრძლივ ავადმყოფობის გამო დარჩენილ ჯარისკაცებს მკურნალო-
ბდნენ. კორნელიმ შეიღო ლაზარეთის ბაღის კარები და შენობისკენ გასწია.
ომში დაკრილი, უფეხო და უხელო, ავადმყოფი და ჩამოშკნარი, გაყვითლებუ-
ლი და ფრონტზე ნაწამები ჯარისკაცები ისხდნენ ყავარჯენით ბაღის გრძელ სკა-
ნებზე, ლაზარეთის კიბეზე და თებერვლის მზეზე თყებოდნენ. ზოგს თავი მჭონდა
შებვეული, ზოგს კიდევ ფეხი ან ხელი, ისინი იყვნენ საცვლების ამარა, ლაზა-
რეთის თბელი, ვახებილი მოსასხამი ეცვათ და შურის თვლით უცქერდნენ მუ-
შტაიდის ბაღში გამართულ ჯანსაღ ჯარისკაცთა ღრეობას. დამცინავ ღიმილით
გააყოლეს თვალი ამპარტავან სახითა და ნაბიჯით მიმავალ ახალგაზრდა ჯარის-
კაცს. კორნელი გაწითლდა, საჩქაროდ აირბინა კიბე, ლაზარეთის კარები შეა-
ლო და დერეფანში შევიდა.

ლაზარეთის პირველ სართულზე მოთავსებული იყო უფროსი ექიმის შალვა ასლანისშვილის კაბინეტი, კანცლარია, აფთიაქი და სხვა. მეორე სართულზე—პალატები ავადმყოფთათვის, ამბულატორია, საოპერაციო ოთახი, დერეფანში ავადმყოფები, ექიმები და მოწყალეების დები ფუსფუსებდნენ. აფთიაქის კარებთან კორნელიმ დაინახა თეთრ ხალათში ჩაცმული, პირმგვარალი, შეთვალწარბა და დაბალი ტანის ახალგაზრდა ქალი ოღლა თავადე. იგი მსახურებდა ლაზარეთში ფარმაცევტად. ოღლასთან იღვა მასავით დაბალი, მოკლე ხელუფებით და გიდელივით დიდთავიანი სტუდენტი—ოღლას ძმა—გიგო თავადე. ისინი იყვნენ კორნელის სამშობლო სოფლიდან—კარისმერეთიდან. კორნელი იცნობდა მათ შორიდან. გიგო თავადემ შარშან დაამთავრა გიმნაზია ქუთაისში და განიჩქოდა ახალგაზრდა მარტისიტა შორის როგორც მცოდნე და ენამწარე მოკამათე. შავი დიაგონალის მოძველებული ქურთუკი ეცვა, რომელზედაც სტუდენტური ოქროსფერი ღილეები ეყვრა, თავზე ლურჯი ქუდი ეხურა, კორნელიმ გაიღიმა და გაიფიქრა: „კაცი გამხდარა საწყალი“, ვინაიდან გიგო იყო კარისმერეთის მჭედლის შვილი და ვაჭირებდაში აღზრდილი ყმაწვილი. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გიგომ ვერ მოახერხა რუსეთში წასვლა უსახსრობის გამო და ახლა ტფილისში ჩამოსულა თავის დასთან იმ მიზნით, რომ უნივერსიტეტში შესულიყო. ნისი დაჰ ოღლა ცოლად ჰყავდა პროფიზორს ანტონ წულაძეს.

კორნელი მიესალმა და-ძმას, რომელთაც დიდის მოწიწებით ჩამოართვეს ხელი კარისმერეთში თითოთ საჩვენებელ და წარჩინებულ ოჯახისშვილს.

— ბატონო კორნელი, თქვენი ძმის სანახავად მობრძანდებოდით უთუოდ? შეეკითხა ოღლა.

— დიას!—უპასუხა კორნელიმ. დისა და ძმის გადაჭარბებულ მოწიწების გამო უჩერბულობა ივრძნო, წასასვლელად მოემზადა, დეზები დააეღარუნა და ოღლას შეეკითხა:

— სად არის თუ იცით ევგენი?

— უფროსი ექიმის კაბინეტში ვახლავს.—უპასუხა ოღლამ და დაამატა—კორნელი, ევგენის ძმა რომ ბრძანდებით იმიტომ არ ვლაპარაკობ, ღმერთს გეფიცებით, მარა თქვენი ძმისთანა კაცის მნახველი არა ვარ. ექიმებს, მოსამსახურეებს, ავადმყოფებს, დარაჯი რომ დარაჯია, იმსაცა ისე უყვარს, ისე უყვარს, ყელის ბატონი ევგენი რომ ვერ ავიწყრთ!—სთქვა იმერელმა, აღტაცებულმა ქალმა თვალეები შეუყვარებულთა მსგავსად განაბა, სახეზე ნეტარებით სახსე ღიმილი გადაეკრა, ნიკაპი წინ წამოსწია და კისერზე იჭმიტა. ამ წუთას ოღლას მჭიონდა მოწყალეების გამოძახოვი თვალეები, თვალეები ერთგული მონისა უსაზღვრო კმაყოფილების გამო ცრემლით აღსავსე.

— მიბრძანდით კაბინეტში, ბატონო კორნელი!— გაეგო ფეხ ქვეშ ოღლა.

— არა უშავს. აქ დაეფუცილი!—უპასუხა დარცხვენიტ კორნელიმ. ტიტული „ბატონო“ შეიფერა და გამგის კაბინეტს გაჰხედა. ჩამოვარდა სიჩუმე. გიგომ ისევ ისეთს შორიდებით და მოწიწებით მიჰმართა კორნელის როგორც სოფლის დაწინებული გლეხი მიმართავდა ხოლმე თავადს ან მოწაფე თავის მასწავლებელს:



— ევგენი დოქტორი ბრძანდება?

— დიახ! — უპასუხა კორნელი. ეს ზედმეტი გადაჭარბებული მოკრძალება, რომელსაც იჩენდა გიგო, კორნელის მიმართ გამოძახილი იყო ნაქონის განმავლობაში დამონებულ, დანაგრულ გლეხკაცობისა ჩვეულებრივ და სრულად არ შეეფერებოდა სტუდენტს სტუდენტის მიმართ, იმხანავეს ამხანაგის მიმართ, მაგრამ სოციალური სხვაობა და წოდებათა შორის გათხრილი ზღვარი არც ისე ადვილი წარსაშლელი ყოფილა. ეს გადაჭარბებული მოკრძალება ახსოვს კორნელის ბავშობიდანვე; როდესაც თორმეტი წლის ყმაწვილი ჩაივლიდა ხოლმე სოფელ კარისმერეთის მესობელთა კარზე, მაზარში დუქნები და გიგოს მამის სამქედლოს წინ, მოხუცი გლეხები მოწიწებით დგებოდნენ ფეხზე და კორნელის ჩაბალახსა და ბუბრის ქუდს უხდიდნენ, კორნელი ეხლაც ისეთივე უბრუნებლად გრძნობდა როგორც მაშინ, კორნელი გულწრფელად სწუხდა ადამიანთა (მრავალ შემთხვევაში მაინც) დამამკირებელ საქციელს, რომლის ნიღბს ქვეშ მისთვის შეუმცნობი განწყობილება იმალებოდა.

— ნამეტანი სასიამოვნოა, რომ ჩვენ სოფელს ასეთი ნასწავლი კაცი შეეძინა! — უთხრა ღიმილით გიგომ კორნელის, გულში კი ფიქრობდა. „რატომ არ იქნებით ცნობილი დოსტაქარი და პროფესორები? ბავშობიდანვე ხელისგულზე გატარებდნენ, არასფერი არ მიგკლემიათ. მე კი ჰადის ნატები შენატრებოდა. ბორკი შობა საახაწლოდ და აღდგომას თუ გვეღირსებოდა, ავდარსა და თოვლქყაპში დახეულ წყლით დაეტყაპუნობდი, მეხუთე კლასიდან სწავლის ფულსკლობიოსა და ფქვილს მოწაფეების მზადებით ვშოულობდი. დღესაც კაცი პატრონი არა შეავსა და რა ჩემი ფეხების პროფესორი და მეცნიერი უნდა გამოვიდეს ჩემისთანა დასაწყლებულ, გაპუტულ და ჩინია კაცისშვილიდან? ისე ამა შენისთანა ფუქსავატი ახანურის შვილი რას მაჯობებდა?“ — გაიფიქრა მშიერმა, გიბგყარიულმა გიგომ და შურით შეხედა კორნელის ნახსა და თეთრ სახეს, მიბინოსავით ბასრ თვალებს, რომელშიაც სიმხნე, მამაცობა და კმაყოფილება გამოსტკვივოდა. დიაცქერდა კორნელის ფართო შუბლზე ღამაზად დაბატულ ვიწრო წარბებს, ქორჭა და აკოკრალ შავ უღვაშებს. ჯარისკაცს ოფიცერთათვის საშურეი მაზარა ეცვა, გრძელი და კობტად შეკერილი. ზედ ხმალი ეკიდა წითელ ეპოლეტებზე ფეიერვერკერისათვის მიჩნეული შავი ზოლები დაჰყვებოდა. დილთან საარტილერიო ნიშანი ეკრა: ზარბაზნის გადაჯვარედინებული ორი ლულა და შიგ გამსკდარი ყუმბარა. გაპრიალებულ ჩექმებზე ვერცხლისფრო პატარა დეხები შეენოდა. „ოფიცრობა თუ უნდოდა გიმზაზიას რაღას ათავებდა ეს უპატრონო?“ — გაიფიქრა დამკინავის ღიმილით გიგომ, შემდეგ თავის დახეულ, ქუსლმოქცეულ, უზარმაზარ ფეხსაცმელზე დაიხედა და სტუდენტური, შეღანძლული ქურთუვი გაისწორა.

— აგერ, ბატონი ევგენიც მობრძანდება! — დაიძახა ილტაცებულის ხმით ოლღამ.

უფროსი ექიმის კაბინეტიდან გამოვიდა დოსტაქარი ევგენი მხეიძე. მას ეცვა თეთრი ხალათი და თავზე სამუშაო თეთრი-ქუდი ეხურა. გვერდით უფროსი ექიმი — ტერაპეუტი შალვა ასლანიშვილი მოჰყვებოდა. უკანასკნელის

ქცევა, საუბარი და გამოშვებულმა ამტკიცებდა დოსტაქრისადმი მის დიდ პატივისცემას და მოკრძალებას.

კორნელის ძმა ევგენი მხეიძე იყო ლაზარეთის ქირურგთა განყოფილების გამგე. იგი ესეც არის ჩამოვიდა რუსეთიდან. ევგენი მხეიძე იყო ანატომიის ცნობილი პროფესორის ფროლოვის ასისტენტი კიევის უნივერსიტეტში. მათელია ომის დროს ახალგაზრდა ასისტენტი გაწვეულ იქნა ჯარში და ფლონტზე გაგზავნეს. ვერძანელ გენერლის მადონზენის დივიზიათა ფალანგების მიერ დასახინჩრებულ რუს ჯარისკაცთა ოპერაციებში დიდი პრაქტიკა შესძინა, განსაკუთრებით—სხეულის კიდურებისა და ძვლების მკურნალობის დარგში და აგრეთვე—თავის ქალათა ტრეპანაციისა. 1917 წელს ევგენიმ ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ტოპოგრაფიულ ანატომიიდან აღებულ ერთერთ საკითხზე და დოქტორის ხარისხი მიანიჭეს. იგი იყო მალალი და გამხდარი კაცი.

შინაგან სწეულებათა ექიმები—პატარა და ღია კაცი—შალვა ასლანისშვილი ილიმბოდა შავ წვერულგაშში და დიდ სათფრლებით მისჩერებოდა კორნელის ძმას. დოსტაქრის სერიოზული სახე, სახე ევროპიელთა წესისამებრ გაპარსული შავგვრემანი, მოგრძო და ოდნავ გამხდარი, მისი მალალი შუბლი, სრულიად მშვიდი, ქვეიანი და უხილავ კეწნით სავსე შავი თვალები რომ მხატვარს სათანადო სისწოროთ გადმოეცა, —პორტრეტისათვის შიძღვნილი წარწერა ასეთი უნდა ყოფილიყო: „მკურნალი ადამიანის სენისა, ტანჯვა-ვაებისა“. ექიმის მალალი და საპასუხისმგებლო დანიშნულება სავსებით შეტყობული ჰქონდა ამ კაცს განსხვავებით იმ ექიმ—დოსტაქრებისგან, რომლებიც გულგრილი არიან ადამიანის ტკივილებისა და შინაგან ბუნების მიმართ, თუნდ დიდის არტისტობითაც ფლობდნენ თავიანთ საქმესა და ლანცეტს. ასეთი დოსტაქრები, უმრავლეს შემთხვევაში, ძალიან გვიანან ყასებში: ძალზე სუქდებიან, სისხლისფერად აღაზრდილი სახე აქვთ და კონით პაექცილი ჰქონ. ასეთი დოსტაქრები ვერ იმსახურებენ საზოგადოების სიყვარულს, ვინაიდან მათთვის უცხოა ადამიანური გრძობის ყველაზე მაღალი გამოხატულება—სიყვარული ცოცხალი არსისა! მართალია არტისტი რომელიც დრამატიულ მწვავე მდგომარეობის დროს ნამდვილად ატირდება სცენაზე, —არ არის არტისტი ისევე, როგორც დოსტაქარი, რომელსაც საოპერა კიო მაგიდაზე მწოლის ტანჯვითა და ტკივილებით აღუჭრდება გული და ლანცეტით შეიარაღებული ხელი კანკალს დაუწყებს; მაგრამ არტისტი ვთქვათ ავაზაკის განმასახიერებელი შესაძლოა ასრულებდეს როლს მეტის შთაგონებით, კოდნით და ტრაგიულობით სწორედ ადამიანისადმი დიდი სიყვარულის გამო, ისევე როგორც სხეულის დასახინჩრებულ ნაწილზე მომუშავე დოსტაქარი რომელიც შთაგონებით, კოდნით და დიდის ოსტატობით ასრულებს თავის ამოცანას ადამიანისადმი სწორედ იმავე დიდი სიყვარულის გამო. რაც უნდა იყოს, ერთი რამ უდავოა: არსებობს დოსტაქართა ორი ჯგუფი. ერთნი ხედავენ მართოდენ ფიზიკურ სამყაროს—სხეულის გარკვეულ, მოკრძაულ ნაწილს. მეორენი—ფიზიკურსა და სულიერსაც და ადამიანის სულიერ ბუნებით შთაგონებულნი, ფიზიკურისადმი მეტის სიყვარულით იჭურვებიან და მას ნიჭიერად მკურნალობენ. ევგენი მხეიძე დოსტაქართა მეორე ჯგუფს უფრო ეკუთვნოდა. იგი იყო „მკურნალი ადამიანის სენისა, ტანჯვა-ვაებისა“. იგი პოეტური ბუნების ადა-

შინი იყო და შემთხვევით არ უყვარდა, ესმოდა მუსიკა და კარგათაც იმღეროდა.

ევგენი მოშორდა უფროს ექიმს, კორნელისთან შევიდა და მისი გაქვშირა:

— მგონი კარისმერეთლებმა ავიღეთ ტფილისი?!

— მართალია, ჩემო ბატონო!—დაუმოწმა სიცილით ოლღამ და ძმა გააცნო.

— ბატონო ევგენი, ესეც კარისმერეთელია. იცნობდეთ—ჩემი ძმა!

ევგენი რვა წელზე მეტია რაც არ ყოფილა საქართველოში და ოლღას ძმავერ იცნო:

— რომელი, შე ქალო?

— გიგო, ბატონო!

— ყოჩაღ, სტუდენტი გამხდარა!—მიესალმა დოსტაქარი გიგოს და ხელი ჩამოართვა. გიგომ ქუდი მოიხიდა, თავაზიანად მიიჭრა ექიმთან, სწრაფად დაიხია უკან, ქუდი დაიხურა და დარცხვენით ჩაჰკიდა თავი.

— გინდათ დაესწროთ ოპერაციას?—შეეკითხა დოსტაქარი ყმაწვილებს თავის მისა და კარისმერეთელ სტუდენტის წინაშე შექმნილ ცოდნისა და ოსტატობის გამოჩენის სურველმა გაიღვიძა ამჟამად დოსტაქარში და იგი შეჰაძლოა ჯერ კიდევ სავსებით არ დაძლეულ პროვინციალიზმით ან კუთხური გრძობით უფრო აიხსნებოდეს.

— წავიდეთ!—უთხრა კორნელიმ გიგოს. გიგომ ნიგვზის კაქარის ოღენა თვალები გადმოკუსა, მიტკალივით გაფითრდა, უარის შერცხვა და საჩქაროდ დასთანხმდა.

როდესაც ყმაწვილებს თეთრი ხალათი ჩააცვეს და საოპერაციო ოთახში შეიყვანეს, კორნელიმ წამლები სუნი შეიყნოსა, ტაშტში გასისხლიანებული სახვევი და ბამბა დაინახა, მეზობელ ოთახიდან ავადმყოფის კენესა მოესმა და გულის შეღონება იგრძნო. ევგენის მიეგება ახალგაზრდა დოსტაქარი სიკო მოსეშვილი და ფელდშერი ქალი. კარგა მოზრდილ, ფართოფანჯრებიან და ნათელ ოთახის შუა ადგილს იღვა საოპერაციო მაგიდა. ზედ თეთრა ზეწარი გადაეფარებინათ. კუთხეში—შკაფი სახვევებითა და წამლებით. იქვე, დერეფანში—მაგიდაზე ანთებული სპირტქურებზე ნიკელის ქვაბურებზე თუხთუხებდა და შიგ საოპერაციო ხელსაწყოები იხარშებოდა—შემოიყვანეთ ჩვენი მთიელი ვაჟაკი!—უთხრა ევგენიმ ფელდშერს.

მთიელი ვაჟაკის მოყვანას კარგა ხანი დაიგვიანდა. ოთახში კიდევ ორი ექიმი შემოვიდა. ცოტა ხნის შემდეგ კარები გაიღეს და სანიტრებმა შემოაგორეს გადასაზიდავ საწოლით მთიელი ვაჟაკი—თედო ჯიქაიძე. იგი მაგიდაზე დააწვინეს და საოპერაციოთ განამზადეს. მას ჰქონდა ბრმა ნაწლავის ანთება და ლუბანს პროცესი ეწვეებოდა. მკრთალ ლოყებზე სიციხიანად ვარდას ოღენა წითელი ლაქა აჩნდა. ევგენი ღიმილით მიუახლოვდა თედოს, მაჯა გაუსინჯა და დაამშვიდა:

—კარგი მაჯა გაქვს. ამაზე ადვილი ოპერაცია არც კი არსებობს. ხომ არ გეშინია თედო? სირცხვილია—მთიელი ვაჟაკი ხარ!

თედომ გაიღვიძა, თოვლივით თეთრი და ქვასავით მაგარი კბილები გამოაჩინა:

— რისა უნდა მეშინოდეს! — უპასუხა თედომ მტკიცედ, მაგრამ შემდეგ სასოწარკვეთილება დაეტყო — ომში ტყვიას გადაურჩი. ესლა შენ ხეყუყუყუყუ, ეჭიმო! გინდა მომკლავ და გინდა დამარჩენ!

— სიკვდილს რას გერჩი, შე კაცო? უნდა მოგარჩინო და კიდევ მოგარჩენი — დარწმუნებით უთხრა დოსტაქარმა. შეგობრული და თანაგრძნობით სავსე ხელი გადაუსვა შუბლზე, რომელიც ცივ ოქლს დაუსველებია. — თუ კი მომარჩენ, პატივის ცემა ჩემზედ იყოს! — ვიქეიფოთ ერთი მაგრად, ჯანიც გავარდეს ჩვენს მტრებს! — დოსტაქარი წყნარი თვალებით და წარწარის ხმით ესაუბრებოდა თედოს. გული გაუმაგრა. ავადმყოფი სავსებით მიენდო მას, გულში იმედი ჩაეღვარა, ბაგეზე ღიმილი დაეტყო. მთიელის თეთრი კბილების კრთომა მოწმობდა გულში გავლევებულ იმედს.

სიკო მოსეშვილმა გაპარსა და შემდეგ სპირტით განბანა თედოს ბანჯგელიანი მუცელი. ტკივილების გასაყრუებლად რაღაც შეუშხაპუნა. ფილდშერმა დაიკავა ავადმყოფის თავი ისე რომ ჯიანსკნელს არ შეეხებდა თუ რის აკეთებდა მის მუცლის ღრუში დოსტაქარი, რომელსაც ხელში ლანცეტი ეჭირა. შემომქმედის სერიოზულ სახითა და შთაგონებულ თვალებით დააქტერდა მუცლის იმ მიდამოს, რომლის გარსისა და ქსოვილის ქვეშ ეგულვებოდა დაავადებული ნაწლავი. დოსტაქარს ტოპოგრაფიულ სისწორით ჰქონდა წარმოდგენილი ადამიანის სხეულის აღნაგობა, ყოველ ორგანოს კუნთის, ძარღვისა და ძვლის განლაგება. სწრაფად გაიკვლია გზა დაჩირქებულ ნაწლავისაკენ და აღესილ დანით შოახდინა მუცლის კანის მკირედი განკვეთა. კორნელიმ დაიხაზა გარდახსნილი ქონი, ხორცი და მუცლის ღრუში მოათავსებული ნაწლავი, მოაგონდა დედის მიერ სოფელ კარისმერეთში გახახული გოკები და მათი შიგანი. დოსტაქარს გრძელი და შხვართი თითები გასაოცარ სიჩქარით მუშაობდა: ჰკვეთდა, სჭრიდა, იჭერდა და ჰკონაგდა ნაწლავს. კორნელი პირველად დაესწრო ოპერაციას. გული შეულონდა. როდესაც დოსტაქარმა ავადმყოფს ბრმა ნაწლავი მოჰკეთა, მთიელ ვაჟკაცს ფართო გულმკერდიდან გულშეშარავი ოხვრა აღმოხდა. კორნელიმ შეხედა მის შეწუხებულ სახეს და უიმედოთ დახუჭულ თვალებს. სულ სხვა ყოფილა ბრძოლის ველი და ლაზარეთის ოთახში გამართული ადამიანის წამების ბილვა! ოპერაცია გათავდა. კორნელი მოტრიალდა, უნდოდა გიგო თავადრისათვის გაეზიარებინა ოპერაციიდან მიღებული შთაბეჭდილება, მაგრამ გიგო ოთახში აღარ ჩანდა. კორნელი განიშკვალა მისადმი დიდი პატივისცემით დოსტაქარმა ხელი დაიბანა, თითებზე იოლი წაიციხა და ისევ მოლიმარი სახით მიუახლოვდა თედოს:

— გათავდა, ჩემო კარგო, შენი ავადმყოფობა!

რომდენიმე დღის შემდეგ ისევ ვიქეიფებთ ფასანაურში!

დონმიხდილმა ვაჟკაცმა გაიღიმა, იმედიანი თვალები სმიპყრო ეჭიმს, მაღლობა გადაუხადა და ისევ გამოაჩინა თოვლივით თეთრი და ჭვასავით მაგარი კბილები. სანიტარმა გაავგორა ბორბლებზე შემდგარი საწოლი მალატისკენ.

ეგგენი კორნელისთან მივიდა.

— საწყალი! — ჩაილაპარაკა კორნელიმ, — Пустяки! — უპასუხა ღიმილით მამ და დაამატა — სად არის თავაძე?



გიგო დერეფანის ფანჯარასთან ატუხულიყო. გაფითრებულ სახით გააყო-
ლა ნიგვზის კაპარის ოღენა დაკუსული და შეშინებული თვალეჭვირფილი ვაჟ-
კაცის გადახიზრდილ თავს.

გ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

— სადა ხარ, შე კაცო?!— შეეკითხა ევგენი.

გიგომ დაირცხვინა და დასაწყლებულ ღიმილით მიუგო:

— არ შემიძლია, ბატონო, შეეხედო!

ევგენიმ გაიციინა და შემდეგ კორნელის უთხრა:

— მართლა, სულ დამაეიწყადა მეთქვა შენთვის კორნელი—აი, იქ მესამე
პალატაში ერთი ავადმყოფი წევს. შენ კარგად გიცნობ!

— ვინ არის?

— ხა, მახა, ჰო, მახათაძე უნდა იყოს!

გიგომ ყურები დასცქვრია.

— ვანო მახათაძეს როგორ არ ვიცნობ?

ჩვენი ამხანაგია, ერთად ვსწავლობდით. რა დაემართა.— შეეკითხა ძმას
კორნელი.

— აღეწასანდრეს ბაღში დაუქრიათ გვარდიელებს!—უპასუხა ევგენიმ.

— შიშველ არის დაკრილი, ბატონო?— შეეკითხა დოსტაქარს გიგო და
თვალის კაკლები კინალამ არ გადმოსცვინდა.

— არა. მსუბუქად იყო დაკრილი. ლავიწის ძვალი აქვს გაკაწრული! ეხლა
უკვე მალე გაეწერება.

— შეიძლება ვნახოთ, ბატონო?— შეეკითხა გიგო.

— როგორ არა. წამოდით, ნახეთ!—უპასუხა დოსტაქარმა და ყმაწვილები
პალატისკენ გაჰყვინდა.

გიგო თავაძე კარგად იცნობდა მახათაძეს. 1915 წელს ციმერვალდელების
ჯგუფთან კავშირის გასაბმელად ვანო მახათაძე რამდენჯერმე ჩაუვიდა ტფილისი-
დან ქუთაისში.

ახალგაზრდა მარქსისტთა შორის ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა
მახათაძეზე აგრეთვე გიგო თავაძემაც... მახათაძის ზეგავლენით ციმერვალდელე-
ბის ჯგუფმა დაადგინა ჯარის ნაწილებში რევოლუციონური მუშაობის დაწყება
მახათაძესა და თავაძეს შორის ამ დღიდან გაიბა კავშირი. მაგრამ ამ დღიდან
ბევრი რამ შეიცვალა: ვანო მახათაძის რევოლუციონური ფანატიზმი მართალია
არ ჩამქრალა, მაგრამ გიგო თავაძე სულ სხვა გზას დაადგა. თავაძის აზრით—
მას შემდეგ რაც ინტერნაციონალი დაინგრა, ზოლო მთელი მსოფლიო კვლავ
იმპერიალისტურ ომის აღში იყო გახვეული, — ვანო მახათაძის რევოლუციონური
ფანატიზმი ფანტაზიის ნაყოფი უფრო იყო. თავაძე თანდათან შორდებოდა ინ-
ტერნაციონალისტების, ციმერვალდელების ჯგუფს და მენშევიკებს მიეკედლა.
ეს ცვლილება გიგო თავაძისა არ იცოდა მახათაძემ და ამიტომაც იყო რომ მის
დანახვისას სახე გაუბრწყინდა და სიხარულით წამოიძახა:

— გიგოს ვახლავარ!

ვანო მახათაძე იწვა ლოგინზე ხალათით. მის სასათუმალთან იჯდა სტუ-
დენტი ბიძინა შარაბიძე— ვანოს ბავშობის საყვარელი მეგობარი. მას ჰქონდა
კარგი ხმა, ჩინებული ხატვა და ძერწვაც იცოდა. ლიტერატურაშიც ჩახედული

იყო. მოწაფეობის დროს ვინაც ვაიტაცა ლიტერატურამ. მახათაძემ, ბიძინამ და კორნელიმ ჩამოაყალიბეს ლიტერატურული წრე სადღევანდეს ყველაზე უფრო სწავლობდნენ და აჩვენებდნენ რუს და უცხოელ მწერლებს, იბსენისა და მჭეტლასა და მაშუპტაძის პიესებს.

ექიმმა გამოაკითხა ზოგი რამ მახათაძეს მისი კრილობის შესახებ და შემდეგ სხვა ივანეშვიტთან მივიდა. ეს პალატა მსუბუქად დაკრილოთათვის იყო.

— ძვირფასი ადამიანია, ძეგო შენი ძმა. შენ კი შამქორის შემდეგ ჩემი იმედები სულმთლად გააცრუე!—უთხრა მახათაძემ კორნელის დამრიგებლის კილოთი.

— ვანო მახათაძე დასჭრეს ალექსანდრეს ბაღში ბოლშევიკურ მიტინგის დახვედრის დროს. მიტინგი მოწვეული იყო ამიერკავკასიის სეიმის, მთავრობის რეპრესიებისა და შამქორში ეშელონების ხოცვა ელექტის საპროტესტოდ.

მახათაძე საგრძნობლად გამოცვლილა. კიდევ უფრო გამხდარა. ლაზარეთის პეჩანგს ლილები შესწყვეტნოდა. კორნელიმ დაინახა თეთარი სხეული, უზორკო გულისფრიალი, ამოცენილი ძელები, ნეკნები და გულის ყაფაზი. მარჯვენა მხარი და ლაივის ძვალი შეხვეული ჰქონდა. კორნელის შეეცოდა:

— რა მოგივიდა კაცო, როგორ დაგჭრეს?

— დამჭრეს.. ისე.. ტყვიით! უპასუხა ვანომ ამრეზით. თვალი აღენთო. კომშის ხის წნელივით დაგრებილი კისრის ძარღვი სისხლით აღდგო და გამალებით ბგერდა. ვანომ ტუნჯად იკბინა და ლაპარაკის საგანი განგებ შესცვალა:

— გიგო, რას შვრები კაცო? ჩემი წერილი მიიღე თუ არა პეტროგრადიდან?

— ერთი წერილი მივიღე.

— ჰო, რეგოლუცია რომ გაცნობე!

— ის კი..

— ვანო მახათაძე მეტად საინტერესო წერილის შესახებ ლაპარაკობდა. როდესაც რეგოლუცია ფაქტი შეიქნა, მსოფლიო ომიდან დაბრუნებული პრაპორშჩიკი ვანო მახათაძე პეტროგრადში იყო და მუშებთან და რეგოლოციონურ ჯარებთან ერთად იღებდა მონაწილეობას რომანოვების მთავრობის დეტყვეებაში. მახათაძემ შეატყობინა ეს ამბავი თავაძეს და ასეთი წერილი მისწერა: „შეიტყვეთ ყველამ—ნიკოლოზის მინისტრები რეგოლიციონურ ჯარს დატყვევებული მყავს. მე ამ ჯარში ვმსახურობ. ხედავ: საჭირო ყოფილა თანანატიზმი! მახათაძე ამ წერილის შესახებ ეკითხებოდა თავაძეს. მაგრამ რამდენადაც ვანო მახათაძე მარჯნივ მიდიოდა, ლენინის მიერ დასახულ გზას მიჰყვებოდა და ოქტომბრის დღეებში მტკიცე და ურყვე ბოლშევიკად გვევლინებოდა,—იმდენადვე გიგო თავაძე მარჯნივ იბრებოდა და შენშევიკებს მიეკედლა. ამრიგად ლაზარეთში პირისპირ იდგენ ეხლა ორ საწინააღმდეგო ბანაკის ამბანაგები. შეიქნა ცხოველი კამათი. თავაძე მოჯადოებული იყო პლენაროვის ავტორიტეტით, მისი პოლიტიკური მრწამსით, მსოფლმხედველობით, ხოლო ლენინის გზას უკიდურეს მემარცხენე და შემცდარ გზად სთვლიდა, მახათაძე კი ხლტაცებული იყო ლენინის პიროვნებით.

— იმპერიალისტურ ომსა და კაპიტალისტური ქვეყნების შთაქმობას ვერაინ ვერ ახად ფარდა ლენინის მსგავსად. ლენინი ყველგან უწყვეტად, კაპიტალისტურ და გენიოსი პიროვნებაა დღეს მუშათა კლასის უფროსი წარმომადგენელი პეტროგრადში მისი სიტყვა. ყოველი მისი მოსახრება ლურსმანივით იკვდება გონებაში ურყევი არგუმენტაციის ჩაქუჩით!— ამბობდა გატაცებით მახათაძე.

— მოლაპარაკე წერეთელიც ჩინებული მოლაპარაკეა!— შენიშნა გიგოზი.

— წერეთელი ზერელე ფრაზოლოგია!— უპასუხა მახათაძემ და დარწმუნებით განაცხადა— ლენინი და რევოლუციის ლენინი და კომუნისტი დღეს სინონიმად იქცა!

— ოქტომბრის რევოლუცია ნაადრევი ნახტომი იყო და იგი განწირული იქნება ისტორიის მიერ პარიზის კომუნის მსგავსად. შეუძლებელია დავიწყოთ სოციალიზმის დამყარება ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია!— ეკვობდა თავაძე.

— ნაადრევი ნახტომი და შემთხვევითი არ ვახლავს. იმპერიალიზმის უაპეკი იქ გაწყდა, სადაც ყველაზე სუსტი რგოლით იყო ნაჭედი იგი.

— ვიცი ეკ ამბავი! ფონტზე დამარცხებული, გახრწნილი და გადგურ-ტორებული ჯარისკაცები დაგვიყარებენ სოციალიზმს? — შეეკითხა გესლიანად თავაძემ მახათაძეს და მუსტაიდის ბაღში თავშეყრილ ჯარისკაცებზე მიუთითა.

— მაშ, ესენი, დაგიყარებენ? — უპასუხა მახათაძემ და კორნელის შეხედა, ბიძინამ გაიცინა. კორნელი გაიმბუტა.

— ესენი ამიერკავკასიის დემოკრატიის ინტერესებს იცავენ! — განაცხადა თავაძემ.

— პო, მართლა მენშევიკებსა და ფედერალისტებს შორის ხიდი უკვე გაიდვა! — დასცინა თავაძეს მახათაძემ.

— მე ფედერალისტი არა ვარ! — იუკადრისა კორნელიმ.

— ნაციონალ-დემოკრატებთანაც გადებენ! — სულერითა! — დაანუგეშა კორნელი მახათაძემ.

კარგა ხანს იკამათეს. მახათაძისა და თავაძის დაფა კორნელისათვის ჩინური ანბანი იყო; კორნელი ვერ ერკვეოდა პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებში, არც აინტერესებდა, არც ვისიმე ავტორიტეტს სცნობდა და თუ რომელიმე ავტორიტეტს სწამდათ, სწამდათ მხოლოდ მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენელნი:

არისტოტელე, ესკილე, პეველი, ვოვტე და სხვანი, რომელთაც სთვლიდა კაცობრიობისათვის გზის მაჩვენებელ ჩირაღდნათ. კორნელი ამ თამად უკიდურესი ინდივიდუალისტი და თავის მეობაში ჩაძირული ყმაწვილი იყო. ყოველგვარი ბრძოლა და თავისუფლება სწამდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას პიროვნების თავისუფლება მოჰყვებოდა. სოციალისტურ საზოგადოებაში მომხდარ პიროვნების თავისუფლებას ის ვერ სჭვრეტდა, არც სჯეროდა და მხოლოდ ნიუ-შეს მიერ დასახული — ბიოლოგიურ არისტოკრატის გზა ეჩვენებოდა მართებულიად. გასაგებია ამიტომ ის ირონია, რომელიც ასე ცხადათ ეწერა კორნელის სახეზე მოკამათე ყმაწვილების ჭერეტისას. ლოგინთან იდგა თავგიდელა, თვალმდაკუსული, დახეულ ფეხსაცმელით, შამშილისგან გაწამებულ სახით ტანდი-

ბალი სტუდენტი—გიგო თავაძე. ლოგინზე წამომჯდარიყო ძალით გამდარი
 ყმაწვილი—ვანო მახათაძე. მისი სახე იყო სეროიზოლი, ნიბისკოფით სავსე,
 ფოლადივით ელვარე კროლა თვალები უცნაურად ანათებდა.

— ამხანაგებო, — ამბობდა ვანო — თქვენ გვიკეთებთ ფანატიზმს. ფანა-
 ტიზმი ზოგჯერ იუკლებელი იარაღია.

კორნელიმ ვერ გაიგო მახათაძის სიტყვათა მნიშვნელობა, ხოლო გიგო თავა-
 ძემ კი ძალიან კარგადაც გაიგო და ლაზარეთიდან თან წაიღო საბოლოო
 წარმოდგენა პირისპირ ნახულ ამხანაგზე.

— ყმაწვილების წასვლას შემდეგ ვანო მახათაძე მივიდა ფანჯარასთან.
 მუშტაიადის ბაღიდან ისევ ღრიანცელი, გარმონის ხმა და ყვირილი ისმოდა,
 აქაიქ ისევ თამაშობდნენ ქალაღს, ომის დროს ეს ბაღი და ვინმე გორგიჯანო-
 ვის ბაღი — რესტორანი სავსე იყო სულ სხვა საზოგადოებით: აფიცრებით. ვაჭ-
 რებით, სპეკულიანტებით: როსკობ ქალებით. გრიალებდა ორკესტრი. ყარაი-
 დელნი ატირებდნენ საზანდარსა და თარზე ბაიათს. ესტრადის არტისტები
 ლაყბობდნენ პატრიოტულ კვლევებს და გერმანეთის ხალხს ათრევდნენ. მომ-
 ლერლები ასრულებდნენ ქუჩურ სიმღერებს:

„Горгиджанов бедный, всегда ходит бледный“. ან გასძახოდნენ უნიჭო
 სიმღერას: „Есть у нас легенды, сказки и обычай наш кавказский, кахе-
 тинский выпьем по кунашки, чтобы жилось нам по братски!“ აფიცრები
 მოხელენი, ვაჭრები და ომის დროს გამდიდრებული მედროვენი — სპეკულიანტე-
 ბი და რეციდივისტები ათასობით ხარჯავდნენ ფულს გორგიჯანოვის საროსკი-
 პოში და ითვრებოდნენ. რესტორნის თეატრ-კაბარეში რუსეთიდან საგასტროლოდ
 ჩამოსულ ქალების ტუფუებიდან სვამდნენ შამპანიურს სხეულით ავზორცნი და
 სულითაც მახინჯნი. ეს — პირუტყვის ინსტიტუტით აღჭურვილი „წარჩინებული“
 და ვაჭრუკანა ნაწილი საზოგადოებისა ისტორიის მიერ განწირულ სოციალურ
 ფენად მიიჩნია მახათაძემ და ამ გააყვებულ უიდევო ხალხის შაბაშში მოახლო-
 ვებულ რევოლუციის ხანძარი ეხატებოდა და თოფ-ხარბაზანთა გრიალი მოესმო-
 და. მდიდართა მიმართ ზიზღი, ბრძოლის სურვილი და დაუდევრობა განუყრელი
 თვისება იყო ვანო მახათაძისა. ახლა იმავე ბაღში ფრონტიდან დაბრუნებულ
 ჯარისკაცთა თრობა, ღრიანცელი, კუნთმაგარ ვაჭკაცთა მიერ გამართული მეშ-
 ტი-კრხეი და უწესობანი გულს უღონებდა. ვადაშთვრალი ჯარისკაცები ეჯახე-
 ბოდნენ ბაღის ღობეს, ჰკრუნდნენ ღუნავდნენ და სტეხდნენ რკინის შოაჯიოს, რკო-
 ლებს, შუბსა და ფიგურებს, სურვილი რისიმე გაფუჭების, გაობრების, ჩხუბისა და
 წრძოლისა ბობოქრობდა მათში, როგორც შეუფხვებელი პროტესტი და მათ მიერ
 განკლილ ტანჯვა-წამებისათვის საპასუხო აქტი. ფრონტიდან დაბრუნებულ
 ვაჭკაცთა ძალი და ენერგია იყო ძლიერი, სასტაკი და საშიში. ვის ან რის წი-
 ნააღმდეგ უნდა წარმართულიყო იგი, — მახათაძეს კარგად ჰქონდა შეგნებული
 და დადებით ნაყოფის მომცემ ბრძოლისა და შრომისათვის სურდა მისი გამო-
 ყვება.

მახათაძე გულდაწყვეტილი ვასკეპროდა მტკერის გაღმა საბუნთალოზე
 აგებულ ყაზარმებს, მუშტაიადის ბაღში უხელმძღვანელოდ მიტოვებულ ჯარის-
 კაცთა ქვიფს, უწესო ქეცვას და ღრიანცელს.

„იქ—ზორს, ამ მთების გადაღმა; რუსეთში საფუძველი ფერება ახალ სო-
ციალისტურ ქვეყანას. აქ კი—ჯერ კიდევ რამდენი მუშაობაა საჭირო ჯარში,
მუშებში და ლარიბ გლეხობაში სანამ საბოლოო გამარჯვებამ ვერ მოხერხდება“?!—
გაიფიქრა მახათაძემ და მყისვე ათასობით გადმოფრენილმა კილყვავმა შეე-
ღრუბელივით დაჰფარა მზე, გოლიათ, მოხუც ჩინარის და გაჩოტილ ალვის ხის
კენწეროებზე დაფრინდა ავი ყივილით, ჩხაველით...

მახათაძეს მოაგონდა ალექსანდრეს ბალი, მიტინგის დაბერება. საშინელი
სურათი: სისხლი, დახეული და ტალახში ამოსვრილი დროშა. შეურაცყოფა.
მახათაძემ გაჰხედა ტფილისის გარშემო აზღუდულ მთებს და გაიფიქრა: „მტარ-
ვალი ზეიშობს გამარჯვებას. დეე, იზეიშოს, რადგან არ იცის, რომ მუშათა და
ჯარისკაცთა დანთხეული სისხლი, ადრე თუ გვიან, გაიშლება როგორც ყაყაჩო
და ჩვენი ქვეყნის მთებსა და შიტაპოზეც დაიწერება წამიერ დახეული და ფეხ-
ქაშ გათელილი დროშის სიტყვები“!

ალიგჰიერი დანტე

ღვთაბერივი კოშეღია

კონსტანტინე გამსახურდიას
გა
კონსტანტინე ჭიჭინაძის
თარგმანი

I ჯოჯოხეთი

ქ. 8.

ძევა პირველი

უსიერ ტვერში, ამ ცხოვრების ნახევარგზაზე
ანაზღეულად გამოფეხიზლდი გზადაკარგული
ენა ვერ იტყვის, თუ რამდენად იყო ტყე იგი

4 უკაცრიელი, უდაბური და გაუვალი.

თვით მოგონებაც წაწიერი ერთხელ ხილულის
საწინელია ამჟამადაც და შემზარავი.

7 ეს მოგონება თვით სიკვდილზე უმწარესია,
მაგრამ მე მინდა ჯერ მოგიხროთ სულ სხვა საგნებზე
იმით ხილვათა მისაწვდომად, განსაცხადებლად.

შენიშვნები 1. Nel mezzo del caminetto. „ჩვენი ცხოვრების ნახევარ გზაზე“... იტ-
ლისმება 35 წელი, რადგან საშუალო სატყუნ. ადამიანის სიცოცხლის მანერძლიეობის მიჯნად
გულისწობდენ: 70 წ. 1265 წ. დაბად. დანტე 1300 წ.—25 მარტს, იმ დროს როცა პაპმა ბო-
ნიფაც მე-8, პირველი ქრისტ. იუბილეად დანიშნა. იქვე: უსიერი ტვერი. დანტე: „Selva oscura“
აღვფორიულად, უსიერ, მწედ ტყეს დანტე უწოდებს ადამიანურ ცხოვრებას, resp. იმ დროის
დელი არეული და უზნეო საზოგადოებისა.



- 10 ველარ გიამზობთ ვით დავკარგე მე გზა მართალი,
თურმე ჩემს თვალებს მორეოდა ეგზომად რული. *ქართული
ენციკლოპედია*
ჯერაც კალაქი საშინელი არ გამეარა
- 13 ბექობო რამე მეცხეულად შემომხეჩა,
ზე ავიხედე, ღაფინახე: ცთომილის სხივებს
ზეთავი შთისა შეტნოსათ უცხო არილით.
- 16 აჰა, დაოკდნენ გულის ჩემის ტბისა ზვირთები,
წარსული ღამის სიმძიმელი გამომინულდა,
და ვით მენავე ზღვაურისგან გამორიყული
- 19 თვალს რომ შეავლებს ამზოხებულ ზღვის მღელვარებას,
ასევე ჩემი მწუხარებით ვნებული გული
უკუ მოქცა და ვასცქეროს მიჯნას გადავლილს,
- 22 რომლის ბადალი კაცს ბორცოელს არ გადულახავს.
ოდნავი შეება მოჰპოვე ჩემს ნაგავს სხეულს,
ამოვისუნთქე, მოვიკრიფე ისევე ღონე.
- 25 მივევე უდაბნოს მცირე ბილიკს ზემოდ მიმავალს
და როცა კალთას გორმახისას შევადგი ფეხი,
შემომეფეთა მე იჩქითად ფეხმარდი ბაბრი
- 28 ფორეჯებიან, კრული ბეწვით გარემოსილი,
შემომცქეროდა მომწუსხველი, ჯიქური მზერით
მითვალთვალებდა, არც ღამობდა აქცევის გზისას.
- 31 ისე ბეჯითად გადამიჭრა გზა ვასავლელი
შევსდექ მრავალგზის, შევეყოყმანდი და განვიზრაბე:
შემობრუნება, გზას დაიმობა და უკუქცევა.
- 34 ეს იყო ეამი მიწურული გარიერაეისა,
როს მზე ისწრაფვის კაბადონზე ამოსასეღელად
მკრთალ ვარსკვლავების ასაბიით გარემოცული.
- 37 როს სიყვარული ლეთაებრივი ანიჰებს ძალას
და ამოდრავებს ამ მშვენიერ ციურ ცთომილებს,
სხივთა ირავი გაიღვებს ლურჯ ცადაქმნილზე.
- 40 უცხოდ ნაჭარგი ბაბრის ტყავი და განთიადი
ჩემს სულს დაჭანკულს ესალბუნა, შემესხა ფრთენი
და აღორძინდა კვლავ იმედის ნიჭი ჩემს გულში,

14. ცთომილის მოცხს ე. ი. მზის სხივებს.

19. აქ იგულისხმება ხილულ, რეალურ სამყაროსა და ზებუნებრივ სამყაროს შორის არსებული მსგავრობა.

27. დანტე: Lonza, პანტერ, ბაბრი, ჯიჭი (საბა ორბელ.) იტალ. L'ussuria სიმბოლო ფუფუნებისა, ავბორცობის, ზნეობრივი თავაზებულების.



- 43 მაგრამ იქითად შემომენტო შიშისა ზარი:
გამომეცხადა დაღრენილი, მძვინვარე ლომი;
თავაწეული იგი ჩემსკენ მოისწრაფოდა.
- 46 მოძუნძულდება დამჩეული, პირქუში მხეცი,
ტორების ჩქამზე ცახცახებდა თავად ჰაერიც,
შემდეგ ვიბილე მომავალი ჩემსკენ ძუ მგელი.
- 49 გამხდარი იყო, ეტყობოდა ვნება ყოველი
ხორკისმიერი, ბიწიერი მას დაკისროდა.
თვალთავან მისთა მონაბერმან საშინელებამ
- 52 შწვერვალზე ასვლის იმედები გაინიავა,
როგორც მადანი კაცი ბედით ვალაღებული,
გახარებული ხელმარჯვობით, განძის მოხვეკით,
- 55 ერთ უბიავ დღეს გაკოტრდება და დამწუხრდება,
მეც ისე შევკოთი ამ ტყიერის შემოხვდომისას
და მივაშურე იმ მიდამოს, სადაც დილის მზე
- 58 სხივ დაფანჩული ბნელ ორწოხებს შეხიზნებოდა.
შეველ ტაფობში, შემეყარა აქ კაცი ვინმე
რომლის ძახილი მომესმოდა ქამგამოშვებით.
- 61 გავებმაურე ამ მარტრმყოფს ვრცელ უდაბნოში
ფუფილე, ვარკვი: „შემიბრალე, მოიღე სიტყვა
„ვინაც არ იყვე ვინა კაცი და ვინა ლანდი“.
- 64 შემომესიტყვა: „არ ვარ კაცი, ოდესღაც ვიყავ,
„შობელნი ჩემნი ლომხარდიის ყოფილან მკვიდრნი
„იქ მანტუაში დარწეულა შათი აქვანი.
- 67 „მე დაეიბადე იულიუს კეისრის ქამსა
„რომში ვცხოვრობდი, როს აუგუსტუს მეფობდა ქველი
„და მატყუარა, ცრუ ლმერთები დათარეშობდენ.
- 70 „პოეტო ვიყავ და ანქიზეს ვაქვ ვუმღეროდი
„მძლე ილიონის დაწვის შემდეგ რომში ჩამოსულს.
„მაგრამ შენ საით მიისწრაფე უწყქცეული,

44. დანტე: Leone—ლომი, სიმბოლო ძღვეანოსილების, გულამაყობის, პოლიტიკურა მტრობისა

არსებობს აგრეთვე პოლიტიკური სარჩულით ახსნა ამ საში სიმბოლიური ცხოველსა. ბაბრი—ფლორენცია, ლომი—საფრანგეთი, ძუ მგელი—რომის ეკლესია.

48. დანტე: Una lupa, È simbole dell'avanzze etc.

ძუ მგელი; სიმბოლო სიზარბისა, სიძუნწის, ქონების მოხვეკით აღტყინებულა ადამიანობისა, resp. პაპის ეკლესიის პოლიტიკური სიზარბისა და გამდიდრების თნით აღტყინებულ სამღდელოებისა.

65. ლომხარდია—ჩრდილო იტალიის უდაღვსი პროვინცია.

67. იულიუს—იველისმება იულოუს ცეზარ. არსებითად უნდა იგულისხმებოდეს ცეზარის ეპოქა, ვინაიდან ვირგილიუს დაიბადა 70 წ. ქრისტემდის. ცეზარი მოკლულ იქნა 44 წ.



73 „ამ სვედის ბალნარს ფერდამკრთალმა რად შიამურე?
 „რად აღარა გსურს იმ განცხრომის შთაზე ახვიდე,
 „რომელიც თავად სიხარულის სათავე არი“?

76 „შენ ვირგილიუს უნდა იყვე“,—ვარკვე დარცხვენით,
 „დაუშრეტელი დასაბამი ენამზებობს.
 სხვა პოეტების ნათლის სვეტო და სიამაყე

79 „მეც შენ აღმიძარო, მგოსანო ნდომა სწავლისა,
 „მეც სიყვარულით მიძებნია შენი წიგნები.
 „შენის წყალობით მეც სახელი მომიხვეჭნია.

82 „ამ მწითურ ნადირს ხომ კი ხედავ, ოსტატო ჩემო,
 „ბრძენო მისანო, მომეშველე და დამიფარე,
 „ხედავ შიშისგან მიცახცახებს სხეული სრული“.

85 „სხვა გზას მიჰყევი, — მიპასუხა მაშინ მგოსანმა,
 რა დამინახა მღელღარება ჩამომსდოდა,
 „შოლოდ ამრიგად გადურჩები საშიშროებას.

88 „ვინადგან მხეცი, რომლის შიშით ესდენ ცახცახებ
 „არ გაბატარებს ამ შარაზე არვის ხორციელს.
 „თუ გაუძალდი არ აგკდება მისგან სიკვდილი.

91 „იგი ბუნებით შოროტია და ბიწიერი
 „გაუმადრობით, ღორმეცლობით სახელგანთქმული,
 „თუნდაც რომ სკამოს დღედაღამე დაუცხრომელად;

94 „მით უფრო მეტად უმდაფრდება შიმშილის გრძობა.
 „მრავალ ცხოველთან მოუხდება მას შეუღლება
 „მაგრამ ვადრემდის მოვიდოდეს ერთხელ მწვეარი,

76. ვირგილიუს მარონე, რომელიც პოეტი, ამ შემთხვევაში სიმბოლო ადამი ანური გონებისა. მთელი რენესანსის ლიტერატურაში ვირგილიუსი იხსენიება როგორც ადამიანური გონების—Ragione-ის სიმბოლო. დანტე ხედავს ვირგილიუსში თავის წინამორბედს Civiltà antica, simbolo, della ragione, della filosofia dell' imperio-ს მომღერლად და ვეტერანად.

96. E sua naxion sarà trà feltree feltro ეს სტრიქონი თარგმანში გამოეწევი და შოლოდ შენიშვნაში აღენიშნე, სიტყვა-სიტყვით: „მისი დაბადების ადგილი იქნება ფელტრუსა და ფელტრის შორის“. ამ ადგილას უნდა დაიბადოს მწვეარი—Veltro ზოგი კომენტატორი დიკრობს ცასა და ცას შორის (ფელტრე მყოფ ასოთი დაწყებული feltre—წინაეს: ფეტრს). Fel-tre მყოფ შრიით Feltre იტალ. პროვინც. ბელუნიში ქალაქია, Feltro os, მონტე ფელტრო—პროვინცია იტალიაშივე). Veltro მწვეარი, ნაგულისხმევა როგორც ძველრომაელობის სიმბოლო, ახალი ცეზარი მესია — რომელსაც უნდა აღედგინა imperium romanorum — რომის იპერია, ან ახალი იტალია. ზოგიერთი კომენტატორების აზრით სწორედ ეს მესია (veltro) უნდა დაიბადოს ქალაქ ფელტრუსა და მონტეფელტროს შორის ე. ი. ზემო იტალიაში.

უნდა აღინიშნას რომ აქაც იგივე დაუსრულებელი კანთოა დანტეს კომენტატორებს შორის, როგორც ბეატრიქს ნიშნელობის შესახებ. ოტიანოს აზრით დანტეს veltro-ს—მწვეარის ახი წარმოადგენილი უნდა ქელონო და იმ დროინდელი გარეწილი კათოლიკური ეკლესიისა სმა მთელი საშუალო საუკუნის განმარლებელი მესია. ზოგის აზრითაც დანტეს სახეში ჰყავდა



- 97 „არ მიეცემა დასასრული მის გამარჯვებას.
 „არც კვებაეს მიწა, არცა ოქრო თურმე იმ მწვევარს
 „სიბრძნე, სიქველე, სიყვარული საზრდოა მისი.
- 100 „მოველინება იგი მხსნელად ჩვენს იტალიას
 „რომლისათვისაც თავი დასდევს ტურნუს, ნიზუსმა,
 „სიკვდილი ერგო ეურიალეს, ქალწულს კამილლას.
- 103 „და ეგ მწვევარი წინ გაიგდებს მყისვე იმ ჭუმგელს,
 „არ მოეშვება, სანამ მგელი მისგან დევნილი
 „არ ჩაეფლობა ჯოჯობეთის ბნელ ორწოხებში.
- 106 „სადაც მზაკრობას ურწვევა აკვანი მისი
 „და საიდანაც მოველინა იგი საშუაროს.
 „ახლა მომევი, შე გაგიწევ წინამძღოლობას.
- 109 „გირჩევ მიმინდო და იორო ჩემს ნატურფალზე,
 „მარადჟამობის მიდამოებს როცა მივალწვევთ,
 „შემოგესმება უსასოო გოდების ხმები.
- 112 „ნახავ ანტიკის მაღალ სულებს გაწამებულებს,
 „საშინელის ხმით რომ უბმობენ მეორედ სიკვდილს.
 „აქვე იზილავ ისეთებსაც, ვინც ამ გენიას
- 115 „შეგუებიან სასოებით და იმედი აქვთ
 „ოდესმე თავად ზეურთოდენ განწმენდილ სულებს.
 „შემდეგ თუ შენაც მოგინდებე ვახლო იმათ,
- 118 „უფრო ღირსეულ სულს მიენდე, ის გიწინამძღვრებს,
 „მასთან დაგტოვებ და ხელახლა გამოვბრუნდები,
 „რადგან ცეზარი, საზენაოს ხელისუფალი,
- 121 „რომლისა მიმართ მეამბოხედ ვითვლები მენა,
 „თავის ქალაქში არ შემისიკებს, არ დამაყენებს.
 „ხმელი და მყარი, საზენაო და სააქო,
- 124 „არსთა სულობა, გარესქელი თვალშეუდგამი,
 „მას აბარია და ეთერის ცადაქნილები,
 „მისი ტახტია და მაღალი სასუფეველი,

იმპერატორი მაინრიხ მე-VII, სხვანი კან გრანდუ დელლა სკალას ასახელებენ. ერთნი ჭიჭირობენ დანტეს მწვევარის სახით ნაგულისხმევი ჰქონდა დიდი რეფორმატორი, სხვთა აზრით დანტეს საერთოდ კაცობრიობის ცივილიზაციის პოეტურეი უნდა ჰქონდეს ნაგულისხმევი.

უკანასკნელ საუკუნეში უფრო თამამი აზრები გამოითქვა დანტეს გარშემო შექმნილ აურაცხელ ლიტერატურაში. მათ შორის რადიკალურად მოაზროვნენი ასახელებენ „კაცობრიობის რევოლუციურ გენიას, ხალხი კლასიკატოები: ვიქტორ ვიანუელს, გარობაღმის, იმპერატორ ვილჰელმ პირველს, ნაპოლეონ მე-III-ს და სხვ.

102—103. კამილლა და სხვ. ნასესხებია ვოგელიუსის ენციკლას პერსონაჟიდან.

118. anima fixa—უფროდ ღირსეულ სულად იგულისხმება ბეატრინეს სული (+1290წ.)

115. La porta di san Pietro—ქეტრე წმინდას კარიბჭეები—იგულისხმება paradiso-ს, —სამოთხის კარიბჭეები.



- 127 „და ნეტარება მისგან რჩეულს, მისგან ხელდასხმულს,
 „რომელსაც იგი შეივრდომებს და შეიფარებს“.
 ვარტყი: „მგოსანო აწ გაფიცებ იმ ღმერთის სახელს“.
- 130 „რომელიც შენთვის ეგზომ უცხო ყოფილა თურმე,
 „თუ გსურს ამ საფრთხეს განშარიდო და სხვა შრავალი
 „მე განსაცდელი ამაცილო და მიწინამძღვრო,
- 133 „თან წარმიტანე, რომ ვიხილო—ის საბრალონი,
 „რომელნიც წელან საუბარში შენვე ახსენე,
 „და პეტრე წმინდას კურთხეული კარიბჭეები“.
- 136 ის გზას გაუდგა მეც—ქვალდაქვალ მივეყვი მგოსანს.

4. 3. ძეგბ მესამე

„ჩემს უკან სუფევს ტანჯვისა და ცრემლთა ქალაქი;
 ჩემს უკან სუფევს უნაბირო, უსაზღვრო სევდა.
 ჩემს უკან შავი სამყაროა სულთ წაწმენდილთა.

- 4 მართლმსაჯულება ფუძედ ჰქონდა ჩემს დიად შემქმნელს,
 მე ვარ ნაყოფი ღვთაებრივი ძალმოკმეულების,
 უმაღლეს სიბრძნის და პირველი სიყვარულისა.
- 7 ჩემს გაჩენამდე წარმავალი არ არსებობდა,
 მარადიული ყოფნა არის ჩემივე ხედვრი.
 თქვენ, აქ მოსულნო, იმედები დასტოვეთ ყველა“!
- 10 ჯოჯობეთის ბჭეს ეს სიტყუები ეწერა შავად:
 ჩვენ იქ ვიდგეთ: წავეკითხე, მივმართე მგოსანს:
 „ოსტატო, მაკრობს მნიშვნელობა ამ წარწერისა“.
- 13 მან მიპასუხა ისე, როგორც შეჭფერას ბრძენსა:
 „შენ აქ უთუოდ უნდა დასთმო ყოველი შიშო,
 არ უნდა ექმნეს აქ ადგილი სრულიად ყოყმანს.
- 16 ჩვენ მივალწიეთ იმ სამყოფელს, სადაც იხილავ
 ნალექლითა და შწუხარებით აღსავსე სულებს,
 რომელნიც ქვეყნად დაისაჯნენ სიგიჟის სენით“.
- 19 სთქვა ეს და ხელზე მან ღიმილით დამადო ხელი,
 მე ამ ღიმილმა მომიბოვა გამბედაობა,
 შემდეგ გამრია მან მისტიურ აზრდილთა შორის.
- 22 იქ, უფარსკვლავო სიფრცეებში, კიდით კიდემდე
 ისმოდა გმინვა შეზარავი, ტირილი მწარე.
 მე ვერ გაუძულ თავდაპირველ და ავჭვითინდი.

1-4. დანტეს ჯოჯობეთის სამი განყოფილება აქვს: Citta Dite (ქ-ლაქი დიტე), citta del fuoco (ღვებლის ქალაქი), citta rogna (ქალაქი კოკონებისა).



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- 25 მიუახლოვდით, შემოგვესმა: მრავალ ენაზე
ტლანჭი გინება, ღრიახცელი, დრტვინვა, ღმუილი,
გაშმაგებული ყვირილი და ტლაშუნი ხელთა.
- 28 და ეს ყოველი ერთ საშინელ გუგუნად შლილი
იკლაკენებოდა ისე, როგორც ვრიგალის ფრთებ ქვეშ
დაიკლაკენება ქვიშიანი უდაბნო ხოლმე.
- 31 თავბრულდასხმულმა უმეცრებით შევისძახე ოსტატს:
„ეს რა ხმებია? ვინ არიან აქ ეს სულელები,
რომელთაც ტახჯვა ესოდენი რგებიათ წილად?“,
- 34 „აქ“, მიპასუხა, — „ისჯებიან იმათი სულნი,
მოკვდავთა შორის უბადრუქნი ვინც იყვნენ; ვინაც
ვერ გახდა ღირსი იქ ვერც ქების, ვერც გინებისა.“
- 37 ბინა მიეცა მათ იმ უღირსს ანგელოზთ შორის,
რომლებიც უფლის არც ერთგული, არც მოღალატე
არა ყოფილან, — თავისთავზე ზრუნავენდენ მხოლოდ.
- 40 ზეცამ დაიცვა სისპეტაქე თავისი მათგან,
თვით ჯოჯოხეთიც არ განიხუნა იმათ წინაშე,
არაარაობას ბოროტებმა შეხედა ზიზლით.“
- 43 „ოსტატო“, ვარქვი, „რას შეიცავს სასჯელი ესე,
რაა მიზეზი შემზარავი მათი დრტვინვისა?“
მომიგო: „გამცნობ ყოველივეს ორიოდ სიტყვით.“
- 46 მათთვის იმედი არ არსებობს გარდაცვალების;
აწმყო კი ესდენ მდაბალი აქვსთ და საზიზღარი,
რომ ეხარბებათ უმეტესი სიმძიმე ხვედრის.
- 49 ქვეყნის პირიდან მთლად აღგვილა მათი ხსენება,
გულმოწყალება და სასჯელი ივიწყებს იმათ.
ჩვენც ნურას ვიტყვით, — გადაეხედოთ და გაეიაროთ.“
- 52 მაშინ შევხედე: ელვასავით მოჰქროდა დროშა,
თითქოს ქარტახილს წარეტაცნა, თითქოს არასფერს
არ შესძლებიყო შეჩერება იმისი არსად.
- 55 მას უკან ღდევდა აჩრდილების ურიცხვი დასი.
მედნელებოდა დაჯერება: სიკვდილმა ქვენიად
ნუ თუ ოდესმე ესოდენი მსხვერპლი წოიშეკო?
- 58 შემეცნაურა იქ ერთერთი აჩრდილთაგანი.
ღრმად დაეიკვირდი და ვიცანი ის, ვინაც თავზე
ლაფი დაისხა უდიდესი უარისყოფით.



- 61 მაშინ შევიგნე და დავრწმუნდი, რომ ეს ბრბოები უღირს სულთაგან შესდგებოდნენ და რომ ისინი უარჯყვია როგორც უფალს, ისე მის მტრებსა.
- 64 ოღნავ ლაფავანენ სიცოცხლეში უბადროე სულებს, აქაც, ბელ შავნი კმნილებანი, ტანგაძარკულნი, ფრთოსან მწერთაგან დაკბენილნი დაძრწიან მარად.
- 67 ბზიკებისა და ბუზებისგან დაღრღნილ სახეებს სდიოდათ სისხლოს ნაკადული ცრემლებთან ერთად, და მას მატლები საზიზღარი სწუწნიდნენ დაბლა.
- 70 პირი ვიბრუნე და აჩრდილთა მეორე ფრდოს ფართო მდინარის ნაპირებზე შევაფლე თვალი. „ოსტატო“, მყისვე შევეკითაე, „მაუწყე ახლა:“
- 73 ვინლა არიან ეს სულეები, ან მოუთმენლად მდინარის ფონთან რად შეყრილან, თუ თვალთახედვა არა მღალატობს ამ საეჭვო სინათლის ვამო?
- 76 „ამას ყველაფერს“, მიპასუხა ვირვილიუსმა, „მე შენ ვიამბობ მაშინ, ოდეს ნაბიჯი ჩვენი მიგვაბლოფებს აქრონის ნალელიან ნაპირს.“
- 79 მე წამოვწითლდი და თვალეები დავხარე დაბლა; რათა ზედმეტი საუბარით არ შემეწყინა, აღარ დამიძრავს მდინარესთან მისვლამდე ენა.
- 82 და აი, ვხედავთ თეთრთმიანი მოხუცი ნავით მოუახლოვდა მდინარის პირს და დაიყვირა: „ვაი თქვენ, სულნო, ო, ვაი თქვენ, გარყვნილნო სულნო!“
- 85 ველარ იბილოთ თქვენ ცის თალი ამიერიდან! მე მისთვისა ვარ, იმ ნაპირზე რომ ვადაგზიდოთ, სადაც მარადი წყვდიადია, ცეცხლი და ყინვა.
- 88 შენ რალა გინდა ამით შორის, ცოცხალი სულო? შორს განერიდე მკვდართა ბანაკს“. მაგრამ რა ნახა, რომ მის ბრძანებას არ ვასრულებ განაგრძო ისევე:
- 91 „სხვა გზით, სხვა ფონით შევიძლნა შენ მიადწიო მეორე ნაპირს,— ხოლო ეს გზა დასტოვე მყისვე. შენს გადაყენას დასჭირდება მსუბუქი ნავი“.

71. ...tume - იფულისხნება აქრონი—მდინარე ვარამისა—ქვესკნელის ღღლე. თავდაპირველად მდინარეს ერქვა ეპირში, შემდეგ რომელ და ბერძნულ მითოლოგიაში ქვესკნელის მდინარეს შერქვა.

82. ქაონ—ერებისისა და ნიჰისი შვალი—ქვესკნელის მენავე, რომელსაც აქრონზე გადაყავდა სულეები.



- 94 „დაიკბრე, ქარონ, შენი რისხვა“, სთქვა წინამძღოლმა;
„განკარგულება ასეთია იქ, სადაც ნება
არის კანონი უმტყიცესი. ნულარ ჰკითხულობ!“
- 97 თითქოს უზომოდ განრისხებულ მენავის თვალებს
შემოსალტიოდნენ ცეცხლოვანი რკალები ირგვლივ,
ზაგრამ ამ სიტყვამ ბანჯგვლიანი მოუღებო სახე.
- 100 სამაგიეროდ ტანგაძარცულ, დაქანცულ ლანდებს,
მკაცრი მოსუცის უკმებ სიტყვებს რომ მოჰკრეს ყური,
დაუმაბინჯდათ სახეები, და კბილთა ღრტყენით
- 103 იწყეს უფალის შეგინება, სწყევლიდნენ მამებს,
თავიანთ შვილებს, შვილიშვილებს, კაცთა ჯილაგსა
და ბოლოს თავის დაბადების დროსა და ადგილს.
- 106 შემდეგ მოაქმით და ღრიანცელით შემაძრწუნებულ
ფონს შიაშურეს—ვერ ასცდება ვერც ერთი სული
ამ ფონს, თუ იგი არ სცხოვრობდა უფალის შიშ ქვეშ.
- 109 იქ მათ თვალბიძ ალველფილი გადმოცეცხლებით
დემონი ქარონ ავროვებდათ, აწვდიდათ ნიშანს
და ჩამორჩენილთ ნიშნის ცემით მირეკდა წყალთან.
- 112 და ისე, როგორც შემოდგომით ფოთლები ხისა
თანდათანობით შოკევიან, ვიდრე რტოები
თავის სამოსელს დედამიწას არ დაუბრუნებს,
- 115 ეს აზრდილები—ეს ადამის ბორბოტი თესლი,—
მენავის ხმაზე სათითოოდ ნაეში ხლტებოდნენ,
ვით მონადირის დაძახილზე ნაგეში ქორი.
- 118 აბა, ისინი მიარღვევენ ემღეუელ ტალღებს.
და ვიდრე ნაპირს მიაღწევდნენ მოპირდაპირეს,
აქ ბრბო ახალი იკლავნება, ჰკენესის და ჰბორავს.
- 121 „იციოდე, შეილო“, წინამძღოლმა კეთილმა მიათხრა,
„იციოდე, სულნი გარდაცვლილნი ღვთის რისხვის ქაშა
თავს აქ იურიან დედამიწის ყოველი მხრიდან.“
- 124 გამოდევნილნი უზენაეს მართლმსაჯულებით,
მიესწრაფიან გაშმაგებით ნაპირს მეორეს;
თვით შიშის ზარი მათში იღებს სურვილის სახეს.
- 127 არასდროს ამ გზით სულს უმწიკვლოს არ გაუვლია,
და თუ ქარონმა არ ისურვა მიღება შენი,
თვითონ მიხედები, მისი რისხვა რას მოასწავებს“.



- 130 როჲ დაასრულა ეს სიტყვები, პირქუშმა სივრცემ
 ისე საშინლად დაიბუგლა კადით კიდემდე,
 რომ მოგონებაც კი ამისი მათრთოლებს ხოლმე.
- 133 კენესა აღმოხდა ბედშავთ ბანაკს შემზარავთ ქარ ქვეშ,
 ელვის ზოლივით გაანათა წითელმა შუქმა,
 და შიშის ზაოით გულწასული ძირს ჩავიცეცე
- 136 მე, ვით ღრმა რულში ჩაძირული ადამიანი.

4. 3.

ძება მემკვსე

- ოდეს დამხედილს დამიბრუნდა ისევე ცნობა,
 ორი ბედშავის სიბრალულმა რომ დამიკარგა,
 რომელთა ხედრმა ღრმა ნაღველით აღმივსო სული,
- 4 ისევე ახალნი წამებანი და წამებულნი,
 ჩემს გარეშემო თავმოყრილნი, დამდეგდენ ყველგან,
 სითყენც არ უნდა მიმეხედნა, ან წაესულიყავ.
- 7 ვიმყოფებოდი მე იმ ეამად შესამე გარსში,
 სადაც მსუსხავი, დაწვევლილი, ცივი და მძაფრი
 გადაუღებლად, განუწყვეტლად იღვრება წვიმა;
- 10 სად მსხვილი სეტყვა, თოვლნარევი ბინძური სითხე
 პაერს ამძიმებს პირმოქუშულს და, ძირს დასული,
 თვით დედამიწას საშინელი სიმურალით სწამლავს;
- 13 სადაც ცერბერი—საზიზღარი, სასტიკი მგევი,
 სამხახიანი, სისხლისმსმელი,—ყეფით და ღრუნით
 გაშმაგებული ეტეეება ცოდვილებს ბედმავს.
- 16 თვალდასისხლული, შეწვევრება, ვეება მუცლით,
 იგი დასჯილებს ბრკყალმაგარი თათებით ჰკაწრავს,
 აგლეჯავს კანებს, ჰფატრავსა და ჰჭლეთს ნაწილებად.
- 19 წვიმით გვემულნი, ძალღებივით ღმუიან მუდამ,
 ეფარვენ ერთს და უშიშვლდებათ მეორე წყლული,
 ან განუწყვეტელ ჩიმოშვლაში ეძებენ ხსანასა.
- 22 რა წამს ცერბერმა—ამ ვეება ქვეწარმავალმა—
 თვალი შეგველო, დააფჩინა სამმაგი ხაზა,
 დაჰკრიჭა კბილნი და ტორტმანი დაიწყო ტანის.

13. ცერბერი—ქვესკნლის შესავლის გუმბაგი, მრავალთავიანი და გველის ფაფარიანი ძალი ბერძნ. მითოლოგიაში.



- 25 მაშინვე ჩემთან წინამძღოლმან ორივე ხელი
დაბლა დაიღო, აღიტაცა პეშვი მიწისა
და შეაყარა გაუშაძლარ ხახაში ნადრს.
- 28 როგორც ლექვისთვის აღრენილი მშვიერი ძაღლი
მუის დამშვიდდება, როდესაც კი მიიღებს იმას,
რისთვისაც იგი იბრძოლებდა ცოფმორეული,
- 31 ისე შეიკრა ხარბი ყბები მყრალ დემონისა,
რომლის ღრიალი აყრუებდა იმდენად ყურებს,
რომ* ცოდვილები ნატრულობდნენ დახშობათ სმენა.
- 34 ჩვენ მივდიოდით და, დასეტყვილთ სასტიკის წვიმით,
ფეხით ვსთელავდით უსხეულო აჩრდილებს, რომელთ
მხოლოდ ლანდუ-ი შერჩენოდათ კაცთაგან სახე.
- 37 ყველანი ერთად განრთხმულები ეყარნენ დაბლა;
და მხოლოდ ერთმა იმათგანმა ასწია თავი,
იქვე მახლობლად მიმავალნი რომ დაგვიანა.
- 40 „ო, შენ, ჯოჯოხეთს შთამოსულო“, მომშართა ლანდმა,
„აბა, თუ ძალგის, შემიცანი! შენ დაიბადე
უშაღ, ვიდრე მე დამეუფლა სიკვდილის გაბრწენა.
- 43 „სჩანს“, ვუბასუხე, „ამ დუბჭირი წამებით სახე
შენ ისე ძლიერ გამოგცვლია, რომ ვერ ვიგონებ,
თუ ჩვენ ოდესმე შეგვხვდები, ართ ერთმანეთს სადმე.
- 46 მაუწყე ვინ ხარ, ამ სევდიან ადგილთა შორის
წამებისათვის განწირულო? ეს შენი ტანჯვა
შესაზარია მეტისმეტად და საზიზღარი.
- 49 მომიგო ლანდმა: „გაეღნთილი შურით და მტრობით,
შენი მშობელი ქალაქია სამშობლო ჩემი,
იქ ვატარებდი ბედნიერად ცხოვრების დღეებს.
- 52 თქვენ მე ჩიაკოს მიწოდებდით, მოქალაქენი;
მე, ღორმუცელას, ამ ბინძური ზნ-სათვის ახლა,
ხედავ, რა რიგად მათახსირებს სასტიკი ზესხმა.
- 56 არა მართო მე დამტეხია თავს ეს სასჯელი,
სხვებსაც იშავე ცოდვისათვის იგივე ტანჯვა
რგებიანთ წილად“. ეს მითბრა და დადუმდა ლანდი.
- 58 ისევ მივმართე: „ო, ჩიაკო, წამება შენი
მე გულს მიღონებს და ცრემლებით მისველებს თვალებს;
მაგრამ, თუ უწყი, მეც მაუწყე, სადამდე მივლენ

52. ჩიაკო, შერქმეულა სახელია, ახალ. იტალიურით ღორს ნიშნავს ბოკაჩიოც ახსენებს ერთ ფლორენციელ შექთაზობას, გვარად ჩიაკოს.



- 61 დაუდკრომელი, დამთხვეული ქალაქის მკვიდრნი?
 არის თუ არა ღვთისნიერი იმათში ერთი? ქართული
სული და მტრობა რამ დაჰბადა იქ ესოდენი?
- 64 მან მიპასუხა: „ხანდაზმული აღრევის შემდეგ
 იქ სისხლს დაღვრიან და პარტია ტყიურებისა
 გარეეს მეორეს უმკაცრესი ძალდატანებით.“
- 67 მაგრამ სამი მზის ტრიუმფალურ შემოვლის შემდგომ
 დაემხოებიან ტყიურნი და ნაცვლად მეორე,
 ვინმე მოსულის დახმარებით, აღსდგება ისევ.“
- 70 და ის მრავალ ეამს იხელმწიფებს და დამარცხებულთ
 დაადგამს იგი უსასტიკეს მონობის უღელს,
 მიუხედავად მათი სევდის და სირცხვილისა.“
- 73 ორი ღვთის კაცი დარჩენილა ქალაქში კიდეც:
 მათ არ უსმენენ. სიამაყე, სიძუნწე, შური—
 ამ სამს ნაპერწყალს აღუნთია მათი გულები“.
- 76 ასე დასრულდა სამწუხარო იმისი სიტყვა,
 მაგრამ მივმართე: „შე მსურს რჩევა მივიღო შენგან,
 და გთხოვ შემდეგი საუბარი კიდე მაჩუქო.“
- 79 მითხარ: რა იქმნენ ფარინატა და ტეგიაჯო,
 კაცნი დიადნი? სად არიან არიგო, მოსკა
 და ჯიაკოპო რუსტიკუზო—ესოდენ ქველნი?
- 82 სად ბინადრობენ, ვით შევიძლო შეცნობა მათი?
 მწყურის ვიცოდე: სიტყბოებას ზენაარულსა,
 თუ ჯოჯოხეთის შხამსა სმიან ისინი ახლა?
- 85 მითხრა: „გარიეს აღმატებით ბნელ სულთა შორის:
 მრავალ უზნეო საქმისათვის ჩაპყარეს დაბლა,
 და, თუ ჩაპყები შავს უფსკრულსა, იქ დაგხედებიან.“
- 88 მაგრამ, როდესაც ტკბილ სამყაროს დაუბრუნდები,
 გვედრი აღწყუო ადამიანთ ამავეი ჩემი.
 მეტი არ ძალმიძს არც პასუხი, არც საუბარი“.
- 91 ეს რომ წარმოსთქვა, გადუბრუნდენ ჩიაკოს თვალნი,
 კვლავ შემომხედა, დამძიმებით თავი დაღუნა
 და სხვებთან ერთად პირუკულმა განერთხო მიწას.“

65. დანტე ახსენებს აქ: la parta selvaggia-ს—ტყიურების პარტია, რომელიც ენობილია 1800 წლის ფლორენცი. სამოქალაქო ომებში.

68. მეორედ იტულისხმება la parta dei Neri.

79. ფარინატა და ტეგიაჯო—ფლორენციელი დიდებულები იყვნენ.



ქართული
ინტელიტენცია

- 94 აქ მომიბრუნდა წინამძღოლი: „არ გაიღვიძებს, ვიდრე დაფდაფი არ გაისმის ანგელოზისა, ვიდრე ცოდვათა შემშესვრელნი არ მოვლენ ძალნი“.
- 97 მაშინ ბნელ საფლავს შთავა ისევ ლანდი ყოველი, კვლავ ხორცშესხმული წინანდებურს მიიღებს სახეს და მსჯავრს მოისმენს აგრავინებულს კიდით კიდემდე“!
- 100 ნელის ნაბიჯით გავიარეთ ადგილი სავსე აჩრდილებისა და თოვლქყაპის ბინძურ ნარევით, თან საიქიო ცხოვრებაზე გავაბით სიტყვა.
- 103 ვკითხვ: „ოსტატო! საშინელი სამჯავროს შემდეგ გამწვავებებიან, და ცხრებიან ეს ტკივილები, თუ იმათთაგან ასეთივე დარჩება ტანჯვა?“.
- 106 მითხრა: „რას ამბობს, მოიგონე მეცნიერება: რამდენად უფრო სრულყოფასთან აბლოა არსი, მით უკეთა ჰგძნობს ბოროტებას და სიკეთესა.“
- 109 თუმც ვერასოდეს ეს უმსგავსო ბაღის ჯილაგი ნამდვილ სრულყოფას ვერ მიაღწევს, მაინც ელიან, რომ დღე სამსჯავრო მათ რაიმეს მოუტანს კეთილს“.
- 112 ასე ვიდრდით წრის გარშემო ნელის ბაასით, და აქ არ ვამბობ, რაოდენი გამოვსთქვით აზრი. ბოლოს ჩასავალს მივადგებით, სადაც ეხიხლეთ
- 115 პლუტუსი, მტერბ უდიდესი კაცთა მოდგმისა.

ქ. 8.

ქება მინიმალისტთა

- 1 „აჰა ვეშაპი, რომლის ბოლო შხამისწნთხველი, „გახვრეტს პიტალ კლდეს, გინა კედელს, განა საქურველს, „აჰა ურჩხული წამბილწველი სამყაროისა“.
- 4 ასე დაიწყო საუბარი ოსტატმა ჩემმა, და მან ანიშნა მისულიყო ნაპირთან აბლოს, ჩვენაც მივტყვევით მარმარილოს შიშველ ნაპირებს.
- 7 ეს მოჩვენება ამაზრზენი და საშინელი მოგვიახლოვდა, დაგვატკერდა თავაწეული, მაგრამ თვით ბოლო წყალში ჰქონდა ჯერაც ჩაფლული.

115. იტულისხმება ძველ ბერძენთა სიმდიდრის ღმერთი—პლუტუსი, რომელიც პლასტიკურ ხელოვნებაში წვეულებრივად წარმოდგენილია როგორც რქიანი ელი.

6. იტულისხმება ფლგატონის ნაპირები.



- 10 სახით და თავით შიგაგაედა იგი სათნო კაცს,
 ხოლო სხეული დანარჩენი ჰქონდა გველისა,
 და ილლიამდის ბანჯკვლიანი ბასრი ქანგები,
- 13 ზურგი, ფერდები და გულმკერდი კრელ ფორეჯებით
 ჰქონდა ერთთავად მას მორთული და შობატული.
 არას დროს თურქებს და არც თათრებს არ მოუქარგავთ
- 16 თვისი დროშები ფერადებით ნაირ-ნაირით,
 არცა არაგნეს თუ ჰქონია ეგზომ კრელ-კრელად,
 მდიდრად ნაქსოვი და ნაქარგი ფარჩეულობა.
- 19 როგორც ნაეები ბაგირებით ნაპირს მიბმული
 ქვემოთა ტანით სანახევროდ წყალში ტოპავენ,
 და ზემო ტანით ნაპირებზე გადმოდგებიან,
- 22 ან გერმანელთა ქვეყანაში ხარბი წაეები
 დაკუცქდებიან საბრძოლველად მოშადებულნი,
 სწორეთ ასევე საზიზღარი იგი ურჩხული,
- 25 შემოდგომოდა აფხორილი კლდოვან ნაპირებს,
 მხარეს ქვიშიანს რომ გარს უელის და ემოჯნება.
 და კვდი მისი ნავარდობდა ლალიდ სივრცეში,
- 28 გამოუჩანდა ორკოპალი თათის წვეტები,
 ვით მორიელის ორი ქვანგი გესლით გაესილი.
 ჩემი ოსტატი მეუბნება: „ხაშს ეგ ბილიცი
- 31 „დაეაგდოთ ახლა, დაეწიოთ იმ შაკდურ ცხოველს,
 „რადგანაც იგი როგორც ჰხედავ ჩვენ გველოდება“.
 მაშინ მხარ მარჯენით გადვუხვიეთ ათი ნაბიჯით,
- 34 ნაპირის კერძად გავიარეთ, რათა აღის ქაჩს
 და ქვიშის ქარბუქს ჩვენ როგორმე განვრიდებოდით,
 როცა მივედით და მანძილი დაგვრჩა მცირედი,
- 37 ვნახე სულელები წამომსხდარნი უფსკრულის კიდეს,
 ოსტატი ჩემი მეუბნება: „თუ გსურს ამ გარსის
 „სრული, უზადო, წარითანო შთაბეჭდილება,
- 40 „წა, დააკვირდი და იხილე წამება მათი.
 „ეგ არის მხოლოდ დააყოვნე მანდ ხანი მცირე.
 „მე შენ მოსვლამდის ვთხოვ იმ ცხოველს ძლიერი ქედი,
- 43 „სულ მცირე ხნითა რომ გვათხოვოს გაღმა გასვლამდის“.
 მეშვიდე გარსის სანაპიროს მიუყუფე მაშინ
 საესებით მარტო გავემარავე იმ ადგილისკენ,

17. ტექსტში: Aragne — ბერძნ. მითოლოგიაში სახელგანთქმული მქოველი.

- 46 სადაც ის სულნი დაღვრიმილი ჩამომსხდარიყვნენ,
და სიმძიმელი შათ თვალეში იხატებოდა.
იწვდიდენ ხელებს, იფარავდენ თავსა და სახეს,
- 49 როგორც შეეძლოთ ცეცხლის წვინას იგერიებდენ,
ასე ძალები იშორებენ დრუნით, თათებით,
პაპანებაში შემოსეულ ბუზებს და რწყილებს.
- 52 როცა თვალეში მიმოვაელე მაგ საცოდავეებს,
რომელთაც ცეცხლის ნიაღვარი თავზე აწვიმდათ,
ვერც ერთი ველარ შევიცანი, მაგრამ შევნიშნე
- 55 ყოველ მათგანის ყელზე ქისა დაკიდებული,
სხვა და სხვა ფერად ეს ქისები იყვნენ ნაღებნი.
და გაფარჩიე მე შათ შორის ერთი ყვითელი,
- 58 რომლისა ფორმა მიიგავდა სახეს ლომისას,
შეორე ქასა იყო სისხლის ფერად ნაღები
და ზედ ეხატა ბატი, თეთრი, როგორც კარაჭი,
- 61 ერთ ერთ წამებულს ყელზე ჰქონდა მოთეთრო ქისა,
რომელსაც ღორი ამშვენებდა ლაგვარდის ფერი.
რა დამინახა, მომიბრუნდა და შეუბნება:
- 64 „რას დაყილობ საცოდავო შენ ამ ხაროში.
„რადგანაც ჯერაც კოცხალი ხარ, იცოდე ეგვიპტის
„ვიტალიანო მეზობელი ჩემი ცნობილი
- 67 „მოვა ოდესმე, მომიჯდება მხარმარცხნით მენა.
„ამ ფლორენციელთ ხომ კი ჰხედავ შე ვარ შათ შორის
„აქ ერთად ერთი მოქალაქე ჩვენის პადუის.
- 70 „დაუცხრომელად გაჰკივიან ეს ბატონები:
„მოყედ მამუვლო რაინდების, რომლის ფარზედაც
„ამოჭრილია გვარის გერბად სამი ნისკარტი“.
- 73 „მდეგ ამისა დაიღრიჯა იგი საძაგლად
გამოჰყო ენა, შიგავდა ამ წუთში ხვადიგს,
ენით რომ იტლეს ტლანქი დრუნჩის დანერწყვილ ნესტოს.
- 76 მე კი უკუვდექ, მომეკრძალა იმის რისხვისა,
ვინც დაშაბარა მე ხანმოკლე აქ დაყოვნება,
ფურქარე ნაბიჯს და დაეგდე ის წამებულნი.



შნ. ამ ადგილას დანტე გაუბრბის იტალიის გარეწილი და ჩარჩი არისტოკრატების და-
სახლებას, სამაგუროდ ათახსივებს მათ გერბებს. ფლორენციელ ჯანფილიანოს გერბი იყო
ლაგვარდოვანი ლომი, თბრიახარ — ვერცხლისგან, გვეთებული ბატის მახა, პადუელ სკროვინის —
დვდალი ღორი, ჯიოვანი ბუჯა-მონტეს — სამი ფრინველის ნისკარტი. ვიტალიანო დელ დენტა
(პადუელი) ჩარჩების შეუფდ ითვლებოდა.



- 79 ვნახე ოსტატი ამძვრალიყო იმ საშინელი ცხოველის ზურგზე, მომიბრუნდა და მეუბნება:
„მარჯვეთ იყავი, არ შეშინდე, ვმართებს სიმართლეს“
- 82 „შენ წინ მომიჯექ, რომ არ გავნოს ურჩხულის კულდა“
როგორც ნაცეებს უთეთრდება ფრჩხილის ძირები,
როცა/ზურგების ახლოვდება ჯამი და ყავლი,
- 85 მთელი სხეული უცახცახებს რა დაინახავს
ადგილს ნესტიანს, ან სიგრილეს იგრძნობს იჩქითად,
მეც ასე გავხდი ეს სიტყვები რომ გავიგონე.
- 88 ამ დამუჭრებამ გააღვიძა ჩემში სირცხვილი,
რომელიც მონას გაამსწევებს ოსტატის გვერდით.
მყის შემოვახტი იმ საოცარ ურჩხულს მე ზურგზე,
- 91 მინდოდა მეთქვა: „მომეშველე, მომხვიე ხელი“,
მაგრამ ამოდ შევეცადე, გამიწყდა სიტყვა,
და მხოლოდ მანვე, ვინც მრავალჯნის მომშველებია
- 94 როგორც კი შევჯექ შემომხვია ორივე ხელი
და წამს შესძახა: „აბა ჭასწი მარჯვედ გერიონ,
„ვრცელი წრეები გადალახე, თანაც ვახსოვდეს
- 97 „დაღმართში ჩასულს შენ ახალი ტვირთის შეძენა“.
როგორც ნაპირით მოწყვეტილი ნავი შეინძრეს,
ჯერ უკუ იქცეს და შემდეგ კი წინ გაექანოს,
- 100 ასე შეტოვდა წამს ურჩხული, იწყო უკუსვლა,
ერთბაშად წელში გაიზართა, გაიწავარდა,
მოგრიხა კუდი, დაიკლაქა გველოვეზისავით,
- 103 წინა ტორებით შეარხია მღორე პაერი.
არც ფაეტონი, როს სადავე მიუშვა მან ეტლს,
დასერა ზეცა, გადარუჯა ცეცხლით კვალებით,
- 106 და არც იკაროს, როცა გრძნობდა ფრთები სანთლისა
ცხუნვარე მხეზე აღნებოდა და ემსხვრეოდა,
თანაც შემერთალის მამის ძახილს ისმენდა ამ დროს:
- 109 „უკვე გადასცდი ჩემო შვილო შენ სწორი გზიდან“,
აღბად არც ერთი იმა-განი ასე არ თრთოდა,
როგორც დაეშინდი მე ამ წუთში როცა ვიგრძენი,

95. ჰერკულესის მიერ მოკლული სამტანიანი მეფე გერიონ.

104. ფაეტონ. phaeton მითითობი მზის ღმერთის ვაჟი, რომელიც მზის ეტლს ისე ცუდად მართავდა, რომ ღამის იყო მიწა არ დასწვა, სამაგიეროდ მოკლულ იქნა ძველის მიერ.

106. იკარი. — Ikaros და ი და დოსის ვაჟი, რომელსაც მამამ ჯადოსანმა სანთლის ფრთები შეაბა, კრეტას დილეგიდან გაიქცა, მაგრამ მხემ გაუღებო ფრთები, ზღვაში გადავარდა და დაიბრძო.

- 112 შაერში ვიყავ უსასოოდ გამოკიდული,
და ვერას ესტვერეტდი იმ საშინელ უჩაზელის გარდა.
ასე, ამგვარად მისცურავდა სულ ნელა, ნელა,
ერკინულნი
გინგლიჩინიქა
- 115 ერთბაშად განზე ვაუბვია და ჩამოეშვა,
მყისვე ვიგრძენი გვიბერავდა ქვევიდან ქარი.
აჰა, მომესმა წყლის კშუილი. დაუცხოომელი,
- 118 საშინელის ხმით აყრუებდა იგი მიდამოს,
და ეგ ქუხილი მომესმოდა როგორც წინიდან
ისე ჩვენს ქვემოდ უმეტესად მარჯვენა მხრიდან,
- 121 სწორედ მიტომაც გადავბარე მე მაშინ თავი
და გადავიხედე, დამენახა: თუ რა ხდებოდა.
უფსკრულის ნახვამ წამსვე შიში გამიორკვცა.
- 124 შევნიშნე: ცეცხლი გუზგუზებდა გერილიაშემო
და მომესმოდა მე ტირილი უშველებელი,
მყისვე იჩქითად შევიცანი, შეუტნობელი.
- 127 როგორც მიმინო გაფრენილი ცის ლაქვარდებში,
გაქსუებული აიქრება მალა ეთერში
ვერ სპვრეტს საქნიერს, ვეღარც ხაყოს ფრთებისა ლიკლიცს
- 130 და ათქმევივნებს თავის პატრონს: „ახ, ჩამოდიხარ?“
ტრიალ-ტრიალით დაეშვება იმავ ალაგზე,
სადაც აფრინდა, გააკეთა ცაში ირაო,
- 133 და ჩამოვდება მონადირის მახლობლად სადმე,
ასევე დინჯად ძირს დაეშვა კლდისპირს გერიონ,
და როცა ტვირთი ჩამოსცილდა ძლიერ ქედიდან
- 136 გაუჩინარდა, ვით ისარი მშვილდს მოწყვეტილი.

ქ. კ.

ძება ოცლამიძისა

- 1 ო, იზეიმე, ფლორენციავ! შენს ძლიერებას
ფრთების სიერცელით დაუფარავს ხმელეთი, ზღვები,
თვით ჯოჯოხეთშიც კი გუგუნებს შენი სახელი!
- 4 მოქალაქენი ქურდთა შორის ვიხილე შენი,
ხუთი ისეთი პიროვნება, რომ მე სირცხვილმა
დამწვა, — და ეს ხომ შენს სახელსაც არა სდებს პატივს.

129. ეს სტრიქონში: Che senza veder logoro o uccello-

ანჯლო ფორენტინო სარტინის როგორც leure, გერმანული ფილანტეს: — Federspiel — იგულისხმება ჩიტის ფრული, რომელსაც ვეროველი მონადირენი მ მონოს მოსატყუებლად მხარობდენ (იხ. New. Vogel u wedeverubuch. ფრანკფურტ. 1582. ძველ საქართველოში ასეთ შენობევაში უიხზე დაბნულ ხაყოს მხმარობდენ, ანტიტომაც წყე ოდნავ გადავხუცისხატეს.



- 7 მაგრამ სიმაართეს თუ შეიცვენ სიზმარნი დილის,
მაღე შეიტყობ, პრატოელებს რაცა სურს შენთვის,
სხვათა ადგილთა მცხოვრებლებზე რომ არა ვსთქვამ
- 10 უბედურება რომ დაგატყდეს, დროც არის ამის;
დეე დაგატყდეს, თუ კი იგი არ აგცილდება!
თორემ უმეტეს დამამძიმებს შემდეგში მოხუცს.
- 13 გავემართენით; გამობრუნდა ოსტატი უკან
და წარმოიტაცა თინ იმავე კლდის ციკაბოთი,
ძირს ჩაშვების დროს კიბეებად რომ გამოგვადგა.
- 16 კლდეთა ნაქცევთა და პირლია ნაპრალთა შორის
განმარტოებით მოარულებს ვერ გავვიყვანდნენ,
თუ არ ხელების დახმარებით, მუხლები ჩვენია.
- 19 ჩემს გულს ნაღველი ერეოდა, და ახლაც ოდეს
შეხსიერებით გაფაცოცხლებ ხილვას მაშინდელს,
მძიმე კაეშანს ვეძლევი და გონებას ვლაგმავ.
- 22 ნუმიც დაუკარგავს მას სიქველე — მეგზური თვისი;
და თუ ვარსკვლავმახ ბედნიერმან ან ცისა მადლმან
შე სათნოება მომანიჭა, არა მშურს ჩემთვის.
- 25 ვით გორაკის ძირს მოსვენებით მჯდომარე გლები,
წლის იმა ეამსა, ოდეს თავის ბრწყინვალე სახეს
კათა ქვეშეთის მაშუქარი მერ ხნობით აჩენს,
- 28 და დღის იმა ეამს, ოდეს კოლო ბუზს შეეცვლება,
უცქერის ველზე მოოქროვილ ციკინათელებს
იქ, სადაც მისი ყანა არის და ვენახია,
- 31 ამგვარად აღნი ამდენივე, გამაშუქარნი
მერვე მღვიმისა, დაფინახე, როგორც კი ფეხი
დავადგი ადგილს, საიდანაც ფსკერი მოსჩანდა.

7. დ ი ღ ი ს ს ი ზ მ ა რ ი . ძველი, ანტიური ქვეყნის ცრუობის მშენებლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიიღწევდა დილის სიზმრებს.

ჯერ კიდევ ოვიდიუსი ამ საგანზე შეხვედვას მღერის:

Namque sub aurora jam dormitante lucerna

Tempore quo cerni Somnia vera solent. ქართული დააშლ. თარგმანი:

მაკდნებელი სიზმარნი მერწილად გარეგან ხეთვაელენათგან წარმოსდგებიან, სახელ-
დობრ კუპის ზედმეტად დატვირთვისაგან, მაგრამ როცა სული ასეთ დაბრკოლებას გაემიჯნება,
მაშინ ვხედავთ კეშარიტ სიზმრებს.

8. აქ დანტე გულსიზმონს შავებისა და თეთრების დროის სამოქალაქო ომს. 1304 წელს
შავებმა თეთრების სახლებს ცეცხლი წაუკიდეს. პრატოს კარდინალმა ნიკოლომ დასწყველა
ფლორენციელები და მათ წინააღმდეგ ჯეაროსნული ომი გამოაცხადა.

12. დანტეს ეს სტრიქონი ასე უნდა გაეგოთ: ახალგაზრდობაში იგი ბუნებრივად გაბო-
როტებული იყო თავის სამშობლოს მიმართ, რა კი მან გააქვეა პოეტი, მაგრამ თანაც ცდი-
რობს, რომ მოხუცებულების ეამს მისთვის ეს ძნელად ასატანი იქნება.



- 34 ვით მან, ვის გამო ძუ დათვებმა იძიეს შური,
წმინდა ელიას ცეცხლოვანი ეტლი იხილა,
ოდეს ზეცისკენ წარიტაცეს ცხენებმა იგი,
- 37 ხოლო შორეულ სიმაღლეში თვალნი იმისნი,
ველარ ირწევდნენ ველარაფერს, გარდა აღისა,
წინ რომ მიჰქროდა, ვით მსუბუქა ღრუბელის ქულა.
- 40 ასევე მღვიმის შავ სიღრმეში თვითოეული
მისრიალებდა ცეცხლის ალი, რომელიც თითოს
ცოდვილს, ვით ნადავლს, შეიცავდა თავის წიაღში.
- 43 მე ხიდის ნაპირს ავეკარი, რომ დამენახა
ეს სანახავი, და უოჟოდ უფსკრულსა შიგან
გადვეშვებოდი, რომ ტინისთვის არ მეელო ხელი.
- 46 როცა მეგზურმა ყურადღება შენიშნა ჩემი,
ასე მაუწყა: „აღნი ესე შეიცვენ სულებს,
და ცეცხლს დამდაგველს შიგ ეძლევა ყოველი სული“.
- 49 „ოსტატო“, ვკადრე. „მე ამაში ვერწმუნდები მეტად,
შენ რომ ურს ვიგდებ, თორემ თვითვე წარმომედგინა,
რომ ეს ამგვარად უნდა იყოს, და მსურდა კითხვა
- 52 ვინ ახლოვდება ამ ზემოდან გაყოფილ ალში
იმგვარად, თითქოს ალი იყოს იგი ცეცხლისა,
რომელმაც შთანთქა ეთეოკლე და ძმა იმისი?“
- 55 მითხრა: „ამ ალში ულისია და დიომიდო
შეტრთებულნი აქ არიან სასჯელში ისე,
ვით ბოროტების ჩადენის დროს ყოფილან ერთად.
- 58 აი ეს ალი მოსდებიათ ცდუნებისათვის,
ოდეს ხის ცხენით ბჭე განახუნეს მათ, საიდანაც
კეთილშობილი გამოვიდა რომაელთ თესლი.

34. გადმოცემით: ილია წინასწარმეტყველი ბავშვებმა გააჯაგრეს „ქაჩალო, ქაჩალო“, შესაბამის, სამაგიეროდ მან ორი დათვი მიუგზავნა ბავშვებს და დააგლეჯინა ისინი.

55. ულისი (Ulysses) ლათ. საბულო ოდსეუსია. ოდსეუს მთავარი გმირია ჰომეროს პოემის „ოდისეას“-ის, ლატინის ვაგე, პენელაპეს ქმარი, კუნძულის იტაკას მეფე; დიომიდეს — ტილდესის ძე, არგოსის მეფე, ტროაას ომებში ერთ ერთი უმამაცესი მებრძოლი. ომთან დაბრუნებულს ცოლი გაუბოხდა, ამის გამო საშობლოზე გელადრინილი აპულიას გაემგზავრა და აქ მრავალი კალაქი დაარსა.

58. იგულისხმება: „ტროაას ომის დროს მებრძობით გაქსილი ხის ცხენის ცხენი შეპარება, შემდეგ ცხენის კარი ბჭის გაღება. ამ კარიდან გამოვიდა შემდეგ ტანს და ლაციუმში (Latium) დასაბლდა.



- 61 აქ დასტირიან ტყუალს, რითაც დედადამია
 აქილევისთვის იტანჯება, მიცვლილი თუმცა;
 აქვე ისჯება მოტაცება პალადიუმის*.
- 64 „თუ კი ალიდან შეუძლიათ მათ ლაპარაკი,
 ოსტატო ჩემო, გთხოვ, და კიდევ გთხოვ დამატებით,—
 და დეე ვახდეს თხოვნა ჩემი ათასის ფასი,—
- 67 ნება მომეცი შევცადო, ვიდრე მოაღწევს
 ჩვენამდე ალი, ორ ნაწილად რომ გაკეთილა.
 ხომ ხედავ, რაჩივ მომიხიბლა მან მე სურვილი*.
- 70 „შენი სურვილი“, მიპასუხა, „ღირსია ქების,
 და შეგისრულებ შენ ამ სურვილს კიდევ ამიტომ,
 მაგრამ ეცადე გააჩერო როგორმე ენა.
- 73 მილაპარაკე: შენ რაცა გსურს, მივიხვედი უკვე;
 ვინ იცის, რაჟი ბერძნებია ეს ცოდვილები,
 ეგებ არ გიცნონ შენს ენაზე საუბრის ღირსად*.
- 76 როდესაც ალი მოგვეახლა და სენა ოსტატმა
 დრო და ადგილი შესაფერად, მე გავიგონე
 როგორ დაიწყო მან უბნობა შემდეგი სიტყვით:
- 79 „ო, თქვენ, ორნი რომ მოქცეულხართ ერთ აღში! თუ კი
 წინაშე თქვენდა მე რაიმე დაეიმსახურე,
 დიადი იყო თუ მცირე ეს დამსახურება,
- 82 ოდეს ჩემს მაღალ ნაწარმოებს ვწერდი იმ ქვეყნად,—
 გთხოვთ ნუ ისწრაფით და გვაუწყოს თქვენს შორის ერთმა,
 სად დაიღუპა ის საკუთარ დანაშაულით?“
- 85 ამ სიტყვის შემდეგ ძველი ალის რქამ უმაღლესმა
 ნელა დაიწყო მოძრაობა — და აჩურჩულდა,
 თითქოს ჭაობისგან შერხეული და მოცახცახე.
- 88 აქეთ და იქით შეტორტმანდა, მსგავსად ენისა,
 რომელიც უკვე სასაუბროდ განწადადებულა,
 და ამა, კიდევ შემოგვესმა ხმა და სიტყვანი:
- 91 „მაშინ, როდესაც მე ცირცია დავსტოვე, ვინაც
 ერთ წელზე მეტ ხანს დამაყოვნა ვაეტას ახლოს
 უადრეს, ვიდრე დაარქმევდა სახელს ენეოს

61. დედადამია — აქილევის (ჰომეროსის გამოის) მეუღლე. აქილევი ტროიას ომში მოკლეს, ასე რომ დეად მია დასტიროდა თავის მეუღლეს.

63. ოდისსეუს და დიომიდეს მთხოვრის სამოსი გადაიცვს და პალადიუმში მოიტაცეს მიწვევას ტაძრიდან.



- 94 ამა ადგილსა, არცა შევილის უნაზეს გრძნობის,
არც ვალს მოხუცი მამისადმი, არც სიყვარულსა, *მარკინუსული*
რომელიც ძვირფას პენელოპას აესებდა ლხენით, *ბინჯილინი*
- 97 აღარ შეეძლოთ აელაგმათ ჩემში სურვილი
მეტნო ქვეყანა და გამეგო გამოცდილებით
ადამიანთა ბოროტება და სათნოება.
- 100 გზას დაეადექი გაშლილ ზოგაზე ზომალდით ერთით
და თან შეახლა ამხანაგი რამოდენიმე,
რომელთაც ჩემგან განშორება აო მოიხურვეს.
- 103 სჩანდნენ ნაპირნი ესპანეთის და მაროკოსი,
ვხედავდრ კუნძულს, სარდინიას და სხვა კუნძულებს,
ზღვით შემოგარსული და განბანილით მისის ზვირთებით.
- 106 და ჩვენ ყველანი ღრმით მოხუცნი ვიყავით უკვე
მაშინ, როდესაც მივალწიეთ ზღვის ვიწრო სრუტეს,
სად პერკულუსმა ზე აღმართა საზღვარი კლდისა.
- 109 როგორც ნიშანი, — ნურასოდეს მის გარდაღაზვას
დე ნუ გაჰბედავს, ნუ იფიქრებს ადამიანი!
მარჯუნით დავსტოვეთ სვეილია, სეუტა მარცხნით.
- 112 „მინო“, მივმართე ამხანაგებს, „ასიათასი
საშიშროებით მივალწიეთ თქვენ დასავლეთსა,
და აწ სიციცხლე თქვენ ხანგრძლივი არ დაგშთენიათ;
- 115 ესოდენ მცირე ჟამისათვის არა ღირს დასთმობთ
სიამოვნება იმ უკაცურ ქვეყნის ხილვისა,
მანათობელი მზის გადაღმა რომ მდებარეობს.

91. ცირცე, ღათ. Circe, აიას კუნძულზე საბელგანთქმული ჯადოსანი ჰელიოსისა და პერსეს ქალიშვილს, მან ოდისეუსი და მისი მზღებელნი (ტროიას ომიდან დაბრუნებულნი) ღორებად აქცია.

93. როცა ეწეას იტალიაში ჩამოვიდა, გარდაიქვალა მისი ძიძა გაიეტა, ამ ადგილს შემდეგ გაიეტა შეერქვა.

105. რაკი ეს ადგილი ზოგიერთ მებღში ჰომეროს ოდისეუსს ეწინააღმდეგება, დანტეს კომენტარითა შორის ფილალეტუს ჰევიჭობს, რომ დანტეს ჰომერუს პოემა არ უნდა ჰქონოდა წაკითხული.

106. იფულისხმება ტირენის ზღვა, სადაც მდებარეობს კუნძულები: კორსიკა, სარდინია და სხვ.

108. ტიტუსტი: Dov' Ercole segnò il suvri riguardi. უკანასკნელი სიტყვა riguardare შეხედვა, ვერაღების მიქცევა. აქ იფულისხმება პერკულუსის მიერ სამოჯნოს გაკეთება, დაწესება.

111. დანტეს ცნობის მიხედვით უნდა ვიფულისხმობთ რომ ოდისეუს დააბ. კადიქსის ბებ-ტამდის ურდა მიღწიოს.

116. ძველი გეოგრაფების პარატუხით მუთარე ჰემისფერო მაწინა მარტოაფენ წყლები-საგან ვ. ი. ხელისაგან შესდგებოდა, ასე რომ დაუსახლებელი და უკაცროელი ეგონათ.



- 118 შთამომავლობა მოიგონეთ მაღალი თქენი,
 თქვენ პირუტყვეული ცხოვრებისთვის არ განენილხარეთ, ^{რადგან} ^{რადგან}
 ცოდნა გეკუთვნისთ მოძოვოთ და სათნოებაჲ. ^{ნიშნობისაჲ}
- 121 და მე ამ სცირე მოწოდებით ზემს ამხანაგებს
 გამბედაობა შთაუნერგე იმდენი გულში,
 რომ შესაძლოც კი აღარ იყო თავშეკაფება.
- 124 ზურგი ვაქციეთ აღმოსავლეთს, და მყის ნიჩბები
 ფრთხილად აესხა გაქანებას გიჟურსა ჩვენსას,
 რომლის მანძილზე სულ მარცხენა გვეჭირა მხარე.
- 127 ღამე მეორე პოლიუსის ვარსკვლავებს სჭვრეტდა,
 ხოლო ჩვენი კი გამუდმებით ძირს იხრებოდა
 და იმდენად, რომ ზღვის ზედაპირს ეკვროდა თითქმის.
- 130 უკვე ახალი ცის წიაღში შუქი მთვარისა
 ხუთჯერ აენთო და ჩაბნელდა მას შემდეგ, რაც ჩვენ
 საბედისწერო გარდავლახეთ საზღვარი იგი.
- 133 მაშინ მწვერვალი ჩვენს წინაშე გამოჩნდა შორით,
 შავის წყლიადით შემოსილი, და მოჭრენა
 ის უმაღლესად ჩემგან ხილულ მწვერვალოა შორის.
- 136 დიდით ვიხარეთ. მაგრამ მალე დავლონდით ისევე,
 რადგან აღმოხდა ახალ მიწას სასტიკი ქარი
 და განარისხებით დაეჯახა პირისპირ ხომალდს.
- 139 დაატრიალა ის სამკეცად, ზვირთებიც ირგვლივ,
 (ხოლო მეოთხეთ ზე ასტუორცნა ხომალდის თავი
 და უხენაეს ნებისამებრ პირქვე დაანხო,
- 142 ვიდრე ტალღებმა არ შეითქვეს ჩვენს თავზე პირი.

დ. ზ. ძეგა მიოცდაცამება

- 1 ტუჩები თმებზე შეიწმინდა მაშინ ცოდვილმა
 რა გაათავა საზიზღარი ზარმელი თვისი
 და კეფა სულმოლად გადაულრნა მოსისხარს კბილით,
- 4 შემდეგ ამისა მოგვიბრუნდა და გვამცნო ესა:
 „შენ ეს გწადია: განვიახლო წამება იგი
 „რომლისაჲც თავად მოგონებაჲც ამაზრზენია.

125. დანტეს აზრით ოდისეს უნდა მიეღწიოს იმ კუნძულამდის, რომელიც იერუსალიმის გასწვრივ ვ. ი. მიწის კემისფურთს მდარე მხარეს მდებარეობდა 32° სამხრეთის განივისა და 155° დასავლეთ სიგრძის (გრანვიჩით), ან არა და ახალ ზელანდიადან 450 გერმ. მილიას მანძილზე, ამიტომაც კადიქსიონ გამოსულნი მებღვაურნი მარ მარცხნით, დასავლეთისაკენ მიემართებოდნენ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- 7 „უნდა იცოდეთ, სიტყვა ჩემი იქნება თესლი
„და ამ თესლისგან უსათუოდ აღმოცენდება
„დიდი სირცხვილი იმ უპირო მოლაღატისა,
„რომელსაც წელან თქვენს წინაშე კბილით ვლექავდით
- 11 „და აქ სიტყვებიც არ იქნება თქმული უცრემლოდ.
„არ ვიცი ვინ ხარ, ან ქვესკნელში ვით მოაღწიე,
„მაგრამ კილოზე შეგამჩნიე რომ ფლორენციის
- 14 „შენ ნაშიერი უნდა იყო და უსათუოდ
„გეცოდინება, რომ მე ვიყავ გრად უგოლინო
„ხოლო მეორე იყო როჯერ ეპისკოპოსი
- 17 „ახლა ისმინე თუ რად ვუმტრე ამ ჩემს მეზობელს.
„არ ღირს გვიამბო რუ რა გვარი მუხანათობით
„ვით მიღალატა გულალალად მასზე მინდობილს.
- 20 „და ვით შემიპყრო მოსისხარმა და მომაკვლინა.
„მაგრამ შენ აღბად არც კი იცი რაც მთავარია,
„თავად ამბავი უსასტიკესს მოკვდინებისა.
- 23 „მაშ მოისმინე და განსაჯე ჩემგან ნათხრობი.
„იმ ვიწრო ხერგელმა გულშემზარავე, ბნელ დილეგისამ,
„(რომელსაც ახლა, ჩემს შემდგომად ჰქვია სახელად
- 26 „შინშილის კოშკი, სად მრავალი პატიმარია),
„მე იქ მაჩვენა საქანელთა თვისთა წყალობით
„მრავალ მთვარეთა მოქცევაი, სხივით გაესება.
- 29 „როცა ბედითმა ზმანებამან დაუბრიწა რიდე,
„ვყავ საცნაური მომავლისა სახე უჩინო:
„იგი შეჩვენა მე სიზმარში ვით მძლე ბატონი,
- 32 „რომელიც მეგლს და მგლის ბოკვერებს ერეკებოდა
„იმ მაღალ მთისკენ ქალაქ ლუკას რომ ემიჯნება.
„წინ მიუძღოდნენ მას მწვერები სულმთლად ვამხდარი

16. უგოლინო — (გრად გერადესკას გვარიდან) განდევნა ნინო ვისკონტი და თავად დაეპატონა ბრხას, მაგრამ კორეპისკოპოსს როჯერ უბალდანის შეშურდა ეს და ხალხი აჯუანყა, გულანდის, სოსონდის და ლანდრანის (ანა ურები იყვნენ) მეთაურობით გაილაშქრა უგოლინოს წინააღმდეგ „ქრისტეს ჯვრით ზღმა“, შეიპყრო უგოლინო და შეიღებინად (ხოგიერთი კომენტატორების აზრით მისი შეიღის შედეგები) და დილეგში ჩააგდო, ხოლო დილეგის კლიტენი მდინარე არნოში გადააგდო.

24. უგოლინო დაწვედნული იქნა გულანდის კოშკი 1288 წ. იგი 7 თვე იმყოფებოდა ამ დილეგში.

27. საქანელი მგ. ქართული, ნინუას სარკმელს, იმ. დაბ. წიგნი ა. ც. ბ.

31. აქ იგულისხმება როჯერი კორეპისკოპოსი.

34. აქ იგულისხმება მთა ს. უიულიანო, რომელიც ქალაქ ლუკასა და ჰუხას შორის მდებარეობს.



- 35 „კადგად გაწურთნილნი, დაგეშინი, გაუმადლარნი,
„დაწინაურდნენ მყის გულანდი, შემდეგ სისმონდნი,
„და არც ლანფრანჩი მონადირეთ ჩამორჩენია. ქართველნი
გამგალობენ
- 38 „მცირე ხნის შემდეგ დაიქანცა მამალი მგელი
„და ბოკურებსაც ენახე ჯანი ვით ელუოდა,
„მისწოდენ მწვერები დაულადრეს მელშავთ ფერდები.
- 41 „როცა ცისკრისას გამოფიხიზლდი მე შემომგესა
„თუ ვით სტიროდენ შიმშილისგან ჩემი ბალღები,
„რომელნიც ჩემთან იმ დღეგში იტანჯებოდნენ.
- 44 „თუ განავონი ცრემლს არ მოგერის მაშინ არ ვიცა
„ეგზომ უღმობელს რა მოგალბობს, რა აგატირებს.
- 46 „ისინი უკვე ძილფიხიზლობდენ, ახლოედებოდა
„თმი როდესაც ჩვეულებრივ მოჰქონდათ საზრდო.
„წამს შემომგესა ვით დაჰკეტეს ჭვევით კიშკარი
- 49 „იმ საშინელი დილეგისა და მაფუბრუნდი
„სიტყვის უთქმელად მივამტვრდი მე ჩემსა ვაფებს,
„გული გაქვად და შემაშრა თვალებზე ცრემლი
- 52 „ისინი მწარედ ქვითინებდენ გულამომჯდარნი
„ერთი მათგანი, მეუბნება, ანსელმუჩო:
„რა ვასაოცრად მოგვაჩერდი, რაო მამილო?“
- 55 „არც ერთი ცრემლი მე იმ წუთში არ დამდენია.
„არც თუ რამ მითქვამს საპასუხოდ იმ დღის მანძილზე,
„არც შემდეგ ლამეს, ვიდრემდის მზე ამოვიდოდა.
- 58 „როს მკრთალი მუქი ჩვენს დილეგში შემოიბარა,
„ენახე ხატება საკუთარი ოთხივ სახეზე
„გაცოფებული კბილით წაეწვი საკუთარ ხელებს
- 61 „მათ კი ეგონათ, რომ შიმშილმა ეს მაძულა
„ადგნენ ერთბაშად წინ დამიდგნენ, შემომქვითინეს:
„რას შერები მამავ, თუ სიღმილი გაწუხებს აგრე
- 64 „მა, ჩვენი ბორცი, ეს ინებე რადგან ამ ბორცით
„ეგზომ ვნებულთ შენ შეგგმოსე, წაილე შენად.
„დაედუმდი მყისვე მათთვის გული რომ არ მომეკლა,
- 67 „ესდომდით ოთხნივე როგორც იმ დღეს ისე შექდეგშიც.
„ო, მკვიდრო მიწავ ნეტავ ჩენთვის გაგეხება პირი,
„როცა მეოთხე დღე გათენდა დეცა ვადო

37. ამ ალეგორიულ სიზმარში უგოლინთა წარმოდგენილი ჰყავს როჯერი, რომელიც ნადირობის წინამძღოლი, ხოლო დანარჩენი ვიბელონები: გულანდი სისმონდი და ლანფრანჩი მარგაბად და ბახიერებად.

63. სიღმილი—სიმშილი.
ფურ. „ენათობი“ № 1—2



- 70 „ქემს თებრთით იწეა და ამ გვარად მევედრებოდან
„რისთვის არ გინდა მომეშველო, ჩემო მამილო? ერკონესული
„იქ მოკვდა იგი და როგორაც მე აქ მიუხრებ გიგლიჩოყა
- 73 „ისე მეც ვნახე საკუთართა თვალთა წინაშე
„სამივე ვაჟი ვით კვდებოდა, სამივე ზედიზედ,
„ჟევე მეხუთე და მეექვსე დღე შემოიტენდა,
- 76 „თვალის სიმათლე დამელია ისე ებორგავდი
„და მათ ცხედრებზე დაედოდი დარეცებული.
„ქიდეც სამი დღე ვიჯახირე და ვივალაღე
- 79 „ბოლოს სიმშლიმი გაიმარჯვა დარდის წინაშე“.
„ესა სთქვა, შემდეგ კვლავ მივიარდა ბრახზორეული
„იმ უპატრონო თავის ქალას დაუწყო ღმევა.
- 82 ვაჟ, შენ პიხავ სამარცხენო ლაქავ ხალხისა,
შშვენიერ ქვეყნის სად სწევით წარმოთქმა სი-სა
გიგვიანებენ მეზობელნი პატიყს მართებულს,
- 85 აწ ამოძრავდი კაპრაია და შენც გორგონა
ზღუდეთ იქეცით და დახერგეთ არნოს შესართი,
რათა პიხაში მოსახლენი წალეკოს წყალში.
ახლო თებენ, უსამართლოვ, განუკითხავო
ვთქვით უგოლინომ მტერს გადასცა ეგ შენი ციხე,

79 როგორც დანტი, ისე ფრანკისკო და ბუტი ამ შემთხვევაში დაუფერებელ აზრებს მოგ-
ვითობებენ. ცნობილია რომ ადამიანი 40-დღეზე მეტს სძლებს უჭმელად.

83. si—იტალ. ზო, დიან.—დანტეს დროს რომანულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს არცე-
დგნ: Langue de si, Langue d'oc, Langue d' oui. დანტი თავის ტრაქტატში: De vulgare
eloquentia შემდეგსა სწერს: „ზეელი ამ მზელეთის მოსახლეობა დონაუს, ან პაულუს მავოტის
შესართავიდან დასავლეთისაკენ ვიდრე ინგლისის, იტალიისა და საფრანგეთის საშლერებადის
ერთ ვნახე ლაპარაკობს, თუმცა იგი ვნა სლავონიერებსა, უნგრელთა, ტურესკოს (გერმანელე-
ბის), საქონელეების და ინგლისელებისათვის სხვადასხვა დიალექტად იქცევა, მათ ის გარემოება
აკუშირებთ რომ ყველანი ჰოსთქმის დროს ქა-ს ამოიბენ. იტიდან დაწეებული აღმოსავლეთისა-
ფს, ე. ი. უნგრეთის საშლერებიდან იწყება სულ სხვა ენა. ხოლო ის ნაწილი, რომელიც ამ
ქვეყნებს გარეშე მდებარეობს ევროპაში, აქეთ მესამე ენა, თუმცა იგი ამეამად სამეზის დანაწი-
ლებული. ვინაიდან როცა მათ რაიმეზე ჰოსთქმა ნებაეთ ზოგნი იტყვიან: იც, ზოგნი: oui, ხოლო
სხვანი si-ს. სახელდობრ: ესპანელი, ფრანკი, იტალიელი“. რატომღაც დანტეს არევა გე-
ოგრაფიული ცნებები. შესაძლოა სლავონიელებსა და უნგრელებს იგი ტურესკოს—გერმანელებს
იბიტომავ მიაკუთნიებს, რომ ამ ხალხებს იმ დროში კარგად ეცოდინებოდათ გერმანული.

85. კაპრაია და გორგონა პიხას გასწვრივ მდებარე კუნძულებია.

86. გრავ უგოლინოს ბრალდებულდა ხსენებული ციხის გადაცემა ქალაქ ლუკას მებოვრე-
ბისადმი. ეს ჩვეთვალა მას სამშობლოს დღაღად—ქ უნდა იგულისხმებოდათ ციხე რაიანრატა.
უგოლინოს ურჩევია პიხელებისათვის ეს ციხე ქალაქ ლუკას გადაეცეთ. ზოგიერთი კომენტა-
ტორის აზრით თავად უგოლინოს უნდა გადაეცეს იგი ციხე ქალაქ ლუკას მებოვრებთათვის. აქ
დანტი იგონებს თებერის მაგალითს, კადმუსის გვარის დასჯის ამბავს.



- 90 მაგრამ მის ვაეებს რას ერჩოდი ჯვარზე რომ აცვი, ნორჩი ბრიგატა, ან ჭაბუკი უჯუნიონე და ორს დანარჩენს ჩენს ლექსებში უკვე ნახსენებია
- 93 დაეწინაურდით, მივალწიეთ ისეთ ადგილას, სადაც ცოდვილნი გაყიხული ხობაკვერისგან გარემოცულნი ძირს ეყარნენ თავდაღუზულნი.
- 96 თავად ტირილიც არ შეეძლოთ, რადგან ცრემლები პირველითგანვე მოდენილი ზედ შეყინვოდათ თვალის გუგაზე ვით კრისტალის სათვალევები.
- 99 თუმცა სიცივემ შთლად დამიზრა კანი სახისა გრანობიერება დამიკარგა სუსხით გათოშილს, მაგრამ მე მაინც ჭარის ქროლვა ვჰყავ საცნაური.
- 104 მივმართე ოსტატს ვეუბნები: „ეს რა ჭარია“. და მან მომიგო შენ მიაღწევ მალე იმ ადგილს „სად საკუთარი თვალი მოგცემს ამ კითხვის პასუხს,
- 107 „როცა იხილავ ამ ბორიოს წარმომშვებ მიზეზს. „მაშინ ერთ ერთმა ამ ყინულში ჩაკირულთაგან ჩვენ მოგვაძახა: „პოე, სულნი ვგზომ სასტიკნო,
- 110 „განგებისაგან წარგზავნილნი ამ ყინვის გარსში, „ჩამომაცალეთ მე სახიდან ეს საფარველი, „რომ ოდნავ მაინც გულის ჭირი შემიმსუბუქდეს
- 113 „და არც ცრემლები შემეჭირბლოს ქუთუთოებზე“. მე ვუპასუხე: „თუ გსურს ხვედრი შეგიმსუბუქო ჯერ ეს მითხარა თუ ვინა ხარ და ამის შემდეგ
- 116 „ვინძლო ვერ შევძლო მოგიპოვო ოდნავი შვემა, „დეე მე თავად გავირიყო ყინულთ წილში“.
- 118 მან მყის მომიგო: „მე გაბლავარ აღბერიც ბერი, „ბაღნარის ბნელის აწ ნაყოფით ხელში შეთენილი „ლეღვი მეწადა და მის ნაცვლად მომაგეს ფშატი“.

90. კომენტარობის ფლამინიას აზრით უგოლინის შეილები და შეილიშვილები არც ისე ბალღები იყვნენ. თურმე, ისინი შეიარაღებულნი შეესტრათ პიხვლებს. იმ დროის სიბნელისა და სისასტიკის დასაბნასითებლად საჭურაღლებოა ერთი გადმოცემა: თურმე იმ ხანებში როცა ჭორეპისკოპოსი როჯერი უგოლინის ებრძოდა, უკანასკნლის შეილი შეილი ძიძას ყავდა. ბავში წამოიზარდა. თავის პაპისა და მთელი მისი ოჯახის აზრები გამოიკითხა. წავიდა პიხაში და გამოეცხადა: მე მიღალატე გრაფ უგოლინის შეილიშვილი ვარო, პიხვლებმა სამუდამოდ საქართველოში ყოფნა მიუსაჯეს მას. ვაჟის, ხანაზავად ჩემად დადიოდა მისი ძიძა. ვატი მიუდგა თავის დედამძუტეს და ორი შეილი ეწოლა მისგან. რაცა ჰაინრიხ მე-VII ეწეოა პიხას, ეს ვატი გაუნთავისუფლებით თურმე.

120. აღბერიც ბერი—აღბერიცო დეე მანფრედო, ერთ ერთი „ფორატე გაუდინატე“— „შხიარულ მათაგანი,“ პაპის ურბან მე-IV-ის ნებარავეთ ბერობის სახელწოდება მიიღეს ბოლონიელმა დიდმა აზნაურებმა; მათ არც მარტვა ესაკიროუბოდათ, არც ამ ჭეყნიერტი „ცთენე-



ქართული
ენის ლექსები

- 121 „რას ამბობ?“ — ვარკვი, „შენც გიწია უკვე სიკვდილი“
მან მიპასუხა: „მე არ ვიცი სხეული ჩემი
„რა ყოფაშია იქ ამგვამად, მალღამიწაზე;
- 124 „ამ პტოლომეას ენიჭება პრივილეგია:
აქ ჩამოვარდეს შესაძლოა სული მანამდის,
ვიდრე ატროპოსი შეუწყვეტდეს გზას სიცოცხლისას.
- 127 „ოლონდ წარმოცვე იწი თვალთაგან ცრემლები ესე
„მწვავე სუსხისაგან შეყინულნი, ჭირხლად ქცეული,
„გამცნობ რომ სული მუხანათი, დაუნდობელი
- 130 „როგორც კი ღალატს იქ მიწაზე ჩაიდენს თურმე,
„სწორედ იმნაირს როგორც მე დამედო ბრალად,
„მეისვე დემონი მას შეიბყრობს, წარსტაცებს სხეულს,
- 133 „დაეფულება მერმე ეამის აღსრულებამდის.
„ჩამოავდებენ შემდეგ ამ სულს ამ ყინულეთში.
- 135 „შესაძლო არის იქ მიწაზე დარიალობდეს
„ამ ლანდის ჭირცი მანდ ჩემს უკან რომ აღრქენს კბილებს.
„ეს ყოველივე აღბად შენაც მოგეხსენება,
- 138 „რაკი ბნელეთში ჩამოსულხარ საიჭაოდან.
„ეგ ლანდი ვახლავთ თვით მესსირე ბრანკა დ'ორია,
„წელი მრავალი ვაატარა მან ამ ჯურღმულში.“
- 141 მე ვუპასუხე: „შენ მატყუებ და მე მგონია
„ჯერ არ მომკედარა იქ მიწაზე ბრანკა დ'ორია .
- 143 „სასნელს და საჭმელს შეიჭყვეა ტანთშემოსილი.“
„ზედა ჯურღმულში, სადაც ცხელი ფისი დულდება“,
ამბობდა იგი „ჯერ არ იყო კიდევ მოსული

ბათათის“ ზღრვის შექცევა, აკრძალული ჰქონდათ მოლოდ და შილოდ იჭრის დეზების ტარება. ალბერტიო ვეოტენიდა გველფინის პარტიის ხელმძღვანელ ფეოდალთა გვარს. ალბერტიო ექიშებოდა თავის ნათესავს მანფრედი დე მანფრედის, ერთ ხელ ამ უკანასკნელმა სილა აქამა ალბერტიოს. მანფრედამ ბოდიში მოიხადა, ალბერტიომ თავი მოეკატუნა თითქოს ძველი წყნა არც კი ახსოვდა და კიდევაც მოიატრია თავის თვალებში მანფრედი და მისი ვაჟი, ნადიმის დასასრულში ალბერტიომ მახატრებს შესახა: „ხილი მოგვართეთო“. ეს იყო ნიშანი და მართე შემოცივდნენ დარბაზში უგოლონდ და ფრანც დე მანფრედი და სტურები დახოცეს. ზოკანთო მოგვიხსობს: „და მინებულმა მანფრედის ვაჟმა ალბერტიომ ალბერტიოს ბერული ჩიბა წამოესხა სასწრაფოდ, მერამ სიკვდილი მანც ვერ აიცილნა. ამ ამბის შენდეგ ალბერტიოს შეძახილი: „ხილი მოართეთო“, საანდაზოდ გადაიქცა.

124. პტოლომეა (Ptolema) ხეზოდ აღწერილი გარსის განყოფილებას ეწოდება. დანტ ამ სახელს უკუნიჭებს აღბად ბიბლიურ პტოლომეას, მღვდელმთავარ ამბოზის ვაჟს. რომელმაც სიმონ მაკაბელი და ეკნი მისნი: იუდა და მათე პურობის დროს მოკლა.

126. ატროპოსი — (atropos) (ბერძ. მიუცილებელი, გაუშვებელი) ერთ ერთ სამ ნიარათაგანი, რომელიც ცხოვრების გზას გადაუჭრიდა ადამიანს ძე. ბერძნ. მითოლოგიის მიხედვით.

138. ბრანკა დ'ორია მოკლა თავისი სიმამრი მიკელ ცანე პურობის ვაჟს.



- 146 „მიქაელ ცანჭე, როს დემონმა იმის მაგივრად
„დორიას ტანში მოათავსა, იქ ჩამოგზავნა.
„ამ ყინულეთში, ნათესაენი. თანაზიარნი.
- 149 „ახლა ამას გთხოვ ვამიწოდე მე ბედშავს ხელი
„აღმისვენ თვალნი ყინვისაგან ამოფისულნი“.
„ო, გენუელნო, უზნეონო და ბიწიერნო
- 152 „რისთვის წაბილწა ეგ ხმელეთი ტერფებმა თქვენმა!
„ერთ ერთი თქვენი ნათესავის, რომანიაში
„ყველაზე მეტად გულარძნილის და პირბოზისა;
- 155 „მე შემხვდა ლანდი იქ კოციტში ამოვლებული,
„იქ ენახე სული ხოლო მისი ბილწი სხეული
„ერთ მოჩვენება დარიალობს ჯერაც მიწაზე.

კ. ზ. ძება მონაცდათოთხმეტი

Vexila regis prodeunt inferni

„ახლა ჩვენ სამტროდ“, ასე მითხრა ვირგილიუმმა:
„წინ გაიხედე თუ შეიძლო შეასწორო თვალი“

4 თითქოს ნინევი ზრტელი ნისლის ბურავდა ზეცას,
ჩვენს ჰემისფეროს ღამის კალთა ეფინებოდა
შორი აბლოდან მე ვამწინედი ქარისა წისკვილის

7 ატრიალებდა, აბრუნებდა ძლიერად ქარი.
უკუგაქცეო, მივედღე ისე ჩემს ოსტატს
ოაკი საფარი მე სხვაგვარი არსით მიჩახდა.

10 უკვე მივედი (მეკრძალება ამის ლექსად თქმა)
ისეთ ადგილას სად აჩრდილნი უკვე სავსებით
ყინვის ლოლუებს შეემოსათ და გაეთიშათ

146—147. მიქაელ ცანჭე და ბრანტა დორია ნათესაენი იფენენ და აკვაცობის თანა-ზიარნი.

151—157. გენ უელეებს—დანტე ჰეცხავს, რადგანაც იტალიის ერთერთი მუშატიანის სიტყვით: „გუფელნი თუმა ფრიად მდიდარნი, ძლევაბოსილნი და მორტუფლნი იფენენ, მაგრამ ქალაქი სახეც იყო აკვაცობით, მკვლელებითა და მრუშებით... განუზომელად იღვრებოდა ადამიანის სისხლი, ასე რომ ქალაქის მოსახლეობა თურმე იძულებული გაბდა თავის წრიდან 18 გულმეცნიერი (Sapientes) და ბრძენი მოქალაქე ამოღრჩიათ. მათთვის ნება დაერთოთ ერთი თუას განმავლობაში ყოველივე ზომისათვის მიემართათ, რაც ეს ქალაქის მყდრარობისათვის აუცილებელი იქნებოდა“.

1. Vexila regis prodeunt inferni adversos nos ამოვლებულია კათოლიკურ ჰიმნიდან და ნიშნავს: „ჯოჯბეთის თავადაზა გაშალა დროშები ჩვენ სამტროდ ახლა. დანტეს ორიგინალში პირველი ოთხი სიტყვა ლათინურადაა.



- 13 მოსჩანდენ ლანდნი ისე ნათლად და გამსკვირვალედ
ვით მცირე დვრიტა ჩაგდებული საწყულე კოქაში. ვარკინული
ზოგს თვალზე რული ძირს მწოლარეს მოჰვიდებოდნენ.
- 16 ზოგიც ყვინთავდა ზეზეურად ფეხზე მდგომარე,
ერთი მთლად თავქვე, მგორენი ყირაზე მდგარნი
ზოგს ფეხი თავთან მიეტანა მშვილდით მოხრილს.
- 19 უკვე საკმაოდ ორივენი დავწინაურდით
როცა ოსტატმა შესძლო ჩემთვის ეჩვენებინა
არსება იგი, ვინც ოდესღაც ყოფილა თურმე
- 22 პირმშენიერი, სახილველად ფრიალ საამო.
წინ დამიყენა, გამაჩერა მაშინ ოსტატმა,
მარტვა: „ეგ არის თავად დიტე და ამ ადგილზე
- 25 გამართებს უთუოდ აღიქურვო მხნეობით დიდით“.
სჯობს არც კი მკითხო ო, მკითხველო ვით დავიბენი,
როგორ გავხევედი უცარად გარინდებულნი,
- 28 ამას ვერ ავწერ რადგან სიტყვა აქ უძლურია.
არცა სიკვდილი მომწევია ენა წართმეულს
არცა სიცოცხლის შემორჩენია მე ნატამალი.
- 31 თავად იფიქრე თუ კი შეგწევს ვონების ძალი,
რა ვიქნებოდი უსიკვდილოდ და უსიცოცხლოდ?
ამ სიმძიმის საწყაროს იმპერატორი
- 34 ამოდიოდა და ყინული სცემდა გულმკერდზე.
რა გამოვჩნდები მე რომ ვინმემ მღევს დამატლოს
ასევე მღევიც მარტოდენ მის მკლავის სიგრძეს
- 37 რომ შეადაროთ გეტყვინებთ მთლად ქონდრის კაცად
ახლა შენ თავად ხანს განსაჯო, წარმოიდგინო
თუ რა სიდიდის იყო მისი სხეული სრული.
- 40 რამდენად აღრე ყოფილიყო ის მშენიერი,
იმდენადავე სახიზლარი იყო ამჟამად.
თუ კი ის თვალებს შიამყრობდა მალლა შემომქმედს,
- 43 იგია თავად ზოროტების ყოვლის მიზეზი.
რა რიგ გავვოკდი როცა ვნახე მე ჩემის თვლით
სამგვარი საზე გამოსხმული რომ ჰქონდა თავზე,

22. იგლისხმება ლუციფერი, რომელიც ბიბლიური ლეგენდის მიხედვით ფრიალ ღამაზე
უნდა ყოფილიყო.

33. ტექსტში: Lo imperatore del dolorote regno

33. მდგო, აქ შეგნებულად ქართულ მითოლოგიურ სახეს მივმართ, თუმცა თავად დან-
ტი gigante-ის ასხვებს, ვ. ი. გიგანტს.

37. საინტერესოა: ფილალეტისის ვარაუდით ლუციფერის მკლავი უნდა ყოფილიყო 1483
გერმ. ფუსი, 811 იტალ. ბრახია—წართა,



- 46 ჯერ წინა სახე სისხლის ფერი, მთლად შეწამული.
სხვა დანარჩენი პირველს სახეს უერთდებოდა,
ორთავე მხარის შუა გულში დატანებული.
- 49 ხოლო სამივე შუბლის ზემოდ ჰქონდა შეყრილი.
ნახევრად თეთრი და ნახევრად იყო ყვითელი
მარჯვენა სახე და მეორე სახე მარცხენა
- 52 იმათი ფერის, ვინც ნილოსის პირას ბინადრობს.
ყოველი სახის ქვემოდ ფრთენი უშველებელი
უჩნდა ისეთი, ვით შეჰმევენის ანაირ ფრინველს.
- 55 ჯერ არასოდეს არ მინახავს ამხელა აფრა
ზღვაზე გაშლილი, ფრთებზე ბუნტყლიც კი არ ემოსა,
არა, ღაზურის ქინქლის მსგავსი თუ ეტყობოდა.
- 58 აბარტყუნებდა ისე ძლიერ იგი თავის ფრთებს,
რომ დამდგარიყო გარემოში სამკეცი ქარი,
მთელი კოციტიც ამიტომაც იყინებოდა
- 61 ეჭვსიც თვალთაგან მონადენი მდულარე ცრემლი,
სისხლიან დღეში არეული სამივე ნიკაპზე,
ნიადღვარივით დაუცხრომლად ჩამოსდიოდა.
- 64 ყოველ ხახაში გაჩხირული ჰყავდა ცოდვილი,
და ყოველ მათგანს გლეჯდა რკინის, ლომისებრ კბილით.
ასე ერთბაშად აწამებდა ღრღნიდა სამივეს.
- 67 პირველს მათ შორის გარნა მარტო სატანის კბილი
ღადრავდა, გლეჯდა, კბილთან ერთად ბასრი ქანგები;
ასე რომ ზურგზე ერთიანად გასცლოდა კანი.
- 70 მითხრა ოსტატმა: „სული ესე მომეტებულად
„რომ იტანჯება იუდაია ისკარიოტი,
„თავი ხახაში გაჩრილი აქვს სატანას მისი,
- 73 „ფეხები უჩანს, და მეორე შავდრუნჩიანი,
„გაზღავს ბრუტუსი, იტანჯება ხმაგამედილი.
„ხოლო მესამე, ახოვანი კასიუსია.
- 76 დროა წაეიდეთ, ვინაიდან ეშვება ღამე
და ყოველივე ნახული გვაქვს თვალმისაწვდენი“.
ყელს მოვეხვიე მე ჩემს ოსტატს, დავევი ნებას.

52. იგულისხმება შავი ფერისა, ე. ი. ნილოსის პირად მცხოვრებთა ფერისა. ფილაფეტის განმარტავს: დანტეს დროს ქვეყნის სამ ნაწილს იცნობდნენ მხოლოდ. სატანას წითელი სახე ევროპელების თეთრწითელ კანის ფერს უნდა მოასწავებდეს, ყვითელი—ახილეებისა, ხოლო—შავი—აფრიკელთა შავ სახეს.

71—75. ისკარიოტელი, ბრუტუსი და კასიუსი, დანტეს შემეტყუებაში წარმოადგენდნენ სამს უპირველეს ცოდვილებს და მოღალატეებს. მათ სხვადასხვა დროს უღალატეს ქრისტეს ეკლესიის დამფუძნებელს და ცხაბარს—სამედონიუსს მებლაღარეს.



- 79 ხოლო მან მარჯვედ შეურჩია დრო და ადგილი,
და სწორედ როცა ლუსციფერმა გაშალა ფრთენი,
ბუნტყლიან ფერდებს ძირს ჩამოჰყვია ცალკერძად.
- 82 ხოლო ცალკერძად ხელს ავლებდა გაყინულ ქერქსა,
ერთბანად როცა მიუაღწიეთ თეძოს თავამდის
შემოტრიალდა და კვლავ იწყო ზეაცოცება.
- 85 ასე შეგონა კვლავ ჯოჯობეთს ვუბრუნდებოდი.
„მარჯვეთ იყავი“ მითხრა მაშინ ვირგილიუსმა
თანაც ქმინავედა როგორც კაცი ქანკშილეული
- 88 „დროა ამ ტანჯვას დავაღწიოთ როგორმე თავი“,
ეს მითხრა, მუისვე კლდის ნაპრალში გამოძერა მარჯვედ
ჩამომსვია იქვე, განაპირას და გვერდს მომიდგა.
- 91 ზე ავიხედე ლუსციფერი მსურდა მენახა.
სწორედ ისეთი, როგორც ვნახე წელან მე თავად
და თვალი კვიდე ვით აბლავა ფეხები მაღლა
- 94 რამდენად დიდი მღელვარება მე განვიცადე,
განსაჯოს თვით ბრბომ, ვიცი იგი ვერც კი გაიგებს:
როგორ ადგილას გავიარე, როგორ ვეწამე.
- 97 „აღსდევინ“, მითხრა მე მეგზურმა წინ გვიდევს გრძელი
„ჩვენ გზა და შირა დია ძნელად გადასაუღელი
შესაყ თვით ეტლის შესამედი გადაუვლია“.
- 100 ადგილი იგი სადაც მაშინ ვიდექით ჩვენა
კომკის დარბაზი როდი იყო არამედ მრუმე
და ოღროჩოლო, ბუნებრივი ტაფობი რამე
- 103 „ჰოა ოსტატო, ვიდრე უფესკრულს გავეყრებოდე
ვარქვი ჩემს მეგზურს, რა ავდექი და ვაფიშართე,
„მიამბე რამე, განმიფანტე გაუგებრობა:
- 106 „სად გაჰქრა ყინვა, ან სატანა როგორ წაიქცა,
„ან მზემ ვით განვლო ეს მანძილი ესდენ სისწრაფით,
„სალამოსა და დილას შორის დაწესებული“?
- 109 მან მიპასუხა: „თუ გგონია ცენტროს გადმოვლა
„იმყოფებოდე იქ, სადაც მე სატანის ბეწვებს
„ვეჭიდებოდი; იგი მიწის მთელს სიმაღლეზე
- 112 „გახიდულია როგორც ღერძი, უშველებელი.
„შენ ვალმა იყავ ვიდრე ქვევით ჩამოვედილოდი,
„როს გამოებრუნდი, შენც გამოსცდი სწორედ იმ მიჯნას,
- 115 „რომელსაც ელტვის მიწიერი სიმძიმე სრული.
„და იმყოფები ახლა ისეთ ჰემისფეროს ქვეშ,
„რომლისა გასწვრივ სხვა მეორე აბურავს მიწას,



- 118 „სად ძე კაცისა უცოდველად იშვა, სცხოვრობდა;
 „აწ ფერხნი შენნი ზედ დაგიდგამს მცირე რამ გვერსმეწეული
 „რომელიც არის იუდეას გარისისა გასწვრივ- გიგზაიწმისა
- 121 „აქ დილა არის, ხოლო ვალმა საღამოვდება,
 „ხოლო არის, რომლის ბეწვიც კიბედ ვიხმარეთ
 „ვაჩიბრულია ყინულეთში კვლავინდებურად.
- 124 „სწორედამ მხარეს ჩამოვარდა ზეციდან ეშმა
 „და ხმელი იგი ამ ადგილას ამობორციელი,
 „ზღვის საბურველით შეიმოსა მისგან შემკრთალი
- 127 „და შეუერთდა მეყვსეულად ჩვენს ჰემისფეროს;
 „ხოლო ნაწილი, შენც ხომ ზედავ აწ დაკლილია,
 „შეკრთა, შეინძრა, ატივტივდა, იქცა მწვერვალად.
- 130 არის ადგილი იქ ჰემითყენ ეშმაკეულის
 და მის საფლავის მოშორებით, თვალშეუფლები,
 მხოლოდ თუ სმენით მიუხვდები სადაურობას,
- 133 კლდის ნაპრალიდან გამოვინავს რუ მოჩხრიალე.
 იღუმალ ბილიც ავედვენეთ შე და მეგზური
 ნათელ სამყაროს სახილველად უაუტკეულნი.
- 136 ვიარეთ აღმა, მიუყვებოდი უკან ჩემს ოსტატს,
 ვიდრე სივრცეში გამოჭრილი არკის გადაღმა
 არ ვნახეთ ცისა მშვენებანი ნაირნაირი,
- 139 და გამოვედით რომ გვეხილა კვლავ ვარსკვლავები.

აღიგვიმრი დანბა

იტალიის უდიდესი პოეტა ა. დანტე დაიბ. 1265 წ. გარდაიცვალა 1332 წ. დანტეს ცხოვრების უმთავრესი თარიღები დღემდის დიდ კამათს იწვევს. ზოგიერთი ბიოგრაფის აზრით აგი უძრავლო მოქალაქეთა წრიდან უნდა იყოს გამოსული, ზოგიც ფრანჯაპანის აზნატრთა მოდგმას მიაკუთვნებს ნას. დაბადებულა დანტე ფლორენციაში. მცირეოდენი ცნობები მოგვეპოვება მისი ოჯახური მდგომარეობის, მისი დედ-მამის და კოლმეილის შესახებაც. გადმოცემის მიხედვით დანტეს მასწავლებელი უნდა ყოფილიყო იტალიელი მეცნიერი და მწერალი

121. დანტეს კოსმოგონიის მახვევით მიწის ორივე ჰემისფერო ამგვარადაა წარმოსთბოლი: ლევიფერი (ეშმა) ციდან ჩამოვარდა და იერუსალიმის გასწვრივ მდებარე ჰემისფეროს დავვა, შემდეგ კი მიწაში გაეხირა ღერასისა დარად. მიწა, რომელსაც გასწვრივ მდებარე ჰემისფერო ზედ ვწუთა, წყრთა, მან ზღვის ტალღების საბურველი წამოსიბა და ჩვენი მშველთისაკენ გამოჭანდა. ხოლო ის ნაწილი ხმელისა, რომელიც სატანის ზედდაცემამ მიწა შეარბია და ჯოჯობეთი გააჩინა: შეტოვებულნი მიწა აბორცვდა და მთა განსაწმენდელი გაკეთდა.

ბრუნეტო ლატინი. საკამათოა: თითქოს დანტეს ბოლონიისა და პადუის უნივერსიტეტში (უნივერსიტეტში). ლეთაებრივი კომედიაც აღასტურებს, რომ დანტე დიდი ერუდიტი ყოფილა. იგი ჩინებულად განსწავლული იყო ბუნებისმეტყველურ, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. პაპების არქივებიდან ამოკრეფილი მასალები ამჟღავნებენ, რომ იგი შავ მაგიას იცნობდა და ალქიმიას. მე XIII საუკ. მიწურულში ფლორენციაში სამოქალაქო ომები ატყდა. დანტე ამ დროს პრიორების საბჭოს წევრი ყოფილა. მას ხმა მიუცია შარლ დე ვალუას (საფრანგეთის პრინცის) და რომის პაპის წინააღმდეგ. ამიტომაც მას სახელმწიფო ქონების გაფლანგვა დააბრალეს და სამუდამოდ გააძევეს ფლორენციიდან. მე XIV საუკ. პირველ მეოთხედში იგი ემიგრანტის მძიმე ცხოვრებას ეწევა. დასასრულ რავენაში გარდაიცვალა. ბნელით მოცულია ამ წლების ცხოვრებაც. მისი ბიოგრაფიის უმთავრესი მასალებია დანტეს ფლორენციიდან გაძევების დოკუმენტები და ბოლოს მისი „ვიტა ნუოვა“ (ახალი ცხოვრება) და „დივინა კომედია“-ს სამივე წიგნი: „ჯოჯობეთი“, „სალხინებელი“ და „სამოთხე“. გარდა ამისა მის კლამს ეკუთვნის პოლიტიკური ტრაქტატი: „დე მონარქია“, „კონვივიო“, „ეკლოგები“, „დე ვოლგარე ელოქენცია“ („ენათმეცნიერული, ფილოლოგიური ნარკვევები“).

„დივინა კომედია“ — „ლეთაებრივი კომედია“ სამი ნაწილისაგან შედგება: „იფერნო“ (ჯოჯობეთი), „პურგატორიო“ (სალხინებელი), „პარადიზო“ (სამოთხე). ყოველ მათგანს თავად დატე კანტიკეს ან კანცონეს უწოდებს. ჯოჯობეთი 34 ქებას შეიცავს, ხოლო ორი დანარჩენი 33-ს, ჯოჯობეთშია 33 ქება ითვლება, ხოლო პირველი შესავალად. სამი და ოცდაცამეტი პოეტის მიერ საკრალურ რიცხვებადაა მიჩნეული. ჯოჯობეთში 4.720 ლექსია; სალხინებელში 4.755, ხოლო სამოთხეში 4.758.

ჯ ო ჯ ო ხ მ თ ი

ჯოჯობეთის შინაარსი დაახლოებით ასეთია: ადამიანის ცხოვრების ნახევარ გზაზე (იგულისხმება ავტორის 35 წ.) პოეტი გამოფხიზლდება უსიერ ტევრში. მან არ უწყის თუ როგორ დაჰკარგა გზა შართალი, ან როგორ მოხვდა აქ. პოეტი სცდილობს ამ ბნელ ტევრს თავი დააღწიოს და ამა მიადგება გორმახს. ჰხდავს ამ გორაკის ზეთაფი მზის სხივებს მოუსვენადებია. უეცრად პოეტს გზას გადაუჭრის სამი მხეცი: ჭრელბუნჯიანი ბაბრი, ანუ ჯიქი (Lonza di pel maculato), შემდეგ პირდაღრენილა ლომი, დასასრულ ძე მგელი (lupa) პოეტს ძრწოლა შეიპყრობს და უკუიქცევა, მაგრამ იჩქითად იგი თვალს შეასწრებს ადამიანის მღვდარე ლანდს. იგი შეეცდებოდა ამ ლანდს და ეს უკანასკნელი აღმოჩნდება ვირგილიუსის — მისი მასწავლებლისა და ოსტატის სული.

დანტე სთხოვს ვირგილიუსს მწედ ექნეს ამ უებრო გასაქირში. ვირგილიუსი ანუგეშებს მას და არწმუნებს, რომ ამ მხეცებს იგი სულ სხვა გზით უნდა გადაურჩეს. მისი სიტყვით ქვეყანას მოველინება მხსნელი მწვეარი, (Veltro). რომელიც ამ ძე მგელს მოერევა და ჯოჯობეთში ჩააგდებს. სამაგიეროდ დანტემ

უნდა გაიაროს ვირგილიუსის თანხლებით სამი ნაწილი ჯოჯოხეთისა, შემდეგ სალხინებელი, ხოლო გზაში მასზე, (ე. ი. ვირგილიუსზე) უფრო ღირსეული სული შეეცებება დანტეს და მიიყვანს მას მიწიერ სამოთხეში (საქართველოსმება ბეატრიჩე, დანტეს პირველი სატრფო და მუზა). დანტე მადლობას უძღვნის ვირგილიუსს, ხოლო რომელი პოეტი ახსენებს ბეატრიჩეს, რომელმაც დაავალა პოეტს უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ დანტესთვის მეგზურობა გაეწია. პოეტები განაგრძობენ გზას და მიაღწევენ სულების საუფლოსთან. აქ ჯოჯოხეთის ბჭეებს მიადგებიან, რომლის გადაღმაც იმყოფება ქალაქი ვარაძისა და უცვლელი ტანჯვისა. ჯოჯოხეთის ტალანში პოეტები გაიგონებენ საშინელ ღრიანცელსა და ურვას. ხედავენ თუ როგორ ჰქმნიენ შიშველ ადამიანებს ბუზები და კრაზანები. აქ არიან ისეთნი, რომელთაც ქვეყნად უსირცხვილოდ დაუსახელოდ უტხოვრნიათ. აქ შეიცნობს დანტე რომის პაპს ცელესტინ მე-5-ს. მოგზაურები მიადგებიან ჯოჯოხეთის მდინარის აქერონის ნაპირს; ამ მდინარეზე ნავით გადაჰყავს მიცვალებულთა სულები მენავე ქარონს, რომელიც უარს ამბობს ცოცხალი დანტეს გაღმა გადაყვანაზე, რაკი იგი ფრიად მძიმე იქნება როგორც არა მიცვალებული. ერბაშად დანტე გრძობას დაჰკარგავს და ამ იდუმალ ძილში იგი გადავა აქერონს გადაღმა და ცოდვილების საშინელი ყვირილი შეაერთებს ძილგამკრთალ პოეტს. ვირგილიუსი განუმარტავს პოეტს, რომ აქ ბინადრობენ ისინი, ვინც ქრისტემდის დაბადებულან, თუმცა მათ არაფერი შეუცოდავთ, მაგრამ მაინც ჯოჯოხეთის ჩაადგეს, რაკი საუბედუროდ ქრისტეზე აღრე დაბადებულან.

... -ეს უნებლიედ დავაშავეთ აღრე რომ ვავჩნდით, და ამიტომაც დილუბვისკენ გვიქციეს პირი“.

ჯოჯ. ქება 4, ლექსი 30—40

ამ სტრიქონებში მელანდება დანტეს ირონიული დამოკიდებულება ქრისტიანული მსოფლიო გაგებისადმი.

თავდაპირველად პოეტებს შეეყრება ოთხი მაღალი ლანდი ჰომერისა, ოვიდისა, ჰორაციუსისა და ლუკანისა. ასე რომ ექვსი გენიოსი შეხვდებიან აქ ურთიერთს, რაკი დანტეს თანატოლად აღიარებენ. შემდეგ პოეტები შეიდბქვს გაიგლიან და მათ შეხვდებიან ისტორიული ვმირები: ელექტრა, ჰექტორი, ენეას, ცეზარი, კამილა, პენტესილეა, ლატინუს, ლავინი, ბრუტუს, ლუკრეცია, შარცია, კორნელია და სხ. ხოლო შემდეგ ფილოსოფოსები და მეცნიერები, რომელთაც აქ ჯოჯოხეთშიაც პატივისცემით ექცევიან, რადგან მათი სახელი აქაც შეუწყნარებიათ.

ესენი არიან: პლატონი, სოკრატეს, ანაქსაგორეს, არისტოტელეს, დიოგენეს, დემოკრიტ, ზენონ, პერაკლიტ, ემპედოკლეს, დიოსკორიდეს, ორფეუს, სენეკა, ლივიუს, ციცერონი, ეუკლიდი, პტოლომოს, პიპოკრატეს, გალენი, არაბნი: ავიცენე და ავეროვას

მეორე გარსში (cerchio) იწყება ნამდვილი წამება. აქ უკვე ტახტზე ზის ქვეყნელის მსაჯული მინოსი, რომელიც განრისხებული უთვალთვალებს ახლად მოსულ სულებს და მისი კუდი იმდენჯერვე დაიკლავება, მერამდენე გარსშიაც უნდა ჩაადგონ ესა თუ ის სული.

ამ მეორე გარსში იტანჯებიან ავზორცი (Lussoriosi), სემბროსი, დიდო, კლეოპატრა, პელენე, პარის, ტრისტანი. დანტე აქვე ჰხედავს რომ ქარს მოაქვს ორი სული: ფრანჩესკა და რიმინი და გვიღო პოლენტას ^{ქარსმზღო} და მისი ჰაზლი პაოლო და რიმინი.

მესამე გარსში პოეტებს დაუხვდებათ ლოთები და მოქეიფები. ამ ადამიანების მსგავს არაერთა შორის დანტე შეიცნობს თავის თანამემამულეს — ფლორენტიველ ჩიაკოს (იტალ. ლორს ჰქვია).

მეოთხე გარსში მოაღწევენ პოეტები და ნახვენ ძუნწებს (Avari) და ჰფლანგველებს. აქვეა სიმდიდრის ღმერთი პლუტუს. ძლიერ დამახასიჭებელია დანტეს დამოკიდებულება საერთოდ მდიდრებისა და სიმდიდრის კერპის მიმართ, მან აქვე მოათავსა მაღალი თანამდებობის სასულიერო პირები: პაპები და კარდინალები. უკვე მეორე დღეა რაც პოეტები გზაში არიან; ისინი მიაღვებიან სტიქსს, რომლის გადაღმა მათ გადაიყვანს ნავით ფლევიას.

ამა ჯოჯოხეთის ქალაქი დის ანუ დიტე, ¹⁾ რომლის შესავალი დაუგმანავთ ვშმაქეულებს, ღემონებს. ციდან შიკრიკს გამოგზავნიან და იგი გაულებს მათ დიტეს დავმანულ კარებს. მათ თვალწინ გადაიწლება ურიცხვი საფლავეებით დასერილი ველი. აქ არიან აწვალეზლები და მათნი მიმდევარნი. ამგვარად პოეტები შეიცნობენ კვედა ჯოჯოხეთს, სადაც გულღვარძლიანები ისჯებიან, ხოლო ზედა გარსებში იწყობებიან თავაშვებულნი. აქვე შეეყრებიან დანტეს ეპიკური და მისი მოწაფეები, გარდა ამისა მისი თანამემამულენი, დანტე გამოიცნობს ვიბელინების ბელადს — ფარინატა დეგლი უბერტის და თავისი მეგობრის გვიდოს მამას გველეს კავალკანტეს. აქვეა თავის დროში თავისუფლად მოაზროვნედ ცნობილი იმპერატორი ფრიდრიხ მე-2 და კარდინალი ოტავიანო უბალდინი. ეიდრე მეშვიდე გარსამდის მიღწევენ, პოეტები პედავენ „ქრისტეს სიკვდილის ჟამს“ მომხდარ მიწისძვრისაგან განადგურებულ დაღწილ მთებს. პოეტებს შეეხებებათ კენტაურები, რომელთა წინააღმდეგობა ხირონი ისრით განგშირვას დაუპირებს მათ, მაგრამ როცა დარწმუნდება, რომ დანტე ცოცხალია, გაატანს მათ ზეგზურად კენტაურს ნესუსს; ნესუსი მიიყვანს მათ იმ ადგილამდის, სადაც სასჯელს იხდიან ტირანები და დესპოტები: ალექსანდრო და ფეა, გელაინო, ობიცო და ფერარა, გვიდო და მინფორტე, ფირიუს, სექსტუს, პომპეუს და სხვ. მეორე წრეში იხილავენ ისინი ქაობიან გარემოს, სადაც ტყვეს შავი ფოთლები ასხია და ჰარპები ჰკორტნიან ამ ფოთლებს. ირკვევა, რომ აქ ზირგვებად და ხეებად ქცეულა თვითმკვლელების სულები. მეშვიდე გარსის მესამე წრეში დანტე გვიბატავს ლიბიის უდაბნოს მაგვარ გარემოს. აქ არიან ღვთის მგმობნი, მაგალ, კაპანეუს. აქვე არიან არა ბუნებრივ ტკობისათვის დასჯილნი. დანტე შეიცნობს თავის მასწავლებელს მწიგნობარს ბრუნეტო ლატინის, ფრანჩესკო დაკორზოს, ეპისკოპოსს და ვიჩენცას, ანდრეა და მოციის და სხვ. მეშვიდედან ზერვე გარსში გადასვლისას პოეტები მიაღვებიან ფლეგეტონს, ჰეესკნელის მდინარეს, რომლის გადაღმა გადაიყვანს მათ გერიონ უშველებელი ჭრჩხული.

1) დიტე — ლესიფერის მეორე სახელიც არის.

მერვე გარსის პირველ ჯურღმულში მოთავსებული არიან მსხვერპლები და შემცდენელი: ვენედიკო კანიამინიკო, რომელმაც თავისი ფეხებით დაეხმარა ერთ იტალიელ აზნაურს, იაზონი არგინაუტების ბელადი, მეორე კი — მსხვერპელი — ალექსანდრე. ალექსანდრე იტალიელი იყო: ალესიო ინტერმინეა, თაის და სხვ. მესამე ჯურღმულში იმყოფებიან: სიმინისტები, ე. ი. სამღვდლო პირები, რომელნიც ფულზე პყიდიდენ თანამდებობას. ესენი ხვრელებში პირქვე გაიხიზრულნი ჰყვენსიან. აქ არის პაპი ნიკოლაუს მე-III, აქვე მოსვლას უწინასწარმეტყველებს პოეტური ჯგრაფ ცოცხალ პაპს ბინიფაციუს მე-VIII-ს. მეოთხე ჯურღმულში არიან მარნიელნი და ჯადოსანნი: ტირეზიას, იმფიარეოს, მიხაელ სკოტუს და სხვ. მეხუთე ჯურღმულში საზოგ. სამსახურის გამყიდველნი იტანჯებიან. მათ საოცარი აღნაგობის ეშმაკები იცავენ. მეექვსე ჯურღმულში მოთავსებული არიან პირმოთენნი. მეშვიდე ჯურღმულში: ჭურდები; მერვეში — მრუდედ მოთამბირენი; მეთხრე ჯურღმულში — მწვანელებლნი, გამთიშველნი და სხ. აქ არიან შაჰმადი, ალი, ფრა დოლინო, პიერ და მედიჩინა, კუროპოსკა და სხვ. მეათე გარსში ყალბის მქნელებს სტანჯავენ. ნახსენები არიან: გრიფოლინო და არეკო, ალქიმიისტი კაპოჩიო, აქვე არიან ყალბი ფულის მჭრელნი: ადამ და ბრესკია და რატომღაც სიმონ ტროაელი, რომელმაც ტროაში ხის ცხენი შეაპარა. მეცხრე ჯურღმულს იცავენ „კოშკით ცად ალანძული გიგანტები: ნიმროდი, გაუგებარ ენაზე მტყველი, პელიონ და ანთიუს, რომელიც მათ მეცხრე ჯურღმულში ჩაიყვანს. ამ ძაბრისმაგვარი ჯურღმულის უღრმესი ადგილი წარმოადგენს დედა-მიწის შუაგულს, რომელიც პტოლომეუსის აზრით მსოფლიოს ცენტრი უნდა ყოფილიყო.

კოციტუსის ყინვა სუფევს ამ მარადიული სიცივის გარემოს. აქ ისჯებიან მოღალატენი. მისი მოღალატე კაენი, სამშობლოს მოღალატე — ანტენირა, აქვე იტანჯებიან როგორც გიბელინები, ისე ვეელფებიც. მაგალ. გრაფ. დელლა გერარდესკა, ქორეპისკოპოსი უბალდინი და სხ.

ჯურღმულის უკიდურეს სიღრმეში ტახტზე ზის 1500 ფუტის სიმაღლე ლუციფერი, რომელსაც სამი უდიდესი მოღალატე გახიზრებია ხახაში: იუდა, ბრუტუსი და კასიუსი.

იწყება ღამე, მგზავრები ზევით აყვებიან ლუციფერის უზარმაზარ ფეხებს და ორ საათში ზედასამყაროში ამოცოცდებიან და თვალს მოჰყარვენ ზეცის ვარსკვლავებს.

სამივე ნაწილი კომედიისა თავდება სიტყვით ვარსკვლავები.

ჯოჯოხეთი დაწერილია ტერცინებით.

(ამოღებულია კონსტანტინე გამახატრდიას მონოგრაფიიდან: „ალიგვიერი დანტი“).

რედ.

დანტეს „ჯოჯონების“ ქართულ თარგმანს და ნაწილობრივ კომენტარს იხილეთ საფურცელად დაედო შემდეგი გამოცემანი:

ა) იტალიური: Dante Alighieri, La Divina Commedia introduit par Raffaele Fornaciari. Utrico Hoepli. Editore della Real Casa. Milano

ბ) აგრეთვე იტალიური: Dante Alighieri. La Divina Commedia commentata da G.A. Scarfazzini. Milano. 1914.

გ) ფრანგული პირბაული სიტყვა-სიტყვითი თარგმანი: La Divine Comédie. De Dante Alighieri, traduction nouvelle, accompagnée de notes par Pier-Angelo Fiorentino. Paris 1874.

დ) გერმანული: Dantes Goetliche Comödie. Hoele. Von Philaethes. Dresden, 1833.

ე) გერმანულივე თარგმანი: Dantes Göttliche Komödie in deutschen Stanzen frei bearbeitet von Paul Poehhammer. Leipzig u. Berlin 1913.

34 ჰეზიკათეს დართული შენიშვნები და დანტეს ბიოგრაფია ეკუთვნის კონსტანტინე გამსახურდიას.

კონსტანტინე გამსახურდიას სთარგმნა ჰეზიკა: 1, 4, 5, 8, 9, 12, 13, 16, 17, 20, 21, 24, 25, 28, 29, 32, 33, 34.

კონსტანტინე ჰიკინაძემ: 2, 3, 6, 7, 10, 11, 14, 15, 18, 19, 22, 23, 26, 27 და 30.



ქართული პოეზია თორმეტი წლის თავზე

ოქტომბრის რევოლუციამ რადიკალური გარდატეხა მოახდინა მწერლობაში. უკიდურესად გამწვავებულმა კლასობრივმა წინააღმდეგობებმა, რომელმაც გამოსავალი პროლეტარულ რევოლუციაში ჰპოვა, ძალთა მკვეთრი გადაჯგუფება გამოიწვია მხატვრულ ლიტერატურაშიც. პროლეტარულმა რევოლუციამ დაარღვრა მხატვრული ლიტერატურის ძველი გზით განვითარების შესაძლებლობანი: ლიტერატურაში მოვიდნენ ახალი კადრები პროლეტარიატის რევოლუციონური მსოფლმხედველობით შეიარაღებულნი, რევოლუციამდე სამწერლო ასპარეზზე გამოსულ მწერალთა კადრების საუკეთესო, მომქმედი და პროგრესიული ნაწილი პროლეტარიატის მხარეზე დადგა, თუმცა ზოგიერთი მათგანი ზშირად სერიოზულ რყევასაც ამტკიცებდა. დამარცხებული კლასების მწერლები თავის კლასთან ერთად იბრძოდნენ პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ. ამნაირად, როგორც ვხედავთ ამ თორმეტი წლის მანძილზე ჩვენი ლიტერატურის განვითარება გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლების გზით მიმდინარეობდა.

როგორც ცნობილია, ოქტომბერმა საქართველოში სამი წლით დაიგვიანა. მაგრამ ეს გარემოება სრულიად არ უშლიდა ხელს სხვადასხვა სოციალ-კლასური იდეების მატარებელ მწერლებს და პოეტებს გამოემჟღავნებიათ თავიანთი დამოკიდებულება რუსეთში მომხდარ პროლეტარულ რევოლუციისადმი. წერილებურყუაზიული, ე. წ. „დემოკრატიული“ პოეტები პროლეტარიატის დიქტატურას სხვა სახით დაბრუნებულ თვითმპყრობელობას უწოდებდნენ, ხოლო ბოლშევიკებს „სისხლის მსმელ გმირებად“ ნათლავდნენ.

ასეთივე მტრულ გამოცდილებას აძლავნებდა პროლეტარულ რევოლუციის მიმართ ბურჟუაზიულ და თვავადაზნაურულ პოეზიის წარმომადგენლებიც.

ამ უკანასკნელთა რეაქციონერ შეხედულებებს რადიკალურად უპირისპირდებოდა, მაშინ ორგანიზაციის პროცესში მყოფი პროლეტარული მწერლობა, რომლის წარმომადგენლებიც გაბედული რევოლუციონური შემოქმედებით გამოვიდნენ.

რეაქციონერ მწერლების ბრძოლის ხერხები პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ საქართველოში მრავალგვარი იყო. ერთი ნაწილი აქტიურად იბრძოდა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. მეორე ნაწილი — პასიურ ლიტერატურულ შეგნებლობის გზას დაადგა, ხოლო მესამე ნაწილმა კი სრულიად აიღობელი სალიტერატურო მუშაობაზე.

როდესაც შესწავლილი იქნება პროლეტარული რევოლუციის წლების მხატვრული პრესის ისტორია, მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიტყვიოთ უფრო მთლიანი წარმოდგენა იმ დამოკიდებულების შესახებ, რომლის მიხედვითაც ოქტომბერის ჩვენში ბურჟუაზიული და თავად აზნაურული ლევიტანების წარმომადგენლები მხატვრულ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს, მოხსენებებს და სხვ. ყველაფერს გაუყეთდა მოპილიზაცია რევოლუციის საწინააღმდეგოთ ბრძოლისათვის. თვით ისეთი პოეტებიც კი, რომლებიც წინათ ფიქრობდნენ, რომ დაბადებული იყვნენ მხოლოდ „ტკბილ ხმათათვის“, გადაიქცნენ პოლიტიკოსებად, პუბლიცისტებად.

პროლეტარული რევოლუციის მოწინააღმდეგე კლასების განწყობილება ყველაზე უფრო რელიეფურად თავის პოეზიაში ასახა პოეტმა კოტე მაცაშვილმა. მთელი წყება მისი ლექსებისა გამოხატავდა პროლეტარიატის დიქტატურისადმი მტრობის გამოხატულებას, დაცემულ განწყობილებებს და გამოუსჯეელ უიმედობას:

გაქრა კვალი ბნელა, ცივა... მოკვდა მზე;
 გულში გაწვიდა რაღაც... მტკიავა... მოკვდა მზე!
 შავი ნისლი ბურავს არსს, მიწის მკერდს
 სვედის ფიფქი გულზე მცვივა... მოკვდა მზე
 ვინ ბარ? რა ბარ? გახსნე კრიჭა, სოქვი
 ბნელში ჩემი ხმა ვერ მოვა, მოკვდა მზე!
 მოდი ჩემთან, ერთად მოკვდეთ... არსით ხმა!
 ისევ მარტო... მცოვა... მტკიავა! მოკვდა მზე!

მეორე ლექსში („ჩემ მაროს“), რომელიც მოთავსებული იყო გაზ. „პოეზიის დღეში“ 1922 წ. კ. მაცაშვილი პირდაპირ აცხადებდა იმას, რომ „თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოთ მისი“.

თავის რეაქციონურ შეხედულებებს პოეზიაში კ. მაცაშვილი ერთგვარ „თეორეტიულ“ გამართლებას აძლევდა იმ წერილებში, რომელსაც იგი პროლეტარული რევოლუციის პირველ წლებში ათავსებდა სხვადასხვა სალიტერატურო გამოცემებში (იხ. წერ. „პოეზიის დღე“, გაზ. „პოეზიის დღეში“ 1923 წ. და სხვ.).

იმავე ბანაკთან იყო დაკავშირებული ი. გრიშაშვილი. თავიდანვე იგი პოეზიაში გამოვიდა, როგორც წვრილბურჟუაზიულ მეჩანობის გულის მესაიდუმლე. გრიშაშვილმა სრულიად განდევნა პოეზიიდან სამოქალაქო მოტივები. ხელოვნება გრიშაშვილმა თვითიმიზნად გახადა. ხელოვნების ეს თვითიმიზანი მან გამოხატა ეროტიზმში, ფუქსიატურ სიყვარულში. მთელი მისი პოეზია—ეს იყო „ოქროს ფეხა“ და „კოცნა“. ოქტომბრის შემდეგ გრიშაშვილის პოეზიის ძირითად მოტივს—ეროტიკას—შიემატა ახალი მოტივი, რომელიც გარკვეულად ნაციონალისტურ ხასიათს ატარებდა.

უკანასკნელ წლებში გრიშაშვილი დასტირის ტფილისის ძველ ქუჩებს, სიჩაჩანას, რუმბებს, კრივს, დუდუკს, კიანურზე დაკრულ ჩარჯს და საერთოდ სი ძველს, არქეოლოგიის ყოველ მოვლენას („დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს და სხვ.).

ე. წ. „დემოკრატიული“ პოეტები ანტი-საბჭოთა მწერლობის დღევანდელი ხელმძღვანელები გახდენ გასაბჭოების პირველ წლებში. როგორც ვხედავთ, ამ ჯგუფის პოეტები აღზრდილი იყვნენ ძველ, უკვე გაკრთებულ საბჭოთაობაში ტრადიციებზე. ამ გარემოებამ კი ისინი პროლეტარულ რევოლუციის მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოიქცია.

1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შეხლოებულ ხანებში ალ. აბაშელი, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პოეტი „დემოკრატიული“ მწერლებადან, სწერს ლექსს — „შორეული ნაიბი“, რომელშიაც იგი დაუფარავად ამტკიცებს თავის ანტი-რევოლუციონურ განწყობილებებს. აბაშელისათვის კრწანისის ველი და თებერვალი ერთნაირი მწუხარების მომგვრელი იყო. როგორც ვიცით კრწანისის ველზე ალა-შამად-ხანმა დაამარცხა საქართველოს მეფე და დაიპყრო ტფილისი, ხოლო 1921 წლის თებერვალში ჩვენში დაამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა.

ამ ლექსს აბაშელმა მოაყოლა ამავე იდიაზე აგებული ლექსები: „წერილი ნოე ჩხიკვაძეს“, „თეთრი გვირგვინი“, „თეთრი კოშკი“ და სხვ.

აბაშელს მხარს „უმშვენებდა“ თავის ანტი-რევოლუციონურ დაცემულობის შეხედულებების გამოხედავებაში ს. თავაძე, ხ. ვადროშვილი და სხვ. პოეტები.

სოციალისტური მშენებლების გაშლილ პერიოდს ყველა ეს პოეტები „დუმილით“ შეხედენ. მათი აქტიური შემოქმედებითი ხმა დღეს უკვე აღარ ისმის.

ამ ანტი-რევოლუციონურ, ანტი-საბჭოთა მიმართულებას არსებითად უპირისპირდებოდენ ის პოეტები, რომლებიც თუმცა ჯერ კიდევ პროლეტარულ რევოლუციამდე იყვნენ სალიტერატურო ასპარეზზე გამოსულნი, მაგრამ რომლებმაც გულწრფელად, პირდაპირ მიიღეს ოქტომბერი.

გ. ტაბიძე თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. რევოლუციამდე სამწერლო ასპარეზზე გამოსულ პოეტებიდან ყველაზე უფრო ღრმა გარდატეხა რევოლუციონური იდეების მიმართულებით მოხდა სწორედ გ. ტაბიძის პოეზიაში.

როგორც ცნობილია, გ. ტაბიძის პოეზია გასაბჭოებამდე უკიდურესი პესიმისტური და დაცემული განწყობილებებით იყო გამსჭვალული; გ. ტაბიძის პოეზიისათვის დამახასიათებელი იყო რომანტიული მწუხარება. მის პოეზიაში მოისმოდა დეკადენტური ლიტერატურის დამახასიათებელი მოტივები: სევდა, დაღლილობა და მისწრაფება ამ ქვეყნიერებისაგან გაქცევის. ოქტომბერმა ძირეული გარდატეხა გამოიწვია გ. ტაბიძის პოეზიაში. დღეს გ. ტაბიძე საბჭოთა პოეზიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია.

გ. ტაბიძემ პირველ ხანებში პროლეტარიატის დიქტატურა მიიღო როგორც რევოლუციონური რომანტიზმის გამოხატულება. რევოლუცია მისთვის გახდა დისაწყისი რალაც არაჩვეულებრივი „მსოფლიო ორკესტრის“, „მსოფლიო ნგრევის“, „მეცხრე ზეირთის“. უკანასკნელ ხანებში გ. ტაბიძე ზოგად რევოლუციონურ მოტივებიდან თანდათან გადადის პროლეტარული რევოლუციის კონკრეტულ დამახასიათებელ მომენტების პოეტურ ასახვაზე.

საქართველოს ოქტომბრის შემდეგ შექმნა გ. ტაბიძემ „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, „აღმოსავლეთი“, „პაკიფიზმი“, „ემოქა“, „რევოლუციონური საქართველო“, „პრესა“ და სხვ. ეს ნაწარმოებები გამოხატავს ქონოლოგიურად გ. ტაბიძის შემოქმედებითი განვითარებას ჩვენს პერიოდში. ეს ნაწარმოებები, რასაკვირველია, ერთგვარი მხატვრული ღირებულების არ არის.

დღეს გ. ტაბიძის პოეზიის ძირითადი ლოზუნგია:

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი სდვას ანგელოსი.

ახალ გრივალფს ვაწირავთ სიციცხლს ჩვენ პოეტები საქართველოსი.

(„ჩვენ, პოეტები საქართველოსი“).

ამ ლოზუნგის საფუძველზე შეწაობს გ. ტაბიძე უკვე მრავალი წელია. ამ ხნის განმავლობაში თუშცა გ. ტაბიძეს ჰქონდა თავის პოეზიაში რყევანი, ზიგ-ზაგები, ჩავარდნები, მაგრამ მისი შემოქმედების ძირითადი ხაზი მაინც სწორი და გამართული იყო.

„ემოქა“ გ. ტაბიძის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. მასში პოეტი ცდილობს გადმოგვცეს პროლეტარული რევოლუციის ეპოქის დამახასიათებელი მოვლენები, ძირითადი განწყობილებანი. მაგრამ საერთო იდეური მიმართულება ნაწარმოებში ვერ არის დამაგრებული კონკრეტული სახეებითა, კონკრეტული სურათებით. მასში ჯერ კიდევ ძლიერია აბსტრაქტული რომანტიკა.

„რევოლუციონური საქართველო“ მზგავსად „ემოქისა“, წარმოადგენს ცალკეული ლექსების მონტაჟს. თვითვე ამ ლექსში პოეტი გვიხატავს ჩვენი ცხოვრების რომელიმე მომენტს და გადმოგვცემს მის საფუძველზე შექმნილ განწყობილებებს. რომანტიკა, ახალი ქარხანა, კოლმეურნეობა, ტრანსპორტი, წითელი არმია, საწარმოთ-საფინანსო გეგმა, ხუთწლედო და სხვ.—აი, ის თემატურის მასალა, რომელსაც ეხება გ. ტაბიძე „რევოლუციონურ საქართველო“-ში. აღნიშნულ ნაწარმოებში კინო-სურათივით იცვლება მოვლენები, ერთ ეპიზოდს სცკლის მეორე ეპიზოდი და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ გ. ტაბიძე საბჭოთა პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელია, მის შემოქმედებას მაინც საგრძნობი სუსტი მხარეები ახასიათებს. გ. ტაბიძის პოეტურ კოხცეპციაში ჯერ კიდევ ძლიერად მოიხმის ძველი ნოტები, ჯერ კიდევ ღრმად ვერ გარდატეხნია თავისი შემოქმედებითი შეთოდი ახალი მასალის შესატყვისად. გ. ტაბიძე ხშირად ვერ ნახულობს სათანადო სიტყვიერ საშუალებებს, რათა მხატვრულად გააფორმოს მოცემული მასალა.

გ. ტაბიძის მიერ პროლეტარული რევოლუციის პირობებში შექმნილ პოეზიაში უსათუოდ არის საგრძნობი ნაწილი მალალი მხატვრული ღირსების, ხარისხობრივად გამართული ნაწარმოებები, რაც მთლიანად შეეა საბჭოთა პოეზიის აქტ-ში, მაგრამ ეს არ შეაძლება ითქვას მთლიანად მთელ მის უკანასკნელი წლები ნაწარმოებებზე. ამ ნაწარმოებთა მხატვრული დონე და ხარისხი სხვადასხვა ნაირია. ხშირად მალალ მხატვრულ ნაწარმოებების გვერდით გ. ტაბიძის პოეტურ ფაქტებში შეხვედებით ყოვლად გაუმართლებელ, ზერედე და დაბალი ხარისხის ფაქტებს. ამ უკანასკნელ მოვლენას განაკუთრებით იქ ვხვდებით, სადაც პოეტი უფრო ყოფითი—კონკრეტულ მომენტებს ეხება. გ. ტაბიძე უფრო იზორჩილებს პროლეტარული რევოლუციის საერთო პათოსს, მის ზოვად რომანტიულ გაქანებას, ვიდრე კონკრეტულ ყოველდღიურობას.

ს. ჩიქოვანი, როგორც პოეტი, გაიზარდა საქართველოს რევოლუციის შემდეგ. მან თავისი ლიტერატურული გზა დაიწყო ფუტურისტული „სიტყვა-თქმნადობით“. შემდეგ ის შევიდა აბსტრაქტულ რევოლუციურ ხელოვნების სამყაროში და ბოლოს ის გადაქრით დაუახლოვდა კონკრეტულ პოეტურ რევოლუციას.

პირველ პერიოდში ს. ჩიქოვანი გვევლინებოდა რუსეთის ფუტურისტების (კრუჩონიხის, კამენსკის და სხვ.) დაგვიანებულ ებიგონად. ის მთელ თავის პოეტურ უნარიანობას ანდომებდა უსარგულო და უაზრო „ზაუნეიერი“ პოეზიის შექმნას. ამ ხანებში ს. ჩიქოვანი უპირისპირდებოდა წინა-ლიტერატურის კონსერვატიულ თაობას, მაგრამ ეს დაპირისპირება, ეს ბრძოლა არ მომდინარეობდა პროლეტარიატის იდეურ-კლასიურ პოზიციებიდან. იგი გარკვევით წვრილბურჟუაზიული ხასიათის იყო.

თავისი შემოქმედების მეორე პერიოდში ს. ჩიქოვანი უკვე სცდილობს თავი დააღწიოს ძველ განწყობილებებს და თვითმიზნურ ესთეტიკას. ეს ბრძოლა მეტად მძიმე ტვირლებით მიმდინარეობდა. პოეტში მოხდა გარდატეხა და მოახლოვება თანამედროვე ყოფასთან, რაც მის პოეზიაში უმთავრესად აბსტრაქტული სახით ვლინდებოდა („გაბაასება ახალ მკითხველთან“ და სხვ.). ამ პერიოდის ს. ჩიქოვანის ლექსებიდან აღსანიშნავია „კავკასიიდან ტაგანროგამდე“, რომელიც პოეტის იდიურ გარდაქმნაზე ლაპარაკობდა. ამ ლექსით ს. ჩიქოვანი გარკვევით დაუპირისპირდა ნაციონალისტურ ინტელიგენციას, რომელიც ეროვნულ კარჩაკეტილობის, სხვისადმი დაპირისპირების და მტრობის თეორიას აწვითარებდა. ამ ლექსით ს. ჩიქოვანმა გაბედული სიტყვა სთქვა თავისი პოეზიის რევოლუციონური გზით განვითარების მხრივ.

უფრო ძლიერად ძველი გზიდან ჩამოშორება ს. ჩიქოვანმა გამოხატა ლექსში „ემიგრაციის მწერლებს“.

თავისი შემოქმედების მესამე პერიოდში ს. ჩიქოვანს თავისი თავი შეგნებული აქვს როგორც დიადი ეპოქის აქტიური მონაწილე ეს სრულიად ნათელი, გარკვეული, იდეური თვალსაზრისით, რომელიც არავითარ ექვს არ იწვევს, რომელიც პოეტის წინაშე შლის უდიდეს და უნაყოფიერეს შემოქმედებითი პერსპექტივას. დღეს ს. ჩიქოვანი ძირეულად უპირისპირდება ძველს, ანტი რევოლუციონურს განწყობილებებს.

უკანასკნელი დროის ს. ჩიქოვანის ლექსებიდან აღსანიშნავია „უშგულის კომკავშირი“, „შემოღამება ხაზმატში“, „გპირი და წინ“, „ალაზნის ველი და ალაზნის ბაზა“, „ხევსურული ძროხა“, „გმირის ძიებაში“ და პოემა „ბედი — რესპუბლიკა“.

დღეს ს. ჩიქოვანი თავის ლექსებში ენერგიულად იბრძვის იმისათვის, რომ გვიწვინოს ჩვენი დროის ჯმირი. ამ გზით იგი უფრო და უფრო უახლოვდება პროლეტარიატს და მის მსოფლმხედველობას.

ამ უკანასკნელი თემის გამლა-განვითარების დროს ს. ჩიქოვანი უმთავრესად ოდურ ქარნს მიმართავს.

წინად ს. ჩიქოვანს ახასიათებდა ნივთის ფეტიშიზმი. აქედან ლოზუნგი ნივთის შენების შესახებ. მაგრამ ეს იყო არსებითად ბურჟუაზიული ტენი-

ციხის უკრიტიკოდ გამოცემა. ამ შემცდარ ლოზუნგიდან ს. ჩიქოვანი თანდათან თავისუფლდება ახალ თემბორე მისალაზე მუშაობის პრიციპში.

ლექსი „ალაზნის ველი და ალაზნის ბაშა“ ეხება სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცვლილებების ერთ-ერთ ეპიზოდს. იქ სადაც ერთ დროს შალაგვიანი მემორიალური ველს, სადაც „სიო არ არხევს დაწოლილ ბუძებებს“ და მხოლოდ მგლები დარბოდნენ და ანადგურებდნენ ჯოგს, ეხლა საბჭოთა კვების მშრომელთა ნებით დიადი საბჭოთა შეურნეობა გაშლილი:

ვეღში ძარღვებად გაშალეს არხი,
ძარღვების ნესტით ყამირი დაღბა
მოვიდა ცეცხლში გაწვრთნილი ხალხი
და მოიტანა ჩრთილა ბაშა.
მოსული ხალხი, კაცო კლასისა
ველს მოუთხოვდა საბჭოთა ამბავს.
გავიდა მასა, კოლო გასრისა
და დაიძაბა:

ბაშა,

ბაშა,

ბაშა.

ბაშავენ ველს, საიდან სად?

და ზღვს მდინარე

შეოთარე ლურჯად

ტრაქტორს ეღვიდა ოცდა ათ საათს

და წუთით ცეცხლსაც არ მოუხუტავს.

ს. ჩიქოვანის პოეზია უკანასკნელ ხანებში არა მარტო იდეურად აღის მაღალ საფეხურზე, არამედ ასევე—მხატვრულადაც. ს. ჩიქოვანი თანდათან უფრო მტკიცედ და ძლიერად იმორჩილებს მხატვრულ სიტყვას. იგი დღეს საბჭოთა პოეზიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხატვრულ ოსტატად ითვლება.

„ცისფერ ყანწების“ პოეტები გასაბჭოების პირველ წლებში მწვიდოდ განავრცობდნენ დაცემულობის პროპაგანდას, თითქოს არაფერი ცვლილებები მომხდარიყო ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც შეინახეს მათ „სიმწვიდე“ პროლეტარული რევოლუციის მიმართ.

თავის წარმოშობის და განვითარების პირობების მეოხებით „ცისფერ ყანწების“ პოეტების შემოქმედება გარდა ამისა, რომ იგი ატარებდა რეაქციონურ იდეოლოგიას, აგრეთვე უარყოფითი გავლენაც ჰქონდა ქართული ლიტერატურის მხატვრულ-ფორმალურ განვითარებაზედაც: აბსტრაქტული და ფანტასტიკური განვითარება თემის, მისწრაფება მისტიურ სახეებისადმი და განწყობილებებისადმი, გადაჭარბებული იმპრესიონისტული წარმოდგენები, რის გამოც ლექსი ბოღვის და ფანტასტიკის ხასიათს ღებულობდა და სხვ. არც ისე ადვილად დასაძლევნი შემკვირდებობა გახდა.

ოქტომბრის შემდეგ მთელი რიგი წლების განმავლობაში „ცისფერი ყანწების“ მხოლოდ დაცემულობის მოტივებზე სწერდნენ ლექსებს. მათ ხელშეუხებლად შეინახეს თავიანთი ძველი თემები: სიმახინჯის კულტი, თვითმკვლელობის და ლოთობის აპოლიგია, დაცემულობის განწყობილებები, წარსულის იდეალიზაცია და სხვ.



რამდენათ უფრო ღრმავდებოდა და მწვავედებოდა იდოლოგიურ ფრონტზე კლასთა ბრძოლა, იმდენათ უფრო ნათელი ხდებოდა დეკლარაციურ-პოეზიის შეუთავსებლობა სოციალისტური მშენებლობის რეალისტურ [[განმარტება] კეცენის კულტურასთან.

პროლეტარული რევოლუციის განმტკიცებასა და გარღმავებასთან ერთად „ცისფერ ყანწელთა“ ორდენშიაც იწყება ერთგვარი გადაჯგუფება. შეირყა „ცისფერ ყანწელთა“ პოეტების შკოლური ტრადიციები. „ცირფერ ყანწელ“ პოეტების ნაწილი იბრძვის იმისათვის, რომ თავი დააღწიოს სიმბოლიზმის ტრადიციებს და ნამდვილი საბჭოთა მწერლის სახელწოდება დაიმსახუროს თავისი შემოქმედებით, ნაწილი კი მხოლოდ დეკლარაციებით კმაყოფილდება, ხოლო ზოგიერთი კი ისევ ძველ რეაქციონურ პოზიციებზე განავრძობს დგომას.

ტ. ტაბიძის პოეზია პროლეტარული რევოლუციის წლების მანძილზე დიდი კოლიზიების გზებით ვითარდებოდა. მთავარი დამახასიათებელი ნიშნები მისი პოეზიისათვის იყო ბოკემურ-დეკლარაციური განწყობილებების გამოჩენა:

...და აღიონზე თვთრ დეჰანთან სტირის არღანი,
მტკვარი ანღოა, უნდა მტკვარში თავი დავიღწო.
სიყვარულისათვის შეტ მოთმენას არა აქვს ღონე
მინდა ამ დიღას ამ ცივ მტკვარში თავი დავიღწო...
უბრალოთ ვეღებით შეარღწენი და პოეტები,
მაგრამ ჩვენ აღბათ თავის მოყვლაც გვებატიება.
(„მეარღწები და პოეტები“)

ეს აუადმყოფური განწყობილებები იყო დომინანტა ტ. ტაბიძის პოეზიაში მთელი რივი წლების მანძილზე.

უკანასკნელ პერიოდში ტ. ტაბიძე ცდილობს თავი დააღწიოს ძველ, ანტი-რევოლუციონურ განწყობილებებს. ამის ილუსტრაციაა მისი „რიონ—პორტი“, „გულდაგულ“, „გემები ორპირში“, „როაღდ ამუნდსენ“, „სომხეთში“ და სხვ. მაგრამ ტ. ტაბიძეს დღესაც ძველი „ტვირთი“ ჯერ კიდევ ძლიერ აწევს მხრებზე, ამის შედეგათ მის ამ უკანასკნელ ლექსებშიაც არის მისტიციზმი, ფანტასტიკა, სიმბოლისტური ნისლი.

კრიტიკის ვალდებულებაა დაეხმაროს ტ. ტაბიძეს, რათა ის უფრო ორგანიულად შევიდეს თავისი შემოქმედებით საბჭოთა პოეზიაში.

ბ. იაშვილი ვასაბჭოების პირველ წლებში პირნათლად მიჰყვებოდა სიმბოლიზმის ტრადიციებს. ამის შედეგად იგი სწერდა განყენებულ ლექსებს („პოეზია“ და სხვ.).

პ. იაშვილის ლექსებს ყოველთვის ახასიათებდა აბსტრაქცია და სკემატიზმი. ეს თვისებები მის პოეზიას დღემდე შერჩა.

პ. იაშვილის ლექსებიდან უსათუოდ გამოირჩევა „ლენინ“, რომელიც ბელადის გარდაცვალების ხანებში იქნა დაწერილი. ამ ლექსს შედარებით მაღალი იდეური დონე ახასიათებს და ოსტატურადაც კარგად არის შესრულებული, მაგრამ ეს ლექსი პ. იაშვილის პოეზიაში სრულიად განმარტოებით სდგას.

დღეს პ. იაშვილი მხოლოდ პოეტური დეკლარაციებით კმაყოფილდება, ამ დეკლარაციებს ყოველთვის ზოგადობა და გაურკვევლობა ახასიათებს:

ჩემო ქვეანავ
დასული პოეტად
შენი შრომის და
მიწის საქებად.
და რაც ყო რალა მომეპოება,
მინდა ლექსებად გადმოლაგება...
(„პოეტის საქმე“).

ქართველნი
შინაშენიძე

სამწუხაროდ ამ დაპირებებს არასდროს არ მოსდევს ცდაც კი იმისათვის, რომ ის განაღდებული იქნას, მაშინ როდესაც პ. იაშვილს ყოველგვარი შესაძლებლობა აქვს ამისათვის და სასურველიც არის ეს.

„დაისები“ ს. ავრორის—გ. გაფრინდაშვილის პოეზიაშიც უკანასკნელ ხანებში მოხდა ერთგვარი ძვრა ძველი ადგილიდან. იგი იბრძვის იმისთვის, რომ თავი დააღწიოს ზოგემურ-დეკადენტურ მოტივებს და რევოლუციონური თანამედროვეობა ისახოს, ამ გზაზე მას მიღწევებიც აქვს.

საბჭოთა პოეზიის აქტიურ ძალას წარმოადგენს გ. ლეონიძე.

რ. გვეტაძემ საკმაოდ ვრცელი გზა განვლო, სანამ ის აქტიურად შემოვიდა საბჭოთა პოეზიაში. მისი პოეზიის თემატიკა წინათ არ შორდებოდა „ციხურ ყანწელთა“ სკოლის ტრადიციებს (ვირების და პროსტიტუტკემის კულტი). მაგრამ მან ყველაზე ადრე შეძლო ამ მოჯადოებულ რკალის გარღვევა. ამის შედეგად მან შექმნა ისეთი ლექსები („პოეტებო ბარიკატებზე“, „პირველი მაისი“, „წითელი რაზმელი ქალი“, „თორმეტი ვეფხვი“, „ლაშქრობა“ და სხვ.), რომლებიც შევიდა საბჭოთა პოეზიის აქტივში.

ნ. მიწიშვილი უკანასკნელ წლებში უმთავრესად პროზის დარგში მუშაობს, მაგრამ იგი არ ივიწყებს პოეზიასაც. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მიწიშვილი უფრო ნაკლებ ყურადღებას აპყრობს პოეზიას, მაინც უკანასკნელი უფრო მეტ მასალას იძლევა მისი შემოქმედების გეოლიტიკისათვის.

ნ. მიწიშვილი საქართველოს ოქტომბრის პირველ წლებში სიმბოლისტურ „საშინელებათა“ კულტს იძლეოდა თავის პოეზიაში, ამ თემატიკას იგი დიდხანს შერჩა.

უკანასკნელი პერიოდის მისი შეხედულებების გამომხატველი ლექსებია: „ტუილისიდან ორჯონიკიძემდე“ და „უსახელო“.

პირველი ლექსისათვის დამახასიათებელია მოჭარბებული ნაციონალიზმი, მიწიშვილი ამ ლექსში ძველი მოტივით არის დაინტერესებული: საშხედრო გზა, თერგი, მკინვარი, დარიალ და საქართველო. მიწიშვილს პროლეტარული რევოლუციის ამოცანა დაყავს ვიწრო კუთხურ საკითხამდე.

მეორე ლექსში მიწიშვილი სცდილობს გამოამჟღავნოს თავისი დამოკიდებულება სოციალისტურ ეპოქისადმი. მაგრამ ლექსებში უამრავი წერტილები, ბურჟუაზიზმი და გაურკვევლობაა. მიწიშვილმა ენერგიულად უნდა იბრძოლოს იმისთვის, რომ თავი დააღწიოს მიკბ-მოკბულობას და გაურკვევლობას.

უკანასკნელ წლებში ს. შანშიაშვილი პოეზიაში უმთავრესად გლეხურ-თემატიკაზე მუშაობდა. ამ თემაზე მუშაობის დროს შანშიაშვილი იდეურ-პრინციპიალური ხასიათის შეცდომებსაც უშვებდა. სოფლად არსებული კლასთა ბრძოლა მას მეტად პრიმიტიულად და შემკირებული სახით ეჩვენებოდა. იგი



ვერც კი ამინევდა გლეხობაში არსებულ დიდფერხციაციას. მაგრამ ს. შანშიაშვილის შემოქმედების ხაზი მიუხედავად ცალკეული შეცდომებისა, მთლიან პროლეტარიატთან მიახლოებისათვის ბრძოლაში გამოიხატებოდა.

საბჭოთა პოეზიის რიგებში აქტიურ შემოქმედებითი მუშაობას აწარმოებენ ი. მოსაშვილი, გ. ცეცხლაძე, ვ. გორგაძე, ვ. რუხაძე, ვ. ქუჩუღი, ალ. ქუთათელი და სხვ.

ოქტომბრის შემდეგ გაიზარდა, განმტკიცდა და წაწყვანი იდეურ-შემოქმედებითი როლი მოიპოვა პროლეტარულ მწერლობამ.

ოქტომბრის პირველ წლებში პროლეტარულ ლიტერატურის განვითარება ჩვენში უმთავრესად პოეზიის ხაზით მიემართებოდა. ამ დროს პროლეტარული პოეზიის წარმომადგენლებია: ს. ეული, ნ. ზომღეთელი, ი. ვაკელი, პ. სამსონიძე, ი. ლისაშვილი და სხვ.

ს. ეულის პოეზიის ძირითად მოტივს წარმოადგენს წარმოება, ქარხანა-ფაბრიკა და საერთოდ ინდუსტრია. განიკლიდა რა პირველ ხანებში ს. ეული „ქუჩნიცას“-ს პოეტების დიდ გავლენას, იგი აღნიშნულ მოვლენებს აბსტრაქტიულად იძლეოდა. კონკრეტული წარმოება ნაკლებად იგრაზობოდა მაშინ მის პოეზიაში.

„შიშან ქლაში
ქუჩლში, ქეჭაში,
დავემეთ ტანჯვით ყოფნა
ნაღესი ზეუდაში,
დავემეთ ეს სამჯარო
ბნელ ღამის თვეში,
ერთმანეთს ვეჯიბრეთ
ძველ ქვეყნის წვევაში... და სხვ.

ს. ეულის პოეზიას ყოველთვის ახასიათებდა რევოლიუციონური ენტუზიაზმი, აწეული ტონი, სევდა, უიმედობა, დაცემული განწყობილებები მის პოეზიაში ვერას დროს ვერ პოულობდა ადგილს.

ს. ეულის უკანასკნელი წლების ლექსებიდან გამოირჩევა „მამადლევატი“, „წერილი ჰანრი ბარბუსს“, „ათი წელი“, „ოცდაორი წლის“ და სხვ.

ს. ეულის პოეზიას დადებით თვისებებთან ერთად სერიოზული ნაკლოვანებაც ახასიათებს: წინათაც და ეხლაც მისი ლექსებისათვის ნიშნეულია პრიმიტიული მხატვრული გაფორმება. ლექსები ღარიბია მხატვრული სახეებით, აქვს პოეტურ სიტყვათა განსაზღვრული მარაგი და მათ ხმარობს თითქმის ყველა თავის ლექსში.

ნ. ზომღეთელის ლექსებში სჭარბობს სოფლის სურათები. ეს თემა იყო დომინანტი მის შემოქმედებაში თავიდანვე. მისი ლექსები სოფელზე მხატვრულად შედარებით ძლიერი და კონკრეტულია:

ჩემო სოფელში შენზე ფიჭვები
მე მრავალ საბუჯ გამოელის გულში,
მაგრამ მერმისშიც ასე ვიქნები
შენი ერთგული, როგორც რომ გეშინ.

(„ჩემს სოფელს“)

ქალაქის სურათების მოცემა უფრო ნაკლებად ებერებენ ნ. ზომლეთელს. აქ იგი ხშირად რი ჯორიკაში გადადის. საქართველოს ოქტომბრის შემდეგ ნ. ზომლეთელის პოეზია საგრძნობლად გაიზარდა და გამრავალფეროვნდა. მაგრამ მან ჯერაც ვერ დაახწია თავი თემებისადმი საერთო „დემოკრატიულ“ მიდგომას.

ზომლეთელის პოეზიის სუსტ მხარეს ეკუთვნის ის, რომ მასში არ იგრძნობა ბრძოლა მაღალი მხატვრულ-ფორმალური კულტურისათვის. ამ მხრივ მისი ლექსების დონე ხშირად ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე პოეზიის მოთხოვნილებას.

ლიტერატურულ-პოლიტიკური თვალსაზრისით საინტერესო ევოლიუცია განიცადა ი. ვაკელის პოეზიაში. ი. ვაკელი პროლეტარული პოეტების პირველ თაობის აქტიური წევრი იყო. პირველ პერიოდში მის პოეზიაში გაბედულად მოისპოვდა რევოლუციონური ხმა. ფორმალურადაც მის ლექსებში მოსჩანდა ერთგვარი ძიება.

მაგრამ ასევე არ ითქმის ი. ვაკელის პოეტური მუშაობის უკანასკნელ წლებზე. დღეს ვაკელისათვის წარსული კულტურა, კლასიკური ლიტერატურა გარდაიქვა ერთგვარ შპარგალკათ. მან შეითვისა უკრიტიკოთ სხვისი შემოქმედებითი მეთოდი და განწყობილებანი. პირდაპირ საკვირველია ვაკელის შემოქმედება. დღეს ვისი ვაფლენა არ გინდათ რომ არ იპოვოთ მის პოეზიაში: ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ბაირონი, შექსპირი, პუშკინი, ევდოშვილი, გ. ტაბიძე, და სხვ. ყველა ერთმანეთშია არეული.

დღეს ვაკელის შემოქმედება არაფრით არ განსხვავდება თავისი შინაარსით, თავისი განწყობილებით რომელიმე წერილობრივ პოეტის შემოქმედებისაგან. უკანასკნელი პერიოდის მისი პოეზიის ძირითადი მოტივებია: ნაციონალიზმი, ერთიკია, სოულის იდეალიზაცია, წარსულის კულტი, უკმაყოფილება თანამედროვეობით და პესიმიზმი.

პ. სამსონიძის პოეზიისათვის დამახასიათებელია რევოლუციონური კონშიზმი, რომელიც „კუნძიცი“ პოეტების შემოქმედებაში ღებულობდა სათავეებს:

ცეცხლის ხმები დასწავეს ჰაერს
და გარდაქმნის მას სხვაგვარად...
ცეცხლის გრილის ამღვრებს
საქართველოს გასაზარად..

(„ცეცხლის ხმები“)

პ. სამსონიძე თავის შემოქმედების პირველ პერიოდში ზოგადი ლოზუნგებით მოუწოდებდა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისაკენ, ექსპლოატატორული ქვეყნის დანგრევისაკენ, სოციალისტური ქვეყნის შენებისაკენ. პირველ თაობის პროლეტ-პოეტებისაგან ვ. სამსონიძე გამოირჩეოდა პოლიტიკური სიმახელოთ და მებრძოლი განწყობილებებით.

სოციალისტური რევანსტრუქციის პერიოდში პ. სამსონიძის პოეზია უფრო კონკრეტულ სახეს ღებულობს. დღეს მისი პოეზიის ძირითადი თემაა ხუთწლელი, კოლექტივი, მუშა მშენებელი და სხვა.

ი. ლისაშვილის პოეზია უმთავრესად პროლეტარული რევოლუციის ლიტერატურული აგებულის იგი არ არის ვიწროთ შემოფარგლული. იგი ცდილობს ცხოვრებიდან ამოიღოს თავის შემოქმედების მასალა. არსებითი. მაგამ ამ გზაზე ლისაშვილს დიდი მატერული წინააღმდეგობების დაძლევა უხდება.

გ. ქუჩიშვილი თავისი პოეზიით მკიდროდ დაუკავშირდა სოციალისტურ მშენებლობას. მან დასძლია წერილ ბურჟუაზიულ „დემოკრატიული“ მოტივები და პროლეტარულ-კლასიური ხედვით განისკვალა.

გ. ქუჩიშვილის პოეზიას დღეს ახასიათებს რევოლუციონური დეკლარატიულობა და პათეტიური კოსმიზმი:

შრომის და ბრძოლის ჩონჩერი,
დაეჭრათ
მცონარეს დუფრახით ძილი.
რომ ახანზარდეს
გრდემლი და ურო,
ოვგოვ ქარბების
წილე მოძაილი.

(„ჩონჩერი შრომის, ჩონჩერი ბრძოლის“)

გ. ქუჩიშვილის უკანასკნელი პერიოდის ლექსებს ხშირად დაუმუშავებლობის და ერთფეროვნების დალი ასეია. როდესაც კითხულობთ ზოგიერ მის უკანასკნელ ლექსს, ფიქრობთ თითქოს ეს ლექსი თქვენ უკვე დიდხნის წინად წავიკითხავთ. გ. ქუჩიშვილის ლექსებში აკრესვე შეხედებით მატერულად „ცარიელ“ ადგილებს და შებლონს.

ა. მაშაშვილი პროლეტარული პოეტების მეორე თაობის საუკეთესო წარმომადგენელია. მისი პოეზიისათვის თავადანვე დამახასიათებელი იყო რევოლუციონური რომანტიზმი, მებრძოლი განწყობილებები. ეგრე „მოშავალის“ და გახ. „სპარტაკი“-ს ფურცლებიდან ალ. მაშაშვილი შეუნიღებელი ენტუზიაზმით ამტკაუნებდა რევოლუციონურ მიდრეკილებებს. ამ ხანებში მაშაშვილის პოეზიას რამდენიმეთ ახასიათებდა აბსტრაქტიული კოსმიზმი, რომელნიც მაშინ სრულიად კანონიერ მოვლენა იყო.

ა. მაშაშვილი ძირითადში ყოველთვის სწორად უბასუბებდა რევოლუციონურ ცხოვრების მოთხოვნილებებს. ამდენადვე იგი თავისი შემოქმედების მეორე პერიოდში გადადის რევოლუციის კონკრეტიული მოვლენების ასახვაზე. მაგავსად ბეზიმეფსისკისა იგიც გამოდის ლოზუნგით, რომლის აზრიც მდგომარეობდა იმაში, რომ პოეზიამ უნდა ასახოს სოციალისტური ცხოვრების კონკრეტიული ყოველღიერიობა.

უკანასკნელ ხანებში ალ. მაშაშვილმა რამდენიმე საყურადღებო მატერული ფაქტი გამოაჩვენა, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „მე და ბარათაშვილი“ და „დამკრელი ბრიგადები“.

პოემა „მე და ბარათაშვილის“-ს მატერული და იდეური კონცეპცია ძირითადში უპირისპირდება წასრულს. აქ იბრძვის ორი ქვეყანა: ძველი და ახალი. პოემის ამოსავალი წერტილი წასრული და თანამედროვე საქარეველოს ჭიდილია. პოემაში ერთმანეთს უპირისპირდება ინდუსტრია და პირველყოფილია, მერანი და ელექტრონი.

„დამკვეთი ბრიგადები“ რეკონსტრუქციის პერიოდის განწყობილებებს გამოხატავს, ამ თემაზე მრავალი ლექსი დაიწერა ჩვენში, მაგრამ მათგან ერთ-ერთი ვერც ერთი ვერ შეედრება ვერც პათოსით და ვერც მხატვრული შესრულებით ალ. მაშაშვილის „დამკვეთი ბრიგადებს“. ამ ლექსში ჩვენი ცხოვრების რიტმი და იდეური მოძრაობა მეტად კარგად არის გადმოცემული.

ალსანიშნავია, რომ მაშაშვილის პრეზიაში ადგილი ჰქონდა წვრილბურთუაზიულ, მემარჯვენე-„მემარცხენე“ გადახრებს. ეს გადახრები განსაკუთრებით საგრძნობი იყო 1925—27 წელში (იხ. ლექსი „ძველი მახარა“, „დარიალი ავდარი, მანდარინა დაირა“ და სხვ.)

დღეს მაშაშვილის წინაშე გადაუდებელ ამოცანად სდგას, რომ მან მალალი ტემპები აიღოს პოეზიის ფორმებზე შემოქმედებითი მუშაობის საწარმოებლად.

კოსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედების ძირითადი ხაზი პოეზიაში ლირიკის გზით მიემართება. სხვადასხვა ჯურის ბურჟუაზიული თეორეტკოსები და პოეტები იცავენ იმ მოსაზრებას, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ლირიკას არა აქვს გასაღელი. ასეთივე მოსაზრებას იცავენ და რენეგატი ტროცკი. საქმარისია გავიხსენოთ მისი წერილი ესენინის სიკვდილზე და მის მიერ ამ სიკვდილის ასსნა რომ პოეტი, როგორც „წმინდა ლირიკოსი“ არ შეეფერებოდა დღევანდელობას, რადგანაც მასში არ დარჩა ადგილი ლირიკისათვის. ტროცკის გაგებით კლასიური ბრძოლების პირობები არ აძლევს ადამიანს საშუალებას შეჩერდეს თავის თავზე და ამიტომ ლირიკა უკანა პლანზე გადადის სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებამდე.

ტროცკის ამ მოსაზრებაში ნათლად მოსჩანს ლირიკის იდეალისტური გაგება. ლირიკა იქ მოცემულია, როგორც არასოციალური მოვლენა, როგორც ადამიანის ბიოლოგიური თვითშემეცნების სფერო, რომელიც დამოუკიდებელია პოეტის კლასიური მდგომარობიდან. ტროცკის მიერ ლირიკის ბურჟუაზიულ გაგებას არავითარ შემთხვევაში არ ეფარდება სინამდვილე. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ლირიკაც ისეთივე სრულყოფილებიანი ეპიკაა პოეზიის, როგორც ეპოსი.

კ. ლორთქიფანიძისათვის პოეზიაში საერთოდ დამახასიათებელია ბრძოლის, ჯანსაღი განწყობილება. თანამედროვეობის მთელი რიგი პრობლემები მის პოეზიაში სწორ პროლეტარულ კლასიურ გადაწყვეტილებას პოულობს. მაგრამ ამავე დროს მის ჰქონდა სერიოზული ჩავარდნებიც, მის პოეზიაში ხშირად ჩგრძნობდა არაპროლეტარული, წვრილ-ბურჟუაზიული განწყობილებები.

კ. ლორთქიფანიძის უკანასკნელ პერიოდის პოეტურ ფაქტებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „მუშა გამომგონებელი“. ეს ნაწარმოები თანამედროვეობის კონკრეტულ და აქტუალურ თემაზეა დაწერილი.

„მუშა-გამომგონებელი“-თ კ. ლორთქიფანიძემ ირსებითი პასუხი გასცა პარტიისა და მუშათა კლასის ლოზუნგს სოციალისტურ მშენებლობის, ხუთწლედის გამორების მხატვრულ ლიტერატურაში ჩვენების შესახებ. ამ ნაწარმოებში დიადი ბოძოლის და მშენებლობის ფონზე მოსჩანს კონკრეტული ახალი ადამიანი, რომელიც სოციალისტური ქვეყნის შენების საქმის ფუძეა:



არა ტეხნიკით, უსულთ ნივთით,
რომლის კეთებას შენვე გვასწავლი,—
არა ბრეტკლინის საოცარ ზიჯით—
ჩვენ უმთავრესით გ დაგასწარით
ადამიანით, რომელმაც შრომა
გადააქცია შემოქმედებათ,
მისი გვარია ის რაც გვემანუ
მეტე ხრულდება, მეტი კეთდება.

მაგრამ ამავე დროს ჩვენ რასაკვირველია, არ ვივიწყებთ ტეხნიკის უდიდეს მნიშვნელობას. ჩვენ წინაშე გადაუდებელი ამოცანაა ტეხნიკის სრული დაუფლება:

გამაგრებულა ტეხნიკის ციხე
ინტ გრალების სქელი კედლებით
მისი აღება უფრო მწელია
ვიდრე გაქვლეთა კოლჩაკელისის.
მაგრამ სად არის ციხე ისეთი,
ბოლშევიკების ხელს არ დანებდეს.

„მუშა-გამომგონებელში“ კ. ლორთქიფანიძე იმდენად ორგანიულათაა მისული თავის გმირთან, რომ ვერც კი გარწოთ მანძილს მათ შორის. პოეტი ამ ნაწარმოებში ისეთი მოვლენის შესახებ სწერს, რომელიც მისთვის ნაცნობია, რომელთანაც თვითონაც არის დაკავშირებული.

კ. კალაძემ თავის შემოქმედებითი გზები პოეზიაში კომკავშირულ-რევოლუციონური თემატიკით გახსნა. შემდეგ მას მიმყავს მთელი წყება ისეთი ნაწარმოებების, რომლებიც ანტი-პროლეტარულ განწყობილებებს გამოხატავდა („ტფილისი“, „დახილი აღმოსავლეთს“ „ნაბტომი გულიდან“ და სხვ.). ამ უკანასკნელი ხასიათის ლექსებისათვის დამახასიათებელი იყო ნატონალისტური განწყობილებები, წერილ ბურჟუაზიული რყევა.

კრი უცხამ თავის დროზე სწორად ამხილა კ. კალაძის სერიოზული გადახრები, კ. კალაძე თავის მეორე წიგნში სხვა ხასიათის გადახრებსაც აშკლავნებდა. ეს გადახრები იყო უმთავრესად „მემარცხენე“ ხასიათის („მუშების საუბარი და სხვ.).

ებლახან კ. კალაძემ გამოაქვეყნა პოემა „ამბავი აქარელ ამხანაგების“... პოემა მეტად აბსტრაქტული ხასიათისაა. ამ პოემისათვის აგრეთვე დამახასიათებელია უკიდურესი სქემატიზმი. პოემა მეტად მკირე რიცხოვან სიტყვიერ მასალაზეა გაწლილი, რის გამოც ბევრგან რჩება „ცარიელი“ ადგილი. ნაწარმოების ცალკეულ სტრიქონებს შორის არ არის თანამიმდევრობა, ორგანიული კავშირი, ხშირია მრავალი წერტილები, რაც ნაწვედ-ნაწყეტობის შთაბეჭდილებას აძლევს ნაწარმოებს.

როგორც წინასიტყვაობიდან ირკვევა პოემა უმთავრესად ექსპერიმენტალური ხასიათისაა. კალაძეს ამ პოემაში უფრო ფორმალური მომენტების ძიება

აინტერესებდა. ამ უკანასკნელ გარემოებას ადასტურებს მიძღვნილი (ე. ბლემ-ნიკოვისადმი). ფორმალურ ძიების მხრივ კ. კალაძეს აქვე უნდა შეეძლოს ხო-გიერსი მიღწევა, მაგრამ ჩვენ პირობებში ეს არ არის საფუძვლად დასაყრდენი ვალ-დებულია თავისი ფორმალური ძიებები დაუჯავშნოს ნაწარმოების შიდაარსობ-რივ მომენტს არ შეიძლება ეს უკანასკნელი დაზღვეოს პირველმა, როგორც ამას ადგილი აქვს „ამბაკი აქარელ ამბანაგებ“ ში *).

ფ. ნაროუშვილი თავის პოეზიაში რევოლუციის აქტუალურ და კონ-კრეტულ მოვლენებს ეხმარება. იგი არ ეტანება განუყენებულ, „მარადიულ“ პრობლემებს, არამედ დღევანდლობის საჭირ-ბოროტო კითხვებზე პასუხის გა-ცემას სცდილობს.

ფუ. ნაროუშვილი პოეზიის თემატიკა პირველ ხანებში უმთავრესად საბ-ქოთა სოფელს ეხებოდა. იგი გვიხატავდა სოფლად არსებულ კლასობრივ ბრძო-ლას და ამ ბრძოლის მიმართულებას. უკანასკნელ პერიოდში მან გაარღვია თე-მატიური განსაზღვრულობა და ეხლა ცდილობს მოგვეცეს თავის პოეზიაში სო-ციალისტური მშენებლობის მრავალფეროვანება.

ფრ. ნაროუშვილის პოეზიისათვის დამახასიათებელია მკვეთრი და შეური-გებელი კლასიური ხედვა. ფრ. ნაროუშვილი არ გაურბის მწვევე საკითხების დასმას თავის პოეზიაში, თუმცა ამ ხიდაგზე იგი ხშირად შეცდომებსაც კი უშ-ევებს. ეს შეცდომები უმთავრესად „მემარცხენე“ ხასიათისაა, რაც მან გამოამჟღა-ვნა, როდესაც „ერების გარდაცვალება“ დღევანდლობის ფაქტად წარმოიდგი-ნა. ასევე პრაღის ლენინური დამოკიდებულება გამოიჩინა ნაროუშვილმა კლასიკო-სების საკითხშიაც.

ფრ. ნაროუშვილის პოემების და ლექსების ფაბულა უბრალოა. მათი გაშ-ლის და განვითარების ხერხიც ელემენტარული.

ფრ. ნაროუშვილის ლექსებში და პოემებში მოისუსტებს კომპოზიციის, ში-ნაარსობრივი გადასვლა ერთი აზრიდან მეორე აზრზე (დადი ნახტომია).

საერთოდ კი არ შეიძლება იმის უარყოფა რომ ფრ. ნაროუშვილი მიუ-ხედავად შეცდომებისა და ჩავარდნებისა პოეტური ენერგიულობით იბრძვის იმი-სათვის, რომ დამოუკიდებელი გზით იაროს პოეზიაში.

კ. ბობოხიძემ კარგად დაიწყო შემოქმედებითი მუშაობა პოეზიის ფრო-ნტზე. მაგრამ შემდეგ მას საგრძნობი ზრდა არ ეტყობა. მისი ლექსები რამდენი-მეტ ერთფეროვნების იერს ატარებს. არ სჩანს ბრძოლას მაღალი პოეტური კულტურის დაუფლებისათვის, ამის გარეშე კი შეუძლებელია პოეზიის მაღალ საფეხურზე ასვლა.

უკანასკნელ წლებში გამოსულ აბალგაზრდა კადრებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ირ. აბაშიძე, გ. კაკაბიძე, ალ. გომიშვილი და სხვა.

ირ. აბაშიძის პოეზიის დადებით მხარეს თემატიური მრავალფეროვან-ება შეადგენს. იგი თავის პოეზიაში მოვლენების და საგნების მრავალ სახეობას იძლევა ყოველთვის. უკანასკნელი მისი ლექსები ადასტურებს იმას, რომ იგი კი-დეც უფრო ამდიდრებს თავის თემატიურ არეს.

* ეს წერილი დაწერილია პოემა „მარადიონის“ გამოქვეყნებამდე.

ირ. აბაშიძე სკდილობს მოგვეცეს რევოლუციის მოვლენების წათელი სახე. იგი ცდილობს დააღწიოს თავი ზოგადობას. მისი ლექსებში არ არის საერთოდ რევოლუციაზე, არამედ მის კონკრეტულ მოვლენებზე.

ირ. აბაშიძე უმთავრესად ლირიკული ხაზებით აწვითარებს ლექსებს. ეს არ არის დასაძრახისი. არ არის მართალი როდესაც ლირიკა დაჟავთ მხოლოდ სასიყვარულო - ეროტიკულ სიმღერებად და პეიზაჟის მხატვრობაში. განავერჰარის, უიტმანის, მაიაკოვსკის და სხვ. ლირიკა, რომელიც გამსჭვალულია ფართო სოციალური გრძობებით და იდეებით, არ უარყოფს ლირიკის ბურჟუაზიულ გაგებას, როდესაც ლირიკა დაყვანილია კამერულ განრამდე.

ირ. აბაშიძის ლექსებიდან საყურადღებოა „ჩემს ობლივიციებს“, „რეპორტიორის დღიური“ და „ტემები“.

ირ. აბაშიძის პოეზიას სერიოზული ნაკლოვანებებიც ახსიათებს: მის ლექსებს უსათუოდ დაჰკრავს სქემეტიზმის იერი, მისთვის აგრეთვე ნიშნულია ემპირიზმი, ლექსებში ხშირად სიტყვა სიტყვასთან ორგანიულად ვერ არის დაკავშირებული.

გ. კაკაბიძის პოეზიის ძირითადი თემატიკური არეა: სოციალისტური მშენებლობა და კლასთა ბრძოლა თავის მრავალფეროვანებაში, მთელი წყება მისი ლექსებისა („საბჭოთა პური“ „მანქანამ უნდა მოგვეცეს მანქანა“, „წერილი მეზობელ კოლმეურნობებს“ და სხვ.) აქტუალურ თემაზეა აგებული. მათთვის ნიშნულია აგრეთვე პოლიტიკური სინახვილე.

გ. კაკაბიძე ჯერ კიდევ არ არის განთავისუფლებული ძველი სოფლური იდილისაგან („ის უბანი და ის კარმიდამო“).

„ლექსი ცაცხვების ხეივანში“ ზედმეტად გაყენებულია რომანტიული განწყობილებებით.

ალ. გომიაშვილი თავის ლექსებში გვიხატავს იმ გარდატეხას, რომელიც ხდება საბჭოთა მთაში სოციალისტური მშენებლობის პირობებში. იგი ცდილობს შეებრძოლოს ძველი მთის იდილისს. ამ გზაზე გომიაშვილს დიდი წინააღმდეგობების დაძლევა უნდება, რასაც ზოგჯერ იგი ვერც კი ახერხებს და ამიტომ ლექსი პოლიტიკურ სინახვილეს მოკლებული რჩება.

გაიაშვილს რიცხვობრივად არც ისე ბევრი ლექსი აქვს, მაგრამ საქმე ამასში არ არის. ლექსების რაოდენობა ვერას დროს ვერ შეესცვლის მათ ხარისხს.

გომიაშვილის ყოველი ახალი ლექსი ლაპარაკობს მის ხარისხობრივ მხატვრულ ზრდაზე.

პოეზიის ახალი კადრების წარმომადგენელია აგრეთვე გ. შატბერაშვილი, და სხვ.

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 ბპრილის დადგენილებით „სამხატვრო-სალიტერატურო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ“ იწყება ახალი, უფრო მაღალი პერიოდი მთელ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, მათ შორის რასაკვირველია, პოეზიაშიც. ეს დადგენილება საუკეთესო პირობებს ჰქმნის შემოქმედებითი მუშაობისათვის. ამ დადგენილებამ საფუძველი გამოაცალა ჯგუფობრივობას, აღმინისტრაციულობას, თვითკრიტიკის ჩახრჩობის ცდებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა პრ. მწერ. ასოციაციის ხელმძღვანელობაში.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობის მიერ სხვა მრავალ შეცდომებთან ერთად წამოყენებული იყო „მემარცხენე ელემენტარული ლოზუნგი: „მტერი ან მოკავშირე“, რომლის მიხედვითაც ელემენტარულად იხსენებოდა თანამგზავრთა გარდაქმნის ამოცანა. ეს შემცდარი ელემენტარული პრაქტიკული განხორციელებას პოეზიის ფრონტზედაც პოულობდა. პრ. მწერ. ასოციაციის ზოგიერთ ხელმძღვანელი პოეტებისადმიც იჩენდა აღმინისტრატულ-ბრძანებლობითი დამოკიდებულებას.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილება მკვეთრად მიმართულია „მემარცხენე“-ეულ გარიზატორობის წინააღმდეგ, რომლებიც ამასიონგებენ პარტიის ხაზს იმ მწერლების მიმართ, რომლებიც ღვანან საბჭოთა ხელისუფლების პლათფორმაზე და ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილებიდან გავიდა მხოლოდ ცხრა თვე, შემოქმედებითა წინსვლა, რომელიც ცეკას დადგენილების შემდეგ ახასიათებს მთელ საბჭოთა ლიტერატურას, აგრძედა შეიქმნა პოეზიასაც. უფრო და უფრო მტკიცდება რევოლუციონური პოეზიის კადრები. ეს წინსვლა განსაკუთრებით ავალსაჩინო იქნება, თუ შევადარებთ საბჭოთა პოეზიის დღევანდელ პროდუქციას, წინა წლების პროდუქციას.

უხეში პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა თუ ვინმე იფიქრებდა, რომ ცეკას ამ დადგენილების შემდეგ თითქოს შემცირდა პროლეტარული ლიტერატურის იდეურ-შემოქმედებითი როლი. პირიქით, ცეკას დადგენილება სრულ შესაძლებლობას აძლევს პროლეტარულ მწერლობას გააფართოვოს თავისი იდეურ-ხელმძღვანელობითი როლი მთელ საბჭოთა ლიტერატურაზე და მათ შორის საბჭოთა პოეზიაზე.

რა კონკრეტული მოცანები სდგას დღეს, პროლეტარული რევოლუციის 12 წლის თავზე საბჭოთა პოეზიის ფრონტზე ჩვენში?

მთელი საბჭოთა ლიტერატურა და მათ შორის პოეზია ეხლა იმყოფება დაქიმული შემოქმედებითი ძიებების პერიოდში. საბჭოთა პოეზიის შემდგომი ზრდისათვის აუცილებელია დაეამუშაოს პოეზიის თეორეტიული პრობლემები, განოვატოვებლოს და მალალ დონეზე ავიყვანოს პოეტური ფაქტების კონკრეტული კრიტიკა.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის და მისი ხელმძღვანელობის უხეში შეცდომა იყო ის, რომ მან არ შექმნა ნორმალური საწარმოო-შემოქმედებითი ურთიერთობა იმ მწერლებთან და პოეტებთან, რომლებიც არ შედიოდნენ პრ. მწერ. ორგანიზაციაში. უკანასკნელ წლებში არავითარი სერიოზული თეორეტიული მუშაობა არ სწარმოებდა პოეზიის პრობლემებზე. კრიტიკა განსაკუთრებულ სისუსტეს იჩენდა სწორედ პოეზიის ფრონტზე, საყურადღებო პოეტური ფაქტები და მოვლენები ვერ ნახულობდნენ საჭირო ანალიზს, საბჭოთა პოეტების უმეტესობის შემოქმედება არ იყო გაშუქებული არც შეჯამებით არც ცალკე წერალებში და სხვ.

პროლეტარული მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობის უხეში შეცდომა მდგომარეობდა იმაშიც, რომ ისინი ლიტერატურის ყველა პრობლემებს

სწყვეტდნენ პროზის მიხედვით, პროზის მასალაზე. დისკუსია სწორი იქნება მარტო რომანებისა და მოთხრობების შესახებ. ნარკვევების პრობლემას კვლევებით მეტი ყურადღება ექცეოდა, ვიდრე პოეზიას. დასკვნები კი პროზის შესახებ შემდეგ შექანიკურად გადაჰქონდათ პოეზიაზე. ჩვენს წინაშე სწორედ ამდენად ამოცანად პოეზიის პრობლემების სერიაოზული, საფუძვლიანი დამუშავება.

ჩვენი კრიტიკული პრაქტიკის ერთ ერთ უსუსტეს მხარედ უნდა ჩაითვალოს იმ გამოცდილების განუზოგადოებლობა, რომელიც დაგროვა საბჭოთა პოეზიაში ჩვენმა თეორეტიკულ კრიტიკულმა კადრებმა ვერ შეძლეს სერიაოზულად და ყოველმხრივად დაფასება ამ გამოცდილების, გამოყოფა მისგან იმის, რაც უნდა შევიდეს სოციალისტური პოეზიის მტკიცე ფონდში; ასეთი მდგომარეობის მოთმენა შემდეგში შეუძლებელია, კრიტიკას უკვე აღარ შეუძლია დაკმაყოფილდეს სიზმრით, ან ეპიზოდური კრიტიკული წერილებით საერთოდ მოგებზე. პოეტური ფაქტები შეფასებულა, გარკვეული და გადაფასებული უნდა იქნენ კონკრეტულად, საფუძვლიანად.

ბოლომდე უნდა იქნეს მხილებული ის ზეზეში შეკდომები, რომლებიც დაუშვეს პრ. მწ. ასოც. ხელმძღვანელებმა საბჭოთა პოეზიის პრობლემების დამუშავების დროს და ცალკეულ საბჭოთა პოეტებთან დამოკიდებულებაში.

პოეზიის ფრონტზე გადაუდებელ ამოცანად სდგას ბრძოლა ხარისხისათვის, ბრძოლა პოეტური ოსტატობისათვის, სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული ტემპები და სოციალისტური ადამიანის ფსიქიკის გადმოცემა მხატვრული სიტყვის საბუღლებით ძოიანობის პოეზიის მაღალ ხარისხს. ესლა ლექსის წერა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე შავ, ამ 10—12 წლის წინააღ, მაშინ პოეტები სამოქალაქო ომს და რევოლუციას განიცდიდნენ „პლანეტარული“, ზოგადი სახით. ამ მოვლენათა დანახვა საერთო მტრებში შედარებით ადვილი იყო. მაშინ პოეზიის განვითარება უფრო „პირდაპირი“ გზით მიმდინარეობდა, ესლა კი ჩვენი ცხოვრება უფრო რთულ ფორმებში მიმდინარეობს, ვიდრე სამოქალაქო ომის წლებში. მიტომ პოეზიის ააოცანებიც ესლა მეზად ვართულდა. დღეს მთელი საბჭოთა პოეზიის ძირითადი ღოზუნგია ნაწარმოების მხატვრული ხარისხის ამაღლება, მისი აყვანა უმაღლეს საფეხურზე. ციადი იდეალი კომუნიზმისა, დიადი მხატვრული საშუალებებით უნდა იქნას გამოთქმული. მხატვრული ხარისხის ამაღლების გაუმე არ შეიძლება ავამილლოთ ლატერატურის პოლიტიკური ფუნქცია დღევანდელიობისათვის.

საბჭოთა პოეზიის ფრონტზე მომუშავე პოეტური კადრების წინაშე ძირითად ამოცანად სდგა ბრძოლა მაღალი იდეური დონისათვის. ბრძოლა ხარისხისათვის, ბრძოლა ოსტატობისათვის, არ უნდა იქნას დაშორებული ნაწარმოების მაღალ იდეურ დონისათვის ბრძოლისაგან.

ჩვენი ვალდებულებაა ყურადღების მარქანიმეში მივაპყროთ მუშათა ახალ პოეტურ კადრებს, რომლებიც უკანასკნელ წლებში იქნენ გაწვეული ლიტერატურაში. ჩვენ უნდა შევქნათ ისეთი პირობები, რომელიც შექნიმალურად ხელს შეუწყობს მუშა პოეტების შემოქმედებით ზრდას. ამ საქმეში დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ერთის მხრივ მესჩანერ ინტელიგენტურ ხატბას და მეორეს მხრივ მედიდერ ზერელობას.

როდესაც ვიპილავთ მუშათა კადრების შემოქმედებას, ჩვენ ვაპინევთ ხშირად არა კრიტიკულ სწავლას კლასიკოსებისაგან, ზოგიერთი მათგანი იმყოფება

ემპირიზმის, სქემატიზმის და კონსტრუქციონიზმის ტყვეობაში, ზოგადად მათგანს კი არ შეუძლია ავიდეს მაღალ დონეზე იდეების გამოთქმაში და ამიტომ კმაყოფილდებიან ზერელე აგრიტაციით. რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობა არის მისაღები.

სჭირია ყველაფერი ეს საფუძვლიანად შეისწავლოს კრიტიკამ და დასახოს გზები მის გამოსასწორებლად.

საბჭოთა პოეტებში საგრძნობია მედიდურობის განწყობილებანი: ამის შედეგია პოეზიის „მცირე ფორმების“ უგულვებელყოფა, მათდამი არა სერიოზული დანოკიდებულება.

საბჭოთა პოეტების საგრძნობ ნაწილს უსარგებლო, ზედმეტ საქმედ მიაჩნია მუშაობა პოეზიის „მცირე ფორმებზე“. ეს არ არის სწოლი შეხედულება. ჩვენს პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ეპიგრამებს, ფელეტონებს სიმღერებს და სხვ. საჭიროა მუშაობა მათ შექმნაზე.

აქვე აღსანიშნავია, რომ არიან ისეთი აზნაგები, რომლებიც არიან შეპყრობილი „ლეფურ“ ლიტერატურული განწყობილებებით ისინი აცხადებენ, რომ ჩვენ პირობებში არ ზეიძლევა დიდი ხელოვნების შექმნა, რადგანაც ეხლა ყველაფერი სწრაფ მოძრაობაშია, რისი ათვისებაც ძნელია. ამიტომ უნდა ვადვიდეთ მთლიანად „მცირე ფორმაზე“ „მცირე ეპიგრამებზე“ სამუშაოდ. რასაკვირველია, ეს ძირშივე შემცდარი მოსაზრებაა. აქ ხელოვნების ლიკვიდაციის საკითხია დასმული. დღეს ჩვენ გვესაქიროება როგორც „მცირე ფორმი“-ს ისე „დიდი ფორმის“ ხელოვნება.

პოეზიაში უნდა ჭაიშალოს ბრძოლა ორ ფრონტზე მემარჯვენე შეხედულებების, როდესაც პოეტისგან მოითხოვენ სიმღერას „ბულბულსა და ვარდზე“, გვერდს უხვევენ თანამედროვეობის ძირითად პოლიტიკურ ამოცანების თავისებურ გამოხატვას პოეზიაში და „მემარცხენე“ შეხედულებების, როდესაც პოეტისგან მოითხოვენ მხოლოდ პოლიტიკური ლოზუნგების „მწრალად“ ვართობას.

რასაკვირველია ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ პოეზიის „მთლიან სახეზე“. კლასთა ბრძოლა თავის გამოხატულებას შესატყვის ფორმებში პოეზიაშიაც პოულობს, აქაც ვხვდებით ბურჟუაზიულ-კულაკურ შემოქმედებას, მომავლად კაპიტალისტურ ელემენტების ნარჩენების გამოხატულებას იდეოლოგიაში.

მიმდინარე პერიოდში პოეზიის ფრონტზე ისევე, როგორც ლიტერატურის სხვა ფრონტებზე, კლასთა ბრძოლა გამწვავებულია შესატყვისად იმ „ფორმის“, რომელიც დამახასიათებელია შემოქმედების ამ სფეროსათვის. იდეურად და პოლიტიკურად განადგურებული ბურჟუაზიულ კულაკური კლასის პოეზია დღესაც წარმოადგენს რეალურ საშიშროებას.

რა გზებით მოდის კლასიური მტერი პოეზიაში?—იგი მოდის ჰუმანიზმის თეორიით, რეაქციონური ფორმლიზმით და ესთეტიზმით, დაკრძალობის განწყობილებით, წითელ ხალხურით, ინდივიდუალიზმით, ბოგემური მიდრეკილებით, ზოგინიზმით, ნაციონალიზმით და სხვ.

საბჭოთა ბოლშევიკური ცენტრი უნდა მიემართოს პოეზიის ფრონტზე განადგურებულ კლასურ მტრების აგრესიების წინააღმდეგ.

პოეზიის ფრონტს აუცილებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მთელი საბჭოთა მწერლობის საზოგადოებრივობისა და კრიტიკისაგან.



ფილია მასკაში

როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი

I

(მარქსისტული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიისათვის)

უკანასკნელ დროს ამხ. სტალინის წერილთან დაკავშირებით ფართოდ გაიშალა ბრძოლა, როგორც რევოლუციონური მოძრაობისა ისე საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ბოლშევიკური შესწავლა-დასაბუთებისათვის. წინააღმდეგ ყოველგვარი ფალსიფიკატორებისა, ეს ბრძოლა განსაკუთრებულად კიდევ უფრო უნდა გამახვილდეს ჩვენი, სადაც მთელი ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია, ქართული ისტორიული პროცესის, მხატვრული ლიტერატურის განვითარების ისტორია, მარქსისტულად არაა შესწავლილი და გამოკვლეული.

ეს პროცესი აშკარაა დაწყებულია, მთელი რიგი მარქსისტული კადრები მტკიცედ და ბეჯითად იწყებენ ჩვენი წარსულის მარქსისტულ შესწავლა-შეფასებას და აი სწორედ ამ დროს საჭიროა შესწავლილი იქნეს ის პიროვნება, ვისაც საქართველოში მარქსიზმის გამტკიცების საქმეში დიდი როლი მიუძღვის, როგორც მარქსისტ-თეორეტიკოსს, ბოლშევიკ-პუბლიცისტს, საზოგადოებრივ აზროვნების პუბლიცისტურ მკვლევარ-ლიტერატორს.

ასეთი პიროვნებაა ამხ. ფილიპე მახარაძე. იგი ათეული წლების განმავლობაში მტკიცედ სდგას იდეოლოგიური ბრძოლის ბოლშევიკურ სადარაჯოზე.

ამიტომ თანამედროვე მარქსისტული კრიტიკის ვალია გამოარკვეოს თუ რა ხასიათის ბრძოლები უწარმოებია ფ. მახარაძეს, ვისთან, როგორ და რანაირად, რომ მეტი შესაძლებლობით წავიდეს წინ და მეტი სიმტკიცით და სითამამით გამახვილდეს მარქსისტული ლიტერატურული აზროვნება.

ეს საჭიროა იმისათვისაც, რომ გამოაშკარავდეს ის ხალხი, ვინც ფართულად ებრძვის იმას, რასაც რამდენიმე წლის განმავლობაში ასაბუთებდა ფ. მახარაძე, რაც მარქსისტული აზროვნების უდავო ჭეშმარიტებაა.

ეს ხალხი გასაოცარი თვალთმაქცობით და ფალსიფიკატორული უნარით ახერხებს ვააყალბოს ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის აშკარა და თვალსაჩინო ფაქტები.

ბევრ მათგანს ჰყოფნის იმდენი გამბედაობა, რომ გააპარონ ირანის ფედერალისტური და მენშევიკური კონტრაბანდა, თითქო ილია ქავეჭავიძე სოციალისტი ყოფილიყოს (კაპანელი და სხვა), ან და თითქოს შესაძლებელი და ნაციონალისტური ინტელიგენცია ხშირად იბრძოდენ ერთად მარქსიზმის დროშის ქვეშ (ს. დედეღარიანი).

საჩამ მსგავსი მოსაზრებები ჯერ კიდევ სავსებით გამოუმუშავებული და განადგურებული არაა, მაქირთა ფ. შახარაძის ნაწერების შესწავლა. მათი გაშუქება, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ცრუ მკვლევარი გვერდს უვლის ამ მარქსისტულ მემკვიდრეობას და ა. ჯორჯაძისა და კიტა აბაშიძის ნაციონალისტური მოსაზრებების რეაბილიტაციას ცდილობს.

ფ. შახარაძის მოღვაწეობის დასაწყისი დაკავშირებულია ჩვენში ჩვენი ქვეყნის კაპიტალიზაციის ხანასთან, იმ ხანასთან, როცა სავაჭრო კაპიტალიზმი სმრფეველო კაპიტალიზმის სტადიაში გადავიდა და თავის შედეგად გამოიწვია ღრმა სოციალური მოძრაობა. ეს ხანაა 90-ნი წლები. ეს პერიოდი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი და უდიდეს ხანას წარმოადგენს. ამ პერიოდში საქართველო ვარკვეულად კაპიტალისტური მეურნეობის ფაზისში შევიდა, ამ გარემოებამ გამოიწვია საზოგადოებრივ ძალთა ახალი კლასობრივი გადაჯგუფება, ახალი სოციალური კლასის, პროლეტარიატის აღმოცენება.

ამ ახალ სოციალურ კლასს თავისი იდეოლოგია გაუჩნდა, ეს იყო რევოლუციონური მოქმედების ხელმძღვანელი თეორია—მარქსიზმი. მარქსიზმის სწრაფად განვითარებას და გავრცელებას ხელი შეუწყო ჩვენში არსებული პოლიტიკური ჯგუფების გაკოტრებამაც. მათ შორის ასეთ მიმდინარეობას წარმოადგენდა ხალხოსნობაც. ხალხოსნობით იმედგაქარწყლებული ინტელიგენციის დიდი ნაწილი მარქსიზმს მიემხრო. ამ მიმბრძობას ის უმნიშვნელობა ჰქონდა, რომ მარქსიზმის ნილაბში გამოეხეცა ისეთი სოციალური ფენების წირმომადგენლები, რომელთაც კლასიურად არაფერი საერთო არა ჰქონდათ მუშათა კლასთან. ისეთ ფენას წარმოადგენდა უსათუოდ წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელიც შემდეგში მენშევიზმის სახით ჩამოყალიბდა.

სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში მენშევიზმის—ამ წვრილ-ბურჟუაზიულ ოპორტუნისტული მიმდინარეობის გვერდით და მის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმოიშვა ორტოდოქსალური მარქსიზმის მიმდინარეობა—ბოლშევიზმი. იგი რევოლუციონური მარქსიზმის იდეოლოგიას გამოხატავდა, მოითხოვდა პროლეტარიატის ჰეგემონიის განმტკიცებას, მეორე მხარე კი უარყოფდა ამას და შემთანხმებლობის გზას ადგა.

შესამე დასელები ებრძოდენ ისეთ შეხედულებებს, რომელიც უარყოფდა ჩვენში კაპიტალიზმის არსებობას, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას და მუშათა კლასის როლს.

განსხვავება ნამდვილ და ცრუ მარქსისტებს შორის კი პროლეტარიატისა და კლასობრივი ბრძოლის შეფასების საკითხში ხდებოდა, ამიტომ საქართველოს რევოლუციონური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ფალსიფიკაციას წარმოადგენს ყოველი ისეთი აზრი, რომლის მიხედვით შესამე დასელების ფ. შახარაძისა და მიხა ცხაკაიას რევოლუციონური მოღვაწე-

ობა უთანასწოროდება ნ. ეორდანიას და სხვების მოღვაწეობას, ან და მარქსისტული წრეების დამაარსებლად გ. წერეთელი ითვლება.

არაფერს ამის მსგავს მოვლენას რევოლუციონური მარქსიზმის გამტკიცების საქმეში ადგილი არ ჰქონია. რევოლუციონური მარქსიზმის წარმომადგენელი საქართველოში მესამე დასელების ის რევოლუციონური ფრთა, რომლისგანაც შემდეგ ბოლშევიზმი წარმოიშვა.

ორტოდოქსალური მარქსიზმის განმტკიცების საქმეს თავისი პიონერები ჰყავს ჩვენში—ი. სტალინი, ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, ს. წულუკიძე და სხვები. მესამე დასელების პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, როგორც მარქსიზმის თეორეტიკოსს ფილიპე მახარაძეს, დაწყებული ოთხმოციან წლებიდან იგი შეურყევლად იცავდა და ასაბუთებდა მარქსის რევოლუციონურ მოძღვრებას. არ დარჩენილა ჩვენი ცხოვრების არც ერთი დარგი, რომელსაც არ შეხებოდეს ფ. მახარაძის კალამი.

იგი ერთი უმნიშვნელოვანესი მარქსისტი პუბლიცისტი და ამავე დროს, ბოლშევიკური ლიტერატურული კრიტიკის საუკეთესო წარმომადგენელიც.

იმ ბრძოლას, რომელიც მარქსისტებსა და ქართული ინტელიგენციის რეაქციონურ-ნაციონალისტურ ჯგუფებთან გაიმართა, უაღრესად პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ იგი სწარმოებდა პუბლისტურ-ლიტერატურული ბრძოლების სახით.

მარქსისტების მოწინააღმდეგებთან (მაგ. ნ. ნიკოლაძე, ილ. ჭავჭავაძე, არ. ჯორჯაძე და სხ.) ბრძოლაში წამოიჭრა მარქსისტების მიერ მწერლობის საკითხებზე ყურადღების გამახვილება. ჯერ ერთი ის ფაქტი, რომ დასელების ერთ-ერთი იდეოლოგი ე. ნინოშვილი ბელეტრისტი იყო, მეორე ისიც, რომ ე. ნინოშვილის გარდაცვალების შემდეგ მარქსისტების წინაშე მწვავედ დაისვა მისი პოლიტიკურ-ლიტერატურული მოღვაწეობას დაცვის საკითხი, თავის თავად ნიშნავდა ძველ კონსერვატიულ ინტელიგენციასთან შეტაკებას.

შეიძლებოდა თუ არა მარქსისტებს უყურადღებოდ დაეტოვებიათ მხატვრული მწერლობის საკითხები, როცა მათი მოწინააღმდეგეები ამ მწერლობის საშუალებით აღვივებდნენ რეაქციონურ ნაციონალიზმს, იბრძოდნენ კლასობრივი ბრძოლის შენელებისათვის, ილაშქრებდნენ მუშათა კლასის რევოლუციონური მოძრაობის, და რევოლუციონური მწერლობის წინააღმდეგ? ცნობილია მაგალითად, რომ „ივერიელები“ იღია ჭავჭავაძის მეთაურობით მესამე დასელების წარმომადგენელს ვილას უსუსურობად და ფანტიკოსობად სთვლიდნენ „ვინ ნინოშვილი, ვინ მესამე დასელების მეთაურობა“—ო!

იმ დროს, როცა მარქსისტები ე. ნინოშვილის რევოლუციონური შემოქმედების მნიშვნელობას ამტკიცებდნენ, როდესაც ეგ. ნინოშვილი უკვე პოპულარული იყო მუშათა მასებში, მაშინ ნაციონალისტური კრიტიკის წარმომადგენელი კიტა აბაშიძე შემდეგს სწერდა: „50 და 60 წლების მწერლების მეტს ახალ მწერლებს არსებითად არა შეუტანიათ მარქსიზმი, ახალი მიმართულება არ შეტქმნიათ, ახალი კვალი არ გაუვლიათ ლიტერატურაში“ (1896 წ.) ასეთ გამოსვლებს აშკარაა მარქსისტები უპასუხობთ არ დატოვებდნენ, ამიტომ კლასი-



მწერ-
ქართველი

ბრძევი და პარტიული ბრძოლა თანდათან გაღრმავდა და გამწვავდა

პირველ ხანებში მარქსისტები თუ სავაზეთო წერილებში „კრიტიკულ-დებოტენ, შემდეგში მწერლობის საკითხებზე სპეციალური შრომებით და ნარკვევებითაც გამოვიდნენ. ასეთი ხასიათის ნიმუშებს ეკუთვნის ფ. მახარაძის წიგნები „ხალხური პოეზია და ბ-ნი მელიტონ კელენჯერიძე“ (1897 წ.) „დანიელ ჯონაძე და მისი დრო“ (1903). ყარიბის (პ. გელეიშვილის) „ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლიცისტი“ (1914). მ. ტოროშელიძის — „ილიას შემოქმედება და მისი ნაწერების საერთო ხასიათი“ და სხვა.

ამ წერილებს და წიგნებს მარტო ლიტერატურული მნიშვნელობა კი არ ჰქონდა, არამედ იგი უაღრესად პოლიტიკური, პარტიული ბრძოლის გაგრძელებას და გამოხატულებას წარმოადგენდა. ასეთი ბრძოლა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგაც სწარმოებდა, რადგან ილია ჭავჭავაძე წარმოადგენდა ისეთ ერთ-ერთ მოწინააღმდეგეთაგანს, რომელიც მარქსისტებს ებრძოდა და რომლის ირგვლივ თავს იყრიდა ნაციონალისტური ინტელიგენციის დიდი ნაწილი.

მარქსისტებისგან ასეთ ლიტერატურულ ბრძოლებს უმთავრესად ფ. მახარაძე აწარმოებდა. ჯერ კიდევ 1896 წელს კ. აბაშიძის წინააღმდეგ მან დასწერა მეთოდოლოგიური წერილი „მეცნიერება გაკოტრდა თუ მეტაფიზიკა“. ფ. მახარაძემ დაამტკიცა იმ მეთოდის უეარგისობა, რომლითაც კ. აბაშიძე იხილავდა ქართული მწერლების შემოქმედებას. კ. აბაშიძე ბრუნეტიერის რედალისტური მეთოდის თვალსაზრისით ამტკიცებდა „თითქოს სოციალურ სფეროში ახალ ხანის აზრთა და იდეათა მიმართულება ბადებს, საზნეო მისწრაფებათა სიახლეს კქმის“. კ. აბაშიძემ შემდეგში ამ თვალსაზრისზე ააგო თავისი „კრიტიკული ეტიუდები“, მაგრამ მისი კონცეპციის მეთოდოლოგიური მხარე ფ. მახარაძემ იმ თავითვე უარპყო და შეათვას, როგორც მეტაფიზიკური, იდეალისტური მეთოდოლოგია.

თუ რამდენად ღრმად და სერიოზულად ეკიდებოდა ფ. მახარაძე მწერლობის საკითხებს, ამტკიცებს მთელი რიგი წერილებისა „კრიტიკული განხილვა“ (1896 წ.), „ხალხური პოეზია“ (1897) და სხვ. ამ ვრცელ ლიტერატურულ კრიტიკულ შრომებში ფ. მახარაძე ეკამათებოდა ქართულ ლიტერატურის ისტორიკოსებს შოთა რუსთაველისა და ხალხური პოეზიის საკითხებზე, და ბრწყინვალე მარქსისტული ანალიზით ახალ გაშუქებას აძლევდა არა თუ მარტო წარსულ ლიტერატურულ მოვლენებს, არამედ მიმდინარე პერიოდის მწერლებს, ამელაყენებდა, ნაციონალისტური ესტეტიური მკვლევარების და კრიტიკოსების უნიათობას და დაბნეულობას.

წერილში: „ხალხური პოეზია და ბ-ნი მელიტონ კელენჯერიძე“ — ის არკვევდა ლიტერატურული კრიტიკის მნიშვნელობას და იქვე ილაშქრებდა კ. აბაშიძის წინააღმდეგ.

„ჩვენ მთელი თავისი ძალ-ღონით წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ ესტეტიურ კრიტიკის გამეფებას ჩვენს მწერლობაში, მიდრეკილებას, რომელსაც საკმარისად ვამჩნევთ ორ ახალგაზრდა „კრიტიკოსებში“, სახელდობრ კიტა აბაშიძისა და ი. ნაკაშიძეში“ (გვ. 34 თბულ. კრებ. ტ. 5). კიდევ უფრო ჭევეთ ის სწერა. „აინც ცოტად თუ ბერად გავცნობა ბ. კ. აბაშიძის ნაწე-

რებს, ის ადვილად შეამჩნევს, რომ ამ კრიტიკოსს წან იდეალისტათ მოაქვს თავი და პინ რეალისტათ. ბ. აბაშიძე იდეალისტობს (ამ სიტყვის მეტაფიზიკური მნიშვნელობით), რაცა მეგ. ის ბრიუნეტოერზე და სარწმუნოებზე მსჯელობს, ხოლო ის რეალისტობს (ეს სიტყვის ფილოსოფიური მსჯელობით კი არა), როცა იღია ჰეგელის „განმეგობრებ“ შექმნილი სიტყვა.

ის ლიტერატურული ბრძოლები, რომელიც ქართულ მწერლობაში ფ. მახარაძემ გააჩაღა, იმ თავითვე რევოლუციონური მარქსიზმის პრინციპებიდან გამომდინარეობდა. ეს პრინციპები იყო: კლასობრივი ბრძოლის თეორია, პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეა, ბრძოლა ყველა იმის წინააღმდეგ, რაც კი ხელს უშლიდა რევოლუციონური მოძრაობის განვითარებას.

ბევრისთვის მაშინ გაუგებარი, მიუღებელი და მოულოდნელი რჩებოდა ლიტერატურული მოვლენების მარქსისტული გარკვევა, მაგრამ ფ. მახარაძის პუბლიცისტური უნარბიანობა სწორედ იმაში იყო, რომ ის მარქსიზმის ამ ბასრი იარაღით იძლეოდა არსებული ლიტერატურული სინამდვილის ანალიზს. ცხოვრებაში წარმოებულ კლასობრივი ბრძოლის პროცესების გამორკვევას, მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესების დაცვას, თავად-აზნაურულ და ბურჟუაზიულ ინტელიგენციის კლასობრივი ინტერესების გამომჟღავნებას და მათი პოლიტიკურ ლიტერატურული შეხედულებების კრიტიკას.

ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში მარქსისტების კანათი იღია ჰეგელბადესთან, როგორც თავად-აზნაურების ერთ-ერთ იდეოლოგთან—ერთი უშესანიშნავესი ფურცელია; ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ფ. მახარაძის ლიტერატურულ ბრძოლაზე ჰეგელბადისა და მისი მიმდევრების წინააღმდეგ. ი. ჰეგელბადე და მისი თანამოაზრეები იმ აზრს იცავდნ თითქოს მაშინდელი ცხოვრების სინამდვილეში არავითარი კლასობრივი ბრძოლა არ სწარმოებდა, ისინი უარყოფდნ საქართველოს ბატონ-ყმობის ურთიერთობაში კლასობრივ უთანბროებას, ჰეგელბადენ კლასობრივი ზავის თეორიას, იბრძოდნ ძველი ურთიერთობისა და მისი ტრადიციების შენარჩუნებისათვის, ამტკიცებდნ თითქო ისინი მშრომელი ხალხის დამცველები იყვნენ. ასეთ ფალსიფიკაციას აშკარა დაუნდობლად შეებრძობოდნ მარქსისტები. ამით აიხსნება ის გამწვავებული ურთიერთობა და დავა, რომელსაც ამ ბრძოლაში ჰქონდა ადგილი—თუნდაც იღია ჰეგელბადის წინააღმდეგაც, რადგან იმას, რასაც ის თავის მხატვრულ პრაქტიკაში ანახიერებდა, პუბლიცურადაც იცავდა. „გერედ წოდებული დასებრივი, ანუ როგორც ახლა ამბობენ—კლასობრივი მიმართულება, ჩვენი შეხედულებით, ვიწრო ბილიკით დაბარება („ივერია“ 1901 წ.) სწერდა იღია ჰეგელბადე და მოუწოდებდა ყველას მიეღოთ მათი პროგრამა „ქართველობის განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოების“.

სწორედ ამ რეაქციონურ-ნაციონალისტურ აზრებს ებრძოდნ მარქსისტები, მათ შორის ფ. მახარაძეც. იმ დროისთვის ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. მარქსისტების ბრძოლა მრავალ კოხსა და ცილისწამებას, ბრახს და მუქარას იწვევდა ნაციონალისტურ ინტელიგენციაში.

ეს ბრძოლა, უდაოა, დიდ ენერგიას და გამბედაობას თხოვლობდა. რადგან თუ კი დღესაც, პროლეტარული დიქტატურის პერიოდში, არიან ისეთი ფალსიფიკატორები, რომელთაც სწამთ, რომ იღია ჰეგელბადე მშრომელების



ინტერესების დამცველი იყო (ს. დევედარიანი), მიშინ რა გასაკვირველია, რომ იმ პერიოდში, როცა ქართული რევოლუციონური, თავადაზნაურული და სწორი-ბურჟუაზიული ინტელიგენცია ფედერალისტებისა და სხვებზე უმეტესად ცენტრ-ნებულ მდგომარეობაში იყვნენ, სასტიკად აღშფოთებულიყვნენ, მაგრამ მარქსისტ პუბლისცისტებისა და მათ შორის ფ. მახარაძის დამსახურება სწორედ იმაშია, რომ ის შტკიცდ და უშიშრად ებრძოდა მოწინააღმდეგეებს, ამხელდა მათ სიყალბეს და მატყუარობას.

თავის შრომის „დანიელ კონჭაძე და მისი დროს“ წინასიტყვაობაში ფ. მახარაძე ხაზს უსვამს ასეთ მდგომარეობას. დ. კონჭაძის მავალითზე ის სწერს: „საჭირო იყო იმ სამარისებული სიუჟის დარღვევა, რომელიც არსებობდა ქართულ მწერლობაში დ. კონჭაძის ირგვლივ. ეს იწებოდა ნილაბის ჩამოხდა მაშინდელ ქართველ დიდ და პატარა მწერლებსათვის“.

„ეს ვაგბატონები გარჯნულად ცრემლებს ღვრიდენ საწყალი ხალხის ე. ი. დატანჯული გლეხკაცობის შწარე ბედზე, მაგრამ სინამდვილეში ვწვოდენ მის გაბიაზრებას“. სწორედ ამან გამოიწვია ფ. მახარაძის მიერ ამ ნაწარმოების დასაცავად გამოსვლა.

„აუდილებელი იყო ამ სიყალბის და ამ თვალთმაქცობის მზილება. დ. კონჭაძის და მისი მოთხრობის ნამდვილი ისტორიის აღდგენა“

სწერს ფ. მახარაძე. როგორც ვხედავთ მებრძოლი პუბლიცისტის კალამს არა „სურამის ციხე“ ინტერესებდა თავის თავად, როგორც მხატვრული ნაწარმოები, არამედ ამ ნაწარმოებში წარმოკრილი სოციალური პრობლემა, და ამ პრობლემის საშუალებით რევოლუციონური ინტელიგენციის წინააღმდეგ ბრძოლა. აშკარაა მიზანი მიხწეული იქნა. ფ. მახარაძის ეს შრომა „დანიელ კონჭაძე და მისი დრო“ ერთ-ერთ თელსაჩინო მარქსისტული შრომაა.

უდიდესი მიღწევაა ის ბრძოლა, რომელსაც ფ. მახარაძე აწარმოებდა ცრუ-პატრიოტული ინტელიგენციის „რევოლიუციონერების“ პრეტენზიების საკითხში, თითქოს გლეხობის განთავისუფლების საქმე ეს თავად-აზნაურობის კეთილშობილობის საქმეს წარმოადგენდა და 60 წლების მწერლების მოღვაწეობა ამ საქმეს ემსახურებოდა.

ამ შეხედულების წინააღმდეგ, აშკარაა, საჭირო იყო ბრძოლა და იმ ფ. მახარაძეც აქაც თავის საღარაჯოზე სდგას. ის დაუნდობლად ამეღაწებდა ასეთი მოსაზრებების ნამდვილ შინაარსს. თუ სანამდე მიდიოდა ამ საკითხზე ნაციონალისტური ინტელიგენციის აღვირაზსნილობა, ამას ამტკიცებს თუნდაც ის ფაქტი, რომელსაც აღგილი ჰქონდა 1914 წელს ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ნაციონალისტ-ფედერალისტებმა გამოუშვეს „პროკლამაცია“ სადაც სწერდენ:

„ამ უკანასკნელად ისევ ამხედრდენ ბარბაროსები... რათა ცეცხლითა და მახვილით გაანადგურონ ჩვენი ერთეული სახე... კმარა რაც სჯიჯგნეს ჩვენი ერთეული გრანობა მამ შეებრძოლოდ, ამაზაგებო, ჩვენს დაუძინებელ შინაურ შტრებს“ (პ. გელეიშვილი—ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლისტი, 1914 წ.).

ამ „შტრებს“ რიცხვში, რასაკვირველია, ფ. მახარაძეც იგულისხმებოდა, რადგან ილია ჭავჭავაძისა და მისი მიმდევრების წინააღმდეგ ყველაზე ადრე ფ. მახარაძემ დაიწყო ბრძოლა და კიდევ აგრძელებდა ბრძოლას.

ჯერ კიდევ 1898 წელს ჟურნალ „კვალში“ დაიბეჭდა ფ. მახარაძის სპეციალური წერილი „საიუმბილეო ბროშურა“. უდიდესი სიმბაზევედობით და ფაქტების მკვეთრი ანალიზით ფ. მახარაძე ნიღაბს ზღის ამ წყნარ მთაზე ქავეჭავაძის—როგორც „ბრმა თაყვანის მცემელ, წვრილღება, ჩხავანა ინტელიგენციას, ისე მცხოვარ მოღვაწეებს და ბურჯებს“.

რას ამტკიცებდა ფ. მახარაძე ამ პირველ წერილში 60 წლების „მოღვაწეების“ შესახებ? იმას, რომ თავად-აზნაურული ინტელიგენცია და მათი ისეთი წარმომადგენლები, როგორც ილია ქავეჭავაძეა, თავად აზნაურობის რეაქციონური იდეოლოგიისა და ბატონ-ყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში არავითარი დამსახურება არ მიუძღვის, პირიქით, ის ცდილობს ნაციონალიზმის ნიღაბით კლასობრივი ზავის ჩამოგდებას, თავად-აზნაურობის გადარჩენას დაღუპვისაგან, მის შესწრდას ახალ ბურჟუაზიულ ურთიერთობასთან, მშრომელი ხალხის უკეთესი და ძველებური ჩაგვრისა და ექსპლოატაციისათვის.

ეკამათებოდა რა ილია ქავეჭავაძის იუმბილეს გამო ვიღაც წვრილღება ინტელიგენტის „მე გახლავარის“ წიგნაქს, ფ. მახარაძე სწერდა:

„როცა შესაძლებელი იქნებოდა დაიწყებინა ისინი მსჯელობას, მაშინ ამათ თავლში არც ისტორიულ ფაქტს აქვს ფასი და არც ლიტერატურულ ფოკუსებებს. ბ—ნი მაიაშვილი, მან, კითხვობს: ვინ ამოიღო ხმა მაშინ (შესაძლებელია) დაზარალებული გლეხკაცობის სასარგებლოდ ან ცდილობდა აღედგინა ფაქტურად დათრგუნული სახელი ადამიანისა, ვინ მიიტანა იფრიში თავად-აზნაურობისა და სხვა მის უფლებებ-უპირატესობებს წინააღმდეგ? წარმოვიგინეთ, რომ იმავე თავად-აზნაურებმაო—თამამათ გაიძისინ ავტორი და დარწმუნებული ხართ, რომ როცა ამას ამბობს, მართო ილია ქავეჭავაძე ჰყავს მუდღობაში და სხვა არაფერ“.

უფრო ქვევით ამ წერილებში ფ. მახარაძე მათ ბრალდებასაც უყენებს იმაში, რომ ისინი შეგნებულად გვერდს უვლიან ისეთ მწერალს, ვინც ნამდვილად და პირველად ხმა ამოიღო ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. „ქართული მწერლობის მამინაცვლეშმა“ დ. კონჭაძის „სურჯმის ციხე“, რომელშიაც აწერილია შემადრწუნებელი ამბები ბატონ-ყმობის ეზოვრებიდან, ვიფიქრებ და მის ავტორზედაც სრულიად ხმა გაკმინდეს,“ სწერს ის.

ეს დებულება წამოყენებული მის მიერ 1898 წელს იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ როცა შემდეგ ამ საკითხზე ბრძოლა გაღრმავდა, ფ. მახარაძემ (1903 წ.) მთელი შრომაც კი დაწერა („დ. კონჭაძე და მისი დრო“)

დასახელებულ წერილში ფ. მახარაძე გარკვევით აღნიშნავდა, რომ „მეგახლავარ“—ში ათასგვარ უფიცობას და კორს თესენ და ავრცელებენ საზოგადოებაში, ამ ნიადაგზე ის თავს ესხმოდა აგრეთვე გ. მაიაშვილსაც:

„მაიაშვილს რომ შეესწავლა ჩვენი მწერლობის ისტორია, ამ საუკუნის ორმოცდა ათი წლებიდან დაწყებული მაინც, სწერდა ამ. ფ. მახარაძე, მას ეცოდინებოდა, რომ ის, ვინც პირველად ამოიღო ხმა დაზარალებული გლეხკაცობის სასარგებლოდ ან ცდილობდა აღედგინა ფაქტურად დათრგუნული სახელი ადამიანისა, ვინც პირველად განაცხადა ჩვენში პროტესტი იმ შემადრწუნებელ წეს-წყობილების წინააღმდეგ, რომელსაც ბატონ-ყმობა ერქვა, იყო დანიელ კონჭაძე“.

1903 წელს ფ. მახარაძემ დოკუმენტალურად დაასაბუთა ამ წერილის რევოლუციონური დამსახურება, წინააღმდეგ იმ ათასგვარი უფიცობისა და კორისა, რომელსაც ნაციონალისტური ინტელიგენცია ავრცელებდა.



ამ წრომაში ფ. მახარაძე გარკვეულად და ცილძალი ფაქტიური მესალიფი ილია ქავჭავაძის მწერლურ და პოლიტიკური შეხედულებების შესახებ იტყობა.

„სახოგადოთ გონიათ—სწერდა იგი,—რომ როგორც ილია ქავჭავაძე, ისე იმ ახალგაზრდობის გუნდი, რომელსაც მესამოცე წლების მოღვაწეებს უწოდებენ, სახოგადოებრივი ასპარეზზე გამოსვლისთანავე ჰქუბდენ და კვდენ ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. უფრო გასაკვირველი აქ კიდევ ის გარემოებაა, რომ ყველა ეს მოღვაწეობი თავად-აზნაურები, განთქმული ოჯახის შვილები იყვნენ და აი თურმე პირველად ვის ამოუღია ხმა დანაგრულ გლეხეკობის სასარგებლოთ“... „საიდან და როდის გავრცელდა მესამოცე წლების მოღვაწეებზე ასეთი აზრი? როდის იყო, რომ თავად-აზნაურებს და განთქმული ოჯახის-შვილებს ოდესმე ჩვენში ბრძოლა აეტეზოს ბატონ-ყმობის წინააღმდეგ? ჩვენ განვიხილეთ ამ მხრით მესამოცე წლების მწერლობა და არაფერი ამის მაგისტრ იქ ჩვენ არ დაგვინახავს. მესამოცე წლების დასაწყისში გ. ი. იმ დროს, როცა ეს საკირო იყო, ჩვენ ვერ ვხვდავთ, რომ მესამოცე წლების მოღვაწეები ან სიტყვით ან საქმით აზნაურებელი ყოფილიყვენ ბატონ-ყმობის წინააღმდეგ“.

ფ. მახარაძის ასეთი გაბედული განაჩენი, აშკარაა, ააშფოთებდა ნაციონალისტურ ინტელიგენციას, კიდევ უფრო გაამწვავებდა პარტიულ პუბლიცისტურ ბრძოლას და ამით აიხსნება უსათუოდ თვით ილია ქავჭავაძის დასულებთან კამათში ჩარევა. სწორედ ამ ბრძოლის პერიოდს ეკუთვნის ფ. მახარაძის ილიას მიმართ დაწერილი წერილი „თავის გამართლებაც ასეთი უნდა“.

რას სწერდა ფ. მახარაძე ილიას ამ წერილის გამო? იმის ახსნას და დასაბუთებას, რისი დამალვა ილიამაც ვერ შესძლო „მტერი იმას ვერ უზამდა, რასაც მან თავის თავს უქნა—სწერდა ფ. მახარაძე.—ეს წერილი არა თუ თავის გამართლებათა, არამედ უსასტიკესი საბრალდებულო ოქმია თავისივე ხელით შედგენილი და ხელმოწერილი“. „აქ იგი გველაპარაკება ჩვენ, როგორც კერძო საკუთრების იდეოლოგი, როგორც შემომთუღ, რომელიც ყოველფეხის გადადგმაზე მზად არის იარაღით ხელში დაიკვას თავისი ინტერესები“.

მთელი შინაარსი ფ. მახარაძის წერილისა იმაში მდგომარეობს, რომ დოკუმენტალურად დაამტკიცოს ილიას რეაქციონერობა და დესპოტიზმი.

„ჩვენ არ გვგონია საქართველოს მიწაზე მოთავებოდეს მფორე ისეთი სასტიკი შემომთუღ, რომელსაც ასე უღმობელად მიყავდეს ციოვრებაში გლეხის გაყალღის სისტემა“ სწერს ის და აქიდან შემდეგ სრულიად ბუნებრივად ისეთი დასკვნა გამოყავს, რომელიც ილია ქავჭავაძის მხატვრულ პრაქტიკას ეხება.

„ქავჭავაძის ნაწერებში ხშირად შეხედებით მაღალფარდოვან სიტყვებს ადამიანურ ღირსებაზე და კაცურ-კაცობაზე, მაგრამ მისი საქციელიდან გამოვლის, რომ ყოველფეხ ეს შრომით თავადების მონაპოლია, თუ ეს ასე არ არის, მაშ რისთვის ეკიერება, რისთვის აწეება მას ბოღმა, როცა გლეხ-კაცს ესარჩლებიან გაუშაღარი მემამულეების წინააღმდეგ“.

ფ. მახარაძე ამისაც არ სჯერდებოდა და პირდაპირ კითხულობს „ნუ თუ სინტიმენტალური მოთხრობების დაწერა საკმარისია, რომ მის დამწერს ყოველივე სისაძაგლე ეპატიოს და ამის შესახებ პრესაში ხმა არ ამოიღოს?“ აქ, როგორც ვხვდავთ, ამ წერილის კულმინაციური წერტილია. საკითხი ეხება ილია ქავჭავაძის როგორც მწერლისა და მემამულის იდეოლოგიურ მხარეს.

II



ფ. მახარაძე იმ შეხედულებებისაა, რომ ილიას საქმე და მარქსისტების მიერ იმავი დანიშნულებას ასრულებს, ამიტომ ილაშქრებს კიდევ ერთხელ მთელი სისასტიკით.

„ის დიდი მოძრაობა, რომელიც დღეს ჩვენ თვალწინ ხდება, (რომლის მოწამენი დღეს ჩვენ ვართ და რომელიც მიმართულია დღევანდელი უსამართლობის წინააღმდეგ, დღევანდელი ძირითადი სოციალური უკუღმართობის მოსასპობად, მას მეტად აღონებს და ძლიერ აწუხებს“ ო.

სწერს ფ. მახარაძე და სწორედ ამ სოციალური მოძრაობის დასაცავად ებრძვის იგი ილია ჭავჭავაძესაც.

ფ. მახარაძე ამ შემთხვევაში ამ პოზიციით დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ისეთი ყაიდის ცრუმარქსისტს, როგორცაა თუნდაც ს. დევდარიანი, რომელსაც დღესაც ჰგონია, რომ „ნამდვილ ხელოვნებაში რეაქციონერიც რევოლუციონერია“. რეაქციონერი იყო ფ. ჭავჭავაძე, როგორც პოლიტიკოსი, რევოლუციონერი იყო როგორც მხატვარი, — სწერდა იგი ერთ-ერთ თავის წერილში, (ეურ. „მნათობი“ „ოქტომბერი და ინტელიგენცია“). იმას, რასაც ფ. მახარაძე ოცდა ათი წლის წინეთ ამტკიცებდა სხვა ორტოდოქსალურ მარქსისტებთან ერთად, ს. დევდარიანი მარქსიზმის სახელით ისევ აყალბებს და ამახინჯებს.

„ქართული მწერლობა იდგა მშრომელი ერის ფრონტზე, თუმცა თავად-ახანაურობას ეკუთვნოდნენ ქართველი მწერლები, მეტადრე მე-19 საუკუნეში, — სწერს ს. დევდარიანი, იდეოლოგიურად ჩვენი ინტელიგენცია იყო სისხლი და ხორცი ხალხის — მუშების, გლეხების და არა იმ მალღობი წოდების, რომელსაც ის ეკუთვნოდა თავისი შთამომავლობით“.

იშვიათად შემცდარ და ანტიმარქსისტულ მოსაზრებას ანვითარებს ამ წერილში ქართული ინტელიგენციის შეფასების საკითხში ს. დევდარიანი. ის ინტელიგენციას იღებს ყოველგვარი კლასიური დაყოფისა და იდეოლოგიური სხვა და სხვაობის თვალსაზრისით და სწერს: „ქართულ ინტელიგენციაზე არ ითქმება, რომ ის მშრომელი ხალხის მტერია, ის ეკუთვნის მუშათა კლასის მოწინააღმდეგე კლასებს“.

საკითხველია, მაშ რისთვის ებრძოდნენ რამდენიმე წლების განმავლობაში თუნდაც ჰესამე დასელები ნაროდნიკებს, მათ უხეირო ეპიგონებს ნაციონალ-დემოკრატებს, სოციალ-დემოკრატებს და ათასგვარი ჯურის რეაქციონერებს? რისთვის აგინებდა და ლანძღავდა ილია ჭავჭავაძე თუნდაც დასელებს? რისთვის უწოდებდნენ მარქსისტების ბრძოლას „ბარბაროსების ამხედრებას“? რისთვის იღებდა ხელში კალამს ფ. მახარაძე დანიელ ჭონქაძის დასაცავად? რაშია საქმე, სადაურ იდეოლოგიურ დაბნეულობასთან და სიყალბესთან გვაქს საქმე? აშკარაა აქ ადგილი აქვს სინამდვილის ფალსიფიკაციას, რომელსაც „მარქსისტი“ ს. დევდარიანი სჩადის, კიდევ უფრო მიუღებელია ს. დევდარიანის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც თურმე „30 წელიწადზე მეტია მესამე დასის დაბადებიდან, საქართველოს ინტელიგენციაში იყო მარქსიზმის იდეოლოგიური დიქტატურა, თავადახანაურული ან ბურჟუაზიული ინტელიგენცია აზროვნულად ებრძოდა მარქსისტულ ინტელიგენციას, საქმის დროს კი უკან მისდევდა“.

რით არ ჰგავს ს. დედუარიანის მთელი ეს ლაყბობა იმ ნაციონალისტური ინტელიგენციის მოღვაწეობას, რასაც მესამე დასელობის ცხოვრების სისტემაში შევხვდებით ფ. მახარაძე?

მარქსისტები, როგორც ფ. მახარაძე აგრეთვე მისი თანამოაზრეებიც, ამ ბრძოლას რეაქციონურ ინტელიგენციასთან მთელი თავისი რევოლუციონური გამბედაობით და სიცხადით ეწეოდნენ. ამით აიხსნება უსათუოდ ის სიტუაციებიც, რომელსაც ყოველთვის ამოღავნებენ ქართული ლიტერატურის ისტორიკოსები მესამე დასელების მწერლებისა და მათი პუბლიცისტების შიშართ (კ. აბაშიძე, ვ. კოტეტიშვილი, კაპანელი და სხვანი).

ფ. მახარაძემ რამდენიმე ათეული წლების შემდეგ ისევ აიმაღლა ხმა საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიის ფალსიფიკაციის, კერძოდ ს. ხუნდაძის სოციალ-ფედერალისტური კონტრაბანდის წინააღმდეგ (იხ. წერილი „მდგომარეობა თანამედროვე ქართულ მწერლობაში“ 1931 წ.)

ამ წერილმა, როგორც ცნობილია, თავისებური სიგნალი მისცა იდეოლოგიურ ფრონტზე ბოლშევიზმის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლას — ყოველგვარი ჯუროს კონტრაბანდისტებისა და ფალსიფიკატორების გამოსააშკარავებლად. რასაც თანამედროვე მარქსისტული კრიტიკა, — ამხ. სტალინის წერილ „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთ საკითხებთან“ დაკავშირებით — უდიდესი სიფხიზლით შეხვდა და მკაცრი ბრძოლა გაშალა, როგორც დამპალი ლიბერალიზმისა და კონტრრევოლუციონური ტროცკიზმის წინააღმდეგ, აგრეთვე სოციალ-ფედერალისტური კონტრაბანდისტების წინააღმდეგაც.

ამ ბრძოლების დადებითი მნიშვნელობა და მასში თანამედროვე კომუნიტური პრესისა და მარქსისტული სალიტერატურო კრიტიკის გამარჯვება იმაში გამოიხატა, რომ აებნა და ფარდა კონტრრევოლუციონური ფედერალიზმის რესტავრატორებს, ბოლშევიზმის ისტორიის ფალსიფიკატორებს, საქართველოს რევოლუციონურ მოძრაობის გამყალბებლებს (ს. ხუნდაძეს, ვ. გიორგაძეს, ს. დედუარიანს, ვ. კოტეტიშვილს, ვ. თავზარაშვილს და სხვებს).

ფ. მახარაძე რამდენიმე წლის განმავლობაში ებრძოდა სოციალ-ფედერალიზმის იდეოლოგიებს ა. ჯორჯაძეს, კ. აბაშიძეს, მათაშვილს და სხვებს, ამიტომ ადვილად გასაგებია, თუ რად გამოვიდა იგი ამ უკანასკნელადაც პრესაში სოციალ-ფედერალიზმის დღევანდელი ეპიგონებისა და რესტავრატორების წინააღმდეგაც.

ამ წერილში ის სწერდა: „ეს ის ხალხია, რომელიც წვენ ბოლშევიკ-ლენინელებს იდეოლოგიურ ფრონტზე წარსულშიაღაც გვებრძოდნენ, და როგორც სინანს, ახლაც გვებრძვიან იმ განსხვავებით, რომ წინედ ისინი გვებრძოდნენ ნაციონალ-დემოკრატიების, სოციალ-ფედერალისტების და მენშევიკების პარტიების სახელით, ახლა კი იმავე როლს წარმატებით ასრულებენ გარეგნულად, თითქოს ყოველივე პარტიის გარეშე მდგომნი“.

აქ ფ. მახარაძე ეკამათება კაპანელს, კოტეტიშვილს სამოციანი წლების მოღვაწეების შეფასების საკითხში და სრულიად სამართლიანად შენიშნეს:



„ეს საკითხი ჩვენთვის, მარქსისტებისათვის, უკვე თითქოს სამი ათწლეული წლების უკან გადაჭრილი იყო, მიუხედავად ამისა დაძველებულ და ყალბ შეხედულებას თუ „გადამღეულუბნის და იმათ რიცხვში ი. ჭავჭავაძის შესახებ ახლაც ყოლივ ჩვენი მსახიობები“ როგორ პართულ ლიტერატურაში (გაზ. კომუნისტი № 248, 1931 წელი)“

„ეს ვაქებატონები ამბინჯებენ სინამდვილეს, ისინი რღვენიან ისტორიას. ეს ამკარაა რადგ ნაც ფიტის ამ სულელი მტერი არააინ დაიჯერებს თერგდალფულებს რევოლუციონარიობას და სოციალისტობას, აბა ერთი წუთით შეეცადეთ წარმოიდგინოთ ილია ჭავჭავაძე „რევოლუციონერი“ და „სოციალისტი“. ჭეშმარიტად როგორც ამბობენ: ქაღალდი ყველაფერს აიტანსო“

უხება რა შემდეგ ს. ხუნდაძის შეხედულებებს, ის აღწვოთობას გამოსთქვამს:

„იი ამას ჩვენ ვერ დაუწვებთ, ეს ძირშივე უნდა იქნეს აღმოფხვირილი, რადგან ს. ხუნდაძე ედილობას გააცოცხლოს რეაქციონული და კონტრევოლუციონური შეხედულებები გადაგვარებულ, გ. ი. განაცოცხლისტებულ „ნაროდნიკების“ და სოც. დემოკრატიკისტებისა.“

მართლაც და რაშია საქმე? განა შეიძლება დაიჯეროთ, რომ ს. ხუნდაძე არ იცნობდა ფ. მახარაძის ნაწერებს და მის აზრებს თუნდაც მესამოცე წლების მწერლებზე, როცა თავის შრომებს სწერდა? უდაოა, ის ძალიან კარგათაც იცნობდა ამას, მაგრამ საქმე ხომ მარტო ცნობაში არ არის, არამედ ამ აზრების განიარებაში. ის კი ხშირად არ იზიარებს მარქსისტებისა და კერძოთ ფ. მახარაძის შეხედულებებს. მრავალ შემთხვევაში ის კიდევ ეკამათება მას, მაგრამ ისე და იმგვარად, რომ მას არც კი ასახელებს. „სოციალისმის ისტორია ჩვენი იწყება 90-იანი წლებიდან. ასე მსჯელობს ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ზოგიერთი მკვლევარი“—სწერს ს. ხუნდაძე თავისი წიგნის „სოციალისმის ისტორიისთვის საქართველოში“ წინასიტყვაობაში (ტ. პირველი, 1927 წ.)

„ჩვენი აზრი ძირიანად ეწინააღმდეგება ასეთ შეხედულებას, ჩვენ ვფიქროფთ, რომ 60-70-იან წლებში საქართველოში საგრძნობ გატაცებას ჰქონდა ადგილი სოციალისტური მიმართულებით“.

სხვაგან ს. ხუნდაძე ამ აზრს შემდეგ ნაირად აღრმავებს:

„ჩვენი გაერცელებული არის ყალბი შეხედულება, თითქოს ჩვენი სამოციანი წლების ინტელიგენცია არავითარ ბრძოლას არ აწარმოებდა ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ, რომ ისინი ბატონ-ყმობის მოსამბას კი არ მოიფხოვენ, არამედ შეეფებას და სხვა. უნდა ვთქვათ, რომ ასეთი შეხედულება გაფეებრობაზე არის აღმოცენებული. იგი საკითხების უტოღინარობის ნაყოფით უფრო არის, ვინემ თბიექტური მსჯელობისა“ („მზათობი“ № 1-2 1930 წ.)

„ობიექტური მსჯელობის“ ამ ფალსიფიკაციას ის ფასი აქვს, რის შესახებაც ფ. მახარაძე საუკეთესოდ შენიშნავს:

„იი როგორ იწერება ისტორია, ვინ მოიგონა მარქსი, ენგელსი, ლენინი! ვინ მოიგონა მთელ თათბათა თავგანწირული ბრძოლა, რევოლუციის თურმე ამსადგებენ რეაქციონერება და მონარქიატული მწერლები, სოციალისმისათვის თურმე ისინი სწირავდენ თავს.“

ს. ხუნდაძის შესახებ ის პირდაპირ სწერს:

„სახელდობრ—ვის ყალბ შეხედულებაზე ღამარაკობს იგი, როცა იცავს მესამოცე წლების მოღიბრალა-ნაციონალისტურ ინტელიგენციას და ასე ხელაყრობით იჩოტებს მის წინაშე? ამკარაა, მას შეხედულებაში აქვს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი შრომა „დ. ჭონქაძე და მისი დრო“, რომელიც დაიწერა 1908 წ. და გამოქვეყნდა 1904 წლის დასაწყისში“.

ფ. მახარაძის ეს განცხადება უაღრესად სწორია, რადგან მისი შრომა დანიელ კონჭაძის შესახებ იმდენად მნიშვნელოვანი მარქსისტული შრომა მთელ ქართულ ლიტერატურაში, იმდენად უდიდესი პოლიტიკურ-ლიტერატურული ღირებულება აქვს მას, რომ ყოველად შეუძლებელია რომელიმე მკვლევარმა და ისტორიკოსმა გვერდი აუაროს მის ავტორიტეტულ შეხედულებებს.

სიყალბეს წარმოადგენს ს. ხუნდაძის მტკიცება თითქოს „სოციალისტური აზროვნება უკვე 60-იან წლებში შემოიჭრა ჩვენში“ (ტ. 2, გვ. 256).

„რომ 60-იანი და 70-იანი წლების ინტელიგენციაში თავმოყრილია, როგორც დემოკრატიული რევოლუციონერი და ლიბერალური პროგრესული ისე სოციალისტური სისტემის ფორმულები“ (ტ. 1 გვ. 96) „ისტორიული ფაქტია, რომ 1872 წელს საქართველოს ნაროდნიკულ ინტელიგენციამ დაარსა პირველი რევოლუციონერი პარტია საქართველოში“ (ტ. „ქართული მწერლობა“ 1930 წ.). „მარქსიზმი პირველად ჩვენში შემოვიდა 80-იან წლებში, მისი შემომტანი იყო ნაროდნიკული ინტელიგენცია“ (ტ. 1. გვ. 90)... „ჩვენში მარქსიზმი 90-იან წლებში ქართულ ნაროდნიკების ბეჭებზე აღმოცენდა“ (ტ. 1 გ. 6) „60-იანი წლების მიწერულში ეკონომიური ფაქტორების მნიშვნელობა პირველად წამოაყენა უტომისტმა თარხან მოურავმა, ამით იგი გახდა პირველი წინამორბედი ქართულ მარქსისტებისა. 70-80-იან წლებში ეს ხაზი თავისებურად განაგრძო გ. შიაშვილმა. ამით შორე ნაბიჯი იქნა გადადგმული მარქსიზმისაკენ, ხოლო იმავე 80-იანი წლებში ი. ბოსლუველმა შესამე საკმაო მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა“ (ტ. 2 გ. 131) (საინტერესოა „შესამე დასი“ რომელი ნაბიჯია ამ კლასიფიკაციის მიზნად? იქნება ამ ხალხის ეპოქაში ა. ს.) „სოციალისტური ტენდენციები აუცილებლად სჭარბოდნენ თარხან მოურავის ნაწერებში“ (ტ. 1 გ. 141.) „ბეტრიაშვილის წერილებს აშკარად ატყვია სოციალისტური აზროვნების გავლენა“ (ტ. 1 გვ. 163)... „ილია ჭავჭავაძის ნაწერებში ჩვენ ვხვდებით სოციალისტური აზროვნების ელემენტებს“ (ტ. 1 გვ. 140)... „პრინციპალურად და სიტყვიერად გ. შიაშვილი არასოდეს არ დაშორებია სოციალიზმის ნიდაგს“ (ტ. 1 გვ. 163) „მე-19 საუკუნის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთობას სხვაგვარად არი სოციალური წოდების—ბატონისა და ყმის ურთიერთობა. ილია თავის პოთხოვნებში უკანასკნელის მხარეზე სდგას“ (გაზ. „კომუნისტი“, რეცენზია ი. ჭავჭავაძის 2 ტომის გამო)... „თარხან მოურავი გასდა პირველი წინამორბედი ქართველი მარქსისტებისა 60-იან წლებში“ (ტ. 2 გვ. 131).

შეუძლებელია მეტი ციტატების მოყვანა, მაგრამ არ შეიძლება დავიწყებული იქნეს ბოლშევიზმზე თუნდაც ისეთი ცილისწამებაც, როგორცაა ის მოსაზრება, თითქოს „ეროვნული საკითხის მოწესრიგებაში ნაროდნიკულმა ინტელიგენციამ სალი ინტერნაციონალური პრინციპი შეითვისა. თანამედროვე ბოლშევიზმმა განაგრძო ეს ინტერნაციონალიზმის პრინციპი“.

თურმე თანამედროვე ლენინური ნაციონალური პოლიტიკა, რომელიც ტარდება ჩვენს ქვეყანაში, ქართველი ნაროდნიკების პოლიტიკის გაგრძელება ყოფილა,—ამაზე მეტი სიყალბის ჩადენა შეუძლებელია.

ყველა ამ ციტატების საპასუხოდ შეიძლება გავიმეოროთ ფ. მახარაძის სიტყვები, ქართულ ლიტერატურის ნაციონალისტურ-რეაქციონური ისტორიკოსების წინააღმდეგ ნათქვამი:

„ეს ვაგბატონები ამბიჩეებენ სინამდვილეს. ისინი რყენიან ისტორიას. ეს აშკარაა, რადგან გიყის ან სულელის მეტი აბა ვინ დაიჯერებს თერგდაღუფლების რევოლუციონერობას და სოციალისტობას... რაშია საჭმე, რისთვის თავებობენ ასე ეს ვაგბატონები, რომ ასეთ სისულელეს ჯერ სთხზავენ და შემდეგ უსირცხვილოდ აქვეყნებენ?“

„კონტრევოლუციონური სოციალ-ფედერალიზმის, მენშევიზმის, კონტრევოლუციონური ტროცკიზმის წარმომადგენლებს არ შეუძლიათ ასევე მიიტყუონ ჩვენს კომუნისტურ პრესას, მარქსისტულ ლიტერატურულ პერიოდულ მხედველს ან მხედველს არ დარჩენია ს. ხუნდაძის ეს მანვე შეხედულებები. ის გამოამჟღავნებულ იქნა და ის ფაქტი, რომ ამ შეხედულებების წინააღმდეგ ისევ ხმა იმართლა ბოლშევიზმის ძველი გვარდიის ღირსეულმა წარმომადგენელმა ფ. მახარაძემ, მაჩვენებელია ბოლშევიკური აზროვნების სიუხიზლისა და შეურიგლობისა ყოველივე ანტიმარქსისტულ, ანტირევოლუციონურ შეხედულებებთან.“

III

„დანიელ კონჭაძე და მისი დროის“ ერთ-ერთ უკანასკნელ გამოცემის წინასიტყვაობაში ანხ. ფილიპე მახარაძე სწერს:

„ჩემი მოვალეობა დ. კონჭაძის წინაშე, ავად იყო თუ კარგად, შევასრულე, რამდენად დრო და გარემოება ამაში ხელს მიწყობდა. მაგრამ სპეციალურად აქამდე ვერ შევასრულე თარი ქართული მწერლის ნაწარმოების შესწავლა და დაფასება, რაც მე შედარებით დიდი ხანია მოგიტეხული მჭონდა და კიდევაც ვემზადებოდი ამისათვის. მე ეამბობ ალექსანდრე ვახტანგის და ეგ. ნინოშვილის შემოქმედებაზე, განსაკუთრებით უკანასკნელზე (გვ. VII).“

მაგრამ ეგნატე ნინოშვილს ღირსეული რევოლუციონურ-მარქსისტული შეფასება მაინც ერგო ფ. მახარაძისაგან. 1930 წლის იანვარში ფ. მახარაძემ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებისა და მწერალთა კრებებზე ვრცელი მოხსენება წაიკითხა ეგ. ნინოშვილის შესახებ და ამით ბრწყინვალედ შეასრულა თავისი დიდი ხნის სურვილი.

თუ მის შრომას დანიელ კონჭაძის შესახებ უდიდესი პოლიტიკური, ლიტერატურულ და თეორეტიული მნიშვნელობა აქვს, ასეთივე მნიშვნელობა აქვს მის უახლოვეს წიგნს ეგ. ნინოშვილზე. ე. ნინოშვილი ის მწერალია, რომლის „ცხოვრებისა და მოღვაწეობასთან მჭიდროდ დაკავშირებულია, როგორც ფ. მახარაძე ამბობს—მარქსიზმის ისტორია ჩვენში“. მრავალი წლის განმავლობაში ნინოშვილი გარკვეულად იღვენებოდა ქართულ მწერლობიდან ნაციონალისტურ კრიტიკოსების მიერ. ცნობილია მაგალითად მეტად დამახასიათებელი ფაქტი, რომ კ. აბაშიძემ ეგ. ნინოშვილი არ ცნო ღირსად შეეტანა თავის „ეტიუდებში“.

ე. ნინოშვილი იმ ახალი თაობის მეთაურია, ერთ-ერთი პიონერთაგანი იმ მოძრაობისა, რომელიც 90 წლებში მარქსიზმის სახით დაიწყო ჩვენში. თვით ის ფაქტი, რომ მარქსისტების პირველი ჯგუფი—მესამე დასი ეგ. ნინოშვილის დასაფლავების დროს გამოვიდა მტკიცე პროგრამით, მეტად უმნიშვნელოვანესი მოვლენაა და იმისი მაჩვენებელი, რომ ეგ. ნინოშვილი თავისი შემოქმედებით და მსოფლმხედველობით ახალი კლასის—პროლეტარიატის მედროშე მწერალი იყო. ეგ. ნინოშვილი თავის სიცოცხლეშივე გახდა მუშათა ფართო მასებისათვის საყვარელი და პოპულარული მწერალი. მარქსისტების პირველი პუბლიცისტური გამოსვლა ე. ნინოშვილის სახელთანაა დაკავშირებული, პირველი წერილები რომელიც „კვალში“ მარქსისტებმა დაბეჭდეს ე. ნინოშვილის დაცვისა და მისი იდეების პოპულიარიზაციას წარმოადგენდა.

ეგ. ნინოშვილზე მრავალი წერილი და წიგნია დაწერილი ჩვენში, მაგრამ ყველა ამ შრომებში მნიშვნელოვან წიგნად ფ. მახარაძის „ეგ. ნინოშვილი“ უნ-

და ჩაითვალოს. ესაა ნინოშვილის ნამდვილი მარქსისტული შეფასება წინააღმდეგ იმ შაბლონისა, რომლის მიხედვით ეგ. ნინოშვილი ხალხის მესაიდუმლოა, ტანჯვის პოეტი, უფერული ნატურალისტი, უფრო პუბლიცისტი ვიდრე მხატვარი და სხვ.

მსგავსი ინტელიგენტური, მენშევიკური ლაყბობა ფ. მახარაძის მიერ არის დარღვეული. იგი სასტიკად ილაშქრებს ნინოშვილის ასეთი მტრული მენშევიკური შეფასების წინააღმდეგ. „დანიელ კონჭაძეში“ და ამ წიგნშიაც ფ. მახარაძე ფართოდ იხილავს მეცხრამეტე საუკუნის სოციალ-გკონომიურ ცხოვრების ეტაპებს და ე. ნინოშვილის შემოქმედებისა და პოლიტიკური მოღვაწეობის ფორმაციას და მნიშვნელობას.

— ნინოშვილის მოთხოვნებს დიდი მხატვრული ნიჭის ბეჭედი ასვია“, სწერს ფილიპე მახარაძე, „დიდი მხატვარი და დიდი რეალისტი იყო“. ამ საკითხში იგი განსაკუთრებულად ეკამათება ივ. გომართელს. გომართელი ფიქრობდა, რომ ნინოშვილის ზოგიერთ ნაწარმოებში სინამდვილე ყალბი თვალით არის ნაჩვენები, რომ ის პუბლიცისტია და არა მხატვარი, ტენდენციურია და სხვა.

ეგ. ნინოშვილი როგორც კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე მდგომი მწერალი, გომართელისათვის მიუღებელია. ასეთი მოსაზრება გამომდინარეობს მენშევიზმის კლასთა თანამშრომლობის კონცეპციიდან.

ამ კონცეპციას ჩვენში წლების განმავლობაში მტკიცედ იცავდნენ მენშევიკები, ამის დამამტკიცებელია მენშევიკური პუბლიცისტებისა და ლიტერატორების მთელი რიგი წერილებისა, ჯერ კიდევ 1900 წელს, როცა არ არსებობდა „მენშევიზმის“ სახელწოდება, იგივე გომართელი აშკარა მენშევიკურ-ოპორტუნისტულ მოსაზრებებს გამოსთქვამდა ნინოშვილის შეფასების დროს.

ის სწერდა:

„სოციალისტურად ცხოვრების ჩვენი სურვილისამებრ გარდაქმნა თუ არ შეგვიძლია, სამაგიეროდ ჩვენ შეგვიძლია გაუშვალავდეთ უსამართლობას, მაგნიბელ ჩვეულებებს უცილობას, კლერს თუ ვერ ვიხსნით გაპროლეტარებისგან, სამაგიეროდ შეგვიძლიან ვიხსნათ ის უსამართლობისგან, უცილობისაგან“ და სხვა.

ამ თვალსაზრისით იხილავს გომართელი ნინოშვილის შემოქმედებას, მაგრამ ნინოშვილი, რეფორმატორი კი არა იყო, არამედ რევოლუციონერი მარქსისტი, პროლეტარული დიქტატურის მომხრე.

ყარობი გარკვეულად სწერდა: ერთხელ და უკანასკნელად უნდა უარვყოთ ის შეხედულება, თითქოს პოეზია და პოეტები პოლიტიკას უნდა ემსახურებოდნენ და რომელიც პოეზიას ხდის ტენდენციურადო (გაზ. „ალი“ 1908 წ. № 27). პოლიტიკისა და კლასთა ბრძოლის განდევნა ლიტერატურიდან — ამისია იმ მენშევიკური აზრების შინაარსი, მარქსიზმის მოძღვრებით კი კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში არ არსებობს პოლიტიკური და უპარტიო მწერლობა. „უპარტიობა ყოველთვის და ყველგან ბურჟუაზიის იარაღი და ლოზუნგი იყო.“ — სწერდა ამხ. ლენინი. „უპარტიობა ბურჟუაზიის იდეაა, ბურჟუაზიული ნიღაბი, პარტიულობა არის სოციალისტური იდეაო“. მენშევიკები პოლიტიკაში და ლიტერატურაშიც სწორედ ამ ბურჟუაზიული იდეებისათვის იბრძოდნენ. სწორედ ამ ნიღაბს იფარებდნენ პირსახეზე.

ს. დევდარიანი ერთ-ერთ თავის წერილში ლიტერატურაზე ისე აზრს ახვითარებდა:

„ამბობენ, არის მხატვრული მწერლობა ერთი კლასის და მწერული მწერლობა, კლასი იცავს თავის ინტერესებს მხატვრული კალმის საშუალებითაცო. ეს კლასის მხატვრული მოდგომა მწერლობასთან... მხატვრული მწერლობა აღარ არის იქ, სადაც მხატვრულ მწერლობაში ვრევა პოლიტიკა (იხ. „მნათობი“ № 6, 1924 წ.).“

კომენტარიები ზედმეტია. აქ პირწავარდნილი ბურჟუაზული იდეაა, წმინდა მწერლის მენშევიზმი, კლასობრივი ბრძოლის, პარტიულობის, კლასობრივობის ტენდენციურობის წინააღმდეგ ბრძოლა.

სწორედ ამ ტენდენციურობისადმი შიშს მიჰყავდა მენშევიკები ყოველთვის ნაციონალიზმისკენ, კლასობრივი ზავისკენ, სწორედ ამ ტენდენციურობის შიშით ავიწყდებოდათ მათ ლიტერატურული მოვლენების კლასიურ პარტიული შეფასება.

ყარიბი აკაკი წერეთლის შესახებ ისე სწერდა როგორც თუნდაც ვაზ. „საქართველო“-ში ვეშაპელი. მეტად დამახასიათებელია მენშევიკების ერთ-ერთი ვაზეთი „ალის“ მოწინავე წერილი აკაკი წერეთლის იუბილეს გამო (იხ. „ალი“ 1908 წ. № 28)

„მოუწოდებთ ყველა ჩვენს თანამოაზრებს—დაივიწიონ დღეისათვის ყველა ის უთანხმოებანი, რომელიც ჩვენს დამოკიდებულებას აკაკის მიმართ ძირითადად (ზაზა რედაქციის) განასხვავებს ერის სხვა ელემენტების დამოკიდებულებასგან. აკაკი დღეს მთელი ერის წინაშე სდგას, არა როგორც ვინმე აკაკი, არამედ როგორც მთელი ერის საუნჯე“.

აქ კლასიური ზავის მთელი პროგრამაა, ამიტომ იყო ამ ზავის თვალსაზრისით ეგ. ნინოშვილი ბევრისთვის ტენდენციური.

ამჟამად ეგ. ნინოშვილი გამოხატავდა ქართველი ერის არა ყველა კლასების, არამედ ამ ერის დაწვრთნილ ფენების მუშებისა და გლეხების ინტერესებს, თავისი მოღვაწეობის მხატვრული შემოქმედებით იგი მოუწოდებდა კლასიური ბრძოლისაკენ, პროლეტარული დიქტატურისკენ.

როგორც ე. ნინოშვილის იდეური თანამებრძოლი, ფ. მახარაძე უდიდესი მზრუნველობით და მარქსისტული სისწორით არკვევს და ახასიათებს ნინოშვილის შემოქმედებასა და ცხოვრებას. ამჟამად და აკრიტიკებს ყველას (ივ. გომართელს, ვ. კოტეტიშვილს და სხვებს), ვინც ამახინჯებს ეგ. ნინოშვილის ისტორიულ როლს და მის მხატვრულ შემოქმედებას:

საერთოდ ფ. მახარაძის შრომა, „ეგ. ნინოშვილი“ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ე. ნინოშვილი მუშათა კლასის ერთი საუკეთესო და საყვარელი მწერალია, ამიტომ ხვდა მას წილად ღირსეული დაფასება ამ ბოლშევიკ პუბლიცისტიკაგან.

„მისი სიკვდილის შემდეგ ჩვენ განვიცადეთ,—სწერს ეგნატეს შესახებ ფ. მახარაძე—საბი დიდი რევოლუცია, რომელთაც მოღვა განზორციელებდა იმ იდეალებისა, რომლებსათვის იბრძოდა ე. ნინოშვილი, მის შემდეგ რამდენი პარტია არ წარმოიშვა საქართველოში, მაგრამ ისტორიამ ყველა ეს პარტიები გააყამტვერა, მაგრამ ის პარტია, რომელსაც ჩვენში საუფუქილა ჩაუყარა ნინოშვილმა, დღეს გაპარჯებულა.“

მუშათა კლასის ღირსეულ მწერალს ღირსეული შეფასება ესაქიროებოდა და ეს ვალდებულება ფ. მახარაძემ შეასრულა.

IV



ანხ. ლენინი ერთ დროს რუსეთის ნაროდნიკებთან კამათის დროს ამბობდა, რომ პროლეტარული მეთოდი გზას სწმენდს წარსულზე, პროლეტარული ნაღველი კლასობრივი ბრძოლისათვის; რომ მარქსიზმის ერთადერთი ძირითადი საკითხი არის კლასობრივი ბრძოლის საკითხი. რევოლუციონური მარქსიზმის—ბოლშევიზმის მთელი ისტორია სწორედ ამ კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით მუშათა კლასის ინტერესებისათვის ბრძოლის ისტორიაა. ბოლშევიზმში შეურიგებელი ბრძოლაა ყოველგვარი ბურჟუაზიული, წვრილ-ბურჟუაზიული რეაქციონური შეხედულებებისა და მასთან შემარტყველობის წინააღმდეგ. ამ ნიშნით ბრძოლაში დავაგაკაცდა ბოლშევიკური პუბლიცისტიკა, ამ ნიშნით იბრძოდნენ ჩვენში ქართველი ბოლშევიკი პუბლიცისტები. ამ ნიშნით იხილავდა ლიტერატურულ მოვლენებს ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, ს. წულუკიძე, მ. ტორაშვილიძე და სხვა.

პირველი იერიშები, რომელიც მარქსიზმმა მიიტანა ჩვენში თავდაზნაურული ინტელიგენციის იდეოლოგიური პოზიციების წინააღმდეგ, იმაში მდგომარეობდა, რომ დამტკიცებდა კლასობრივი ბრძოლის არსებობა ქართულ სინამდვილეში. რეაქციონური ინტელიგენცია ამტკიცებდა, თითქოს საქართველოში კლასობრივი ბრძოლა არას-დროს არ ყოფილა, ის ამახინჯებდა ისტორიულ სინამდვილეს და ცდილობდა უფრო უკეთ მოეწყო ყველფა, ჩაგვრის საშუალება კლასობრივი ბრძოლის მიჩქმალვისა და კლასობრივი ზავის ღონისძიებით. „ივერია“ მარქსისტების წინააღმდეგ იმ თავითვე წერდა:

„უგრედ წოდებული დასებრივი, ანუ როგორც ახლა ამბობენ კლასიური მიმართულება... ვიწრო ბილიკით დაიარებაო“ (ილ. ტაყვაძე)... იმის მაგიერ, რომ წოდებთა შორის სიყვარული, თანაზნობა და მშვიდობიანობა ჩამოგდოთ, ეს გუნდი მწერალთა სულ წინააღმდეგ გრძობებსა სთესავდა („ივერია“ 1893 წ. № 1).

კლასთა შორის ბრძოლა ჩვენში არც შეიძლება და არც საჭიროა, ჩვენ უნდა ვეცადოთ ერთი და იგივე იდეალი მოაშენოთ გავერცელოთ ჩვენი ერის ყველა ნაწილებში“

რევოლუციონური მარქსიზმის მიმდევრებს არ შეეძლოთ არ ებრძოლათ ამ კლასობრივი ზავისა და იდეოლოგიური ერთიანობის წინააღმდეგ—როგორც ექსპლოატატორული კლასების კლასობრივი ინტერესებისათვის ბრძოლის საშუალებებისა და მატყუარობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ჩვენს სინამდვილეში რევოლუციონური მარქსიზმის სახით იმ თავიდანვე მესამე დასელების რევოლუციონური ფრთა ასრულებდა ფ. მახარაძის, მ. ცხაკაიას, ს. წულუკიძის და სხვების სახით. რევოლუციონური მარქსიზმის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა ყოველთვის, რომ ის შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა ასეთი იდეების წინააღმდეგ, ნიღაბს ხდიდა ამ ბურჟუაზიულ მატყუარობას და კლასობრივ ბრძოლას სწორ მიმართულებას აძლევდა.

ამ თვალსაზრისით თვით მენშევიზმის კონტრევოლუციონური ბუნება და ყველა სხვა ექსპლოატატორული კლასების და მათი პარტიებისა ერთნაირი იყო. უმთავრესი თვისება რადიკალიზმისა კლასთა თანაშრომლობის იდეა არისო-ამბობდა ვ. ლენინი, ამიტომ ებრძოდა და ებრძვის ბოლშევიზმი მენშევიზმს,

კონტრრევოლუციონური ტროცკიზმს, და სხვ. კლასთა ჰარმონიის და კლასთა თანამშრომლობის იდეის დროშით იბრძოდნენ ჩვენში „ივერიელები“. ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ამავე პროგრამას აღრმავებდნენ და აგრძელებდნენ მის მოლას ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და მენშევიკებიც. ფედერალისტების ბელადი არ. ჯორჯაძე გარკვეულად შოუწოდებდა ქართველ მუშებს კლასობრივი ზავისკენ.

„ქართველი კაპიტალისტი, ე. ი. ვაჭარი და შრეწველი, ქართველ მუშას კი არ უნდა დაუპირდაპირათ, არამედ ფეხო ტომის ელჩენტს“.

არ. ჯორჯაძის მოძღვრების მიხედვით ქართველ მუშას მხარი უნდა დაეჭირა ქართველი კაპიტალისტისთვის, ხელი აეღო საკუთარი კლასობრივი ინტერესებისთვის ბრძოლაზე.

ნაციონალ-დემოკრატების ლიდერი გრ. ვეშაპელი უფრო გვიან გამოთქვამდა ბრახს და სინანულს იმის გამო, რომ კლასობრივი ბრძოლა ჩვენში არ მიდიოდა იმ გზით, რა გზითაც იგი ქართველი თავადების და ბურჟუა-კულაკების პარტიებს უნდოდათ წაეყვანათ.

„ამირ-კავასის რენის-გზამ, წიფის კლდეში გაჯვანლმა, გადაჰედა აქეთა და იქეთა საქართველო და ამერეთ-იმერეთი ერთ სამურნეო და ცროვნულ ერთფელად... მაგრამ ებრაას ხელში დაბადებულმა პარტიებმაც ხელახლად გააპუს ჩვენი ჟრის სულიერი და ნივთიერი ძალღონა... ლიბის შთის ადგილი შედიდურმა „სოციალიზმა“ დაიკავა, ამერეთ-იმერეთის მაგიერ ქართველობა „ბურჟუებად და ბრალეტარებად გაყვეს“ („საქართველო“ 1915 წ. № 121).

ერთად ერთი მიმდინარეობა, რომელიც უპირდაპირდებოდა და ებრძოდა „ამ საერთო ნიადაგის“, იდეოლოგიურ მოძრაობას-ბოლშევიზმი იყო. ეს ხაზი იმ თავითვე ფ. მახარაძის პუბლიცისტური ბრძოლის საგანს წარმოადგენდა. მაგრამ არაებობდა ჩვენში ისეთი მიმდინარეობაც, რომელიც „მარქსიზმის“ ნიღბით ხელს უწყობდა ნაციონალისტურ-რევოლუციონური ინტელიგენციის და პარტიების საერთო მოქმედების, კლასური ზავის იდეოლოგიის გამაგრებას—ეს მიმდინარეობაა მენშევიზმი. ამ წვრილ-ბურჟუაზიული მიმდინარეობის იდეოლოგიად, როგორც ცნობილია ნ. ჟორდანიას ითვლება.

ჩვენი ქართველი იდეოლოგიური აზროვნებისა და რევოლუციონური მოძრაობის ზოგიერთი ფალსიფიკატორებისა და შეზღაპრების წყალობით მენშევიზმსა და ნ. ჟორდანიას შეფასების საკითხში მრავალ გაუგებრობას აქვს ადგილი. ზოგნი ისე ამახინჯებენ ისტორიულ სინამდვილეს რომ ნ. ჟორდანიას მარქსისტად აცხადებენ და მას ფ. მახარაძის გვერდით აყენებენ, სინამდვილეში კი როგორც მენშევიზმი არასდროს არ ყოფილა მარქსისტული მოძრაობა, ისე ნოე ჟორდანიაც არასდროს არ ყოფილა რევოლუციონერი მარქსისტი, დროა ამ ლეგენდას ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო.

ნ. ჟორდანიას იმ თავიდანვე რყენიდა და ამახინჯებდა მარქსიზმს. ბერს ჰგონია, რაკი ნ. ჟორდანიას მესამე დასელი იყო, ამიტომ მარქსისტიც იყო, ნამდვილად კი ის მხოლოდ იმისთვის იბრძოდა, რომ კაპიტალიზმი დამკვიდრებულიყო ჩვენში. ამიტომ თუ ერთ დროს კაპიტალიზმის შემოქრის აუცილებლო-

ბას და კლასთა ბრძოლის არსებობას აღიარებდა, ეს ოდნავად არ ნიშნავდა იმას, რომ ის რევოლუციონერი იყო. ვ. ლენინი ასეთი მაქრისტების შესახებ ამბობდა: ვინც მხოლოდ აღიარებს კლასთა ბრძოლას, ის ჯერჯერუჯერის მარქსისტი... მარქსისტი მხოლოდ ისაა ვინც ავრცელებს კლასბრძოლის აღიარებას პროლეტარული დიქტატურის აღიარებამდე (ტ. XIV, გვ. 323).

სწორედ ეს თვისება აკლდა ნ. ჟორდანიას იმ თავიდანვე, ოპორტუნიზმისათვის დამახასიათებელი თვისებაა კლასთა თანამშრომლების იდეა. ქართული მენშევიზმი ამ კლასთა თანამშრომლების და ოპორტუნიზმის განსაზიარებაა. მენშევიკური ოპორტუნიზმი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობაში ჯერ კიდევ მაშინ გამოიყვანდა, როცა არ არსებობდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა, არამედ მესამე დასელების სახით იდეურ მოძრაობას წარმოადგენდა მხოლოდ. ნ. ჟორდანიას პირველ წერილებშივე გამოიყვანდა წერილებურყუანითულ იდეოლოგიად, კაპიტალისტური ურთიერთობა მას ეროვნულ აღორძინების დასაწყისად მიაჩნდა.

„ეკონომიურ განვითარებას თან მოსდეს ერის ერთობა იმ კითხვებზე, რომელიც ეჭვბა მთელი ერის პოლიტიკურ ეკონომიურ ცხოვრებას“ — სწერდა ნ. ჟორდანიას.

აქ უკვე მთელი პროგრამაა ერის შემადგენელი კლასების ერთიანი მოქმედებისა, ამ თვალსაზრისისთვის ნ. ჟორდანიას შემდეგშიაც არ უღალატია, როცა იგი მენშევიკურ ხელისუფლებას ხელმძღვანელობდა. მაგალითად 1917 წელს ნ. ჟორდანიას საქართველოს ყველა ნაციონალისტური პარტიების ყრილობაზე აცხადებდა:

„მე მომანდო ჩვენმა ინტერპარტიულმა საბჭომ მოხსენების წაკითხვა. თქვენ იცით, რომ ინტერპარტიულ საბჭოში შედიაა ყველა ქართველი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და თუ მათ იცნეს შესაძლებლად ერთი პარტიისათვის მიენდოთ მოხსენების წაკითხვა, ამჟამად ყოფილა საერთო ნიადაგი და ამ საერთო ნიადაგზე იქნება სწორედ ჩემი მოხსენება ანუ მთელი (გახ. „ერთობა“ № 202, 1917 წ. „დღევანდელი მომენტი“ და ქართველი ერი).“

ამჟამად ნ. ჟორდანიას და მათთან ერთად მენშევიკურ პარტიასაც „საერთო ნიადაგის“ იდეოლოგია მათი წრეელი ბურჟუაზული რევოლუციონერობის ბუნებიდან გამოიშინარებოდა. ეს აზრი წამოაყენა ნ. ჟორდანიამ „მოამბე“-ში თავის პირველი საპროგრამო წერილში „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“ (1894 წ.) და შემდეგ მტკიცედ იცავდა მას.

„საერთო ნიადაგის“ ოპორტუნიისტულ თეორიას, იმ თავითვე დასებში უპირდაპირდებოდა ორტოდოქსალური მარქსისტების ჯგუფი. მ. ცხაკაიას, ფ. მახარაძის, ს. წულუკიძის სახით. ცნობილია, მაგალითად, რომ ჯერ კიდევ 1893 წ. ფ. მახარაძე ნაციონალისტური ინტელიგენციისთან ბრძოლაში მტკიცედ იცავდა კლასობრივი ბრძოლის თეორიას, ილაშქრებდა „საერთო მოქმედების“ იდეოლოგიის წინააღმდეგ (იხ. „მწარე ფიქრები“), ამტკიცებდა მტშათა კლასის დიქტატურის იდეას („გაკვრითი პასუხი“). ამ მხრივ ფ. მახარაძე და მასთან ერთად სხვა რევოლუციონერი დასელები-მოამბელი ბოლშევიზმის იდეოლოგიურ პოზიციას ანვითარებენ. დასელების რევოლუციონერა ნაწალა იმ თაკათვე პრძოდა ნ. ჟორდანიას ოპორტუნიისტულ თეორიებს, რაც პირველივე ხანებში გამოიხატა იმ პროგრამის უარყოფაში, რომელიც ნ. ჟორდანიას მიერ იყო დაწერილი

და საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მაგიერ ერთიანი-დემოკრატიულ პარტიის დაარსებას მოითხოვდა. 1905 წ. რევოლუციის მენშევიკებმა აშკარად გამოამჟღავნეს თავიანთი თავი, როგორც წერილობითი რევოლუციონერებმა, რომელთაც არაფერი საერთო არ ჰქონდათ მუსათაკლასის რევოლუციონურ მოძრაობასთან. ამ რიგად მტკიცება იმისა, რომ ნ. ჟორდანიას რევოლუციონერი იყო ოდესმე—შეცდომაა, ის იყო იმ თავითვე წმინდა წყლის წვრილ-ბურთუხაიული რეფორმატორი, ლეგარული მრქსიზმის მიმდევარი. ამის დამამტკიცებელია მთელი მისი მოღვაწეობა და მწერლობა დაწყებული თუნდაც პირველი წერილით „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, „მესამოცე წლების მოღვაწენით“ და გათავებული სოციალდემსტური წერილებით ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

„ნ. ჟორდანიას იმ თავითვე ნაციონალიზმის გზას აღდა“—სწერს ფ. მახარაძე (იხ. „კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის“ გვ. 147).

„ასეთი იყო ჟორდანიას ხაზი მის პირველ გამოსვლისთანავე და ამ ხაზის ერთგულ დამცველად დარჩა იგი ბოლომდე“ (მახარაძე), მესამე დასვლაში ნ. ჟორდანიას იმ თავითვე მენშევიზმის იდეოლოგიური ხაზის გამომატველი იყო. შემდეგში, პარტიული ბრძოლის პროცესში ეს უფრო გამოაშკარავდა. მის წინააღმდეგ კიდევ მეტად გააჩაღეს ბრძოლა ბოლშევიკებმა. ამ ბრძოლის ერთ-ერთი დოკუმენტთაგანია აშხ. სტალინის სტატია „წერილი კავკასიიდან“, სადაც იგი ნ. ჟორდანიასა და სხვა მენშევიკების მოქმედებას ლიკვიდატორობას უწოდებს.

„თბილისელი მენშევიკების ახალი“ ტაქტიკა წარმოადგენს რევოლუციის მაგ დადასტურებული პარტიული ტაქტიკის ლიკვიდაციას—ლიკვიდაციას, რომელიც მოითხოვს პროლეტარიატის გადაქცევას ზომიერი კადეტური ბურჟუაზიის შანანადად“.

სწერდა ამ წერილში აშხ. სტალინი.

ყველა ამ ფაქტების შემდეგ აშკარა სინამდვილის შეგნებულ ფალსიფიკაციად უნდა ჩაითვალოს მენშევიკის ს. დეგდარიანის მტკიცება, თითქოს ფ. მახარაძე და ნ. ჟორდანიას გვერდში უდგენ ერთმანეთს და აკეთებდნენ ერთსადა იგივე საქმეს (იხ. „მნათობი“ № 6, 1924 წ.). ეს არადროს ასე არ ყოფილა, ფ. მახარაძე თავიდანვე ებრძოდა ნ. ჟორდანიას ოპორტუნიზმს და ნაციონალიზმს. აშკარად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოშიაც სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენლებთანავე მოცემული იყო ორი ფრთა: ბოლშევიკური და მენშევიკური. ამ ორ მიმდინარეობას შორის მუდამ შეუზღებელი ბრძოლა იყო, ასე რომ არაერთი შემთხვევაში არ შეიძლება ფ. მახარაძის გაიგივება ნ. ჟორდანიასთან—ეს აშკარა სიყალბეა.

სამწუხაროდ ამ სიყალბეს ზოგიერთი კომუნისტები იმეორებს. ამით ისინი საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ფალსიფიკაციას ეწევიან.

ასეთია, მაგალითად ერთ-ერთი კომუნისტი ამხანაგის წიგნი „საქართველოს კომპარტიის ისტორიისათვის“.

„როცა ლაპარაკია მარქსიზმის შემოტანაზე საქართველოში, ჩვენ გვიხდება შეგრება ნიუ ჟორდანიანზე და ფილიპე მახარაძეზე, როგორც მარქსისტ-თეორეტიკოსებზე როგორც სოციალ-დემოკრატიის პირველ მწერალ იდეოლოგებზე საქართველოში“.

სწერს ამ წიგნის ავტორი. ასეთი შეხედულებანი საფუძველშივე შემოღობია, ისე როგორც ფედერალისტური ფალსიფიკაცია, შესახებ იმისა, რომ მარქსიზმის შემომტანი საქართველოში არა დასელებია, არა მისი რევოლუციური ბოლშევიკური ფრთა (ე. ნინოშვილი, ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია და სხვანი) ნაპროდნიკული ინტელიგენცია, თითქოს პირველი რევოლუციონური პარტია სოციალ-დემოკრატიული პარტია კი არ ყოფილიყოს ჩვენში, არამედ ნაპროდნიკების პარტია.

V

პრინციპიალურად ერთმანეთის საწინააღმდეგო კონცეპციას წარმოადგენს ფ. მახარაძისა და ნ. ჟორდანიას ლიტერატურული შეხედულებები. აქაც აშკარად მოსჩანს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო იდეოლოგია. პირველი რევოლუციონური მარქსიზმის კლასიკური ბრძოლის პრინციპების თვალსაზრისზე სდგას ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე, მეორე კი ოპორტუნისტული, კლასთა შერიგების თვალსაზრისზეა. პირველის ლიტერატურული შეხედულებები, მწერალთა ლიტერატურული მოვლენების შეფასებაში პროლეტარიატის რევოლუციონური შეხედულებებია, მეორესი კი — ლიტერატურული კონცეპცია ჩვეულებრივი ნაციონალისტური, მემჩანური ეკლექტიზმია. რაა მარქსისტული ნ. ჟორდანიას მიერ თუნდაც აქაი წერეთლის ასეთ შეფასებაში:

„ალბა გვყავს ქართველი ერის უდიდესი მოსანი“. „ერის სულიერი საღარო, მისი წმინდათა წმინდა“ „აკაი ჩაწვდა ერის სიღრმეს, გაიგო მისი იდუმალი მაჯის ცემა, შევიდა მის წმინდათა-წმინდაში, როგორც მოციქული კვერთხით ხელში და თვალნიღვლი, იჭიდან გაპოიტანა ნაციონალური ცეცხლი და მით გაათბო ჩვენი გული („ახალი აზრი“ № 188, 1915 წ. „ჩვენი აკაი“).

თუ ეს მოსაზრებები მარქსისტულია, მაშინ გ. ვეშაპელის მოსაზრებებიც აკაის შესახებ მარქსისტული ყოფილა. „განა აკაის გარდაცვალებამ არ გაამთვლა ჩვენი გაბზარული ეროვნული სახე?“ (გაზ. „საქართველო“ 1915 წ.) სწერდა ვეშაპელი იმავე ტონით და სტილით, როგორც ჟორდანიას.

მეტად დამახასიათებელია საერთოდ მენშევიკური მარქსიზმისა და მენშევიკური ლიტერატურული კრიტიკისთვის ყველა ის მოსაზრებები, რომელსაც ისინი თუნდაც აკაი წერეთლის შეფასების საკითხში იჩენდენ. დამახასიათებელია უსათუოდ მენშევიკების გაზეთი „ახალი აზრი“ — სპონიციაც ამ საკითხში:

„როცა ჭართველქ დემოკრატია შეფერად შეუდგა მონობისა და ჯაბვის მტკრევას აკაი მას მიესალმა, მან მის გმირობასა და თავდადებას უმღერა“ („ახალი აზრი“ № 128, 1915 წ.).

სწერდა გაზეთის მოწინავე. თუ აკაი წერეთლის პატრიოტული ლირიკისა და ისტორიული პოემების გმირები მენშევიკების გმირები იყვნენ, აშკარაა, რომ მათ მუშათა კლასთან არაფერი საერთო არა ჰქონიათ.

განა დამახასიათებელი არ არის მენშევიკებისათვის ტერმინები: „ხალხი“, „ერის სულიერი საღარო“, „ქართველი დემოკრატია“ და ამგვარი, მაგრამ ამ „ხალხში“, ამ „დემოკრატიაში“, მუშათა კლასი კი არ იგულისხმება, არც პროლეტარული დიქტატურის იდეა, არამედ საერთოდ მთელი ერი, ყველა კლასები ერთად იღებულნი. ამიტომ დადგება თუ არა საკითხი რომელიმე პატრიოტულ-



ნაციონალისტური მწერლის შეფასებისა, მენშევიკი კრიტიკოსები კვლავ და-
ციონალიზმის ტალახში ეფლობიან. დემოკრატიის სახელით კლასობრივ ეროვნულ
ეროვნულ აღორძინებაზე, ერის ბედზე და სხვა.

ასეთია ნ. ჟორდანიას, ასეთნი არიან მისი ეპიგონები ივ. გომართელი,
ს. დევდარიანი და სხვები.

წერილში „მესამოცე წლების მოღვაწენი“ (1896 წ.) რ. ერისთავის იუბი-
ლეს გამო ნაციონალისტური რეზონანსით აღფრთოვანებული ნ. ჟორდანიას
სწერდა:

„წამოაყვებთ ირავლი მეფე საფლავიდან და შეაბედეთ, ის გამტკნობული წამო-
ჩაბებს გეროფლი და მეგროფლი მე ვერ გამოვიტანე ტფილისში, რომ კოჭანისას ბრძოლაში
დამბაზუბოდა, დღეს კი ვიღაც პიეტისთვის თავის წებით ჩამოსულანს ეს მე აღარ მეს-
ნის, აქ რაღაც სხვა ძალა ამუშავებულა“, „დიახ, ახალი ძალა ამუშავდა და მას თან-
დათან ემორჩილება მთელი საქართველო... რაფიელის სახელმა შეატრია არა მარტო
ქართველების სხვადასხვა შორეული ნაწილები, არამედ ანასთანავე სხვადასხვა მხარის,
მეძღების და წოდების ხალხი, ახნაფრი და გლეხი, ვაჭარი და ხელისანი, კაპიტალის-
ტი და მუშა, ყველა დამომბილდა, დააბლოკდა, რომ პიეტის იტბილე ერთად იდღუას-
წაუღონ“.

როცა ფ. მახარაძისა და სხვა რევოლუციონური მარქსისტების ამ პე-
რიოდის პუბლიცისტურ წერილებში კლასობრივი ბრძოლის გაღვივებაზე და
გაძლიერებაზეა ლაპარაკი, როცა ნაციონალისტურ-რეაქციონური „ივერია“
თავს ესხმოდა მესამე დასულებს კლასობრივი ბრძოლის გაღვივებისთვის, ნ. ჟორ-
დანიას ამ ეროვნული ერთიანობისა და აღორძინების ლოზუნგით კლასობრივი
ბრძოლის მიჩქმალვისა და დამახინჯების საქმეს აკეთებდა. თავის წერილ-ბურ-
ჟუაზიული, ოპორტუნისტული, ნაციონალისტური ამ პოზიციისთვის ნ. ჟორდა-
ნიას შემდეგში არას დროს არ უღალატია, არ უღალატიათ ამ პოზიციისთვის
ნ. ჟორდანიას თანამოაზრე ლიტერატურულ კრიტიკოსებსაც.

აქაი წერეთლის შესახებ ვ. ხუროძე 1927 წელს სწერდა:

„ის (აქაი) უკვე საქართველოს სინდისად, გრძობად, ახრად, ხილამხედ და
მშვენიერებად... ამიტომ იყო, რომ ყოველი ქართველი ადიდებდა მას (ის). ქართ. ლიტერ.
თეატარულად განს.“.

როგორც ვხედავთ, აქაც კლასობრივი პარონიისა და „ყოველი ქართვე-
ლის“ იდეოლოგიაა, სინამდვილის უხეში დამახინჯება.

ილია ქავჭავაძის შესახებ ივ. გომართელი სწერდა: „მას საჭიროდ მიაჩნდა
ბრძოლა წარჩინებულ წოდებასთან და მისი დამარცხება: „ლარიბთა ქრთობა“,
„გლეხოზაზე დაყრდნობა“ („კავკასიონი“ № 1—2, 1925 წ.). ამას უნდა მიეფუ-
ტოთ ივ. გომართელის აზრები, რომელთაც ის გამოთქვამდა 1923 წლის ქარ-
თული ნაციონალისტურ მეწიანურ მწერლობაზე:

„თანამედროვე პოეზია ხელის სეცტაც ქაფში ბანაობს, მგერამ საეფთარი სულის
სიღრმეში იძირება... ლიოკა საუტხოვო ყვაილია პოეზიის ბაღში, რა ტბილად ამგე-
რებს ხევს გულს თანამედროვე ქართული ლირიკა, რა საამოდ ატკობს ხევს ნერვიზა“
(„პოეზიის დღე“ 1923 წ.).

ამის შემდეგ აშკარაა რა ღრმა განსხვავება არსებობს ბოლშევიკ-ლიტე-
რატორების (ფ. მახარაძის მეთაურობით) ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მემ-
კვიდრობასა და მენშევიკების ნაწერებს შორის. ამავთი უდიდესი განსხვავება
ფ. მახარაძის და ნ. ჟორდანიას შორის. ამიტომ სიყალბეს წარმოადგენს ს. დევ-
დარიანის მტკიცება და ისეთი კლასიფიკაცია, რომლის მიხედვით სდგას
ფ. ნინოშვილი ერთი მხრივ, ნ. ჟორდანიას და, ფ. მახარაძე, მეორე მხრივ... „მე

ვიხსენებ იმ დროს, როცა ისინი გვერდში უდგენ ერთმანეთს და აკეთებდნენ ერთ საქმეს—სწერს დევიდარიანი („მნათობი“ № 6, 1924 წ.). ასევე მხატვრობა მენ-შევიკური ფალსიფიკაციაა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებისა და რევოლუციონური მოძრაობის ისტორიისა.

1916 წელს ქართულ მწერლობაში გამოვიდა ახალი ლიტერატურული სკოლა სიმბოლისტებისა. ფ. მახარაძე პირველი გამოეხმაურა ამ მოვლენას, სასტიკად გაილაშქრა მათი რეაქციონური, წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

„რეაქცია მართო პოლიტიკური სფეროთი კი არ გამოვიდებოდა, პოლიტიკიდან იგი გადადის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში და ყველგან არვე-დარვეს, საბჭო დაცემას და განაწესას იწვევს“—რეაქციის დამღუპველი გავლენა, რა თქმა უნდა, ვერ აცდა ლიტერატურასაც... და რეაქციონური ხანის სიტყვაკაზმული მწერლობა—ბელეტრისტიკა და პოეზია—საშინლად დაგვა და გაბრწილებს გნას დადგათ“. („საბარალნი“).

ეს იყო მკვეთრი მარქსისტული პუბლიცისტური შეფასება იმ ლიტერატურული მოვლენისა, რომელიც დაცემულობისა და ბოგემის იდეოლოგიას ანვითარებდა. ფ. მახარაძის ლიტერატურული კონცეპცია მხატვრული მოვლენების შეფასების საქმეში კენზორიტი მარქსისტულ-პუბლიცისტური ხასიათისაა. იგი მხატვრულ ნაწარმოებშიც ეძებს სოციალისტურ-ეკვივალენტებს, მას მხატვრული ნაწარმოები მიაჩნია სოციალურ კლასიურ მოვლენების ნაყოფად.

ფ. მახარაძის ლიტერატურული შეხედულებები არა მარტო მის პუბლიცისტურ წერილებშია გამოთქმული, არამედ საეკვივალურ ლიტერატურულ ნაშრომებსა და წერილებშიც. გარდა დასახელებულ შრომებისა ის ავტორიი მთელი რიგი წერილებისა, — „ბელინსკი, როგორც ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწე“, „ლიტერატურის როლი გლეხთა განთავისუფლებაში“ და სხვა.

საქართველოს ვასაბჭოების პირველ პერიოდში, როცა მწვევედ იდგა საკითხი ინტელიგენციის რევოლუციის მხარეზე გადაშეფხვების საქმეში, ფ. მახარაძე განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ამ საკითხის გამორკვევაში. საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე 1926 წ. ფ. მახარაძე გამოვიდა პარტიის და მთავრობის სახელით მოხსენებით: „მიმდინარე შომერტი და ქართული მწერლობის ამოცანები“. მწერალთა ეს ყრილობა გარკვეულად დადგახელისუფლების რეალური თანამშრომლობის პოზიციაზე. ფ. მახარაძე ამ ყრილობაზე თავის მოხსენებაში პირდაპირ აყენებდა საკითხს:

„ჩვენში მობდა ფალსიფიკაცია... მოხდა რევილი ცია. ყოვლად შეუძლებელია, რომ ამ დიდ მოვლენას ირავითარი გავლენა არ მოეხდინა მწერლობაზე. თუ არის ვინმე ვინც ამას იტყვის, მაშინ ის მწერალიც აღარ ყოფილა... ნაშასათაზე, ისინი საკითხის ცნობით თქვენ ამ რევოლუციას თუ არა“ („მნათობი“ № 2, 1926 წ.).

თავის პოლიტიკური მოღვაწეობის შრავალი წლის მანძილზე ფ. მახარაძე საუკეთესოდ ასრულებს მარქსისტი-რევოლუციონერის, ბოლშევიკ-პუბლიცისტის და სახელმწიფო მოღვაწის მოვალეობას. მის ლიტერატურულ კრიტიკულ წვრილებსა და შეხედულებებს, როგორც ბოლშევიკური აზროვნების ნიმუშებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის წინსვლა-განვითარებისთვის.

კ ა მ ტ *

19. „სამხედრო დროის კანონების მიხედვით“

კამოს საქმის გადაცემა ტფილისის საოლქო სასამართლოსათვის ნამდვილად იურიდიული ფარისევლობის აქტს წარმოადგენდა. ხელისუფლების კულისებში უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილი ქონდათ კამოს გასამართლება სამხედრო საოლქო სასამართლოში სამხედრო დროის კანონების მიხედვით. მაგრამ ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად სხვადასხვა სასამართლო ინსტანციებს მთელი რიგი ფორმალური პროცედურა უნდა შეესრულებიათ.

1909 წლის 30 დეკემბრიდან კამო უკვე ირიცხება არა გამომძიებელზე, არამედ საოლქო სასამართლოს პროკურორზე.

ამის შესახებ გამომძიებელ მალინოვსკის დადგენილებაზე მსხვილად წარწერილია წითელი ფანქრით:

„1) მოხსენდეს სამოსამართლო პალატის პროკურორს საქმის გათავების და მისი გენერალ-გუბერნატორისადმი მიმართების შესახებ, 2) საქმე, თანახმად გენერალ-გუბერნატორის მოთხოვნისა, გაეგზავნოს უკანასკნელს. 4 იანვარი“.

ამნაირად, კამოს ბედი სასამართლო გამომძიებელმა ჩააბარა სამხედრო წესებით შებოქვილი მზარის უმაღლეს ინსტანციას.

როგორც ყოველთვის, სახაზინო ქაღალდების თარიღების შეთანაპირება ააშკარავებს იმ გარემოებას, რომ მათი ნამდვილი და ოფიციალური გავლის ეტაპები სრულიად არ ეთანხმება ერთმანეთს. ტფილისის მზარის (ვინაიდან კრამოლასთან საბრძოლველად საქართველოს ყოველ მზარას თავისი განსაკუთრებული სამხედრო მბრძანებელი ყავდა), დროებითი გენერალ-გუბერნატორის მოთხოვნა ამხ. კამოს საქმის მისთვის 'გადაცემის შესახებ საოლქო სასამართლოს პროკურორს გავგზავნა, რამდენიმე დღით ადრე გამომძიებელ მალინოვსკის დამამთავრებელ დადგენილების მიღებამდე.

ქ. ტფილისის და ტფილისის მზარის დროებითი გენერალ-გუბერნატორი.

სასწრაფოდ

ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორს.

1909 წ. 28 დეკემბერი

№ 2817

ქ. ტფილისი

* იხ. „მნათობი“ № 10—12, 1982 წ.

თქვენს მაღალკეთილშობილებას ვაუწყებ, რომ საქმე ვუგებარების სროლის და 250000 მანეთის გატაცების შესახებ, რასაც კვლევა ქონდა 1907 წლის ივნისში ერევნის მოედანზე ქ. ტფილისში, სადა კვლევი კეთილი გადავცე განსახილველად კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს იმ პირთა გასასამართლებლად, რომელთაც ბრალი ედებოთ აღნიშნული ბოროტმოქმედების ჩადენაში, სამხედრო დროის კანონების მიხედვით; ამიტომ უკეთეს ამ საქმის გამოძიება უკვე დასრულებულია, ვთხოვთ გამოძიების წარმოება გამომიგზავნოთ ვილასაშინჯავად და კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს სამხედრო პროკურორისათვის ვილასაშინჯავად.

კანონი: წესები იმ ადგილების შესახებ,—მუხ. 19, § 5 და 6,—სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული.

გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი: რიბინკინი
ადიუტანტ-პორუჩიკი ივანოვი“.

მ იანვარს სათანადო განცხადება გაეგზავნა სამოსამართლო პალატის პროკურორს და იუსტიციის სამინისტროს.

კამო საქმოდ „შეგნებულად“ უყურებდა მეფის რუსეთის წესწყობილებას, რომ ვერ მიმხვდარიყო; თუ რას მოასწავებდა მისი სამხედრო მსაჯულების ხელში საქმის გადაცემა—მერე სტოლიპინელობის და ალიბანოველობის ფარფაშის დროს ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრში, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ გაუგონარ რევოლუციურ აღში იყო გახვეული. კამო იგონებს საზღვარგარეთელ მეგობრებს და სასამართლო მაგიდაზე აჩენს თავის ბოლონდელ საბუთს; ესაა მითითება გადმოცემის იმ პირობებზე, რომელიც შეეძლო წამოეყენებინა გერმანიის მთავრობას და რომელსაც საზოგადოთ, უფრო ზრდილობის გული-სათვის. მართლაც უყენებდნენ კულტურული დასავლეთ-ევროპიული მთავრობები.

ამ განცხადებებში გაკვირთა იგრეთვე მოხსენებული მისი უკანასკნელი საბუთი—ფსიქიური ავადმყოფობა. კამო ისევ, როგორც ბერლინში, ადგება თავზეხელაღებული ბრძოლის გზას, მაგრამ გამარჯვების გაცილებით უფრო ნაკლები შანსით. 17 და 26 იანვარს კამო მიმართავს განცხადებებით სამხედრო-საოლქო სასამართლოს პროკურორს და დროებით გენერალ-გუბერნატორს. აქ მოვყავს ერთი მათგანი.

ფრიად სასწრაფოდ.

მის აღმატებულებას ბ—ნ ტფილისის სამხედრო-საოლქო სასამართლოს პროკურორს

ტფილისის მეტეხის ციხის პატიმარ
სიმონ ტერ-პეტროსოვის—

განცხადება:

პატივი მაქვს მოვასხნო თქვენს აღმატებულებას, რომ იმ პირობით, რომლის თანახმადაც გერმანიის მთავრობამ ვადამცა რუსეთს, მე ვიქვემდებარები სამოქალაქო სასამართლოს. მიუხედავად ამისა მე რაღაც გაუგებრობით ვადამცეს სამხედრო სასამართლოს. როდესაც დაკითხვის დროს საგანგებო საქმეთა გამოძიებელმა მილინოვსკიმ მკითხა—რაიმე პირობები

ხომ არ ყოფილა, რომლის მიხედვითაც გადაგცეს რუსეთის მთავრობასო, — მე ვუპასუხებ, რომ არ ყოფილა ან არ მასსოვსთქვა. მე სურვილი არ მაქვს ავადმყოფი ადამიანი ვარ, ამიტომ გასაკვირვალი არ არის, რომ დამავადმყოფი უნდა ვიქნებოდე მნიშვნელოვანი გარემოება. ახლა, როდესაც ცოტა მოვეჯობინდი და დავწვიდდი, აზრები დამილაგდა, ყველაფერი დაწვრილებით გამახსენდა. საავადმყოფოს დირექტორი ჩემს მრავალჯერს შეკითხვაზე, თუ რატომ ავ-ვიანებდენ ჩემს გამოგზავნას, მიპასუხებდა, რომ მოელიან პასუხს რუსეთის მთავრობისაგან და ამ პასუხზეა დამოკიდებული გამოგზავნიან თუ არა. ორი კვირის შემდეგ ჩემთან მოვიდნენ საავადმყოფოს მთავარი დირექტორი და, თუ არ ვცდები, სასამართლო პროკურორი და გამომიცხადეს, რომ რუსეთის მთავრობამ მიიღო პირობა და ახლა მალე გაგაგზავნიანო. ამასთან ერთად მათ გადმომცეს ოფიციალური ორგანოს — „ბერლინერ ნორდენ-პოსტ“-ის ნომერი, სადაც შემდეგი ეწერა: გერმანიის მთავრობა გადამ-ცემს მე, ტერ-პეტროსოვს (მირსკის) რუსეთის ხელისუფლებას იმ პირო-ბით, რომ თუ ვინცოცაა რაიმე ბრალდება წამომიყენებდნენ, უნდა გა-ვესამართლებიეთ ჩვეულებრივი სამოქალაქო სასამართლოში. ეს ასე იყო და კარგად მასსოვს, რომ თავიდან აცილებული იქნეს ყოველგვარი გალ-გებრობა, რომელიც შეიძლება შემდეგში წამოიჭრას. უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, ოფიციალურად შეიტყუოთ ეს გარემოება, მანამ-დე კი შეაჩეროთ ჩემი საქმე, — გასამართლებას ყოველთვის მოასწრებთ, ხოლო შეცდომა, რომელიც სახელს გაუტეხს ხელისუფლებას, უფრო ძნელი გასასწორებელი იქნება. მე ვეძებ და მოვიხიზვებ მხოლოდ საკუთარ კანონიერ უფლებას და მოგმართავთ თქვენ, როგორც კანონის წარმომადგე-ნელს, რომელმაც უნდა აღადგინოს ჩემი უფლება. რაც შეეხება თვით სა-სამართლო პროცესს, სულ ერთია, მას სამხედრო ხელისუფლება ჩაატარებს თუ სამოქალაქო, — ჩემი ამ საქმეში გაურეგლობა იმდენად ნათელია, რომ არავითარი ეჭვი არ შეიძლება დაიბადოს ჩემი გამართლების შესახებ. იმე-დი მაქვს, თქვენო აღმატებულებავ, მიაქცევთ ყურადღებას ჩემს განცხა-დებას და არ დატოვებთ უშედეგოთ, უპასუხოდ მაინც, როგორც ეს ჰქნა დროებით სამხედრო გენერალ გუბერნატორმა.

სიმონ ტერ-პეტროსოვი.

1910 წლის 26 იანვარი.

მეტეზი. ქ. ტფილისი.

კამოს საკმაო დრო ქონდა მომზადებულიყო გამოსასვლელად სამხედრო მსჯულების წინაშე როგორც სულით ავადმყოფი და შეუარაცხელი ადამიანი. კამოს და მირსკის საქმე შესდგა მხოლოდ 1910 წლის 26 აპრილს, თუ კამოს საბუთი, — გერმანიის მთავრობის მიერ მისი გადმოცემის პირობებში, — გაბათი-ლდა, უკანასკნელმა რამოდენიმედ მაინც გასამართლა მასზე დამყარებული იმე-დები: მსაჯულები შეირყენ.

რასაკვირველია, კამოს ენდარმების და გამომძიებლის იმედი არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო ქონებოდა. ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკუ-რატურის მეტად საინტერესო დოკუმენტში, რომელიც აჯამებდა კამოს სამო-

სამართლო ეპოპეას, სავსებით ასახულია ენდარშთა მტკიცე უნდობლობაც, კამოს მარჯვე ტაქტიკაც, ამ ტაქტიკის დროული ხსნაც პროკურორის მიერ და პირველებსა და უკანასკნელებთან შედარებით გულუბრყვილობას სამხედრო მსაჯულების მერყეობაც. მსაჯულების გულუბრყვილობას პროკურორი სავსებით ააშკარავებს, ამასთანავე ამკლანებს თავის და თავის „ობრანკლი“ პატრონების უკმაყოფილებას: ორმა შტაბ-ოფიცერმა, — ამბობს ის, პირველად მდილო ფული და მონაწილეობა სასამართლოშიო. ეს ახალი მოსამართლეები, რასაკვირველია, უცბათ ვერ გამოითხოვენ იმას, რომ უნდა გაესამართლებიათ სინდისის, თუნდაც სამხედრო სინდისის, მიხედვით და საძრახისად მოგზგენათ აშკარა ავადმყოფი იდამიანის ჩამობრძობა. პროკურორი უკმაყოფილოა ექსპერტიზითაც. როგორც ვიცით, ექსპერტებს შორის ექიმები მეფის დროს უმთავრესად ლიბერალები იყვნენ, ხოლო საქართველოში ამასთან ერთად რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ნაციონალისტებიც. პროკურორი განსაკუთრებით აღნიშნავს გედევანიშვილს, იმ ოფიცერ გედევანიშვილის ლეიძლძმას, რომელიც მსჯავრდადებული იყო დუშეთის ხაზინის შეიარაღებულ გაძარცვის საქმის გამოო.

ორი გულუბრყვილო შტაბ-ოფიცერი და ერთი მეგობარი, შეგნებით თუ თანაგრძობით — ეს ცოტა ამბავი არ იყო კამოს ტაქტიკასთან ერთად. პროკურორი აღნიშნავს კამოს „სიმტკიცეს, სიფრთხილეს და განსაკუთრებულ წინდახედულებას, რომლითაც ის იძლეოდა პასუხებს მამხილებელ კითხვებზე“.

კამოს ეს დახასიათება მტრის მიერ სავსებით ეთანხმება იმას, რაც ჩვენ შეგვიძლია ამჟამად ვთქვათ მის შესახებ.

პროკურორი აღნიშნავს, რომ ავადმყოფობის გამოჩენის მომენტში სწანს არჩევანი და საღი, მოფიქრებული გადაწყვეტილება. მაგრამ კამოს სიმულაცია დადასტურებული იყო გერმანელი ექიმების „ობიექტური“ და „მეცნიერული“ მასალით, რომელიც კამოს თვითწამების საფასურით ნაყიდი და ოსკარ კონის მზრუნველი ხელით თავმოყრილი იყო. კამოს დროებით ისევე აცდა თავთან მიტანილი გაქიშული მარყუეი. კამომ შეისვენა. მოვიყვანოთ ყველაზე დამახასიათებელი ადგილები ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის „წარდგენილებიდან“ სასამართლო პალატის პროკურორისადმი ამ შუთიანი „გასამართლების“ შესახებ, რომლის შემდეგ ორივე მხარე ფიქრობდა ახალ პოზიციებზე განეგრძოთ იგივე თავგანწირული ბრძოლა. ამჟამად პროკურორის ცივი შორსმჭვრეტელობა იძულებული შეიქმნა უკან დაეხია გაბრიყვებული სამხედრო სასამართლოს შედარებითი რივიანობის წინაშე.

ს რ უ ლ ი ა დ ს ა ი დ უ მ ლ ო დ

ბატონ ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორს:

ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის

წ ა რ დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1910 წ. 8 იანვრის წარდგენილების დამატებით პატივი მაქვს მოვახსენო თქვენს აღმატებულებას, რომ 26 მიმდინარე აპრილს კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლომ, მოისმინა საქმე სახელმწიფო ბანკის

ტრანსპორტზე ავაზაჯურ თავდასხმის შესახებ, რომელ საქმეშიაც ბრალდებულებად გამოდიან ქალ. გორის მცხოვრები სიმონ ტყეშელაშვილი და დიმიტრი მირსკი; ამათაგან პირველს, გარდა სხვა მამულტყვეს სსპუ-თებისა, წაყენებული დანაშაულის ჩადენაში ამხელდა მისი ხელიდან ამოღებული სასროლი ყუმბარის გამსკდარი ასაფეთქებელი მილის ნამსხვრევები. ამასთან პეტროსიანცი თავდაპირველად შეპყრობილ იქნა ბერლინში თან ქონებული ასაფეთქებელი ყუმბარებით და ელექტრო-ძრავით მანძალზე აფეთქების მოსაწყობად და გერმანიის ხელისუფლების მიერ აღიარებული იყო „მეტად საშიშარი ანარქისტად“.

არც ვლევა-ძიებისას, რომელსაც ახდენდნენ პოლიციის დეპარტამენტის მოხელეებში, და არც წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებული პეტროსიანი თავის მოქმედებით არავითარ იქვს არ ბადებდა თავისი ქვეა-გონების სრული ნორმალურობის შესახებ; პირიქით, იგი ყურადღებას იქცევდა სიმტკიცით, სიფრთხილით და განსაკუთრებული წინდახედულობით, რომლითაც ის იძლეოდა პასუხებს მის მამულიტყველ კითხვებზე და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი ხელიდან ოპერაციით ამოღებული ასაფეთქებელი მილის ნამსხვრევებმა და ექსპერტის შედეგებმა შექმნეს მის საწინააღმდეგოდ შეურყეველი მამულიტყველი საბუთები, ის მიხვდა, თუ რა სასჯელი მოელოდა მას, ამიტომ რამდენიმე ხნით აღრე, სანამ სამხედრო სასამართლო საქმის გარჩევას შეუდგებოდა, მან გამოიჩინა პირველად შეშლილობის ნიშნები, რომელსაც, ზემო ცნობების მიხედვით, აშკარა სიმულიაციის ხასიათი ქონდა. მიუხედავად ამისა სამხედრო სასამართლომ, — თავმჯდომარე — სამხედრო შსაჯულის გენერალ-მაიორ დოლგინსკის და ორი შტაბ-ოფიცერის — თავად ვანაძის და პენტკოს შემადგენლობით, რომელნიც პირველად ღებულობდნენ ფიცს და მონაწილეობას სასამართლო სსდომაში, — თანახმად იმ ოთხი ექსპერტის: ჩუდნოვსკის, ორბელის, მონსეს და გედევანიშვილის (უკანასკნელი ღვიძლი ძმა ოფიცერ გედევანიშვილისა, რომელიც შსაჯვრდადებულია 315.000 მან. რაოდენობით ღუშეთის ხაზინის შეიარაღებულ გაძარცვის საქმის გამო) დასკვნისა, რომელთაგან სამი გამოწვეული იყო ბრალდებულის შუამდგომლობით, — გამოიტანა რეზოლუცია, რომლითაც დაადგინა — საქმის გარჩევა არსებითად შეჩერდეს, ხოლო ტერ პეტროსიანცის სულიერი მდგომარეობა შემოწმებულ იქნას და მოთავსდეს იგი სპეციალურ საავადმყოფოში ხანგრძლივი დაკვირვების მოსახდენად.

სამხედრო სასამართლოს ამ დადგენილების შესრულების წესის შესახებ პეტროსიანცის მიმართ, — რომელიც გამოჩენილი რევოლუციური მოღვაწეა და სარგებლობს დიდი პოპულიარობით როგორც რუსეთის რევოლუციური, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების წრეებში (პეტროსიანცის საქმის გარჩევის წინ გერმანიის რეისტაგში სოციალდემოკრატებმა შეკითხვა შეიტანეს რუსეთის მთავრობისათვის მისა ვითამდა უშირთებულო გადაცემის შესახებ), — დამატებით მოვასხენებ თქვენს აღმატებულებას, რადგან ტფილისში არ არის ისეთი ფსიქიატრიული დაწესებუ-

ლება, საიდანაც პეტროსიანცი გაქცევის აღკვეთა მაინც შეიძლებოდა, ხოლო ახლა პეტროსიანცი გამოსაცდელად—უნდა ატყუდებოდეს. სამკურნალო დაწესებულება, სადაც მისი გაქცევის ჩქარვას განხორციელება შემდეგში შეუძლებელი გახდეს.

ზემოხსენებულს უნდა დავსძინო, რომ ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამართველოს 1909 წ. 17 ოქტომბრის № 21337 შეკითხვაზე პოლიციის დეპარტამენტმა არ გასცა პირდაპირი პასუხი გერმანიის მთავრობის მიერ რუსეთის ხელისუფლებებისათვის პეტროსიანცი გადმოცემის საფუძვლის შესახებ; მაგრამ მთავარი სამხედრო პროკურორის მოწერილობიდან ჩანს, რომ რუსეთის მთავრობას პეტროსიანცი გადმოცემის მოთხოვნა არ წარუდგენია, და პეტროსიანცი მხოლოდ გადმოსახლებული ყოფილა გერმანიის საზღვრებიდან.

ბრალდებულ პეტროსიანცი ინტერესებს გერმანიაში იცავდა ვეილი კონი, რომელმაც იგი შეიყვანა გერმანიის სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციაში, და რომელიც, როგორც ეს ჩანს სამხედრო-საოლქო სასამართლოს მიმოწერიდან, დღესაც განაგრძობს შუამდგომლობას ტერ-პეტროსიანციის საქმის გამო.

პატიმარ ტერ-პეტროსიანცისადმი უსასტიკესი და შეუსუსტებელი ზედამხედველობის შესახებ მე უკვე წინადადება მივეცი მეტეხის ციხის უფროსს 1910 წლის 28 აპრილს № 7973-.

კიდევ უფრო კატეგორიულად გაილაშქრა ამხ. კამოს წინააღმდეგ ჟანდარმთა სასამართლომ. უკანასკნელი დაუყოვნებლივ განოებმაურა სამხედრო სასამართლოს დადგენილებას და მის ბარათში სახაზინო ფრაზებიდან გამოჩანს არა მარტო გაფრთხილება, არამედ საყვედურიც სამხედრო სასამართლოს მისამართით:

პირადათ

სრულიად საიდუმლოდ.


ტფილისის საგუბერნიო
ჟანდარმთა სამართვე-
ლოს უფროსი

1910 წ. 30 აპრილი
№ 6338
ბ. ტფილისი

ბ-ნ კავკასიის სამხედრო-
საოლქო სასამართლოს
თავმჯდომარეს.

მოვალეობად ვთვლი მოვახსენო თქვენს აღმატებულებას, რომ ხელთ-
ქონებული ნამდვილი საიდუმლო ცნობების წიხედვით, სიმონ ტერ-პეტ-
როსიანცი, რომელიც, თქვენდამი რწმუნებული სასამართლოს 26 აპ-
რილის გადაწყვეტილების თანახმად, უნდა მოთავსდეს სამკურნალო და-
წესებულებაში სულიერი მდგომარეობის გამოსაცდელად, იკონებს თავის

არანორმალურობას და ამ გზით ცდილობს მოთავსებულ იქნეს საქავადმყოფოში იმ იმედით, რომ შემდეგ გაიქცეს იქიდან.

პოლკოვნიკი (ხელმოწერა) 

ამის შემდგომ საგანგებო საქმეთა განომიხიებელს მალინსკის დეპარტამენტულად აშორებენ კამოს პროცესში ყოველგვარ მონაწილეობას და გამოძიების წარმოებას აკისრებენ უდიდეს საქმეთა განომიხიებელს რუსანოვს.

20. დასავლეთ-მხროკიული პრესის ჩარევა

სამეფო მართლმსაჯულების ქურუმნი თავიანთ წრეში სრულიად გულახდილად და მოფრიდებლად ლაპარაკობდნენ. კამომ სწორად ვაიგო „მოსალოდნელი სასჯელის“ თვისება, — რა დიდებული ფორმულა გამოუნახა ტელიისის პროკურორმა მოსამართლეთათვის წინდაწინ ნაბრძანებს სასიკვდილო განაჩენს! დაუფარავი უტყურობით ადასტურებს ის აგრეთვე ორი მთავრობის თაღლითურ ცულღუტობას და ოინბაზობას დამნაშავეის ფარული, ამა თუ იმ პირობებით განუსაზღვრელი ვადმოცემის შესახებ. აქაო და, ეს გადაცემა მოთხოვნის წარუდგენლად წოხდა, პეტროსიანიცი მხოლოდ „გადმოასახლეს გერმანიის საზღვრებიდან“.

კამოს საბედნიეროდ რევოლუციონერების საერთაშორისო სოლიდარობას ერთგვარი ძალა უყვე მოპოვებული ქონდა იმ დროს. ოსკარ კონის „შუამდგომლობანი“ სამხედრო-საოლქო სასამართლოს წინაშე ჩვენ ვერ ვიპოვეთ კამოს საქმეში. სამაგიეროდ ენაზეთ მისი და პერვეს მიერ ატეხილი აგიტაციის გამომხაურება რუსეთის მთავრობისათვის კამოს უმართებულო გადაცემის შესახებ, რომელმაც შეკითხვაც კი გამოიწვია გერმანიის რეისტრავში. ოსკარ კონის სტატიას „Vorwärts“-ში გამოეხაურა მთელი გერმანიის ოპოზიციონური პრესა. პერვემ „Humanite“-ში, — ის იმ დროს ჯერ კიდევ თანამშრომლობდა ამ გაზეთში და შედარებით თავისუფალი იყო შოვინიზმისა და გამკელობისაგან, — გაილაშქრა გერმანიის მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც აშკარა ავადმყოფი ადამიანი ჩაუვდო ხელში ბარბაროსულ რუსეთს და ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ ეს ადამიანი იყო არა სისხლის სამართლის ბოროტმოქმედი, არამედ პოლიტიკური დამნაშავე. ისტორიული მომენტი კამოს საქმეში ჩასარეველად ძალიან ხელსაყრელი იყო. გერმანიის და საფრანგეთის ზომიერი სოციალისტებიც კი ხშირად სარგებლობენ თავის პოლიტიკური კარიერისათვის ორი ყველაზე აშკარა რეაქციონერი, — გერმანიის და რუსეთის, — მთავრობის მხილებით. დასავლეთ ევროპის სოციალისტურ ჯგუფებში ბურჟუაზიული დამკვიშების და ჰეშმარიტად რევოლუციურ სოციალისტების დიფერენციაცია ჯერ კიდევ არ იყო საესებით დასრულებული. ჯერ კიდევ დაცული იყო სხვადასხვა მიმდინარეობის სოციალისტთა ეგრეთწოდებული სოლიდარობა როგორც მეზარცხეზე გაზეთების რედაქციებში, ისე ევროპის საპარლიამენტო კულუარებში. ყოველივე ეს აადვილებდა შედარებით მკაცრ გალაშქრებას რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპის პრესის მხრით. ამავე დროს ძირგამომავალი და რევოლუციური მოძრაობით შერყეული ცარიზმი გაფაციცებით ეძებდა

ზორალურ და სამხედრო დახმარებას გერმანიაში, და მატერიალურს საფრანგეთში. მას მეგობრულ სახელმწიფოთა მთავრობებთან თავის საქმეების მოჭახრაკების დროს ძალა-უნებურად ანგარიში უნდა ექცეოდეს თავის ქვეყნების საზოგადოებრივი ახრისათვის, რომ ამ მთავრობათა მიხედვით მდგომარეობა არ გაერთულებია. იგი იძულებული იყო გადმოეღო ლიბერალურება და სოციალისტებთან ზრდილობიანი მოპყრობის გეროპიული მეთოდები, იძულებული იყო თავდაბალი საღამი მიეცა მათთვის დასაყლეთით, ამავ დროს არქაული ზურგი ეჩვენებია თავის საკუთარი ლიბერალურ ოპოზიციისათვის და „სტოლიპინური ყელსახვევი“ ექსაოვა საკუთარ სოციალისტებისათვის. იმ დროს, როდესაც ტულისელი პროკურორები და უანდარმები ემზადებოდნენ კამოს დასალუპავად და მოუსვენარი რევოლიუციონერის ვეამისთვის სახაზიხო ბექდების და სამოსამართლო „ხელმოწერების“ დასართავად, — პეტერბურგში დიდი პოლიტიკური სკანდალის შიში ალიძრა, ძლიერნი ამა სოფლისანი შეირყენ და დაიწყეს ვამოსავალის ძებნა. მათი იქვენელობა საცსებით გამოიხატა შინაგან საქმეთა მინისტრის — პ. ა. სტოლიპინის დიპლომატიურ სტრიქონებს შუა ამოსაკითხავ წერილში, განსაკუთრებით უკანასკნელ ნაწილში, კავკასიის ნამესტნიკის გრაფ. ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის სახელზე; როგორც ამ წერილიდან ვხედავთ, ორივე მეგობრულ პოლიციას, — გერმანიისას და რუსეთისას, — ისე მოქონდათ თავი, თითქო ისინი ერთმანეთს არ აძლევდნენ შეპყრობილ რევოლიუციონერს. გერმანიის პოლიციამ „გაბაძევა“ განუკურნებელი ავადმყოფი ინვალდი რუსეთის საზღვარზე, რომ ვადერჩინა მშობლიური არმენდრექციონის მარკები, ხოლო რუსეთის პოლიციამ. ვითომდა გერმანიის პოლიციის დამოუკიდებლად „მუისვე შეიპყრო“ ეს სამშობლოში დაბრუნებული ინვალდი. ასეთია ეს საერთაშორისო პოლიტიკური იდილია რუსეთის იმპერატორის შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტებით.

შინაგან საქმეთა მინისტრი

საიდუმლოდ

მოწყალეო ხელმწიფევე გრაფ ილარიონ ივანცს ძე!

გარეშე საქმეთა სამინისტრომ ამ წლის 27 აპრილის წერილით № 42 შემეტყობინა, რომ უკანასკნელ დღეებში გერმანიის დემოკრატიული პრესა განსაკუთრებული სიმძაფრით ეხება და არკვევს არშაკოვის (იგივე მირსკი და ტერ-პეტროსიანი) ბედს, — იმ არშაკოვის, რომელიც პასუხისგებაშია მიცემულ ქ. ტფილისში 1907 წ. სახაზინო ფულად ტრანსპორტზე ივაზაკურ თავდასხმის საქმის გამო.

ამასთან რადიკალური ორგანოები — „ფორვერტსი“, „ფრანკფურტერ ცეიტუნგი“ — თავს ესხმიან გერმანიის პოლიციას, რომელმაც არშაკოვი — მირსკი ბერლინის ქალაქის სულით ავადმყოფთა სამკურნალოდან გამოსვლისთანავე გამოაძევა რუსეთში, სადაც ის მაშინვე იქმნა შეპყრობილი რუსეთის ხელისუფლების მიერ. პრესის თავდასხმა გერმანიის მთავრობაზე უსათუოდ გაძლიერდება იმ შემთხვევაში, უკეთუ მირსკის გადაუწყვდება სიკვდილით დასჯა, ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრო შიშობს, ვითუ ამ გარემოებამ ცუდათ იმოქმედოს რუსეთის ინტერესებისთვის ანარქისტების გადმოსახლების საკითხში. ესარგებლომ შემთხვევით გამოვყუ-

ხადო თქვენს ბრწყინვალეობას სრული ჩემი პატივისცემა და შემპირიტი ერთგულება.

პ. სტოლიპინი.. ერეკლესელი

გარეზე საქმეთა მინისტრის წერილა პ. ა. სტოლიპინის მხარისაგან დასაბუთებულია 27 აპრილით. სტოლიპინის წერილი გრაფ ვორონცოვ - დაშკოვისადმი წამოვიდა პეტერბურგიდან 7 მაისს. ხოლო კამოს საქმე გაიჭრა 26 აპრილს, ანაირად კამოს საქმის გადადება, მისი ერთგვარი გამოკეთება გამოიწვიეს ამაჟამად არა მისმა საზღვარგარეთელმა მეგობრებმა, არამედ მან თვითონ გამოგლიჯა იგი თავის მტრებს ხელიდან. მართალია, ი. კონმა უდიდესი სამსახური გაუწია კამოს, როცა გერმანიის პოლიციის ოქმებს ბლომად დაურთო „საურვო ფურცლები“, რომელთაც „ავადმყოფობის რეციდივის დროს“ შეეძლოთ ყველაზე უფრო მკაცრ მსაჯულებშიც კი გამოეწვიათ სინდისის ქენჯნა და მერყეობა.

სტოლიპინის წერილი იძლეოდა, ამტკიცებდა შესვენებას და მომავალში უზრუნველყოფდა კამოს სიცოცხლეს სამოსამართლო ხელყოფისაგან. უმაღლესმა პოლიტიკამ დაბრდილა უფრო ვიწრო ინტერესები და გულისთქმანი. კავკასიის ნამესტნიკი 1910 წ. 28 მაისს სწერს სტოლიპინს:

შ. ი. უ. ნამესტნიკი
1910 წ. 28 მაისი
№ 559.

მის მაღალღმადებულებას
პ. ა. სტოლიპინს

მოწყალეო ხელმწიფევე,
პეტრე არკადის ძე!

თქვენი მაღალღმადებულების შეიდი მაისის წერილის № 91104 -ის გამო საჭიროდ ვთვლი ვაცნობით, რომ სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსოვი (მირსკი) გადაცემული იყო კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოსადმი გასასამართლებლად სამხედრო დროის კანონების მიხედვით ბრალდების გამო იმ დინაშაულში, რომელიც ვათვალისწინებულა სისხ. სამ. დებ. (1903 წ. გამ.) 102 მუხ., სასჯელთა დებულ. (1885 წ. გამ.) 13, 1627, 1630, 1632 და 1634 მუხ. და სამხ. დად. კრ. (1869 წ. 3 გამ.) XX წიგ. 279 მუხ. და რომელიც ჩაიდინა მან 1907 წ. ქ. ტფილისში ერევნის მოედანზე სახაზინო ფულადი ტრანსპორტზე შეიარაღებულ თავდასხმის დროს.

ამ საქმის გარჩევის დროს, რომელიც მოხდა ვასული აპრილის 26, კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლომ დაადგინა: ვინაიდან ბრალდებულ ტერ-პეტროსოვს აღმოაჩნდა გონების არანორმალურობის ნიშნები, მისი საქმე, სამხ. დად. კრ. (1869 წ. 3 გამ.) XXIV წიგ. 423 მუხ. თანახმად, მიიმართოს ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორისადმი გამოძიების დასამთავრებლადო, — და ოთხ მაისს ეს დადგენილება სისრულეში იქნა მოყვანილი.

ამაჟამად ტერ-პეტროსოვი მოთავსებულია მეტეხის ციხეში, სადაც ის ითვლება ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის სახელზე.

რაც შეეხება ვარეშე საქმეთა სამინისტროს შიშს, თუ ენაწილობათერ-პეტროსოვის გადაუწყადა სიკვდილით დასჯა, გერმანიის პროესის თავდასხმას გერმანიის მთავრობაზე შეუძლია რუსეთის სისტემის წინააღმდეგ გამომიწვიოს ცუდი შედეგი ანარქისტების გამოძევების საკონფორმაციოდ, ეს მოსაზრება ჩემს მიერ მხედველობაში იქნება მიღებული ტერ-პეტროსოვის შესახებ სახედრო სასამართლოს განაჩენის შემდეგ.

გთხოვთ მიიღოთ სრული ჩემი პატივისცემა და გულწრფელი ერთგულება.

ხელმოწერა: გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

ამაშირად, ზევიდან მითითებით გაადვილებულ იქნა კამოს გადაყვანა მეტების საპრობილის კამერიდან იმავე საპრობილის ფსიქიატრიულ განყოფილებაში. რამდენად უიმედო იყო მისი მდგომარეობა — ამას ჰდასტურებს ნამესტნიკის ზემოთ მოყვანილი წერილის ბოლო სტრიქონები. ვორონცოვ-დაშკოვის ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ სასამართლოს ახალი შემადგენლობა, ფსიქიატრიულ განყოფილებაში გამოცდის და შემოწმების შემდეგ, კამოს სიკვდილით დასჯას გადაუწყვეტდა, — და ის პირდებოდა სტოლიპინს, რომ მიიღებდა თავის მხრით ზომებს განაჩენის გამოტანის შემდეგ.

კამოს ტვილისის საზიქეში

ამხ. კამოს მეტების ციხის ფსიქიატრიულ განყოფილებაში გადაყვანამ საგამომძევო ზედსუფლების, პროკურატურის და ენდარმერიის მოქმედება სრულიად ახალ კალაპოტში ჩააყენა. მათ დაიწყეს მზადება იმ ამბებისთვის, რომელიც დაიწყებოდა კამოს მიერ მოპოებული შესვენების გათავების შემდეგ. ისინი ერთი ხელით ასრულებდნენ სამხედრო-საოლქო სასამართლოს დადგენილებას კამოს ჰუა-გონების შემოწმების შესახებ, იწვევდნენ სამეურნალო კომისიებს და აგროვებდნენ ახალს — უკვე რუსულ ენაზე, შედგენილ — საურვო ფურცლებს. მეორე ხელით კი ცდილობდნენ გაეზიარებინათ სასამართლოს დადგენილება და ექიმების აზრი. ამ მხრით მოქმედებდა საგანგებო საქმეთა გამომძიებელი მალინოვსკი. ალბათ, სათანადო სიტყვიერი მოლაპარაკება იყო გამართული სასამართლოსა და დამცველ განყოფილებას შორის. ციხეში კამოს მეკარეები განმეორებით დირექტივებს ღებულობდნენ მისი თვალყურის დევნების გაძლიერების შესახებ.

მალინოვსკი საჭიროდ ნახულობდა იმ ჩვენებებში, რომელიც მან მისცა თავისზე მალა მდგომ პირს — „ოლქის უდიდეს საქმეთა გამომძიებელს“ რუსანოვს, დაედასტურებია პროკურატურის აზრი, რომელიც გამოთქმულია ზემოთ მოყვანილ 1910 წლის აპრილის დამლევის დოკუმენტში. ამ, — რასაკვირველია, ნებაყოფლობით, — ჩვენებაში მალინოვსკი იგონებს თავის შეხვედრას კამოსთან 1903 წ. ბათუმში, თუმცა იმ დროს მას საბუთი არ უნდა ქონებოდა ეფექრა იმ კითხვაზე, გონებრივად ჯანსაღია თუ შერყეული მასთან ჩვეულებრივი წესით

წარმოდგენილი სახელმწიფო დამნაშავე, აქვე ჩვენ ვნახულობთ კამოს/პატიმრობის მოკლე ქრონიკას სასამართლოში მისი საქაის გარჩევას შემდეგ:

სიმულაციის პირდაპირი ბრალდება გამოძიების ხელშეწყობის პირის მხრით, რასაც ვიწვევით, სასტიკად აუარესებდა კამოს მდგომარეობას. დამატებით პროკურატურის აზრისა სასამართლოს წინანდელი შემადგენლობის შეუთახმებლობის და იმავე პროკურატურის მიერ კამოსადმი სიმულაციის პირდაპირი ბრალდების წაყენების შესახებ, — მალინოვსკის ჩვენება წარმოადგენდა საფუძვლიან ვაფრთხილებას მომავალ მოსამართლეთათვის და ცდილობდა ვაფრთხილებია ო. კონის მიერ გამოგზავნილი გერმანულ ეჭვების დასკვნები.

დაკითხვის ოქმი.

1910 წელი, 18 აგვისტო, მე, ტფილისის საოლქო სასამართლოს უდიდეს საქმეთა გამომძიებელმა ბ. დ. რუსანოვმა დაკითხე ქვემოთ დასახელებულს როგორც მოწმეს, სისხ. სამ. წარ. წეს. 443 მუხ. დაცვით, და მან აჩვენა შემდეგი:

მალინოვსკი, ივანე გიორგისძე, 41 წლის, მართმადიდებელი, კოლეჯის სოფელნიკი, ტფილისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებლის თან. აღმასრულებელი, სამართალსა და გამოძიებაში არ ვყოფილვარ და არ ვარ, საქმეში მონაწილე პირებთან არავითარი განსაკუთრებული დამოკიდებულება არ მაქვს.

მე ვაწარმოებდი წინასწარ გამოძიებას 1907 წ. 13 ივნისს ტფილისში ურეენის მოედანზე სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების ფულად ტრანსპორტზე ყაზალურ თივდასხმის და ამ ტრანსპორტიდან 250 ათასი მანეთის გატაცების საქმის შესახებ. ამ საქმეზე ბრალდებულად პასუხისგებაში მივეცი, სხვათა შორის, ქ. ბერლინი 1907 წ. 9 ნოემბერს შეპყრობილი ქ. ვორის მცხოვრები სიმონ არშაკის-ძე ტერ-პეტროსიანი — პარტიული სახელწოდებით „კამო“. ეს ტერ-პეტროსიანი მე პირველად ვნახე ჯერ კიდევ ქ. ბათუმში დაახლოვებით რვა ცხრა წლის წინად, როდესაც მის შესახებ ჟანდარმული გამოძიება სწარმოებდა სის. სამ. წარ. წეს. 1035 მუხ. თანახმად მისი სახელმწიფო დამნაშაულში ბრალდების გამო. მაშინ მე, როგორც პროკურორის ამხანაგი, რომელიც თვალუფრს ვადევნებდი ამ გამოძიებას, დავესწარი ტერ-პეტროსიანის, როგორც ბრალდებულის, დაკითხვას, მახსოვს, ტერ-პეტროსიანი ახდენდა სრულიად ჯანსრთელი იდამიანის შთაბეჭდილებას, ის საქმის შესახებ იძლეოდა სრულიად მოფიქრებულ, წესიერ და შეგნებულ ახსნა-განმარტებას. მაშინ ტერ-პეტროსიანი დაბატონებული იყო, ბათუმის საპატიმროში იჯდა, მაგრამ მალე მოახერხა იქიდან გაქცევა და მას შემდეგ 1909 წლის 19 ოქტომბრამდე მე ტერ-პეტროსიანი არ მინახავს. ხსენებული ტერ-პეტროსიანი, რომელიც ჩამოვიდა ბერლინიდან 1909 წ. 19 ოქტომბერს მეტეხის ციხიდან მომიყვანეს კამერაში დასაკითხავად როგორც ბრალდებული სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების ფულადი ტრანსპორტი. „მართობი“ № 1-2.

პორტიდან 250 ათას რუბლის ფაქტური გატაცების საქმის გამო, მაშინ დაკითხვა დიდხანს გავრძელდა. იგი როგორც საქმიდან ქაჩუკაძე წყვეტილია ათ ფურცელზე. შემდეგ ტერ-პეტროსიანცი იმავე საქმის შესახებ მოხუცების ჩემთან კამერაში კიდევ: 1) 1909 წლის 5 ნოემბერს სასამართლო-სამედიცინო შემოწმების მოსახდენად ექიმების: ტფილისის პავლბერნიო ექიმის თანაშემწე რომან დავითისძე მაქავარიანის, ტფილისის 2 უბნის ექიმი გიორგი გრიგოლისძე მაღალაშვილის და ტფილისის სამხედრო ვოსპიტლის ორდინატორ ვასილ ვასილისძე ვნუკოვის საშუალებით (შემოწმება მოხდა ტფილისის საარტილერიო საწყობის კაპიტანის ბ.ფ. სუში-ლნიკოვის მონაწილეობით); იმავე 5 ნოემბერს ტერ-პეტროსიანცი ჩემს შიერ დამატებით იქნა დაკითხული და წარედგინა შვიდ მოწმეს და 2) 1909 წ. 26 დეკემბერს დამატებით დასაკითხავად და მისთვის გამოძიების წესდებულად. ეს შემოწმება, წაყენება და დაკითხვა ცალკე ცალკე ველთის დიდხანს გრძელდებოდა. ამ საგამომძიებო მოქმედების და ოფიციალური დაკითხვების დროს, აგრეთვე მასთან კერძო საუბარში მე არ შემოიწმენია არაფერი არანორმალური ბრალდებულ ტერ-პეტროსიანცის ფსიქიკაში. პირიქით, ტერ-პეტროსიანცს ცხოვლად აინტერესებდა თავისი საქმის შესახებ წარმოებულ გამოძიება, იძლეოდა საფასებით გონივრულ და მოსაზრებულ ახსნა-განმარტებას და ნათელ პასუხს კითხვებზე, — ხშირად საუბრობდა ბერლინის საბოლიკიო და სამოსამართლო წყობილობაზე, გაახსენა ექიმ ვნუკოვის, რომელიც მან იცნო ზოგიერთი წვრილმანი თავის ქაბუკობიდან, როგორც, მაგალითად ის, რომ, მას, ტერ-პეტროსიანცს, მამის დავალებით მიქონდა ექიმ ვნუკოვთან კარგი ბილი, როდესაც უკანასკნელი გორში მსახურობდა, — იმობდა, რომ იმის შესამოწმებლად, თუ რა ნამსხვრევებია შეჭრილი მის ხელში, ყველაზე უკეთესია მათი ხელიდან ამოღება და გაშინჯვა. მთელი ამ საგამომძიებო მოქმედების განმავლობაში ის ახდენდა ჩემზე ფსიქიურად სრულიად ჯანმრთელი ადამიანის შთაბეჭდილებას და არც ერთი სიტყვით და არც ერთი საქციელით არ დაუმტკიცებია, რომ ის სულით ავადმყოფია. ამ წლის 26 აპრილს ერევანის მოედანზე მომხდარი გაძარცვის საქმე ირჩეოდა კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოში. მე გაწვეული ვიყავი სასამართლოში მოწმედ და იქ საბრალდებლო სკამზე ისევ დავინახე ტერ-პეტროსიანცი. გარეგნულად ის შეშლილი იყო: თვალებს აბრიალებდა, კითხვებზე ან უპასუხებდა: ან არ უპასუხებდა ან იძლეოდა უმართებულო, შეუსაბამო პასუხებს, მაგრამ რომ ჩავეფიარდი და თვალყურის დევნება დავუწყე ტერ-პეტროსიანცს, მე მალე დავრწმუნდი, რომ ის ძალიან მოხერხებულად იგოფიანებდა თავს. ყოველივე, რასაც ის აკეთებდა თავის სიგიჟის დასამტკიცებლად, არა ბუნებრივი, ნაცოდვილვე და ხელოვნური იყო. მეტად ტერ-პეტროსიანცი მე არ მინახავს. ამის მეტი არაფერი მაქვს საჩვენებელი. კოლექსიკი სოვეტნიკი ივანე გიორგისძე მაღინოვსკი.

სასამართლო გამოძიებლის დაესწრო პროკურორის იმხანავი თან. აღ. — რუსხანოვი (ხელმოწერა).

მოყვანილი დოკუმენტების თარიღების შედარება ამტკიცებს პროკურორის გვერდზე მდებარე მუშაობას. უდიდეს საქმეთა გამომძიებელმა რუსანოვმა მალინოვსკის დაჭიკობა 1910 წლის 18 აგვისტოს. იმავე წლის 22 სექტემბერს მოხდა სასამართლოს შემდეგ — კამოს პირველი საექიმო შემოწმება იმავე რუსანოვის და პროკურორის ამხანაგის თანადასწრებით. კამოს, ეტყობოდა, ფართოდ გამოეყენებია ბუხის გამოცდილება და იქაური ამხანაგი ექიმ-მორფინისტის გაკვეთილები. ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს უფროს ორდინატორ ორბელის დასკვნამ კამოს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

სამოსამართლო-საექიმო შემოწმების ოქმი.

1910 წ. 20 სექტემბერი. მე ტფილისის საოლქო სასამართლოს უდიდეს საქმეთა გამომძიებლის თან. აღ. ბ. დ. რუსანოვმა, ქვემოთ ხელმოწერ თანამოწმეთა დასწრებით, ტფილისის საავადმყოფოს ფსიქიატრიული განყოფილების უფროს ორდინატორ დ. ი. ორბელის საშუალებით ჩემს კამერაზე მოვახდინე ბრალდებული სიმონ ტერ-პეტროსოვის შემოწმება, ამასთან აღმოჩნდა:

შემოწმებული შუა ტანისაა, სწორი აგებულების. ცუდად ნაკვები. შინაგანი ორგანოების გამოკვლევისას ემჩნევა გულს გაძლიერებული მოქმედება, გახშირებული მაჯის ცემა — 95 ჯერ წუთში. დანარჩენ შინაგან ორგანოებში არაფერი განსაკუთრებული არ ემჩნევა. ნერვიული სისტემის მხრით ემჩნევა შემდეგი: კუნთების მექანიკური აგზნებადობა მომატებულია. კანის შეხების გრძნობა შესუსტებულია. ტკივილის გრძნობადობა სრულებით გამჭრალაია. ქინძისთავით კანის დაჩხვლეტის დროს სრულიად არ გრძნობს ტკივილს, აგრეთვე არ გრძნობს ტკივილს სხეულზე მარცხენა ბეჭის ქვეშ ანთებული პაპიროსის მიდების დროს, ხელები უკანკალებს, ენა უცახცახებს, მუცლის რეფლექსები დასუსტებულია. კუნთის და მუხლის რეფლექსები დიდად მომატებულია: ზურგის კანზე საპერკუსიო ჩაქუჩის ტარის გავლება იწვევს დერმოგრაფიზმის მოვლენებს. სახის გამოშეტყველება განურჩეველია; შემოწმებული არაფითარ სურვილს არ აცხადებს. ინდიფერენტული დამოკიდებულება თავის მდგომარეობისა და გარშემორტყმულ პირობებისადმი; მახსოვრობა დასუსტებულია; დროის და ადგილის ორიენტაცია დაკარგული აქვს. ანგარიშს არ აძლევს თავის თავს, თუ რისთვისაა გამოწვეული; ილლიაში ყავს ბელურა, რომელსაც დროგამოშვებით კვებაეს პურის ფინჩით; სხვათა შორის აცხადებს, რომ ბელურას მოსამსახურემ ფეხი მოგლიჯა და ის გამოწვეულია გამომძიებელთან, რომ ამის შესახებ უამბოს მას; არ აბსოვს წელი, თვე და რიცხვი; ხანდახან თითქოს უმიზეზოდ ბუტბუტებს, ლილინებს და იცინის. კითხვებზე უმეტეს ნაწილად შეუსაბამო, არეულ-დარეულ პასუხს იძლევა. მიცემულ კითხვებზე ასეთი პასუხები გასცა.

სად დაიბადეთ? — არ ვიცი. დავდივარ უცხოეთში. ახლა მინდა ბორკილები მოკვლა, ავგო ძეგლი. დავაწყო ყველა ბორკილი და ზევით დავადვა აგური. სადაც კი ვიყავი, არსად ბორკილი არ მინახავს (ამასთან ეთამაშება ბელურას და გულკეთილად იცინის).

რატომ ზიხართ საპატიმროში? — ჩემი დიდებულებისთვის, რომ ბევრი/ვიარე, ყველგან ვიყავი; დღე, მათ დარჩეთ მათი პარტიებზე, ვინ დგას თქვენს ახლო? — ჯარისკაცო, ის მე მიცავს, რომ ვეღარაფერი მომპარონ.

ვინდათ თუ არა გამოხვიდეთ საპატიმროდან? — ავტომობილით მინდა წავიდე საზღვარგარეთ. მე ახლა კარგი ოთახი მაქვს ციხეში, შეღებილი. მე მალე გამომიშვებენ. ეს მითხრა უფროსმა, ერთმა პატიმარმა, ის ძველი ეშმაკის ძმაა. მე მას მივეცი ათი ვახნა, მან დაუსტენია და გაფრინდა. ჭორს უნდა მოეტაცნა ჩიტი.

დიდი ხანია ზიხართ ციხეში? — სულ რამდენიმე თვეა.

მამა გყავთ? — არ ვიცი. დიდი ხანია არ მინახავს. მას არშაკი ერქვა.

ღები გყავს? — სამი თუ ოთხი. ერთი ახლაც აქ იყო, პაპიროსი მომიტანა, სულ მავიწყდება ვკითხო, სადაა მეოთხე და, სამი ვნახე.

გეძახოდნენ თუ არა თქვენ „კამოს“? — მეძახოდნენ, დიდი ხანია მას აქეთ; საზღვარგარეთ კი მეძახოდნენ ბატონ პეტროსიანც, ციხეშიც უფროსის თანამშემწე - მეძახის ბატონ პეტროსიანცს. მოსამსახურე კარგი კაცი მყავს. მინდა მეეტლედ წავიყვანო ის, მე ბევრი ცხენი მყავს მთებში.

რამდენია 5 X 5? — ოცდა ხუთი. მე ვიცი, როგორ არ ვიცი. მე 50 მილიონი მანეთი მაქვს, სადაც ვცხოვრობდი საზღვარგარეთ.

სწავლობდით სადმე თუ არა? — პეტერბურგში დავედიოდი სააქტო დარბაზში. რომელ ფაქულტეტზე? — მე მიყვარდა ისტორია.

ვინ გიკითხავდათ მას? — მე ქერა ვიყავი.

რა გვარისაა პროფესორი? — (ბრალდებული სდუმს).

რამდენია 7 X 9? — 62.

რამდენი იქნება 37 — 48? — სამოცდაათი 30 და 40, ხოლო 37 — 48 — 78. მე მითხრეს რომ სულ რუსეთში მილიონი ბოროკლია, მე მინდოდა მე-ანგარიშნა, მაგრამ ქაღალდი არ მომცეს, და არ შეიძლებოდა გამო-ანგარიშება.

გუშინ სადილად რა ჭამეთ? — ჩაი დაელიე, ხორცი არ მიჭამია, იმიტომ რომ ამბობენ მკვდრებს ჭრიან და სამზარეულოში აგზავნიანო.

გ. პეტროსოვი

გ. ხიმონ პეტრუხევა

ატილერიის ბრიგადა

ზემოთმოყვანილი სიტყვები დაწერილია ტერ-პეტროსოვის მიერ კარნახით).

ცოლიანი ხართ? — არ ვარ ცოლიანი. რამდენი ხანია ვმარხვლობ. ქალებთან საზღვარ გარეთ არ დავედიოდი. არ მინდა, მხოლოდ თუთუნს ვწევ და ღვინოს ვსვამ. მხოლოდ ცოტას იძლევიან, ერთ ჭიქას, მე კი მინდა ოთხი ბოთლი დღეში. მე ვეუბნები ვისაც მოაქვს, რომ ერთბაშად მომიტანოს, მაგრამ არ მოაქვს.



ეროვნული
წიგნობის
კავშირები

თანამოწმენი: სტეფანე ეგოროვი
ნიკოლოზ მელხიორისძე პონჩიკი
ექიმი დავით იოსების ძე ორბელი
სასამ. გამომცემლის
თან. ალ. რუსანოვი

დაესწრო პროკურორის ამხანაგი
(ხელმოწერა).

და
დახკვნა.

ზემოთქმულის და ობიექტური გამოკვლევის მიხედვით მე ვასკენი, რომ სიმონ ტერ-პეტროსოვი ამჟამად დაავადებულია ისტერიული ფსიქოზით, რომელიც გადადის ჭკუამოკლეობაში.

ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს უფროსი ორდინატორი
დ. ორბელი.

ჩვენთვის ამჟამად სიმულაციის ფაქტი, ჩვენ მთელი წლების განმავლობაში ვხედავთ არა იმ კამოს, რომელსაც ხედავდნენ ექიმები და გამომძიებლები, არამედ ჩვენს კამოს, — ამიტომაც, შეიძლება, მის განგებ არეულ-დარეულ, შეუსაბამო ჩვენებებში ჩვენ გველანდება მისი მუდმივი ირონიული ღიმილი, ვგრძნობთ მის დაუცხრომელ ქნის — გაალიზიანოს მტერი. ეთამაშოს მოწინააღმდეგეს. რალაც რევოლიუციონერ კამოსებურად ისმის მისი ბოდვა — „მინდა ახლა ბორკილები მოკლაო“. აგრეთვე იმას, რომ საზღვარგარეთ და ციხეში „ბატონ პეტროსიანცს“ შეძახოდნო, ალბათ, კამო ფარული ღიმილით თუ იტყოდა. სწავლის შესახებ ის იხსენიებს, რომ უყვარდა ისტორია, რომელიც მართლაც უყვარდა, ხოლო სწავლება უნივერსიტეტის საექტო დარბაზში, სადაც ნებადაურთველი სტუდენტური კრებები იმართებოდა, ამჟამად ირონიად ისმის. კამოს სახეობა ჩვენს წინაშე სამდება მისი ამ მოგონებული ბოდვის ოქმში: ავადმყოფის გიჟურ ნილაბიდან იხედება რამდენიმე წლის განმავლობაში თავის სიცოცხლისთვის მებრძოლი რევოლიუციონერის გვემული, ჩაფიქრებული სახე და იქვე გამოკრთის ციხეებსა და საგიყეებში შერჩენილი ვრიმასა უაღრესად ვაბედული თავებდისა, რომელიც მზათაა ენა გამოუყოს თავის უსაშიშროეს მტერს, როგორც კი ოდნავ სისუსტეს და წინდაუბედველობას გამოიჩენს უკანასკნელი.

ავგისტოს და სექტემბრის განმავლობაში „უდიდეს საქმეთა გამომძიებელმა“ რუსანოვმა ხელახლა დაჰკითხა მთელ რიგს უკვე დაკითხულ პირთ. ჩვენს წინაშე ამჟამად წარმოდგენილია ორი ბანაკი. ერთშია კამოს ნათესავეები, მეორეში — ენდარმები, რომელთაც მასთან ოდესმე რაიმე საქმე ქონიათ. ნათესავეების ჩვენებაში ჩვენ ვნახულობთ ახალ მტრიხებს, რაც ახასიათებს კამოს ბავშობას და იმ გარემოს, რომლის სიმძიმე დასძლია მასში რევოლიუციონერის ცეცხლმა. კამოს საყვარელი დეიდა ე. ა. ბახჩიევა ამბობს:

„ის დაიბადა ქ. გორში, იქ ცხოვრობდნენ მისი მშობლებიც. მისი მამა ხორცს და საზოგადოთ პროდუქტებს აწოდებდა გორში მყოფ ჯარს, სიმონი ოთხ წლამდე არ დადიოდა, არ ლაპარაკობდა, იწეა და ბევრი ეძინა ხოლმე. ის რვა წლის იყო, როცა მამამ შეიყვანა გორის საქალაქო

სკოლაში. ერთბაშად დაიწყო ცუდათ სწავლა თუ პირველად გვარძიანად სწავლობდა, ეს მე არ შემძლია ვთქვა, არ ვიცი. მე მალე ვმართვედი ერთად გორიდან გადმოვედი ტფილისს. მკონი მაშინ სიმონ ტყეშელაშვილის თორმეტი წლის იყო, ნამდვილად არ მახსოვს, მაგრამ დაახლოებით. მერე თანდათან გვარგავდი მას მხედველობიდან. სიმონის მამა ლოთია, ის ყოველთვის ბევრს სვამდა მაგარ სასმელებს, იმდენს სვამდა რომ გონებას ჰკარგავდა, აგრეთვე მისი ძმა — მიხეილ ნერსისისძეც სვამდა, ის ახლა მოკვდა, ხოლო ამ მიხეილის შვილი ნესიკო შემლილია და გორში ქუჩა-ქუჩა დაეხეტება.

სიმონის მშობლები წინად საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდნენ, დღეს უფრო ღარიბად არიან. როდესაც მამა მისი მოდიოდა შინ მთვრალი, ხშირად სცემდა ცოლს, შვილებს კი ხელს არ ახლებდა. სიმონი უცნაური ბავშვი იყო, არავის უგონებდა, ამტვრევდა ყველაფერს, რაც რაღაც მოხვდებოდა ხელში. უკანასკნელ დროს, მიმდინარე წლის თებერვალში, როდესაც მე ის ვნახე მეტეხში, ჩემზე ავიდამყოფი, არანორმალური აღამიანის შთაბეჭდილება მოახდინა. ის იყო დახეულ ხალათში, ცუდათ ეცვა, პირველად მცნობდა, მერე კი დამიწყო გამოკითხვა, ყვირილი რომ ჩვენ მასთან დავდივართ, რომ ჩვენ მას სხვადასხვა კითხვებს ვაძლევთ; თხოულობს მიუწყვანოთ დედა, რომელიც ათი წლის წინად გარდაიცვალა, ის გვარწმუნებდა, რომ დედა მისი ცოცხალია, — საზოგადოთ თავი ეჭირა როგორც არანორმალურ აღამიანს“.

გაცილებით უფრო სრულია კამოს დის — ჯავაირას ჩვენება:

„სიმონს სკოლა არ გაუთავებია, გამოვიდა მესამე კლასიდან: ის უნდა გაეყვანათ სკოლიდან, რადგან ცუდათ სწავლობდა. შინ მუდამ და ბევრს მაცადინობდა, ყოველთვის წიგნი ეკავა ხელში. 1901 წ. მოგვიკვდა დედა. ჩვენს ოჯახში ყველა ბავშვებს უფრო დედა გვიყვარდა. მამა მეტნაწილად შინ მოდიოდა დამთვრალი, საზოგადოთ ძალიან უხეში იყო, ხოლო დამთვრალი უყვიროდა ყველას და ცემასაც არ ერიდებოდა. დედის გარდაცვალების შემდეგ ჩემი ძმა სიმონი მალე წავიდა გორიდან ტფილისს; ის ამბობდა, რომ ისწავლიდა ელექტროტექნიკურ სახელოსნოში ზარების გაყვანას. მაგრამ როცა მე წავიდი ტფილისს დედა ბახჩევასთან, სიმონ ტფილისში ვეღარ ვნახე. ვასული წლის დამლევს ჩვენ ვავიგეთ, რომ ძმა დაიჭირეს ბერლინში და მოყავთ აქ მეტეხის ციხეში. აქ გადმოყვანის შემდეგ მე ვინახულე ციხეში რამდენიმეჯერ, დავდიოდი ხან მარტო ხან დედას და დედასთან ერთად. სულ ჩემი ძმა ვნახე ოცჯერ მაინც; ყოველ შემთხვევაში პირველად როცა ვნახე, ვერც მე ვიცანი და ვერც მან მიცნო. შემდეგ კი, როცა დაეუბშირე სიარულს, მედაპარაკებოდა ხოლმე, მაგრამ არანორმალური აღამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა. ის მუდამ დაგლეჯილი დაიარება. დახეულ პერანგში, თუმცა მასთან მიმჭონდა ახალი პერანგები; არავითარ სიწმინდეს არ იცავდა, ასე რომ მე კიდევ ვთხოვე ციხის უფროსს, ამ მხრით უფრო ედევნებოდათ მისთვის თვალყური. როცა თავის თავზე ლაპარაკობს, სულ ბერლინი ახსენდება, თითქოს წარმოდ-

გენილი აქვს, რომ ბერლინში იმყოფება, ლაპარაკობს, რომ მას სულ კართოვლით კვებავენ, იხსენებდა, რომ მას ნახულობს ვინმე კონი, თუმცა ის არავის არ უნახავს აქ ჩვენს გარდა. როგორც შეიძლება ჩავთვალოთ, კონი მისი დამცველი ყოფილა ბერლინში. ლაპარაკში მოიგონა რაღაც შარველი ოთახი, სადაც ის ზის. ვიფიქრე, ის ლაპარაკობდა კარცერზე, მაგრამ როგორც ციხიდან ვავიგე, ის კარცერში არ მჯდარა. ციხის ადმინისტრაციამ გამაფრთხილა არ შემშინებოდა მისი სიტყვების, რომ მას საზოგადოთ უცნაურად უჭირავს თავი ციხეში, ხან იმღერის რაღაც ლექსებს, ხან სულ კითხულობს. რასაც მივუტანდით, ყოველივეს გულგრილად გვიდებოდა; ყველაფერს სხვებს სთავაზობდა, თვითონ არაფერს არ იტოვებდა. თავის ჯანმრთელობას სიმონი არ უჩიოდა. თავისი ბედი არ ახსოვდა, როდესაც ვეუბნებოდით, რომ სასამართლოში მისი საქმე მალე გაირჩევა, ის სრულიად გულგრილად უყურებდა ამ ამბავს, თითქოს ეს ლაპარაკი არც კი ეხებოდა მას. მთელი მისი საქციელი უცნაური იყო, არ გავდა ჯანმრთელი ადამიანების საქციელს.

მე მყავს ერთი ბიძაშვილი არტემ ზაქარაისძე ტერ-პეტროსიანი, კუზიანი; ის ამჟამად ეკატერინოღარში ცხოვრობს. მეორე ბიძაშვილი ნესიკო გორშია; იგი იმდენად არანორმალურია, რომ გორის ქალაქის თვითმართელობა დიდხანია ზრუნავს მის მიხედვის საავადმყოფოში მოსათავსებლად“.

ზოგიერთი დეტალებით საინტერესოა ექიმ საბოლევსკის ჩვენება:

„ტერ-პეტროსოვს მე აღრიც ვიცნობდი, სანამ გავუკეთებდი 22 დეკემბერს მარცხენა ხელის გულიდან ნამსხვრევების ამოღების ოპერაციას. ის ჯერ კიდევ 1907 წ. იყო ჩემთან ორჯელ. მაშინ არავითარი არანორმალურობა არ შემიმჩნევია მისთვის. მახსენდება მხოლოდ, რომ მასზე არ ახდენდა არავითარ შთაბეჭდილებას ის, რაც ვუფხარო. მე მას განვუცხადე, რომ თვალი ელუპება და უნდა მიმართოს სპეციალისტს. ის ამას შეხვდა სრულიად გულცივად და გულგრილად. მოდიოდა ჩემთან და კურნალობდა ზოიძის გვარით.“

ტერ-პეტროსიანცმა უკანასკნელი ოპერაცია გადაიტანა სრულიად წყნარად, დამშვიდებით, უმტკივნეულოდ, თითქმის არ უგრძენია ტკივილი. არავითარი უცნაურობა მის მოქცევაში არ იყო. ერთადერთი რაც შევნიშნე, ეს იყო სუსტი ფსიქიური რეაქცია და მგრძნობელობის სიზღუნგე. როდესაც ტერ-პეტროსიანის საქმე დაინიშნა საზღვრო სასამართლოში, მე იქ გაწვეული ვიყავი მოწმედ ტერ-პეტროსიანის სხდომის დაწყებისას შეწუხებული შეხედულება ქონდა; როცა დაუწყეს კითხვების მიცემა, ის სულ სხვა რამეებზე უპასუხებდა. შემდეგ ჩვენ ცალკე ოთახში გავვიყვანეს. ტერ-პეტროსიანის შემდგომ გაქცევაზე მეტი არაფერი არ შემიძლია ვთქვა“.

ორი თვის შემდეგ კამო ხელახლა შეამოწმეს ტფილისის საოლქო სასამართლოს II სისხლის სამართლის განყოფილებაში. კამოს პასუხები ამ ეამად უფრო თავდაპირილია, ვიდრე გამოძიებულ რუსანოვის უფრო ვიწრო კომისიაში.

ის აშკარად იგონებს ჭკუამოკლებას. ადგილის და სხდომის შემადგენლობის პირობებში გავლენა მოახდინა არა მარტო კამოს უოფაქევეზე, კამისიამ რომლის შემადგენლობაში იყო სამი ექიმი, თავისი დიაგნოზით ვერა წარმოასტევა. პროკურორის უნდობლობამ უარყო წინა შემოწმების დასკვნები და ზელი შეუშალა ახალი დასკვნების გამგებანას. მაგრამ მიუხედავად ამისა, სხდომას კამოსათვის უშედეგოდ არ წაუვლია. გადაწყდა მისი გადაყვანა მეტეხის ციხიდან მიხეილის საავადმყოფოში. ამით გაქცევის წინაი მატულობდა.

მ. ძ მ ი

1910 წ. 24 ნოემბერი. ტფილისის საოლქო სასამართლო ქ. თფილისში. II სისხლის სამართლის განყოფილებაში, შერეული სხდომა შემდგომი შემადგენლობით:

თავჯდომარე—მ. ს. ერმოლოვი, სასამართლოს წევრები: ი. ლ. კურმანოვიჩი, ნ. ფ. ილაშენკო. ექიმები: საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბროძელი, ქალაქის ექიმები: მალალაშვილი და იაშვილი. მდივნის თან. აღ. ი. ი. ვაილო, პროკურორის ამხანაგის ნ. გ. ტკაჩევის მონაწილეობით.

უნდა განხილულიყო საქმე სიმონ არაშაკისძე ტერ-პეტროსოვის სულიერი მდგომარეობის შემოწმების შესახებ,—ბრაღი ედება სისხ. სამ. დებ.

102 მუხ.

2 ნაწ. სასჯელთა წეს. 1627, 1630, 1632, 1634 მუხ. ძალით.

სხდომა დაიწყო დღის ორ საათზე.

სასამართლოს სხდომაზე შემოყვანილ იქნა შესამოწმებელი ტერ-პეტროსოვი, რომელიც დაპატიმრებულია.

მოცემულ კითხვებზე ტერ-პეტროსოვი უპასუხებს:

1. რა გქვიათ?—სიმონ ტერ-პეტროსოვი.

2. რა ერქვა მამა თქვენს?—სიმონ ტერ-პეტროსოვი.

ეს კითხვა რამდენჯერმე მეორდება და ტერ-პეტროსოვი ერთსადაც ერთს პასუხს იძლევა.

3. რამდენი წლისა ხართ?—ოცდაათის.

4. სად დაიბადე?—არ ვიცი, მე ბომ უცხოეთშიაც ვიყავი.

5. რას აკეთებდით უცხოეთში, რითი ცხოვრობდით იქ?—ავტომობილის ფაბრიკა მქონდა.

6. სად დაიბადეთ?—არ ვიცი სად, მე ყველგან ვიყავი.

7. ეკითხება ექიმი იაშვილი: „მიცანით?“—ტერ-პეტროსოვი მხიარულად იცინის უპასუხებს: „თქვენ ექიმი ხართ, ექიმი“.

8. როგორაა თქვენი ჯანმრთელობა?—კბილები მტკიავა.

9. რას გაბრალებენ?—მე რამდენიმე პარტიის დამაარსებელი ვარ.

10. რომელი პარტიების?—რომელიც არიან რუსეთში.

11. მაგალითად რომელი?—ახლა დამავიწყდა, მერე ვიტყვი.

12. რომელია მთავარი პარტია?—მერე ვიტყვი.

13. სოციალდემოკრატებს იცნობთ?—ვიცნობ.



14. სოციალრევოლიუციონერებს?—მათაც ვიცნობ.
15. კომუნისტებს?—მათაც ვიცნობ.
16. თქვენ ვინმე გადარცვით?—არა.
17. დაგიწერიათ თუ არა თხზულებანი?—ვწერდრ წიგნებს, ძალიან ბევრი მიწერია.
18. რა ქვია თქვენ თხზულებებს, თქვენი წიგნების სათაური?—დავწერე, მაგრამ სათაური დამავიწყდა.
19. რა ენაზე?—რუსულად, ქართულად, სომხურად, ვიცი გერმანული და ძალიან კარვად ვვალობ გერმანულად.
20. იყავით თუ არა ერევნის მოედანზე, როდესაც ფულები გაიტაცეს?—არ ვყოფილვარ.
21. თქვენ ფულები წავართვეს საზღვარგარეთ?—მე საზღვარგარეთ ორმოცდაათი მილიონი მანეთი მაქვს დირექტორთან.
22. მერე დირექტორმა რომ მიითვისოს თქვენი ფულები, რა ვქნათ?—ჩვენ იქ ყველანი ერთად ჭიყავით.
23. როგორ გძინავთ?—დავდივარ ასე, არ მძინავს ასე.
24. თავვები არ გაწუხებენ?—ქვებს მისვრიან, ურიცხვი მტერი მახვევია გარს, სულ მტრებია, ყველგან მტრები, მრავალი მტრები. აქ ტერ-პეტროსოვი ჯიბიდან ამოიყვანს პატარა ცოცხალ ჩიტს, რომელიც დაბმულია წვრილი თოკით და ეტყობა შეჩვევია მას. ის ამბობს, რომ ემ მისი პეტკაა.
25. თავვები არ გაწუხებენ?—მელა დაღის ქერზე, იფხაქნება, სულ სუნავს პეტკას, სულ ფხაჭნის.
26. სად იშოვეთ პეტკა?—ზედამხედველმა მომიცა.
27. ძალიან გიყვართ პეტკა?—როგორ არ მიყვარს, ძალიან მიყვარს, კატა ჩავრავს, ფხაჭნის კარებს.
28. რამდენი ხანი სცხოვრობდით ბერლინში?—დიდხანს ვცხოვრობდი, ვიცი ყველა ქალაქები.
29. როზელი ქალაქები?—პეტერბურგი, ტფილისი, მოსკოვი
30. საზღვარგარეთ სახელდობ სად ცხოვრობდით?—ყველგან ვიყავი.
31. ვენა იცით?—ვიცი.
32. ტფილისი?—ვიცი.
33. ლონდონი?—ვიცი.
34. რომი?—ვიცი.
35. ამერიკა?—ვიცი.
36. როგორ მოხვდით ამერიკაში?—რკინის გზით, მანქანით.
37. რამდენი ხანი იცხოვრეთ ბერლინში?—დიდხანს.
38. იქ რას აკეთებდით?—ერნსტი იქ იყო, ჩვენ მასთან ვიყავით, მე მასთან ვცხოვრობდი, ის დირექტორია.
49. რას აკეთებდით?—ავტომობილები.
40. ახლა სად იმყოფებით, სად მოგიყვანეს?—კარგი ოთახია.

41. იცით, რა არის სასამართლო?—ვიცი.

42. რისთვის ზიხართ საპატიმროში?—მე ურიცხვი მტრები მყავს, ქვებს მისვრიან.

43. რისთვის ჩაგაჯინეს?—მომიყვანეს და ჩამაჯინეს.

44. ვინ მოგიყვანა თქვენ საპატიმროში?—საღდათებმა დიდხანია ჩამაჯინეს.

45. სად დაგიჭირეს?—საზღვარგარეთ.

46. რისთვის დაგიჭირეს?—ბევრი მტრები მყავს. ყველგან მტრები.

47. რა გინახეს ჩამადანში?—ჩამადანში იყო საცვლები, ფაბრიკა.

48. პაპიროსები იყო, ტყვიები იყო?—არა, არ იყო.

49. რას გააკეთებთ აქ, როდესაც ციხიდან გამოგიშვებენ?—წავალ ავტომობილით.

50. სად?—საზღვარგარეთ.

51. რა თევა ახლა?—ზამთარია, ციოდა, როდესაც მოვდიოდი, აი სახურავზე თოვლია.

52. რომელი წელია ახლა?—არ მახსოვს.

53. რატომ წადით ბერლინში?—იქ მე ფულები მაქვს, ბევრი ფულები.

54. საიდან გაქვთ თქვენ ფულები?—ავტომობილების ფაბრიკა.

55. ვისია ფაბრიკა?—ჩემი ავტომობილის ფაბრიკაა, მუშაობს ინგერერი ერნსტა,

56. თქვენ სად მუშაობთ?—ციხეში ამბობენ ძველ ტანისამოსს ვყიდდი.

ტერ-პეტროსოვი გაყვანილი იქნა სასამართლოს დარბაზიდან.

შერეულმა საკრებულომ, თათბირის შემდეგ, დაადგინა ბრალდებული სიმონ არშაკის-ძე პეტროსოვი, მისი სულიერი მდგომარეობის საკითხის უფრო ზედმიწევნით გამოკვლევის მიზნით, მოთავსებულ იქნეს სამეთვალყურეოდ ტფილისის მიხეილის სავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში.

შემოწმების ოქმს დართული აქვს კამოს შესახებ როგორც მისი მახლობლების, ისე გეიმების და ციხის ზედამხედველების დაკვირვებათა ნაჯუმი. უკანასკნელი მხოლოდ შორეულ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ რა უზარმაზარი მუშაობის ჩატარება დასჭირდა კამოს, რომ იგი ნახევრად მაინც აღეარებიათ ავადმყოფად. გერმანიაში იზოლაციის პირობების მეოხებათ მას საქმე ქონდა მხოლოდ აღდამიანთა განსაზღვრულ რაოდენობასთან. ტფილისის ციხის სავადმყოფოს უთავბოლო, ცუდად მოწყობილი ყოფა-ცხოვრება მას პირისპირ ახედვრებდა შემთხვევით მეთვალყურეებს, რომელნიც ერთობ ხშირად იცვლებოდენ. საჭირო იყო მათი ცალკალკე დაშუშავება, რომ ისინი ბრალმდებელთა ხროს არ შეერთებოდენ.

თანამდებობის პირები, რომელნიც თვალყურს ადევნებდნენ ტერ-პეტროსოვს ამ საქმის წარმოების დროს, აჩვენებენ, რომ საქმის წინასწარი გამოძიების და ფორმალური გამოკითხვის დროს სიმონ ტერ-პეტროსოვს არაეითარი შესლილობა არ ეტყობოდა, პირიქით, დაკითხვების დროს ის ნათელ, გონივრულ და მოფიქრებულ ახსნა-განმარტებას იძლეოდა. დიდს ინტერესს იჩენდა თავის

საქმისადმი და სრულიად დამშვიდებით ექირა თავი. მხოლოდ მისა მოქცევა მეტის მეტად შწვილობიანი იყო ისეთი მძიმე ბრალდებისთვის, რომელიც მას ქონდა წაყენებული. ამ უკანასკნელმა გარემოებამ საბუთიც კი შექმნა, რომელსაც მალაშვილს სიმონ ტერ-პეტროსოვი აღიარებინა „სულელად“ და „არანორმალურად“. ტფილისის მეტეხის ციხის საავადმყოფოს ექიმი იაშვილი აჩვენებს, რომ ვიდრე საქმე დაინიშნებოდა გასარჩევად კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოში, სიმონ ტერ-პეტროსოვი არაფრით არ იქცეოდა მის ყურადღებას, მაგრამ ამ სხდომის შემდეგ ტერ-პეტროსოვი მოთავსებული იქნა მეტეხის ციხის საავადმყოფოს ცალკე პალატში და მას უკან ტერ-პეტროსოვის თვალყურის დევნება თანდათან უფრო ახდენდა მასზე შთაბეჭდილებას, რომ ტერ-პეტროსოვი უძველად არანორმალური ადამიანი იყო. მართალია, ტერ-პეტროსოვი წყნარადაა, არ შმაგობს, ცნობილობს მოწმესაც და ციხის ზედამხედველებსაც, მაგრამ ის დროგამოშვებით დიდხანს დგას ხოლმე ერთს ადგილას, გასჩერებია ფანჯარაში ერთს წერტილს, რაღაცას ბუტბუტებს, ან ელაპარაკება თავისთავს, სრულიად განურჩევლად ეპყრობა თავისთავს და თავის ბედს, ჩანს სრულიად არ აინტერესებს თავისი მდგომარეობა, ჩივის ხანდახან, რომ მას აწუხებენ თავგები, მაშინ როდესაც იმ შენობაში, სადაც იგი მოთავსებულია, თავგები სრულიად არაა.

ტფილისის საგუბერნიო საპატიმროს და მეტეხის ციხის გამგის თანაშემწე შახვიანი აჩვენებს, რომ ტერ-პეტროსოვი არა ნორმალური კაცის შთაბეჭდილებას ახდენს: ხანდახან თავისთავს ელაპარაკება, დადის პალატში, აქნევს ხელებს, სულ რაღაც ჩიტი ელანდება, საუბრის დროს ეყარება ლაპარაკის ძაფი, ხტება ერთი საგნიდან მეორეზე; მასთან შესულ პირებს ცნობს. საპატიმროს უფროსის შესვლისას დგება ზეზე. მეტეხის ციხის საავადმყოფოს მოსამსახურე (ტუსალთაგანი) პანსენკო აჩვენებს, რომ ტერ-პეტროსოვი თავის ყოფაქცევით მასზედაც შეშლილის შთაბეჭდილებას ახდენს: ის რაღაცას ლაპარაკობს, რას-ვერ გაიკვბ. ყვება რაღაც მოგზაურობის ამბავს საზღვარგარეთ, სამჯერ უარი თქვა საქმლის მიღებაზე. საერთოდ ასეთივე ჩვენებას იძლევიან მეტეხის ციხის ზედამხედველი პროხორენკო და ზედამხედველი ვასილენკო—ამასთან პირველი ტერ-პეტროსოვს უწოდებს ისეთ ადამიანს, რომელიც „თავის ჭკუაზე არ არის“ და „იშლება“, ხოლო მეორე მას თვლის ისეთ ადამიანად, რომელიც „სავსებით ჯანმრთელი არ არის“. პროხორენკოს თვალყურის დევნების დროს შეუმჩნევია, რომ ტერ-პეტროსოვი ღამ-ღამობით დგება, რაღაცას იჭერს ჰაერში, კედლებზე ან იატაკზე, ძვრება სტოლ ქვეშ, იქ რაღაცას ეძებს—მაშინ, როდესაც მის კამერაში არაფერი არ არის; ჩივის, რომ მის კამერაში ქვებს ისერიან, ხოლო იმ კითხვაზე, თუ ვინ ისვრის, უპასუხებს, „ძველი ეშმაკის ძაო“. დილას კი იმას აფიწყდება ყოველივე ის, რასაც ამბობდა და აკეთებდა ღამით. ვასილენკოც ამგვარივე ჩვენებას იძლევა.

ტფილისის მეტეხის ციხის საავადმყოფოს საურვო ფურცლებში 1910 წ. 3 მაისიდან 22 სექტემბრამდე სიმონ ტერ-პეტროსოვის შესახებ სხვათაშორის აღნიშნულია შემდეგი:

„ჩივის, რომ თავგები არ აძინებენ. ვითომ მან მოკლა ორი თავი“. „ზის იატაკზე, ატრიალებს რალაც ზნარიალას მავგარს, რომელსაც მლაში გაყრილი აქვს ასანთის ლერი“. „ჩივის, რომ ცხვირიდან ტვინი ^{ქვემოთ} ^{დაწვეს} სდგას ფანჯარასთან, აქნევს ხელებს, ელაპარაკება თავისთავს, და სხ. თანახმად ზემოთმოყვანილ მოწმეთა ჩვენებისა, ავადმყოფის ობიექტურ ნიშნებიდან აღნიშნულია შემდეგი: სამ მაისს—„სახე მკრთალი, პაპიროსს წივს ბევრს“; 3 აგვისტოს—„დაწყნარებული მდგომარეობაა, ძალიან ბევრ სიგარას წივს, ხეღია არეული. თვალის გუგა დაფიწროებული, აპეტეტი კარგი, აგრეთვე ძილიც...“ 22 სექტემბერს—„...ხელის თათების და თავის ცახცახი. კუნთის რეფლექსები მომატებული, გუგა გაფართოებული“.

დაახლოვებით ამ დროს მოხდა ორი შეხვედრა აშხ. კამოსი აშხ. ბებური-შვილთან.

„მე ჩამოვედი პეტერბურგიდან ტფილისში მუდმივ საცხოვრებლად —გვიამბობს აშხ. ბებურიშვილი,—და გავიგე, რომ კამო უკვე გადაუტიათ რუსეთის მთავრობისათვის, წინააღმდეგ არსებულ საერთაშორისო უფლებების დებულებისა პოლიტიკურ დამნაშავეთა შესახებ. ხმები დადიოდა, რომ ის შეშლილია და რომ ეს ურყევად დაამტკიცეს გერმანიის გამოჩენილმა მეცნიერებმა. მიუხედავით ამისა ადგილობრივი სამოსამართლო ხელისუფლების მოთხოვნით, იგი განმეორებით იქმნა შემოწმებული. მე შემთხვევით შევეყარე მას, სასამართლოს კულუარებში მიყავდათ. მისმა გარეგნობამ მძიმე შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. მას გაეშვა გრძელი თმა და წვერი. საშინელი აშლილი, დაბეჩავებული შესახედლობა ქონდა. ხელში ყავდა ჩიტი, რომელსაც ეთამამებოდა, შემომხედა ამღვრეულად და შეუგნებლად რატომღაც გაიცინა და შევიდა სამოსამართლო ოთახში გაძლიერებული კანკლის თანხლებით. ჩემთვის ყოველ ექვს გარემო იყო, რომ კამო ჩვენთვის სამუდამოთ დაიკარგა როგორც მუშაკი და როგორც ადამიანი. მე დიდხანს ველარ დავმშვიდდი. მისი და ჯავიარა რატომღაც უცნაურად ილიმებოდა ჩემს წუხილზე და მთხოვა მენახა კამო მეტეხში, გულდამწუხრებული მივდიოდი ციხეში ძველი, მაგრამ დაღუპული მეგობრის სანახავად. იგი მანახვეს რკინის მათულების ბადეს იქით. გამოჩნდა კამო ისეთივე საშინელი სახით, როგორც სასამართლოში, მას თან ყავდა ჩიტი და რალაცნაირად სტვენდა. როგორი უნდა ყოფილიყო ჩემი გაკვირვება, როდესაც იხელთა თუ არა წუთი, რომ დარაჯს არაფერი გაეგონა, კამომ მთხოვა ორი სიტყვით ჩქარა გადამეცა პარტიის მდგომარეობის და ტფილისში მუშაობის ამბავი. მე პირდაპირ გაგვქავედი, მეგონა სმენამ მომატყუა, მაგრამ მან ხელახლა გაშიშგორა კითხვა. მხოლოდ მაშინ შეიქნა ჩემთვის ნათელი, რომ ის რამდენიმე წლის განმავლობაში სიმულაციას ეწოდა, თავს იგთიანებდა. ეს იყო რკინის კაცი, ამ სიტყვის ნამღვილი მნიშვნელობით“.

1910 წ. 21 დეკემბერს, აშხ. კამო მოთავსებულ იქნა ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში და ჩაიწერა წიგნში 38 ნომრით.

ეგრეთწოდებული საურვო ფურცელი ამხ. კამოს შესახებ საავადმყოფოში იწერებოდა ყოველდღე 1910 წ. 21 დეკემბრიდან 1911 წ. 15 აგვისტომდე, როდესაც „შეშლილი“ გაიქცა საავადმყოფოდან, მიუხედავად იმისა, რომ მისი მიღებული ყოველგვარი სისასტიკისა.

დაბორკილებული კამო მოთავსებულ იქნა ცალკე ოთახში. ოთახის გასაღები სპეციალურად მიწენილ მოსამსახურეებს ქონდათ. ხოლო მასალები შვამ ავადმყოფთა მთელი საიზოლაციო შენობისა, სადაც კამო მოთავსეს, ჩაბარებული ქონდა ზედამხედველს, რომელიც განუშორებლად განყოფილებაში იმყოფებოდა. მის ნებადაურთველად არავის არ შეეძლო გამოსვლა განყოფილებიდან, გარედან დაცვის საქმეს განაგებდა მეცხრე უბნის ბოჭაული, რომლის დანიშნებით ფსიქიატრიულ განყოფილებაში ყოველდღე მორიგეობდნენ გოროდოვოები.

კამოს უკანასკნელი და გადამწყვეტი შემოწმება სასამართლოში მოხდა 1911 წ. 12 მაისს, — ამისთან საგანგებო საკრებულომ დაადგინა: „საქმეში არ მოიპოება ცნობები, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა თქმა, რომ ბრალდებულს სიმონ ტერ-პეტროსოვს, ტფილისში ერევნის მოედანზე 1907 წ. 13 ივნისს ორასორმოცდაათითათისი მანეთის გაძარცვის დროს რაიმე სულიერი აშლილობა ქონდა, რომელსაც მოესპო მისთვის შესაძლებლობა გაეგო ჩადენილი ქმედების თვისება და მნიშვნელობა და ეხელმძღვანელა თავის ყოფაქცევისათვის და, რომ ამჟამად ტერ-პეტროსოვი გონება-აშლილია ისტერიული ფსიქოზის ფორმით, რომელიც გადადის ჰეპაოკლეობაში და რომელიც უსაბოლო შესაძლებლობას გაიგოს ჩადენილი ქმედობის თვისება და მნიშვნელობა და უხელმძღვანელოს თავის ყოფა-ქცევას“.

ასეთი დადგენილების გამო, ტერ-პეტროსოვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნა, კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს სამხედრო პროკურორის და ოლქის ჯარების მთავარსარდლის თან. დრ. აღმასრულებლის ურთიერთშორის შეთანხმებით, შეჩერებულ იქნა ტერ-პეტროსოვის გამომართვებამდე მისი პატიმრობის ქვეშ დატოვებით.

აი რას ამბობს „საურვო ფურცელი“ ამხ. კამოს ყოფაქცევის შესახებ შეშლილთა სახლში:

„წიგნი № 38. გიგების განყოფილება. სიმონ ტერ-პეტროსოვი. კანვოს საშუალებით გადმოყვანილია მეტეხის ციხიდან. განსაზღვრული ხელობის არ მქონე, წერაკითხვის მცოდნე. ღარიბი. ავადმყოფობა „Explorandi causa“ (გამოსაცდელად).

„1910 წ. 21 დეკემბერს, ტერ-პეტროსოვი გადმოიყვანეს განყოფილებაში მეტეხის ციხიდან კანვოს თანხლებით, ფეხებში ბორკილგაყრილი, ბორკილები ღვედების საშუალებით მხრებზე გადადის; ხელზე უზის ჩიტი, რომელსაც ის პეტკას ეძახის და რომელიც არ უნდა მოიშოროს. გამოსაცდელი საშუალო ტანისაა, დამაკმაყოფილებელი კვების, სახის გამოშვებულ სულელური, აპათიური, კითხვებზე პასუხი — შეუსაბამო, ადგილის და აქ გადმოყვანის მიზნის ორიენტირების უქონლობა. მიეცა ცალკე ოთახი, ჩიტი ჩამოერთვა.

22/VII. მშვიდადაა, დაწყნარებული, აპატიურია. კუნთების მკვანი-
კური აღზნებადობის მკვეთრი მომატება, დერმოგრაფიზმის, მუცლუცნები,
კანის მაგრძნობლობის მკვეთრი დაკლება, ალაგ-ალაგ მკვლელები სულ
დაკარგულია ტკივილის გრძნობა, კანის და შეშაძარღვების რეფლექსე-
ბის გაძლიერება. ცახცახი ხელებისა და ენის. ელექტრო-კუნთის აღ-
ზნებადობა ძლიერ ფარადიულ დენისადმი შესუსტებულია. კუნთების შე-
კუმშვისას არავითარ ტკივილს არ გრძნობს და საერთოდ სრულიად გა-
ნურჩევლად უყურებს მის თავზე წარმოებულ გამოკვლევის.

24/XII. მთელი დღე დაეხეტება კამერაში, ღილინებს, უსტვენს, ტე-
ნის საპაპიროსე გილზეებს, არაფერი არ აინტერესებს სრულებით. სხვათა-
შორის მიმართა თხოვნით ორდინატებს—მისცენ მას რაიმე წიგნი, სადაც
ომის შესახებაა ლაპარაკი; მიუხედავით იმისა რომ წიგნი მიცეს, არ კით-
ხულობს. ამბობს, რომ მას ქ. ტფილისის ახლომახლო ოთხი მილიონი აქვს,
რომელიც მთებში აქვს დაფლული, მაგრამ არ სურს მიუთითოს ამ ად-
გილზე. საღამოს დიდხანს არ იძინებს, ბუტბუტებს, მოუსვენრად ტრია-
ლებს გვერდიდან გვერდზე, აცხადებს, სხვათა შორის, უკმაყოფილებას,
რომ წაართვეს ჩიტი პეტკა, თხოულობს დაუბრუნონ, რომ მოელაპარაკოს
მას მეტად მნიშვნელოვან საქმის შესახებ.

5/I. დილის ვიზიტაციის დროს განუცხადა ექიმს, რომ მის კამერაში
იხედებიან ვილაც ახალგაზრდები, კაცები და ქალები, აწუხებენ მას, ურ-
ღვევენ ღამის მშვიდობიანობას და თხოვენ ექიმებს მიიღონ ზომები; წინა-
აღმდეგ შემთხვევაში ის პირადათ გაუსწორდება მათ. დღისით დაეხეტება
კამერაში, სტვენს, სულისკვეთება მზიარული აქვს, ბევრს სწევს თამბაქოს,
სრულიად გულგრილად უყურებს იმას, რომ შესულია განყოფილებაში
იმყოფება და ბორკილებშია; პარიჟით ბორკილები ართობს მას,—როცა
მათ ანხრიალებს თითქო აკომპანიირებს სიმღერის დროს. საქმელი მიიღო.
მთელი ღამე არ უძინია.

9/I. აწეული სულისკვეთება აქვს, უფრო მოძრავადაა, გალობს,
სტვენს, აცხადებს, რომ ის ხმაილალა გალობს და ამ გალობით უძახის
თავის ჩიტებს, რომელნიც მას ძალიან უყვარს და რომელთაც მისი ყვე-
ლაფერი კარგად ესმით. ცოტახნით დუმდება, შემდეგ ისევ იწყებს გალო-
ბას, დადის წინდაუკან კამერაში, საღამოს წვება ლოგინში, მაგრამ არ
ძინავს მთელი ღამე, რადგან მისი სიტყვით ის ადგენს იმ მებრძოლი რა-
ზმის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც მან შეადგინა და რომელიც ბინადრობს
ტყეში ტფილისის ახლო. წიგნებს და გაზეთებს სულ არ კითხულობს და
სახოვადოთ არაფერი არ აინტერესებს.

13/I. დაცემული სულისკვეთება, შეწუხებული სახე აქვს, ხანდახან
ტირილის გუნებაზეა, კენისის, ოხრავს, შფოთავს. ხშირად იწყებს ლაპა-
რაკს სიკვდილზე. არ მიიღო საქმელი: „მე შიმშილით უნდა მოგვკვდ. ჩემი
რაზმები გაანადგურეს იმ არამზადებმა, რომელნიც მე აქ მაკავებენ. აღარ
ღირს ცხოვრება, მე უნდა მეცხოვრა ას წელზე მეტი, მაგრამ ახლა მინდა
მოკვდე“.

21/I. ცვალეზადი სულისკეთება: ხან მზიარული, ხან შექცეული; დღისით კამერაშია, მღერის, უსტვენს, ელაპარაკება თავისი თანატოლების გილზებს. პურის გულიდან აკეთებს რაღაც ცხოველებს, იღვრს წვეთს, მაგრამ დიდხანს არ ეძინება, ბუტბუტებს, პაპიროსს სწევს.

2/III. დაწყნარებულია, ლაპარაკის გუნებაზეა, ექიმს ელაპარაკება, რომ მას უნდა წავიდეს ციმბირის გზით ამერიკაში ათბალოვანი ავტომობილით, რომ ციმბირსა და ამერიკას შუა გადის მდინარე ყინულით დაფარული. ამასთან გაკვირება გამოთქვა იმის შესახებ, თუ როგორ გაიგეს მისი სახელი, რომელიც წარმოსთქვეს ისე ხმაზილია, რომ გაიგონა კამერაში გარედან. „გარკვევით გავიგონე ქალის ხმა, რომელმაც წარმოთქვა ჩემი სახელი“.

ამგვარი ჩანაწერებით ივსება საურვო ფურცლები, სხვადასხვა ვარიაციით, კამოს ფანტაზიის მიხედვით, 15 აგვისტომდე, როცა ჩაწერილია შემდეგი: „ავადმყოფმა ტერ-პეტროსოვმა (მორიგე ზედამხედველი ვრიგორიევის სიტყვით) შუაღლის 4 საათზე, ჩაის დროს, ითხოვა ფეხისადგილში წასვლა; მორიგე მოსამსახურემ გაუშვა ის კამერიდან, მიყვა ფეხისადგილამდე და თვითონ დაბრუნდა მეორე მოუსყენარ ავადმყოფთან (მირზაიანთან), რომელიც კარებს არახუნებდა. როდესაც წაუღეს ჩიი ტერ-პეტროსოვს კამერაში, ის აღარ აღმოჩნდა არც კამერაში და არც ფეხისადგილში. ამ ხნის განმავლობაში ის გაპქრა განყოფილებიდან“.

გაქცევის ორგანიზაცია

აშკარა და დასაბუთებული წინათგანობა, რომ კამო გაიქცევა საავადმყოფოდან, დიდით აწუხებდა მიუნდობელ პროკურატურას იმ დღიდანვე, როდესაც სამხედრო სასამართლომ დადგენილება გამოიტანა მისი სულიერი მდგომარეობის გამოცდის შესახებ.

შეტხის ციხას ზედამხედველმა, რომელზედაც ითვლებოდა ავადმყოფი კამო, მიხეილის საავადმყოფოში ყოფნის დროს, ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორისგან მიიღო მკაცრი ბრძანება.—„ტერ-პეტროსოვი ყოლოდა ცალკე კამერაში და როგორც მისი გაქცევის შესაძლებლობის, ისე სამხედრო სასამართლოს მიერ მისი სულით ავადმყოფად აღიარების გამო, განსაკუთრებული სიფიზლით ედევნებია მისთვის თვალყური,—მით უფრო, რომ მისი ვითამდა არანორმალური მდგომარეობა შე სიმულაციად მიმანჩიო“.

ციხის გამგემ ამ ბრძანებას არანაკლებ გადაწყვეტილი ხასიათის რეზოლიუცია წააწერა:

„იჯდეს იქვე, სადაც იჯდა, მხოლოდ ორ კლიტულში და ეცნობოს, რომ იგი ჩემთან სრულიად ჯანმრთელი იყო,—მხოლოდ სასამართლოში ვახდა სულით-ავადმყოფი“.

მაგრამ მიუხედავად ორი კლიტულისა კამოს ცხოვრება საავადმყოფოში ბუნებრივად გაცილებით უფრო ხელაყრელად მოეწყო მისთვის, ვიდრე ციხეში. ეს ჩანს უფროსებთან საავადმყოფოს ექიმების მიმოწერიდან კამოსთვის

ბორკილების მოხსნის შესახებ. ბორკილები აშფოთებდა ექიმებს და აწუხებდა ავადმყოფებს. 24 დეკემბერს ექ. გურკო პირველად აცხადებს პეტროსის მათ წინააღმდეგ:

„ბ-ნ ტფილისის მეტეხის საპატიმროს გამგეს. ამა წლის 21 დეკემბრის წარწერით № 15113 ჩემდამი რწმუნებულ საავადმყოფოს შეშლილთა განყოფილებაში გადმოყვანილ იქნა ტუსალი სიმონ ტერ-პეტროსოვი, რომელსაც ფეხებზე ბორკილი ადევს. ვინაიდან ეს შემადარწმუნებელ შთაბეჭდილებას ახდენს დანაჩინ ავადმყოფებზე, გთხოვთ მაცნობათ. ხსენებულ ტერ-პეტროსოვი გამოცდის დროს სულ ბორკილებში უნდა იქნეს თუ არა, და თუ კი—რა საბუთით; ხოლო თუ ბორკილების-გახსნა შესაძლებელია, გთხოვთ გამოგზავნათ ვინც საჭიროა მათ მოსახსნელად“.

1911 წ. 14 იანვარს ის თავის პროტესტს იმეორებს საოლქო სასამართლოს პროკურორის სახელზე გაგზავნილ მიწერილობაში. როგორც უკანასკნელის ტექსტიდან ჩანს, პროკურატურა თავის მხრით პირდაპირ დიდს „მზრუნველობას“ იჩენდა კამოსადმი. იმავე საკითხის შესახებ საავადმყოფოს მთავარი ექიმი 21 იანვარს წერს აგრეთვე სამკურნალო ნაწილის მართველობასაც.

ამ სამკურნალო პლანურიობის გამოხატულებასთან ერთად—პროკურატურა ხშირად უზრუნველბა კამოს დაცვის საიმედოების საკითხს, აჩქარებს ექიმებს დაასრულონ ავადმყოფის გამოცდა და მოიხზოეს საავადმყოფოში მისი ყოფნის, დარჩენის დაზუსტებული ვადების დადგენას.

10 იანვარს პროკურორი განმეორებით წერს მთავარ ექიმს:

„საიდუმლოდ. ტუსალი სიმონ პეტროსოვის თქვენდამი რწმუნებულ საავადმყოფოს შეშლილთა განყოფილებაში გამოსაცდელად გადმოგზავნის გამო, პატივი მაქვს გთხოვოთ, რათა ხსენებულ ტუსალსადმი შემოიღოთ სასტიკი და შეუსუსტებელი მეთვალყურეობა მისი გაქცევის შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად“. სასამართლოს პროკურორი:

გრამოვი.

22 აპრილს საოლქო სასამართლო დაეინებით მოითხოვს საავადმყოფოსაგან, რომ გამოცდა დასრულებული იქნეს.

მაისში ხდება კამოს შემოწმება შერეული კომისიის მიერ; ამასთან მცველებს, რომელთაც უნდა მიეყვანათ ტუსალი საავადმყოფოდან სასამართლოში, განსაკუთრებული მითითებანი ეძლევათ, რათა დაიცვან იგი გაქცევისაგან.

ივნისში კამოს ბედით უკვე სამხედრო პროკურორიც იწყებს დაინტერესებას. ამის შემდეგ, კამოს (მიუხედავად პროკურორის საეკვო განმარტებებისა) განუკურნებულ ავადმყოფად აღიარების გამო საავადმყოფოში ყოფნის ვადები მკაცრად იზღუდება. ამ ნიადაგზე ჩაღდება ბრძოლა ექიმებსა და სასამართლოს შორის. სასამართლოს არ უნდა იწამოს მოურჩენლობის ფაქტი. კამოს მდგომარეობას გაუარესება მეოლის. საჭირო ხდება გაქცევის საქმის მოწყობის დაჩქარება. პროკურატურა წინადადებას იძლევა, რომ კამო გადაყვანილი იქნეს სამხედრო ვოსპიტალში. ეს ნიშნავს—ახალ ხალხს, უფრო სასტიკ პირობებს, გაძლიერებულ დაცვას და თანამგრძობელთა ხელახლა შოვნის საჭიროებას,—მთელი მუშაობის თავიდან დაწყებას, ავეისტოს შუა რიცხვებში გადაყვანის საფრთხე სავსებით რეალური ხდება.

შ. ს. ს.

კავკასიაში სამოქალაქო

უწყების სამკურნალო

ნაწილის სამმართველო.

1911 წ. 13 აგვისტოს

№ 8225

პ. ტფილისი.

თერაპიული
მისიელიტური და ვადიმოფიის
მთავარ ექიმს.

ა/წ. 20 ივნისის რაპორტის გამო სამკურნალო ნაწილის სამმართველოს თქვენს მაღალკეთილშობილებას აახლებს კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს ამ წლის 12 ივლისის დადგენილების ასლს და აცნობებს, რომ ამასთან ერთად სამმართველო თხოვს ტფილისის სამხედრო გოსპიტალის მთავარ ექიმს, რათა ხსენებულ გოსპიტალში იქნეს გადაყვანილი სულით ავადმყოფი ტერ-პეტროსოვი.

აი თვით უს დადგენილებაც:

დადგენილება:

1911 წ. 12 ივლისის კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლომ გამწესრიგებელ სხდომაზე სასამართლოს თავჯდომარის თან. დრ. აღმას. გენერალ-მაიორ სემაშკოს, სამხედრო მსაჯულების გენერალ-მაიორ დოლგინსკის და გენერალ-მაიორ გრანოვსკის შემადგენლობით და სამხედრო პროკურორის გენერალ-მაიორ აფანასიევიჩის და მდივნის თანაშემწის კოლეცსკი რეგისტრატორ გონჩაროვის ბონაწილეობით, სამხედრო მსაჯულ გენერალ-მაიორ დოლგინსკის მოხსენების თანახმად მოისმინა: სამხედრო პროკურორის წინადადება და კავკასიაში სამოქალაქო უწყების სამკურნალო ნაწილის გამგის ა/წ. 2 ივლისის № 2567 მომართვა, სადაც უკანასკნელი, განმარტავს რა თავის მოსაზრებებს და საბუთებს სამხედრო პროკურორის წინააღმდეგ, კითხულობს, „ხომ არ დაინახავს ის შესაძლებლად გააუქმოს თავისი განკარგულება სულითავადმყოფ ტერ-პეტროსოვის ბორკილებში და პატიმრად დატოვების შესახებ“.

სასამართლომ, მოისმინა რა სამხედრო პროკურორის დასკვნა, დაადგინა: ეცნობოს, რომ ფსიქიატრულ საავადმყოფოში გონება შერყეულთა მოთავსება სასჯ. დებ. 95 და 96 მუხ. ძალით შეიძლება მხოლოდ იმ პირების მიმართ, რომელთა სისხლის სამართლის ძიება შეწყვეტილია კანონით ვათვალისწინებელი წესით და არა იმ პირთა მიმართ, რომელნიც პასუხისგებაში არიან მიცემული და გასამართლებული უნდა იქნენ მორჩენის შემდეგ, რომელთა რიცხვსაც ეკუთვნის ბრალდებული ტერ-პეტროსიანიცი, — რომ დაპატიმრებულთა წესდ. 255 მუხ. ძალით ბრალდებულნი მათი საქმის წარმოების დროს არსად და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გასყვებულ იქნენ. ამიტომ ტერ-პეტროსიანიცი არ შეიძლება განთავისუფლებული იქნეს პატიმრობიდან. რაც შეეხება მასზე დადებულ ბორკილებს მათი მოხსნა არ შედის სასამართლოს კომპეტენციაში თანახმად

ურ. „მნათობი“ № 1—2.

იმავე წესდების 237 მუხ. და დამოკიდებულია ტფილისის ადმინისტრაციას. ხოლო უკეთეს ტერ-პეტროსიანცის ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში ყოფნა უხერხულია, სასამართლო წინააღმდეგობის მიხედვით მისი გადაყვანისა მეტრების ციხის საავადმყოფოში ან ფტილისის სამხედრო გოსპიტალში“.

კამო და მისი მეგობრები აღარ იცდიან. ჯერ კიდევ 13 აგვისტოს გაქრობა იყო გამართული კამოს ბედის შესახებ უწყებათა შორის, ხოლო 15 აგვისტოს საავადმყოფოს ექიმთა თავის უფროსებს აუწყებს:

„ვაუწყებ სამკურნალო ნაწილის სამართევლოს, რომ განყოფილებაში მყოფი სულითავადმყოფი ტუსალი სიმონ ტერ-პეტროსოვი ამა რიცხვის დღის დაახლოებით ოთხ საათზე გაიქცა განყოფილებიდან შემდეგ პირობებში:

ტერ-პეტროსოვმა ფეხისადგილში გასვლა ითხოვა. მოსამსახურემ ის გაიყვანა კამერიდან და შეუშვა ფეხისადგილში. ❊ დროს, როდესაც მოსამსახურე ცოტახნით მოშორდა ტერ-პეტროსოვს. ის გადაბტა ფეხისადგილის პირველ ოთახის პირის დასაბანის ფანჯრიდან. რკინები ერთ მინაში გამოტეხილი იყო. გარედან ეს ფანჯარა მიწიდან 2 $\frac{1}{2}$ —3 საყენის სიმაღლეზე იმყოფება. ტუსალი ფანჯრიდან დაშვებულა წვრილ ბაწრით, რომელიც იქვე ეგდო ძირს ფანჯრის ქვეშ; იქვე იყო რამდენიმე თხელი ბეწვახერხი. ფანჯარაში გადახტომის შემდეგ ტერ-პეტროსოვს ნაპირნაპირ სულადვილად შეეძლო მისულიყო ან ვერის ან ნიკოლოზის ხიდამდე, რადგან მტკვარი პატარა იყო“.

როგორ იყო ეს გაქცევა მოწყობილი? ამის შესახებ კამოს ამხანაგები გაცილებით უფრო ვრცლად გვიამბობენ, ვიდრე ოფიციალური დოკუმენტები. პატიმრობის უკანასკნელ ხანებში კამო უკვე აღარ იყო მარტოდ მარტო, თუმცა „იზოლატორში“ იმყოფებოდა. მან მოახერხა კავშირის აღდგენა რევოლუციურ იატაკქვეშეთთან.

კამოს ძალღონე თანდათან უსუსტდებოდა. სამხედრო გოსპიტალის პერსპექტივები მას კარგს არაფერს უქადიდა. და იგი კამო ერთერთ თავის უახლოეს ამხანაგს და თანამოსაქმეს უგზავნის მოკლე ბარათს:

„მატლა ზომ არ გგონიათ, რომ გავვიყდი? თავს ვივიციანებ. მაწამებენ. შემდგომი ტანჯვა აუტანელი ხდება. ხსნა გაქცევაშია. არ მინდა შოკვდე საპატიმროში. ეცადეთ მოაწყოთ გაქცევა. მინდა კიდევ ვიმუშაო პროლეტარიატის სასარგებლოდ“.

გახურდა მუშაობა გაქცევის მოსაწყობად. ამაში უშუალო მონაწილეობას ლებულობდნენ აშ. ბუღუ მდივანი, კამოს დები—ჯავაირა და არუსიაკი და სხვ.

სპეციალურ კამერისკენ, სადაც კამო იჯდა, მდ. მტკვრის ნაპირიდან დაყენებული იყო ორი პოლიციელი. პოლიციელები მხოლოდ დამ-ღამობით. დგებოდნენ დღისით კი ყარაული იდგა მხოლოდ შინაგან კარებთან. ამხანაგებს უნდა ესარგებლათ ამ გარემოებით: გაქცევის მოწყობა შესაძლებელი იყო მხოლოდ დღისით.

საავადმყოფოში იყო მოსამსახურე გვარად ბრაგინი, ისლანდონი კაცი. არაერთი პოლიტიკური მომზადება. მას არ გააჩნდა, მაგრამ თავისი ხასიათით ის იყო პროტესტანტი. ამით ისარგებლა ამხ. კამომ და შეეცადა დაეახლოებინა ის. ეს მან აღვიდალ შესძლო. ბოლოს გაუშვილა საიდუმლოება და თავისი დის არუსიასის საშუალებით ბრაგინი გაიქცოვარეთ ამხანაგებს. ამხანაგები ექვის თვალით უყურებდენ ბრაგინს, ვინაიდან ეწინოდით პროვაკატორი არ გამომდგარიყო. შემდეგ როცა დარწმუნდენ მის გულწრფელობაში, შეუდგენ საქმეს. საქირო იყო ფოლა დის ბეწვახერხების შოვნა ფანჯრის რკინების და ბორკილების გადასაქრელად. საქირო იყო თოკი, რომლითაც კამო უნდა დაშეებულყო მდ. შტკერის ნაპირას. ბრაგინის საშუალებით კამოსაგან მიღებული იქნა მისი ბორკილების შოდელი. უნდა დაემზადებიათ სპეციალური ბოქლომები, რომ ბორკილებს თავი დაეჭირათ, როცა მათ კამო გადახერხდა და გასაქცევად გაემზადებოდა. როდესაც მან გადახერხა ფანჯრის რკინები და ბორკილები, მას გაუგზავნეს თოკი და დანიშნეს გაქცევის დღეც—15 აგვისტო.



კ ა მ ი

შემდეგში დაბატიმრებული ბრაგინი თავის გამოუცდლობით ყველაფერში გამოტყდა და გაქცევის მომზადების შესახებ აჩვენა შემდეგი:

„საქმე ასე იყო: როგორც კი გადმოიყვანეს ტერ-პეტროსოვი საავადმყოფოში, მაშინვე შმაგ შესლილთა ახალსადგომში მორიგეებად დანიშნენ (შბოლოდ ამ განყოფილებისათვის) ზედამხედველი გრიგორევი და კახეთელიძე, რაც წინად არ იყო ხოლმე, წინად ისინი მთელ სართულში მორიგეობდენ. ეს ზედამხედველები პირველ ხანებში გვიბრძანებდენ სასტიკად გვედევნებია თვალური ტერ-პეტროსოვისთვის, იმიტომ რომ ასე გვიბრძანეს ექიმებმაო. თავდაპირველად ტერ-პეტროსოვი დაკეტილ კამერაში იყო. ასე იყო თვენახევარი. შერე მას აღარ კუტავდენ, უშვებდენ გარეთ. ის კორიდორში დასეირნობდა, როცა უნდოდა, არავინ არ უშლიდა, არც ექიმები და არც ზედამხედველები. ა/წ. იენისში მეწვითხოვე, რომ გადავეყვანე ახალ შმაგების განყოფილებიდან სხვა განყოფილებაში, რადგან ამ განყოფილებაში გაძლება საერთოდ ძალიან ძნელია და აქ ორი თვის სამსახურის შემდეგ ნებადართულია სხვაგან გადასვლა. მე გადამიყვანეს ბარაკებში, მაგრამ დაახლოვებით თვენახევრის შემდეგ ისევ უკან გამოვიყვანა ვითხოვე. მე ძალიან ბევრს ვსვამდი და საავადმყოფოში მთერალი ბერუნდებოდი. ავადმყოფები მუდამ მიჩიოდენ; შმაგთა განყოფილებაში კი ავადმყოფებს ჩივილი არ შეეძლოთ, რაც ჩემთვის უფრო ხელსაყრელი იყო

ექიმებმა იცოდნენ, რომ მე ესეამდი, და ხშირად ვლებულობდი შენიშენას. მე ვადმომიყვანეს უკანვე შმაგთა განყოფილებაში და ექიმ-დაჯერებულ ტერ-პეტროსოვის გაქცევაში. გაქცევაში, ასე თვენახევრის წინაშე ტერ-თხელ, როდესაც განყოფილებაში ჩემს გარდა არავინ იყო ტერ-პეტროსოვმა მთხოვა წერილი წამელო მისი დებისთვის. მე დაეთანხმდი. ის შევიდა თავის კამერაში და დასწერა წერილი, როგორც მგონია: ქართულად ფანქარა და ქალაქი მას ჰქონდა, ისინი ჯერ კიდევ ადრე მისცა მას ზედამხედველმა, მაგრამ სახელდობრ რომელმა—არ მახსოვს. თუმცა განყოფილებაში ყოველთვის უნდა დარჩენილიყვენ მოსამსახურენი და ზედამხედველი, მაგრამ ზედამხედველები ხანდახან მიდიოდნენ, განყოფილების კარებს არ კეტავდნენ, ღიად ტოვებდნენ, გარეთ ვადიოდნენ მოსამსახურენიც. ასე იყო იმ დღესაც, როცა ტერ-პეტროსოვმა მთხოვა წერილი მიმეტანა ეგზარხოსის მოედანზე. სახლი № 15, კუთხეში და ვადამეცა ოვი მისი დის—ჯავაირასათვის. საშეებულებო დღე არ იყო, იმ დღეს წასვლის ნება არ მქონდა, მგონი, ერთი დღის შემდეგ წივედი შეებულებაში და თან წავიღე წერილი. მოენახე სახლი. დღის თორმეტი საათი იქნებოდა, დავრეკე შესავალი კარები. კარები გამიღო ასე 17 წლის ქალიშვილმა და მკითხა, რა მიწოდდა. მე ვადიევი, რომ სავადმყოფოდან ვარ და მიწადა ჯავაირას ნახვა. მაშინვე შემიყვანეს მეორე სართულის ოთახში და მთხოვეს მომეცადა. ჯავაირა არ იყო შინ. რამდენიმე ხნის შემოიფე შემოვიდა ახალგაზრდა ქალი პირველზე უფროსი: ვამხდარი, შავკრემანი, სათვალეებში. ეს იყო ჯავაირა. მე ვადიევი მას ძმის წერილი. მან რაღაც დასწერა და ეს მოეუტანე უკან ტერ-პეტროსოვს. ვიდრე ჩემი შემდგომი შეებულება დადგებოდა, ტერ-პეტროსოვი გამოტყდა, რომ მას უნდა გაიქცეს და დამალოს სახლვარგარეთ. მან მეც მომცა წინადადება მისთან ერთად წავსულიყავი უცხოეთში, შემპირდა, რომ იქ სასწავლებელში მიწევდა და კაცად ვამომიყვანდა. ის ძალიან მიქებდა სახლვარგარეთულ წესწყობილებას და მეც დავთანხმდი, რომ წავიდოდი მისთან ერთად. ის სერიოზულად შელაპარაკებოდა. მე ვჯეროდა, რომ ის ყოველივე ამას შეასრულებდა: მას, ექიმებსა და ზედამხედველებთან სულ სხვანაირად ეჭირა თავი, მათთან ღმერთმა იცის რას ლაპარაკობდა; ხოლო როცა ისინი არ იყვნენ, ის მსჯელობდა, როგორც ჯანმრთელი ადამიანი. იმის შესახებ, რომ ის იყო სახლვარგარეთ, ტერ-პეტროსოვი ხშირად გვიამბობდა ხოლმე ყველა მოსამსახურეებს. მოსამსახურეებსა და ზედამხედველებთან ის ხშირად თამაშობდა კარიდორში ბანქოს, „დურაჩკას“. ის გონიერულად თამაშობდა ასე რომ ხანდახან სხვებს ტოვებდა „დურაჩკებად“,—არა ისე, როგორც სხვა ავადმყოფები: ჯერ დაიწყებდნენ თამაშს, მერე კი უცბად დახევდნენ კარტს. როცა მიიღო ჩემი თანხმობა მისთან გაქცევის შესახებ, ტერ-პეტროსოვმა მითხრა, რომ როდესაც წავიდოდი შემდგომ შეებულებაში, უნდა მივსულიყავი დებთან ჯავაირა და არუსიკასთან, და ვამომერთმია მათთვის ხერხები ფანჯრის რკინების გასახერხავად. მან ისიც მითხრა, რომ ხერხი ინგლისური ყოფილიყო, მე კი ასეთ ხერხებზე წარმოდგენაც არ მქონდა.

შემდგომ საშვებულებო დღეს, მე ისევ წავედი ტერ-პეტროსოვის დებთან და წავუღლე მათ მისი წერილი. წერილი გადავეცი. ცოტა ხანს დღევანდელ მათთან. მერე სამივე: მე, ჯავაირა და არუსიკა წავედით ქუჩის სასაფლაოზე იოვანე ლეთისმეტყველის ეკლესიასთან. იქ, ეტუბოდა, აღრე იყო მისული ჩემთვის სრულიად უცნობი კაცი და ჩვენ გვიცდიდა. ის იქნებოდა ოცდა შვიდი წლის, ქერა, საშუალოზე მაღალი ტანის, სამოქალაქო ტანისამოსში იყო, ჩალის ქუდი ეხურა, უწვერო, უღვაშებიანი. ტერ-პეტროსოვის დები მივიდნენ მასთან, დაუწყეს რაღაცაზე ლაპარაკი ქართულად. იმ კაცმა გადმოძკა ოთხი შეკერა ხერხი, თითო შეკერაში, ალბათ, იქნებოდა დუქინი ხერხი, თოკი და კიდევ რაღაც რკალოვანი საგანი და მითხრა წმინდა რუსული ენით, რომ ყოველივე ეს გადამეცა ტერ-პეტროსოვისათვის.

ტერ-პეტროსოვი ამ საგნებს ინახავდა თავის ოთახში, იქ ქვეშაგებს არ ათვალეფერებდნენ, არასოდეს არ ჩხრეკდნენ, ეს არავის არასოდეს არ უბრძანებია.



ტფილისის ფსიქიატრიული საავადმყოფო.

ტერ-პეტროსოვი შეუდგა ხერხას. ის ხერხავდა ჩემი მორიგეობის დროს, მაგრამ ხანდახან, როგორც თვითონ გადმოძკა, ხერხავდა სხვების მორიგეობის დროსაც. განახერხი რომ არ შეემჩნიათ, ის ამ ადგილებს პურის გულით ავსებდა და აწებებდა. რამდენ ხანს ხერხა ტერ-პეტროსოვმა ფანჯრის რკინები, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ, ვუიქობ, დაახლოვებით ხუთი-ექვსი დღე იქნებოდა. მან ბოროკილებიც გაიხერხა ფეხებზე. ვახერხა ქვედა რგოლი და შეკრა იგი მავთულით. ვკითხე, სად იშოვე მავთული თქვა. მან მიპასუხა, რომ იგი მას მისცა მოსამსახურემ, მაგრამ სახელდობრ



ვინ, არ თქვა. მავთული ლიბონადის ბოთლის იყო. ვახერხილი ბოროტობით ის დადიოდა დაახლოვებით ერთი კვირა. აგრეთვე ტერ-პეტროსოვმა მიწოვა მე ტანისამოსი. მან მითხრა, რომ ჩემთვის საჭიროა ტანისამოსი და ყოველივე ეს იციან მისმა დებმა, რომლებთანაც გამავაზავა წერილით 11 აგვისტოს. მე წერილი ისევ ჯავაირას და არუსიაკას წავუღე ბინაზე. იქ ჩვენ შევთანხმდით, რომ 14 აგვისტოს მე მივიდოდი ალექსანდრეს ბაღში, შევხვდებოდი არუსიაკას, რომელიც წამიყვანდა მე იქ, სადაც ტანისამოსის შოვნა შეიძლებოდა. გაქცევა დანიშნული იყო 15 აგვისტოსათვის. 14 აგვისტოს დილით ტერ-პეტროსოვმა ისევ მომცა წერილი არუსიაკასთან და მითხრა, იმდღესვე წავსულიყავი ქუთაისში, ის კი იქ ჩამოვიდოდა. მე შევბუღება ავიღე უდანკოვთან და სადილის შემდეგ, რომელიც თორმეტ საათზეა ხოლმე, მე წავუღე წერილი ტერ-პეტროსოვის დებს. მე ვშიშობდი, გაქცევა შეიძლება არ მოხერხებულყო, თუ მოსამსახურენი ან ზედამხედველები გაიგებდნენ. ტერ-პეტროსოვმა ამაზე მითხრა, ეს არაფერია, კიდევ რომ დაინახონ, ისინი არაფერს იტყვიანო. მე ორივე დას გადავეცი სიტყვიერად, რომ გაქცევა დანიშნულია 15 აგვისტოსათვის*.

რამდენადაც ვიცით, გეგმა ასეთი იყო: დილის ათ საათზე 15 აგვისტოს ამხანაგი უნდა ჩასულიყო ვერის ხილთან და მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან, საიდანაც კარგად ჩანდა კამოს კამერა, ენიშნებია ის მომენტი, როცა ახლომახლო არავინ არ იქნებოდა. ამ ნიშნის საპასუხოდ კამო უნდა გამოსულიყო ფეხსაღვიღში, სადაც ფანჯრის რკინები უკვე ვახერხილი იყო... იქიდან ის თოკით უნდა ჩამოშვებულიყო მტკვრის ნაპირას (სადაც აღმყოფო მტკვრის მარცხენა ნაპირზეა) და მოსულიყო ფონით პაწაწკინტელა კუნძულზე შუა მდინარეში. ფონი ადრევე იყო მონახული და კამომ დანამდვილებით იცოდა, რა ადგილას უნდა შესულიყო წყალში. „კუნძულიდან“ ის მდინარითვე უნდა გამოსულიყო სანაპირო ქუჩაზე.

15 აგვისტოს, დილის ათ საათზე, ამხანაგი უკვე დანიშნულ ადგილას იყო. საქმე იმდენად კონსპირატიულად იყო მოწყობილი, რომ ის მახლობელ ამხანაგთან იცოდა მხოლოდ ამხ. ბუღუ მდივანმა.

მისცეს პირველი ნიშანი. კამო უნდა მოეშადოს და უცადოს მეორე ნიშანს. მაგრამ აი გამოჩნდებიან ვიღაცები და იწყებენ სეირნობას ნაპირზე. ისინი შიდიან. ამხანაგი იღებს ცხვირსახოკს, უნდა მეორე ნიშანი მისცეს. ამ დროს შიდიან ვიღაც მოქალაქე ძალღიბი, ის ბანს ძალღს, გეშავს მას. გადის ნახევარი საათი. ამხანაგი იკვიანობს: საქმე ხომ არ ჩაფარდა და ეს მოქალაქე პოლიციის აგენტი ხომ არ არისო.

გავიდა კიდევ საათი. ბოლს მოქალაქე, რომელსაც ძალღი ყავდა, შიდიან. ორ საათ ნახევარი მოუნდა ის ამ ძალღს.

უკვე ნაშუადღევს პირველი საათი იყო. ეს ადგილი თავისუფალი არ არის გამვლულ-გამომვლულებისაგან. მაგრამ ცდა აღარ შეიძლებოდა—და ამხანაგი აძლევს ნიშანს: სამჯერ აქნევს თეთრ ცხვირსახოკს, ელის თოკის გამოჩენას. ხუთი წუთის შემდეგ ფანჯრიდან ეშვება თოკი კიდევ წამი—და თოკს მოყვება კამო სრიალით.

როდესაც გამო დაეშვა დაახლოვებით ორი საენით, თოკი გაწყდა და ის დაეცა მიწაზე. თოკი 4¹/₂ ფუთის სიმძლავრეს უძლებდა, კამო კი ქუჩაში დაიღობა ორ ფუთ ნახევარზე მეტი არ იქნებოდა.

კამო ჩქარა დგება და მიიმართება მდინარისაკენ. ხელში ეჭირა შეხვეული ბორკილები. ის მათ წყალში ისვრის. გამოდის კუნძულზე. იქიდან ვერის ხიდ ქვეშ სანაპირო ქუჩისკენ. იქ ნაპირი ცოტა ციცაბოა, ამხანაგი მიიჩქარის მის საშველად, აძლევს ხელს და ეხმარება რომ ქუჩაზე ამოვიდეს.

პირველი მისი სიტყვა მისალმების ნაცვლად იყო: „დამპალი თოკი როგორ გამომიგზავნო“. ის ივინება თავისა განსაკუთრებული გინებით, რომლისათვისაც მასზე გული არვის არ მოდიოდა. ამხანაგი ახურავს მას პლაშჩს, აძლევს ქუდს და ხელიხელგაყრილი მიყავს სანაპირო ჩუქაზე. შიდიან დიდი მთავრის ქუჩაზე (ახლა კამოს ქუჩა), იქიდან პლებანოვის პროსპექტზე. ჯდებიან ეტლში. ჩერქეზოვის ქუჩაზე ეტლს უშვებენ და ტრამვით გადიან ორ კვარტალს. ეს იმიტომ რომ კვალი აერიათ მაძებარ ძალებებისათვის. მოდიან ამხ. გაგლოევთან.

„საინტერესოა, — იგონებს კამოს დამცველი ამხ. ა. ბებურიშვილი, — სად იმალებოდა კამო გაქცევის შემდეგ პირველ დღეებში. ერთ-ერთ ამ დღეს მე შევხედი მას ქუჩაზე გვიან ღამით და ავეშაღე, ჩემი აზრით, გადაჭარბებული გამბედაობისათვის. მან ჩვეულებრივ დაიწყო სიცილი და მთხოვა გამეცილებია იგი. მან წაშიყვანა ერეენის მოედნიდან ველიამინოვის ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო ტფილისის პოლიცემისტრის სამართველო. აქ კამომ მითხრა, რომ ცხოვრობს სამართველოს ერთერთ სასარდაფო სადგომში, რომ მას დღედაღამე ეძებენ შესაძლებელ და შეუძლებელ ადგილებში და რასაკვირველია ვერავინ ვერ მიხვდება, რომ ის დამალულია შუა ქალაქში, მით უფრო პოლიცემისტრის სამართველოში. ამაში გამოიხატა მთელი კამო“.

(გაგრძელება იქნება)

სიმონ ჩიქოვანის შესახებ

1. „წიგნი პირველი“, სახელგამო, 1930 წ.
2. „გმირი და წინ“—ფურცადაა—1932 წ.

ქართული ლიტერატურა იზრდება, ავიღოთ თუნდაც უახლოესი თაობა. მე ვხედავ რამოდენიმე ფრიად ნიჭიერ ახალგაზრდას. ისიც ცხადია, ეს ახალი თაობა საესეებით განმარტოვებულია. ახლო წარსულის კრიტიკამ ისეთი ატმოსფერო შექმნა, რომ უფროსი თაობის მწერლებს საშუალება არა ჰქონდათ ამ უმცროსი თაობის მწერლებისათვის ამხანაგური დახმარება გაეწიათ, თუნდაც უბრალო მითითებებით და რჩევებითაც. ლიტერატურის პროგრესი ყოველად შეუძლებელია თუ ეს მომენტი გამორიცხულ იქნა.

არვის უცდია მწერლის სტილის, მის ფორმალურ მიღწევათა გამორკვევა. დასასრულ, რაც უმთავრესია, სიტყვიერი კულტურის შეფასებისათვის არავინ ზრუნავდა. მომწიფებულს, დამდგარ მწერალს ასეთი რამ არც ისე ესაკიროება. ახალი თაობისათვის ეს მიუცილებელია. ქართული სიტყვა კაზმული და სიტყვა წყობილი მწერლობა იზრდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ღიდი უბედურება იქნებოდა ჩვენთვის.

სიმონ ჩიქოვანი ამ სიტყვა-ძარღვიან ახალი თაობის წარმომადგენელია. ჩვენს თვალწინ იზრდება და ვაყვაცდება იგი. მე ყურადღებით ვადვიკითხე მისი პირველი ტომი ლექსებისა და „გმირი და წინ“. უნდა ვთქვა აშკარად: ჩიქოვანს კარგი მომავალი უნდა ეუწინასწარმეტყველო. ერთი ზოგადი აზრი უნდა განვაცხადო წინასწარ: საერთოდ ქართველი ლირიკოსის უბედურებაა: თემატური სიღატაკე. ესა თუ ის პოეტი აიჩემებს ხოლმე რომელიმე თემას და თავს მოგაბეზრებთ აკვირებული იდეებით. დიდი პოეტი ამ ერთფეროვნებაშიაც იოლად ვადის ფონს, საშუალო ტალანტისათვის ეს დამლუპველია (მსოფლიო პოეზიაში ჰაინე და ბესიკი უძლებენ ამ ერთფეროვნებას მხოლოდ). ს. ჩიქოვანის თემატური ინვენტარი ფრიად რთულია და მდიდარი.

ჯერ კიდევ ფურტურისმის ეპიგონობის ციკლში ძალიან ორიგინალურია იგი. გარდა ამისა, მას რაღაც საოცარი ჰუმორი აქვს, წახუმრება სჩვევია და იგი შეგნებულად სცდილობს მუდამ გროტესკულის მიჯნაზე შეაგდოს სიტყვა.

პირველი წიგნიდან მე განსაკუთრებული სიყვარულით წაგიკითხე „ჩიქოვანი გასაწყვეტ თოკზე“. ეს ლექსი ერთ ერთ შედევრთაგანია უახლეს ქართულ პოეზიაში. პოლემისტურ ლექსობაში იგი სიტყვასმეტყობა და გესლიანი, ეფარიკავება, ეკინწლავება ძველ პოეტებს, ალაგაძეს, მანასაშვილს წაეკენწლავება, ხან თანადროულებს, ხანაც ილიას წაეპოტინება კალთებზე. ეს ძველ თემატიკასთან ხიდივს გადაბის სურვილი ფრიად სიმპატიურია, ეს არის სიტყვის ბურთის თაობიდან თაობაში გადატანის უნარი და სურვილი.

პირველსავე წიგნში მრავალი ფუტურისტული სალტო მორტალუს, ხანაც ქარბად შეეცემა ფერუმარულისა და ზედმეტი მანქვა, მაგრამ ეს ყოველივე ეპიგონობის კაბუჯური ცოდვებია, მათზე წიგნის წინასიტყვაშივე უარს ამბობს პოეტი.

მეორე ზოგადი შთაბეჭდილება ორივე წიგნისაგან მიღებული ეს ის არი, რომ ჩიქოვანი (ალბად ცუდი სკოლის კრიტიკის ზეგავლენითაც) ალაგ სქემატიურია, ზოგიერთ მის ლექს ჩუქურთმა აკლია, უკეთ: —სამკაულეები, პოეტური სამკაულეები (აქ კრიტიკის გარდა მიაიკოვსკისაც მიუძღვის ბრალი. მეორე წიგნში იგი უფრო დამოუკიდებელია). უსამკაულოდ არამც თუ სიტყვაწყობილი, არამედ სიტყვაკაზმული მწერლობა არ ვარგა. არ უნდა დაავიწყდეს ჩვენს პოეტს, რომ ჩვენ აღმოსავლეთში ვცხოვრობთ, ქართული პოეზია მუდამ კალთაუხეი იყო ჩუქორთმებანობით, ფერწერის სიჭარბით.

ჩვენ ვახსენეთ ფუტურისტული მანქვა, დიახ, ეს ფრიად თვალსაჩინოა პირველ წიგნში. ჩიქოვანი ხანდახან განგებ სძარცვავს სიტყვას, ლექსს კარგად გაქანებულს და მოსხლეტილს ჩლუნგ სიტყვას და ჩლუნგ ბგერას შეუფდებს ფეხებში, გროტესკული და თავისებურია მისი ეროტიკაც.

მე შენი სხეულიც მიწოდოა

და შენი ბავშობის შენახავ (მეორე მიძღვნა უკანასკნელს (?) თუ უკანასკნელისადმი?).

ან ის, აქლემობას რომ ნატრობს პოეტი, რათა ზურგით ეხიდა თავისი ტურფა.

მუინვარობის ციკლში პოეტს ხშირად იბსურდამდის მიჰყავს როგორც სიტყვა ხატიანობა, ისე თავისი რომანტიული ინტერმეცო. ყოველ შემთხვევაში ამ ციკლის ლექსები საუკეთესონი არიან. ძალიან კარგია: პოეტი ბარათაშვილს რომ უმღერის: „შენ მშვილდი ხარ და მე ისარი“ —ო.

ფუტურისტული გროტესკებით სავსეა „მიბაძეა მერანს“ (?) (თუ მერანისადმი?). ცხადია არ შეიძლება ამ ლექსის დაკვება და ისე ანალიზირება, როგორც ეს სანდრო შანშიაშვილმა ჩაიდინა, უკანასკნელ პლენუმზე. სანდრომ ბევრი ვეაცინა, —არა, ჩიქოვანის ლექსმა, ესაა საქმე, ლექსმა თუ არ ვაგაცინა, ან არ ვაგაბრაზა, იგი არარაა.

ძველი ციკლებიდან ძალიან კარგია „ქარბოროცა“, „კაკაბი და ნაკადული“, ხალისიანი კისკისია „მზეს უმზირა“, „მეკამეჩის ურმული“ „ცირა“ და „ხაბო“.

ვაკეატური, ძარღვიანი და ქედმაღალია „მორღუ“.

პირველ წინგში ქართული მოიკოკლებს. პოეტის ლექსალური ინსტრუმენტაცია მრავალბგერიანია, ლექსიკაც საკმაოდ უხვი, მაგრამ ქართული ეტიმოლოგიის რა მოგახსენოთ. საბჭ. მწერლების კავშირის უკანასკნელ მწიგნულზე ჩიქოვანმა თავი იმართლა: ქართული არც ბარათაშვილმა იტყუაო. ეს არაა არგუმენტი. რატომ „რევოლიუციონურ მინდორთა შესახებ“? თუ რევოლიუციურ? თუმცა არ ვიცი არა რევოლიუციური მინდორი როგორი უნდა იყოს? „მიძღვნა უკანასკნელს“ (?), უნდა ითქვას ბრუნვები ჩვენს მწერლებში მრავალსა აქვს არეული. წერილი ვის? თუ ვისდამი? მიძღვნა ძმისადმი და არა ძმას. „წერილი დედას“ კი არა, წერილი დედისადმი. თქვენ იტყვიან წერილიაო? უკაცრავად, დროა შევიგნოთ რომ ენის საკითხი ისე დიდია როგორც სტილის საკითხიც.

„გმირი და წინ“ უთუოდ დაწინაურებაა როგორც ლექსის კულტურის, ისე ენობრივ მასალის დამღვევის მხრითაც.

ს. ჩიქოვანი დიდად განსხვავდება არა პროლეტარულ ბანაკიდან გამოსულ პოეტებისაგან აღმშენებლობის შექებით. აქ მას ფრიად სადა და გულწრფელი პათოსი აქვს. საჭმე ისაა ამ ახალ თემატიკაში ისეთი ძარღვი მოსძებნო, სადაც გროვნული და ინტერნაციონალური ურთიერთთან არიან გადაკვეთილი. ჩიქოვანის ლირიკა ეპიურობაში ვადადის ცალკერძ. ძალიან კარგია მისი სევანური და ხევსურული პეიზაჟები. ჩიქოვანის გროტესკისათვის დამახასიათებელია:

„ანარქისტით გაბტება ჯიბე
და ჩემს სტრიქონზე დაგვიდება“

„უშგულის კომკავშირი“.

სიყვარულით წავეკითხე მისი შემოღამება ხახმატში.

„ზის ერთი ღვთისო, მგორც ღვთისო,
მესამე ღვთისო თვალებზეჯიანი,
მთის უკან ჩადის საღამო მზისა
თითქო რეზენიან ადამიანის“.

პირდაპირ მონუმენტალური შტრიხებითაა მოცემული ეს სამი ღვთისო და მგორცე ყულია. ეს ლექსი პოეტური სამკაულებით დახუნძულია. აღმშენებლობის თემატიკაში ჩიქოვანს მოძებნილი აქვს ზომიერი პათოსი. „ხევსურული ძროხა“ დიდის სიყვარულითაა დაწერილი. პოეტი „ოსტატურად ხმარობს ასონანსებს და ალიტერაციებს.

ჩიქოვანის „შემოღამება ხახმატში“, „უშგულის კომკავშირი“ და „ხევსურული ძროხა“ უმკველი შედევრებია.

ნაბიჯი უკან ლექსნიკობრაფიაში

მას შემდეგ, რაც ცნადი გახდა, რომ დ. ზებინაშვილის რუსულ-ქართული ლექსნიკონი (გა-
მოცემა 1886 წ. და 1901 წ.) მოთხოვნით ედვარ აკმაყოფილებდა, საჭირო შეიქმნა ახალის
შედგენა. ეს საჭიროება მეტადვე გასაბუკების შემდეგ გაძლიერდა: აუარებელი ახალი სიტყვა
შემოვიდა ხმარებაში, მრავალი გადაშენდა, მოკვდა.

თითქოს პასუხით ამ საჭიროებისა 1927 წ. გამოვიდა პროფ. ი. აბულაძის რუსულ-ქარ-
თული ლექსნიკონის პირველი ტომი (A-დან—Концертант-მდის), ხოლო 1931 წ. წინმდებარე-
ორი ავტორის, პროფ. გ. აბულაძის და ს. იორდანიშვილის, რუსულ-ქართული
ლექსნიკონი. პირველზე თავის დროს ითქვა, რაც საჭირო იყო, სათქმელი გვატეს მეორეზე.

რა მიზნები და დანიშნულება აქვს დასახული ლექსნიკონს?

ავტორები უპასუხებენ:

1) „მას აქვს პრაქტიკული მიზნები და შედეგობაში მყავს უმთავრესად სასულიო ნა-
სური მკითხველი და მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელთაც რუსული და ქართული უსწავ-
ლიათ, მაგრამ სიტყვების მარაგი მცირე აქვთ“ (წინასიტყვაობა, გვ. 5).

2) „იგი უნდა მოვამსახუროს მთარგმნელ რუსულიდან, მეტადვე დღეს, როდესაც რუსუ-
ლიდან ნათარგმნ ლიტერატურას ცოდნის ყოველ დარგში დიდი მნიშვნელობა ეძლევა“ (იქვე);

3) „იგი... საგრძნობ დამხარებას გაუწევს ქართულ მუშურ-გლეხურ მასებს რუსულ ენის
შესწავლაში“ (იქვე—6);

4) „იგი საკმარისად მოუმართავს ხელს კულტურულისა და სამეურნეო მშენებლობის
მუშაკებს“ (იქვე);

და 5) „ჩვენ ვედილობდით ჩვენს ლექსნიკონში გამოსახულება ებოდა იმ მძლავრი სიტყვათ-
შემოქმედების პროცესს, რომელიც ასე დამახასიათებელია რევოლუციურ ეპოქისათვის და მე-
ტადვე სოციალისტური მშენებლობისათვის“ (იქვე—7).

როგორც ვხედავთ, მიზნები მეტად სერიოზული და აქტუალურია, მაგრამ... ეს მიზნები
წინასიტყვაობის ფარგლებს არა ცილდება და თუთ ლექსნიკონში მათ გამართლება არ მოეპოვება.
დღევანდელ მკითხველს უპირველესათ ის ეინტერესება, თუ რას აძლევს მის გონებას,
დაგება თუ არა დღევანდელი დღის მოთხოვნებთანა სიმამლზე, ვის იდეოლოგიას ემსახურები,
ნიადაგს უმაგრებ სოციალისტურ მშენებლობას, თუ არა.

აი, ის კითხვები, რომელსაც წინმდებარე ლექსნიკონსაც წაუყენებს მკითხველი და ვერც
ერთზე კი დადებით პასუხს ვერ მიიღებს.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ საჭირო არაა—მოელ ლექსნიკონს თავიდან ბოლომდე
ნაბიჯ-ნაბიჯ მივევთ უის აკარგანობის გამოვლენებაში. ეს შეურთებელიცაა სარეცენზო-
წერილში. საკმარისია უფრო დამახასიათებელი უზამსობა ავნიშნოთ, თორემ ჩვეულებრივს აუა-
რებელს იპოვის ყველა.

1) „არ ვეცანით საჭიროდ დაგვეტვირთა ლექსნიკონი სიტყვათა გრამატიკული დახასია-
თებით“—ა, ამბობენ ავტორები (წინასიტყვაობა—8) და ამიტომ რუსული ხმის ინფინიტის
ქართული ხმის პირველი პირით თარგმნიან, მაგ. знать—ვიცი, знание—ცოდნა; видеть—შე-
ვიხილავ, видеть—შევიხილავ და სხვა; ყოველთ დაუშვებელია ასე თარგმნა: თუთველ ვნას
გააზნა თავისი სპეციფიკური ნიშნები და ამ შემთხვევაში ქართულს ის ახასიათებს, რომ მან

შეინაბა დღევანდლამდე უხსოვარ დროს მდგომარეობა, ე. წ. იაფეტური მდგომარეობა, როცა ერთი და იგივე სიტყვა საგანსაც ანიშნავდა და მოკმეღებასაც და, ამგვარად, ქართული სახელწმინა ორმაგ სახისაა; მხოლოდ ფორმალურად მოაზროვნე ადამიანს შეეძლება მისი სიტყვების და აბსტრაქტული მივიდეს:

ა) თვით ავტორები მრავალ რუსულ ინფინიტის პირველი პირით აღარ თარგმნიან. მაგ. выпустить, -тиг-გამოშვება, вечереть-მწუშრდება, საღამოედება; б) захватить-შეუვდებ, ვეფას ეიწებ; везетъсь-გვარსკლავიანდება; завечереть-დავალბდება; дуть-გვარკარებ, ვრუფ-რუფებ;

და ამავე წესის მიხედვით ასე უნდა ეთარგმნათ: светать-ვთენდება, морозить-ვირდება, ложить-ვწიბდება, вивскривить-აენაპერწყლდება!

საინტერესოა, რას იზამენ ავტორები, ქართულიდან რომ რუსულად თარგმნიან იგივე სახელწმინები: 'კოდნას-агитаци-ით' თარგმნიან და „შე ვიცის“-инит-ით?

სვანურს რაღა ვუყოთ, როცა იქ სახელწმინაა, მაგ., 'ლირი'-წერა და პირველი პირი კი „ში ზეაპირი“-მე ეწერ; 'ლიკვედ'-ნღობა, სურვილი და 'შიპაქი'-მე მიწა?

2) ხშირია შემთხვევა, როცა სიტყვას ახსნა სჭირია და ავტორები კი არ იძლევიან: аманье-აურობა (წადი და გაიგე, რა არის ეს, საშუალო მეთხველა, მუშაე, გლებო! დ. კ.): ან аксельбант-აქსელბანდი, ზონარი (ოქრომცოდანი); ассимбляция-ასიბილაკია; доносский-ოსოტ-დევონის ხესტაგო, —საქონელი; ватерлиния-წყალბაზი; акцессионный договор-აქცესიონური ხელშეკრულება და სხვა მრავალი.

ლექსიკონი უნდა იყოს არა მხოლოდ სიტყვა-სიტყვით თარგმნა, არამედ ახსნაც, იგი სასწავლო წიგნი უნდა იყოს.

ასე ზორციელდება პრაქტიკული მიზნები ლექსიკონისა — წინასიტყვაობაში დასახული.

ამ მხრივ ი. აბულაძის ლექსიკონი გაცილებით მაღლა დგას.

3) უცხო სიტყვებს არ მისდევს ჩამომავლობის ჩვენება; ეს კი საჭირო იყო, თორემ სრული არეუ-დარევა დაიხადებურებს.

4) ავტორები ცდილობენ სიტყვების ბუფებში მოფეცენ. ე. ი. ერთი სიტყვის ფუძე-პირიდან ნაწარმოები სიტყვები თანმიყოლებით. ეს კარგი საქმეა, მაგრამ ლექსიკონში სიტყვის ფუძე-პირი არაა გამოყოფილი დიფინით და ამიტომ კერითონებს აქვს ადგილი, როგორცა თუნდაც, მაგ., სიტყვა агитатор-ის ბუფე: სწერია агитатор-აგიტატორი, წამტებელი (თარგმნის სისწორებე ჰევეთ. დ. კ.) და შემდეგ: —ство-აგიტატორობა: ეს არაფერი, აქ სიტყვა агитатор-ის პირდაპირ ეყრება სუფიქსი —ство და მიღებული სიტყვა მართებულა, (агитаторство), მაგრამ შემდეგ კი გვაქვს სუფიქსი —тщина და აქ კი გამოდის აბსურდი: агитатортщина (агитатор+тщина); კიდევ შემდეგ: агитаторционный, агитатортировать; ან და: анализ და შემდეგ სუფიქსი: —лически, სულ გამოდის анализически; ან და: აიღოთ სიტყვა замечательна და ნახეთ სადამდე მიზვალთ.

უცნაურია სიტყვა бот-ის ბუფე: აქ ნაჩვენებია ახალი სიტყვის მწარმოებელი —гадельна გამოდის ботгадельна (ბოი გ); შემდეგ: —льный და პირველ ნაწილში უნდა ჩაუდეს, მაშასადამე, ботгадельна, რაც წარმოსათქმელათაც კი მოუხერხებელია. ამის გარდა: გვაქვს სიტყვა жель და მის წინ ტირე, რომელიც სხვა წინა ტირედბის მსგავსათ გვაჩვენებს, რომ ამ ტირეს ნაცლათ უნდა ჩაუდეს სიტყვა бот და გამოვა ботжель; აგრეთვე მივიღებთ ботзнает. რაშია საქმე?

5) რუსული ზმნების ინფინიტების ფუძესი ნაწილი გადმოცემული აქვთ ავტორებს ყოფადით (внести-შვიობენ, вводить-შევათრეე; вкружить-გავაბრუებ, და სხვ.). რასაც არავითარი გამართლება არ მოეპოვება. უნდა იყოს აწმყო დროითი და უკოდურეს შემთხვევაში როცა ქართული ვერ იძლევა წინანდობლიობას, ყოფადით თარგმნას მივპართოთ.

6) ლექსიკონი საეცეა სიტყვების უზერიო დამახინჯებული თარგმანით:

агитация-წაქებება,

алтари огненкопников-საიციბლე, (მაგრამ жаровник-საიციბლე)

афера-საქმე (არაკეთილი), аферист-აფერისტი, არაკეთილ მოსაქმე (მეუღელობა-афера) ა დ. კ.)



სიხარულით

- ავროლი-მებისკა,
 баба болливал-როვაბი,
 бедный-გლახაკი (ამ სიტყვას სულ სხვა ჩამომავლობა და მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს)
 безутрали-დაუღალბლოც (?),
 безырачный-უბნელი (?)
 безобразне-სიფუხვარე (?)
 бекас-ღაღლა (ღაღლა-воростель; бекас ან ბეკასს უძებნიან ან წყლის გოჭას. დ. კ.)
 белоручка-ხელსუფთა (?)
 берегись-შარი (?),
 берегись-უბოხი (?),
 водостром-ველიმარტლის მოედანი (?),
 вводить, вводить-ხვეით ავიყვან, ხვეით ავიტან (ввести курок? დ. კ.)
 виноград непорочный-დურადი (?) (დურადი—რაიმე ტურტლის ფსკერზე დაგროვილი-
 ღვინის სტელი ლექია. დ. კ.)
 водюды-სამგლე ძაღლი. მაშ, როგორ ვთარგმნოთ თქმა: აი, შე, სამგლეც. დ. კ.)
 встачить-ავერაც, მოვიპარავ (?)
 дамка-ქალბატონი (?)
 двери ризчатые-ცხური კარები (?).
 двубортный-ორმჭკრედილებიანი (სამოსი),
 жёнка, жёнушка-ცოლი;
 заужмать ავზუვილები (თუ ავზუვიები? მაშ, ტირილი—ავტირილები? დ. კ.)
 забить-თვლები; მიძებნარება, გონდაკარგულობა,
 заочно-თვალსუქანით, ზურგსუქანით, პირსუქანით,
 запредпоследний-უკანასკნისანდედი, ბოლოდან შესამე,
 запродажная записка-წინაგადაღულობის ქალაღი,
 залушевный-თავდადებული,
 звездами-ვარსკვლავობა (კომუნისტ. ნათლობა)
 здравствуй-მრთულიყავ! უწყებელიყავ!
 земляк მოთემე, კომპატრიოტი,
 злота-გაბოროტება (თუ სიბოროტე? დ. კ.)
 амбар мушной-აკო,
 амбарнико, амбарушко-ბეულაკა, ბელღეცა,
 амбар для проса или кукурузы-ნალია.
 баклага-წელღიტრა.
 баклажничать (баклажи бить)-კადარას ვუსტეფნ (ნდაბიური) [რას ნიშნავს ეს „მდა-
 ბიური“? დ. კ.]
 балазат-უროშავ,
 балахна-ძირამდე ღია,
 барбарис-ნახესებები სიტყვები,
 барыня-ბანეში,
 бантик-მაშა,
 голосочек-ბმაუნა,
 благо рассудить უგრეობინებ;

ეს მცირე ამონაწერიც დაბეჯითებით გვიჩვენებს, რომ ლექსიკონი სწორეთ პრაქტიკული მიზნებისთვის არ ვარგა და მისი შედგენა მართლაც რომ მძიმე ტვირთით დასწოლია თარ პირს.

სათანადო შედგენილი ლექსიკონი ეპოქას კწნის და ასე იოლათ მისი შედგენა, სასხვა-თაშორისოთ მასზე მუშაობა (იხ. წინასიტყვაობა გვ. 5-6) სწორეთ ისეთ ნაყოფს იძლევა, როგორც არის წინამდებარე ლექსიკონი.

7) არა ნაჯღნ ვნებს ლექსიკონს საერთოდ სიტყვების გაუგებარი და ახსნის მიუცემლათ თარგმნა, ასეთებია მრავალთა შორის:

атлант-ატლანტი, ლაგარდანიის დამჭერი მამაკაცის კანდაცვა;

ату-უაბი!

бабочка ночная-ბეგელიცი,

бахтерец ბეგთარი,

догаресса, догесса-დოჯის ცოლი,

жадно есть გაჭაფი-თებული ვებამ,

зильберглет-ზილბერგლერი, ვერცხლის მურდასანგი,

зловозниность-ბოროტმანქანებითობა,

злосмысленно-ძმაცვა,

злосмыслить-ვმაცვა;

8) ლექსიკონში გამოტოვებულია მრავალი ისეთი სიტყვა, რაც ახლაც მზარებაშია: **заломить шанку, зашчыном, долячество-делаческий, денежный выик, держать** კურე და სხვ.

9) გამოტოვებულია შემოკლებული სიტყვები (კომპოზიციები), რომლებსაც ახლა სრული მოქალაქობრივი უფლებები აქვთ მოპოებული. ავტორები გვირგვინიან, რომ „შემოკლებულ სიტყვათა ნუსხა ახსნითურთ დაერთვის დამატების სახით ლექსიკონის უკანასკნელ ტომსო“ მაგრამ განა ეს დასაშვებია? შემოკლებული სიტყვები ისეთივეა, როგორცა სხვები და არავითარ დამატების სახეს არ მოიხიბოვენ, ისინი აქ უნდა იყვნენ, თავთავის ადგილებზე.

ეტყობა ავტორები არ იხიარებენ თანამედროვე სიტყვაშემოკლებების პროცესს.

10) ლექსიკონში ავტორების შემოკმედება არა ჩანს, იგი წარმოადგენს ნაკრებს სხვადასხვა წყაროებიდან; შექანიერო სამუშაო უყისრიათ მხოლოდ, უბრალო გამოწერა და ისიც უზერათ: მთლიანად გაცარცულია საბას ლექსიკონი, ი. ბატონიშვილის, ზუბინაშვილის, ი. აბულაძის და თუ ზოგან მიუთითებენ პირველ ორზე, მესამეს და მეოთხეს არც კი იხსენიებენ. რამდენადაც ვიცით, ი. აბულაძემ პირველმა შემოიღო რუსული ზა-თავსართის ქართული ა-თავსართით თარგმნა სათანადო შემთხვევებში; ასე, მაგ., **заветы**-აწკარუნება

зажурчать-ანბრიალება, არჭურება,

зажужжать-აბზუფება;

ავტორები ასეთ თარგმანს სესხდებიან და არსად არ იხსენიებენ წყაროს.

ჩვენ აქამდე ლექსიკონის უფარვისობა ავნიშნეთ სპეციალურ ნაწილში. ახლა შევხებით-მეორე მხარეს, უფრო მთავარს და მნიშვნელოვანს თანადროულობისათვის, გაშლილ სოციალისტურ მშენებლობისათვის და განთავრებით, თუ რა პოზიციებზე დგანან ავტორები: კერძოთ, ვის იდეოლოგიას ამტკიცება ლექსიკონი პრაქტიკაში?

ცნობილია, რომ ენა კლასთა ბრძოლის პროცესში დიდ როლს ასრულებს; ენა, სიტყვა იდეოლოგიის გამტკიცების ერთ-ერთი უუბარი საშუალებაა, ამიტომაც, რომ განბატონებული კლასები შეტათ სათუთათ იცავენდენ ლიტერატურულ ენას, რისხვას აღებდნენ თავზე მას, ვინც გაბედავდა უკვე დადგნილი ენის ნორმების წინააღმდეგ გალაშქრებას.

ბუროკრატული ენაში ახალი ამბავი არაა, იგი კონსერვატიულ წრეებში ფეტიშთაა გამზადარი „ასე იყო, ასე უნდა იყოს“, აი, მათი ლოზუნგი.

ავტორები ერთი მხრით მკადარი რუსულ და ქართულ სიტყვებს აცოცხლებენ და მეორე მხრით ანგარიშს არ უწევენ ახალ სიტყვებს, თუმცა წინასიტყვაობაში წყაროთ დაასახელებს სელიშვილის წიგნიც: „**Язык революционной эпохи**“.

აუღაპარკოთ იხვე ფაქტები და ამით გამოვამკლავნოთ ლექსიკონის ანტიმარქსისტული ბუნება და ის მაგნებლობა რასაც იგი უწევს ადღეს.

1) სიტყვების შემოკლება, რომელიც დღეს ასე მძლავრ წარმოებს, ავტორებს ისე წარმოუდგენიათ, თითქოს იგი თავისთავათ ხდებოდეს, არავითარი კავშირი არა ტომდეს დღევანდელ საერთო მშენებლობასთან ჩვენს კავშირში, ამიტომ ისინი ამ სიტყვების მოცემას ცალკე გვირგვინიან, შეიძლება, რასაკვირველია, საკამათო საგნათ ვაქციეთ, თუ რა სახით უნდა წარმოებდეს შემოკლება; ამ საკითხზე უკვე ნიშნინარობს ახრთა გაცელა-გამოცელა, მაგრამ ის ლექსიკონი არ ვარგა, რომელიც ანგარიშს არ უწევს ისეთ შემოკლებებს, როგორცაა მაგალითათ: **совнарком, горсовет, животдел, зарплата, гурьком** და სხვ. და მათ სიტყვათა საცრთო



მარაგიდან გამოაცალკეებს. მხოლოდ აქა-იქ აქვთ ნაზნარი შემოკლებული სიტყვები: უკვნივთა, რატომ არღვევენ საკლთარ პრინციპს. მაგ.: государственный плановый комитет და იქვე ფრზილებში იძლევიან (госплан) (იხ. გვ. 318).

სიტყვისწილი

2) ავტორები გულმოდგინედ ჩამოსთვლიან აუარებელ უკვე შეფუთულ სიტყვებს გადავარდნილ რუსულ სიტყვას. ცნობილ ვლ. დალის ლექსიკონს ერთგულ დაოჯებათ გაბდომიან. საილუსტრაციოთ ჩამოუთვლით ჩამდენიმეს: вданне, вдосталь; власно, вообще, вретини, грядый, двадесатый, двенадесатый, довахлять, доволить, ждать, заалкать, забрехатеть, закариваеть, зане, заеже, запортю, зари, зарить, адать, зрац, змя, борониться

რამდენათაც ვიციო, ეს უკანასკნელი სიტყვა იმ მნიშვნელობით, როგორც ავტორები ხმარობენ ვიგეტიბ მტრას, პირველათ აკად. გროტმა დააფიჭარა დერევიჩის რომ ლექსიკონი შეუდგინა; აგრეთვე სიტყვა зорить და სხვ. მრავალი.

3) იმავე დროს კი იმ აზალ სიტყვებს, რვეოდუციის პროცესში შექმნილ სიტყვებს, რომლებიც სწორედ რვეოდუციურა ეპოქისთვისაა დამანასიათებელი, ავტორები შიარს უბკევენ და ლექსიკონში არ შეაკეთ:

- диалектический материализм, (შოვავთ კი: едять, диастерия),
- делячество,
- генеральная линия,
- бабунизм (ამავე დროს კი დიდის გულმოდგინებით ხსნიან სიტყვა ნაბизმ-ს-გვ. 44),
- аграрник,
- агитка,
- вышелевие,
- заезжательство,
- голоснуть,
- домоуправление,
- живодерювник,
- вузовец,
- боевик,
- антирелигиозник,
- безпризорник,
- выпускив,
- допривизник,
- дошкольнич,
- воскресник,
- волокичк,
- гапоновщина (зубатовщина კი არის და ახსნილიცაა—გვ. 73),
- административование,
- бесплановость,
- аспирантура (ამავე დროს კი აუარებელი სრულიათ ზედმეტი უკვთ სიტყვებითაა დატვირთული ლექსიკონი),
- двурушничать—двурушник,
- და სხვა მრავალი.

4) ახლა ვნახოთ, რას სჩადიან ავტორები ქართული ენის მიმართ? გადაშალეთ ლექსიკონი, ჩათვალღერეთ ბოლომდე: თვალწინ აგეტუხებათ ქართველი ნაციონალისტი—პურისტი, რომელიც დატინებით ებრძვის თანამედროვეობას, აზალი ეპოქის ქროლვას, ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას და ლამობს აადგინოს ის, რაც უკვე მომკვდარა ფეოდალურ არისტოკრატიასთან ერთათ.

რუსული სიტყვის ეტიმოლოგის პოენა, თუ ზოგჯერ გამწელებულია თანამედროვე ქართულში (ლიტერატურულში და ხალხურში), უმეტეს შემთხვევაში მოაპოვება, მაგრამ ავტორები წარსულის სიყვარულის სენით არიან შეპყრობილები; აი, მაგალითები:



аблегация--განდევნა (საშობლოდან) კეთილ სახეგრი საბაბით,
 багульник-ბაღლინჯოს მსერელი,
 бактерен-ბეგთარი,
 белог-ბელტოლუარე, შაელტო,
 белун მს რ ბ ლ ი, შორბედი,
 бедренная кость-ტაბუბი,
 без, безо-თვინურ,
 безводие-ურწყულობა,
 безвозвратно-უკბოუქცევლად,
 безвыводно-საქერიოს ან საჩუქებს გამორთმევლად,
 беззаконие-უპართლობა, უსჯულუობა,
 без законии-მ ი უ მ ყ ე რ ე ბ ლ ა დ, დაუგვიანებლად, მისსვე, დაუბანებლად,
 беззаконий-უპართუაკო,
 знойный-ხ ვ ა ტ ე დ ი, ხ ო რ შ ა კ ი ა ნ ი, დიდსიებიანი
 безжал-თითქის, კ ნ ი ნ ლ ა,
 бельная-მ მ უ რ კ ე ე ლ ი, შრეცხელი,
 беременная-მთცელქმნილი,
 беспуемый-ღ ე ლ ვ ა გ ე ე მ უ ლ ი, ვშაყელი,
 бесплодное дерево აგრები,
 беспрестанно-მ ი წ ყ ი ვ, ზედიზედ, მ ნ ე ფ რ. წ ა რ თ ვ ი თ, შარადის,
 бесстыдство-სიღირბე, უგლიზობა,
 бесчестие-შაფინება,
 бесчиние,-ство-ს ი ღ ო ლ დ ა,
 бидо-სალბინგი, სალბინი, კანელრი,
 быть в ладони-ტაშს ვუტრაე. ვტყველს,
 быть по щеке-გ ყ ყ რ ი მ ლ ა ვ,
 биться крылами-ფრტიალებ.
 განა საჭიროა კიდევ ჩამოთვლა?
 მაგრამ სისრულისათვის კიდევ მოუხმინოთ ლექსიკონის ლაღადს, რომ ცნადი გაბდეს
 ვენთვის, თუ როგორ აპირებენ ავტორები თანადროულუობის მოთხოვნის დაქაყონილებას
 блестящее оружие-სამანდრო,
 блестящий-მანათობელი . . . ეგრეგორი (სბ.),
 благовремение-კეთილგამობა,
 блазнительный-მოსაცუენებელი, მოსადორებელი,
 бойкот-ბოიკოტი, საბლის შეკურა,
 бодаян-ლ ა მ ო ბ ა, ს ა ლ მ ო ბ ა; სენი, ავალობა, სატკეპარი, ტკივილი (არ არჩევნ
 бодь-ისგან, იბ. გვ. 107, 108),
 болоня, болоня-ჭურთენი (სბ.),
 брадобрей- . . . ვარსიმი, (sic)
 борода-ს ა გ ა რ ა ე ი, ფოცხი, ფარენი,
 бороться-ვეპობები, ვებრძვი, ვ ბ რ ძ ა ვ, ვ რ კ ე ნ, ვ ე რ კ ი ნ ე ბ ი,
 буква-ღ უ ლ ა მ ბ რ ი, წ ი ნ ა მ ო,
 буланка-ზ გ რ დ ა გ ი; რალისფერი ცენნი,
 буреть-უბანგელაუდები,
 вал ყორე, პ ა ნ ე ხ ი, პ ა ტ ნ ე ხ ი, კ ო დ მ გ,
 ветер ამ სიტყვის ბუდენში ავტორები იძლევიან შემდეგ ახსნ ას: ვესტორია, ზორშა, ჭარი
 შემწვლი, არავი, კალიკონი, ნიავწვლილი,
 вивсать, вивсууть-შთავეკიდები,

вводный-სახელმწიფი, შეყვანებადი, შემტანი, შემყვანი (როგორღა ვთარქმით: ВВОД-
ное слово? დ. კ.)

вдруг-მუტქვესვი,
ведущий правильный образ жизни-ვეთილ ქვევის მმართველად
გარნა არა ბორატისა მომქმედისი დ. კ.)

ведущий-მუტქვესვი,
верба-დ-ლონი . . . ნარი,
верблюдина-ჯამა,
веред-სვირინგება,
верить-ვესავ,
верхний-ზედეთი,
верхний брус (на кровле) მისედი,
верхний-დ წარმდები,
вечно-მიტუნისამდე,

дети-ბრტვილი,
визначный-მწდე, მწდევილი,
восвачальник-სტრატისი, დუქსი,
вожак-ბ ა დ რ ა გ ა, ე ტ ი კ ი, მუგხევი,
вовить-ვერტინავ, ვეალადებ, ვეალადებ, დიდადუფოვ,
возлощать-მედეგვამებ,

воспевание-ძ ნ ა ბ ა, შეხმა,
восприимчив-ამქმელო, ნათლია, შ ი მ რ ქ მ ე ლ ი,
время-უ ა მ ი, ხანი, ბ რ ა ნ ი, დრო,
встретить-ტ რ ი ხ ი ნ ა, ფლასი, ძაძა,
гадать-ვ ბ მ ა ბ, ვმისნობ,
гауный-მ რ ო ს, შლუ,

горюха-ოთახი, ქ ო ლ ე დ ი, ქ ო რ ი,
даказатель-ბომხმელი,
декларированный-სახოგადობრივ კლასტ გარეშეთენილი,
делающий- მხნელი,
джигитай-ჯორი, კ ე რ ძ ო გ ი რ ი,
дом большой-დელაქარი,
дом пьяниц-სამოსსურო,

дом учителя-სახლი გამამწარებელთა,
дом телевиз-უ ნ ჯ უ ჟ ა, ახოლარი, არკადიმია,
дом уединения-სკერტონი,
един-ბორეთა-მატოდმორკინალობა,
единборчье-იწ-სამარტოდმორკინალის, მარტოდმორკინალის,
жена восвачальника- ბეკა,
жена дяди-ბ უ ს ა დ ი ა, ბ ცოლა,
женщина публичная-დედაკაცი სავრო,
забеременеть-მუცლად ეღებ, (და) ვორსულდები,
забер, забежа-წ ი ნ ს რ ზ ო ლ ა, წინწრობა,
заблагорассудить-ჯე ვიჩინებ,
забор-დვრო, ძეღყოფი, გისოსი,
забор деревянный-ე-ლინი,
забор из камыша-ხიზი,
забор из прутьев-ქ. რაბაკი,

ქრ. „მნათობი“ № 1-2.



- ვაбор обвѣсташимъ-ლობ დაქვემდებარი,
- завеса-კრტსაბმული,
- занимать-ა ე მ ლ ი ვ დ ე ბ ი, მიმოწყდომას დაფიწყებ,
- завоевание-წ ა რ ხ ი ა, დაპყრობა,
- завушать, завушить-მოვაშობა,
- завиваться-ვიბრკმი.
- завив-სოჯეტი,
- завода-საბოკმელი,
- завочивый-ფაქტა, ანპარტავანი, მ ა ლ ლ თ ი ს ი,
- зависать-ა ვ რ თ გ დ ე ბ ი, ავთანაშდები,
- зараз-ე რ თ გ ა მ ი ე რ ა დ, ვრთად, უცბად,
- засади-სასტეარი, სამხირალი, სამსტრო, ბუსუნი,
- засада при облате-საბუნდარი,
- зловестие-ბაეთობა,
- зловестник-ბაეთი,
- злость-სიგლისსკ, სიფეთჲ,
- злосмыслиение-ძმაცა,
- зубничество-სკაფი, ტანტრაბენი,

ეგრანობთ, რომ მკითხველი დაიღალა, მაგრამ მ უკლები მაინც უნდა ჩამოყუთუალა ველა ის უმსგავსება, რასაც ადგილი აქვს ლექსიკონში.

ამჟვარად, ჩვენთვის ნათელია, რომ ლექსიკონის ავტორები ებრძვიან სიახლეს, ზურგი შეუტყველი დღევანდელი დღის საჭიროებისათვის და უკან, საუქუნეთა სიღრმეში იყურებიან.

არავის ვგონოს, და ამას დაკვირვებელი მკითხველი ადვილათ შეამჩნევდა, თითქოს ლექსიკონის ავტორები მხოლოდ მედარ ქართულ სიტყვებს უწერდნენ რუსულ შესატყვისს სიტყვას, არა; ისინი არც ისე მიანიტები არიან; პიოქით, მეტიმეტათ მოაღიქაოულ გეგმასთან გვაქვს საქმე, რომლითაც ცდილობენ ისინი ძველმ.ნი. შეაპარონ სწორეთ იმ მკითხველს, წინასიტყვაობაში რომ მიზანში ამოიღეს: 1) ერთის მხრით მხოლოდ თანად-რულ ქართულ სიტყვებით თარგმნიან (ციკრე [აწილი], 2) მეორე მხრით წინდა მედარი სიტყვებით (ნაწილობრივ), 3) მეს.მე მხრით მედარს წინ აღენებენ, ცოცხალს შემდეგ უწერენ, 4) მეორე მხრივ ცოცხალს წინ უწერენ, მედარს მზამდენით და 5) მეხუთე მხრით—აღუღათ (სამ უკანასკნელ შემთხვევაში მკითხველს მედარ სიტყვასაც აწედათ და ცოცხალსაც,—როსელიც გინდა აირჩიოთ).

აქვე ერთს საკითხსაც უნდა შევხვით, ესა: შეხედვით არის თუ არა წინმდებარე ლექსიკონი რუსულ-ქართული, როგორც ამას მისი სათაური გვაშეცავს? იქნებ ბევრს გაუგებრდეს საკითხის ასე დაყენება. მაგრამ ლექსიკონის დაწერალებითი ანალიზი ბუნებრივით სვამს ამ კითხვას, ჩვენ ეუბასუბნობთ: თავის უმეტეს ნიწილში ლექსიკონი არ არის რუსულ ქართული, არამედ ძველ-ქართულ-რუსულ-ქართული. რას ნიშნავს ეს უცნაურობა? ეს იმას ნიშნავს, რომ ავტორების სიტყვით (იხ. წინასიტყვაობა გვ. ნ. 6), როცა გამოცემლობამ გადაწყვიტა ს. ორბელიანის ლექსიკონის გამოცემა შესაძლებლად, მხო (ავტორებს) წინადადება მიეცა მოკლე რუსულ-ქართული ლექსიკონი შეედგინათ. ე. ი. ქართული ბ.ზ. ავტორებისთვის გახდა სულმან-საბას ლექსიკონი; მათ ამ ლექსიკონის თარგმნა დაიწყეს რუსულზე და შემდეგ სათანადოდ რუსულ სიტყვებს უწერენ თარგმნის გამოსავალ წერტილის—საბას ლექსიკონის მედარ სიტყვებს, მაშასადამე, არსებითად აქ საქმე გვაქვს საბას ლექსიკონის გადაღებასთან რუსულ ენაზე და შემდეგ უკანვე ქართულ ენაზე (საბა+ნაწილობრივ თანადრული სიტყვები). ამ ჩვენს დასკვნას ლექსიკონის მ. ნაარსიც გვიდასტურებს: მაგ., არის თუ არა რუსულ ლექსიკონებში **дихъ теламъ**? არა არ არის; იქ **дихъ** ცალკეა მოსაზარი, **теламъ**—ცალკე, მაშ, ჩვენს არქაიზმების მოყვარულ ავტორებს, ზნდათ რა ტერმინი უნდა გადაეცხობოთ, რომელიც საბას ასე აქვს განმარტებული: **„дихъ ჯე ფა, საბლი მეტად თბილი“** (იხ. საბა-სულმან ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, გამოცემა 1884 წ., გვ. 300), რუსულად თარგმნიან საბას განმარტებას „საბლი მეტად თბილი“

ДОМЪ ТЕПЛАЯ (სიტყვა „მეტად“ რატომღაც გამოტოვებს) და უწერენ სიტყვა „სუფთას“, რომელიც დღეს ჩვენთვის ყველასთვის აბსოლუტურად გაუგებარი და მიუღწეველია. ეს შესაძლებელია ვაშბოთი: „თბილი სახლი“, რაც ლექსიკონში უნდა შესულიყო ცალ-ცალკე: ДОМ-სახლი, ТЕПЛАЯ-თბილი.

ასევე შეგვცნენ ავტორები საბას მიუღეს ლექსიკონს; აი, ორიანივე მაგალითი:

ს ა ბ ა : 1.

ს ა მ ო ს მ უ რ ო, შემოვრალეთ შესაყრებელი,
ს ე კ რ ე ტ ო ნ ი, სახლი თავის წინ საჯდომი,
| ა რ კ ა დ ი მ ი ა, სახლი საჭილოსოფოსო
| ს ხ ო ლ ა რ ი, სახლი ჭილოსოფოსთა
ს ა მ წ ი გ ნ ო ბ რ ო, სახლი მწიგნობართა
ს ა ხ ლ ი ხ ე ლ მ წ ა რ ი ს ა, სახლი განმამწა-
რებელი

ტ ა ძ ა რ ი, სახლი საუფლო
ფ ე ლ ა ქ ა რ ი, უგვანი დიდი სახლი,
მ ო რ ო ს, ბერძნულად სულელს უწოდებენ
მ ა რ ტ ვ ლ ი, ლათინთა ენაა, მოწამეს ეწო-
დების, ხოლო შესანი ყრმას უწოდებენ,
მ ო რ კ ი ნ ა ლ ი, მოკიდარი,
ჯ ე რ ჩ ი ნ ე ბ ა, სათნო უნდვის,
ნ უ ს ა დ ი ა, ბიძის ცოლი,
ბ ე ქ ა, გრიხთვის ცოლი,
ხ ი მ ი, ლელწიას და ჩაღის ბავ
ღ ო ბ ე, დაჭრებულ
ბ რ კ შ ა, შებრკოლება, ფეხის შეცდენა
ს ი ლ ო დ ა, სილოდანი, ესე არის..ღვინით
ცნობისა მიღებით გნონება უკაფიო და
უშვერა
ბ ე ა ტ ი, მეტად ძლიერი სიტყ

მ მ უ რ კ ე ნ ე ლ ი, მრეცხელი,
ტ გ ვ ე ლ ე ა, კელთა კელზედ მიდება,
ი ს ა დ ო მ ე ნ ო ს ი, შეტანებულ
წ ა რ ხ შ ა, ციხე ქალაქთა აღება

ან ე ლ ე დ ი ა ნ ი და ი ო რ დ ა ნ ი შ ე ი ლ ი:

ДОМ ПЬИИИИ-სამოსმურო,
ДОМ УДИНЕНИИ-სეკრეტონი,
ДОМ ФИЛОСОФОВ-სხოლარი, არკადიშია,
ДОМ КНИЖНИКОВ-სამწიგნობრო,
ДОМ МУЧИТЕЛЕЙ-სახლი გამამწარებელთა,
ДОМ ГОСПОДА-ტაძარი
ДОМ БОЛЬШОЙ-დელაქარი 1.
ГЛУШИЙ-მორას,
ДИТЯ-მარტივილი 2.

ЕДИНОБОРЕЦ-მარტოდ მორკინალი,
ЗАВЛЮГОРАССУДИТЬ-ჯერვერინებ,
ЖЕНА ДЯДИ-უსადია,
ЖЕНА ВОЕНАЧАЛЬНИКА-ბეჭა,
ЗАБОР ИЗ КАМЫША-ხიმი,
ЗАБОР ОБИЕТАШУ-ლოზე დაჭენებულ
ЗАДЪГА-სარკმელი,
БЕЗЧИННО-СТВИ-სილოდა, სილოდანი.

ВНОЙНЫ-ბეატენი,
БЕДОВЬКА-მზურკენელი, მრეცხელი,
БИТЬ В ЛАДОШИ-ტაშს ვსკრაე, ვრეველს,
ВЫДЫМ-ისაღომეროსი
ВЫНОСИЛИ-წარხმა, და სხ. მრ.

ამგვარათ, ჩვენთვის ცხადი გაზოა, რომ ავტორების მყვირალა ფრანგებით სავე წინასიტყვაობა მიტმასნილია ლექსიკონზე. თვით ლექსიკონი კი საისებით ვნტიპარკისტილი, ანტიმეცნიერული და არა პრაქტიკულია, იგი სრულებით ვერ მოესამსახურება საბჭოთა მასსტრ მკითხველს, პირობით, ზიანის მეტს არას მოატანს მას.
სამწებაროა, რომ ჩვენში ვერ კიდევ ვერ აღმოაფუჯა „შინაურულათ“ საქმის გეობა. კიდევ ერთი გაკეთება უნდა ჩაეწეროს დებეტში იმ ორიგანოს, რომელიც სანტეიას აძლევდა ლექსიკონის გამოკვეყნებას.

1. იბ. 1884 წ. გამოცემა.
2. ეს სიტყვები აქამდე -იბ. „ДОМ“ სიტყვის ბუდეში.
3. საბადანა ДИТЯ-ს შესატყვისი „უსუარი“ და „ნიველი“.

კულტურის მართვა

საქართველოს
საზოგადოებრივი

სამზადისი კარლ მარქსის გარდაცვალების 50 წლისთავის აღსანიშნავად

საქ. კ. პ. (ბ) ციკას განზრახული აქვს გამოსცეს კარლ მარქსის გარდაცვალების 50 წლისთავისათვის შემდეგი შრომები: „კაპიტალი“ ტომი II და III ტომის მე 2 ნაწილი, რითაც მთავრდება „კაპიტალის“ მთელი გამოცემა ქართულ ენაზე, ვინაიდან I ტომი და II ტომის 1 ნაწილი გამოცემული იყო წინად; „ზედმეტი ღირებულების თეორია“—ტომი I და II; „კ. მარქსის წერილები კუგელმანისადმი“;

განზრახულია აგრეთვე ფ. ენგელსის შრომების გამოცემა: „ანტი-დუორინგი“ და „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“.

ამას გარდა, ხელახლა იქნება გამოცემული შემდეგი შრომები: „დაქირავებული შრომა და კაპიტალი“ და „ფასი, ხელფასი და მოგება“.

ქართულ ენაზე პირველად იქნება გამოცემულა ფრიდრიხ ენგელსის წერილების კრებული „კარლ მარქსის შესახებ“.

ქართულ, ოსურ, აფხაზურ და მეგრულ ენებზე გამოცემული იქნება: ლენინი—„კარლ მარქსი“; კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი—„კომუნისტური მანიფესტი“ და კარლ მარქსის პოპულიარული ბიოგრაფია.

მზადდება კრებული „საქართველოში მარქსიზმის წარმოშობის და განვითარების შესახებ“.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტთან ეწყობა მარქს-ენგელსის ყველა ნაწარმოებთა და საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში გამოცემულ მარქსიზმის ლიტერატურის გამოფენა.

მარტის დასაწყისში პარტგანათლების მთელს ქსელში სპეციალურად დამუშავდება თემა „კარლ მარქსის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი საქართველოს ყველა რაიონებში 1-დან 11 მარტამდე აწყობს მარქს-ლენინის შრომების პოპულიარიაციის ათდღიურს, რისთვისაც რაიონებში გაგზავნილი იქნებიან სამეცნიერო მუშაკები. მარტში კი თბილისის საუკეთესო ძალების მიერ ყველა მუშათა კლუბებში, წითელ კუთხეებში, დაწესებულებებში და სხვ. ჩატარებული იქნება მოხსენებანი „კარლ მარქსის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ“.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი გამართავს სპეციალურ სხდომას, რომელიც მიძღვნილი იქნება კარლ მარქსის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი.

ფურხალები და ვაზეთები ამზადებენ სპეციალურ ნომრებს, რომლებიც მიძღვნილი იქნება კარლ მარქსის გარდაცვალების 50 წლის თავისადმი.

საუკეთესო პოპულიარული შრომისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე დაწესებულია პრემია.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მოხსენებათა ათდღიური კ. მარქის 50 წლის თავის გამო

ეროვნული
გენერაციის

კარლ მარქსის გარდაცვალების 50 წლის თავის გამო, რომელიც სრულდება მიმდინარე წლის 14 მარტს, საქართველოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი საქ. კომპარ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 28 თებერვლის დადგენილების საფუძველზე აწყობს საქართველოს მნიშვნელოვან რაიონებში მეცნიერული ხასიათის მოხსენებათა ათდღიურს. მოხსენებისათვის შერჩეულია სამი თემა: 1) კარლ მარქსის ცხოვრება და მოღვაწეობა, 2) მარქსიზმის განვითარების ლენინური ეტაპი, 3) მარქსიზმი და სოციალ-ფაშიზმი.

გარდა მეცნიერული მოხსენებათა ჩატარებისა საქართველოს ყველა რაიონებში, 13 მარტს ეწყობა კარლ მარქსის გარდაცვალების 50 წლის თავის აღსანიშნავად მოსაგონებელი სამკვლევარო საღამოები კარლ მარქსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გამსჭვებით. ყველა რაიონებში მომხსენებლები გაიგზავნებიან ტფილისიდან.

მეცნიერული ხასიათის მოხსენებათა ათდღიური ჩატარდება შემდეგ რაიონებში, სადაც მომხსენებლად არიან გამოყოფილი. 1. სოქუმში... ბაქაბურძე, ვულოიანი, შარია. 2. ბათუმში—ფ. მახარაძე, ერქომაიშვილი, იმედაძე. 3. ქუთაისი და ტყიბულში—მ. ტოროშელიძე, მელაძე რაქვენის. 4. სტალინისა და ბორჯომში—ორაგველიძე, ვაშაყმაძე, კვიციანიძე. 5. ქიათურაში—გოგეშვილი, დოლიძე, ბრეგვაძე.

ათდღიური ჩატარდება 4 მარტ.—14 მარტამდე.

მოხსენებათა ათდღიურის მონაწილეთ, რომლებიც მიმავრებული არიან სოხუმზე, ბათუმზე და ქუთაისზე, ევალებათ. წაიკითხოთ მოხსენებები იმავე თემაზე აღნიშნულ ქალაქების სამხედრო ნაწილთა გარნიზონებისათვის.

საკავშირო სამეცნიერო აკადემიის ა/კ. ფილიალში:

ენის და მატერიალური კულტურის მიმდინარე წლის საწარმოო გეგმით გათვალისწინებულია:

1) კომპლექსური ექსპედიციები ენის, ყოფაცხოვრების და მატერიალური კულტურის შესწავლად:

ა) აფხაზეთში—აფხაზეთის, სვანების, მეგრელების, ლაზების, ხემშინების და ოსმალ-ქურთების,

ბ) ნახიჩევანის ავტ. რესპუბლიკაში—ქურთების, ზოკების და კილიტების. ორივე ექსპედიცია ეწყობა ბუნების მეტყველებთან ერთად,

გ) სამხ. ოსეთში—ფეოდალური ხანის მატერ. კულტურის და ნასთან დაკავშირებული ფოლკლორის შესასწავლათ,

დ) ა/კ. ქურთების ყოველმხრივი შესწავლის მიზნით აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტთან ერთათ.

2. ცალკე შივლინებები, მაგ., უდებთან და სხვ.

3. ქართული სრული დიალექტოლოგიური ლექსიკონის შედგენის დაწყება და მისი მეორე ხუთწლედის ბოლოსთვის მოთაობა.

4. სექტორმა დაამთავრა წოვა-თუშური სრულ ლექსიკონის შედგენა, რომელიც უახლოეს ხანში გადაეცემა დასაბეჭდად აკადემიის განკარგულებას.

5. ჩატარებულია ყველა წინასწარი სამუშაო უდერ-ქართულ-რუსულ-სომხურ-თურქული ლექსიკონის და უდური ენის „სასაუბროს“ შესადგენათ 1934 წლის იანვრისათვის.

შედგენილია დაწყებითი სახელმძღვანელო უდურ ენაზე, რომლის გამოცემის შესახებ მოლაპარაკება წარმოებს აზერბაიჯანის განსახკომთან.

6. სექტორთან ჩამოყალიბებულია კომისია იაფეტიდოლოგიური ლიტერატურის ქართულ ენაზე სათარგმნელად (აკად. ნ. მარის და აკად. ი. ი. მენდინოვის შრომების), განზრახულია 36 შრომის თარგმნა.

ნიკო ნიკოლაძის მეორე ტომი

იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა ნიკო ნიკოლაძის რჩეულ თხზულებათა მეორე ტომი. წიგნს სცემს „ფედერაცია, რედაქცია და შენიშვნები—სიმონ ხუნდაძისა.

ეგ. ნინოშვილის თხზულებანი

უახლოეს ხანში „ფედერაცია“ უშვებს ეგნატე ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებულის მეორე ტომს სიმ. ხუნდაძის რედაქტორობით.

გაზეთი „საბჭოთა ხელოვნება“

მარტში გამოვა ხელოვნების, თეატრის და კინოს ორგანო—გაზეთი „საბჭოთა ხელოვნება“.

სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ს. ახმეტელი, გ. ბააზოვი (პ/მ. მდივანი) ვ. ბოკუჩავა, ვ. ბუხნიკაშვილი (რედ. მოადგილე), შ. გაჩეჩილაძე, შ. დადიანი, შ. დუდუჩავა (პ. მგ. რედაქტორი), გრ. კილაძე, ლ. ესაკია, პ. სამსონიძე, დ. შევარდნაძე.

„საბჭოთა ხელოვნება“ ორგანოა განსახკომის ხელოვნ. სექტორის, ხელოვნ. მუშ. პროფკავშირისა და საქ. დრამკომის. გაზეთი გამოვა დეკადაში ერთხელ.

სვანეთის ეთნოგრაფიული გამოყენა

24 იანვარს საქართველოს მუზეუმში გაიხსნა სვანეთის ეთნოგრაფიული გამოყენა. ეს გამოყენა თავისი იშვიათი და მდიდარი მასალებით მრავალმხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანია.

გამოყენის პირველი განყოფილება იძლევა საბჭოთა მშენებლობას და რევოლიუციონურ ისტორიას სვანეთში დიაგრამების, სურათების და ფოტოგადაღებების სახით. ამ განყოფილების პირველი დიაგრამა განმარტავს ჯვარის მესტიის გზატკეცილის მშენებლობის უდიდეს როლს სვანეთის ეკონომიკაში (დღეს ერთა ფუთი პურის შეზიდვა ბარიდან სვანეთში ჯდება 7—9 მანეთი, გადიზიდვა გზატკეცილით დაჯდება 60—80 კაპ.). ამივე განყოფილებაში სახალხო განათლების კომპლექსი არკვევს, რომ ზემო-სვანეთში ათას სულ მცხოვრებზე მოწაფეთა რიცხვი მეტი მოდის, ვიდრე საფრანგეთში, ლატვიაში, რუმინეთში,

ჯანმრთელობის ხაზით დაჩივიანების მანქანებელი სვანეთისათვის—17 პროცენტია. ახლის ოლქისათვის—18 პროც., ხოლო შვეიცარიისათვის—19 პროც. და მრავალი სხვა.

მეორე განყოფილებაში წარმოდგენილია ფეოდალური სისტემების დამონების ობიექტები, ფეოდალური რაინდობისა და ბატონყმობის დამახასიათებელი კომპლექსები, სვანეთის ფეოდალებისა და ცარიზმის ბრძოლის ეპიზოდები და სხვა.

გამოფენის მესამე განყოფილებაში მოცემულია წინაქალისური საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია: წინაგვაროვნული, გვაროვნული და სატომო სოციალური დაჯგუფების დამახასიათებელ კომპლექსებში. ამ განყოფილებაში წარმოდგენილი სპეციალური მასალა ორ კომპლექსში იძლევა ისეთ საზოგადოებრივ დაჯგუფებას, რომელიც სინხლის ნათესაობაზე აღმოცენებულ გვაროვნულ დაჯგუფებაზე აღინიშნება და პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის უძველეს საფეხურს წარმოადგენს. ეს დაჯგუფება—ლასკარად წოდებული—დღესაც კი, არა მარტო საზოგადო მოხმარებას საზოგადო წარმოებასაც ემყარება და ამდენად უდიდეს სამეცნიერო ღირებულების მოვლენაა.

გამოფენის ცენტრალური თემა—სახლის კომპლექსი სვანეთის ეკონომიკის ძირითად საკითხს სწნის. ის ააშკარავებს სვანეთის ეკონომიკის იმ გარდუღალ წრეს, რომელიც შექმნილია სვანეთის გარეთ გამყვან გზების უქონლობის მიზეზით. ამ მიზეზით სვანი იძულებულია მესაქონლეობისა და მიწადმოქმედების სიმშობსური მეურნეობა აწარმოოს; მათგან ერთის დაწინაურება მეორეზედ საბედისწეროდ მოქმედებს. ამ ჩიხიდან სვანეთის გამოყვანა მხოლოდ სოციალისტურ მეურნეობას შეუძლია, მხოლოდ კოლექტიურ შრომას.

ცალკე თემებიდან მრავალი ახალ და ორიგინალურ მასალას წარმოადგენს, მრავალ საგულისხმო პრობლემებს სვანს. კერძოდ, ანტირელიგიური ნაწილი შეიცავს მრავალ ახალ მასალას. აქ სრულ კომპლექსებში მოცემულია ქვის, მეზირების, ნაყოფიერების და წინაპართან კულტის თემები. სპეციალური ანტირელიგიური რუკა განმარტავს საკულტო ადგილების სახეობას, მათ რაოდენობას და გავრცელებას და მათ პირისპირ კულტურულ კერების რიცხვს იძლევა, გამოფენის შესავალ ნაწილში სვანეთი დახასიათებულია გეოგრაფიული და მოცემულია დემოგრაფიული ცნობები.

გამოფენაში წარმოდგენილია 88 თემა. 828 კოლექცია, მრავალი დიაგრამა, სურათი, ფოტოგადაღება, კარტოგრამა, დიაგრამა და სხვა.

თეატრები

„კოლიფა“

რუსთაველის თეატრი ამზადებს დასადგმელად ი. ქანთარის ორიგინალურ კომედიას „კოლიფას“. კომედიას სდგამენ ს. ახმეტელი და ა. ვასაძე. მხატვარი დ. თავაძე.

„ხაგაი“ გ. ბაზოვიცა



რუსთაველის თეატრი ამზადებს აგრეთვე გ. ბაზოვიცის **„ხაგაი“**. დადგმა ს. ახმეტელის და კ. პატარიძისა. მხატვარი ს. კობახიძე, მუსიკოსი ი. გოციელი.

„ლაქაშებს შორის“ — გ. გაბესკირიასი

კ. შარჯანიშვილის სახელობის თეატრმა დასადგმელად მიიღო ვიქტორ გაბესკირიას ორიგინალური პიესა **„ლაქაშებს შორის“**.

ოპერა „ზღვარი“

კომპოზიტორი კოტე მელვინეთ-უზუცესი სწერს ახალ ოპერას **„ზღვარი“**. ოპერის ლიბრეტოდ გამოყენებულია პოეტ ვ. გაბესკირიას ამავე სახელწოდების პიესა.

ქუთაისის „საბჭოთა მწერალი“

რედაქციამ მიიღო საქ. საბჭ. მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ყოველთვიური გაზეთის **„საბჭოთა მწერალი“** მორიგი ნომერი № 1. (3). გაზეთში დაბეჭდილია თევანიძის, ვიასელის, ალაკიძის, დარასელის, კეშელავის, ფანცულაის, კვიციანიას, ხმალაძის, ჩარკვიანიის, ჩიანელის, ბახტურიძის, შავგულიძის, ფურცხვანიძის და ხელაძის ნაწარმოებნი.

არქეოლოგიური გათხრები მცხეთასთან

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საარქეოლოგიო განყოფილება მიმდინარე წლის აპრილიდან იწყებს მცხეთის მიდამოებში არსებული უძველესი აკროპოლისის გათხრებს. გათხრებში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია გერმანელთა **„ევროპის შემსწავლელი ხაზოგადობა“**. ამ საზოგადოების სახელით გათხრას უხელმძღვანელებს პროფესორი მარხარდტი. გასულ საუკუნის დამლევს მცხეთისავე მიდამოებში წარმოებულ გათხრებზე დროს ნაპოვნი იქნა მატრიალურ კულტურის ნაშთების უძვირფასესი კოლექცია.

რუსეთი

ლენინგადი

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საბჭოთა აღმოს. ვლადიმეროვნობა

ძველი პეტერბურგი ითავებოდა ორიენტალის უიკის ცენტრად. საკმარისია დავასახელოთ ისეთი სახელგანთქმული მეცნიერები, როგორცაა ბარტოლდი, ბროსე, შარი, როზენი, ტურაევი, ცაგარელი, უსლარი, ოლდენბურგი, რათა ვაგვიფიქროს წინათ, თუ რაოდენ ძლიერი იყო მაშინდელი ორიენტალისტების

სკოლა. თქმა არ უნდა, რომ მაშინდელი აღმოსავლეთმცოდნეობა ევლიკოდერ-
 ჯანიკულ ტენდენტებს იმზნედა, იგი ასე თუ ისე მაინც ასრულებდა სოციალ-
 ლურ დაკვეთას*, მაგრამ იყო იშვიათი მნიშვნელოვანი გამოკვლევები (მაგალ-
 შარის აღრინდელ შრომებშივე იგრძნობა მეთოდოლოგიური რეაქცია ძველი
 სკოლის მიმართ; კერძოდ იმ დროისათვის რევოლუციონური მეცნიერული ლო-
 ზუნგი იყო, რომ ორიენტალისტების ყურადღების ცენტრში დამდგარიყო ცო-
 ცხალი, ხალხური, მასობრივი მეტყველება, ნაცვლად გადაშენებული ენებისა
 და მრ. სხ.). კაპიტალური მეშვეობით მოგვეპოვება შუა აზიის შესწავლის
 დარგიდან (ბარტოლდი), თურქოლოგიიდან (რადლოვი), ირანისტიკიდან (მილერ-
 რი, ფუკოსკი), არაბისტიკიდან (რომენი, კრანკოვსკი), ინდიანისტიკიდან (შიფ-
 მერი, როზენბერგი, ოლდენბურგი, შერბატსკოჲ), სინოლოგიიდან (ვასილიევი,
 ალექსეივი); შერისწავლებოდა მონგოლეთი და ტიბეტი, ეგვიპტოლოგია (ტურა-
 ევი); პეტერბურგისავე უნივერსიტეტის აღმოს. ენათა ფაკულტეტზე ჩაეყარა საფუძველი
 და გაიზარდა კავკასოლოგია (ბროსე, ცაგარელი, მარი, ჩუმინაშვილი, უსლარი
 ჯავახიშვილი და სხ.) — მეცნიერებთა აკადემიის პარალელურად. განსაკუთრებით
 აღსანიშნავია ქართველოლოგიის აყვავება; გამოშვებულა სომხურ-ქართული ფი-
 ლოლოგია, იცემებოდა ძველი ქართული ლიტერატურულ-ისტორიული ძეგ-
 ლები, ლექსიკონები და სხ. ქართული ენის მდიდარმა ბუნებამ მიიპყრო ცნო-
 ბილი მეცნიერების ყურადღება და ამ ენისავე ნიადაგზე დაიბადა თეორია, რო-
 მელსაც ამჟამად მარქსისტული ენათმეცნიერებების სახელით ვიცნობთ და რომ-
 ლმავე, კერძოდ, ქართული ენა დააყენა მსოფლიო ლინგვისტიკის ყურადღების
 ცენტრში.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგი ხანა — ჩვენი ორიენტალისტიკის განვი-
 თარების ახალი და მნიშვნელოვანი პერიოდია. საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნე-
 ობამ დაიკისრა ჩვენი ქვეყნის ეროვნული პოლიტიკის გადაჭრის მნიშვნელოვანი
 სამსახური გაუწიოს, რითაც რგი თვალსაზრისი საქმეს აკეთებს სოციალისტურ
 აღმშენებლობის სინამდვილეში. ნაცვლად ისტორიის წინარ-დინასტიური შეს-
 წავლისა (რასაც ადგილი ჰქონდა ტრადიციულ ორიენტალისტიკაში), უმთავრე-
 სი ყურადღება ექცევა აღმოსავლეთში ისტორიული ფორმაციების შესწავლას.
 უკეთუ ამდენხანს აღმოსავლეთის ეკონომიკის სინამდვილე ხელუხლებელი კუთხე
 იყო მეცნიერებაში, — საბჭოთა ორიენტალისტიკის გენერალური მიზანია-შეის-
 წავლონს იგი საფუძვლიანად, რითაც აღმოსავლეთის ლიტერატურას, ენას, ფი-
 ლოსოფიას და სხ. როგორც ზედნაშენურ კატეგორიათა კვალიფიკაციას უტყუ-
 არი ნიადაგი უმუშავდება. აქედან: ძირფესვიანად შეისწავლება ენა, ლიტერა-
 ტურა, ისტორია, ფილოსოფია და სხ... ასე რომ: თუ ძველი ორიენტალისტიკა
 კომპლექსურად სწავლობდა აღმოსავლეთის ქვეყნებს, ახალი მეთოდოლოგიური
 მონაპოვარია დარგობრივი დიფერენციაცია, ცალკეულ დისციპლინათა გამოშუ-
 შავება. კულტურულ რევოლუციასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით აღსანი-
 შნავია ის მოძრაობა, რომელსაც ატარებს საბჭოთა ლინგვისტიკა აღმოსავლეთის
 უმწერლობო ენებისათვის აღფაბეტების გამოშუშავებისა და ლიტერატურულ
 ენების ჩამოყალიბების მიმართულებით. ის ფართო გამოძახილი და პოპულარო-
 ბა, რაიც დამწერლობის ლათინიზაციამ (იაფეტური ტრანსკრიფცია და სხ.)

მოიპოვა, ამის სამაგალითო დამამტკიცებელია, ასევე მნიშვნელოვანი ლექსიკონური დარგის გაცხოველებული მუშაობა, და სხ. ა.ე ამგვარად სავსებით აღმოსავლეთმცოდნეობა— შეიარაღებული მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიით— უაღრესად აქტუალური ღირებულების სამეცნიერო დისციპლინაა, რომელიც თავის თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობით საპატიო საქმიანობას აწარმოებს კულტურული რევოლუციის ნიშნის ქვეშ.

გარდა მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა (რომელიც ითვლება საბჭოთა ორიენტალისტიკის ცენტრად და რომელსაც განაგებს ცნობილი ორიენტალისტი—აკად. ოლდენბურგი), არსებობს ლენინგრადსა და მოსკოვში რამდენიმე ინსტიტუტი, სადაც გაშლილია პრაქტიკული და თეორიული კვლევა-ძიებითი მუშაობა აღმოსავლეთის ირგვლივ. იცემა (გარდა მთელრიგ მონოგრაფიულ გამოკვლევათა) პერიოდული სამეცნიერო ჟურნალები.

კავკასიის „ვეშაპები“

ჯერ კიდევ 1909 წ. სომეხმა გლეხებმა შეამჩნიეს, რომ სევანის ტბის ნი-
დამოებში მოიპოვება უზარმაზარი ქვის თევზები—„ვეშაპები“ (სომხურად: „ვი-
შაპი“). რუსეთის არქეოლოგ. საზოგადოებამ მაშინვე მოაწყო ექსპედიცია
ნ. მარის და ი. სმირნოვის შემადგენლობით, რათა შემოწმებულიყო ეს
საინტერესო არქეოლოგიური ხასიათის ცნობა და შესწავლილიყო სათანადოდ,
ექსპედიციამ დაადსტურა გლეხების ცნობა. მართლაც და: აღმოჩნდა დიდი ზო-
მის ქვები, ლოდები (ზოგი მათგანი 5 მეტრს აღემატება სიგრძით), რომელ-
თაც თევზის ფორმა აქვსთ, ხოლო ტანზე გამოყვანილია ხარის თავი—ტყავი-
თურთ, წეროს და მზის სიმბოლოები. ექსპედიციების შედეგები მოხსენდა ყოფ.
პეტერბურგის და აგრეთვე მოსკოვის სამეცნიერო დაწესებულებებს. ეს გამოკვ-
ლევები დღემდე არ გამოქვეყნებულა, ხოლო ამ უკანასკნელად ისინი, მოზრდი-
ლი ახალი გამოკვლევის დამატებითურთ. გამოვიდა დღის სინათლეზე სახელმწ.
მატერიალური კულტურის აკადემიის გამოცემით—ლენინგრადში: Н. Я. Марр
и Я. И. Смирнов, Вишاپы, Труды Государств. Академии Истории Мате-
риальной Культуры, том I. წიგნი დიდი ფორმატისა; შეიცავს 105 გვერდს და
24 მოზრდილ ტაბულას, ფოტოგრაფიულ სურათებს, ამ წიგნის ფასი დიდია,
რამდენადაც იგი მოწოდებულია ახალი დიდმნიშვნელოვან აღმოჩენას კულტუ-
რის ისტორიაში შუქი მოჰკინოს. მსავსეივე ძეგლები აღმოჩნდა საქართველოს
ტერიტორიაზეც ამ რამდენიმე წლის წინად ამ/კავკ. კომუნისტური უფინივერ-
სიტეტის მიერ მოწოდებულ ექსპედიციის წყალობით, რა გარემოებაც მჭიდრო-
და დაკავშირებული პროფ. ლ. მელქისეთ-ბეგის სახელთან (მისი გამოკვ-
ლევები ამ თაობაზე არა-ერთხელ მოხსენდა ტფილისის სამეცნიერო ორგანი-
ზაციებს).

კავკასიაში აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ეს ძეგლები მსოფლიო
მნიშვნელობისაა. კულტურის ისტორიას ასეთი ხასიათის ძეგლები არ ახსოვს
თუ არ მივიღებთ მხედველობაში მონგოლეთში აღმოჩენილ ანალოგიურ მცო-
რედენ ძეგლებს, რაც ამ ფაქტის ინტერნაციონალურ ხაზიათზე მიუთითებს,
რომ იგი დამახასიათებელი ყოფილა არა მარტოდენ კავკასიის სინამდვილი-

სათვის; იგი გვესურათებს არა მხოლოდ საქართველოსა და სომხეთის (საზოგადოდ, კავკასიის) უძველეს კულტურულ-ისტორიულ ვითარებებს, არამედ ისინი საყურადღებო ნივთიერი დოკუმენტებია პირველყოფილი აზროვნების, წყევლის საკითხის გამოსარკვევად. იაფეტური მსოფლიოს მრავალფეროვანი ენობრივი სინამდვილე, სახელდობრ „ვეშაბი“-ს ექვივალენტები დედა-მიწის სხვადასხვა ენაში, — ააშკარავენ, რომ „ვეშაბები“ უძველესი საკულტო ობიექტებია, აზროვნების განვითარების იმ სტადიას განკუთვნილი, როდესაც ჯერ კიდევ არ არის მსოფლიოს აღქმა დიფერენცირებული სამ საფეხურად (ზე-ცა, შუა-ცა, ქვე-ცა), არამედ კოსმოსი წარმოდგენილია, როგორც დიფუზური მთლიანობა. „ვეშაბებთან“ დაკავშირებით ფარდა ეხდება კოსმიური ღვთაების — ამირანის მოვლენა; წყდება რიგი ბიბლიურ-მითოლოგიურ საკითხებისა; მაგალ., ირკვევა აღამირანის მიწიაგან შექმნის მითის აღმოცენების სტადია, გველის დაწყველის ლეგენდა და სხვადასხვა.

აკად. აღ. ვახლოვსკის მიწერ-მოწერა

საკ. მეცნიერებათა აკადემიის პუშკინის სახლმა შეაგროვა ორი ათასამდე კერძო წერილი ცნობილი ლიტერატურათმცველის — აკად. აღ. ვახლოვსკისა. უამრავ წერილებში მოიპოვება როგორც საკუთარი, ისევე კორესპონდენტების წერილები, მას ჰქონია მიწერ-მოწერა ისეთ ცნობილ მეცნიერებთან, როგორცაა: Benfey, Carducci, d'Ancona, Bédier, Comparetti, de Cubernatis, G. Paris, Krumbacher, Siebrecht, ი. ნ. პედანოვი, ნ. მარი, ვ. და ე. კორშები, ვს. და ორ. შილერები, ვ. ლამანსკი, ფ. ბუსლაევი, ი. გროტი, ლ. ნაიკოვი, ნ. სტოროვენკო, ა. შახატოვი, და სხ. მისი გამოცემა განზრახული აქვს მეცნ. აკადემიის რუსული ლიტერატურის, სლავიანოლოგიის და აღმოსავლეთ მკვლევანობის ინსტიტუტებს. ამ კორესპონდენციას აქვს მეტადიდი მნიშვნელობა ვესელოვსკის მეცნიერული შემოქმედების გენეზისისა და ხასიათის გასაცხად. ეს მიწერ-მოწერა შექა ჰენს, ერთი მხრივ, — მეცნიერის ბიოგრაფიულ მომენტებს, რამდენადაც მათ მნიშვნელობა ჰქონდათ მისი მეცნიერული მოღვაწეობისათვის, მეორე მხრივ, — მეცნიერული შემოქმედების მეთოდოლოგიურ მხარეს, შესამე მხრივ, — სოციალ-პოლიტიკურ გარემოს, აკადემიურ წრეების მაშინდელ ვითარებას.

აკადემიკოს ს. ოლდენბურგის იუბილე

მიმდინარე წლის თებერვალში შეუსრულდა 70 წლის თავი დაბადებიდან და 50 წ. თავი სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისიდან აკადემიკოს ს. ოლდენბურგს. ოლდენბურგი ცნობილი ორიენტალისტი, კერძოდ ინდიანისტი, ინდურ-ენისა და ლატერატურის სპეციალისტი. მას მოეპოვება აურაცხელი მეცნიერული შრომა ინდიანისტიკიდან და იგივე ხელმძღვანელობდა მრავალ საყურადღებო სამეცნიერო ექსპედიციას. აკად. ოლდენბურგი აწეზად ვანაგებს მეცნ. აკად. აღმოსავლეთმკვლევანობის ინსტიტუტს, თავმჯდომარეობს მრავალ სამეცნიერო საზოგადოებას და წევრი და საპატიო თავმჯდომარეა რამდენიმე სანსკრიტოლოგიის საზოგადოებებისა საზღვარ-გარეთაც. მის იუბილეზე ვრცელ

შობსენება წაიკითხა აკად. ნ. მარმა (აკად. ოლდენბურგი და კულტურული შემკვიდრება); სხვადასხვა მეცნიერმა დაახასიათა იუბილარის შემთხვევაში დასახურება სხვადასხვა მარცხ. მაგალითად, წევრ-კორესპონდენტმა ვაანუქა ოლდენბურგის ღვაწლი ხელწვნიებათმკოდნებაში, აკად. შჩერბატკსომ დაახასიათა მისი როლი სახსკრიტოლოგიაში, პროფ. აზადოვსკიმ წარმოადგინა ის ღვაწლი, რაც მიუძღვის იუბილარს რუსულ ფოლკლორისტიკაში. სპეციალურად ჩამოსული მეცნიერი პარიზიდან — სილვესტრევიჩი — იუბილარის სიყრმის მეგობარი — მიესალმა ნებოვან მეცნიერს საფრანგეთის ორიენტალისტების სახელით. აგრეთვე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს აკად. ლუნაჩარსკიმ — ს.კ. ცაკთან არს. სამეცნ. კომიტეტის სახელით და საბჭ. კავშირის სამეცნ. დაწესებულებების წარმომადგენლებმა. ამ დღისათვის მოსალოცი დეპეშები იქნა მიღებული ევროპის სხვადასხვა ქალაქებიდან.

აკად. ნ. მარის სამეცნიერო მოღვაწეობის 45 წლის თავი

მიმდინარე წლის მარტში სრულდება აკად. ნიკო მარის სამეცნიერო მოღვაწეობის 45 წლის თავი. მეცნიერის შრომების პირველ თარიღად ითვლება 1888 წ. — „ივერია“-ში გამოქვეყნებული წერილი სათაურით: „ბუნება და თვისება ქართული ენისა“, სადაც პირველად წამოყენებულია პრობლემა ქართულის მონათესაობისა სემიტურ ტიპოლოგიის ენებთან.

აკად. მარი ამჟამად ითვლება საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, ამავე აკად. ენისა და აზროვნების ინსტ. დირექტორად, მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის პრეზიდენტად, მოსკოვის აღმოსავლეთმკოდნობის ინსტ.-ის დირექტორად და სხ. მატ. კულტისტ. აკად. და შეცნ. აკადემიის განზრახული აქვს გამოსცეს სპეციალური კრებულები, სადაც გაშუქებული იქნება იუბილარის მეცნიერული დამსახურება.

ენის ხაკითხები იაფეტური თეორიის გაშუქებით

ლენინგრადის სახელმწ. მატერიალური კულტ. ისტორიის აკადემიის გამოცემათა ციკლში გამოვიდა „ენის ხაკითხები იაფეტ. თეორიის გაშუქებით“, — გამორჩეული ნაწევრები აკად. ნ. მარის ნაშრომებიდან, ვ. აპტეკარის მიერ შედგენილი. წიგნში წარმოდგენილია, თეების მიხედვით, სხვადასხვა ადგილები მარის ენათმეცნიერულ ნაწერებიდან, უმთავრესად 1924 — 1932 წლ. მაძილზე. სტრუქტურულად წიგნი 4 განყოფილებისაგან შედგება; 1. „იდეალიზმიდან-მატერიალიზმამდე ენათმეცნიერებაში“, 2. „გლოტოგომური პრაციის დიალექტიკა“, 3. „სემანტიკის პალეანტოლოგია“, 4. „სოციალისტური აღმწენებლობა და ენის ხაკითხები“. ეს ქრესტოპატრიული ხასიათის წიგნი განკუთვნილია ფართო მკითხველისათვის, ენისა და საზოგადოებათმეცნიერების პედაგოგთათვის და ამიტომ იგი ყველასათვის მისაწოდშია, რამდენადაც თავმოყრილია ზოგადი, თეორეტიული ხასიათის მსჯელობები, დასკვნები — კონკრეტული ანალიზის, ფაქტური მასალის გათვალისწინების გარეშე. წიგნი შეიცავს 774 ცალკე ნაწევრს, 108 იაფეტოლოგიურ ძირითად ლიტერატურულად; შედგება 560 გვერდისაგან.

მარქსის ეპოქის დოკუმენტური გამოფენა



ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკა მარქსისათვის აწყობს მარქსისა და მისი ეპოქის ისტორიული დოკუმენტების გამოფენას. შეგთუხავეთ ჩემი კლასიკურიდან აღსანიშნავია თავდაპირველი გამოცემა მარქსის „აწერებისა გრამატიკის და ინგლისურ ენაზე“—გაზეთები რომელშიაც მარქსი თანამშრომლობდა, საცლუსტრაციო ნიმუშები მისი კერძო ცხოვრებიდან, და სხ. აგრეთვე დამახასიათებელი მასალები მოიპოვება 1848 წ. რევოლუციის, პარიზის კომუნის და I ინტერნაციონალის ისტორიიდან. გამოცემის პირველ ნაწილში მოცემული იქნება მარქსიზმის წყაროების ისტორიული სურათი, შემდეგ—პროლეტარულ რევოლუციის თეორიის, კლასობრივი ბრძოლის მოძღვრების, ფილოსოფიური მატერიალიზმის განვითარება. ცალკე იქნება წარმოდგენილი განყოფილებები: „ლენინი მარქსის შესახებ“, „სტალინი მარქსის შესახებ“, „ლენინი და სტალინი“, როგორც მარქსის საქმის გამგრძელებელი. გამოფენა იარსებებს რამდენიმე თვეს.

მარქსიზმის კლასიკოსები ენის შესახებ

მარქსის გარდაცვალების 50 წლის თავის აღსანიშნავად სახელმწ. მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემია (ლენინგრადი) უშვებს დიპტანს კრისტომატიულ წიგნს: „მარქსიზმის კლასიკოსები ენის შესახებ“. წიგნში თავმოყრილი და პრობლემების მიხედვით განლაგებული იქნება მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის ნაწერები მრავალგან გაბნეული აზრები ენის ბუნებისა და ენათმეცნიერების ამოცანების ირგვლივ.

შ. ძიძიგური.

მარქსის სახელობის პრემია

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია კარლ-მარქსის გარდაცვალებიდან 50 წლის თავის აღსანიშნავად აფუძნებს მუდმივ პრემიას მეცნიერების სხვადასხვა დარგში მარქსისტულ მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწერილ ღირსშესანიშნავ სამეცნიერო შრომებისათვის.

ხსრკ. ხაბკ. მწერლების საორგანიზაციო კომიტეტის მეორე პლენუმი.

პლენუმი გაიხსნა 12 თებერვალს მოსკოვის კომუნისტურ აკადემიის დიდ დარბაზში. პლენუმი გახსნა ს. ს. რ. კ. საბჭოთა მწერლების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ი. გრონსკიმ. პირველ დღეს პლენუმმა მოიხილა: ამხ. ა. ლუნაჩარსკის და ს. დინამოვის მოხსენებები საბჭოთა დრამატურგიის ამოცანების შესახებ. თავის მოხსენების პირველ ნაწილში ამხ. ლუნაჩარსკი შეეხა საბჭოთა ხელოვნების საერთო ამოცანებს და დაწვრილებით შეჭერდა სოციალისტური რეალიზმის რაობაზე.

— ბურჟუაზია, — განაცხადა ამხ. ლუნაჩარსკიმ, — როცა მსოფლიო ისტორიის ასპარეზზე გამოვიდა, რეალისტურ კლასს წარმოადგენდა, მაგრამ ბურჟუ-

აზიის რეალიზმი, როგორც წესი, სტატიურია. ბურჟუაზია მოითხოვდა მხატვრისაგან, რომ მას მოეცა მისი მსგავსება, გამოეხატა ბურჟუაზიის კმაყოფილება მისი ყოფით, მაგრამ ამ სტატიურ რეალიზმთან ერთად არსებობდა უარყოფითი რეალიზმიც, ბურჟუაზია არ იყო მთლიანი და მატერიალური იყო კმაყოფილი თავისი ცხოვრებით, წერილი ბურჟუაზია რევოლუციონურ ეპოქებში საკმაოდ მალლა სწევდა თავის დროშებს. ეს წერილი ბურჟუაზია განიცდიდა ხშირად იმედის გაცრულებას და ამ განწყობილებებში განსაზღვრეს ზურგუაზიელი რეალისტური ხელოვნების სხვაგვარი ხასიათი. წერილ-ბურჟუაზიული, რეალისტი მწერლები სცდილობდნენ თავის რეალისტურ ნაწარმოებებში ეჭვენებათ სინამდვილის უარყოფითი მხარეები. სულ სხვა საქმეა—სოციალისტური რეალიზმი. სოციალისტური რეალიზმი უფროსად დინამუჭია. მისი მამოძრავებელი ძალები.—ეს არის მოძრაობა წარსულში, აწმყოში, და მომავალში. ეს კლასობრივი ბრძოლა სოციალისტური რეალიზმის მიხედვით დაწერილია ნაწარმოებებში უნდა გვიჩვენოს ჩვენი ცხოვრების სიმართლე, ჩვენი სინამდვილე. ბურჟუაზიულმა რეალისტებმა ეს ლოზუნგი შეიძლება ვაიგონ როგორც სინამდვილის ფოტოგრაფია. ამასთან შეიძლება ისინი შეეცადონ „რევოლუციის უკანა ეზოს“ ფოტოგრაფიულ გადაღებას. ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ ბევრი დაუმთავრებელი შენობა, აუშენებელი ადგილები და, თუ ბურჟუაზიული რეალიზმი ყოველივე ამას სტატიურად იიღებს, იგი მოგვცემს არა სოციალისტურ სინამდვილეს და სიმართლეს, არამედ კონტრ-რევოლუციონურ ნაწარმოებს. სოციალისტურ სიმართლეს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ ის სიმართლე, რომელიც ვამოსახავს განვითარების ტენდენციას.

მოხსენების მეორე ნაწილში ამა, ლუნაჩარსკი ჩერდება დრამატურგის ამოცანებზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავს იმ მნიშვნელობას, რომელიც ამაჰამდ ჩვენთვის აქვს დრამატურგისა, როგორც ყველაზე უფრო აქტიურ ხელოვნებას.

ამხ. ლუნაჩარსკი ვრცელ ანალიზს უკეთებს საბჭოთა ტრაგედიის, საბჭოთა კომედიის განვითარების გზებს და შემდეგ ახასიათებს სხვადასხვა ფორმაციის მწერალთა მიდგომას დრამატული შემოქმედებისადმი. ამა, ლუნაჩარსკი თეატრორის ყურადღებას ამახვილებს იმ ამო ანებზე, რომელიც დრამატურგის წინაშე წამოჭრილია საკ. კ. ბ)-ს ც.კ.-ის იანერის პლენუმის გადაწყვეტილებების შესრულებასთან დაკავშირებით.

ამავე საკითხზე თანამოხსენებას აკეთებს ამა. დინამოვი. იგი უმთავრესად ეხება სოფლისათვის საჭირო დრამატურგის და სოფლის შესახებ დრამატურგის საკითხებს.

13, 14, 15 და 16 თებერვლის სხდომებზე გრძელდებოდა კამათი ამა. ლუნაჩარსკის და დინამოვის მოხსენებათა გარშემო.

17 თებერვალს მოხსენება გააკეთეს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წარმომადგენლებმა ამა. ს. ეულმა, აზერბეიჯანის ამა. ი ბ რ ა მ ი-შოკმა და სომხეთის ამა. ჩუბარმა, ამავე დროს სხდომაზე დაიწყო კამათი, რომელიც გაგრძელდა 19 თებერვლის დილის სხდომამდე. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამა. კულიკმა (უკრაინა), მიწიშვილმა, დოლგოპოლსკიმ (ბელორუსია), ყულიევმა (აზერბეიჯანი), ბოროძინმა, იურიშმა, ბეგიზოვმა (სამარეთ-ოსეთი),

ბაბაევმა (უზბეკისტანი), კავალენკომ, ბენეტმა, ნაზარლიმ, ილიქსანდროვიჩმა (ბელორუსია), ვოლკოშტეინმა, სეიფულინამ, მესტი-ჰუსეინმა, ტალიბოვმა (აზერბეიჯანი), ბ. ბუაჩიძემ, მ. შალინიანმა, პ. ქიქოძემ, იბოევიჩმა, ილიქსანდროვიჩმა, მელიქიანმა, ს. ჩიქოვანმა, შ. დუდუჩაიამ და ბ. ელენტმა.

მომხსენებელთა საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია რესპუბლიკების საორგანიზაციო კომიტეტების მუშაობის შესახებ. რეზოლიუციაში პლენუმში ხაზს უსვამს იმ ძლიერ შემოქმედებით აქტივიზაციას, რომელსაც საქ. კ.ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 23 აპრილის დადგენილების რეალიზაციის საფუძველზე ადგილი აქვს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მწერლობაში. ამასთან ერთად პლენუმში მიუთითებს, რომ ამიერკავკასიის საბჭოთა მწერლების ორგანიზაციების მასიური მუშაობა დამწყებ მწერლებთან არ იყო საკმაო და აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ლიტერატურულ მოძრაობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ჯგუფობრიობის ელემენტები. რეზოლიუცია შეიტყავს მთელ რიგ კონკრეტულ წინადადებებს მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

19 თებერვალს თავის საბოლოო სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ანბ. სუბოცკის მოხსენება საბჭოთა მწერლების კავშირის წესდების შესახებ. წესდება ძირითადად დამტკიცებული იქნა.

პლენუმში დამთავრდა საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ანბ. ი. მ. გრონსკის ვრცელი დასკვნითი სიტყვით.

ალექსი ტოლსტოის შემოქმედების 25 წელი

ლენინგრადში გაიმართა მთელი რიგი საღამოებისა ცნობილ ბელეტრისტის ალექსი ტოლსტოის ლიტერატურულ შემოქმედების 25 წლის შესრულების აღსანიშნავად. „სალიტერატურო გაზეთში“ ალექსი ტოლსტოიმ მოათავსა წერილი სათაურით „О члене“ „არაფერია იმაზე უსიამოვნო, — სწერს ა. ტოლსტოი ამ წერილში, — როგორც საკუთარ თავზე ლაპარაკი. ჩემი თავი არაოდეს არ მომწონდა: შეიძლება ეს იყო პირველი მიზეზი, რომ მე მწერალი ვავიხდარიყავი. როდესაც ჩემი წიგნი გამოდის, მე მას ვფურცლავ როგორც სხვისას, — მხოლოდ მაშინ ვჩევი ხოლმე კმაყოფილი ამ წიგნით. თუ მე მას ვკითხულობ, როგორც საკუთარ წიგნს ეს ძალიან ცუდი ნიშანია: ეს ნიშნავს, რომ იქ საბოლოოდ ჯერ კიდევ არ ამომიშლია რაღაც, რომ ჩემი „მე“ ბოლომდე არ არის გათქვეფილი სახეებსა და იდეებში.

საკუთარ თავზე საუბარი ძნელია, რადგან „მე“ არ არის რაღაც მოცემული. „მე“ მოძრაობს, იცვლება და იზრდება (ან ილუპება, როგორც ეს ხდება ეხლა დასავლეთში) აღაშინათა საზოგადოებასთან — კლასთან ეხლად.

მწერლის „მე“-ს სახე — ეს არის ბედი კლასისა, რომლისთვისაც მწერალი სწერს, რომლის მიზნებით, გამარჯვებით და დამარცხებითაც ის ცოცხლობს.

1921 წლიდან ჩემი შემოქმედება — საბჭოთა რუსეთის ცხოვრებისა და ბედს დაუუკავშირე. მე ათასჯერ მომიხდა იმისი ახსნა, თუ რად მივტოვე ვერომა (მაშინ ჯერ კიდევ კეთილმოწყობილი, აღსავსე იმედებით) იმ ქვეყნისათვის, რომე-

ლიც განადგურებული იყო ომისაგან. მე აქ მომიყვანა მხატვრის ინსტრუქტორმა, რომელიც აიძულებს მას, გვერდზე გადასდგას მსუყვე საქმეობ, რომ გავშუროს უცნობ შორეულ მხარისკენ, რომელიც მას ბუმბერაზიული შემსწრელობით იზიდავს.

ეს შორეთი აფორიაქებული იყო სამოქალაქო ომისაგან, აღსაყვ იყო იმედებით, პროექტებით. ეს იყო ნოყიერი ნიადაგი, სადაც ჩემმა „მე“-მ ფესვები გაიდგა. მე ჰუმანიტარული იდეებზე გავიზარდე. სამწერლო ცხოვრების ნახევარმა რეკოლიფიკაციამდე განვლო. და აი საბჭოთა რუსეთის ათი წლის მანძილზე მე დამჭირდა ჩემი საკუთარი ორი ხუთწლედი, რომ ახალ ეპოქაში გავმდარიყავი ახალ მწერლად: რომ პირველ ჩემს ხუთწლედში გადავსულიყავი (არა გონებით, არამედ მხატვრულად) ჰუმანიტარულ იდეათა სამყაროდან დიალექტიკურ მატერიალიზმის იდეათა სამყაროში. ეს კი, — დღე ნურავენ იწყენს ამას ჩემგან, — ძალიან ძნელი გადასასვლელია, და ჯერ კიდევ ყველა როდი განთავისუფლებულა ჰუმანიტარულ მსოფლიოგზნების ბავშურ სათვალუბისგან. ეპიგონური ჰუმანიზმი კიდევ განაგრძობს ბაჟუტეას მანამ, სანამ ჩვენში კიდ ვცოცხლობს და ბეუტავს „რუხვი მემამულე“. მეორე ხუთწლედში, როდესაც მე ვიგრძენი თავი პროლეტარიატთან ყველა ჩემი ფესვებით ვადამბულად — მომიხდა უკვე უ ათვალეზოდ გამეველო რთული გზა რომ, შემესწავლა და შემესრუტა ცხოვრება სოციალიზმისათვის მატერიალური ბაზის შექმნის პროცესში

მე შევიქენი დედამიწაზე ახალი ცხოვრება. ს შექმნის მონაწილე. მე ვხედავ ეპოქის ანოციანებს. ჩემთვის გარკვეულია საკუთარი მიზნები. პროლეტარული ხელოვნების ჩირაღდანმა უნდა გაანათოს ქვეყანა. ხელოვნება ლიტერატურა — ეს ეპოქის სახსოვარია. ადამიანებო, ამბები, ს ქმენი გადივლიან. დრო ყველაფერს ფერფლავს. ხელოვნება იღება ეპოქის მსწრაფლწამავალ ნაჭერს და ქმნის მისგან გამძლე კრისტალს. ეს არის კულტურა. ამ კრისტალებსაგან შენდება პროლეტარიატის შრომის დიადი სასახლე. საშენებელი მასალა უმაღლესი ხარისხისა უნდა იქნეს“.

ანრი ბარბიუსი — საპატიო აკადემიკოსი

ლენინგრადში 1-ლ თებერვალს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება საპატიო აკადემიკოსად აირჩია ცნობილი ფრანგი მწერალი ანრი ბარბიუსო.

პუშკინის გარდაცვალების 96 წლის თავი

ლენინგრადში მეცნიერთა სასახლეში ყოველ წელიწადს იმართება პუშკინის ტრადიციული მოსაგონარი საღამო, წვლს, 11 თებერვალს, მ. გორკის სახელობის მეცნიერთა სახლში, პუშკინის გარდაცვალებიდან 96 წლის ავის აღსანიშნავ საღამოზე მოხსენებები წაიკითხეს აკადემიკოსმა დ. რაჭაგონმა და პროფესორმა პიკხანოვმა. უკანასკნელის მოხსენების თემა იყო: „პუშკინის დაღუპვა“.



ჯონ დოს-პასოსის—„1919 წელი“.

ლენინგრადის სახელგამომცემი მოკლე ხანში გამოსცემს ამრიგად **„1919 წელი“** ჯონ დოს-პასოსის ულანსკენელ რომანს „1919 წელი“. ითარგმნებს მასვე სტეპანოვის რომანები: „სამი ჯარისკაცი“, „ქუჩა ღამით“ და „ადამიანის დაბადება“.

პასტერნაკის პოემები და ლექსები

ლენ. სახელგამომცემი ბეკდევს პოეტ ბორის პასტერნაკის რჩეულ ლექსთა და პოემათა ერთტომიან კრებულს.

ახალი მახალები გოეტეს შესახებ.

მეცნიერებთა აკადემიის არქივში აღმოჩენილი იქნა ახალი მასალები გოეტეს შესახებ. ნახული იქნა ჩანაწერი აკადემიკოსი კუპენის გოეტესთან ნაცნობობისა და ვაიმარში 1824 წელს მისი სტუმრობის შესახებ.

ვაგნერის გარდაცვალების 50 წლისთავი

ვაგნერის გარდაცვალებიდან 50 წლისთავის აღსანიშნავად თებერვალში ლენინგრადის ფილარმონიამ მოაწყო ორი გამოფენა. გამოფენაზე ნაჩვენები იქნა სხვადასხვა მასალები ვაგნერის შემოქმედების შესახებ, დეკორაციითა და კვანძებით სურათები და ნახატები, აგრეთვე ლიტერატურა ვაგნერის შესახებ.

დანტეს „ახალი ცხოვრება“.

გამომცემლობა „აკადემია“ ახლო მომავალში დაბეჭდავს დანტეს „ახალ ცხოვრებას“. ახალი თარგმანი ეკუთვნის ა. ეფროსს, გრავიურები—ზატვარ ვ. ფაფორსკის.

სტანისლავსკის იუბილე

იანვარში მოსკოვში საბჭოთა წაზოგადოებრივობის მიერ ზეიმით იქნა აღნიშნული რესპ. სახ. არტისტის სტანისლავსკის დაბადებიდან 70 წლის შესრულების თავე. სტანისლავსკის სახელი, როგორც მოსკოვის სამხატვრო თეატრის ერთი დამაარსებელისა და ხელმძღვანელისა, როგორც რეჟისორისა და მსახიობისა,—ცნობილია არა მარტო რუსეთსა და საბჭოთა კავშირში, არამედ უცხოეთშიდაც.

მოსკოვის სამხატვრო თეატრი სტანისლავსკიმ დაარსა ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან ერთად 1898 წელს. ამ თეატრში სტანისლავსკიმ, როგორც რეჟისორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა განახორციელა 48 დადგმა, მათ შორის: „დაძირული ზარი“, „ჩაიკა“, „იოანე მრისხანეს სიკვდილი“, „ძია ვანო“, „ექიმი შტოკმანი“, „მეშინები“, „მეფეება წყვდიადისა“, „ფსკერზე“, „ადამიანის ცხოვრება“, „ლურჯი ფრინველი“, „რევიზორი“, „მკვდარი სულები“ და სხვა. სამხატვრო თეატრში სტანისლავსკის შესრულებული იქნა 27 როლი: ტრიგორინი—„ჩაიკაში“, ასტროვი—„ძია ვანო“-ში, შტოკმანი—„ექიმ შტოკმანიში“, სატინი—„ფსკერზე“ და სხვ.

ბევრი ამაგი მიუძღვის თეატრისათვის სტანისლავსკის რეპერტუარის წლებშიდაც. მან აღზარდა რამდენიმე თაობა აქტიორებისა და ქორეოგრაფებისა. მან დაამუშავა პროგრამა თეატრალური ოსტატობის იმპროვიზაციის პრობლემა და არსდება თეატრთან. მისი წინადადებითვე თეატრთან ჩამოყალიბებულია დრამატურგთა აქტივი.

1922 წელს სტანისლავსკის მიენიჭა რუს. სახ. არტისტის სახილოდება— მიმდინარე წელს დაულაღვი არტისტული მოღვაწეობისათვის საბჭოთა კავშირის ცაკმა იგი დააჯილდოვა „შრომის წითელი ორდენით“.

„წელი მეთექვსმედი“

უახლოეს ხანში მოსკოვის მწერალთა გამომცემლობა „ფედერაცია“ შეუდგება ახალ სამხატვრო-სალიტერატურო აღმანახის „წელი მეთექვსმედი“-ს გამომცემას. რედაქციაში შედიან: მ. გორკი, ლ. ივერზახი, ე. გაბრილოვი, ი. ე. ერმილოვი, ვ. ივანოვი, ვ. კირპოტიანი, პ. პაულენკო, ნ. ტაიანოვი და ა. ფადეევი. ამ აღმანახის ტირაჟი იქნება 50000 შტალი, თვითვეული ტომი-25 საბეჭდი ფურცლებისაგან შესდგება.

წიგნი მათემატიკის ლოხანევის შესახებ

მწერალი ვ. კავერინი სწერს წიგნს გამოჩენილი მათემატიკისის ლოხანევის შესახებ.

ვაგნერის დღეები მოსკოვში

ვაგნერის გარდაც. 50 წლისთავის აღსანიშნავად მოსკოვში გაიმართა მთელი ცოელი სიმფონიური კონკურტებისა, მოხსენებთა და რადიო-გადაცემებისა მუსგამომცემლობა ახლო ხანში გამოსცემს ვაგნერის ნაწარმოებთა სამ კრებულს და წიგნს კომპოზიტორის შემოქმედების შესახებ.

ბავშთა სამუსიკო ოლიმპიადა

მოსკოვში 10 აპრილიდან იხსნება ბავშთა სამუსიკო ოლიმპიადა, რომელიც 1-ლ მაისამდე გაგრძელდება. ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის ყველა სკოლები. მოეწყობა კონკურსი საუკეთესო საბავშვო ქორო-ორკესტრისა, თვითმოქმედი წრისა და მუსიკის საუკეთესო მასწავლებლის სახელწოდებისათვის.

საუკეთესო საბავშვო კოლექტივები დაჯილდოვებული იქნებიან პრემიით და მონაწილეობას-მიიღებენ საკავშირო საბავშვო ოლიმპიადაში, რომელიც ლენინგრადში მოეწყობა.

ბელორუსია

ბელორუსიის საბჭოთა მწერლების პირველი პლენუმი

24 თებერვალს ქ. მინსკში გაიხსნა ბელორუსიის საბჭოთა მწერლების საორგანიზაციო კომიტეტის პირველი გაფართოებული პლენუმი. ბელორუსიის

ლიზმის ისტორია ამერიკულ ლიტერატურაში გასული საუკუნის 80-ი წლებიდან მოკიდებული ჩვენ დრომდე. წერილის დასკვნაში აღნიშნულია: „დროის ამ მანძილზე დაიწყო და დამთავრდა მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდთაგანი—პერიოდი ინდუსტრიალური სისტემის ზრდა-განვითარების, გაბატონებისა და დაქინებისა. სკენაზე გამოვიდნენ გიგანტები, გადახდილ იქნა ომები. მილიონობით შამაკაცები და ლედაკაცები ჩაბმული იქნა მონობის უღელში, მათ შრომას ექსპლოატაცია ეწეოდა, ისინი იხოცებოდნენ შიმშილით, მათ ხერხტდნენ დაუნდობლად. ცივი, დაუნდობელი ფული, წარსულ მონარქიებისა და რელიგიის მსგავსად, დაბრძანდა ტახტზე და არა თუ განამტკიცა თავისი დიქტატურა, არამედ გამოაცხადა თავისი თეორია, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი. ნაცვლად წინანდელი სასახლეებისა და ტაძრებისა. მათ დაშენეს ქარხნები და ცათამბრჯენები და სთქვეს: „უტკირეთ! თავი ეცით! აი, როგორი უნდა იყოს ქვეყანა!“

ამავე დროს ყოველგვარი უნიჭო, მდარე და გარყვნილი პროდუქცია აღიარებულია რეალისტურ ლიტერატურად. ეს მტკიცდება თუნდაც რაინულ ბიბლიოთეკების მაგალითით (რომელთა რიცხვი ძალიან იზრდება), რომლებიც იძლევიან წიგნებს შინ წასაკითხავად, ეს წიგნთსაცავები სავსეა ბელეტრისტული ხასიათის წიგნებით, რომელთაც პრეტენზია აქვთ რეალისტურად და არქირეალისტურადაც მოგვეცნენ ჩვენი ამერიკული მაღალი წრის საზოგადოების და ჩვენი ინოვრების უფრო პორნოგრაფიული მხარეების სურათი“.